

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ენათმეცნიერების საკითხები

ISSUES OF LINGUISTICS

2014



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

**სარედაქციო საბჭო:**

ვ. ბოდერი, ი. გიპერტი, ვ. გიუნაშვილი, დ. თვალთვაძე,  
ბ. უტიე, ჰ. ფენრიხი, მ. შანიძე, ზ. ჭუმბურიძე, ა. ჰარისი

**EDITORIAL COUNCIL:**

W. Boeder, Z. Chumburidze, H. Fährich, J. Gippert, J. Giunashvili, A. Harris,  
B. Outtier, M. Shanidze, D. Tvaltvadze

**სარედაქციო კოლეგია:**

რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, **თ. გამყრელიძე** (მთავარი რედაქტორი),  
მ. ივანიშვილი, **ი. ლეჟავა** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), დ. მელიქიშვილი,  
ე. სოსელია, ლ. ქეცბა-ხუნდაძე, პ. ცხადაია, მ. ჯიქია

**EDITORIAL BOARD:**

R. Asatiani, T. Bolkvadze, **Th. V. Gamkrelidze** (Editor-in-Chief), M. Jikia,  
M. Ivanishvili, L. Ketsba-Khundadze, **I. Lezhava** (Deputy Editor-in-Chief),  
D. Melikishvili, E. Soselia, P. Tskhadaia

*ქურნალი დაარსებულია 1999 წელს თავაზ გამყრელიძისა და  
ზურაბ სარჯველაძის მიერ*

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015

ISSN 1512-0473

*კრებული ეძღვნება  
ირინე მელიქიშვილის ხსოვნას*



*ირინე (ლულუ) მელიქიშვილი*  
1943-2013



**ირინე მელიქიშვილის სამეცნიერო შრომების  
ბიბლიოგრაფია**

**1965**

1. დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია ქართული ენის დასავლურ კილოებში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 9, თბილისი 1965, გვ. 35-39.

**1970**

2. Einige universelle Gesetzmässigkeiten in dem System der Affrikaten, Theoretical Problems of Typology and the Northern Eurasian Languages, eds. L. Dezso and P. Haidu, Budapest 1970, S. 65-75.
3. მარკირების პირობები მჟღერობის, სიყრუის, ლაბიალობისა და ველარობის ნიშნებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 5, 1970, გვ. 17-30.
4. Восприятие фонем и некоторые универсальные закономерности частотных отношений признаков фонем, Материалы Всесоюзного симпозиума по психолингвистике, Москва 1970, стр. 162-163.

**1972**

5. ზოგიერთი იმპლიკაციური უნივერსალური კანონზომიერება აფრიკატთა სისტემაში, თანამედროვეზოგადილდამათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, 3, 1972, გვ. 127-149.
6. Отношение маркированности в фонологии, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тбилиси 1972, 32 стр.

**1973**

7. ფონემების სიხშირულ მიმართებათა გაპირობებული ხასიათის შესახებ, მეტყველების ანალიზის საკითხები, 4, 1973, გვ. 46-61.

**1974**

8. მარკირების მიმართებათა გაპირობებული ხასიათის შესახებ, თანამედროვეზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, 4, 1974, გვ. 68-83.
9. მარკირების მიმართების შესახებ ფონოლოგიაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIX, 1974, გვ. 5-16
10. К изучению иерархических отношений единиц фонологического уровня, Вопросы языкознания, 3, 1974, стр. 94-105.
11. Phonostatistic Typology and the Interpretation of Reconstructed Systems, Studies in Linguistic Typology, Acta Universitatis Carolinae – Philologica 5, 1974, pp. 89-100.
12. ეუი პროცესი ზანურში და ხმოვანთა შესატყვისობის ერთი დარღვევა ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1975, გვ. 52-76.

13. მარკირების მიმართება ფონოლოგიაში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1976, 174 გვ.

#### 1979

14. მარცვლის აგების ზოგადი პრინციპი და ხშულთა განაწილება CVC-ტიპის ძირებში საერთო-ქართველურსა და საერთო-ინდოევროპულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1979.

#### 1980

15. საერთო-ქართველურ სიბილანტთა სისტემა ფუნქციონალური ტიპოლოგიის თვალსაზრისით, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, 5, თბილისი 1980, გვ. 46-58.
16. სონორ ფონემათა განაწილების ზოგადი კანონზომიერება და ძირის სტრუქტურა საერთო-ქართველურში, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, 5, თბილისი 1980, გვ. 58-67.
17. Структура корня в общекартвельском и общеиндоевропейском, Вопросы языкознания, 4, 1980, стр. 60-70.

#### 1981

18. ქართველურ ენათა ორი იზოლირებული ბგერათფარდობის ახსნისათვის, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, 6, თბილისი 1981, გვ. 70-87.

#### 1983

19. К фоностатистической характеристике языков кавказского ареала, древнеармянского, общекартвельского и общеиндоевропейского, Генетические, ареальные и типологические связи языков Азии, Москва 1983, стр. 218-229.

#### 1986

20. Positionsbedingte Veränderlichkeit von den Vokalen unter dem Einfluss von Konsonanten in Kartvelsprachen, Georgica, 9, Jena-Tbilissi 1986, S. 9-12.

#### 1987

21. Universelle Wechselbeziehungen zwischen den Einheiten mit sonantischen Merkmalen, Proceedings of the XI<sup>th</sup> International Congress of Phonetic Sciences, Tallin 1987, S. 146-148.

#### 1988

22. პოსესივი, პერფექტი და მეორეული ერგატივი, თანაავტორი რუსუდან ასათიანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, 1988, გვ. 145-150.

#### 1989

23. შემოქმედების და არა ნგრევის გზით, ლიტერატურული საქართველო, 18.08.1989.

## 1990

24. Некоторые универсалии, определяющие взаимоотношение сонант и резонансных признаков, ტიპოლოგიური ძიებანი, თბილისი 1990, გვ. 9-26.
25. Universal Principle of Perfect Formation and the Ways of its Realisation, Problems of Asian and African Languages, Lieblice 1990, p. 32-41.

## 1991

26. Перфект в картвельском и индоевропейском, Историческая лингвистика и типология, Сборник, посвященный Т. В. Гамкрелидзе, Москва 1991, стр. 127-134.

## 1994

27. მარკირების მიმართება მორფოლოგიაში, ტიპოლოგიური ძიებანი, 1994, გვ. 10-26.

## 1996

28. სონორები სართო-ქართველური ძირის თავკიდურსა და ბოლოკიდურში, ს.ს. ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრისა და ქართველურ ენათა შემსწავლელი ლაბორატორიის სამეცნიერო სესია, თბილისი, 18-20 დეკემბერი, 1996.

## 1997

29. Towards the Proto-Kartvelian and Proto-Indo-European Genetic Relationship, XVIth International Congress of Linguists, Paris, July 20-25, 1997, p.51.
30. საერთო ქართველური ძირი სტრუქტურული და ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი 1997, 30 გვ.
31. Zur Distribution der Konsonantenzeichen in kartwelischen und indogermanischen Wurzeln, Georgica, Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens, 20, 1997, S. 51-57.

## 1998

32. ზმნურ ფორმათა I, II და III სერიის ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში, ს.ს. ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, 4, 1998, გვ. 127-145.
33. Deutsch, 80 სასაუბრო თემა გერმანულ ენაზე, დამხმარე სახელმძღვანელო მოსწავლეთა და აბიტურიენტთათვის, გამომცემლობა „ცოტნე“, თბილისი 1998, 112 გვ.
34. The Root Structure of the Proto-Kartvelian Language, მოხსენება, წაკითხული ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის შედარებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომაზე 1998 წლის 12 თებერვალს.

## 1999

35. აღდგება თუ არა აქცესიური კომპლექსები საერთო-ქართველურში? ენათმეცნიერებისსაკითხები, 1, 1999, გვ. 54-69.
36. Gereuschlautkomplexe im Gemeinkartwelischen, Georgica, 22, 1999, Universitätsverlag Konstanz, S. 73-82.
37. ბგერწერითილექსიკისათვის ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 3, 1999, გვ. 78-90.
38. ენობრივი ნიშნის საზოგადოებრივი სასიათი ფონოლოგიურ კანონზომიერებათა თვალსაზრისით, ენათმეცნიერების საკითხები, 4, 1999, გვ. 3-16.
39. ბგერწერითი ლექსიკისათვის ქართულში, ქუთაისური საუბრები, VI, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი 1999, გვ. 119.
40. ენობრივი ნიშნის საზოგადოებრივი სასიათი ფონოლოგიურ კანონზომიერებათა თვალსაზრისით, ვლადიმერ ახვლედიანის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სესიის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 21-22 ივნისი, 1999, გვ. 14.
41. ბგერწერითი ლექსიკა საერთო-ქართველურში, აკად. გიორგი წერეთლის დაბადების 95 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 21-23 ოქტომბერი, 1999, გვ. 21.

## 2000

42. კონსონანტური ბგერწერა საერთო-ქართველურში, ფონეტიკა და ნორმა, თბილისი 2000, გვ. 46-53.
43. ფონეტიკური პროცესების ტელეოლოგიური გააზრებისათვის, ტიპოლოგიური ძიებანი, 4, 2000, გვ. 271-281.
44. ქართველურ ენათა ფონოლოგიური ტიპოლოგიისათვის (კონსონანტურობის ინდექსი და ღია/დახურულ მარცვალთა შეფარდების დინამიკა), ენათმეცნიერების საკითხები, 2, 2000, გვ. 49-60.
45. სიბილანტურ შესატყვისობათა მესამე რივი და პირველ და მეორე პირის ნაცვალსახელთა სისტემა ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების საკითხები, 3, 2001, გვ. 40-55.
46. საერთო-ქართველურ კუთვნილებით და პირის ნაცვალსახელთა სისტემა სიბილანტურ შესატყვისობათა თვალსაზრისით, მზია ანდრონიკაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 26-27 დეკემბერი, 2000, გვ. 48.
47. კონსონანტური ბგერწერა საერთო-ქართველურში, სამეცნიერო კონფერენცია „ფონეტიკა და ნორმა“ მიძღვნილი აკად. თამაზ გამყრელიძისადმი, ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2000.
48. ქართველურ ენათა ფონოლოგიური ტიპოლოგიისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის და თსუ ფილიალების ფილოლოგიის ფაკულტეტთა III სამეცნიერო სესია, მასალები, თბილისი-ახალციხე, 13-14 მაისი, 2000, გვ. 52-53.



## 2001

49. საერთო-ქართველური და საერთო-ინდოევროპული ფუძე ენების ურთიერთმომართებისათვის, სამეცნიერო სესია თემაზე: „ქართველი ხალხის ეთნოგენეზისი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი, 29-31 მაისი, 2001.
50. მარცვლის დომინანტური ტიპი და კონსონანტურობის ინდექსი ქართველურ ენათა დიალექტებში, XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ეძღვნება ვ. თოფურიას დაბადების 100 წლისთავს, ბათუმი, 26-27 ოქტომბერი, 2001.
51. სიბილანტურ შესატყვისობათა მესამე რიგი და პირველ და მეორე პირის ნაცვალსახელთა სისტემა ქართველურში, ენათმეცნიერების საკითხები, 3, 2001, გვ. 40-52,
52. Nominative-Active Split Construction in Kartvelian (South Caucasian) Languages, A SKY Symposium “Linguistic Perspectives on Endangered Languages”, August–September, Helsinki, Abstracts, <http://www.ling.helsinki.fi/sky/tapahtumat/el/endabs.htm>.
53. Линейность языкового знака с точки зрения фонологических закономерностей, Вопросы языкознания, 3, 2001, стр. 50-57.

## 2002

54. ენათა კონტაქტების თეორია და ქართველურ-ინდოევროპული გენეტური ურთიერთმომართების საკითხები, კრებული „ქართველი ხალხის ეთნოგენეზი“, გამომცემლობა „მატიანე“, თბილისი 2002, გვ. 40-54.
55. ქართველურ-ინდოევროპული გენეტური ურთიერთმომართების საკითხისათვის, ენათმეცნიერების საკითხები, 1, 2002, გვ. 34-55.
56. ქცევა, როგორც ასპექტურ დაპირისპირებათა გამოხატვის საშუალება ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 4, 2002, გვ. 120-131.

## 2003

57. Über die Evolution des Begriffes “Freiheit” (Was die Worte “Freiheit” und “Tavisupali” erzählen), Die Christengemeinschaft, Stuttgart, 7-8, 2003, S. 394-395.

## 2004

58. ადამიანი თანამედროვეთა სარკეში, ლიტერატურული საქართველო, 19.09. 2003.
59. Christentum in Georgien – Vergangenheit, Gegenwart, Zukunft, Die Christengemeinschaft in Schweiz, 18, 2004, Zuerich, S. 8-12.
60. ბგერითი სიმბოლიზმი გალაკტიონის შემოქმედებაში, აკად. გიორგი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2-4 დეკემბერი, 2004.
61. Kartvelian-Indo-European as a Macrofamily of Languages, Abstracts of XXXVIIth International Congress of Asian and North African Studies, Moscow, August 16-24 2004, p. 115-116.

## 2005

62. ბგერწერისა და სარკისებური ასახვისათვის გალაკტიონთან, ლიტერატურა და სხვა, იანვარი, 2005, გვ. 155-169.
63. პირდაპირი სემანტიკური მარკირება, როგორც ქართველურ ენათა მორფოლოგიის განმსაზღვრელი პრინციპი და პირის ნიშანთა ინვერსიის პრობლემა, ტიპოლოგიური ძიებანი, V, კრებული, მიძღვნილი აკად. თ. გამყრელიძისადმი დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით, თბილისი 2005.
64. სონორი ფონემების განაწილება საერთო-ქართველურ CVC-ტიპის ძირებში, სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, 6, 2005.
65. პირის ნიშანთა ინვერსიის საკითხისათვის ქართულში, ს.ს. ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის ენათმეცნიერებისა და რიტორიკის კათედრის სამეცნიერო სესია, თბილისი, 2 ივნისი, 2005.
66. ფონემათა ფუნქციონალური და პერცეფციული მახასიათებლების ურთიერთ-მიმართებისათვის, პროფ. ზურაბ ჯაფარიძის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა, თბილისი, 17 ოქტომბერი, 2005.
67. ენათა მორფოლოგიური ტიპოლოგიის ფონეტიკური იმპლიკაციები, სამეცნიერო კონფერენცია „ფონეტიკა და ნორმა“, VIII, ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 23 დეკემბერი, 2005.

## 2006

68. ფონემათა ფუნქციონალური და პერცეფციული მახასიათებლების ურთიერთ-მიმართებისათვის, ენათმეცნიერების საკითხები, 1-2, 2006, გვ. 49-58.
69. Direct Semantic Marking in Kartvelian Languages and the Problem of Inversion of Personal Markers, Poznan Linguistic Meeting 2006, Session on Linguistic Typology, 20-22. 04. 2006. Abstracts <http://elex.amu.edu.pl/ifa/plm/>.
70. ქართველური ენები მორფოლოგიური ტიპოლოგიის თვალსაზრისით, გიორგი ახვლედიანისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, 27 აპრილი, 2006.
71. სემანტიკური მარკირება მორფოლოგიაში და ქართული ენის ინვერსიული ზმნები, პროფ. ალექსანდრე ონიანის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 7 ივნისი, 2006.
72. ქართულისა და ზვანურის ფლექსიური ტიპისადმი მიკუთვნების შესახებ, მერი დამენიას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, 9 ივნისი, 2006.
73. Hierarchy of Macroroles in Active, Ergative and Nominative Constructions of Kartvelian Languages, Abstracts of 2006 International Conference on Role and Reference Grammar, Leipzig, Germany, September 28 – October 1, 2006, p.26-27.

## 2007

74. ქართული ზმნური პარადიგმის მესამე სერიის ფორმათა კონსტრუქცია სინტაქსური ტიპოლოგიის თვალსაზრისით, კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბილისი 2007.
75. აქტიური კონსტრუქციის შესახებ ქართულ ენაში (I სერიის კონსტრუქციის ინტერპრეტაციისათვის), აკადემიკოს აკაკი შანიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, თბილისი 2007.
76. ენათა ფონოლოგიური სისტემების ტიპოლოგიური კლასიფიკაციისათვის ინტროვერტიული და ექსტრავერტიული ტიპის ენებად, ენათმეცნიერების საკითხები, 1-2, 2007, გვ. 38-54.
77. დეცესია და აქცესია, როგორც ენათა ტიპოლოგიური შედარების კრიტერიუმი, გიორგი ახვლედიანის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თბილისი, 13 აპრილი, 2007.
78. ქართული ზმნური პარადიგმის III სერიის ფორმათა კონსტრუქცია სინტაქსური ტიპოლოგიის თვალსაზრისით, კავკასიოლოგთა I საერთაშორისო კონგრესი, თბილისი 2007.
79. აქტიური კონსტრუქციის შესახებ ქართულ ენაში (I სერიის კონსტრუქციის ინტერპრეტაციისათვის), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის I სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკაკი შანიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი, თბილისი, 25-27 ივნისი, 2007.
80. About the Correlation between the Functional and Perceptual Characteristics of Phonemes, 38. ICANAS, 10-15. 09. 2007, Abstracts, Ankara 2007.
81. The Opposition Active/Inactive in Georgian Morphology, Seventh International Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation, Tbilisi, 2-6 October, 2007.
82. აქტანტების აქტიურობის იერარქია და პირის ნიშანთა განაწილება ქართულ ენაში, გივი მაჭავარიანის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სესია, თსუ, თბილისი, 3 დეკემბერი, 2007.
83. Towards the Definition of Dominant Morphological Type of Georgian and Svan, Conference on the Languages of Caucasus, 7-9 December 2007, Max Plank Institute of Evolutionary Anthropology, Leipzig.

## 2008

84. მისი ცხოვრების გზას სიძნელეები არ აკლდა, თბილისის უნივერსიტეტი, 16.05.2008 (თანაავტორები ი. ქობალავა და გ. ცოცანიძე).
85. Georgian as an Active/Ergative Split Language, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 2, no. 2, 2008, pp. 138-147.
86. სისინ-შიშინა ბგერათა ტიპოლოგია და ქართველურ ენათა სიბილანტურ შესატყვისობათა მეორე რიგისთვის შიშინა ფონემების რეკონსტრუქციის შესახებ, კრებული, მიძღვნილი გურამ კარტოზიასადმი, თბილისი, 2008.

87. ენათა ტიპოლოგია ძირის სტრუქტურის თვალსაზრისით, ენათმეცნიერების საკითხები, I, 2008.
88. „თავისუფლების“ ცნების ეტიმოლოგიური დიპაზონი. სოციალურიდან ინდივიდუალურამდე, ენათმეცნიერების საკითხები, II, 2008.
89. ფრანც ბოპი, ქართული ენა, ენციკლოპედია, თბილისი 2008, გვ. 90-91.
90. ნომინატიური წყობა, ქართული ენა, ენციკლოპედია, თბილისი 2008, გვ. 346-347.
91. ობიექტი, ქართული ენა, ენციკლოპედია, თბილისი 2008, გვ. 349.
92. გალაკტიონის ბგერწერა, ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი კრებული: ლექსთ-მცოდნეობა, I, 2008, გვ. 112-126.
93. ქართველურ ენათა სიბილანტური შესატყვისობების ინტერპრეტაციისათვის, გიორგი ახვლედიანის დაბადებიდან 121 წლისთავისადმი მიძღვნილი სესია, თბილისი, 16 აპრილი, 2008.
94. გალაკტიონის ბგერწერა, ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის მეორე სამეცნიერო სესია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 28 მაისი, 2008.
95. „თავისუფლების“ ცნების სახელდების პრინციპები განსხვავებულ ეპოქებსა და ენობრივ წრეებში, გურამ რამიშვილის 75 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თსუ, თბილისი, 9 ივნისი, 2008 წელი.
96. Functional Hierarchy of Macroroles in Active, Ergative and Nominative Constructions, 13<sup>th</sup> International Conference on Functional Grammar, University of Westminster, London, Great Britain, 3-6 September, 2008,.
97. ინდოევროპულ-ქართველური ლექსიკური შეხვედრები გიორგი მელიქიშვილის ნაშრომებში, აკად. გიორგი მელიქიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია, თსუ, თბილისი, 22 დეკემბერი, 2008.

## 2009

98. ძირის სტრუქტურათა ტიპოლოგია და საერთო-ქართველური ძირი, „უნივერსალი“, თბილისი 2009, 203 გვ.
99. ინდოევროპულ-ქართველური ლექსიკური შეხვედრები გიორგი მელიქიშვილის შრომებში, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XIII, ეძღვნება გიორგი მელიქიშვილის ხსოვნას, თბილისი 2009, გვ. 164-177.
100. ვნებითი გვარი და თავისუფალი სიტყვათა რიგი, როგორც აქტანტების ტოპიკალიზაციის ალტერნატივები, კრებული: ინფორმაციის სტრუქტურირება, თსუ, თბილისი 2009.
101. /ჟ/ ფონემის რეკონსტრუქცია და საერთო-ქართველურ სიბილანტურ შესატყვისობები, ენათმეცნიერების საკითხები, 1-2, 2009.
102. რეცენზია წიგნზე: Kartwelsprachen: Altgeorgisch, Neugeorgisch, Mingrelisch, Lazisch, Swanisch, Hg. Heinz Fähnrich, Wiesbaden, 2008, Reichert Verlag, ენათმეცნიერების საკითხები, 1-2, 2009.

103. პალინდრომი გალაქტიონთან, ლექსთმცოდნეობა, II, კრებული, მიძღვნილი ლადო ასათიანისადმი, თბილისი 2009.
104. სისინ-შიშინა ბგერათა ტიპოლოგია და ქართველურ ენათა სიბილანტური ბგერათშესატყვისობები, კრებული: გურამ კარტოზია 75, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი 2009.
105. Das Wortfeld „Freiheit“ in verschiedenen Sprachkreisen, Achtes sprachwissenschaftliches Kolloquium, Dornach, Schweiz, 6-8 März, 2009.
106. ვნებითი გვარი და თავისუფალი სიტყვათა რიგი, როგორც აქტანტების „ფოკუსირების“ ალტერნატივები, კონფერენცია „ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში“, თბილისი, 30 მარტი, 2009.
107. /ჟ/ ფონემის რეკონსტრუქციისათვის საერთო-ქართველურში, ვლადიმერ ახვლედიანის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი, 27 მარტი, 2009.

## 2010

108. ფსალმუნნი, ძველი ქართული და თანამედროვე ქართულ ენაზე ადაპტირებული პარალელური ტექსტები, ძველი ქართული ტექსტის ადაპტაცია თანამედროვე ქართულზე შესრულებულია ი. მელიქიშვილის მიერ, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი 2010.
109. რეცენზია: პირველი ქართული საენათმეცნიერო ლექსიკონი (ქართული ენა: ენციკლოპედია, 2008), წახნაგი, ფილოლოგიურ კვლევათა წელიწადეული, 2, თბილისი 2010.
110. ფლექსიურობის (ფუზიურობის) შესახებ ქართველურ ენებში (ქართულისა და სვანურის ფლექსიური ხასიათის შესახებ), ენათმეცნიერების საკითხები, I-II, 2010, გვ. 84-105.

## 2011

110. Das Wortfeld „Freiheit“ in verschiedenen Sprachkreisen. Die Entwicklung vom sozialen zum individuellen Begriff, Rundbrief der Sektion für schöne Wissenschaften, Nr. 7, Winter-Frühjahr 2010-2011, Goetheanum.
111. Fernverwandschaft zwischen dem Urindogermanischen und Urkartwelischen, Elftes Sprachwissenschaftliches Kolloquium, 8-12 März, 2011, Dornach, Schweiz.
112. გლოტალიზაციის ნიშანი ქართველურ ენებში აკუსტიკური და ფუნქციონალური თვალსაზრისით (თანაავტორები: ნ. გამყრელიძე, ი. ლეჟავა, ლ. ლორთქიფანიძე, ქ. მარგანი, ი. ქობალავა), „უნივერსალი“, თბილისი 2011, 289 გვ.
113. სემანტიკური მარკირება მორფოლოგიაში და აქტიურობა-არააქტიურობის კატეგორია ქართველურ ენებში, ლინგვოკულტუროლოგიური ძიებები, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი 2011, გვ. 325-334.
114. Zur Konservierung der vorlogischen Stufe des Denkens in der Morphosyntax des Georgischen, Zehntes Sprachwissenschaftliches Kolloquium, 4-6 März, 2011, Dornach, Schweiz.

115. ერგატიული კონსტრუქციის მეორეულობის შესახებ ქართველურ ენებში, გიორგი ახვლედიანის 124-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 18 აპრილი, 2011.
116. გლოტალიზებული ფონემები (ეიექტივები) ქართველურ ენებში (თანავტორები: ნ. გამყრელიძე, ი. ლეჟავა, ლ. ლორთქიფანიძე, ქ. მარგიანი, ი. ქობალავა), ენათმეცნიერების საკითხები, თსუ გამომცემლობა, თბილისი 2011, გვ. 177-196.

## 2012

117. Morphological Typology of Kartvelian Languages, Third Regional Conference of Central European Studies Society (CESS), Tbilisi, 20-21 July, 2012.
118. ფსალმუნნი, პარალელური ტექსტები, ძველი ქართული ტექსტის თარგმნა-ადაპტაცია თანამედროვე ქართულ ენაზე, საქართველოს საპატრიარქოსა და ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტის გამოცემა, 2012, 416 გვ.
119. ფლექსია და აგლუტინაცია ქართველურ ენებში, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ყოველწლიური სესია, მიძღვნილი გიორგი ახვლედიანის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი, თბილისი, 25 ივნისი, 2012.

## 2013

120. ერგატიული კონსტრუქციის მეორეულობის შესახებ ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების საკითხები, თსუ გამომცემლობა, 2013. გვ. 216-239.

### სარედაქციო საქმიანობა

1. თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თსუ გამომცემლობა, თბილისი 2003; მეორე გამოცემა 2008.
2. S. Sarjveladse und H. Fähnrich, Altgeorgisch-Deutsches Wörterbuch, unter Mitwirkung von Irine Melikischwili und Sophio Sardschweladse, Brill Academic Publishers, Leiden 2005.
3. ნ. ბარნოვი, თანხმოვანთა დისტრიბუციისა და ფუძის აგებულების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზის პრინციპები (დალესტნური ენების მასალაზე), თბილისი 2005.
4. ნ. გამყრელიძე, შ. კოტეტიშვილი, ი. ლეჟავა, ლ. ლორთქიფანიძე, ლ. ჯავახიძე, ქართული ნორმატიული და დიალექტური მეტყველების ფონეტიკური ანალიზი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი 2006.
5. გ. შაბაშვილი, პერფექტის კატეგორიის ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები, თბილისი 2009.
6. 2006-2013 წლებში საენათმეცნიერო ჟურნალი „ენათმეცნიერების საკითხების“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.

## წინათქმა

მე და ირინე (ლულუ) მელიქიშვილს არა მარტო გვარი გვაახლოებდა: ქალბატონი ელენე ღოჩანაშვილი, ლულუს დედა, ჩემი სათაყვანებელი მასწავლებელი იყო – დიდი სიყვარულითა და მონატრებით მახსენდება ის წყნარი და მშვიდი გარემო, მის ლექცია-სემინარებზე რომ სუფევდა: სახარების ძველქართულ და ძველსომხურ ტექსტებს გვაკითხებდა და ასე შეეყავით შორეულ და იღუმალ წარსულში, როდესაც იქმნებოდა ბიბლიის პირველი თარგმანები ქართულ და სომხურ ენებზე; ლულუს მეუღლე, ჩვენგან ასე ადრე წასული, ზურა სარჯველაძე და მე თანაკურსელები ვიყავით, ერთად გავატარეთ ჩვენი საუკეთესო სტუდენტური და ასპირანტურის წლები ჩვენს უნივერსიტეტში; ლულუს და – ნინო და შვილი – სოფიკო ჩემი სხვადასხვა თაობის სტუდენტები იყვნენ...

საერთო იყო ჩვენი პროფესიული და მეცნიერული ინტერესები: მიუხედავად განსხვავებული თვალსაზრისებისა (და შეიძლება სწორედ ამიტომაც), ლულუსთან უადრესად საინტერესო იყო სადავო საკითხებზე მსჯელობა და კამათი. გასაოცარი იყო მისი ღრმა განსწავლულობა ძველ და ახალ ლინგვისტურ მოძღვრებებში, მისი ერუდიცია, მტკიცე და ნათლად არგუმენტირებული ლოგიკური აზროვნება. თეორიული საფუძვლებით გამყარებული მისი პრაქტიკული კვლევები მარკირების მიმართების საკითხებზე, როგორც ფონოლოგიის, ასევე მორფოლოგიის სფეროში, სანიშნოდ ენათმეცნიერული გამოკვლევებია. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მისი ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი – „სემანტიკური მარკირება მორფოლოგიაში და აქტიურობა-არააქტიურობის კატეგორია ქართველურ ენებში“. ამ ნაშრომში, რომელიც 2011 წელს დაიბეჭდა ბათუმის უნივერსიტეტის კრებულში „ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი“, ირინე მელიქიშვილის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად წარმოდგენილი სურათი აქტიურობა-ინაქტიურობის კატეგორიის მიხედვით პირის ნიშანთა განაწილებისა ადეკვატურად ასახავს ქართული „წინადადების ბირთვის“ აქტანტების ზმნასთან სემანტიკური მიმართება-მარკირების წესს ისე, რომ არ არის აღრეული გრამატიკულ პრინციპში. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ენათმეცნიერულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ლოგიკისა და გრამატიკის კვლევის სფეროების აღრევის დაძლევისაკენ. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტები განსაკუთრებული ინტერესით ეცნობიან ამ სტატისას, რომელიც მათ ფიქრისა და განსჯისკენ განაწყოებს. ამიტომ გადაწყდა მის გამოქვეყნება ირინე მელიქიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჟურნალის წინამდებარე ნომერში.

*დამანა მელიქიშვილი*

**სემანტიკური მარკირება მორფოლოგიაში  
და აქტიურობა-ინაქტიურობის  
კატეგორია ქართულურ ენებში**

ქართველურ ენებში გრამატიკული მიმართებების გამომხატველი ძირითადი ბრუნვები – სახელობითი, მიცემითი, მოთხრობითი და მათთან შეთანხმებული პირის ნიშნები გამონათქვამის ძირითად აქტანტურ სტრუქტურას ასახავენ. უკანასკნელი დროის გამოკვლევებმა ნათელი გახადეს, რომ სუბიექტისა და ობიექტების სინტაქსურ-ლოგიკური დაპირისპირება არ არის ერთადერთი აღსანიშნი, რომლის გამოხატვაც არის ძირითად მორფოლოგიურ მარკერთა (ბრუნვისა და პირის ნიშანთა) ამოცანა. ნათელი გახდა, რომ სუბიექტი არ არის უნივერსალური კატეგორია. ენებს შესაძლებელია სხვა განმსაზღვრელი ორიენტირები ჰქონდეთ გამონათქვამის სტრუქტურის აგებისას.

ეს ნათლად ჩანს ერგატიული კონსტრუქციის მქონე ენების მაგალითზე. ამ ენებისათვის სრულიად უცხოა ისეთი სუბიექტ/ობიექტური მიმართებები, როგორიც აქვთ ნომინატიური კონსტრუქციის ენებს, რამდენადაც აქ ერთნაირად გამოიხატება გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (S) და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი (O) და განსხვავებულად – გარდამავალი ზმნის სუბიექტი (A). ერგატიული კონსტრუქციის ამგვარი განსაზღვრა აშკარად სხვა ტიპის ენათათვის დამახასიათებელ ცნებათა გადმოტანას წარმოადგენს და არა მოცემული სისტემის შინაგანი ანალიზის საფუძველზე მიღებული ცნებებითა და ტერმინებით ჩამოყალიბებულ დეფინიციას. აშკარაა, რომ ერგატიული კონსტრუქციის ორი ძირითადი აქტანტა უნდა განისაზღვროს არა სუბიექტურ/ობიექტურ მიმართებათა საფუძველზე, არამედ სხვა კრიტერიუმში უნდა მოიძებნოს, რომელიც ნათელს გახდის, თუ რა აქვთ საერთო გარდაუვალი ზმნის სუბიექტსა და გარდამავალი ზმნის პირდაპირ ობიექტს და რა განასხვავებს მათ გარდამავალი ზმნის სუბიექტისგან. ეს გაერთიანება არამარკირებული კატეგორიის ყველა ნიშანს ატარებს – სახელური მარკირების შემთხვევაში აბსოლუტური ბრუნვით ფორმდება, ხოლო ზმნაში მას აღნიშნავს ან პირის ნიშანთა არამარკირებული სერია, ან მის აღმნიშვნელ პირის ნიშნებს არამარკირებული პოზიცია უჭირავთ ზმნის სტრუქტურაში. რა ნიშნით არის აქტანტების ეს ნაერთი არამარკირებული? მათი გაერთიანების სემანტიკური საფუძვლის პოვნა ჭირს. ვფიქრობთ, რომ ერგატიული კონსტრუქციის ენისათვის მორფოლოგიური მარკირების საფუძველია ზმნური ფრაზის უშუალო შემადგენლური სტრუქტურა. ზმნური ფრაზის სტრუქტურაში ზმნასთან პირველი ნაბიჯის სიახლოვე გარდაუვალ ზმნაში აქვს სუბიექტს, ხოლო გარდამავალ ზმნაში – პირდაპირ ობიექტს. ეს ახლოს არის იმასთან, რასაც რ. ასათიანი ვ. გაკზე დაყრდნობით „სემანტიკურ ორიენტაციას“ თუ „სემანტიკურ შეთან-



ხმებას“ უწოდებს (ასათიანი 1994:20, გაკი 1972). ვფიქრობთ, რომ ეს კონსტრუქცია ფრაზის უშუალო შემადგენლური სტრუქტურით განისაზღვრება. ერგატიული კონსტრუქციის ენისათვის მორფოლოგიური აღნიშვნის თვალსაზრისით არამარკირებულა უშუალო შემადგენლური სტრუქტურით ზმნასთან ყველაზე ახლოს მდგომი ერთეული. გარდაუვალი ზმნისათვის ეს არის მოქმედი, ხოლო გარდამავალი ზმნისათვის – სამოქმედო საგანი. ამრიგად, ერგატიული კონსტრუქცია ენაში ფრაზის კონცეპტუალური გააზრება და აქტანტების მორფოლოგიური მარკირება ძირეულად განსხვავდება ფრაზის გააზრებისა და მარკირებისაგან ნომინატიური კონსტრუქციის ენებში. ერგატიულ კონსტრუქციაში გათვალისწინებულია ზმნის შინაგანი იერარქიული სტრუქტურა – ის, თუ რა არის უფრო არსებითი და განმსაზღვრელი, აუცილებელი წევრი ზმნური სემანტიკისთვის, რის გარეშეც ის საკუთარ შინაარსს დაკარგავს, და რა არის ამ სემანტიკური სტრუქტურისათვის მეორეხარისხოვანი, რომლის უგულებელყოფაც დასაშვებები შეიძლება იყოს. ამდენად, ერგატიული კონსტრუქცია ორიენტირებულია ზმნური სემანტიკის შინაგან იერარქიულ სტრუქტურაზე. ამ სისტემაში აქტანტების მორფოლოგიური მარკირებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოქმედია აქტანტა თუ უმოქმედო. განმსაზღვრელია მისი რანგი ზმნის შინაგან სემანტიკურ სტრუქტურაში. მარკირების მიმართება, რომელიც სწორედ ენის შინაგან იერარქიულ სტრუქტურას ასახავს, გვეხმარება ლოგიკურ/სინტაქსური პრინციპისაგან განსხვავებული ენობრივი მსოფლმხედველობის გაგებაში.

ნომინატიური კონსტრუქცია კი სწორედ სუბიექტ/ობიექტურ ლოგიკურ და სინტაქსურ მიმართებათა მარკირებას ახდენს სახელსა და ზმნაში. ასე რომ, არ არის აუცილებელი, რომ სუბიექტ/ობიექტური მიმართებები აისახებოდეს მორფოლოგიაში.

აქტანტთა თავისებური გააზრება გვაქვს აქტიური კონსტრუქციის ენებში: ამ კონსტრუქციის მაკროლოგია გამონათქვამის აქტიური და არააქტიური მონაწილე: ამ ტიპის ენებში ერთნაირი არამარკირებული აღნიშვნა აქვთ გარდამავალ (A) და გარდაუვალ აქტიურ მოქმედ პირს (S) და ირიბი მარკირება აქვთ იმ აქტანტებს, რომლებიც გამონათქვამის არააქტიურ წევრებს წარმოადგენენ (O<sub>d</sub>, O<sub>ind</sub>). ამრიგად, გვაქვს სამი სხვადასხვა კონცეპტუალური პრინციპით აგებული სამი სახის კონსტრუქცია: აქტიური, ერგატიული, ნომინატიური. ქართველური ენები აქტანტთა მორფოლოგიური მარკირების თვალსაზრისით მრავალ საინტერესო ასპექტს ავლენენ და ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, მორფოლოგიური მარკირების რომელ გზას ირჩევენ ისინი.

დიდი ზანია, ყურადღებას იპყრობს ის მოვლენები, რომლებიც ქართველურ ენებში პირის ნიშანთა გამოყენებასთან არის დაკავშირებული. ქართველურ ენათა პირის ნიშანთა ორი რიგი, ჩვეულებრივ, სუბიექტისა და ობიექტის აღმნიშვნელად მიიჩნევა. მაგრამ მკვლევრები იძულებულნი არიან, დააფიქსირონ მრავალი შემთხვევა, როდესაც „ობიექტური პირის ნიშნები“ სინტაქსურ სუბიექტს გამოხატავენ. პირის ნიშანთა ორი რიგიდან ვ-ს რიგი კვალიფიცირდება სუბიექტური,

ხოლო მ-ს რიგი – ობიექტური პირის ნიშნებად (შანიძე 1973:173-185). მაგრამ, მ-ს რიგის პირის ნიშნები ქვემდებარეს აღნიშნავენ გრძნობა-აღქმის (მიყვარს, მძულს, მომწონს, მესმის...), მენტალური პროცესების (მწამს, მგონია, მასსოვს, მაიწყვდება, მეჩვენება...), უნებლიე მოქმედების (ჩამეყლაპა, გადამცდა...) და ფლობის სემანტიკის (მაქვს, მყავს, გამაჩნია...) გამომხატველ ზმნებთან და უღვლილების პარადიგმის შედეგობითი ასპექტის (მესამე სერიის) ფორმებთან (დამიწერია, გამიკეთებია...).

ქართველური მორფოლოგიის რთული სინამდვილის აღწერა, ვფიქრობთ, უნდა დავამყაროთ მისი ტიპის სწორ განსაზღვრას. მას არ უნდა წავეუყენოთ მოთხოვნები, რომლებიც სხვა მორფოლოგიურ ტიპს შეესაბამება. მორფოლოგიური მარკირების ტიპოლოგიამ უნდა გაგვცეს პასუხი კითხვაზე: რაზე არის ორიენტირებული მორფოლოგიური მარკირება – ა) სუბიექტ/ობიექტის სინტაქსურ-ლოგიკურ თუ პრაგმატულ მიმართებებზე, ბ) ზმნასთან დაკავშირებული აქტანტების სემანტიკურ ბუნებაზე თუ გ) ზმნური ფრაზის უშუალო შემადგენელ სტრუქტურაზე? ჩვენი აზრით, ქართული მორფოლოგია აშკარად სემანტიკურად არის ორიენტირებული, თუმცა, ქართული გრამატიკისთვის უცხო არ არის სუბიექტისა და ობიექტის ცნებებიც. ამიტომ, აუცილებლად გვესახება ამ ორი პრინციპის გამიჯვნა და თითოეულის რეალიზაციის სფეროების განსაზღვრა.

თანამედროვე ლინგვისტიკაში უკვე დამკვიდრებულად შეიძლება ჩაითვალოს ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია სინტაქსური მარკირებისა და სემანტიკური მარკირების ენებად. სინტაქსურად ორიენტირებულ ენაში სუბიექტი ერთგვარად არის მარკირებული, მიუხედავად იმისა, საკუთარი ნებითა და ინიციატივით მოქმედებს იგი, თუ მისი მოქმედება უნებურია, საკუთარ კონტროლს არ ექვემდებარება. სინტაქსური მარკირების ტიპური ენაა ინგლისური. ჯერ კიდევ ჩ. ფილმორი მიუთითებდა, რომ სუბიექტის უნიფიკაციის პროცესი ამ ენაში სრულად არის განხორციელებული (ფილმორი 1968). რ. დიქსონი მიჯნავს ენებს, რომლებიც მკვეთრად ასხვავებენ საკუთარი ნებითა და კონტროლით განხორციელებულ მოქმედებას უნებლიე, არაკონტროლირებული მოქმედებისაგან, ისეთი ენებისაგან, სადაც გრამატიკული მარკირებისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას ქვემდებარე საკუთარი ნებითა და კონტროლით ახორციელებს მოქმედებას, თუ არა. იგი ასხვავებს: ა) სინტაქსურ (პროტოტიპურ) მარკირებას და ბ) სემანტიკურ (პირდაპირ) მარკირებას. თუ ქვემდებარე საკუთარი ნებითა და განზრახვით არ მოქმედებს, მაშინ მას სემანტიკური მარკირების ენებში აგენსური მარკერი არა აქვს (დიქსონი 1999:26). სინტაქსური მარკირების ენებში კი ქვემდებარე ერთგვარ მორფოლოგიურ გაფორმებას იღებს, მიუხედავად ამისა, სემანტიკურად აგენსია (აქტიური, ინიციატორი, მოქმედების მაკონტროლებელია) იგი თუ მოქმედების განმცდელი, უნებლიე ჩამდენი, მოქმედების შედეგთან დაკავშირებული პირი. ამ ენებში სემანტიკური მრავალფეროვნება ნიველირებულია სინტაქსურ/ლოგიკური როლის სასარგებლოდ. ხოლო, სემანტიკურ მარკირების ენებში განსხვავებულ გაფორმებას იღებენ აგენსური და არააგენსური პირები. მორფოლოგია აქ ასახავს

არა სინტაქსურ/ლოგიკურ როლებს, არამედ აქტანტების სემანტიკურ ხასიათს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ უნებლიე მოქმედების გამომხატველი ფორმები ქართულსა და ინგლისურში: ჩავყლაპე (ასეც მქონდა განზრახული) და ჩამეყლაპა (შემთხვევით, უნებლიედ), დავწვი (ცნობიერად) და დამეწვა (უნებურად, შემთხვევით), ვახველებ და მახველებს – ინგლისური თარგმანი ამ წყვილებისათვის იქნება: I swallowed, burnt, coughed.

აქტანტების სემანტიკურ მარკირებას შესაძლებელია პირდაპირი უშუალო მარკირება ვუწოდოთ. აქ სემანტიკური ვითარება უშუალოდ არის ასახული მორფოლოგიის მეშვეობით. სინტაქსური მარკირების დროს ხდება სემანტიკური მრავალფეროვნების უნიფიცირება. აქტანტთაგან აგენსი ყველაზე ხშირად გვეკლინება სუბიექტის როლში, შესაბამისად, ამ პროტოტიპური წევრის სასარგებლოდ ხდება უნიფიკაცია და აგენსის მარკერი სუბიექტის მარკერი ხდება. მორფოლოგიის სემანტიკური ორიენტაციიდან სინტაქსურზე გადასვლა პროტოტიპური ანუ არამარკირებული ფუნქციის გამოსატვის უნიფიკაციას წარმოადგენს. ამიტომ, შეიძლება სემანტიკურ მარკირებას ვუწოდოთ პირდაპირი (ე.ი. სემანტიკური ვითარების პირდაპირ, უშუალოდ გადმოცემი), ხოლო სინტაქსურ მარკირებას პროტოტიპური (პროტოტიპური აგენსის მიმართ უნიფიცირებული).

ისევე როგორც ყველა მაკროტიპოლოგიური მახასიათებელი, ეს მახასიათებელიც აბსოლუტური ხასიათის ტიპოლოგიას არ იძლევა (შდრ.: დომინანტურად ღია მარცვლის ენებში გვაქვს დახურული მარცვლები და პირიქით, დომინანტურად ღია მარცვლის მქონე ენებში შეიძლება გვქონდეს დახურული მარცვლები; დომინანტურად აგლუტინაციურ ენებში გვაქვს ფლექსიური კონსტრუქციები და პირიქით...). სინტაქსური მარკირების ენებში გვხვდება ქვემდებარის სემანტიკური მარკირების შემთხვევები (მაგალითად, რუსულში: мне нравится, мне холодно; გერმანულში: mir gefällt). ხოლო დომინანტურად სემანტიკური მარკირების ენაშიც შესაძლებელია დასტურდებოდეს სუბიექტ/ობიექტურ მიმართებათა მორფოლოგიური მარკირება. ამრიგად, საქმე ეხება ძირითადი ტენდენციის განსაზღვრას.

ქართული და სხვა ქართველური ენები მორფოლოგიური მარკირებისას ძლიერ სემანტიკურ მოტივაციას ავლენენ. ბრუნვის ნიშნებისა და პირის ნიშნების ორი რიგის მეშვეობით, აქ ძირითადი აქტანტური როლების მარკირება ხორციელდება. გამოვყოთ ქართველური მორფოლოგიისათვის ღირებული აქტანტური როლები. აქტანტური როლების გამოყოფა სემანტიკური კონტინუუმის დანაწევრებას წარმოადგენს, ამიტომ, ეს პროცედურა რამდენადმე პირობითია და შესაძლებელია როგორც უფრო დიფერენცირებული, ისე ნაკლებად დანაწევრებული ჩამონათვალის წარმოდგენა. მორფოლოგიურ აღნიშვნასთან შეთანადება კი უკვე გრამატიზირებულ აქტანტებს წარმოგვიდგენს და მათ გამოყოფას ობიექტური საფუძველი აქვს. მორფოლოგიური შეთანადების გზით ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ მაკროროლები და დავინახოთ, რა მორფოსემანტიკური კატეგორიებია განმსაზღვრელი ენაში. შესაძლებელია, შემდეგი აქტანტური როლების გამოყოფა, რომელთაც ღირებულება აქვთ ქართველურ ენათათვის:

აგენსი – საკუთარი ნებითა და ინიციატივით მოქმედი, მოქმედების მაკონტროლებელი პირი, რომელიც სხვა საგნებზე მოქმედებს: ის კერავს, ყიდის...

ეფექტორი – მოქმედების ან პროცესის გამომწვევი: ხმა მესმის, მეგობარი უყვარს...

პაციენსი – სამოქმედო გარდაქმნადი საგანი: კაბას კერავს, შეშას ჩეხავს...

თემა – არაგარდაქმნადი სამოქმედო ობიექტი: მათემატიკას სწავლობს, სახლს ყიდის...

ეგზეკუტორი – მოქმედების შემსრულებელი: მუშას აშენებინებს...

ექსპირიენსერი – ზემოქმედების თუ პროცესის განმცდელი, აღმქმელი: მას ესმის, მოსწონს...

ადრესატი – მიმღები: მას აძლევს...

ბენეფაქტორი – პირი, რომლის სასარგებლოდაც ხდება მოქმედება: მას უკერავს...

პოსესორი – მფლობელი: მას აქვს...

შევუთანადოთ აქტანტურ როლებს მათი მორფოლოგიური აღნიშვნა: აგენსს (საკუთარი ნებით მოქმედს) და ეფექტორს (პროცესის გამომწვევეს) ვ-ს რიგის პირის ნიშნები შეესაბამება პირველი და მეორე სერიის ზმნათა ფორმებში, ხოლო ყველა სხვა აქტანტას (პაციენსი, თემა, ეგზეკუტორი, ადრესატი, ბენეფაქტორი, ექსპირიენსერი და პოსესორი) – მ-ს რიგის პირის ნიშნები.

პირის ნიშნებით მარკირება ორ მაკროროლს გვაძლევს: ერთი აერთიანებს აგენსს და ეფექტორს, მეორე კი ყველა დანარჩენ აქტანტას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველ მაკროროლს შესაძლებელია ვუწოდოთ **კაუზატორი**, ხოლო მეორეს – **რეციპიენტი**. ამ ორი მაკროროლის დაპირისპირება შეეკვიდრება გავიაზროთ როგორც აქტიური და არააქტიური აქტანტების ოპოზიცია. თუ ამ მაკროროლებს ბრუნვით გამოხატავს შევუთანადებთ, დავინახავთ, რომ სრული თანხვედრა გვექნება **პირველ სერიაში** არსებულ აღნიშვნასთან: ვ-ს რიგს შეესაბამება სახელობითი ბრუნვა, ხოლო მ-ს რიგს – მიცემითი. პირველი სერია არ იცნობს არც გარდაუვალი და გარდამავალი ქვემდებარის გარჩევას და არც პირდაპირი და ირიბი ობიექტის გარჩევას. პირველის სერია განარჩევს მხოლოდ სიტუაციის აქტიურ და არააქტიურ მონაწილეს. პირველ სერიაში მხოლოდ უსრული ასპექტის ფორმებია გაერთიანებული. უსრული ასპექტი არამარკირებულია სრულ ასპექტთან მიმართებით. იგი სხვა სერიებზე გაცილებით უფრო დიფერენცირებულია, მწკრივთა მეტ რაოდენობას შეიცავს, მიმღებურ წარმოებათა საფუძველია და თუ ზმნა მწკრივნაკლია, მას აქვს პირველი სერიის მწკრივთა ფორმები და აკლია სრული ასპექტის ფორმები; ყველა ეს ნიშანი მიუთითებს პირველი სერიის არამარკირებულობაზე მეორე და მესამე სერიებთან მიმართებით. საინტერესოა, რომ სწორედ ფორმათა პირველი სერია გვიჩვენებს კონსტრუქციას, რომელსაც **აქტიური** შეიძლება ვუწოდოთ. ფორმათა ეს ჯგუფი განარჩევს მხოლოდ აქტიურ და არააქტიურ აქტანტებს. ყველა სხვა შინაარსები აქ მორფოლოგიურად აღუნიშნელი რჩება. ტიპოლოგიურად ეს ვითარება ძალზე ახლოს არის იმ აქტიურ განაწილებას-

თან, რომელსაც თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი აღადგენენ საერთო ინდო-ევროპული სათავის (გამყრელიძე, ივანოვი 1984:267-288).

გარდამავალი და გარდაუვალი ქვემდებარის გარჩევა და პაციენსის განსხვავებული მარკირება ხდება მეორე სერიაში – სრული ასპექტის ფორმებში – ბრუნვითი გაფორმების მეშვეობით. აგენსის არამარკირებული ზოგადი კატეგორიდან, რომელიც სახელობითი ფორმდებოდა, პირველ სერიაში გამოიყოფა მოთხრობითი მარკირებული წევრი, ხოლო არააქტიური წევრიდან, რომელიც მიცემითი იყო მარკირებული, გამოიყოფა სახელობითი მარკირებული წევრი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქტიური კონსტრუქცია ერგატიულ კონსტრუქციად გარდაიქმნება. თუმცა ზმნური პირის ნიშნები აქტიურობა-არააქტიურობის ნიშნით დაპირისპირებულ აქტანტებს განარჩევენ მეორე სერიაშიც. მეორე სერიაში ჩვენ გვაქვს მხოლოდ სახელურად მარკირებული ერგატიული კონსტრუქცია. ზმნური მარკირება კი, როგორც ითქვა, იმეორებს პირველი სერიის აქტიური კონსტრუქციის პრინციპს.

ქართველურ ენათა პირის ნიშნათა ორი რიგი აქტიურ და არააქტიურ პირთა დაპირისპირებას გამოხატავს. მ-ს რიგის პირის ნიშნები აერთიანებენ სიტუაციის არააქტიურ წევრებს. ეს არის აქტანტები, რომლებსაც ჩვეულებრივ ირიბი ობიექტის კლასიფიკაცია ეძლევათ – ადრესატი, ბენეფაქტორი და ეგზეკუტორი:

ნიკომ ვანოს ვაშლი მისცა.

ნიკომ ვანოს სახლი აუშენა.

ნიკომ ვანოს სახლი ააშენებინა.

ასეთივე მარკირება აქვს ექპირიენსერს (განმცდელს და აღმქმელს):

ვანოს მოსწონს ნინო.

ვანოს ესმის მუსიკა.

ვანოს სწამს ღმერთი.

და პოსესორს (მფლობელს):

ვანოს აქვს ბინა.

ვანოს ჰყავს ძმა.

განმცდელისა და მფლობელის მიცემითი ბრუნვითა და მ-ს რიგის პირის ნიშნებით აღნიშვნა პირდაპირი სემანტიკური მარკირების ნიშნულს წარმოადგენს. რადგან განმცდელიცა და მფლობელიც, მიუხედავად იმისა, რომ წინადადებაში ქვემდებარის ფუნქციას ასრულებენ, არააქტიურ აქტანტებს წარმოადგენენ. ამ ნიშნით ისინი უთანაბრდებიან მიცემითი ბრუნვითა და მ-ს რიგის პირის ნიშნებით გაფორმებულ სხვა აქტანტებს. ენა მორფოლოგიური აღნიშვნის დონეზე არავითარ განსხვავებას არ ამყარებს ქვემდებარის ფუნქციის მქონე არააქტიურ პირსა და სხვა არააქტიურ აქტანტებს (ადრესატს, ბენეფაქტორს) შორის, რომლებიც ირიბი მიმართების პირებს წარმოადგენენ.

მ-ს რიგის პირის ნიშანთა საპირისპიროდ, ვ-ს რიგი არამარკირებულია. როგორც ვნახეთ, პირველ სერიაში იგი სახელობითს ეთანადება, მისი ფუნქციონირების არე ფართოა, რადგან როგორც არამარკირებული წევრი, იგი აერთიანებს ყველა არასპეციფიზირებულ აქტანტურ ფუნქციას. იგი აღნიშნავს არა მარტო აგენსს, არამედ სტატიკურ ზმნათა ძირითად აქტანტას და ვნებითი გვარის ზმნათა სუბიექტსაც. ინაქტიური კატეგორიის გამოყოფის შემდეგ მის სფეროში რჩება ოპოზიციის გვაროვნული, ზოგადი ფუნქცია, ხოლო, ძირითადი მის ფუნქციათა შორის მარკირებული არააქტიურის საპირისპიროდ არის აგენსის გამოხატვა. ამ კატეგორიას, შესაძლებელია, პასიური/ არაპასიური პირის დაპირისპირებაც ვუწოდოთ. ასეთი ტერმინი უკეთესი გამოხატველი იქნებოდა დაპირისპირებულ წევრთა იერარქიისა მარკირების მიმართების თვალსაზრისით, რადგან პასიურობა არის ის ნიშანი, რომელიც არამარკირებულ კატეგორიას გამოეყო, მაგრამ ტერმინებს – აქტიური/ინაქტიური გარკვეული ტრადიცია აქვთ და ჩვენც ვამჯობინეთ, ამ ტრადიციის „კალაპოტში“ დავრჩეთ.

რამდენადაც მ-ს რიგის პირის ნიშნები არააქტიურ პირს გამოხატავენ, იმის გაუთვალისწინებლად, ეს პირი სინტაქსურად ქვემდებარეა თუ დამატება, ვფიქრობთ, რომ ზმნები, რომლებიც, ხშირად, ინვერსიულად არის კვალიფიცირებული (ჩიქობავა 1968/1928:131-2, 1950:57; მელიქიშვილი 2001:19-32), არ იმსახურებენ ასეთ განსაზღვრას, მათ სტრუქტურაში არ მომხდარა ინვერსია, შებრუნება, ისინი სემანტიკური ვითარების პირდაპირ მარკირებას ახდენენ. ინვერსიული, ანუ შებრუნებული – ამ სემანტიკური კლასების ზმნათა კონსტრუქციებს სწორედ სინტაქსური მარკირების მქონე ენებში შეიძლება ვუწოდოთ, რადგან აქ, ამოსავალი სემანტიკური ვითარება აღუნიშნავი რჩება ლოგიკურ/ინფორმაციულ მიმართებათა აღნიშვნის ხარჯზე. ზდება სემანტიკური როლების ნიველირება პროტოტიპური ქვემდებარის სასარგებლოდ. მართლაც, დომინანტურად სინტაქსური მარკირების ენებში ისტორიული განვითარების მანძილზე იკლებს დატიური კონსტრუქციის მქონე გრძობა-აღქმის ზმნების რაოდენობა.

ლათინურში ამ ტიპის კონსტრუქციათა რაოდენობა უფრო დიდი იყო, ვიდრე თანამედროვე რომანულ ენებში. იხ. მაგალითად, ისეთი კონსტრუქციები, როგორიცაა:

Non placet Antonio (D) consulatus meus (N).

არ მოსწონს ანტონიუსს ჩემი კონსულობა;

Cum homini (D) pedes (N) dolere.

როდესაც კაცს ფეხი ასტკივდება.

საინტერესოა, რომ ინგლისურში, სადაც ქვემდებარის უნიფიკაციის პროცესი ყველაზე შორს არის წასული, ჩნდება ისეთი ახალი კონსტრუქცია, როგორიცაა me thinks.

ქართველური ინაქტიური კონსტრუქციის ზმნების ინვერსიულად მიჩნევა სინტაქსური მარკირების პრინციპის თავსმოხვევაა ამ ენებისათვის, ეს არის მათი განხილვა ქართველური მორფოლოგიისათვის უცხო, ევროპულ ენათათვის ნიშან-

დობლივი პრინციპის თვალსაზრისით. ქართველური მორფოლოგიის იმანენტური პრინციპია პირდაპირი სემანტიკური მარკირება. ასეთი უნდა ყოფილიყო ის საერთო ქართველურ დონეზე და ასეთია ის დღესაც. რადგან გარკვეულ სემანტიკურ ჯგუფებში ახალი წარმოების გაჩენისასაც ეს პრინციპი ძალაში რჩება. ამას მოწმობს *გამაჩნია, მბაღია, მაოხრია* ტიპის ფლობის სემანტიკის გამომხატველი ახალი წარმოებები, გუნება-განწყობის ზმნათა პროლუქტიული კლასი (მექეიფება, *მესიამოვნება...*), პოტენციალისის კატეგორია ზანურში და მრავალი სხვა მოვლენა, რომელიც გვიჩვენებს, რომ აქტიურობა/ინაქტიურობის კატეგორია ცოცხალი ენაში, როგორც სახელთა და ზმნათა მორფოლოგიური გაფორმების განმსაზღვრელი მოვლენა. თუმცა, ახალ ქართულში სინტაქსურ კატეგორიათა მორფოლოგიური მარკირების ტენდენციაც ჩნდება, რასაც მოწმობს ინაქტიური ქვემდებარის მრავლობითის აღნიშვნის გაჩენა ახალ ქართულ ენაში (მელიქიშვილი 2001:30).

ქართულში ინაქტიური ქვემდებარე აქვთ შემდეგი სემანტიკური ჯგუფის ზმნებს:

#### **გრძობისა და შეგრძნებების გამომხატველ ზმნებს:**

მიყვარს, მძულს, მძაგს, მზარავს, მომწონს, მსიამოვნებს, მესიამოვნება, მეპიტნავება, მეზიზღება, მეჯავრება, მალიზიანებს, მიხარია, მეშინია, მწყინს, მერიდება, მეხათრება, მრცხვენია, მესმის, მიღხინს, მიჭირს, მსურს, მინდა, მნებავს, მწაღია...

**სხეულისა და ფსიქიკური მდგომარეობების გამომხატველ ზმნებს** (შესაბამისი პროცესები შეგრძნებებადაც შეიძლება მივიჩნიოთ):

მღვიძავს, მძინავს, მეძინება, მეღვიძება, მტკივა, მცხელა, მცივა, მშია, მწყურია, მაციებს, მახველებს, მაცანცახებს, მაკანკალებს, მამაგმაგებს, მაჟრიალებს, მამთქნარებს, მაბოდებს, მახურებს, მტეხავს, მალებინებს, მარწყევს... უნებლიე მდგომარეობათა გამომხატველი სისტემის წარმოშობა ენაში აქტიურობა-ინაქტიურობის მორფოლოგიური კატეგორიის პროლუქტიულობაზე მიუთითებს.

#### **აზროვნებითი პროცესების გამომხატველ ზმნებს:**

მჯერა, მწამს, მგონია, მე ვენება, მიმა ნია, მახსოვს, მაგონდება, მავიწყდება...

როგორც ჩანს, ქართული ენა ზანურისა და სვანურისაგან განსხვავებით, აზროვნებითი პროცესების აქტიურ პროცესებად მიჩნევას იწყებს. ამას მოწმობს იცის, უწყის ზმნათა სუბიექტის მოთხრობითი ბრუნვით გაფორმება, მაშინ, როდესაც ზანურსა და სვანურში შესატყვისი ზმნები დატიური კონსტრუქციისაა და მ-ს რიგის აფიქსთა მქონეა.

ამ ზმნებთან დაკავშირებული სახელობითი გაფორმებული სახელი წარმოადგენს შესაბამისი გრძნობების, შეგრძნებების, აღქმების, აზრების, მდგომარეობების **გამომწვევს**, ჩვენ მას **ეფექტორს** ან სტიმულს ვუწოდებთ. აქ სახელობითი და ვ-ს რიგით აღინიშნება არა ისტორიული სინტაქსური ქვემდებარე, არამედ სემანტიკური კატეგორია – ფსიქოფიზიკურ პროცესთა გამომწვევი აქტანტა:

მიყვარს – ვილაც იწვევს ჩემში სიყვარულს  
მესმის – რაღაც იწვევს ჩემში სმენით აღქმას  
მაგონდება – რაღაც იწვევს ჩემში მოგონებას  
მახველებს – რაღაც იწვევს ჩემში ხველას  
მსურს – რაღაც იწვევს ჩემში სურვილს

საინტერესოა, რომ **გამომწვევი** შესაძლებელია იყოს ნათესაობით ბრუნვაშიც: მეშინია, მრცხვენია, მჯერა, მწამს... მისი. ძველ ქართულში ზმნათა უფრო დიდი რიცხვს ჰქონდა ნათესაობითში დასმული ეფექტორი. ნათესაობითი ბრუნვა კიდევ უფრო ხელშესახებს ზღის ამ აქტანტას სემანტიკას – იმას, რომ ეს არის აღქმის, შეგრძნების, შეცნობის გამომწვევი, მიზეზი.

### **ინაქტიური ქვემდებარე აქვთ ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნებს.**

მაქვს, მყავს, გამაჩნია, მახადია...

როგორც ზემოთაც ითქვა, მოდელი პროდუქტიულია და ფლობის სემანტიკის ახლად წარმოქმნილი ფორმებიც ამ ყალიბს იყენებენ. ფლობის სემანტიკა რეზულტატიური შინაარსისაა. მასთან დაკავშირებული პირი ამჟამად აქტიურად არ მოქმედებს და არც წარსულში არ გულისხმობს აუცილებლობით აქტიურ სუბიექტს. მაქვს, მყავს ის – შესაძლებელია ერთ შემთხვევაში იმის შედეგი იყოს, რომ ეს მე მოვიპოვე ან გავაკეთე (კაბა შევიკერე > მაქვს კაბა), ან იმის შედეგი, რომ ეს მე მომცეს ან გამიკეთეს (მკერავმა კაბა შემიკერა > მაქვს კაბა). ამდენად, ფლობის სემანტიკის ზმნები მხოლოდ კუთვნილებით მიმართებას აფიქსირებენ მფლობელსა და საგანს შორის. **ფლობის** შედეგობითი სემანტიკა მეორეულია **არსებობის სემანტიკის მიმართ** და ჩვეულებრივ იწარმოება არსებობის ან სხვა ელემენტარული სემანტიკის ზმნებისაგან ძირითადი აქტანტას ინაქტიურად წარმოდგენის გზით (ბენვენისტი 1974:204-225). სახელობითში დასმული სახელი შეგვიძლია მივიჩნიოთ თემად, ანუ არაგარდაქმნად ობიექტად. შდრ. ვყიდულობ სახლს – მაქვს სახლი. საყურადღებოა, რომ ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნებს არა აქვთ მეორე სერიის ანუ სრული ასპექტის ფორმები. ეს სრულ თანხმობაშია მათ პერფექტულ, რეზულტატიურ ბუნებასთან. ფლობისა და რეზულტატიურობის სემები ერთმანეთთან იმპლიკაციურ მიმართებაში იმყოფებიან. ამას გარდა, შინაგანი კავშირია მფლობელსა და ბენეფიციარულ და ადრესატულ აქტანტებს შორის: ის მას აძლევს წიგნს > მას აქვს წიგნი; ის მას უშენებს სახლს > მას აქვს სახლი. ამდენად, ფლობის სემანტიკის აღმნიშვნელ ზმნათა ძირითადი აქტანტას გაფორმება მიცემითი ბრუნვითა და მ-ს რიგის პირის ნიშნებით სრულ შესაბამისობაშია ამ ზმნათა სემანტიკასთან და პირდაპირი სემანტიკური მარკირების ნიშნულს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ კონტროლირებულ და უნებლიე მოქმედებათა გამიჯვნა ქართველურ ენათა მორფოლოგიის ორგანულ მანასიათებელს შეადგენს და ამ კატეგორიათა გამოხატვა ძირითადი აქტანტების მარკირებით ხდება; მაკონტროლებელ აქტანტას შეესაბამება სახელი სახელობით (მოთხრობით) ბრუნვაში და ვ-ს რიგის პირის ნიშნები, ხოლო უნებლიე მოქმედების ჩამდენი მარკირებულია მიცემითი ბრუნვითა და მ-ს რიგის პირის ნიშნებით:



ვხარობ — მიხარია	ვტირი — მეტირება
ვილხენ — მილხინს	ვიცინი — მეცინება
ვირჩევ — მირჩევნია	ვივიწყებ — მავიწყდება
ვიჯერებ — მჯერა	ვიგონებ — მაგონდება
ვუსმენ — მესმის	ვიხსენებ — მახსენდება
ვკანკალებ — მაკანკალებს	ვიძინებ — მეძინება
ვბოდავ, ვაბოდებ — მაბოდებს	ვფიქრობ — მაფიქრდება
ვახველებ — მახველებს	დავხიე — შემომხია
ვაცემინებ — მაცემინებს	შევჭამე — შემომეჭამა
ვამთქნარებ — მამთქნარებს	ვნანობ — მენანება
ვალებინებ — მალებინებს	ვილიმები — მელიმება
ვწუხვარ — მაწუხებს	ვიღვიძებ — მეღვიძება

ამ მიმართების ნათელი ილუსტრაციაა ფრაზები:

- წყალი ჩავყლაპე — წყალი ჩამეყლაპა
- ხელი დავიწვი — ხელი დამეწვა
- ფეხი მოვიტეხე — ფეხი მომტყდა და მისთ.

**უნებლიობის** საწარმოებლად რამდენიმე მოდელი არის ჩამოყალიბებული ქართულში:

- მ-ს რიგის პირის ნიშანი + მაქცევარი ა- გამოხატავს სხეულის უკონტროლო, უნებლიე მოქმედება-მდგომარეობას — მაციებს, მაცხელებს, მაკანკალებს, მაჟრიალებს, მაცახცახებს, მახარებს, მახველებს, მასლოკინებს, მამთქნარებს, მაცემინებს... ასევეა ნაწარმოები მაწუხებს, მახარებს — ფსიქიკური უნებლიედ წარმოქმნილი მდგომარეობები, უნებლიე ფსიქიკური პროცესებისა და მდგომარეობის გამომხატველი ფორმები: მახსოვს, მაგონდება, მავიწყდება... მაგვიანდება...
- მ-ს რიგის პირის ნიშანი + მაქცევარი ე- გამოხატავს გუნება-განწყობილებას: მეხალისება, მეზარება, მედარდება, მექეიფება, მეპიტნავება... ასეთივეა მეცინება, მეტირება, მეძინება...

ამ რიგისაა გამოთქმები: რა გეთამაშება, როცა ამდენი საქმეა გასაკეთებელი! მოდელი პროდუქტიულია და სიტუაციურად თითქმის ყველა სახელისაგან შეიძლება ასეთი ფორმების წარმოება.

ამგვარი მორფოსემანტიკური ზმნური კლასები სხვაც შეიძლება გამოიყოს ენაში. მაგალითად, შემომეჭამა ტიპის წარმოება, ნეტავი გამაგებინა ტიპის ფრაზები.

სხვა ქართველურ ენებში უნებლიობის კატეგორია კიდევ უფრო თანმიმდევრულად არის გამოხატული. მაგალითად, ლაზური: სქანდა მა ვა მალვინუნ (მე შენდა ვერ მომეკვლება) — „მე შენ ვერ მოგკლავ“. უნებლიობის კატეგორია ქართველური მორფოსემანტიკის საინტერესო სფეროს წარმოადგენს. უუნარობის ვერ ნაწილაკთან კავშირში ქვემდებარე მუდამ არააქტიურ პირად არის გააზრე-

ბული. ასეა ეს როგორც მეგრულში (ურიდია 1960:170), ისე ლაზურში (კარტოზია 2005:92, 172-3). პოტენციალის უწოდებენ პროცესს, რომელიც ფაქტობრივ ვერ (არ) ხორციელდება: ვერ დაწერა, ვერ გააკეთა... რამდენადაც ქვემდებარე ვერ ზდება აქტიური მოქმედების შემსრულებელი, სემანტიკურად სრულიად გამართულია მისი ინაქტიური ნიშნებით გამოხატვა; ამდენად, აქაც პირდაპირ სემანტიკურ მარკირებასთან გვაქვს საქმე.

ინაქტიური ქვემდებარე გვაქვს ქართული ზმნის უღვლილების მესამე სერიაში. მესამე სერიის ფორმები პერფექტული, რეზულტატიური ასპექტის ფორმებია. პერფექტის სემანტიკა უნივერსალურ კავშირშია კუთვნილების და მდგომარეობის სემებთან. იმ ენებში, სადაც პერფექტის წარმოების პრინციპი ნათელია – ასეთია ანალიზური ტიპის მეშველზმნიანი წარმოებები – ეს კონსტრუქციები კუთვნილების სემანტიკაზე არის დამყარებული. ე. ბენვენისტი ორ ასეთ საშუალებაზე მიუთითებს: ა) ქონა ზმნით წარმოება (habeo, factum – „გაკეთებული მაქვს“ ტიპი) და ბ) ყოფნა ზმნა + ქვემდებარე ირიბ ბრუნვაში („ჩემი გაკეთებული არის“ ტიპი). ქართველურ ენებში ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა კონსტრუქცია ყოველთვის ირიბია. სუბიექტი ინაქტიურად ფასდება, დგას მიცემით ბრუნვაში და აღინიშნება მ-ს რიგის პირის ნიშნებით. მესამე სერიის ფორმები მდგომარეობის (სტატიკურ) ფორმათა სასხვისო ქცევის ტრანსფორმაციის შედეგს წარმოადგენენ:

მოწაფეს ლექსი წიგნაკში უწერია (=ჩაწერილი აქვს)

მოწაფეს ლექსი წიგნაკში ჩაუწერია (=ჩაწერილი აქვს)

სტატიკური პერფექტი დინამიკურ პერფექტად არის ტრანსფორმირებული. გარდამავალ და მედიაქტიურ ზმნათა მესამე სერიის ფორმებში ქცევის ერთადერთ ფორმას სასხვისო ქცევა წარმოადგენს. ცხადია, აქ მას არა აქვს საკუთრივ სასხვისო ქცევის სემანტიკა, მაგრამ სასხვისო ქცევის კუთვნილებით-დანიშნულებითი სემანტიკა წარმომქმნელ კომპონენტად არის შესული პერფექტულობის სემანტიკის წარმოებაში. ქართველურ ენათა პერფექტული ფორმები გვიჩვენებენ პერფექტის წარმოების უნივერსალური პრინციპის (მდგომარეობა + კუთვნილებითობა) კიდევ ერთი რეალიზაციის გზას: ზმნის სტატიკური ფორმა + კუთვნილებითი ქცევა გვაძლევს რეზულტატივს (მელიქიშვილი 1998). პრინციპი, რომელიც სხვა ენებში ანალიზურად არის განხორციელებული, ქართველურ ენებში სინთეზური სახით რეალიზდება. ქართველურ ენათა სასხვისო (კუთვნილებითი) ფორმა ეთანადება ანალიზურ კონსტრუქციათა *მაქვს* მეშველ ზმნას, ხოლო წარმოების დამყარება სტატიკურ ფორმებზე ანალიზურ კონსტრუქციათა მიმდებარე ფორმებს შეესაბამება: გამიკეთებია – გაკეთებული მაქვს. პერფექტის ფორმებში აქტიურ მოქმედებასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ წარსულში შესრულებული მოქმედების შედეგთან. ამდენად, აქაც დატიური ქვემდებარე პირდაპირი სემანტიკური მარკირების გამოხატულებაა.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველური ენების მორფოლოგიური მარკირების ძირითად პრინციპს პირდაპირი სემანტიკური მარკირება წარმო-

ადგენს. ქართული მორფოლოგია აქტანტთა სემანტიკურ ბუნებას გამოხატავს და არა სინტაქსურ მიმართებებს. ძირითადი აქტანტების ბრუნვითი გაფორმება და ზმნური აღნიშვნა სემანტიკურ პრინციპს ემყარება. ორი მაკროროლი, რომელთა აღნიშვნაც ხდება ვ-სა და მ-ს პირის ნიშნებითა და სახელობითი და მიცემითი ბრუნვების ნიშნებით, შეიძლება განისაზღვროს როგორც კაუზატორი (სახელობითი და ვ-ს რიგი) და რეციპიენტი (მიცემითი და მ-ს რიგი).

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქვემდებარის ცნება უცხოა ქართული ენისათვის. ქვემდებარის სინტაქსურ/ლოგიკური კატეგორია ენაში აისახება ნეიტრალურ სიტყვათა რიგში (SOV), ინაქტიური ქვემდებარის მრავლობითი რიცხვის მარკირებაში, შერწყმულ წინადადებაში სხვადასხვა ბრუნვებით გაფორმებულ ქვემდებარეთა იდენტიფიკაციაში. ქვემდებარის ცნების არსებობას ქართულ ენაში მოწმობს ისეთი წინადადებები, სადაც სხვადასხვა ბრუნვაში მყოფი ქვემდებარე ნაცვალსახელების გარეშე არის იდენტიფიცირებული:

ბავშვს ზარი მოესმა, კლასში შევიდა და წიგნი გადაშალა.

პირველ ზმნასთან ქვემდებარე მიცემითშია, მეორესთან – სახელობითში (ბავშვი შევიდა), მესამესთან – მოთხრობითში (ბავშვმა გადაშალა). ამ ტიპის წინადადებები მოწმობენ, რომ ქართულში სუბიექტის სინტაქსური იდენტიფიკაცია ხდება მისი ბრუნვითი ფორმისაგან დამოუკიდებლად.

ქართველურ ენათა პირის ნიშანთა ორი რიგის დაპირისპირება ასახავს არა სუბიექტ/ობიექტურ მიმართებებს, არამედ აქტივისა და ინაქტივის დაპირისპირებას. ქართულ ენაში პირის ნიშნებს ასეთ კვალიფიკაციას ვაძლევთ:

<b>აქტიური პირის ნიშნები</b>	<b>ინაქტიური პირის ნიშნები</b>
ვ-	მ/გვ-
/ხ/-	გ-
-ს	ჰ-/ს-

ამასთან, აქტივი ინაქტივთან მიმართებით ოპოზიციის არამარკირებული წევრია. ამიტომ არის მისი ხმარება უფრო ფართო, ვიდრე მხოლოდ აგენსური პირის აღნიშვნა. პასიურ კონსტრუქციებში ვ-ს რიგის პირის ნიშანთა ხმარება ბუნებრივია, რადგან ერთის მხრივ, ქართველურ ენათა ვნებითი გვარის ფორმათა უმეტესობა არის არაკონვერსიული გარდაუვალი სემანტიკის მატარებელი. ის იზრდება, იმალება, იბრძვის, ლამაზდება...; ხოლო კონვერსიის შემთხვევაში ამ კატეგორიის ამოცანაა ქვემდებარის პოზიციაში აქტანტას დაყენება. ამგვარად, ვ-ს რიგის პირის ნიშნებს აქ ტოპიკალიზაციის ამოცანა აკისრიათ. ეს არამარკირებული კატეგორიის ბუნებრივი გამოყენებაა ენაში კონვერსიული ვნებითის გაჩენის შემდეგ.

პირის ნიშანთა ორი რიგი, როგორც აქტიური/არააქტიური პირების დაპირისპირების გამომხატველი, საერთო ქართველურ დონეზეც აღდგება. აქტანტთა პირდაპირი სემანტიკური მარკირება უნდა ყოფილიყო აქტანტთა მორფოლოგიური მარკირების პრინციპი საერთო-ქართველურშიც.

ამრიგად, ქართულ ენაში ზმნის პარადიგმის პირველ სერიაში გვაქვს კონსტრუქცია, რომელიც **აქტიური კონსტრუქციის** ძირითად ნიშნებს ატარებს: განსხვავებულად გამოიხატება აქტიური და არააქტიური აქტანტები; გვაქვს ოპოზიციური რიგი: აქტიური პირი, რომელიც მორფოლოგიურად სახელობითი ბრუნვით და ვ-ს რიგის პირის ნიშნებით გამოიხატება (ამ მაკროროლს შესაძლებელია **კაუზატორი** ვუწოდოთ) და არააქტიური პირი, რომელიც მარკირებულია მიცემითი ბრუნვით და მ-ს რიგის პირის ნიშნებით (მას შესაძლებელია **რეციპიენტი** ვუწოდოთ). აქტიური კონსტრუქციის არსებითი ნიშანია არააქტიური პირის ერთიანი მარკირება, მიუხედავად იმისა, პირდაპირი ზემოქმედების საგანია თუ ირიბი მიმართებისა: *კაცი შეიღოს სურათს უხატავს* – პირდაპირი ზემოქმედების საგანი *შეიღო* და ირიბი მიმართების საგანი *სურათი* – ორივე მიცემით ბრუნვაში დგას. მ-ს რიგის პირის ნიშნებით გამოიხატება ორივე არააქტიური პირი: *კაცი მე სურათს მ-ი-ხატავს*; *კაცი მე მ-ხატავს*; ერთადერთი განსხვავება არააქტიურ პირთა მარკირებაში არის მესამე პირდაპირი მიმართების საგნების ალუნიშვნელობა, რაც მთლიანად შეესაბამება სემანტიკური მარკირების ლოგიკას: მესამე პირი, როგორც წესი (ანუ პროტოტიპურად), უსულო საგანს წარმოადგენს, ამიტომ, ბუნებრივია, რომ იგი არ იყოს მარკირებული როგორც პირი. სახელის ბრუნვა ისეთ დიფერენციაციას ასე ბუნებრივად ვერ ახდენს. ამდენად, პირდაპირი და ირიბი მიმართების მესამე პირის მარკირებაში არსებული განსხვავება სწორედ აქტიური კონსტრუქციის პრინციპის შესაბამისია. მეორე სერიის კონსტრუქცია სახელური მარკირების თვალსაზრისით **გაფართოებულ ერგატივს** წარმოადგენს, რადგან განსხვავებულად არის მარკირებული აგენსი და – გარდაუვალი ზმნის ძირითადი აქტანტა. ზმნაში ისეთი ვითარება გვაქვს, რაც პირველ სერიაში. მესამე სერია, როგორც სახელური, ისე ზმნური მარკირების თვალსაზრისით, გაფართოებულ ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის. ქართული ენის ერგატიულ კონსტრუქციას გაფართოებულ ერგატივს ვუწოდებთ, რადგან ერგატიული ბრუნვით ფორმდება არა მარტო გარდამავალ ზმნათა, არამედ საშუალ-მოქმედებით (აქტიურ გარდაუვალ) ზმნათა აგენსიც.

ზოგადი ტიპოლოგიის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ სამი ძირითადი სინტაქსური ტიპი – აქტიური, ერგატიული, ნომინატიური – სამი განსხვავებული პრინციპის რეალიზაციას წარმოადგენს: აქტიური კონსტრუქციისათვის განმსაზღვრელია **აქტანტთა სემანტიკური მარკირების** პრინციპი და აქტიური-არააქტიური პირის ოპოზიცია; არამარკირებულია ოპოზიციის აქტიური წევრი. ერგატიული კონსტრუქციისათვის განმსაზღვრელია ზმნური ფრაზის **უშუალო შემადგენლური** სტრუქტურა: არამარკირებულია ზმნასთან ყველაზე ახლოს მდგომი აქტანტა – გარდამავალი ზმნისთვის ეს არის პირდაპირი მიმართების საგანი, ხოლო გარდაუვალი ზმნისთვის აქტანტთაგან ყველაზე განმსაზღვრელი ზმნის სემანტიკისათვის; ნომინატიურ კონსტრუქციაში განმსაზღვრელია აქტანტათა **ტოპიკალიზაციის** პრინციპი – არამარკირებულია (ე.ი. დგას სახელობითში, ან აქვს არამარკირებული კატეგორიის სხვა ნიშნები) წევრი, რომელიც გამონათქვამის გრა-

მატიკალიზებულ ტოპიკს წარმოადგენს. სამივე პრინციპი უნივერსალურია და ყველა ენაში მოქმედებს როგორც აქტიური და არააქტიური აქტანტების სემანტიკური კატეგორია, ასევე, ზმნური ფრაზის უშუალო შემადგენლური სტრუქტურა, და, ასევე, გამონათქვამის ტოპიკალიზაცია. განსხვავებას ქმნის ის, თუ რომელ პრინციპს ანიჭებს ენა წამყვანი მორფოსინტაქსური პრინციპის ღირებულებას.

### **ლიტერატურა:**

- ასათიანი 1994:** რ. ასათიანი, *ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები (გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში დომინანტური კატეგორიის დადგენის თვალსაზრისით)*, თბილისი.
- თ. გამყრელიძე, *ზმნის პირიანობა და ვალენტობა*, საენათმეცნიერო კრებული, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1979.
- კარტოზია 2005:** გ. კარტოზია, *ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში*, თბილისი.
- მელიქიშვილი 2001:** დ. მელიქიშვილი, *ქართული ზმნის უღლებების სისტემა*, თბილისი.
- მელიქიშვილი 1998:** ი. მელიქიშვილი, *ზმნურ ფორმათა I, II, III სერიის ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში*, ს.ს. ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, IV, თბილისი.
- ა. ონიანი, *ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები*, „განათლება“, თბილისი 1978.
- ა. ონიანი, *თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა*, თბილისი 2003.
- თ. უთურგაიძე, *გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში*, თბილისი 2002.
- ურიდია 1960:** ო. ურიდია, *მეგრულის სინტაქსური თავისებურებანი ქართულთან შედარებით*, თსუ შრომები, ტ. 93.
- შანიძე 1973:** ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თბილისი 1973.
- ა. შანიძე, *ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები*, თბილისი, 1978.
- ჩიქობავა 1968/1928:** არნ. ჩიქობავა, *მარტვი წინადადების პრობლემა ქართულში*, თბილისი.
- არნ. ჩიქობავა, *ქართული ენის ზოგადი დახასიათება*, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1, 1950.
- ბენვენისტი 1974:** Е. Бенвенист, *Глаголы «быть» и «иметь» и их функции в языке, пассивное оформление перфекта переходного глагола*, *Общая лингвистика*, Москва.
- გამყრელიძე, ივანოვი 1984:** Т. В. Гамкрелидзе, Вяч.Вс. Иванов, *Индоевропейский язык и индоевропейцы*, Тбилиси.
- დიქსონი 1998:** R. M. W. Dixon, *Ergativity*, Cambridge University Press, Cambridge.
- ფილმორი 1968:** Ch. J. Fillmore, *The Case for Case*, In: E. Bach and R.T. Harms (eds), *Universals in Linguistic Theory*, London.

## **Semantically Based Marking and Active/Inactive Category in Kartvelian Languages**

### Summary

There are two different kinds of strategy that languages use for marking “who is acting, and what is affected by the action”, which could be called as (1) syntactically based marking and (2) semantically based one, Kartvelian languages follow the semantic principle of marking the verb arguments. The two types of person markers (*v-* vs. *m-*) function as markers of active, volitional, controlling participants vs. affected non-volitional participants of speech events. Actually, these two types of person markers express the opposition between the active/inactive verb arguments. The functioning of these types of markers is independent of the syntactic roles of the participants, such as subject and objects. In this opposition the *v-* type is unmarked and the *m-* type is marked. The distinction between the controlled, volitional and uncontrolled, non-volitional action is systematically carried out in Kartvelian Languages, e.g.: *vusmen* “I listen” – *mesmis* “I hear”, *vakhveleb* “I cough (as controlled action)” – *makhvelebs* “I cough (as uncontrolled action)”, *vq’lap’av* “I swallow” – *gadameq’lap’a* “I accidentally swallowed”. The markers of the *m-* type correspond to the affected, perceiving, beneficiary, possessing participants of action. We consider such marking as direct semantic marking of verb arguments, and the construction of imperfective verb forms as active construction of the clause.

## ბგერითი სიმბოლიზმი გალაკტიონთან

*„მაქვს მკერდს მიღებული ქნარი, როგორც მინდა“*

### 1. შესავალი

ენის პოეტური ფუნქცია განსაკუთრებული ღირებულებისაა, რადგან სწორედ მისი მეშვეობით მუდგანდება სრული ძალით ენის შემოქმედებითი პოტენცია, მისი სიცოცხლე – ის, რომ ენა არის ქმნადობა და არა ქმნილება (ვ. ჰუმბოლდტი). ენის შემოქმედებით პოტენციალს ენობრივი ნიშნის შინაგანი დინამიკა განსაზღვრავს. მასში აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ურთიერთმიმართება დინამიკურია და არა სტატიკური. სიტყვათა მნიშვნელობები არ არის ერთხელ და სამუდამოდ, ცალსახად მოცემული, ყოველი სიტყვა დიდ სიღრმესა და სივრცეს შეიცავს. ინდივიდები საკუთარი შინაგანი გამოცდილების, ენობრივი ალლოს, ემოციური დიაპაზონის, ინტელექტის, კულტურის, გააზრებისა და შემოქმედების უნარის შესაბამისად ააქტიურებენ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც თითოეულ ბგერაში, სიტყვის ნაწილსა და სიტყვაში ძევს. ყოველი სიტყვის პოტენციური საზრისი სულ სხვადასხვა ხარისხითა და სახით ილვიძებს სხვადასხვა ინდივიდის ცნობიერებაში. ენობრივი ქვეცნობიერების (პოტენციის) და ენობრივი ცნობიერების (აქტუალიზაციის) მუდმივი ურთიერთმოქმედება არის ენის შემოქმედებითობის მუდმივი წყარო. პოეტურ ხელოვნებას აქვს უნიკალური შესაძლებლობა, შეაერთოს სიტყვათა სემანტიკური და ბგერითი საფუძველი, საზრისი და ბგერითი მუსიკა.

გალაკტიონის პოეზია განსაკუთრებული მოვლენაა სიტყვის ექსპრესიული ძალის აქტუალიზაციის თვალსაზრისით. სათქმელს ის გამოხატავს როგორც სიტყვათა, ისე ბგერათა მნიშვნელობების მეშვეობით. იგი ზემოქმედებას ახდენს როგორც აღმქმელის აზროვნებასა და წარმოსახვაზე, ისე მის სმენით შეგრძნებებზე. ამიტომაც არ ექვემდებარება მისი შედეგები ერთჯერადი წაკითხვით სრულ აღქმას. განმეორებული წაკითხვების მეშვეობით იხსნება საბურველთა წყება და მკითხველი უახლოვდება იმ შემოქმედებით ინსპირაციას, რომელსაც ტექსტის მიღმა აქვს არსებობა.

გალაკტიონი ენის ბგერწერით პოტენციას ცნობიერად ეკიდებოდა. ეს იყო პოეტური ხელოვნების საფუძველი, რომელსაც ის ვირტუოზულად ფლობდა. მის ხელოვნებაში ჰარმონიულად არის შეერთებული, ერთი მხრივ, ნიჭი, ალლო და მეორე მხრივ, ენის სრულიად ცნობიერი და მიზანმიმართული ფლობა და გამოყენება. მისი ფრაზა: *„მაქვს მკერდს მიღებული ქნარი, როგორც მინდა“* – პოეტური ხელოვნებისა და ენობრივი მასალის ფლობის თვითგამოხატვაა. გალაკტიონის

დლიურებიდან და ჩანაწერებიდან, რომლებიც ვ. ჯავახაძის შესანიშნავ მონოგრაფიაშია წამოღვენილი, ჩანს, თუ როგორ მუშაობს სიტყვაზე გალაკტიონი, როგორ დაულალავად ვარჯიშობს, აყურადებს თითოეულ ბგერას, ბგერათა კომბინაციას, ბგერათა სხვადასხვაგვარი შეერთების შესაძლებლობებს, ბგერათა სემანტიკას. სალექსო ზომებისა და ხერხების ნუსხაში, რომელიც 34 ერთეულს შეიცავს: იონური დიმეტრი, თავისუფალი ლექსი, შემოკლებული რითმები... დასაწყისი რითმები... რითმა ბოლოს წინამდებარე, მთლიანი რითმები, შინაგანი რითმები... (ჯავახაძე 1991:411), მას ცალკე პუნქტებად მოჰყავს **ბგერწერა** და **პალინდრომი**. აქედანაც ჩანს, რომ ბგერწერა (ბგერათა ფონოსემანტიკა) და პალინდრომი (ბგერათა სარკისებური ასახვა სიტყვასა და ფრაზაში) მისი პოეტური არსენალის არსებითი და სრულიად ცნობიერი წევრებია. ჩვენ შევეცდებით გალაკტიონთან ამ საშუალებათა გამოყენების ხასიათისა და ინტენსივობის გაგებას მივუახლოვდეთ.

გალაკტიონს ხელეწიფებოდა ბგერათა იდუმალი ბუნების წვდომა. მის ჩანაწერებში ასეთ პასაჟებს ვხვდებით: „სიტყვას აქვს შინაგანი კანონები, რომლის საშუალებითაც იგი ძლევაძმოსილი ხდება. ეს კანონები უმრავლესობისათვის terra incognito-ა. ეს ის კანონებია, რომლებიც გრაალის შთაბეჭდილებას აძლევს ლაფორგის ჰიმნს დედამიწის გარდაცვალების გამო, რომელიც საბედისწერო იდუმალებად ხდის ედგარ პოს ყორანს, რომელიც სიმწრით აქვითინებს ვერლენის ჭიანურებს. ეს ის კანონებია, რომლებმაც ნისლში გაატარა ალექსანდრ ბლოკის „უცნობი ქალი“ (ჯავახაძე 1991: 343). საგულისხმოა, რომ გალაკტიონი შეგრძნებებსა და შთაბეჭდილებებზე კი არ ლაპარაკობს, არამედ კანონებზე. სხვაგან იგი წერს: „თანამედროვე მგოსნისათვის სიტყვას მისი აზრის მიუხედავად აქვს საკუთარი სილამაზე და ფასი, როგორც ძვირფას ქვებს, ყელსახვევ მარგალიტებს ან ბეჭდებს... ვინც იცის ფასი, იგი აღტაცებულია მშვენიერი სიტყვებით. ეს არის სიტყვები: ალმასები, იაგუნდები, ლალები. არიან სიტყვები, რომლებიც ბრწყინავენ ფოსფორით“.

გალაკტიონმა ბგერათა საზრისი იცოდა და ამას პოეტური ხელოვნების საფუძვლად მიიჩნევდა: „დელია. უმთავრესი ამ სიტყვაში არის **ლ**. ამ ანბანის მნიშვნელობა ცნობილია პოეზიაში, განსაკუთრებით ლირიკულში, უნაზესი ემოციების გამოსახატავად: „Там где пели, свиристели, где качались тихо ели, прилетели, улетели, стаи тонких снегирей“, ან „საიდუმლო ალები ზღვათა იდუმალების, სადაც რომ იმალება იაგუნდი, ლალები“ (ჯავახაძე 1991:341). საინტერესოა ჩანაწერი: „რითმა „უმალ“ და „ჩუმალ“ არ არის რითმა. ღონი და ლასი ერთმანეთს სპობენ“ (ჯავახაძე 1991:409). მას შეუძნეველი არ რჩება ბგერის სინესთეზიური აღქმის შესაძლებლობები. მისთვის დაფარული არაა ბგერათა ფერითი აღქმის შესაძლებლობები: „სიმბოლისტებს (მაგალითად, რემბოს) აქვთ თავისებური თეორია ანბანების ფერის შესახებ, ანბანი **ლ**-ს შესახებ. რემბოს აქვს თითოეული ანბანის შესახებ ლექსი“. მის ჩანაწერებში ვხედავთ ბგერწერით პარადიგმებს:



ტივი – ტივტივი – ტივტივება	ჭახი – ჭახჭახი – ჭახჭახება
ლივი – ლივლივი – ლივლივება	წამი – წამწამი – წამწამება
ციმი – ციმციმი – ციმციმება	სხივი – სხივსხივი სხივსხივება
კაში – კაშკაში – კაშკაშება	შუქი – შუქშუქი – შუქშუქება
რახი – რახრახი – რახრახება	შოქი – შოქშოქი (ხალხურია)
როხი – როხროხი – როხროხება	ლოში – ლომლოში (ხალხურია)
ხარი – ხარხარი – ახარხარი	ბუქი – ბუქბუქი – ბუქბუქება
ფუსი – ფუსფუსი – ფუსფუსება	(ჯავახაძე 1991:341).

ამგვარ ბგერწერით რიგებს ვ. ხლებნიკოვი შინაგან ბრუნებას უწოდებდა (Jakobson 1962:633). გალაკტიონის ჩანაწერებში თანხმოვანთშეერთებების მატრიცა-საც ვხედავთ, ის ანალიზებს, თანხმოვანთა რომელი შეერთებებია დასაშვები ქართულ ენაში და რომელი არა (ჯავახაძე 1991:410).

სიტყვის იდუმალ შინაგან არსს იგი ამგვარად განიცდიდა: „სიტყვა არც რომანსია, არც სუიტა, არც ოპერა, ამთ ჰყავთ თავიანთი კომპოზიტორები; სიტყვა გამოძახილია მხოლოდ სხვა დიდი მუსიკის, რომლის სახელიც უნდა მოინახოს!“ (ჯავახაძე 1991:363). საინტერესოა მისი ჩანაწერების რვეულების სათაურები: „ენის საიდუმლოება“, „ქართული ენის პრივილეგიები“ (ჯავახაძე 1991:118). ქართულ ენას მართლაც დიდი ბგერწერითი შესაძლებლობები აქვს, განსაკუთრებით კონსონანტიზმის სფეროში. ხშულთა სამეუღებრივი სისტემა მჟღერი: ფშვინვიერი – მკვეთრი ბგერების დაპირისპირებით, ნაპრალოვანთა და აფრიკატთა დიფერენცირებული სისტემა, სისინა და შიშინა ფონემათა დაპირისპირება კონსონანტური ბგერწერის მაქსიმალურ შესაძლებლობებს გვაძლევენ. ბგერწერას აქვს უნივერსალური კანონები: მჟღერი ბგერები უფრო დიდ და უხეშ საგნებს გამოხატავენ, ხოლო ყრუები – უფრო მცირეს: შდრ. *ძიძნის – ციცქნის – წიწკნის*, სისინა და შიშინა ბგერების დაპირისპირებაც სიდიდის ცვლის ეფექტს იძლევა: *ძიძნის – ჯიჯგნის, ცუნცული – ბაჯბაჯი*; ნაპრალოვანი გაგრძელებულ მოქმედებას და ხშიანობას გამოხატავს, ხშული – წყვეტილს: შდრ. *სისინი – კაკუნი*; ღია მარცვლის რედუბლიკაცია განგრძობით მოქმედებას გადმოსცემს, დახურულისა – მრავალგზის წყვეტილ მოქმედებას: შდრ. *ბუზუნი – რაკრაკი*; ხმოვნის გამორება რედუბლიკაციისას ერთგვაროვანი მოქმედებების წყებას გვიჩვენებს, ხმოვნის ცვლა კი არარიტმულ, არაერთგვაროვან მოქმედებებს, შდრ. *რაკრაკი – რაკარუკი* და ბევრი სხვა (ქართული ბგერწერის შესახებ იხ. ახვლედიანი 1949:245; ქობალავა 1980; მელიქიშვილი 1999).

ბგერწერას ორი ძირითადი წყარო აქვს:

- ა) ხმაბაძვა და მასთან დაკავშირებული სინესთეზია (გრძნობადი აღქმების: ბგერითი, ფერის, სინათლის... შთაბეჭდილებათა ურთიერთშესაბამისობა) და
- ბ) კინემიკა.

ხმაბაძვა ბგერით **აკუსტიკას** ემყარება. მაგალითად, სხვადასხვა სატემბრო სიმაღლის ხმოვნების დაპირისპირება სხვადასხვა ხასიათის ხშიანობას (სისინი,

ზუზუნი, შრიალი, ჭიკჭიკი), სინათლისა და ფერის სხვადასხვა ეფექტს გადმოსცემს, ამას გარდა განსხვავებულ ემოციურ განწყობას გამოხატავს: შდრ. წიწინი და წუწუნი, ღიღინი და ღუღუნი, ჭიკჭიკი – ჭუკჭუკი, ჭიჭყინი – ჭუჭყუნი; აღქმით შთაბეჭდილებათა კავშირი – სინესთეზია კი განსაზღვრავს იმას, რომ ძალიანი ტონის ბგერა სინათლეს უკავშირდება, დაბალი ტონისა კი – სიბნელეს: შდრ. ციმციმი, ციალი – ბურუსი, დაბურული; რ. იაკობსონი მიუთითებს, რომ „სინესთეზიის კანონების თანახმად, ბგერითა დაპირისპირებებმა შეიძლება ასახონ მიმართებები, რომლებიც დაკავშირებულია მუსიკალურ, ფერით, ყნოსვით და ა.შ. აღქმებთან. მაგალითად, „მაღალ და დაბალ“ ფონემათა დაპირისპირებამ შეიძლება გამოიწვიოს ასოციაცია ნათელი – ბნელი, წვეტანი – ბლავვი, წვრილი – სქელი, მსუბუქი – მძიმე და ა.შ.“ (Якобсон 1985:87-91).

კინემატიკა ბგერით არტიკულაციას ემყარება. სამეტყველო მოძრაობები გარკვეულ მნიშვნელობებს ანიჭებენ ბგერებს. ასე მაგალითად, ქართული სკუპ-, ისევე როგორც ინგლისური skip- ბგერწერითად ნახტომს გამოხატავს ნაპრალოვანი და ხშული ბგერების შეერთების გზით: ნაპრალოვანი (მყოვარი ბგერა) გამოხატავს ჰაერში დაყოვნებას, ხოლო ხშული კვლავ მიწასთან მყისიერ შეხებას. საინტერესოა, რომ ძალიან ფრენის აღსანიშნავად ბაგისმიერი, ე.ი. ყველაზე წინა წარმოების ფშვინვიერი ბგერები გამოიყენება: ფრენა, ფარფატი, ფრიალი, ხოლო სიღრმეში ყოფნას უკანა წარმოების ფონემები გამოხატავენ: ღრმა, ღრუ, ხვრელი და მისთ.

ჯერ კიდევ პლატონთან ვხვდებით საუბარს ბგერათა მნიშვნელობათა შესახებ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი დიალოგი „კრატილოსი“. ის ამბობდა, რომ **r** გამოხატავს მოძრაობას და იმავდროულად სიმაგრეს, უდრეკობას, ხოლო **l** გლუვს, დამოლს. ბგერა **i** გამოხატავს ყველაფერს წვრილს, რასაც სხვა საგანთა განმსჭვალვა ძალუძს, **a** გამოხატავს დიდს, უზარმაზარს, **η** კი მარადიულს, რადგან იგი გრძელი ბგერაა; „სუნთქვითი“ ბგერები **φ, ψ, σ** გამოხატავენ სიცივეს, შიშხინს, ზანზარს (Платон 1968:471-473).

ყოველ ფონემას აქვს თავისი მნიშვნელობა, ხასიათი, მაგრამ მისი გაცნობიერება ძნელია, იგი ღრმად ძვეს ჩვენს ქვეცნობიერებაში. ჰუმბოლდტის აზრით, „სრულიად ნათელია, რომ არსებობს კავშირი ბგერასა და მის მნიშვნელობას შორის, მაგრამ ამ კავშირის საკმაო სისრულით აღწერა იშვიათად ხერხდება, ხშირად ეს მიხვედრების სფეროა, უმეტესად კი ჩვენ მასზე არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს“ (Гумбольдт 1984:92). ბგერითი მნიშვნელობების ქვეცნობიერებიდან ამოზიდვა უფრო ძნელია, ვიდრე მორფოლოგიური და სინტაქსური მნიშვნელობებისა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქ ნაკლები ძალით მოქმედებენ კანონზომიერებები. ხოლო ამ კანონზომიერებების წვდომა და ფლობა ხელეწიფება პოეტს, რომელსაც აქვს „მკერდს მიდებული ქნარი, როგორც უნდა“.

გალაკტიონის ყველა პოეტური შედეგრი ენის ფუნდამენტური მახასიათებლის – ორმაგი დანაწევრების ვირტუოზული ფლობის შედეგია. სიტყვას ორი მხარე აქვს: აღსანიშნი (მნიშვნელობა) და აღმნიშვნელი (ბგერითი სტრუქტურა). მაგრამ, როგორც ვნახეთ, თვით ბგერებსაც აქვთ მნიშვნელობები და გალაკტიონი

მნიშვნელობათა ამ ორი წყებით ერთდროულად ოპერირებს და გასაოცარ ჰარმონიაში მოჰყავს ისინი. სიტყვათა მნიშვნელობებით იგი ქმნის საოცარ სახეებს, ბგერათა მნიშვნელობებით კი: ამ სახეთა თანხმიერ, იმავე საზრისის მატარებელ დიდებულ მუსიკას:

*მე მესმის მუსიკა, ქართული მუსიკა,  
ქართული მუსიკის ახალი ნაკადი...  
ანკარა ნაკადი, ჩუხჩუხა ნაკადი,  
ქვებიდან ქვებზე რომ გადადის მუსიკა...*

## 2. ბგერწერა გალაკტიონთან

ბგერწერითი პოტენციის აქტუალიზაციის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „ქარი ჰქრის...“ (საინტერესოა, რომ გალაკტიონისთვის ქარის მოტივი განსაკუთრებით აქტუალურია 1924 წელს. ამ წელს ეკუთვნის რამდენიმე ლექსი ქარის განწყობით: „მღვრიე ქარი“, „ქარი მოგონებათა“, „ქარი ამწევი ფარდის“). ეს ლექსი ბგერითი სიმბოლიკის თვალსაზრისით შედეგად უნდა მივიჩნიოთ. გალაკტიონის ლექსებს, როგორც წესი, აქვთ **ბგერითი დომინანტა**, რომელსაც პოეტი ჩვეულებრივ ლექსის დასაწყისშივე იძლევა. როგორც წესი, იგი მოცემულია ან ლექსის სათაურში, ან პირველ სტროფშივე. „ქარი ჰქრის...“ კონსონანტური თვალსაზრისით გაწყობილია ფშვინვიერთა და უკანაენისმიერთა (ველართა) დომინანსზე:

*ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...*

ჩვენ თვალწინ ქარის ქროლის, შემოდგომის ფოთლების ჰაერში ტრიალისა და ქარით გატაცების დინამიკური სურათია, ფონემურად კი ეს პერიოდი ფშვინვიერ ბგერათაგან /ქ, ჰ, ფ, თ, ს/ შედგება: 14 ჩქამიერი თანხმოვნიდან მხოლოდ ორია მჟღერი /ბ, დ/ და ისინიც თითოჯერ არიან გამოყენებული, დანარჩენი 12 კი ფშვინვიერია. ფშვინვიერი ბგერები თანხმოვანთაგან ჰაერის ყველაზე დიდი ნაკადით წარმოითქმებიან და ამგვარად ჰაერის მოძრაობის, ქარის ქროლვის კინემიკური (არტიკულაციური მიბაძვის) გამოხატვის შესაძლებლობა მათში მუდმივად არსებობს. შესაბამისია აკუსტიკური ეფექტიც. საინტერესოა რ ფონემის ინტენსიური გამოყენებაც (შვიდჯერ, მაშინ როდესაც სხვა სონორები მ, ნ, ლ, მხოლოდ თითოჯერ ჩანს), ბგერისა, რომელსაც უკვე პლატონი ძლიერი მოძრაობის გამოხატველად მიიჩნევდა (Πιατον 1968:472). როგორც ვხედავთ, საზრისისა და ბგერითი პოტენციალის თანხმობა სრულად არის აქტუალურიზებული და ენობრივი დანაწევრების ორივე მხარე – სემანტიკური და ფონემური – სრულ ჰარმონიაშია. ეს კარგად ჩანს მეორე სტროფშიც:

*ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის*

ამ ორ სტროფში უკანა წარმოების ჩქამიერები /ქ, გ, კ, ხ/ 14-ჯერ არიან წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ბაგისმიერები /ბ, ფ/ გვაქვს 2-ჯერ, ხოლო კბი-

ლისმიერები /ღ, თ/ – 5-ჯერ. **რ**, რომელიც მეორე სტროფშიც ძალიან ინტენსიურად არის გამოყენებული (4-ჯერ), წარმოების თვალსაზრისით, უკანაენისმიერობის ელემენტს შეიცავს: როდესაც ენის წვერი ნუნებთან ვიბრირებს, ენის ზურგი უკან არის გადაწეული. ამით აიხსნება ცნობილი პროცესი: ბევრ ენაში /რ/-ს გადასვლა /ლ/-ში. ეს ხდება მაშინ, როდესაც წინა არტიკულაციის შესუსტების შედეგად ფონემურად რეალიზდება უკანაენისმიერი ელემენტი და გვაძლევს /ლ/-ს.

უკანა წარმოების (resp. დაბალი ტონალობის) ბგერათა დომინანსი ლექსის საკვანძო საზრისს – მელანქოლიურ განწყობას – ეხმიანება და გადმოგვცემს. უკანა წარმოება და დაბალი ტონალობა ზოგადად დაბალ, სევდიან, მძიმე განწყობას შეესაბამება. გალაკტიონის ბგერწერაში ფონემურ ბგერწერასთან ერთად გამოყენებულია დიფერენციალურ ნიშანთა ბგერწერა: ლექსში არის არა მარტო /ქ/ ფონემის ინტენსიური გამოყენება, არამედ მთლიანი ბგერწერითი ეფექტი მიღწეულია **ფშვინვიერობისა** და **უკანაენისმიერობის** ნიშანთა ინტენსიფიკაციით. თუ დიფერენციალურ ნიშანთა იაკობსონისეულ სქემას ავიღებთ, სურათი კიდევ უფრო ერთგვაროვანი გახდება: კომპაქტურობის, ანუ უკანა წარმოების ნიშანი უკანაენისმიერ /ქ, გ, კ, ხ/-სთან გააერთიანებს /ჯ/ და /ჰ/ ფონემებს. ქართული ენის საერთო ფონოსტატიკური სტრუქტურის თვალსაზრისით, სტანდარტულ მიმართებათაგან გადახრილია როგორც ხშულებში ფშვინვიერების დომინანსი (შდრ. ქართული ტექსტის სტანდარტული სტრუქტურა: **მჟღერი > ფშვინვიერი > მკვეთრი**), ისე ვეღარების დომინანსი (სტანდარტულად გვაქვს იერარქია – **კბილისმიერი > ვეღარი > ბაგისმიერი**); კბილისმიერი ფონემები უნივერსალურად დომინანტურია ჩქამიერ ფონემათა კლასში (ფოგტი 1961:76; მელიქიშვილი 1976:81). ასეთივე თავისებურია /რ/ ფონემის გამოყენების ინტენსივობაც. ლექსის მთელ ტექსტში სონორები ასეთი სიხშირით არის გამოყენებული:

რ	34
ლ	6
ნ	4
მ	4

/რ/ ფონემა უნივერსალურად ყველაზე დიდი სიხშირით ხასიათდება სონორებს შორის (იხ. მაგ., სტანდარტული განაწილება ქართულში: **რ** – 10.02%, **მ** – 9.9%, **ლ** – 6.98%, **ნ** – 6.73%), მაგრამ გალაკტიონის ტექსტისაგან განსხვავებით მისი სიხშირე 5-6-ჯერ არ აღემატება სხვა სონორთა სიხშირეს.

მეორე სტროფის ბგერწერითი სტრუქტურა კიდევ ორი თვალსაზრისით არის საინტერესო. ფონემათა მიმდევრობა **ხ რ ს** ამ სტროფის პირველ ორ პერიოდში ორ-ორ სიტყვაზე არის განფენილი: **ხეთა რივს**, / **ხეთა ჯარს**, ხოლო მესამე პერიოდში ერთ სიტყვადაა შერწყმული: **რკალად ხრის...**; შეიძლება დავინახოთ მეორე მომენტიც: რკალად მოხრა ბგერწერითაცაა გადმოცემული: **რკალად ხრის**; **რკ** და **ხრ** ერთმანეთთან სარკისებურ მიმართებაში არიან დიფერენციალურ ნიშა-

ნთა დონეზე: რ+ველარი <:> ველარი+რ. კომპლექსების სარკისებური ასახვით მიღწეულია ბგერწერითი რკალის სახე.

არანაკლებ შთამბეჭდავია ამ ტექსტის ხმოვნური შინაგანი ლოგიკა. ქართული ტექსტის სტანდარტული ხმოვნითი ფონოსტატისტიკური სტრუქტურა ასეთია:

- ა 39.11 %
- ი 24.13 %
- ე 20.10 %
- ო 10.21 %
- უ 6.45 % (ფოგტი 1961:76).

ტექსტის ხმოვნური სტატისტიკური სტრუქტურა იმდენად ძლიერი მახასიათებელია, რომ მცირე სიგრძის ტექსტებშიც კი იგი ჩვეულებრივ დაცულია. ჩვენ ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ გალაკტიონის რამდენიმე ლექსი და აღმოჩნდა, რომ, როგორც წესი, საშუალო სიგრძის ლექსი სტანდარტულ სტატისტიკურ სტრუქტურას ინარჩუნებს (ასე, მაგალითად, ლექსში „ზევით ასწიეთ მზე, ზევით“ ხმოვანთა სიხშირეები ასე ნაწილდება: ა – 74, ი – 68, ე – 59, ო – 34, უ – 20, ანუ თანხმობაშია სტანდარტულ განაწილებასთან), მაგრამ სტროფები სხვაობენ ხმოვანთა დომინანსის თვალსაზრისით. „ქარი ჰქრის...“ მიუხედავად მცირე მოცულობისა, ასევე თითქმის ინარჩუნებს სტანდარტულ სტრუქტურას – განსხვავებას ქმნის მხოლოდ /ო/ და /ე/ ფონემების ადგილების შენაცვლება და საინტერესო თავისებურება – /უ/-ს არარსებობა ტექსტში:

ა – 33, ი – 25, ო – 17, ე – 15;

პირველი პერიოდის ხმოვნური სტრუქტურა ასეთია:

<i>ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,</i>	აიი	აიი	აიი
<i>ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...</i>	ოეი	იია	ააა
<i>ხეთა რივს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,</i>	ეაი	ეაა	ააი
<i>სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?..</i>	ააა	ააა	ააა

ა – 21, ი – 11, ე – 3, ო – 1;

თუმცა ამ სტროფში ხმოვანთა ძირითადი იერარქია რამდენადმე შენარჩუნებულია, ბალანსი აშკარად დარღვეულია. სტროფის დომინანტურ ხმოვნად ა გვევლინება, ხოლო თუ მეორე ხმოვანსაც გავითვალისწინებთ, გვაქვს დომინანტა ა:ი, ლიაობის თვალსაზრისით ყველაზე კონტრასტული ხმოვნები.

მეორე პერიოდის ხმოვნური სტრუქტურა ასეთია:

<i>როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,</i>	ოოი	ოოო	ოოო
<i>ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს!</i>	ეოე	ეაო	ეაო
<i>შენი მე სახება დამღევს თან</i>	ეიე	აეა	აეა
<i>ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!..</i>	ოეო	ოეი	ოეა

ო – 15, ე – 11, ა – 7, ი – 3;

ამ სტროფის აშკარა ხმოვნური დომინანტაა **ო**. მეორე ხმოვნის გათვალისწინებით ვიღებთ საშუალო აწეულობის ხმოვანთა დომინანტურობას: **ო-ე**.

მესამე ორსტრიქონიანი პერიოდის ხმოვნური სტრუქტურა ასეთია:

<i>შორი ცა ნისლიან ფიქრებს სცრის...</i>	ოია	იია	იეი
<i>ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!..</i>	აიი	აიი	აიი

**ი** – 11, **ა** – 5, **ე** – 1, **ო** – 1.

მესამე პერიოდისთვის აშკარა დომინანტური ხმოვანია **ი**, ხოლო ორხმოვანი დომინანტაა **ი-ა**, ანუ კვლავ მაქსიმალურად კონტრასტული ხმოვნები, ოღონდ შებრუნებული რიგით.

ხმოვანთა სამკუთხედს თუ გავითვალისწინებთ, სადაც /ა/ ყველაზე ღია ხმოვანია, /ე/ და /ო/ საშუალო ღიაობისაა, ხოლო /უ/ და /ი/ მაქსიმალურად დახურული ხმოვნებია:

**ი**                      **უ**  
**ე**                      **ო**  
**ა**

პირველი პერიოდის დომინანტურ ხმოვნებს შორის არის ღიაობის მაქსიმალური **ვერტიკალური** კონტრასტი: ღია-დახურული – **ა-ი**; მეორე პერიოდის ხმოვნები ღიაობის თვალსაზრისით ერთგვაროვანია **ო-ე** (ე.ი. **ჰორიზონტალური** მიმართება გვაქვს), ხოლო მესამე პერიოდში კვლავ **ვერტიკალური** მიმართებაა, ოღონდ შებრუნებული სახით: დახურული-ღია **ი-ა**; ე.ი. გვაქვს მიმდევრობა: **ა-ი, ო-ე, ი-ა**. პირველი და მესამე პერიოდები ურთიერთშებრუნებულია, ურთიერთასახვას წარმოადგენენ.

საინტერესოა ხმოვნების სემანტიკის მ. კირხნერ-ბოკჰოლტის ინტერპრეტაცია (Kirchner-Bockholt 1962):

**ა** – გამოხატავს ადამიანის ღრმა გაოცებას ახალი შთაბეჭდილებების მიმართ და იმავედროულად მზადყოფნას მიიღოს სიახლე;

**ო** – გარესამყაროს მოცვას;

**ი** – ადამიანს ავლენს როგორც პიროვნებას, განცალკევებულ ინდივიდუალობას.

ბგერწერითი თვალსაზრისით თუ შევხედავთ მიღებულ სურათს, მისი ასეთი გააზრება არის შესაძლებელი:

**პირველი პერიოდი:** **ა**, როგორც ყველაზე ფართო, ღია ხმოვანი არის გახსნილობის, გაოცების, შეკითხვის გამოხატველი. ეს არის ღიაობა ახლისათვის, კითხვის დასმა და მზაობა, გახსნილობა ახალი, მოულოდნელი პასუხის მიღებისათვის. სტროფში: *სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?* ჰარმონიაა სიტყვიერ და ბგერით მნიშვნელობებს შორის.

**მეორე პერიოდი:** **ო** – საშუალო აწეულობის ბაგისმიერი, მომრგვალებული ხმოვანი გარემოცვის, გარსის წარმოქმნის, შემოსაზღვრის გამოხატველია. ჩვენს

ტექსტში გვაქვს მიღების, მოცვის სურვილი და მცდელობა: *როგორ... როგორ... როგორ...*, რომელიც მარცხით მთავრდება: *ვერ გპოვებ ვერასდროს, ვერასდროს...* უარყოფის ელემენტი ე ხმოვანს შემოაქვს: საშუალო აწეულობის წინა რიგის ხმოვანს, რომელიც პირის ღრუს ფაქტობრივ შუაზე ყოფს და ჯვრის ფორმას წარმოქმნის.

**მესამე პერიოდის** დომინანტა ი მაღალი აწეულობის, ვიწრო და დახურული ხმოვანია, მაქსიმალურად კონტრასტული ა-ს მიმართ. ეს არის სივიწროვის, სიმაღლის, იზოლაციის, ინდივიდუალიზაციის გამომხატველი ხმოვანი (პლატონი: „*i* არის ყველაფერი წვრილი, რასაც სხვა საგანთა განმსჭვალვა ძალუძს“, Платон 1968:472):

*შორი ცა ნისლიან ფიქრებს სვრის...*

გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც ღრუბელივით იწოვდა ყველაფერს, რაც მის კულტურულ თვალსაწიერში შემოდინდა, სავარაუდოა, ფრანგული სიმბოლიზმის გარდა, იცნობდა ბგერითი სიმბოლიზმის ანდრეი ბელისეულ გააზრებასაც, რომელიც მის „გლოსალოლიაშიც“ არის წარმოდგენილი (Белый 1922). ხმოვანთა ბუნების საოცარი გამოყენება, სავარაუდოდ, შეპირობებულია როგორც პოეტის ინტუიციით, ისე ხმოვანთა ხასიათის ღრმა ცნობიერი წვდომითაც.

დაბოლოს, ვფიქრობ, რომ ამ პოეტურ ქმნილებაში ჩანს სახარებისეული აღუზიაც, რომელიც ბგერწერით ლოგიკასთან შინაგან კავშირშია. იოანეს სახარების მესამე თავში, ნიკოდემოსის დამისეულ საუბარში მაცხოვართან, ნიკოდემოსი კითხვებს სვამს ხელახალი შობის, ე.ი. ინიციაციის, ხელდასხმის შესახებ და ერთ-ერთი პასუხი, რომელსაც იგი იღებს, გიორგი მთაწმინდლისეულ რედაქციაში, რომელიც დღესაც კანონიკურ ტექსტს წარმოადგენს, ასე ჟღერს:

ინ. 3.8. *სულს ვიდრეცა უნებნ, ქრინ და მა მისი გესმის, არამედ არა იცი, ვინაი მოვალს და ვიდრე ვალს. ესრეთ არს ყოველი შობილი სულისაგან.*

ბერძნულად *სული* და *ქარი* ერთი პოლისემიური სიტყვის: *pneuma*-ს მნიშვნელობებია და ბერძნული ორიგინალი ამ ტექსტისა ასე ჟღერს: *to pneuma hopu thelei pnei*

საინტერესოა, რომ ლათინურშიც ქროლასა და სულს ერთი პოლისემიური სიტყვა გამოხატავს: *spiritus ubi vult spirat*.

ასე რომ, ზედმიწევნითი ქართული თარგმანი ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო: *ქარი... ქრის...* და მართლაც, როგორც ჩანს, უძველესი თარგმანი იყო ზედმიწევნითი და არა ინტერპრეტაციული. ხანმეტ ტექსტებში ეს ადგილი დაცული არ არის, მაგრამ ადიშის ოთხთავში, რომლის ტექსტიც უძველეს თარგმანს უნდა შეიცავდეს, ეს ადგილი ასე არის წარმოდგენილი:

*ქარი, სადაცა უნებს, ქრის, და მა მისი გესმის, ხოლო არა უწყი, ვინაი მოვალნ, ანუ ვიდრე ვალნ. ვერეცა ყოველი შობილი სულისაგან.*

ამგვარად, გალაკტიონის ლექსში ჩანს ალუზია სახარების უძველეს თარგმანსა და ბერძნულ ორიგინალში წარმოდგენილ ტექსტთან: *ქარი ... ქრის... pneuma ...pnei*, რომელიც არ არის წარმოდგენილი კანონიკურ ტექსტში. სახარების რომელ ტექსტებს და გამოცემებს იცნობდა გალაკტიონი? არის ეს ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ნასწავლი ბერძნული სახარების ტექსტის ცოდნა? საყურადღებოა, რომ რუსული სინოდალური თარგმანი *სულზე* ლაპარაკობს ამ ადგილას: *дух бжтвем, зде хочем*; ასე რომ, რუსული ტექსტის გავლენა არ ჩანს სავარაუდო.

ვფიქრობთ, რომ „ქარი ჰქრის...“ გალაკტიონის მისტიკური მიმართულების ქმნილებებს უნდა მივაკუთვნოთ: სულის ძიება, მისი მიღწევის განუხორციელებლობა და კვლავ მარტოობა, მიტოვებულობა, იზოლაცია, თუმცა რჩება ძაფივით წვრილი (*ცა ... სკრის*), ბუნდოვანი (*ნისლიანი*) კავშირი, შეხების ხსოვნა, რომელიც ღრმა მელანქოლიას იწვევს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მელანქოლიურ ტონალობას ქმნის უკანაწარმოების თანხმოვანთა /ქ, გ, კ, ხ, ყ, ჰ, რ<sup>1</sup>/ სიჭარბე და შესაძლებელია, ფშვინვიერთა ნაცრისფერი ფერთი ტონალობა. მართლაც გასაოცარია, რამდენად ადეკვატურია ტექსტის ბგერითი მხარე მისი საზრისისა. აქ სულის ძიება, სულთან შეხება და კვლავ მარტოდ დარჩენა სახეებითაც არის გადმოცემული და ბგერითადაც. „სადა ხარ?“ სულიერ ძალასთან მიმართებით გალაკტიონის სხვა ლექსშიც ისმის: „ო, სად ხარ, სადა, უჩვეულო რაიმე ძალო, სიკარგიელის შავი ნისლი რომ გამაცალო?“ ხოლო სახარების ამ მონაკვეთის გააზრება სულის ძიების მოტივს უშუალოდ ესადაგება: ნიკოდემოსის აღიარებაზე – მოძღვარო, შენ ღვთისაგან ხარ მოსული, რადგან არავის ძაღუმს ასეთი სასწაულების მოხდენა, თუ ღმერთი მასთან არ არის, იესო პასუხად ამბობს: ვინც ხელახლად არ იშვება, ვერ იხილავს ღმერთის სასუფეველს, ე.ი. ღვთაებრივის გაგება მხოლოდ სულიერად შობილს ძაღუმს. ნიკოდემოსის გაოცებაზე – როგორ შეიძლება ხელახალი შობა, იესო პასუხობს: ხორცისგან ნაშობი ხორცია და სულისგან ნაშობი სულია, ნუ გაგიკვირდება, რომ გითხარი: ხელახლა უნდა იშვა და ამას მოსდევს უკვე ჩვენთვის მნიშვნელოვანი პასაჟი: **ქარი ქრის**, სადაც სურს და მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სად მიდის, ასეა ყოველი შობილი სულისგან, ანუ წილნაყარობა აუცილებელია შეცნობისათვის.

გალაკტიონი ეძებს ღვთაებრივთან კავშირს, რომელიც მას ეგზისტენციალურ კითხვებზე პასუხს გასცემდა, სიმარტოვეს დააძლევინებდა, მაგრამ მისი ძიება კვლავ სიმარტოვით მთავრდება.

### 3. პალინდრომი გალაკტიონთან

*ბგერათა სარკისებური ასახვა* არის მეორე მოვლენა, რომლის შესახებაც გვინდა ვისაუბროთ. ბგერათა სარკისებური ასახვა ნაწილობრივ პალინდრომად შეიძლება მივიჩნიოთ. პალინდრომი ძველთაგან ცნობილი ენობრივი ფონოსემანტიკუ-

<sup>1</sup> რ-ს უკანაენისმიერობა პირობითია.



რი თამაშია. პალინდრომებს ვხვდებით ბერძნულად, ლათინურად, სანსკრიტზე, ძველ ებრაულ ენაზე. ტერმინი პალინდრომი შექმნა ინგლისელმა მწერალმა ბენ ჯონსონმა ბერძნული სიტყვებით  $\pi\alpha\lambda\iota\nu$  „უკან“ და  $\delta\rho\iota\mu\omicron\varsigma$  „მიმართულება, გზა“. ძველ ბერძნებს ჰქონდათ საკუთარი ტერმინი პალინდრომისათვის:  $\kappa\alpha\rho\iota\kappa\upsilon\iota\kappa\eta\ \epsilon\pi\sigma\upsilon\rho\alpha\phi\eta$  „კიბოს წარწერა“. პალინდრომულ გამოთქმას ახლაც ხანდახან „კიბოს კანონს“ უწოდებენ. გრიფიტის სახით შესრულებული უძველესი პალინდრომი ნაპოვნია ჰერკულანუმის ნანგრევებში (ყველაზე გვიანდელი თარიღი შეიძლება იყოს ახ. წელთაღრიცხვის 79 წ.). ეს არის პალინდრომული ოთხკუთხედი:  $Sator\ Arepo\ tenet\ opera\ rotas$ .

S	A	T	O	R
A	R	E	P	O
T	E	N	E	T
O	P	E	R	A
R	O	T	A	S

შუაში წარმოქმნილი ჯვრის გამო ფიქრობენ, რომ ეს პალინდრომი კოდირებული ქრისტიანული ნიშანია. საინტერესოა ბიზანტიური ეპოქის პალინდრომი:  $\nu\psi\omicron\nu\ \alpha\nu\omicron\mu\eta\mu\alpha\tau\alpha\ \mu\eta\ \mu\omicron\nu\alpha\nu\ \omicron\psi\upsilon\nu$  „განიბანე ცოდვები და არა მხოლოდ პირი“, რომელიც ბევრი ქრისტიანული ტაძრის ფასადზე იყო გამოსახული; მაგალითად, კონსტანტინოპოლში, წმინდა სოფიას ტაძარზე, მარიამ ღვთისმშობლის ტაძარზე ნოტინგემში, წმინდა სტეფანეს ტაძარზე პარიზში და ბევრ სხვა ეკლესიაზე ლონდონში, ნორფოლკში, ესექსში, ორლენში... პალინდრომული შეიძლება იყოს სიტყვა, ფრაზა, სტრიქონი; არსებობს როგორც ფონეტიკური, ისე გრაფიკული პალინდრომები. ფრაზის დონის პალინდრომის ნიმუშია: *Blessed are they that believe they are blessed*. ჯეიმს ლინდენს ეკუთვნის სტრიქონების დონეზე შესრულებული საკმაოდ გრძელი პალინდრომული ლექსი „ორეული“. ცნობილია მუსიკალური პალინდრომები. პალინდრომულია ჰაიდნის სიმფონია 47, ბელა ბარტოკის ნაწარმოებები, იგორ სტრავინსკის უკანასკნელი ნაწარმოები: „ბუ და კატა“. პალინდრომი ბგერებით და ფრაზებით თამაშია, რომლისადმი ინტერესს იჩენენ პოეტები, მუსიკოსები, ენათმეცნიერები. გავიხსენოთ ფერდინანდ დე სოსიურის, ლინგვისტური სემიოტიკის ფუძემდებლის, ინტერესი ანაგრამებისადმი. პალინდრომი კი ანაგრამის კერძო სახეობას წარმოადგენს. საინტერესოა დღევანდელი ლინგვისტურ-სემიოტიკური ექსპერიმენტები, „ექსპერიმენტული პოეზია“, „ლინგვისტური პოეზია“, რომლებიც ლიტერატურულ ტექსტს ფონოლოგიური ექსპერიმენტის საგნად აქცევენ.

გალაკტიონთან ვხვდავთ როგორც ხმოვნით, ისე თანხმოვნით ნაწილობრივ პალინდრომს. პალინდრომი რომ გალაკტიონისთვის საინტერესო მოვლენას წარმოადგენდა, და ამ ბგერწერით ხერხსაც ის რომ სრულიად ცნობიერად იყენებდა, ჩანს კვლავ სალექსო ზომებისა და საშუალებების მისეულ სიაში, სადაც პალინდრომი მე-17 პუნქტად არის წარმოდგენილი. ეს კარგად ჩანს აგრეთვე პალინ-

დროშულ სიტყვათა და გამოთქმათა სიიდან, რომელიც მის უბის წიგნაკში აღ-  
მოჩნდა:

აბა, იგი, მაგრამ, როგორ, აი ია, აირია, არა, მაკამ	
ამ ჟამათ – თამაშმა	სარკე იმ – მიეკრას
ერების – სიბერე	აი მეფე – ეფეშია
გელვა – ავლეგ	მელამ – მალე
ეკრას – სარკე	ელამი – იმალე
ელვა – ავლე	ეხარხარე – ერახრახე
ავსა – ასვა	ალვა – ავლა
სრა – არს	თარო – ორათ
და რქა – აქ რად	სიმძიმის – სიმი ძმის
იღება – აბელი	ველია – აილეგ
ნიშამ – მაშინ	ისმენ – ნემსი
ჰა იმერი – ირემია	არა ცასაც – ცასაც არა
ასე რადა – ადარესა	სარკე რა – არ ეკრას

(ჯავახაძე 1991:499).

მის ჩანაწერებში ვხვდებით სიტყვებს: „ჩემს მიერ შემოტანილი და გაუმჯო-  
ბესებული იქნა ქართული ლექსის მრავალი ახალი ფორმა, მისი ასონანსები,  
ალიტერაციები, ხმათა მიბაძვა, თეთრი ლექსი, შინაგანი რითმები, პალინდრომები  
და სხვ. და სხვ.“ (ჯავახაძე 1991:498). ცნობილია გალაკტიონის პალინდრომუ-  
ლი ლექსი-სავარჯიშოები:

აი რა მზის სიზმარია,	ის ია თუ ქალაქია,	მაიმედე! ედემი ამ
აირევი, ივერია...	აი ქალა: ქუთაისი,	სანახ სანას!
აი დროშა, აშორდია	ამ ქალაქმა, ამ ქალაქმა,	მაიმედე! ედემი ამ
აერების სიბერეა (1922წ.)	ისიამა ა მაისი.	სანან ნანას!
		მაიმედე! ედემი ამ
		სანაყ ყანას! და სხვა.

თავის შედეგებში კი მან ნაწილობრივ პალინდრომს განსაკუთრებული ძალა  
და აზრი შესძინა. ნათელია, რომ სარკისებური ასახვა ექოს, გათიშულის გამ-  
თლიანების, ნაწილობრივის სრულქმნის ფუნქციით შეიძლება იქნეს გამოყენებუ-  
ლი პოეზიაში. ედგარ პოს ავბედითი ყორანი: *raven* უიმედობის „არასოდეს“ გან-  
წყობაში აირეკლება: *never*. ყორანი (პირქუში იღუმალეა) <=> არასოდეს (უიმე-  
დობა, სასოწარკვეთა). შესაძლებელია გალაკტიონმა იმიტომაც არ დაასრულა  
„ყორანის“ თარგმნა, რომ ქართულად ამ პალინდრომის გადმოტანა ვერ მოხერ-  
ხდებოდა. პალინდრომი იყო ხლებნიკოვის განსაკუთრებული ინტერესის საგანი  
(მაგ. იხ. მისი: *чин зван чином навзничь*). ფუტურისტი ხლებნიკოვი ასე განიცდის

პალინდრომს: „მე იგი გავიგე როგორც მომავლის არეკლილი სხივები, ქვეცნობიერი მე-ს მიერ გონიერ ცაზე გადმოტყორცნილი“ (ЯКОНСОН 1987:322). გალაკტიონთან პალინდრომის ისეთ განცდას, რომელიც აწმყოსა და მომავლის შეხვედრას გამოხატავს, თითქოს ვერ ვხედავთ. გალაკტიონისთვის სარკისებური ასახვა მოვლენათა გამთლიანების, ურთიერთასახვის – განსაკუთრებით ზენასა და ქვენას ერთმანეთში არეკვლის, გამოხატველია.

გალაკტიონთან ვხვდებით ნაწილობრივ პალინდრომებს, როდესაც ერთმანეთში სარკისებურად აისახება ხმოვნების ან თანხმოვნების წყება. მასთან პალინდრომი ზენასა და ქვენას ურთიერთასახვის, იდეისა და რეალიზაციის, ნაწილობრივის გამთლიანების საზრისებს გამოხატავს. პალინდრომულია სათაური ლექსისა: „მე და ღამე“. აქ გვაქვს ხმოვნური სარკისებური ასახვა: ე:ა <:> ა:ე; ღამე სულში ირეკლება, იხედება: მე და ღამე, მე და ღამე! საინტერესოა, რომ ხმოვნითი სტრუქტურა ე:ა, ა:ე რამდენიმე ადგილას იჩენს თავს ამ ლექსში:

*ენლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება...*

*ყველა იცის თეთრმა ღამემ...*

*ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე, მე და ღამე, მე და ღამე!*

პოეტი მარტოა, ღამემ იცის: როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვეწე და ვეწამე, მაგრამ ეს არ არის სრული სიმარტოვე, ეს არის საიდუმლოს მფლობელის სიმარტოვე და მას ჰყავს მესაიდუმლე – ღამე: „ღამემ ... იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ“. ის, რაც „მე და ღამეში“ ხმოვანთა სარკისებური ასახვით არის გამოხატული, „მთაწმინდის მთვარეში“ სიტყვიერად არის გამოთქმული:

*და მე მოკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,*

*ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა.*

ღამემ ... ჩაიხედა : აქაც ა:ე <:> ე:ა ასახვა გვაქვს. ღამესთან ასეთი მიმართება ნოვალისის ღამის ჰიმნებს გვახსენებს. ნოვალისისთვის იდუმალი ღამე სულთან შეხვედრის სფეროა. ასევე ჩანს გალაკტიონისათვისაც. ღამე იხედება სულში, ღამე არის უმინაგანის მესაიდუმლე, რომელმაც იცის ღრმად დაფარული. გალაკტიონს ხშირად პალინდრომი სათაურად გააქვს და ამით ლექსის დაფარულ საზრისს გვიცხადებს. სათაურად გატანილი „მე და ღამე“ პიროვნების გამთლიანების, სულის სამშენველში, ზეციურის მიწიერში ასახვის, დისტანცირების შეერთების მაუწყებელია.

ღამე, როგორც სიკვდილის საუფლო, საოცარი შინაგანი ლოგიკით სიკვდილს გამოიხმობს, ხოლო სიკვდილი კარგავს სიმწვავეს, აღარ არის შიშის მომგვრელი, ვარდისფერი გზაა, სულთან შეხვედრის გზაა:

*თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა,*

სიკვდილის გზა არაა არის, კარდისფერ გზის გარდა.

აქაც ნაწილობრივი სარკისებური ასახვაა: **ზღვამ ... აღზარდა**, ისევე როგორც მომდევნო სტრიქონში: **გზაზე ... ზღაპარია**.

სარკისებური ასახვა გვაქვს ლექსის სათაურში, აქ უკვე სიტყვისა და სიტყვის ნაწილების დონეზე: „*სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში*“ და ბგერითი გამეორება: *სილაჟ... სილაშ*. აქაც ცის სილაჟვარდე, ზეციური – მიწიერში ირეკლება, სილაში ვარდის სახეს იღებს. ამ ლექსის პირველ სტროფში მზე სარკისებურად აისახება სიზმარში: **მზ <:> ზმ** (აქ გვანხენდება მისი პალინდრომული სავარჯიშო: *აი რა მზის სიზმარია*), აგრეთვე ნაწილობრივი ბგერითი სიახლოვით გზა – სიზმარში: **გზ – ზმ**:

*დედაო ღვთისა, მზეო მარია!*  
*როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი*  
*ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია*  
*და შორეული ცის სილაჟვარდე.*

არეკვლა გვაქვს ბოლო სტროფშიც: **და შორეული ცის სილაჟვარდე დ-შ:ლ-ს <:> ს-ლ-ჟ-დ**. თვით სახელიც *მარიაშ* თვითარეკლილია: **მა <:> ამ** და ეს მას სისრულეს, შინაგან მთლიანობას, ჰარმონიას ანიჭებს.

მზის არეკვლა სიზმარში სხვა ლექსებშიც გვხვდება:

*მისი ელამ მზის თვალის ხილება / ხეებს რიდეებს ფენს სიზმარეულს*  
(„ოფორტი“).

„*სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში*“, გარკვეული აზრით, ახლოს დგას „*ქარი ჰქრის...*“ სიღრმისეულ ლოგიკასთან. პოეტი დედაო ღვთისას, მზეო მარიაშს შინაგანი აღსარებით მიმართავს: „*ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაჟვარდე*“. მაგრამ ცა მაინც შორეული რჩება და „*სული ვედრებით განაცები, შენს ფერხთ ქვეშ კვდება, როგორც პეპელა*“. შორეულ ცასთან შეხვედრა მაინც ვერ იქცა რეალობად და პოეტი ამბობს: „*აჰა, მოვედი, გედი დაჭრილი ოცნების ბალით! შეხდე! დასტკბი ყმაწვილურ ბედის დაღლილ ხელებით, წამებულ სახით!*“ სულთან სრული და ჰარმონიული შეერთების მარცხი პირველ ლექსში მელანქოლიას წარმოქმნის, მეორეში კი ჯანყს, აღშფოთებას.

თანხმოვანთა სარკისებური ასახვა გვაქვს სტიქიური ენერგიით აღსავსე ლექსში „*დროშები ჩქარა*“:

*ვათენდა, შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!*  
*დროშები, დროშები, დროშები ჩქარა!*

სიტყვები – *დროშები* და *შეერთდით* კონსონანტურად პალინდრომულია: **შ-რ-დ <:> დ-რ-შ**. შეერთებულებს ესაჭიროებათ გამაერთიანებელი იდეა: დროშა. გაერთიანებული ხალხი ქმნის ჭურჭელს, რომელშიც უნდა შემოვიდეს გაერთიანების საზრისი.

გალაკტიონი თავისი ხელოვნების დიდოსტატი იყო, რომელიც ფლობდა „პარმონიათა ალგებრას“, რომელსაც ხელეწიფებოდა საზრისისა და ბგერის ორგანული შერწყმა. გალაკტიონს გააზრებული ჰქონდა პოეტური ხელოვნების მათემატიკური სიმწყობრე, შემოქმედების თანხმობა კანონზომიერებებთან. ამ თვალსაზრისით მეტყველია მისი გამონხმაურება პუშკინთან. გავისხენოთ პუშკინის გამოთქმა „პარმონიათა ალგებრის“ შესახებ და მისი ფრაზა: „ზეშთავონება თანაბრად საჭიროა როგორც პოეზიაში, ისე გეომეტრიაში“.<sup>2</sup> გალაკტიონიც პოეტსა და გეომეტრს ერთად ახსენებს: „მაგრამ ის მიდის დამშვიდებული, როგორც პოეტი და გეომეტრი“, „რომ უფლება გაქვთ, არ გაირიყოთ, როგორც პოეტი და გეომეტრი“ („ეს იყო ძველი, ნაცნობი აზრი“). პარალელი ორმხრივია: ზეშთავონება ეკუთვნის ორივეს, და ორივეს კანონზომიერებათა დიადი საყრდენი აქვთ სიმშვიდის საფუძვლად. დაბოლოს, გალაკტიონოლოგია ამოუწურავია, რადგან ვისა აქვს ისეთი კულტურული სივრცე, როგორიც ჰქონდა გალაკტიონს? ან ვის შეუძლია დაფარულის იმგვარი წვდომა, როგორიც შეეძლო გალაკტიონს, პოეტური ხელოვნების დიდოსტატს?

### ლიტერატურა

**ახვლედიანი 1949:** გ. ახვლედიანი, *ბგერათმონაცვლეობის ზოგიერთი საკითხი ქართულში, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები*, თბილისი.

**მელიქიშვილი 1976:** ი. მელიქიშვილი, *მარკირების მიმართება ფონოლოგიაში*, თბილისი.

**მელიქიშვილი 1999:** ი. მელიქიშვილი, *ბგერწერითი ლექსიკისათვის ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები*, 3.

**ფოგტი 1961:** ჰ. ფოგტი, *ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა*, თბილისი.

**ქობალავა 1980:** ი. ქობალავა, *ზოგიერთი ტიპის ხმაბადებითი სატყვეების წარმოებისათვის ქართულში, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები*, V, თბილისი.

**ჯავახაძე 1991:** ვ. ჯავახაძე, *უცნობი*, თბილისი.

**ჯავახაძე 1996:** ვ. ჯავახაძე, *უცნობი, აპოლოგია გალაკტიონ ტაბიძისა, ახალი, შევსებული გამოცემა*, თბილისი.

**Белый 1922:** А. Белый, *Глоссалогия, Поэма о звуке*, Берлин.

**Гумбольдт 1984:** В. фон Гумбольдт, *О различном строении человеческих языков и его влиянии на духовное развитие человечества*, Избранные работы по языкознанию, Москва.

**Платон 1968 :** Платон, *Кратил*, Сочинения в трех томах, том 1, Издательство “Мысль”, Москва.

**Якобсон 1985:** Р. Якобсон, *Звук и значение*, Избранные работы, Москва.

<sup>2</sup> ამ ლექსსა და პუშკინის ფრაზასთან ალუზიაზე მიმითითეს მარინე ივანიშვილმა და მარიკა ჯიქიამ თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის მუდმივმოქმედ სემინარზე ამ ნაშრომის მოხსენების სახით წაკითხვის შემდეგ.

**Якобсон 1987:** Р. Якобсон, *Из мелких вещей Велимира Хлебникова*, “Ветер-Пение”, Работы по поэтике, Москва.

**Jakobson 1962:** R. Jakobson, *Retrospect*, Selected Writings, vol. I, 'S-Gravenhage.

**Kirchner-Bockholt 1962:** M. Kirchner-Bockholt, *Grundelemente der Heileurythmie*, Dornach.

*Irine Melikishvili*

### **Sound Symbolism in the Poetry of Galaktion Tabidze**

#### **Summary**

In the article some poems of Galaktion Tabidze are discussed from the viewpoint of sound symbolism and palindrome. The dominant consonantal phonetic features of the poem „kari hkris...” (“The wind blows...”) are the aspiration and back articulation (compactness). Three periods of the poem show the dominance of different vowels: **a**, **o** and **i**; An attempt is made to bring these phonetic peculiarities in connection with the content and mood of the poem.

Some cases of partial palindrome are also revealed in different poems of Tabidze, which reflect the interrelationship of the events involved.

## ენანტიოსემია ქართულში

(II ნაწილი)

3.1. ცერუტის წიგნის შემდეგ, მე-20 საუკუნის ბოლომდე, ენანტიოსემიას მხოლოდ სპორადულად თუ ექცეოდა ყურადღება. აქ შეიძლება ვახსენოთ რამდენიმე წერილი, მათ შორის კარინ ჰელერის მოკლე სტატია (Heller 1976). ეს სტატია ეხება მონათესავე ენებში ერთი და იმავე ძირის მქონე სიტყვების ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებს. მაგალითად, *caldo* იტალიურში ნიშნავს *თბილს*, ხოლო მსგავსი ბგერადობის მქონე გერმანული *kalt ცივს* ნიშნავს. ამ სიტყვის გამო იტალიაში გერმანულ ტურისტებს პრობლემები აქვთო, შენიშნავს ავტორი. პრობლემები აქვთ იტალიელ მუშებსაც გერმანიაში, რადგან სიტყვა *Tempo* მათთვის *ნელა-სთან* ასოცირდება, მაშინ როცა გერმანელებისთვის ეს სიტყვა *ჩქარა-ს* უკავშირდება. კიდევ ერთი მაგალითი მოჰყავს ავტორს ახალი ირლანდიურიდან, რომელშიაც *freagra* ნიშნავს *ასუსტს* და არა *შეკითხვას* (შდრ. გერმანული *Frage კითხვა, შეკითხვა*), რაც ირლანდიელ სტუდენტებში ზოგჯერ დაბნეულობას იწვევსო. მსგავსი მაგალითები ძირითადად მონათესავე ენებში გვხვდება. ასეთ შემთხვევებში ლაპარაკია ენათმეცნიერების ენანტიოსემიაზე (Heller 1976:211-212).

ჰელერის მიერ მოყვანილ მაგალითებს კიდევ ბევრი მსგავსი ენანტიოსემია შეიძლება დამატოს, მაგალითად, *urod* სიტყვის მნიშვნელობები რუსულსა (მახინჯი) და პოლონურში (ლამაზი). ამგვარ მაგალითებს მოიცავს აგრეთვე დანიელ ბუნჩიჩის წერილი (Бунчич 2004). მოვიყვანოთ რამდენიმე მათგანი: რუსული *запомнить* (დამახსოვრება) და პოლონური *zapomnieć* (დავიწყება); რუს. *вонь* (ცუდი სუნი, სიმყრალე) და პოლ. *won'* (არომპატი, სურნელი); რუს. *криминалист* (კრიმინოლოგიის (სისხლის სამართლის) სპეციალისტი) და პოლ. *kryminalista* (სისხლის სამართლის დამნაშავე) (Бунчич 2004:208).

იმავე წელს და იმავე კრებულში, სადაც ჰელერის წერილი დაიბეჭდა, გამოქვეყნდა აგრეთვე ვოლფგანგ მაიდის სტატია “შენიშვნები ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობების შესახებ” (Meid 1976:239-248). წერილის ავტორი მიიჩნევს *Gegensinn*-ს ანუ ენანტიოსემიას (ამ ტერმინს ის არ ხმარობს) მხოლოდ შემთხვევით მოვლენად, რომელიც ზოგადად ენის ბუნებას ეწინააღმდეგება. ის აცხადებს, რომ ენის სინქრონიულ სისტემაში ხანგრძლივი ვადით ჭეშმარიტი *Gegensinn*-ის არსებობა, რომლის დროსაც ერთი ნიშანი ორ, ლოგიკურად კონტრარულ, ურთიერთგამომრიცხავ შინაარსს მოიცავს, შეუძლებელია, რადგან ეს

ხელს შეუშლიდა ენის საკომუნიკაციო ფუნქციას, რომელიც ყოველთვის გაგებინებისაკენაა მიმართული (Meid 1976: 246).<sup>1</sup>

3.2. მე-20 საუკუნის 70-იან, 80-იან წლებში ენანტიოსემიას რუსეთშიაც მიედგვნა რამდენიმე სტატია, რომელთა შორის გამოირჩევა **ი. გორელოვის** წერილი (Горелов 1986).

გორელოვი თავის სტატიაში იხილავს ჰეგელის გამონათქვამს იმის შესახებ, რომ გერმანულ ენას უპირატესობა აქვს სხვა ენებთან შედარებით, რადგან მასში ზოგ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ განსხვავებული, არამედ ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებიც კი. შემდეგ ენანტიოსემის მაგალითად მას მოჰყავს რუსული სიტყვა **лихой** (*плохой, дурной*) *ცული* vs. (*удалой, смелый*) *ყოჩალი*, *მაჰაცი*,<sup>2</sup> რომლიდანაც ჩანს, რომ ამ სიტყვის უარყოფითი მნიშვნელობა დროის განმავლობაში დადებითი მიმართულებით განვითარდა (სიტყვაში მელიორატიული მნიშვნელობის განვითარების მაგალითი).

ენანტიოსემიის მაგალითებია გორელოვთან: **бесценный** (*имеющий очень высокую цену*) vs. (*не имеющий никакой цены*), **блаженный** (*больной, несчастный*) vs. (*в высшей степени счастливый*).

ავტორს გერმანული ენის მაგალითებიც აქვს მოყვანილი, კერძოდ, ზმნები:

abdachen *სახურავის დახურვა* vs. *სახურავის მოხსნა*, ახდა,  
abfischen *თევზის ჭერა* vs. *თევზის ჭერის შეწყვეტა*,  
abfetten *ცხიმით გაჟღენთვა* vs. *ცხიმისაგან გასუფთავება*,  
abfeuern *ცეცხლის გახსნა* vs. *ცეცხლის შეწყვეტა* და სხვ.

გორელოვი მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს პრეფიქსის (ab) დესემპტიზაციას.

შემდეგ ავტორს არსებითი სახელების მაგალითები მოჰყავს. კერძოდ, მისი მაგალითია **ძალღი**, როგორც ადამიანის *მეგობარი* (დადებითი ანუ მელიორატიული მნიშვნელობა, უფრო სწორედ, კონოტაცია) და როგორც *მტერი* („ძალღს ძალღური სიკვდილი!“ – უარყოფითი ანუ პეიორატიული მნიშვნელობა). მსგავს მაგალითებს ის ენანტიოსემიურ ოკაზიონალიზმებს უწოდებს. შეიძლება ჯობდა, შემთხვევითი ან ოკაზიონალური ენანტიოსემია ეწოდებინა.

თავისი სტატიის მეორე ნაწილში გორელოვი მსჯელობს ენობრივი მნიშვნელობისა და ენობრივი ფორმის ურთიერთმიმართებაზე, ზოგადად შინაარსისა და ფორმის ურთიერთმიმართების ფილოსოფიურ საკითხზე და ცდილობს, მარქსის-

<sup>1</sup> “Wirklicher Gegensinn, bei dem ein Zeichen zwei logisch konträre, sich gegenseitig ausschließende Inhalte umfassen würde, ist im synchronen System einer Sprache auf längere Sicht nicht möglich, da dies die kommunikative Funktion der Sprache, die ja auf Verständigung zielt, schwer beeinträchtigen würde”.

<sup>2</sup> მაგალითი აღებულია კრისინის ენციკლოპედიიდან: Крысин Л. П., Энантисемия. В кн.: Энциклопедический словарь юного филолога. М., 1984.



ტული ახსნა დაუძებნოს ზოგადად სემანტიკურ ცვლილებებს ენაში, უფრო ვიწროდ კი – ომონიმისა და ენანტიოსემიის განვითარებას.

**3.3.** იტალიურში ენანტიოსემების შესახებ სტატია ჯვულიო **ლეპსის** ეკუთვნის. მისი ნაკვლევი წარმოდგენილია მცირე მოცულობის წერილში: „ენანტიოსემია და ირონია იტალიურ ლექსიკაში“ (Lepschy 1980:82-88).<sup>3</sup>

ლეპში ამბობს, რომ იტალიურში დაახლოებით 170 ენანტიოსემა აღმოაჩინა და გამოყოფს ენანტიოსემათა სამ ჯგუფს: ერთს ზოგადს, რომელსაც ის კონტრარარულს უწოდებს და ორ მცირე ჯგუფს, ერთს – კონტრადიქტორულს და მეორეს – ასიმეტრიული მიმართებებისას.

**კონტრარარულის მაგალითებად ლეპსისთან დასახელებულია:**

Fortuna *ბედი* vs. *უბედობა* (არქაული მნიშვნელობა),  
accelerato *ჩქარი* vs. *ნელი* (მატარებელზე ითქმის),  
barone *კეთილშობილის წოდება* vs. *მდაბიო პიროვნება*,  
feriale *სამუშაო დღე* vs. *არდადეგები* (ისტორიულად),  
fascino *მომხიბლავი, მშვენიერი* vs. *ბოროტი ჯადო*,  
alto *მაღალი* vs. *ღრმა*,  
apparente *მოჩვენებითი* vs. *ნათელი*,  
appezzare *ნაკუწების შეერთება, შეკოწიწება* vs. *ნაკუწებად დაყოფა*,  
avanti *წინ* vs. *შემდეგ* და სხვ.

**ლეპში მეორე ჯგუფის ანუ კონტრადიქტორულ მაგალითებად მიიჩნევა:**

immisto *შერეული* vs. *შეურეველი*,  
immutato *შეცვლილი* vs. *შეუცვლელი*,  
infrangibile *გაუტეხავი* vs. *თეხადი*.

**მესამე ანუ ასიმეტრიული მიმართების ჯგუფში ლეპში განიხილავს კონვერსივებს:**

ospite *სტუმარი* vs. *მასპინძელი*,  
apprendere *სწავლა* vs. *სწავლება*.

ლეპსის აზრით, იტალიურში ენანტიოსემათა ძალიან ბევრი მაგალითი შეიძლება ირონიული ხმარებით აიხსნას. ნებისმიერმა სიტყვამ ირონიული ხმარების დროს შეიძლება მიიღოს საპირისპირო მნიშვნელობა, მაგრამ შეიძლება ინტერესს მოკლებული არ იყოს ის, რომ ზოგი სიტყვა უფრო ხშირად იხმარება ირონიულად, ამბობს ლეპში და ჩამოთვლის ზმნებს, არსებით სახელებს, ზედსართავებს, რომლებიც, მისი აზრით, ადასტურებენ იმ ზოგად ინტუიციას, რომლის მიხედვითაც ივარაუდება, რომ უმეტეს შემთხვევაში ადამიანები კარგ, დადებით სა-

<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ ამავე ავტორს ეკუთვნის აბელის შრომასთან მიმართებაში ფროიდის ნაზრევის დეტალური განხილვა: Lepschy, Giulio C.: Freud, Abel e gli opposti. In: Sulla linguistica moderna. Bologna: Mulino, 1989, 349-378.

ხელებს არქმევენ ცუდ, უარყოფით საგნებსა და მოვლენებს (= სიტყვებში პეიორატიული მნიშვნელობის განვითარება).

**3.4.** განსაკუთრებული ყურადღება ენანტიოსემიას (ისე რომ ეს ტერმინი არ უხმარია) მიაქცია მე-20 საუკუნის ბოლოს ცნობილმა გერმანელმა ლექსიკოლოგმა და სემანტიკოსმა პეტერ როლფ **ლუტცაიერმა**, რომელმაც 1997 წელს ამ საკითხს სპეციალური წერილი მიუძღვნა (Lutzeier 1997).

აღსანიშნავია, რომ წერილის დასაწყისშივე ავტორი აცხადებს, რომ მან ვერ შეძლო ინგლისურენოვან ლიტერატურაში გერმანული Gegensinn-ის შესაბამისი ტერმინის მოძიება. ამასვე იმეორებს ის თავისი, 2007 წელს გამოცემული, ლექსიკონის შესავალში (Lutzeier 2007:XXXIII), რაც მართლაც საკვირველია, რადგან ძნელია იმის ახსნა, რომ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რაც ავტორი ამ პრობლემით იყო დაინტერესებული, რასაც მისი შრომებიც მოწმობენ (იხ., მაგალითად, Lutzeier 2001), მან ვერ მიაკვლია ტერმინს **ენანტიოსემია**, რომელსაც იყენებენ არა მხოლოდ რუსი, არამედ აგრეთვე ამერიკელი, იტალიელი თუ პოლონელი მკვლევრები, არაფერი რომ არ ვთქვათ Matthews-ის ლინგვისტურ ლექსიკონზე.

ლუტცაიერი თავის სტატიაში მოკლედ მიმოიხილავს საკითხის ისტორიას, იგი ახსენებს აბელს, კრონასერს (როგორც უკვე აღვნიშნეთ, კრონასერს თავის წიგნში მართალია, გაკვრივ, სქოლიოში, მაგრამ მაინც ნახსენები აქვს ტერმინი ენანტიოსემია, რაც ლუტცაიერს შეუმჩნეველი დარჩენია), სცადროვსკისა და მაიდს. დანარჩენ შრომებს ამ საკითხის ირგვლივ ის, როგორც ჩანს, არ იცნობს. Gegensinn-ის შესახებ ის წერს, რომ ეს ტერმინი, გრიმების ლექსიკონის მიხედვით, პირველად მე-17 საუკუნეში გვხვდება, განსაკუთრებით ხშირად კი იხსენიება მეთვრამეტე საუკუნეში, კერძოდ კი გოეთესთან. ლუტცაიერი ეთანხმება პაულს, რომელიც თავის ლექსიკონში აღნიშნავს, რომ Gegensinn ფრანგული contresens-ის თარგმანია. პაულთან გვხვდება აგრეთვე სიტყვა Januswort, რომელიც, ისევე როგორც Gegensinn, ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვას აღნიშნავს. ლუტცაიერი ლაპარაკობს სიტყვის მნიშვნელობის ორი ურთიერთსაპირისპირო ანუ ოპოზიციური ვარიანტის, Lesart-ის არსებობაზე (ტერმინ Lesart-ის ფარდად რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში *ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი* იხმარება).

ოპოზიცია, დაპირისპირებულობა, კონტრასტი, პოლარულობა – ყველა ეს ტერმინი გულისხმობს ბინარულობასა და ურთიერთდაპირისპირებულობასო, – აღნიშნავს ლუტცაიერი. მისი აზრით, სიტყვის მნიშვნელობის ორ ვარიანტს უნდა ჰქონდეს საერთო ფონი (Hintergrund ანუ common sense), რომელიც (ტრუბეტკოის მიხედვით), არის შედარების საფუძველი ანუ “Vergleichsgrundlage”. ამ საერთო ფონს ლუტცაიერი ასპექტს უწოდებს. ამრიგად, ასპექტი წარმოადგენს იმ სემანტიკურ სფეროს, რომელშიაც თავსდება სიტყვის მნიშვნელობის საპირის-

პირო ვარიანტები. ასპექტის ფონზე ვლინდება ვარიანტებს შორის მინიმალიზებული სხვაობა, როგორც ფიგურა.

ლუტცაიერი ეთანხმება აბელს, რომელიც გახაზავდა, რომ საგნების თვისებები და თავად საგნებიც მათი საპირისპირო თვისებებისა და საგნებისგან გამოცალკევების გზით შეიძლება. “Omnis determinatio ist negatio” ყოველი დეფინიცია (განსაზღვრა) არის უარყოფა – ეს სპინოზას სიტყვებია, რომლის ციტირებასაც ლუტცაიერი მიმართავს.

პრინციპში თავის სტატიაში ლუტცაიერი ახალს არაფერს ამბობს, საკითხის განხილვისას ის მხოლოდ ცდილობს თანამედროვე კოგნიტიური სემანტიკის ტერმინოლოგიის გამოყენებას.

მაგალითებს ლუტცაიერი ასახელებს კრონასერიდან (იხ. ზემოთ მაგალითები: ლათ. ferre და valetudo), ასევე კლუგეს ეტიმოლოგიური ლექსიკონიდან: ზედსართავი unternetzt, რომელიც ნიშნავდა ძლიერს, მაღალს, კუნთოვანს და რომელმაც შემდგომში განივითარა მნიშვნელობა სქელი, დაბალი. ამ მაგალითებს ლუტცაიერი უწოდებს Gegensinn-ს დიაქრონიაში.

სინქრონიაში Gegensinn-ის მაგალითად მას მოჰყავს ზმნა geisten (მე-16 საუკუნე). ამ ზმნის მნიშვნელობის ერთი ვარიანტია: სულის ქონა, სიცოცხლე, ხოლო მეორე ვარიანტია: სიკვდილი.

ამავე რიგს ანუ Gegensinn-ს სინქრონიაში ეკუთვნის ინგლისური მაგალითი, რომელიც Matthews-ის ლექსიკონშიაც გვაქვს: to dust.

შემდეგ ლუტცაიერი სვამს კითხვას, არსებობს თუ არა პრინციპული თეორიული საფუძველი იმისათვის, რომ სკეპტიკურად განვეწყვოთ ბუნებრივ ენაში ამგვარი მოვლენის არსებობის მიმართ, და სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ ბინარულობის პრინციპი ჩვენი აზროვნებისა და საქმიანობის საფუძველია, რომ დაპირისპირულობათა ერთიანობა ზოგჯერ ყოველდღიურობაშიაც ვლინდება და ამდენად სკეპტიციზმის საფუძველი არ ჩანს.

ლუტცაიერი განსაკუთრებით გახაზავს იმას, რომ ორი საგნის დიფერენცირება ნებისმიერად კი არ ხდება, არამედ მათი, ამ ორი საგნის, კავშირის საფუძველზე. ისინი ელემენტარულად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, ერთი მხარის გარეშე წარმოუდგენელია. რომელი წაკითხვა იგულისხმება კონკრეტულ საკომუნიკაციო აქტში – ეს კონტექსტიდან გამოჩნდება. ამიტომ ერთ ფორმაში მათი გაერთიანება ბუნებრივი ენისთვის უცხო არ უნდა იყოს.<sup>4</sup> იმის საილუსტრაციოდ, რომ ორ საპირისპირო მოცემულობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, ლუტცაიერი მიმართავს სიტყვების ირონიული ხმარების შემ-

<sup>4</sup> „Wir haben es bei der Erscheinung „Gegensinn“ nicht mit einer beliebigen Differenzierung zweier Dinge zu tun. Die differenzierten Dinge scheinen vielmehr in elementarer Weise gegenseitig aufeinander angewiesen zu sein – eins ist ohne das andere nicht denkbar – und schöpfen normalerweise einen gemeinsamen Rahmen untereinander aus. Welche Lesart nun im konkreten Kommunikationsakt gemeint ist, sollte sich, wie in allen anderen Fällen von Mehrdeutigkeit durch den sprachlichen und nicht-sprachlichen Kontext ergeben.“ (Lutzeier 1997: 384).

თხვევებს, რომლებიც ასევე დაპირისპირებულობის პრინციპს ეყრდნობა, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ აქ ენის სემანტიკურ დონესთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ პრაგმატულთანო.

ზემოთ განხილული სტატიის გამოქვეყნებიდან 10 წლის შემდეგ დაიბეჭდა ლუტცაიერის გერმანული ენის *Gegensinn*-ების ლექსიკონის პირველი ტომი (Lutzeier 2007), ლექსიკონს წამძღვარებული აქვს ავტორის შესავალი წერილი, რომელშიაც ძირითადად გადმოცემულია მისი ადრინდელი სტატიის დებულებები, კერძოდ, გამეორებულია *Gegensinn*-ის განმარტება, რომელიც ადრე ავტორს თავის სტატიაში ჰქონდა მოცემული: ლუტცაიერისთვის *Gegensinn* არის „პოლისემიური სიტყვის ანუ პოლისემიური ლექსიკური ერთეულის თვისება – ოპოზიციური აზრების ქონა, ისე რომ ოპოზიციური აზრები ერთმანეთის მიმართ კონტრარული იყოს“. კონტრარულობის თვისების ქონა კი ნიშნავს შემდეგს: A და B მნიშვნელობებისათვის (ვარიანტებისათვის) უნდა იყოს მართებული: როცა A, მაშინ – B, ხოლო როცა B, მაშინ – A. შემდეგ ის განმარტავს კონტრადიქტორულობას, რომელიც წარმოადგენს კონტრარულობის კერძო შემთხვევას და უფრო აზუსტებს *Gegensinn*-ის (ანუ ენანტიოსემიის) ცნებას. კონტრადიქტორულია A და B მაშინ, თუ როცა A, მაშინ – B, და თუ B, მაშინ – A, და დამატებით: როცა – A, მაშინ B, და თუ – B, მაშინ A. კონტრადიქტორულ მაგალითებად ლუტცაიერი ასახელებს **დღესა და ღამეს**, კონტრარულის მაგალითებად – **ცხელსა და ცივს**. შემდეგ ის ახასიათებს *Gegensinn*-ის ხუთ ტიპს. ეს ტიპებია:

შეუთავსებადი ტიპის (*Gegensinn inkompatible Art*): ამ ტიპის მაგალითად მოჰყავს ზმნა *einstellen*, რომლის მნიშვნელობის ორი ვარიანტია (*Lesart*) შესაძლებელი საერთო ასპექტის (*მოქმედება Handlung*) ფონზე: 1. ვარიანტი: *შეწყვეტა, დამთავრება, დასრულება* წინადადებაში *Die Firma stellt die Produktion der Hemden ein* *ფირმა წყვეტს (ამთავრებს) პერანგების გამოშვებას* და 2. ვარიანტი: *დაწყება*, წინადადებაში *Die Firma stellt 100 neue Leute ein* *ფირმა ასაქმებს (შეშობას აწყობინებს) 100 ახალ ადამიანს*. გარკვეული მოქმედების დასრულება და ახლის დაწყება ერთმანეთის მიმართ კონტრარულ ოპოზიციას ქმნის.

შეუთავსებადობის ტიპის მეორე მაგალითად ლუტცაიერი ასახელებს წინდებულს *für* (თანდებული -თვის ქართულში) და მოჰყავს მისი მნიშვნელობის ორი ვარიანტი ასპექტის (*მიზანმიმართულება Finalität*) ფონზე. 1. ვარიანტი: *რაღაცისთვის, რაღაცის გულისათვის* წინადადებაში *Treppensteigen ist gut für die Gesundheit* *კიბეზე ასვლა კარგია ჯანმრთელობისთვის* და 2. ვარიანტი: *რაღაცის წინააღმდეგ, რაღაცის მოსაშორებლად*. მაგალითად, წინადადებაში: *nimm diese Tropfen für die Augenbeschwerden* *ჩაიწვეთე ეს წვეთები თვალების ავადმყოფობისთვის*, ანუ პირველ შემთხვევაში ლაპარაკია დადებითი მიზნის მიღწევაზე, მეორეში კი უარყოფითი რაღაცის მოშორებაზე. ჩვენი აზრით, აქ *Gegensinn*-ს არა აქვს ადგილი, აქ მთლიანობაში სიტუაცია ერთნაირია, პირველ შემთხვევაში გვაქვს მოქმედება ჯანმრთელობის მიღწევის-თვის, ანუ დადებითი (+) რაღაცისთვის, ხოლო მეორე შემთხვევაში მოქმედება სრულდება ავადმყოფობის (უარყოფითის)

მოშორების-თვის ანუ უარყოფისთვის, რაც ლოგიკურად ისევ დადებითს იძლევა (-) და (-) = (+), ხოლო -თვის თანდებულის (გერმანულში წინდებულის für) მნიშვნელობა არ იცვლება და ამდენად მისი მნიშვნელობის ორ ურთიერთსაპირისპირო ვარიანტზე ლაპარაკი გაუმართლებლად მიგვაჩნია.

Gegensinn-ის მეორე ტიპი არის ანტონიმური ტიპის (Gegensinn antonymischer Art), რომლის დროსაც საქმე გვაქვს რაიმე გრადაციის მქონე თვისების გამოხატვასთან. პრაქტიკულად ეს ტიპი ზედსართავი სახელებით შემოიფარგლება. ლუტცაიერს მოჰყავს მაგალითად ზედსართავი elend (Raribuli, *საცოდავი*), რომლის მნიშვნელობის ორი საპირისპირო ვარიანტია შესაძლებელი ასპექტ *მოცულობის* (Ausmaß) ფონზე. 1. ვარიანტი: *ღარიბული, უბედრული* წინადადებაში Sie führt am Rande der Gesellschaft ein elendes Auskommen *მას ძლივეძლივობით გააქვს თავი საზოგადოების მიღმა არსებობით*. 2. ვარიანტი: *განსაკუთრებით დიდი, ძლიერი* წინადადებაში: Sie leidet unter elenden Kopfschmerzen *ის იტანჯება სულ უფრო მზარდი (ძლიერი) თავის ტკივილებისაგან*.

მესამე ტიპს ლუტცაიერი კომპლემენტარულს (Gegensinn komplementärer Art) უწოდებს. ასეთ შემთხვევაში სიტყვის მნიშვნელობის ორი ვარიანტი ერთმანეთის მიმართ კონტრადიქტორულია. მაგალითად მოჰყავს წინდებული um (*გარშემო, ირგვლივ*) ასპექტის (*სივრცეში ადგილის Lokalität*) ფონზე. 1. ვარიანტი: *ტრაექტორია (ტერიტორიის ფარგლებს გარეთ)* წინადადებაში: Weiden stehen um den Teich *ტირიფები დგანან გუბურის გარშემო*. 2. ვარიანტი: *ტრაექტორია (ტერიტორიის ფარგლებში, შიგნით)* წინადადებაში: Sie schwimmt um den Teich *ის დაცურავს გუბურაში, მის გარშემო*.

მეოთხეა კონვერსიული ტიპის დაპირისპირება (Gegensinn konverser Art). ამგვარი ტიპის შემთხვევაში ერთი სიტყვის მნიშვნელობის ვარიანტები ერთმანეთის მიმართ კონტრარულნი არიან და მათი თანაარსებობა მხოლოდ არგუმენტების პოზიციების გაცვლისას არის დასაშვები. ამ ტიპის მაგალითია ზმნა leihen *სესხება*, რომელიც ასპექტ *გადატანის* (Transfer) ფონზე მნიშვნელობის ორ საპირისპირო ვარიანტს უშვებს: 1. ვარიანტი: verleihen – an jemanden geben *ასესხებს – ვიღაცას აძლევს* და 2. ვარიანტი: von jemandem übernehmen *ვიღაცისგან იღებს, იბარებს*.

დაბოლოს, მეხუთე ტიპია Gegensinn reversibler Art ანუ შექცევადი (ან უკუქცევითი) ტიპის ენანტიოსემია, რომლის მაგალითად ლუტცაიერს მოჰყავს ზმნა aufrollen-ის მნიშვნელობები: 1. ვარიანტი – (zusammenfassen *ერთად შეკრება, შეკვრა*) წინადადებაში: Der Film muss erst aufgerollt werden *ფილმი ჯერ უნდა გადაახვიონ*. 2. ვარიანტი – (auflösen *გაფანტვა, გაშლა*) Der rote Teppich ist für den Staatsbesuch aufgerollt *წითელი ხალიჩა სახელმწიფო ვიზიტისთვის უნდა გაიშალოს*.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ არის წარმოდგენილი ლუტცაიერის ლექსიკონში თითოეული სალექსიკონო სტატია.

ყოველ მათგანთან, პირველ რიგში, მითითებულია მეტყველების ნაწილი, რომელსაც ის ეკუთვნის (ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით, ანუ: არს. სახელია, ზმნა თუ ა.შ.), შემდეგ მითითებულია როგორ Gegensatz-თან გვაქვს საქმე: ინტრადომენურთან თუ ინტერდომენურთან. დომენი არის სემანტიკის სფერო ან სივრცე, რომლის ფარგლებშიც თავსდება სალექსიკონო ერთეულის მნიშვნელობები. ინტრადომენური ნიშნავს ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებს ერთი რომელიმე სფეროს ფარგლებში, მის შიგნით, ხოლო ინტერდომენური – სხვადასხვა სფეროებში ანუ ერთი სემანტიკური სივრცის გარეთ.

ამის შემდეგ განსაზღვრულია ასპექტი, ანუ ის სემანტიკური სფერო, რომელშიაც თავსდება მოცემული სალექსიკონო ერთეულის მნიშვნელობის ურთიერთსაპირისპირო ვარიანტები. ასპექტი ლუტცაიერთან შეიძლება ძალიან ზოგადი იყოს, მაგალითად, ენტიტეტი (საგანი),<sup>5</sup> ზოგჯერ კი – სპეციფიკური, მაგალითად, სივრცე, ცოცხალი არსება. ზოგ შემთხვევაში ასპექტი არის დომენის იდენტური და მაშინ საქმე გვაქვს ინტრადომენურ Gegensatz-თან.

შემდეგ ლექსიკურ ერთეულთან მითითებულია მისი მნიშვნელობის 1. ვარიანტი, (ლუტცაიერთან 1.) შესაბამისი განმარტებით, რომელსაც მოსდევს 2. ვარიანტი (L 2.) ასევე შესატყვისი ახსნით.

ამას მოსდევს მნიშვნელობის თითოეული ვარიანტის მაგალითები, ანუ ამ ვარიანტისთვის დამახასიათებელი, ტიპური სინტაქსური მოდელი. შემდეგ კი ვარიანტების საილუსტრაციოდ მოყვანილია მაგალითები სხვადასხვა ხასიათის ტექსტებიდან, მხატვრული ლიტერატურიდან ან მედიასაშუალებებიდან.

შემდეგ განისაზღვრება ვარიანტების დაპირისპირებულობის პრინციპი, Gegensatz-ის ტიპი და სულ ბოლოს სიტყვის ორაზროვნების (Ambiguität) საკითხი.

ლექსიკონში, სალექსიკონო ერთეულის თვალსაჩინოდ წარმოდგენის მიზნით, ლუტცაიერს მოჰყავს ერთი ლემის მაგალითი, რომელსაც ჩვენც მოვიყვანთ ((Lutzeier 2007:XXVI):<sup>6</sup>

- (P1) – abdecken – ლემა;
- (P2) – Verb (trennbar) – მეტყველების ნაწილი, ზმნა;
- (P3) – intradomene Gegensatz – ინტრადომენური ენანტიოსემია;
- (P4) – Aspekt A = “Handlung” – ასპექტი „მოქმედება“;
- (P5) – L1: bloblegen, indem man etwas entfernt, “abräumen” – „გადახსნა, გადაშლა, როცა რაღაცას აშორებ – ალაგებ“;
- (P6) – L 2: schützen, indem man etwas auflegt – “zudecken” – „დაცვა, დაფარვა, როცა რაღაცას ადებ – აფარებ, ფარავ“;
- (P7) – L1-ის მაგალითები: Das Dach wird abgedeckt „სახურავი აიხდება“; Der Tisch wird abgedeckt – „მაგიდა ალაგდება“;

<sup>5</sup> ენტიტეტის განსაზღვრება იხ. Lyons-თან (Lyons 1977:462).

<sup>6</sup> შენიშვნა: P-თი ავტორი სალექსიკონო ერთეულისა და მის განსაზღვრებათა პოზიციებს აღნიშნავს.

- (P8) – L2-ის მაგალითი Das Blumenbeet wird (mit einer Plane) abgedeckt – „საყვავილე (ბრეზენტით) გადაიფარება“;
- (P9) – L1-ის მაგალითები მხატვრული ლიტერატურიდან;
- (P10) – L2-ის მაგალითები ლიტერატურიდან;
- (P11) – ურთიერთდაპირისპირების პრინციპი: (offenlegende) Wegnahme „(ლიად დატოვება) მოშორება, წაღება“ vs. (schützende) Hinzugabe „(დამცავი) დამატება, დართვა“;
- (P12) – Gegensatz-ის ტიპი: შექცევადი ანუ უკუქცევითი (Gegensinn reversibler Art);
- (P13) – ორაზროვნების საკითხი: პოტენციური ორაზროვნება ახასიათებს, მაგალითად, წინადადება der Tisch wird abgedeckt ორაზროვანია. შეიძლება გავიგოთ, როგორც სუფრის გაშლა ან როგორც სუფრის ალაგება (Lutzeier 2007:XXVI).

ლუტცაიერის ლექსიკონის I ტომის (A-G) მოცულობა, თუ მის დანართებს არ ჩავთვლით, 709 გვერდია. სულ ახლახან (2012 წ.) გამოვიდა II ტომიც (H-Q), რომელიც მოცულობით 800 გვერდს აჭარბებს.

ჩვენი აზრით, ლუტცაიერის ლექსიკონის ორივე ტომი მოიცავს ბევრ ისეთ სალექსიკონო სტატიას, რომელთა ჩათვლა ენანტიოსემებად ნამდვილად ჭირს. ეს კი იმის ბრალია, რომ ავტორმა დაივიწყა ოპოზიციურობის მთავარი ნიშნები, კერძოდ, მისი ბინარულობა და საპირისპირო პოლუსების არსებობა (იხ. აბულაძე / ლუდენი 2013:17-18), დაივიწყა აგრეთვე საკუთარი შეხედულება Gegensatz-ის შესახებ და ისეთი სიტყვები შეიტანა ლექსიკონში, რომელთა მიჩნევა ენანტიოსემებად ენობრივი აღლოს ან საღი აზრის მიხედვით არ არის გამართლებული.

როგორც Cruse შენიშნავს, ენობრივი აღლო ან საღი აზრი ადვილად არჩევს ოპოზიტებს, თუმცა მისი მეცნიერული განსაზღვრა არ არის ადვილი (Cruse 1986: 200). ლუტცაიერი შეეცადა მეცნიერულად მიდგომოდა თავის ამოცანას და შედეგად მივიღეთ ბევრი, საღი აზრისთვის მიუღებელი, ენანტიოსემის ჩამონათვალი.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ლუტცაიერის ლექსიკონიდან:

Esel – „კირი პირველადი მნიშვნელობით „ძუძუმწოვარა ცხოველი“ “Säugtier” და მისი მეტაფორული მნიშვნელობა „სულელი“ “Dummkopf” (შდრ. ქართულში „ჯიუტი“) ლუტცაიერს შეტანილი აქვს თავის ლექსიკონში, როგორც Gegensatz-ის მაგალითი. ურთიერთდაპირისპირებულობის პრინციპად მას ამ შემთხვევაში მიაჩნია: *ადამიანი vs. ცხოველი*. ამავე პრინციპზე დაყრდნობით ენანტიოსემად მიიჩნევს ის აგრეთვე სიტყვას Eule მნიშვნელობებით „ბუ“ და „მახინჯი, უშნო ქალი“.

სიტყვის მეტაფორული ხმარების ენანტიოსემებად მიჩნევის ბევრ სხვა მაგალითსაც შევხვდებით ლუტცაიერის ლექსიკონში. ზემოთ მოყვანილ ბოლო მაგალითის რაც შეეხება, უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე ახალგაზრდების ჟარ-

გონში Eule-ს, ანუ ბუს ლამაზ გოგონასაც უწოდებენ. მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ამ სიტყვის მეტაფორული ხმარების დროს ის მართლაც იძენს ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებს: *მახინჯი* vs. *ლამაზი*, აქ მართლაც გვაქვს ოპოზიციურობის მთავარი ნიშნები – ბინარულობაც და საპირისპირო პოლუსებიც, ე.ი. ეს სიტყვა ენანტიოსემად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ არა იმის გამო, რომ ერთი მხრივ ის *ბუს* (ფრინველს) აღნიშნავს და მეორე მხრივ – *ქალს* (ადამიანს), როგორც ეს ლუტცაიერს მიაჩნია. *ფრინველი* და *ადამიანი* არ ქმნის ბინარულ ოპოზიციას.

Gegensinn-ად მიიჩნევს ლუტცაიერი აგრეთვე სიტყვას Beschimpfung – *გინება*, რომელიც აღნიშნავს მოქმედებასაც (das Beschimpfen – *გინება*) და სალანდლავ სიტყვასაც (Schimpfwort). ურთიერთდაპირისპირებულობის პრინციპად ამ შემთხვევაში ის მიიჩნევს: *მოქმედება* vs. *პროდუქტი*.

ავტორს ლექსიკონში შეაქვს აგრეთვე, მაგალითად, სიტყვა Berühmtheit – *სახელგანთქმულობა*, რომელიც შეიძლება *სახელგანთქმულ პიროვნებასაც* აღნიშნავდეს და ურთიერთდაპირისპირებულობის პრინციპად აცხადებს: *თვისება* vs. *ადამიანი*. ცხადია, რომ აქ მოყვანილ და წიგნში უხვად არსებული მსგავსი სიტყვების მნიშვნელობათა განსხვავებულ ვარიანტებს შორის პოლარული ოპოზიციების არსებობაზე საუბარი შეუძლებელია.

ძნელი სათქმელია, როდის დაასრულებს ავტორი დაპირებულ მესამე ტომს და რა მოცულობის იქნება ის; და კიდევ: შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ ლექსიკონის შემდგომ ნაწილში მაინც ის გადახედავს თავის თვალსაზრისს და ბევრად უფრო ნაკლები რაოდენობის, მაგრამ უფრო ზუსტი ლექსემებით, მართლაც ნამდვილი ენანტიოსემებით, შემოიფარგლება.

**3.5.** ჩვენი საუკუნის დასაწყისში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენანტიოსემიის კვლევები გააქტიურდა. თეორიული თვალსაზრისით, საინტერესო გვეჩვენება ერთი სტატია, რომელიც **ბ. განეევს** ეკუთვნის.

განეევის წერილის სიახლე პირველ რიგში ტერმინოლოგიაში იჩენს თავს. იმ სიტყვის აღსანიშნავად, რომელიც ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის მატარებელია, ანუ ენანტიოსემის ნაცვლად მას შემოაქვს ტერმინი ენანტიონიმი (Ганеев 2003: 9). სხვათა შორის ამავე ტერმინს უჭერს მხარს ლოურენს ჰორნიცი,<sup>7</sup> რომელსაც მიაჩნია, რომ უკეთესია ენანტიონიმის ხმარება, რადგან ასეთ შემთხვევაში ის დგება შემდეგი ტერმინების მწკრივში: ანტონიმი, სინონიმი, ჰიპონიმი. ოღონდ ჰორნსა და განეევს შორის განსხვავება ისაა, რომ განეევი ენანტიოსემიას – როგორც ამ მოვლენის სახელწოდებას – ძალაში ტოვებს, მაშინ როცა ჰორნი აქაც მიზანშეწონილად მიიჩნევს ენანტიონიმით მის ჩანაცვლებას,

<sup>7</sup> Laurence Horn, ცნობილი ამერიკელი ენათმეცნიერი, შესანიშნავი წიგნის (1989: A Natural History of Negation, Chicago: University of Chicago Press) ავტორი, რომელიც, როგორც ინტერნეტთან ჩანს, [www.bu.edu/isle/files/2012/01/Laurence\\_Horn-Etymology\\_and\\_Taboo](http://www.bu.edu/isle/files/2012/01/Laurence_Horn-Etymology_and_Taboo), ბოლო დროს ენანტიოსემიის საკითხებთან დაინტერესებულა.



რაც ლოგიკურადაც უფრო გამართლებული ჩანს, თუმცა ჩვენ მაინც ტრადიციას ვანიჭებთ უპირატესობას და ამიტომ ენანტიოსემიას და ენანტიოსემას ვხმარობთ. ეს გამართლებულად გვეჩვენება კიდევ იმიტომ, რომ ლექსიკური სემანტიკის ტერმინოლოგიაში მოიპოვება პოლისემია და ეს ტერმინი სავსებით განცალკევებულ მდგომარეობაში რომ არ დარჩენილიყო, ჩვენ ვარჩიეთ ტერმინების – ენანტიოსემია და ენანტიოსემა – ხმარება. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ტერმინები – ანტონიმია, სინონიმია, ჰიპონიმია და სხვ. აღნიშნავენ მიმართებებს **ორ** ან მეტ სიტყვას შორის, მაშინ როცა ენანტიოსემია, ისევე როგორც პოლისემია, ისეთი მოვლენის აღსანიშნავად იხმარება, რომელშიაც ერთი სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობები იგულისხმება.

განევი აღნიშნავს, რომ ენანტიოსემია შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ენობრივი ცვლილებების შედეგი და ეს არც არის ლინგვისტებისათვის დავის საგანი, მაგრამ ის შეიძლება მიჩნეული იყოს ამ ცვლილებების მიზეზადაც, როგორც ეს, მაგალითად, აბელს მიაჩნდა.

განევი იხილავს აბელის თეორიას, რომელსაც ის „ამოსავალი ან საწყისი ენანტიოსემიის ჰიპოთეზას“ უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ აბელის ბევრი მაგალითი კრიტიკას ვერ უძლებს, განევი მაინც არ თვლის მის აზრებს სავსებით უსაფუძვლოდ. მართალია, ბევრი რამ აბელის მაგალითებისა და მოსაზრებების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს, მაგრამ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, აბელის თეორიას მაინც აქვს არსებობის უფლება.<sup>8</sup>

თვითონ განევი ენანტიოსემების არსებობას ენაში სიტყვის სემანტიკური დიფუზიით ხსნის (Ганев 2003:13).

ონტექსტში სიტყვამ შეიძლება სულ სხვადასხვა, ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებიც კი მიიღოს. განევის აზრით, სწორედ სიტყვის მნიშვნელობისთვის დამახასიათებელი დიფუზიურობით შეიძლება აიხსნას ენანტიონიმთა არსებობა. არის სიტყვები, რომლებიც უფრო მიდრეკილები არიან მნიშვნელობის დიფუზი-

---

<sup>8</sup> გვინდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ფსიქოანალიტიკოსები აგრძელებენ აბელის, განსაკუთრებით კი ფროიდის მხარდაჭერას და შენიშნავენ, რომ ენანტიოსემია თავის ბუნებით პოეტურ ენას განეკუთვნება. განევი თავის წერილში ასახელებს ერთ ნაშრომს: Sami-Ali. Langue arabe et langage mystique. Les mots aux sens opposés et le concept d'inconscient (pp. 184-196)// Resurgences et dérivés de la mystique, Nouvelle Revue de psychanalyse. N. 22, automne, Gallimard, 1980, რომელშიაც ავტორს ენანტიოსემათა არაბული მაგალითები მოჰყავს და შენიშნავს, რომ არაბულში ამგვარი სიტყვების დიდი რაოდენობა ენის სიღარიბეზე კი არა, მის სიმდიდრეზე მეტყველებს. თვითონ არაბული სიტყვა Didd წარმოადგენს ენანტიოსემას, რადგან ის აღნიშნავს როგორც *განსხვავებულს*, ისევე *მსგავსსაც*.

ციტატა სამი-ალიდან: „საპირისპირო მნიშვნელობების მქონე სიტყვები წარმოადგენენ და ამავე დროს არ წარმოადგენენ საპირისპირო მნიშვნელობების მქონე სიტყვებს. ...ისინი ეკუთვნიან მეტაენას, რომელიც კვლავწარმოებს მთლიანობის დონეზე იმ მიმართებას, რომლითაც ხასიათდება ყოველი მისი შემადგენელი ნაწილი. სინამდვილეში, არსებითად ეს არის არა წინააღმდეგობრიობა, დაპირისპირებულობა, არამედ შეკრული წრე ანუ პარადოქსი“ (Sami-Ali 1980:190-191) – მოგვყავს განევის მიხედვით.

რულობისაკენ. მაგალითებად შეიძლება გამოდგეს ის სიტყვები, რომლებიც voces mediae-ს განეკუთვნებიან.

დიფუზორულობის ფაქტორის გარდა, ენანტიოსემათა არსებობა განეგვის აზრით, შეიძლება აიხსნას ვექტორების ანუ მიმართულებების შენაცვლებით, მნიშვნელობათა უკუქცევითი ან რევერსული გადატანით, ასევე ევფემიზაციით. მაგრამ მთავარი მაინც, მისი აზრით, არის დიფუზიის როლი, რომელიც განსაკუთრებით დიდია სასაუბრო მეტყველებაში, სადაც ხშირად გვხვდება კონტექსტური ენანტიოსემია.

განეგვის საბოლოო დასკვნაა, რომ აბელის „საწყისი ენანტიოსემიის ჰიპოთეზამ“, მიუხედავად იმისა, მცდარია ის თუ ჭეშმარიტი, დადებითი როლი შეასრულა ლექსიკური სემანტიკის განვითარებაში, რადგან მკვლევართა ყურადღება საინტერესო პრობლემებისაკენ წარმართა და ამ აზრს ჩვენც სავსებით ვიზიარებთ.

**3.6. ახლა გვინდა კიდევ ერთი წერილი მოვიხსენიოთ, რომელიც ბიორნ ვიმერს ეკუთვნის. ვიმერს სურს ენანტიოსემიის მკაცრად შემოსაზღვრა და ცდილობს, დაადგინოს საზღვრები, როდის შეიძლება მივიჩნიოთ ეს მოვლენა მკაცრად სემანტიკურად და როდის პრაგმატულად. მისთვის არც დგას ისეთი ენანტიოსემების განხილვის საჭიროება, რომელთა წყაროსაც ევფემიზმი, ტაბუ ან ირონია წარმოადგენს, რადგან ასეთი შემთხვევები პრაგმატიკის სფეროს განეკუთვნებიან.**

პირველ რიგში ვიმერი მიზნად ისახავს ანტონიმისა და კონვერსივების გამოიკვანს. ვიმერი ხმარობს ტერმინებს ავტოანტონიმია (შდრ. რუსულში: ВНУТРИСЛОВНАЯ АНТОНИМИЯ) და ავტოკონვერსივი. ვიმერი შენიშნავს, რომ ზოგი ენათმეცნიერი ავტოკონვერსივებსაც ენანტიოსემებად მიიჩნევს. მისთვის კი ისეთი მაგალითები, როგორიცაა, მაგალითად, ინგლისური to rent (*ვაქირავება/დაქირავება*) ან გერმანული leihen (*თხოვება*) (ამ რიგში შეიძლება განვიხილოთ ქართული *სესხება*), არ არიან ენანტიოსემები. მისი აზრით, ასეთ შემთხვევებში ჩვენ საქმე გვაქვს არა ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებთან (ვიმერთან დენოტატებთან), არამედ ერთსა და იმავე დენოტატთან (ანუ სიტუაციასთან), რომელშიაც ცვალებადია (ურთიერთსაპირისპიროა) სინტაქსური გარემოცვა – არგუმენტების სქემა.

ჭეშმარიტი ენანტიოსემიის მაგალითებად ვიმერი თვლის ისეთ სიტყვებს, რომელთა განსხვავებულ მნიშვნელობებს შორის ადგილი აქვს კონტრადიქტორულ მიმართებებს, როგორიცაა, **ცოცხალი/მკვდარი** ან **დღე/ღამე**, კონტრარულ მიმართებებს: **ცხელი/ცივი**, **დიდი/პატარა** და აგრეთვე ისეთ სიტყვებს, რომლებიც ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით შესრულებულ მოქმედებებს აღნიშნავენ: **შესვლა/გასვლა** (ისინი დაიქტური ბუნებისაა, ანუ მეტყველის თვალსაზრისზე, მის სათვალთვალ პუნქტზე არიან დამოკიდებული), ან აღნიშნავენ მოქმედების **დაწყება/დამთავრების** ფაზებს. ამ ბოლო მაგალითებს ვიმერი ვექტორულ ენანტიოსემიას უწოდებს.

ამასთანავე ვიმერისთვის, მკაცრი აზრით, ენანტიოსემიას ადგილი აქვს მხოლოდ ისეთ ლექსიკურ ერთეულებში, რომელთა ურთიერთსაპირისპირო მნიშვნე-

ლობები **სინქრონიულად** თანაარსებობენ. ასეთი ლექსემების რაოდენობა კი ძალიან მცირეაო – შენიშნავს ვიძერი.

საგანგებოდ ჩერდება ის ჰეგელის მაგალითის განხილვაზე: *aufheben*, რომლის მნიშვნელობის ვარიანტები, მისი აზრით, სრულიად განსხვავებული სიტუაციების სფეროებს განეკუთვნებიან. „დასრულება“ არის ამ ზმნის მნიშვნელობის ერთ-ერთი ვარიანტი. „დასრულება, ანუღირება“ შეიძლება მხოლოდ აბსტრაქტული ურთიერთობების (მაგალითად, კანონის), მაშინ როცა მისი საპირისპირო მნიშვნელობა „შენახვა“ შეიძლება მხოლოდ კონკრეტული საგნების (წიგნის, ნამცხვრის). ამ ზმნის არგუმენტების გათვალისწინებით, მნიშვნელობის ეს ორი ვარიანტი კონტრასტული არ არის და აქ საქმე მხოლოდ მეორეულ ურთიერთდაპირისპირებულობასთან გვაქვსო. ამ მაგალითის განხილვისას ჩანს, რომ რაიმე საგნის (კონკრეტულის) მიმართ განხორციელებული ქმედება გამოიხატება ზმნით, რომელიც **შენახვას, შენარჩუნებას** გულისხმობს, ხოლო როცა იგივე ზმნა აბსტრაქტული ობიექტების მიმართ განხორციელებულ ქმედებას აღნიშნავს, ან ასე ვთქვათ, აბსტრაქტულ სფეროში გადადის, ხდება მისი მნიშვნელობის ცვლილება და ის იძენს საპირისპირო მნიშვნელობას, არა შენახვისას, არამედ **გაქრობისას, ანუღირებისას**, შეიძლება ეს უკანასკნელი მნიშვნელობა მართლაც მეორეულ მნიშვნელობად მივიჩნიოთ, მაგრამ ეს მაინც არ უნდა უშლიდეს ხელს ამ ზმნის ენანტიოსემად აღიარებას.

ვფიქრობთ, რომ ვიძერი, ლუტცაიერის საპირისპიროდ, ძალზე ავიწროებს ენანტიოსემიის ფარგლებს, რაც ჩვენ არ გვეჩვენება მართებულად.

**3.7.** ბოლოს განვიხილოთ კიდევ ერთი საინტერესო სტატია, რომელიც **რიველისის** ეკუთვნის (Ривелис 2008).

რიველისის ამოსავალი თეზისია: სიტყვებს არა აქვთ მნიშვნელობები იმ აზრით, როგორც ეს ლექსიკონებშია განსაზღვრული. ის, რასაც მნიშვნელობას უწოდებენ, თავის დროზე იყო შემოქმედებითი აქტი – მეტყველის კოგნიტიური მცდელობა, გამოეხატა თავისი აზრი ან აზრობრივი პოზიცია. შემდგომში, როცა ეს მეტყველებისას შექმნილი ან გაჩენილი (წარმოშობილი) მნიშვნელობა მეორდება და მკვიდრდება მეტყველებაში, ის კონვენციალურ ღირებულებას იძენს და ფიქსირდება ლექსიკონში, როგორც სიტყვის მნიშვნელობა. ასე გამოდის, რომ მნიშვნელობები თითქოს ობიექტური ჭეშმარიტებები არიან, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ენანტიოსემიის დეფინიციებიც, რომლებიც ლინგვისტურ ლექსიკონებშია მოცემული, მოითხოვენ გადასინჯვას კოგნიტიური პარადიგმატიკის ფარგლებში. რიველისი ეთანხმება შმელიოვის აზრს, რომ ენანტიოსემია არ არის იშვიათი მოვლენა, „ის არის რეგულარული მოვლენა, რომელიც ეფუძნება ადამიანის შემეცნებითი უნარისა და ადამიანთა ურთიერთობების დამახასიათებელ გარკვეულ ზოგად პრინციპებს“ (Shmeljov 2004).

რიველისი მოიხმობს ბენვენისტის აზრსაც, რომლის მიხედვითაც მეტყველი ყოველ სამეტყველო აქტში ითავისებს ენას და ამდენად ენის შემოქმედად გვევ-

ლინება. რიველისი ამ აზრის დასამტკიცებლად ცდილობს კოგნიტიური სემანტიკის მოშველიებას, კერძოდ, ის მიმართავს კონცეპტუალიზაციის ცნებას.

კოგნიტიური სემანტიკის მიმდევრები თვლიან, რომ სიტუაციის ვერბალიზაციის დროს სრულდება რამდენიმე კოგნიტიური ოპერაცია, პირველ რიგში ხდება ყურადღების ფოკუსირება. ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ ფიგურასა და ფონზე, რომლებიც რეფერენციალურ ჩარჩოს ქმნიან. შემდეგი ოპერაციაა იდენტიფიკაცია, რომელიც შედარების კოგნიტიურ უნარს ეყრდნობა. საგნის ან მოვლენის იდენტიფიკაციას მოსდევს ამოსავალი (ანუ დაკვირვების ან სათვალთვალო) პუნქტის არჩევა, შემდეგ, ანალოგიის საფუძველზე, დასკვნების გამოტანა; მთლიანის, როგორც ინდივიდუალური ობიექტების ერთობლიობის, აღქმა და ა.შ. ყველა ეს კოგნიტიური ოპერაცია ენობრივი კონცეპტუალიზაციის საფუძველს წარმოადგენს.

ენანტიოსემიის დროს არავითარ წინააღმდეგობრიობას არა აქვს ადგილი. იცვლება კონცეპტუალიზაცია, რომლის შესაძლებლობები შემოსაზღვრულია კონცეპტით ანუ საზრისით. სიტყვა წარმოადგენს კონცეპტის სიმბოლიზაციას. სიტყვა არ არის ნიშანი, რომელიც არის ფორმისა და შინაარსის ერთობლიობა. სიტყვა არის სიმბოლო, რომელიც ახდენს კოგნიტიური მოდელის ანუ კონცეპტის სიმბოლიზაციას.

ეს კონცეპტი ან საზრისი არის მდგრადი და ამავე დროს პლასტიკური, მოძრავი წარმონაქმნი, რომლის სივრცეში სხვადასხვა კონცეპტუალიზაციაა შესაძლებელი, ზოგჯერ ურთიერთსაპირისპიროც კი. აქ რიველისს მოჰყავს ნეკერის კუბის<sup>9</sup> მაგალითი, რომელიც ოპტიკურ ილუზიას ქმნის, მისი დანახვა და აღქმა ორგვარად არის შესაძლებელი და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რაზე კეთდება ჩვენი ყურადღების ფოკუსირება: კუბის წინა ნაწილზე თუ უკანაზე.

კონცეპტს რიველისი სიტყვის იდეასაც უწოდებს და ამბობს, რომ ის მოძრავია და ტევადი და შეიძლება სხვადასხვაგვარად რეალიზდებოდეს. ეს სიტყვის იდეა უნდა დავიჭიროთ, უნდა გავიაზროთ და გავითავისოთ, რომ სიტყვის სწორად ხმარება შეუძლოთ. განსაკუთრებით ეს ეხება უცხო ენაში სიტყვების ხმარებას. მხოლოდ სამეტყველო აქტში, კომუნიკაციის სიტუაციაში იძენს სიტყვა გარკვეულ მნიშვნელობას.

რიველისი გვთავაზობს ენანტიოსემიის შემდეგ განსაზღვრებას:

„ენანტიოსემია არის კონცეპტის უნარი – მოახდინოს რაიმე აზრით ურთიერთდაპირისპირებულობის რეალიზაცია“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პრინციპში რიველისი არაფერს ახალს არ ამბობს, ის, ლუტცაიერის მსგავსად, ცდილობს კოგნიტიური მეცნიერების ტერმინოლოგიით ჩაანაცვლოს ლექსიკური სემანტიკის ტერმინოლოგია, მისი „კონცეპტუალიზაცია“ და განეყვის „მნიშვნელობის დიფუზორულობა“, საბოლოო ჯამში, ერთი და იგი-

<sup>9</sup> ნეკერის კუბი:



ვეა. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ რიველისის ერთი მაგალითი, კერძოდ რუსული *случай*, რომელიც, ავტორის თქმით, გვიჩვენებს მდიდარსა და რთულ კონცეპტს, და რომელსაც, მისი აზრით, არა აქვს ზუსტი ლექსიკური ანალოგი სხვა ენებში (სხვათა შორის, ქართული **შემთხვევა** თითქოს კარგი ანალოგი ჩანს). ამ კონცეპტის სქემას, რიველისის თქმით, წარმოადგენს შემდეგი ფორმულა: *გარკვეული, არაპიროვნული ძალის დროში შემოსაზღვრული ქმედება, რომელიც დროებით ცვლის გარკვეულ მდგომარეობას*.

ის ხერხები, რა გზითაც მოლაპარაკე განსხვავებული ინტერესების მიხედვით ახდენს *случай*-ს კონცეპტუალიზაციას, წარმოქმნიან მნიშვნელობათა სიმრავლეს. კონცეპტუალიზაცია შეიძლება ანიჭებდეს მნიშვნელობას ისეთ პარამეტრებს, როგორცაა *ძალის ბუნება* (კეთილი თუ ბოროტი), *ძალის გამოვლინების ბუნება* (იშვიათი, ტიპური) და ა.შ.

ამიტომ *случай*-ს კონცეპტი ანუ საზრისი შეიძლება მონაწილეობდეს ისეთი საპირისპირო აზრების გამოთქმაში, როგორცაა, ვთქვათ, *удобный случай* „ხელსაყრელი შემთხვევა“ და *неподходящий случай* „არახელსაყრელი, არაშესაფერისი შემთხვევა“, *счастливый случай* „ბედნიერი“ და „საძწუნხარო“ *печальный случай*.

სიტუაცია, რომელსაც შეიძლება მიეკუთვნოს სიტყვა *случай*, არცერთი პარამეტრით არ არის მარკირებული; იმ არაპიროვნულ ძალას, რომელიც ამ კონცეპტშია ნავარაუდევი, არა აქვს სიტუაციის მიმართ საკუთარი სუბიექტური მიდგომები. ეს მიდგომები მიეწერება სიტუაციებს მეტყველის მიერ – აღნიშნავს რიველისი (ანუ მეტყველის მიერ სიტყვის ხმარება ანიჭებს ამ სიტყვას მნიშვნელობას, რაც საყოველთაოდ აღიარებულია სემანტიკაში). ცნობილია, რომ ლექსიკოლოგიაში შემდეგი პრაქტიკაა მიღებული: უთითებენ სიტყვის ზოგად (თუ გნებავთ, მთავარ ან ძირითად) მნიშვნელობას და მერე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით (ანუ კონტექსტში სიტყვის ხმარების მიხედვით) ჩამოთვლიან ამ მნიშვნელობის მოდიფიკაციებს ანუ განსხვავებულ ვარიანტებს. ცხადია, რომ ამ მოდიფიკაციების საშუალებებს სიტყვის მთავარი ან ძირითადი ან ზოგადი მნიშვნელობა იძლევა და ის, რომ მას რიველისი კონცეპტს უწოდებს, პრინციპულად ახალს არაფერს გვეუბნება.

ბოლოს რიველისი ამთავრებს სტატიას პოსტსტრუქტურალისტურ ლექსიკურ სემანტიკაში საკმაოდ ბანალური აზრით იმის შესახებ, რომ სიტყვები არ არიან მეცნიერული ტერმინები, რომელთა მნიშვნელობების განსაზღვრაც შეიძლება აუცილებელი და საკმარისი სემანტიკური ნიშნების ჩამოთვლით, არამედ ისინი არიან კოგნიტიური მოდელები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ ვახდენთ სამყაროში ორიენტაციას და ემონაწილეობთ გააზრებულ დისკურსში. სწორედ სიტყვის კონცეპტი იძლევა ამა თუ იმ კონკრეტული კონცეპტუალიზაციის საწესიას (Ривелис 2008:177).

**4.1.** ახლა კი ამ ვრცელი შესავლის შემდეგ გადავიდეთ კონკრეტულად ენანტიოსემათა განხილვაზე ქართულში. გზადაგზა, როცა ენანტიოსემიისადმი მიძღვნილ ლიტერატურას ვიხილავდით, უკვე მოვიყვანეთ ზოგიერთი მაგალითი, ახლა კი ვეცდებით უფრო თანმიმდევრულები ვიყოთ.

უნდა შევნიშნოთ, რომ არც ქართულ და არც სხვა ქართველურ ენებში არ არის სპეციალურად განხილული ენანტიოსემები, თუ არ ჩავთვლით სტატიას, რომელიც ვიტორიო ტომელერისა და მანანა თოფაძის რედაქციით გამოცემულ კრებულში დაიბეჭდა 2011 წ. (Абуладзе, Лудден 2011).

ენანტიოსემიის მაგალითებად ამ სტატიაში მოყვანილია ზმნები (აწმყოს მწკრივში), რომლებიც ზმნისწინის გარეშე საპირისპირო მნიშვნელობებს წარმოგვიდგენენ. ესენია:

**რთავს** წინადადებაში – *ნუ რთავ ტელევიზორს!* ამ წინადადებას შეიძლება ორი საპირისპირო მნიშვნელობა ჰქონდეს: (1) *არ ჩართო ტელევიზორი!* vs. (2) *არ გამოართო ტელევიზორი!* სამეტყველო სიტუაცია განაპირობებს წინადადების ზუსტად გაგებას. ზმნისწინიანი ფორმები ამ ზმნის ენანტიოსემიურობას და შესაბამისად მის ორაზროვნებას სპობენ.

საინტერესოა, რომ მსგავსი ვითარება გვაქვს ლიტვურ ენაშიც, რომელშიაც ენანტიოსემია თავს იჩენს ისეთ სამეტყველო აქტებში, რომლებიც დირექტივებს გადმოსცემენ და ბათილდება პრეფიქსულ დერივატებში. შდრ. ლიტვ. *jungti ჩართვა / გამოართვა* და *i-jungti ჩართვა* და *iš-jungti გამოართვა* (Wiemer 2008:408).

**სწევს** აღნიშნავს რაღაცის (ობიექტის) გადაადგილებას სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად, ზევით ან ქვევით. ბრძანებას – *ნუ სწევ ხელებს!* შეიძლება ურთიერთსაპირისპირო მოძრაობების აკრძალვას ნიშნავდეს, *ნუ სწევ ხელებს ქვევით/ძირს* = *ნუ უშვებ ხელებს, ნუ დასწევ ხელებს* vs. *ნუ სწევ ხელებს ზევით/მაღლა* = *ნუ ასწევ ხელებს*. იგივე ზმნა შეიძლება ნიშნავდეს გადაადგილებას ჰორიზონტალურ სიბრტყეში: რატომ არ სწევ ფარდას – შეიძლება ნიშნავდეს ფანჯარაზე ფარდის გადაწევას (ოთახის განათების მიზნით) ან გადმოწევას (პირიქით, მზის სინათლისგან დაცვის მიზნით). ზმნისწინების მეშვეობით ორაზროვნება ამ შემთხვევებშიაც სრულიად ბათილდება.

ასევე სხვადასხვა (საპირისპირო) მიმართულებას გამოხატავს ზმნა **აგდებს**: *ბიჭი აგდებს ბურთს ზევით/მაღლა* ან *ქვევით/დაბლა/ძირს*.

ერთი მაგალითიც დავუმატოთ: **აგებინებს** „ხელს უწყობს მოგებას/ხელს უწყობს წაგებას“: *ეს თავდამსხმელი გუნდს თამაშს აგებინებს* – ამ წინადადებაში ორაზროვნება იხსნება იმ სიტუაციის მიხედვით, რომელშიაც სამეტყველო აქტს აქვს ადგილი.

კიდევ ერთი მაგალითია **ესალმება**: ესალმება ამხანაგს, ნაცნობს, მაგრამ ესალმება წუთისოფელს = ემშვიდობება წუთისოფელს. როცა ბავშვი იბადება, შეიძლება ითქვას, რომ ის ესალმება ქვეყნიერებას, სიცოცხლეს. როცა მოხუცი კვდება, ის ესალმება სიცოცხლეს, ქვეყნიერებას, წუთისოფელს. რა თქმა უნდა, ზმნისწინები ამ ზმნაშიაც სპობენ ენანტიოსემიას: მი-ესალმება და გამო-ესალმება.

აღსანიშნავია, რომ ამ ზმნას ასპექტის კატეგორიაზე მსჯელობისას ყურადღება მიაქცია აკაკი შანიძემ. ის წერს: „თუ ასპექტი სრულია, მათ აშკარად განსხვავებული ფორმები აქვთ..., რაც შეეხება I სერიის აწმყოს წრეს, აქ მათ განმასხვავებელი ნიშნები დაეკარგებათ... და ერთმანეთს დაემსგავსებიან: **ესალმება**.“

ამიტომ კონტექსტის გარეშე გაუგებარი რჩება მისაღმებზე საუბარი თუ გამო-საღმებზე: 'ეს მამულის მოსიყვარულე, იმისთვის თავგანწირული ჩენები ესალ-მებოდნენ თავიანთ სამშობლოს' (ყაზბეგი, "ელისო"). აქ ამბის მსვლელობის მი-ხედვით შეგვიძლია გავიგოთ, რომ ავტორს გამოსაღმება აქვს მხედველობაში“ (შანიძე 1973:274).

აქ მოყვანილი ზმნების მაგალითები, ჩვენი აზრით, რევერსული ენანტიოსემი-ის მაგალითებს წარმოადგენენ. მსგავსი მაგალითები მეგრულში მოგვაწოდა რეზო შეროზიამ: **მიღუღანს** – *ძოიღანს* vs. *წაართმევს*; **ქილიონქუ დააწყო**, *ჩაალავა* vs. *დაშალა*, *დაანგრიო*, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.<sup>10</sup>

ახლა განვიხილოთ სიტყვა **სესხება** – ეს მაგალითი ჩვენი წერილის პირველ ნაწილში (აბულაძე, ლუდენი 2013: 29) უკვე ვახსენეთ, შეიძლება მისი შედარე-ბა რუსულ ზმნასთან **ОДОЛЖИТЬ**, რომელსაც ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნე-ლობა აქვს: *ფულის ან რაიმე სავნის დროებით მიცემა* vs. *ფულის ან რაიმე სავ-ნის დროებით აღება*.

ქართულში მასდარს **სესხება** ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობა შეიძ-ლება ჰქონდეს, მაგალითად, წინადადება: *ამ კაცს არ უყვარს ფულის სესხება* – ორაზროვანია და შეიძლება ნიშნავდეს კაცის საპირისპირო თვისებებს: სხვისთვის ფულის **მიცემისგან** ან პირუკუ, სხვისაგან ფულის **აღებისგან** თავშეკავებას. ზმნის პირიან ფორმებში, რომლებიც ნეიტრალური (ასესხებს) და სუბიექტური (ისესხებს) ქცევის ფორმებს განასხვავებენ, ენანტიოსემია ქრება: მან 20 ლარი *ისესხა* და მან 20 ლარი *ასესხა*.

მსგავსი მაგალითია მასდარი **თხოვება**: წინადადებაში – *არ მინდა ამ წიგნის თხოვება* – შეიძლება ორი ურთიერთსაპირისპირო აზრი იგულისხმებოდეს: *არ მინდა ეს წიგნი ვინმეს ვათხოვო* vs. *არ მინდა ეს წიგნი ვინმესგან ვითხოვო*.

ეს მაგალითი შეიძლება შევუდაროთ გერმანულ ზმნას *leihen*: წინადადებას *Hans leiht das Buch* ორი მნიშვნელობა აქვს: *ჰანსი ვიღაცას წიგნს დროებით აძლევს* (ათხოვებს) vs. *ჰანსი ვიღაცისგან წიგნს დროებით იღებს* (თხოულობს).

ასეთ შემთხვევებში, როგორც უკვე იყო აღნიშნული, საქმე ეხება კონვერსი-ულ მიმართებას ორ საპირისპირო მნიშვნელობას შორის. ამგვარი მიმართების მა-გალითია უკვე რამდენჯერმე დასახელებული ინგლისური *to rent*. წინადადება *he rented the apartment* შეიძლება ნიშნავდეს, როგორც *მან გააქირავა ბინა-ს*, ასევე *მან იქირავა ბინა-ს*.

<sup>10</sup> ერთი შენიშვნა: როგორც ვნახეთ, ენანტიოსემია საკმაოდ ხშირი მოვლენა არა მარტო ერთი კონკრეტული ენის ფარგლებში, არამედ მონათესავე ენებშიაც. ამიტომ საეჭვოდ გვეჩვენება კლიმოვის მოსაზრება, გამოთქმული მის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში: ქართული **წყ(უ)**-ს „მოწყობა, დაწყობა, შეწყობა“ «складывать, устраивать» და მეგრული **ნწყვ**-ს (რომელ-შიაც 6 მეორეულია) შედარებისას იგი გამორიცხავს ჰანურ **წყ**-ს იმ საბაბით, რომ მისი სემანტიკა „დაშლა, გამოღება, გახსნა“ «развязать, снять, вынуть» ამის ნებას არ იძლევა (Климов 1964:247). ჩვენი აზრით, სემანტიკა ამ შემთხვევაში დაბრკოლებას არ უნდა წარ-მოადგენდეს.

4.2. ქართულში, სხვა ენების მსგავსად, გვაქვს ე.წ. ვექტორული ენანტიოსემიის შემთხვევები, ესენია სივრცული და დროითი მიმართებების გამომხატველ ზმნისართთა და თანდებულთა წყვილები: **წინ/უკან**, **ზევით/ქვევით**, **ადრე/გვიან**, რომლებიც ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებით იხმარებიან და ამდენად შესაძლოა მათი ენანტიოსემებად ჩათვლა.

*წინ რა გვაქვს?* – ამ წინადადებაში ზმნისართი **წინ** შეიძლება მიემართებოდეს, როგორც წარსულს, ასევე მომავალსაც. ხოლო თანდებული **უკან** ხან მომავლის მნიშვნელობით იხმარება (*მას უკან, რაც...* = მას შემდეგ, რაც...), ხან – წარსულის: *აღარ მახსოვს, რა იყო ორი კვირის უკან* (აბულაძე 1989:6-9, Abuladze 1991:131-132, Abuladze 2006:26).

აღსანიშნავია, რომ სივრცული ზმნისართებისა და თანდებულების (წინდებულების) ურთიერთსაპირისპირო დროითი მნიშვნელობით ხმარების მაგალითები უხვად გვხვდება სხვა ენებშიც (იხ. მაგალითად, Traugott 1975, Radden 2011). კოგნიტიური სემანტიკა ხსნის ამგვარ მოვლენებს ჩვენს შემეცნებაში დროის მოძრაობის ორი ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით წარმოდგენის არსებობით: ერთი მიმართულებაა ის, რომლითაც დრო მოძრაობს მომავლიდან წარსულისაკენ (იმას, რასაც ვუწოდებთ *ხვალ-ს*, გახდება ცოტა ხანში *დღეს* და ერთი დღის შემდეგ გახდება *გუშინ*: *ხვალ>დღეს> გუშინ*), ხოლო მისი საპირისპიროა მოძრაობა წარსულიდან მომავლისკენ (*გუშინ უკვე გავიდა და ჩვენ გვაქვს დღეს*, ხოლო რაც მოდის, არის *ხვალ*: *გუშინ>დღეს>ხვალ*).<sup>11</sup>

სივრცისა და დროის აღმნიშვნელი ზმნისართებისა თუ თანდებულების (წინდებულების) ხმარების შემთხვევებში ენანტიოსემია ეფუძნება დეიქსისს. **წინ** და **უკან** ე.წ. მეორეული დეიქტური ელემენტებია (*secundäre deixis*), რაც ნიშნავს, რომ მათი მნიშვნელობები დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ამოსავალი პუნქტიდან ანუ ათვლის წერტილიდან განიხილავს მოლაპარაკე სამეტყველო სიტუაციას.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა გვაქვს მხედველობაში, როცა ამოსავალ პუნქტზე ან ათვლის წერტილზე ვლაპარაკობთ, შეიძლება ლიტერატურიდან ერთი მაგალითის მოყვანა. მარინა ცვეტაევა წერს: “პირველი სახლი ხომ ყოველთვის უკანასკნელი სახლია! შესასვლელი არა – გასასვლელი!”<sup>12</sup> მართლაც სახლი, რომელიც დასახლებულ პუნქტში შესვლისას პირველია, იქიდან გამოსვლისას უკანასკნელად იქცევა, გააჩნია, როგორია ჩვენი ათვლის წერტილი. ასევე ამოსავალი პუნქტების სხვაობით შეიძლება აიხსნას ისეთი მაგალითი, როგორიცაა ქართულში **თავი**. **თავი** და **ბოლო** პოლარული ოპოზიტები – ანტონიმები: **თავი დასაწყისის** ნიშნავს, **ბოლო** – **დასასრულს**: *მდრ. ამ საქმეს არც თავი უჩანს და არც ბოლო*. ამ ანტონიმური ძირებისგან ნაწარმოები ზმნები კი (ა-თავებს და ა-ბო-

<sup>11</sup> შეიძლება აღაშინოს შემეცნებაში დროის ამ ორი ურთიერთსაპირისპირო მიმართულების არსებობით აიხსნას ის ფაქტი, რომ ძვ. გერმანულში ერთი და იმავე სიტყვით (*egestern*) აღინიშნება *ზევ* და *გუშინწინ*.

<sup>12</sup> “Ведь первый дом – всегда последний дом! Не вход – выход!” (М. Цветаева 1994:93).



ლო-ებს) სინონიმებს წარმოადგენენ. გამოდის, რომ შეიძლება თავ ძირის მიჩნევა ენანტიოსემად. სხვათა შორის ენანტიოსემა აგრეთვე რუსული ძირი **КОН**, რომელსაც აქვს ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობა: დასაწყისისა (მაგალითად, *исконный, испокон веков*) და დასასრულის: (*конец*). რიველის აზრით, ეს ძირი თავდაპირველად აღნიშნავდა ზღვარს, რომლის გასწვრივაც თავდებოდა რაღაც თავისი, საკუთარი და იწყებოდა რაღაც უცხო, სხვისი, ანუ რაღაც საზიფათო, რაც, მისი აზრით, გამოიხატება ამჟამად სიტყვაში **КОН**, რომელიც ბანქოს თამაშის დროს იხმარება და აღნიშნავს ადგილს, სადაც დებენ გასათამაშებელ თანხას – *место, куда кладут ставку, то, чем рискуют* (Ривелис 2008:172-173). ჩვენ უფრო პრეობრაჟენსკის თვალსაზრისის მომხრენი ვართ, რომელიც ამ სიტყვის ანალიზის დროს წერდა, რომ როცა ჩვენ წინ საგანთა რიგია, მაშინ პირველს ანუ ყველაზე განაპირა საგანს და ბოლოს, აგრეთვე ყველაზე განაპირას, შეიძლება გუწოდოთ საწყისი ან ბოლო და ეს ჩვენს ათვლის წერტილზე იქნება დამოკიდებული (Преображенский 1910-1914: 348).

აქვე შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითად გერმანული **Ausgang** მნიშვნელობებით *დასაწყისი* (Die ständigen Beschwerden bildeten den Ausgang der Untersuchung *მუდმივმა ჩივილებმა გამოიწვიეს გამოკვლევის დაწყება*) და *დასასრული*: (Die Dinge nahmen eine gute Ausgang *საქმემ კეთილი დასასრული მიიღო ანუ საქმე კეთილად დასრულდა*).

მოქმედების *დასაწყისსა* და *დასასრულთან* კავშირშია აგრეთვე **მზადყოფნის** მნიშვნელობა. ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისათვის და ამ სტუდენტის ნაშრომი უკვე მზად არის. პირველ შემთხვევაში ნაგულისხმევია მზადყოფნა თანამშრომლობის დაწყებისთვის, ხოლო მეორეში – შრომის დასრულება. გერმანულში ასეთ დროს ორი სხვადასხვა სიტყვა იხმარება: Wir sind *bereit* zur Mitarbeit და Die Arbeit des Studenten ist schon *fertig*.

**4.3.** ჩვენი სტატიის პირველ ნაწილში, როცა ნიროპის, სცადროვსკის და სხვათა ნაშრომებს ვიხილავდით, უკვე ვახსენეთ რამდენიმე ქართული მაგალითიც, რომლებიც ნეიტრალური მნიშვნელობიდან ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის განვითარების (ე.წ. voces mediae-ს) საილუსტრაციოდ შეიძლება გამოდგეს. ეს მაგალითებია:

**ბედი** ქართულში ნეიტრალური მნიშვნელობისაა, ის ორივე მნიშვნელობას შეითავსებს, როგორც *კარგი*, ისე *ავი* ბედისას. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ბედი ასეა განმარტებული: „სვე, ხვედრი, მოსასვლელი ვისზედმე კეთილი ან ბოროტი...“, შდრ. გამოთქმა: „ნეტავი, როგორი ბედი ექნება!“ რომელშიაც ორივე შესაძლებლობაა ნაგულისხმევი – კარგიც და ცუდიც. თუმცა ბედი უმეტესად ძველი-რატული მნიშვნელობისაკენ იხრება: მაგალითად, გამოთქმაში: „ბედი გქონია, ძმაო!“ ან ისეთ სიტყვებში, როგორიცაა *ბედიანი* (რომელიც ილ. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის მიხედვით *ბედის მქონეს* ნიშნავს).

ნ. ჩუბინაშვილთან *ბედნიერი* განმარტებულია, როგორც *კეთილის ბედის მქონე* ბელი, ხოლო ბედ- ძირისგან უ-არ უარყოფითი აფიქსებით ნაწარმოები *უბედური* აღნიშნავს იმას, ვისაც ბედი არა აქვს, მაგრამ იმავე ძირის სიტყვა (უარყოფითი აფიქსის გარეშე) *ბედით* ძველ ქართულ ლექსიკონში ნიშნავს *ამაოდ, ფუჭად*, ასევე ნ. ჩუბინაშვილთან პეიორატიული მნიშვნელობისაა: *ცუდი, უხამსი, რევენი*.

ნ. ჩუბინაშვილთან ცალკე სალექსიკონო ერთეულად გამოყოფილია აგრეთვე *ბედნიერი* მნიშვნელობით *მუწუკი ფრიად მანკიერი*. აქ შეიძლება ევფემიზმთან გვეკონდეს საქმე, როცა სახსენებლად უსიამოვნო რეალობის აღნიშვნა (შეიძლება ითქვას შენიღბვა) კარგი, დადებითი სახელწოდებით ხდება. ევფემიზმები საზოგადოდ, როგორც ამ ნაშრომის პირველ ნაწილშია ნაჩვენები, ენანტიოსემიის ერთ-ერთ წყაროდ მიიჩნევა. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი.

ქველ-ში *ბედის* განმარტებაში წარმოდგენილია მისი სინონიმები: *განგება, სვე, წერა, ბედისწერა*, ასევე *ხვედრი, იღბალი*, რომლებიც სხვადასხვა ზომით აღნიშნავენ ზებუნებრივი, ადამიანის ნების გარეშე არსებული ძალის უარყოფით თუ დადებით ზემოქმედებას ადამიანის ცხოვრებაზე. უარყოფითი კონოტაციები ახლავთ *წერას, ბედისწერას, ხვედრს*. აშკარად დადებითი – *სვეს, იღბალს*. უფრო ნეიტრალური ჩანს *განგება*, რომელიც შეიძლება უარყოფითისკენაც კი იხრებოდეს (მკაცრი განგება), თუმცა ნ. ჩუბინაშვილთან განმარტებულია, როგორც “შზრუნველობა ღვთისა დაბადებულთათვის“. საერთოდ ამ სიტყვათველის კვლევა ძალიან საინტერესო ჩანს და არა მხოლოდ ენანტიოსემიის თვალსაზრისით, მაგრამ ახლა ამ სიტყვებზე საუბარი ალბათ შორს წავიყვანს, ბოლოს მაინც *სვეს* ერთი სულხან-საბასეული საინტერესო განმარტებით გვინდა დავამთავროთ: „სვე არის მაიძულებელი ძალი, რათა იძულებული მის მიერ აღესრულებოდეს, ხოლო ბედი შემთხვევითი არს“.<sup>13</sup>

vox mediae-ს თვალსაზრისით საინტერესო მაგალითად მიგვაჩნია სიტყვა **ზნე**, რომელსაც ნეიტრალური მნიშვნელობა აქვს. მისი განმარტება ნ. ჩუბინაშვილთან: *რაც რამ ჩვეულებად სჭირდეს ვისმე, კეთილი თუ ცუდი*. მაგრამ ეს ძირი ნაწარმოებ სიტყვებში ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებს იღებს.

ზნეობა – მორალი (ზრდილობა ჩუბინაშვილთან), ზნეობრივი, უზნეო – ვისაც ზნე (იგულისხმება კარგი ზნე) არ გააჩნია (მელიორატიული მნიშვნელობა).

ზნიანი – ჟინიანი; ავი ზნისა (ჩუბინაშვილის ლექსიკონი) (პეიორატიული მნიშვნელობა).

<sup>13</sup> ჩვენ ვიზიარებთ სოსიურის აზრს იმის შესახებ, რომ სიტყვების მნიშვნელობები განისაზღვრება მათი აზრის, ღირებულებისა და ხმარების ურთიერთმიმართებებით, და რომ ყოველი სიტყვის მნიშვნელობის ექსპლიკაციის დროს სიტყვა ექვევა ასოციაციური ბადის ანუ ამ სიტყვასთან სხვადასხვაგვარ კავშირში მყოფ დიდი რაოდენობის სიტყვების (რომელთა სიმრავლეს სოსიური ღრუბელს ადარებს) ცენტრში. ამიტომ შეიძლება ერთი სიტყვის ამოწურავ დახასიათებას მკვლევარმა მთელი სიცოცხლეც კი მოანდომოს (Jäger 2012:46).

**მანერები** ნეიტრალური მნიშვნელობის მატარებელია, ადამიანს შეიძლება კარგი ან ცუდი მანერები ჰქონდეს, თუმცა *მანერული*, *მანერულობა* უარყოფითი კონოტაციის შემცველია. ამავე დროს *მანერების არქონაც* ადამიანის უარყოფით თვისებად აღიქმება.

**ქცევა, საქციელი** შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი, გააჩნია კონტექსტს, მაგრამ *უსაქციელო* ნიშნავს უზნეოს, უწესოს, იმას, ვისაც საქციელი არ უვარგა (ქველ).

**საზღაურის ან საფასურის მიღება**, ისევე როგორც **სამაგიეროს გადახდა** და **ჯილდოებასაც** შეიძლება ნიშნავდეს და **დაჯივრებებსაც**.

*მიიღო თავისი შრომის საზღაური* (საფასური), (*ანაზღაურება*, *ჯილდო*) vs. *მიიღო თავისი უგვანო საქციელის საზღაური* (სასჯელი, ჯარიმა).

*თუ სიკეთეს გავიკეთებენ, არ დაგავიწყდეს სამაგიეროს გადახდა* (კარგის გავკეთება) vs. *მუქარა: დამაცადე, გადაგიხდი სამაგიეროს!*

**აფასებს**, ამ ზმნას წინადადებაში – *მასწავლებელი მოსწავლეთა ნაშრომებს აფასებს* ნეიტრალური მნიშვნელობა აქვს, ხოლო წინადადებაში – *ქვეყანა აფასებს თქვენს ღვაწლს* – მელიორატიული. როგორც ვხედავთ, ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითის განხილვის დროს კონტექსტი ასრულებს გადამწყვეტ როლს.

ამავე რიგში შეიძლება კიდევ რამდენიმე სიტყვის ჩამოთვლა, რომელთა მნიშვნელობები ნეიტრალურია, თუმცა სიტუაციის მიხედვით ან დადებითი, ან უარყოფითი მნიშვნელობისაკენ შეიძლება გადაიხაროს. **კრიტიკა** თითქოს ნეიტრალური მნიშვნელობის არის, მაგრამ უფრო ხშირად უარყოფითი მნიშვნელობით იხმარება, თუმცა გვხვდება საპირისპირო შემთხვევებიც, მაგალითად, წინადადებაში – *მწერლის ახალ წიგნს კრიტიკა აღფრთოვანებით შეხვდა*, რა თქმა უნდა, ქება ნაგულისხმევი, მაშინ როცა *ახალი წიგნი კრიტიკას საჭიროებს* ამ სიტყვის პეიორატიული მნიშვნელობა იგულისხმება, ხოლო ზმნა *აკრიტიკებს* გარკვეული ობიექტის უარყოფითი ნიშნების გახაზვას გულისხმობს.

**სახელი** შეიძლება გაითქვას ადამიანმა ურთიერთსაპირისპირო ქმედებით: ან *სიკეთით* ან *ბოროტებით*, მაგრამ სახელოვანი დამსახურებულ ადამიანზე ითქმის.

**ხარისხი** ნეიტრალური მნიშვნელობისაა, მაგალითად, წინადადებაში – *შესამოწმებელია ამ ნაწარმის ხარისხი*. მაგრამ ხშირად ეს სიტყვა კარგი ხარისხის აღსანიშნავად იხმარება, ამას მოწმობს ამ არსებითი სახელისაგან ნაწარმოები ზედსართავი *ხარისხიანი*, რომელსაც მხოლოდ დადებითი მნიშვნელობა აქვს, ხოლო *უხარისხო* ხარისხის არქონას ანუ უვარგის ნიშნავს. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ხარისხი განმარტებულია, როგორც „მაღალი ღირსება სამღუდელითა, ანუ საეროთა წესთა შინა“ (რუსული შესატყვისებია იქვე მოყვანილი: степенъ, сан, градус).

**გემო** ეს სიტყვაც ნეიტრალურია (გემო გაუსინჯა), მაგრამ გემოიანი ჩუბინაშვილთან განმარტებულია როგორც „გემოკეთილი“, გემრიელიც, ცხადია, მელიორატიული მნიშვნელობის მატარებელია, მაგრამ ზოგ გამოთქმაში *გემო* პეიორატიული მნიშვნელობითაც შეიძლება იხმარებოდეს: რალაც *გემო* დაჰკრავს.

**სუნიც** ნეიტრალურია (ჩუბინაშვილთან: „ვითარება ნივთთა ქვემდებარე საყნოსელისადმი..., ხოლო იქმნების ესე სასიამოვნო, ანუ კეთილი სუნი და უსიამოვნო, ცუდი სუნი, ანუ სიმყრალე...“, საბასთან კი გვაქვს: სუნი – „ყნოსა ფშვისა თუ მძორისაი“). *სუნიანი* უფრო ცუდი სუნის მქონეს ნიშნავს, განსხვავებით გემოიანისა ან გემრიელისაგან. გამოთქმაში *ამ ოთახში სუნი ღვას* უფრო ცუდი სუნი იგულისხმება, ვიდრე კარგი. ამის საპირისპიროდ შეიძლება წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როცა მშვიერი კაცი სამზარეულოში შედის და ამბობს: – ოჰ, რა სუნია! შესატყვისი ინტონაციით, მაშინ ის, რა თქმა უნდა, კარგ სუნს იგულისხმობს.

ბიძინა ფოჩხუას თავის წიგნში „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ მოჰყავს **ჯადო** სიტყვის მაგალითი, რომელიც შეიძლება voces mediae-ს გზით ენანტიოსემის წარმოქმნის კლასიკურ მაგალითად მივიჩნიოთ:

„**ჯადო**-სიტყვას დღეს ორი საპირისპირო მნიშვნელობა აქვს: ‘წარმტაცი, მომხიბლავი’: „**ჯადო** ღიმილით გაცისროვნებული სახე“ (რ. გვეტაძე) vs. ‘უშნო, მახინჯი გარეგნობის ადამიანი’: „აფსუსი არ არის, რომ შენ ქიტუა გეხვეოდეს, მე კი – ამ **ჯადოს**?“ (შ. არაგვისპირელი). ნამდვილად კი ორივეს საფუძველია **ჯადო**-ს თავდაპირველი მნიშვნელობა – ‘თილისმა, ხიბალი’. აქედან განვითარდა როგორც ‘მომხიბლავის’ მნიშვნელობა, რაც შემდეგ ‘მღიერ კარგის, მიმზიდველის’ გამომხატველ სიტყვად იქცა, ისე ‘ჯადოს მქონეს, ჯადოქარის’ მნიშვნელობა; ეს უკანასკნელი ბუნებრივად დაუკავშირდა როკაპს, კუდიანს, რომელიც საზიზღარი, უკბილო ღედაბრის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი“ (ფოჩხუა 1974:175).

კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება გამოვძგე **ჯანმრთელობა**, რომელიც, როგორც ამ სიტყვის შემადგენლობაც გვიჩვენებს, ადამიანის სხეულის კარგ მდგომარეობას (ჯანის სიმრთელეს) აღნიშნავს. მაგრამ მისი მნიშვნელობა ქართულ ენაში, ბევრი სხვა ენის მსგავსად (შდრ. Gesundheit გერმანულში), განზოგადდა და ნეიტრალური გახდა, ე.ი. ადამიანს შეიძლება სუსტი ან მაგარი (კარგი) ჯანმრთელობა ჰქონდეს. კითხვაზე – როგორია ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობა? – მოსალოდნელია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური პასუხები. გვაქვს შემთხვევები, როცა **ავადმყოფობა** და **ჯანმრთელობა** სინონიმურად იხმარება, მაგალითად, „როცა **ჯანმრთელობა**, უფრო სწორად – **ავადმყოფობა** ამის საშუალებას აძლევდა, ის ქალაქებში მოგზაურობდა“.<sup>14</sup> ამ შემთხვევაში **ჯანმრთელობას ავადმყოფობის** მნიშვნელობა აქვს (შდრ. ლათინური **valetudo** კრონასერთან (Kronasser 1952:186).

ბიძინა ფოჩხუას შენიშნული აქვს, რომ **ჯანმრთელობას** ქართულში სიტყვა **სიმრთელეც** აღნიშნავს (ფოჩხუა 1974:176), და იქვე მიუთითებს, რომ შესიტყვება *მუცლის სიმრთელე* მუცლის *დაავადებას* ნიშნავს. ე.ი. **სიმრთელე დაავადების** აღსანიშნავადაც იხმარება, ამდენად გამოდის, რომ სიმრთელე ენანტიოსემა ყოფილა. ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობით ხმარების ნაცვლად მისი საპირი-

<sup>14</sup> «когда дозволяло здоровье, верней **болезнь**, она ездила по городам» (Цветаева 1994:159)

სპირო მნიშვნელობით ხმარების მიზეზად ბიძინა ფოჩხუა ტაბუს მიიჩნევს, თუმცა შეიძლება ევფემიზმი უფრო გვევარაუდებინა.

სიმრთელესთან დაკავშირებით გვასხენდება ზმნა **უძთელებს**, რომელიც ენანტიოსემიის მაგალითად შეიძლება გამოდგეს. განვიხილოთ ორი წინადადება: 1. ჩვენს მეზობელს ცხვირი გაუტყდა და ქირურგმა ისე ოსტატურად გაუკეთა ოპერაცია, რომ გატეხილი ცხვირი *გაუძთელა* (= „დაზიანება მოუჩინა“) vs. 2. ჩვენს მეზობელს გუშინ ვიღაც ხულიგანმა ცემით ცხვირ-პირი *გაუძთელა* („ჩაუმტვრია, დაუზიანა“). ამგვარი მაგალითები ჟარგონულ მეტყველებაში ალბათ ბევრი დაიძებნება, თუნდაც, მაგალითად, ამ მეორე წინადადებაში *გაუძთელა*-ს მაგივრად შეიძლებოდა გვქონოდა: *გაულამაზა, დაუშვენა...* (რა თქმა უნდა, ამ სიტყვების საპირისპირო მნიშვნელობით).

უნდა ვახსენოთ კიდევ ერთი საინტერესო ძირი: **წამალი** და მისგან ნაწარმოები *წამლობს, უწამლებს, წამლავს, საწამლაჳი...* ძველი ქართული ენის ლექსიკონში ამ სიტყვასთან მოყვანილია მაგალითი: „მეგობარი სარწმუნოი – წამალი იგი *საკურნებელი*“ და იქვე გვაქვს – **წამლენი, წამლიანი შხამიანი, მოწამლული** (აბულაძე ი. 1973: 531-532). მამასადაძე, ეს ძირი ითავსებს ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებს: *საკურნებელი* vs. *შხამიანი ანუ დამავადებელი, მოწამლელი*. ამ სიტყვასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავახსენდეს ბერძნული **farmakon** ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებით: *წამალი* vs. *შხამი*, აგრეთვე ლათინური **venenum**, რომელიც *საწამლაჳთან* ერთად *ბალზამსაც* ნიშნავს.

ამ ენანტიოსემასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მაგალითი გვახსენდება, კერძოდ კი გერმანული **Gift შხამი**, რომელსაც მისგან ნაწარმოებ სიტყვაში Mitgift სულ სხვა მნიშვნელობა (*მზითვევი*) აქვს, ხოლო მონათესავე ინგლისურში იგივე სიტყვა *საჩუქარს* ნიშნავს.

**4.4.** ევფემიზმი ანუ კარგი, წესიერი სახელების შერჩევა რაიმე თვალსაზრისით მიუღებელი, პეიორატიული მნიშვნელობის მქონე სიტყვებისათვის, როგორც უკვე შენიშნული იყო, მაგალითად, ნიროპის, სცადროვსკის და სხვათა მიერ, წარმოადგენს ენანტიოსემიის ერთ-ერთ წყაროს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ზმნა **უკურთხებს**, რომელიც ქეგლ-ში შემდეგნაირადაა განმარტებული: **უკურთხებს** – კურთხევის წესს შეასრულებს, დაულოცავს, და იქვე არის მითითება: იხ. შეუკურთხებს. ამ სიტყვასთან კი ქეგლ-ში მითითებულია აწმყო დროის ფორმა *უკურთხებს* და მისი სასაუბრო მნიშვნელობა: *შეაგინებს* (ქეგლ 1985:428, 496). შდრ. ებრაულში: **berekh ლოცავს** vs. *წყევლის, აგინებს*. არაბულში გვაქვს **mabruk დალოცვილი** vs. *გიჟი* (Finkin 2005:378).

მსგავსი მაგალითია **ცხონება**, ცნობილია, რომ გარდაცვლილის სულს ცხონებას ანუ ზეცაში საუკუნო, მარადიულ ცხოვრებას უსურვებენ: ცხონდეს მისი სული, თუმცა გამოთქმას *მამა გიცხონდეს* შეურაცხყოფის კონოტაცია აქვს. *ცხონდეს* ზმნის მიმღებობა **ცხონებული** პატივისცემას გამოხატავს გარდაცვლილის მიმართ, მაგრამ გამოთქმა *შე მამაცხონებულო* უარყოფითი ელფერის მატარებელია. ასევე უარყოფითი კონოტაციის შემცველია ზოგჯერ გამოთქმა – **შე დალოცვილო**.

ეფემიზმის საპირისპირო მოვლენაა დიზფემიზმი (ან იგივე კაკოფემიზმი), კაკოფემიზმი ძირითადად ცრურწმენას ეფუძნება, რომლის მიხედვითაც რაიმეს ქება (ან დადებითი ემოციების გამოხატვა) ავის მომასწავებელია. ეს ცრურწმენა კავკასიის ხალხებში საკმაოდ გავრცელებულია. საქართველოში არ არის მიღებული ახალდაბადებული ბავშვის ქება, რომ მას თვალი არ ეცეს. „ფუ, ფუ, რა ცუდია ან რა უშნოა, რა მახინჯია – იტყვიან ბავშვზე, ასევე სვანურშიც: *ალ ბებშე იმ ხაჯეშ* „რას ჰგავს ეს ბავშვი“ ან *ხოლა თვალას ლი/ხოლა ლესგდი ლი*. „რა მახინჯია“, ამბობენ ლამაზი ბავშვის დანახვისას, რომ არ გათვალონ და მას ცუდი არაფერი შეემთხვას. შდრ. იდიშში ბავშვის მოხსენიება უკანონო შვილად mamzer „ნაბიჭვარი“ ითვლება ბავშვის კომპლიმენტად (Finkin 2005:378).

**4.5.** ჩვენ უკვე ვახსენეთ სცადროვსკის მიერ განხილული ე.წ. პარადოქსული შეგრძნებების (აბულაძე / ლუდენი 2013: 31-32) აღმნიშვნელი სიტყვები და ვახსენეთ ბიძინა ფოჩხუას მიერ განხილული მაგალითები *სუსხვა* და *წვა*. ისინი იხმარება როგორც უკიდურესი სიცხის, ისე უკიდურესი სიცივის შეგრძნებების გამოხატვის დროს. *ხელები მეწვის* შეიძლება სიცივისგან გათოშილმა ადამიანმაც თქვას და ხელებზე მდუღარეგადავლებულმა კაცმაც.

ძლიერი გრძნობების განცდის შემთხვევაშიც ადამიანის რეაქცია ორ ურთიერთსაპირისპირო გრძნობაზე შეიძლება ერთნაირი იყოს. მაგალითად, *ტირილი* ან *სიცილი*. მართალია, ჩვეულებრივ, ტირილით მწუხარებას გამოხატავენ, ხოლო სიცილით – სიხარულს, მაგრამ ხომ გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც, როცა „სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა“ (აკაკი), ან ვიღაც „მეტის ლხენითა სტირის“ (ილია). მართალია, ქართულში არა გვაქვს ენანტიოსემა, რომლის შინაარსიც *ტირილსა* და *სიცილს* შეითავსებდა, მაგრამ გვაქვს შორისდებულები, რომლებიც იხმარება სრულიად საპირისპირო გრძნობების გამოსახატავად. აკ. შანიძის „ქართული ენის გრამატიკაში“ (შანიძე 1962:309) დასახელებულია **ოჰ** შორისდებული, რომელიც სიხარულსაც გამოხატავს („ოჰ, წამოიძახა გახარებულმა მელიამ“ (ვაჟა) და მწუხარებასაც („ოჰ, რა ძნელია ობლობა“ (აკაკი). შეგვიძლია კიდევ მაგალითების მოყვანა ყოველდღიური მეტყველებიდან: – ვაიმეე! როგორ გამიხარდა! – შეძახილი რაიმე სასიხარულოს გაგების დროს ან: – ვაიმე! ეს რა უბედურება მომხდარა! – სამწუხარო ამბის გაგებისას, შესაბამისი ინტონაციით, რა თქმა უნდა.

ფლობერი თავის დღიურებში წერდა, რომ ადამიანმა შეიძლება გონება დაკარგოს დიდი სიხარულისგან უფრო, ვიდრე დიდი მწუხარებისგან. დიდი ბედნიერება შეიძლება ისეთივე გაუსაძლისი იყოს, როგორც დიდი უბედურება. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ურთიერთსაპირისპირო გრძნობები შეიძლება ენაში ერთნაირად გამოიხატოს, კერძოდ, მათი დახასიათებისას ხშირად იყენებენ ინტენსიფიკაციის უმაღლესი საფეხურის გამომხატველ სიტყვებს, შდრ., მაგალითად, *საშინლად მეწინა* და *საშინლად გამიხარდა*.

არც ის არის გასაკვირი, რომ გრძნობების გამოხატვის დროს სიტყვა შეიძლება არა პირდაპირი, არამედ მისი საპირისპირო მნიშვნელობით იხმარებოდეს

და ეს სწორედ გრძნობების მოჭარბების დროს ხდება. როცა ვაჟა-ფშაველა ბუნებას ასე მიმართავს: „რა ლამაზია, წყეულო...“ აქ ამ მიმართვაში უფრო მისი საპირისპირო დალოცვილო გვესმის. ასევე ბავშვს როცა ეუბნებიან „შე საძაგელო“, ამ შემთხვევაშიც უფრო *შე საყვარელო* უღერს.

**4.6.** განვიხილოთ ის ენანტიოსემები, რომლებიც ერთი სიტყვათველის – კერძოდ, ნათესაობრივი მიმართებების აღმნიშვნელ ველში იჩენს თავს. ლაპარაკი გვაქვს ისეთ შემთხვევებზე, როცა, მაგალითად, მშობლები შვილებს მიმართავენ საკუთარი აღსანიშნით – დედა ან მამა (კინობითი აფიქსებით ან უაფიქსებოდ).<sup>15</sup> დედა (მამა) / შვილი, ბებია (ბაბუა) / შვილიშვილი ნათესაობის ტერმინოლოგიაში ურთიერთსაპირისპირო ცნებებია. ამიტომ ისეთი მიმართვის შემთხვევები, როცა დედა შვილს დედას ან დედიკოს (დედიკუ(ო)ნას) უწოდებს, ან ბაბუა შვილიშვილს – ბაბუს, შემთხვევით ან ოკაზიონალურ ენანტიოსემებად შეიძლება მივიჩნიოთ. საკუთრივ ენანტიოსემად კი, ჩვენი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს **შთამომავლობა**, რომელიც წინაპარ თაობებსაც აღნიშნავს და მომდევნოსაც. შდრ.: *ჩვენთვის უცნობია ამ კაცის შთამომავლობა (ან ჩამომავლობა)*<sup>16</sup> vs. „*რას იტყვი ჩვენზე შთამომავლობა*“ (გალაკტიონი).

აქვე გვინდა განმეორებით ვახსენოთ ურსულა ცერუტის აზრი იმის შესახებ, რომ ინგლ. child (*ბავშვი, შვილი*) ენანტიოსემია, რადგან ის ორ საპირისპირო მნიშვნელობას (*გოგო – ბიჭი*) აერთიანებს (აბულაძე, ლუდენი 2013:42). ამ აზრს თუ გავიზიარებდით, მაშინ ენანტიოსემებად შეგვეძლო მიგვეჩინა ქართული **მეუღლე**, რომელიც, ორ ურთიერთსაპირისპირო ცნებას (*ცოლისა და ქმრის*) აერთიანებს და რომელთა განსხვავებაც (სქესის კატეგორიის მიხედვით), მაგალითად, გერმანული ან რუსული ენების თვალსაზრისით, სავალდებულოა. ამავე ლოგიკით ქართული ენიდან ამოსვლით შეიძლებოდა ენანტიოსემად მიგვეჩინა გერმანული *heiraten*, რომელიც ქართულში ორგვარად შეიძლება ითარგმნოს: *ცოლის შერთვა* და *გათხოვება*. ჩვენ ეს თვალსაზრისი მართებულად არ მიგვაჩნია. ერთი ენის ენანტიოსემების შესახებ მსჯელობისას უნდა შემოვიფარგლოთ ამ ენის სემანტიკური სისტემით და არ უნდა ვიმსჯელოთ მასზე სხვა რომელიმე ენის შინაარსობლივი სისტემის გათვალისწინებით.

**4.7.** მოვიყვანოთ კიდევ ზოგი ენანტიოსემის მაგალითს, რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომი ქართული ენის ლექსიკონებში მოვიძიეთ:

**ცარიელი** ქველ-ში განმარტებულია, ერთი მხრივ, როგორც ობიექტი, რაშიც *არაფერია* მოთავსებული (ცარიელი ჭიქა, ცარიელი დარბაზი), ან *არაფრის მქონე* ადამიანი (ხელცარიელი), ხოლო მეორე მხრივ, როგორც – რისამე *ჭარბად მქონე* (ეს კაცი ცარიელი ჭკუაა, ეს კაცი ცარიელი ცხვირია და ა.შ.).

<sup>15</sup> დაწვრილებით ამ მაგალითების შესახებ იხ. Apridonidze 1991:136-146, Boeder 1989: 11-20, Abuladze, Ludden 2013:32-35.

<sup>16</sup> შთ > ჩ.

**ძვირი**, ერთი მხრივ, ძვირად ღირებულს, იშვიათს, ძვირფასს, ე.ი. კარგი ხარისხისას შეიძლება ნიშნავდეს, მეორეს მხრივ კი – ცუდს, გამოთქმაში: *მასზე ძვირი* (ე.ი. *ცუდი რამ*) არ გამავიწყდეს.

რამდენიმე მაგალითი მოვძებნეთ ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში:

**გამოფერდილი** ითქმის ორგუარად: *ფერდებჩაცვივებული* შიმშილით ან *ფერდებ-გატენილი* სიმაძღროთ (ხვასტაგი).

**განქორწინების** განმარტებაში კი ნათქვამია: გათხოვება, ქმრის შერთვა. ე.ი. ამ სიტყვას შემდგომში საპირისპირო მნიშვნელობა განუვითარებია, რადგან დღეს განქორწინება გაყრას ნიშნავს.

ენაში საკმარისად მოიძებნება ისეთი სიტყვები, რომლებიც დროის განმავლობაში საპირისპირო მნიშვნელობას ივითარებენ. ასეთი მოვლენას უწოდებენ ენანტიოსემიას დიაქრონიაში. ბიძინა ფოჩხუას თავის „ქართული ენის ლექსიკოლოგიაში“ მოჰყავს მნიშვნელობის პოლარიზაციის მაგალითები, რომლებიც ერთ სიტყვაში მისი თავდაპირველი მნიშვნელობის საწინააღმდეგო, საპირისპირო მნიშვნელობის განვითარების გზებს გვიჩვენებენ. მაგალითად, სიტყვას **ლამაზი** თავდაპირველად უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა: *მაყვივებელი, ყბადაძლები*. მოგუსმინოთ ბიძინა ფოჩხუას:

„**ლამაზ**– ფუძე არაბულიდან მომდინარეობს. მისგან ნაწარმოები *ლამაზობა* ‘ემშაკობის, სიცრუის, თვალთმაქცობის’ მნიშვნელობით იხმარებოდა ვისრამიანში: ...,მზე ხარ კეკლუცთა და არამცა მოგაცთუნვა სიკეკლუცემან. ღმრთისა განგება თავსავე ზედა ქმნილა შენთუის, ეგე ეგზომი უსარგებლო სიტყვა რასალა გერგების? დააგდე სიჭრელე შენი და *ლამაზობა*“. ...*შუენიერი*–, *სიკეკლუცე*– სიტყვების გვერდით ხმარების გამო *ლამაზობა*– სიტყვამ განივითარა ‘თვალთმაქცობის’ მომიჯნავე ელფერი – ‘მომხიბლაობისა’, ‘სიკეკლუცისა’. ეს კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსანში“.... „მე შემომხედის ლამაზად მის მელნის ტბისა თვალითა“, სადაც *ლამაზად* = *კეკლუცად*“ (ფოჩხუა 1974:302).

სიტყვის ხმარება არა მხოლოდ დიდ გავლენას ახდენს მის მნიშვნელობაზე, როგორც ამას ბიძინა ფოჩხუა აღნიშნავს, არამედ სიტყვის ხმარება არის სწორედ მისი მნიშვნელობა (ვიტგენშტეინი)<sup>17</sup>. სიტყვის მნიშვნელობაზე მისი ხმარების ზემოქმედების ილუსტრირება იყო სწორედ ბიძინა ფოჩხუას მიზანი. განსაკუთრებით ხშირია სიტყვის დადებითი ელფერის შეცვლა უარყოფითით ან პირუკუ.

ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ზედსართავი – **მედგარი**, რომელიც ძვ. ქართულში *მცონარსა* და *მზაკვარს* ნიშნავდა, ახალში კი – *უშიშარს, შეუღრეკელს*.

მსგავსი მაგალითები ენანტიოსემებად ვერ ჩაითვლება, რადგან ისინი ენის სხვადასხვა ქრონოლოგიურ ჭრილს განეკუთვნებიან, თუმცა ამგვარი ცვალებადობის გზებზე დაკვირვება სემანტიკისთვის ძალიან საინტერესოა და მნიშვნელოვანი.

<sup>17</sup> As Wittgenstein says, “Every sign by itself seems dead. What gives it life? In use it is alive. Is life breathed into it there? – Or is the use its life?” ციტატა მოყვანილია (Croft and Cruse 2004:98).



**4.8.** ენანტიოსემია წარმოქმნის ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულ ხერხად ალბათ მაინც სიტყვათა ირონიული ხმარება უნდა მივიჩნიოთ. სხვა ენების მსგავსად, ქართულშიც თვალში საცემია ენანტიოსემიის ეს წყარო – ე.წ. რიტორიკული ენანტიოსემია.

ირონია უფრო რიტორიკას განეკუთვნება, და ამდენად უფრო პრაგმატიკას, ვიდრე სემანტიკას. მისი არსი სწორედ ისაა, რომ სიტყვის მნიშვნელობა მისი საწინააღმდეგო მნიშვნელობით შეიცვალოს. იმისთვის, რომ ირონია აღიქმებოდეს, სასურველია, რომ კონტრასტი ნამდვილ და ნაგულისხმევ მნიშვნელობებს შორის რაც შეიძლება დიდი იყოს. პრინციპში, ყველა სიტყვის ხმარება შეიძლება სრულიად საპირისპირო მნიშვნელობით, ანუ ირონიულად, როგორც ამას ლექსშიც აღნიშნავდა, მით უმეტეს თუ მათ ირონიის სიგნალებსაც დაეურთავთ, როგორცაა ინტონაცია, მოძალობების ნაწილაკები და ა.შ. (Lepschy 1980:83).

– დიდი გმირობა გამოვიჩენია! – შეიძლება უთხრა კაცს, რომელმაც სიმხდალე გამოავლინა, ან – შენი მეგობარი დიდი გენიოსი ყოფილა! – თქვა სულელ კაცზე. – რა ბეჯითია – ამბობენ ზარმაცზე ან – რა მშვენიერი ამინდია! – ცუდ ამინდზე და ა.შ.

მაგალითი სვანურიდან: „მაი ლემხერ ხი“ – რა ჭკვიანი / რა შეგნებული ხარ! (როცა მოსაუბრეს ჭკუა აკლია).

აქვე შეიძლება ვახსენოთ ზმნა **ბრძანდება** და მისგან ნაწარმოები ფორმები, რომლებიც ჩვეულებრივ ზრდილობიანი მიმართვისას იხმარება, თუმცა გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც, მაგალითად: – *გაბრძანდით აქედან!* უფრო *გაეთრიეს* შეიძლება ნიშნავდეს, ან *მობრძანდი, შენ, აჰ!* – შეიძლება მუქარას შეიცავდეს, ნათქვამის ტონს გააჩნია.

სიტყვების მნიშვნელობის საპირისპირო მნიშვნელობით ჩანაცვლების მაგალითებს **ვ. ცოლერი** ემოციურ-შეფასებით ენანტიოსემიას უწოდებს (Цоллер 1998:76), რომელსაც ის განმარტავს, როგორც სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში ურთიერთსაპირისპირო ემოციურ-შეფასებითი კომპონენტების (მელიორატიულისა და პეიორატიულის) არსებობას. მნიშვნელობის რომელიმე კომპონენტის დადებითი ნიშნის უარყოფითით შეცვლა და პირიქით ხდება ზოგჯერ სიტყვის ირონიულად ხმარების შედეგად. უფრო ხშირია პეიორატიული მნიშვნელობის განვითარება, რასაც თავის დროზე ნიროპიც შენიშნავდა. ცოლერის აზრით, ამ მოვლენის ახსნა იმითაც შეიძლება, რომ გადაჭარბებული ღირსება შეიძლება ისე იყოს აღქმული, როგორც ნაკლი. როგორც ვიცით, ნიროპი სულ სხვაგვარად ცდილობდა ამ მოვლენის ახსნას (აბულაძე, ლუდენი 2013: 27).

ემოციურ-შეფასებითი ენანტიოსემიის შესახებ საუბრის დროს შეგვიძლია მოვიხსენიოთ სიტყვის მელიორატიული ხმარების მაგალითი ქართულში – **გიჟი**, რომელიც ზოგჯერ მაშინ იხმარება, როცა შექება გვინდა ვინმესი, ვინც ძალიან ძლიერია რომელიმე სფეროში, *გიჟი მათემატიკოსი, გიჟი ფიზიკოსი...*

ჩვენ არ გვგონია, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითებით ამოიწურებოდეს ენანტიოსემიათა რაოდენობა ქართულში. იმედია, რომ შემდგომი კვლევა კიდევ უფრო მეტ მასალას მოგვაპოვებინებს.

5. ბოლოს გვინდა რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვათ ამ ენობრივ მოვლენასთან დაკავშირებით. ერთ დროს ითვლებოდა, რომ ენანტიოსემია, როგორც აზროვნების, შემეცნების გარკვეული სახე, ახასიათებს უმეტესად აღმოსავლურ, კერძოდ, არაბულ კულტურას, მაგრამ შემდგომმა კვლევებმა ნათელი გახადა, რომ ის ყველა ენაში (ან თითქმის ყველა) ენაში გვხვდება. განსაკუთრებით აბელის შემდეგ ენანტიოსემიამ მიიპყრო იმ ლინგვისტთა ყურადღება, რომლებიც სემანტიკის საკითხებით, კერძოდ, მნიშვნელობათა ცვლილებებით და ამ ცვლილებათა ფსიქოლოგიური საფუძვლების კვლევით იყვნენ დაკავებულნი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვით სემანტიკის ფუძემდებელი მიშელ ბრეალიც კი მოქცეულა გარკვეულ დროს აბელის გავლენის ქვეშ.

განხილული ლიტერატურიდან ჩანს, რომ ლინგვისტიკაში ენანტიოსემიას ძირითადად მიიჩნევენ საკმაოდ იშვიათ შემთხვევით მოვლენად, რომელიც სიტყვის პოლისემანტიზაციის გარკვეულ ეტაპზე იჩენს თავს, ზოგჯერ ითვლება, რომ ეს შემთხვევითი მოვლენა ეწინააღმდეგება ენის საკომუნიკაციო ფუნქციას (Meid 1976:246), ზოგჯერ კი პირუკუ, რომ ეს მოვლენა ბუნებრივია და მისი ახსნა ადვილად შეიძლება სიტყვის მნიშვნელობის არამდგრადობითა და სიტყვების მნიშვნელობებს შორის გამოკვეთილი საზღვრების არარსებობით (Szadrowsky 1924, Ганеев 2003).

ბოლო წლებში იგრძნობა ამ მოვლენით დაინტერესება კოგნიტიური სემანტიკის სფეროში მოღვაწე ლინგვისტთა შორის, რომლებიც მის ახსნას ადამიანის შემეცნებისა და საერთოდ ადამიანური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ზოგადი პრინციპების მეშვეობით ცდილობენ (Shmelev 2005, Ривелис 2008). ჩვენ უფრო ამ უკანასკნელი აზრისკენ ვიხრებით, რადგან ვფიქრობთ, რომ ენანტიოსემიის არსებობა ერთმანეთისგან განსხვავებულ ენებში და თანაც ხშირად ერთსა და იმავე ლექსიკურ სფეროებში, არ შეიძლება არ მიუთითებდეს ადამიანის აზროვნებისა და შემეცნების რაღაც საერთო თვისებებზე. შეიძლება ამ თვალსაზრისის გასამაგრებლად კიდევ რამდენიმე მოსაზრების მოყვანა:

ოპოზიციური, უფრო ზუსტად პოლარული წყვილების მნიშვნელობათა შესახებ მცდარი წარმოდგენა არსებობს. ისინი ინტუიტიურად მაქსიმალურად დაშორებულად აღიქმება. ითვლება, რომ ანტონიმების მნიშვნელობები, სინონიმებთან შედარებით, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ფაქტობრივად, ოპოზიციური წყვილები ერთმანეთთან ძალიან ახლოს არიან, რაც მათი თითქმის იდენტური დისტრიბუციების არსებობითაც დასტურდება. ამიტომაც ხშირად გვხვდება მეტყველების დროს ოპოზიციური წყვილის წევრების ურთიერთჩანაცვლების შემთხვევები (გავიხსენოთ თუნდაც ჩვენი ვიცე-პრემიერის, კახი კალაძის, სიტყვები: „ჩვენ მოვახერხეთ უსამართლობის აღ-

დგენა“ – სამართლიანობის ნაცვლად, თუმცა ამ შემთხვევაში იქნებ სხვა მიზეზებზედაც შეიძლებოდეს ლაპარაკი).

აღსანიშნავია ისიც, რომ ანტონიმების სხვაობა ერთადერთ სემანტიკურ კომპონენტზე დაიყვანება, ანუ ანტონიმები განსხვავდებიან მათი მნიშვნელობის ერთი განზომილების მიხედვით, დანარჩენი თვისებებით კი ისინი იდენტურნი არიან. იმ განზომილებაში, რომლის შიგნითაც ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ისინი საპირისპირო პოლუსებს იკავებენ და აქედან გამომდინარეობს მათ შორის განსხვავების მკვეთრი შეგრძნება (Cruse 1986:198-200). მაგალითისათვის ავიღოთ ანტონიმები – გრძელი და მოკლე, მათი მნიშვნელობების კომპონენტური ანალიზის შედეგია: გრძელი (**პორიზონტალური განფენილობა**) (**+პოლუსი**) და მოკლე (**პორიზონტალური განფენილობა**) (**-პოლუსი**), ე.ი. სხვაობა +/- პოლუსებამდე დაიყვანება. ასევე მხოლოდ ერთი კომპონენტით (კერძოდ, მიმართულებით) განსხვავდებიან ერთმანეთისგან ისეთი წყვილები, როგორცაა **გუშინ : ხვალ, წინ : უკან, მარჯვნივ : მარცხნივ...**

ფსიქოლოგიური ექსპერიმენტები, რომლებიც სიტყვებს შორის ასოციაციურ კავშირებს სწავლობენ, გვიჩვენებენ მჭიდრო კორელაციას სტიმულსა და მისი საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვას შორის (Deese 1964, Clark 1976).<sup>18</sup> ასევე აფაზით დაავადებულთა კვლევებმა გამოავლინა სემანტიკურ მანსოვრობაში ანტონიმურ სიტყვებს შორის მჭიდრო კორელაციის არსებობა (Stachowiak 1979:52). კონიტიურ მეცნიერებაშიც ცნობილია ის ფაქტი, რომ სასწავლო პროცესში ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის შემცველი მაგალითების წარმოდგენა საგრძნობლად უწყობს ხელს ცნებების ათვისებას.

ზემოთქმულს ისიც შეიძლება დაემატოს, რომ ენის გარეშეც, უბრალოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ გვხვდება ისეთი მოვლენები, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით ენანტიოსემიას გვაგონებენ. ასეთ მოვლენებზე უკვე გვქონდა საუბარი, მაგალითად, შეიძლება ადამიანი სარისკო სიტუაციებში შიშთან ერთად გარკვეულ სიხარულსაც განიცდიდეს (აბულაძე, ლუდენი 2013:31-32).

ემოციის სფეროშიც ხშირად მიუთითებენ კავშირზე სიყვარულსა და სიძულვილს შორის, აგრეთვე იმაზეც, რომ გარკვეულ სიტუაციებში ზოგჯერ ენანტიოსემიის მსგავს გამოვლინებებს აქვს ადგილი, მაგალითად, როცა ადამიანი სიხარულისგან ტირის ან სიმწრისაგან იცინის. უკვე გვქონდა საუბარი ე.წ. „პარადოქსული აღქმის“ შესახებაც, როცა ადამიანი ცხელ წყალში ხელის ჩაყოფისას თითქოს სიცივეს გრძნობს, ხოლო ყინულთან შეხებისას – წვას (Abuladze, Weger 2006).

გერმანელი ფილოსოფოსი შელინგი წერდა, რომ ბუნებაში არ არსებობს მთლიანობა გაორების, პოლარიზაციის გარეშე, ისევე როგორც არ არსებობს გაორება, დაპირისპირება ერთიანობის გარეშე. შეიძლება ენაში ენანტიოსემების არ-

<sup>18</sup> მაგალითად, კლარკი წერს: “If a stimulus has a common ‘opposite’ (an antonym), it will always elicit that opposite more often than anything else. These responses are the most frequent anywhere in word associations” (Clark 1970: 280).

სებობა სწორედ ამ აზრის საილუსტრაციოდ გამოდგეს; ენა ხომ ისეთივე მრავალწახნაგოვანია და მრავალფეროვანი, როგორც თვითონ ბუნება. ყოველ შემთხვევაში ჩვენ გვეჩვენება, რომ ენანტიოსემია მართლაც საინტერესო ენობრივი მოვლენაა და ის, ჰეგელის თქმისა არ იყოს, „აზროვნებას სიხარულს ჰკვრის“.<sup>19</sup>

### ლიტერატურა

- აბულაძე ი. 1973:** ილ. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- აბულაძე 1989:** ლ. აბულაძე, *სივრცული და დროული ორიენტაციის აღმნიშვნელ სიტყვათა წყვილების შესახებ*, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXVIII, გვ. 3-13.
- აბულაძე 1990:** ლ. აბულაძე, დროში თანმიმდევრობის გამომხატველ სიტყვათა ერთი წყვილის შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, თბილისი.
- აბულაძე 1997:** ლ. აბულაძე, *ენანტიოსემია ქართულში*. ქუთაისური საუბრები 3, ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი.
- აბულაძე / ლუდენი 2013:** ლ. აბულაძე, ა. ლუდენი, *ენანტიოსემია ქართულში (I ნაწილი)*, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, გვ. 17-45.
- ორბელიანი 1993:** სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილ. აბულაძემ, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
- ფოჩხუა 1974:** ბ. ფოჩხუა, *ქართული ენის ლექსიკოლოგია*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- ქვლ 1986:** *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული)*, არნ. ჩიქობავა (მთ. რედ.), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი.
- შანიძე 1962:** ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკა I*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- შანიძე 1973:** ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- ჩუბინაშვილი 1961:** ნ. ჩუბინაშვილი, *ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ*, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- Abel 1884:** C. Abel, *Über den Gegensinn der Urworte*. Leipzig, Friedrich; აგრეთვე In: Sprachwissenschaftliche Abhandlungen. Leipzig: Verlag von Wilhelm Friedrich, 1885.
- Abuladze 1991:** L. Abuladze, *On Word Pairs Expressing Spatial and Temporal Sequencing*, In: Linguistic Studies, 45, pp.127-135.
- Abuladze / Weger 2006:** L. Abuladze, U. Weger, *Zur Erscheinung der Antonymie und Enantiosemie*, In: Abstracts Informationen (Zweite Internationale Konferenz der Deutschen Gesellschaft für Kognitive Linguistik), München.

<sup>19</sup> ციტატა მოყვანილია გორელოვის მიხედვით (Горелов 1986:86).

- Abuladze 2006:** L. Abuladze, *Lokaldeixis im Georgische*, In: Einblicke in Sprache, Festschrift für Clemens-Peter Herbermann zum 65. Geburtstag, “Logos”, Berlin, S.15-32.
- Abuladze 2006:** L. Abuladze, *Höhere Einheit*. In: Das Goetheanum, 44, ამავე წერილის ფრანგული თარგმანი *Enantiosémie: à la recherche de l'unité supérieure*, In: Tournant 2006, 15/5. მთარგმნელი: Daniel Kmiecik.
- Abuladze / Ludden / Weger 2010:** L. Abuladze, A. Ludden, U. Weger, “*Hypothese des ursprünglichen Gegensinns*” und die gegenwärtige Zustand der Erforschung der *Enantiosemie*, In: Abstracts (4th International Conference of German Society of Cognitive Linguistics (DGKL), Bremen.
- Abuladze / Ludden 2013:** L. Abuladze, A. Ludden, *The Vocative in Georgian*, In: *Vocative! (Addressing between System and Performance)* edited by Barbara Sonnenhauser and Patrizia Noel Aziz Hanna (Trends in Linguistics. Studies and Monographs 261), “De Gruyter Mouton”, Berlin-Boston, pp. 25-42.
- Apridonidze 1991:** Sh. Apridonidze, *Literary and Dialectal Forms of Address in Georgian*, In: *Studia Linguistica* 45, 136-146.
- Benvenist 1956:** E. Benvenist, *Remarques sur la fonction du langage dans la de'couverte freudienne*, In: *Review la psychanalyse*, 1.
- Boeder 1989:** W. Boeder, *Über einige Anredeformen im Kaukasus*, In: *Georgica, Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens* 11, 11-20.
- Breal 1964:** M. Breal (trans. N. Cust), *Semantics: Studies in the Science of Meaning*, “Dover”, New York.
- Cassirer 1972:** E. Cassirer, *Philosophie der symbolischen Formen*, “Wissenschaftliche Buchgesellschaft”, Darmstadt.
- Cerutti 1957:** U. Cerutti, *Sinn und Gegensinn im Englischen*, Verlag “P. G. Keller”, Winterthur.
- Clark 1970:** H. Clark, *Word Associations and Linguistic Theory*, In: Lyons, John (ed.), *New Horizons in Linguistics*, “Penguin”, Baltimore, pp. 271-286.
- Croft / Cruse 2007:** W. Croft, D. A. Cruse, *Cognitive Linguistics*, Cambridge University Press, Cambridge.
- Cruse 1986:** D. A. Cruse, *Lexical Semantics*, Cambridge University Press, Cambridge.
- Deese 1964:** J. Deese, *The Associative Structure of Some Common English Adjectives*, In: *Journal of Verbal Learning & Verbal Behavior*, 3(5), pp. 347-357.
- Finkin 2005:** J. Finkin, *Enantiodrama: Enantiosemia in Arabic and beyond*, In: *Bulletin of SOAS* 68, 3, 369-386, School of Oriental and African Studies. Printed in the United Kingdom.
- Freud 1969:** S. Freud, *Über der Gegensinn der Urworte*. In: Sigmund Freud, *Gesammelte Werke*, 8. Band, “S. Fischer”, Frankfurt am Main, S. 214-221.
- Heller 1976:** K. Heller, *Über Gegensinn in zwischensprachlichen Bezeichnungen*, In: H.D. Pohl & N. Salmikow (eds.): *Opuscula Slavica et Linguistica*, Festschrift für Alexander Issatschenko, “Heyn”, Klagenfurt, 211-216.
- Horn 2011:** L. Horn, *Etymology and Taboo*, [www.bu.edu/isle/files/2012/01/Laurence-Horn-Etymology-and-Taboo.pdf](http://www.bu.edu/isle/files/2012/01/Laurence-Horn-Etymology-and-Taboo.pdf).
- Jäger 2012:** , L. Jäger, *Der assoziative Sprachapparat. Anmerkungen zu Saussure und Freud*, In: *Sprache und Literatur*, 109. 43. Jahrgang (I Halbjahr, 36-51).

- Kluge 1995:** F. Kluge, *Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache*, “De Gruyter”, Berlin- NewYork.
- Kronasser 1952:** H. Kronasser, *Handbuch der Semasiologie*, “Winter”, Heidelberg
- Lang 1995:** E. Lang, *Das Spektrum der Antonymie. Semantische und konzeptuelle Strukturen im Lexikon und ihre Darstellung im Wörterbuch*, In: Die Ordnung der Wörter. Kognitive und lexikalische Strukturen (hrsg. Gisela Harras), “Walter de Gruyter”, Berlin-New York.
- Lepschy 1980:** G. Lepschy, *Enantiosemy and Irony in Italian Lexis*, In: The Italianist: Journal of the Departments of Italian Studies, University of Reading, 1, 82-88.
- Lepschy 1989:** G. Lepschy, *Freud, Abel e gli opposti*, In: Sulla linguistica moderna, “Mulino”, Bologna, pp. 349-378.
- Lutzeier 1997:** P. R. Lutzeier, *Gegensinn als besondere Form lexikalischer Ambiguität*, In: Linguistische Berichte, 171, S. 381-395.
- Lutzeier 2001:** P. R. Lutzeier, *Polysemie mit spezieller Berücksichtigung des Gegensinns*. In: Lexikographica, 17, S. 69-91.
- Lutzeier 2007:** P. R. Lutzeier, *Wörterbuch des Gegensinns im Deutschen B I (A-G)*, “Walter de Gruyter”, Berlin-New York.
- Lutzeier 2012:** P. R. Lutzeier, *Wörterbuch des Gegensinns im Deutschen B 2 (H-Q)*, “Walter de Gruyter”, Berlin-New York.
- Matthews 1998:** P. H. Matthews, *The Concise Oxford Dictionary of Linguistics*, Oxford University Press., Oxford-New York.
- Meid 1976:** W. Meid, *Bemerkungen zum Gegensinn*, In: H. D. Pohl & N. Salnikow (eds.): *Opuscula Slavica et Linguistica. Festschrift für Alexander Issatschenko*, “Heyn”, Klagenfurt, S. 239-248.
- Nöldeke 1910:** Th. Nöldeke, *Wörter mit Gegensinn*, In: Neue Beiträge zur semitischen Sprachwissenschaft, Verlag von Karl J. Trübner, Strassburg, S. 67-108.
- Radden 2011:** G. Radden, *The Metaphor TIME AS SPACE across Languages*, In: Mario Brdar, Marija Omazic, Visnja Pavicic Takac, Tanja Gradecak-Erdeljic, and Gabrijela Bulian (eds.): *Space and Time in Language*, “Peter Lang”, Frankfurt et al.
- Shmeljov 2005:** A. Shmeljov, *Cognitive Mechanisms of Enantiosemy (with special reference to Russian)*. In: The Fifth Annual Conference of the Slavic Cognitive Linguistics Association, The University of Kansas, Lawrence, Kansas.
- Szadrowsky 1924:** M. Szadrowsky, *Gegensinn im Schweizerdeutschen*, In: Zeitschrift für Deutsche Mundarten, 19, S. 11-86.
- Topel 1995:** H. Topel, *Polarität und Ambivalenz des Bewußtseins (Die magische Grenze zwischen Lust und Angst)*, “R.G. Fischer”, Frankfurt am Main.
- Traugott 1975:** E. C. Traugott, *Spatial Expressions of Tense and Temporal Sequencing: a contribution to the study of semantic fields*, In: *Semiotica* 15, pp. 207-230.
- Traugott 1978:** E. C. Traugott, *On the Expression of Spatio-Temporal Relations in Language*, In: Joseph H. Greenberg, Charles A. Ferguson, and Edith A. Moravcsik (eds), *Universals of Human Language*, Vol. III, Stanford University Press, Stanford, pp. 369-400.
- Wiemer 2008:** B. Wiemer, *Zur Enantiosemie im strikten Sinn: zwischen Pragmatik und (lexikalischer) Semantik*, In: Brehmer, Bernhard / Fischer, Katrin / Krumbholz, Gertje (eds.): *Aspekte, Kategorien und Kontakte slavischer Sprachen*. S. 404-416.
- Абуладзе / Лудден 2011:** Л. Абуладзе, А. Лудден, *Энантисемия в картвельских языках*, In: *Languages and Cultures in the Caucasus*, Ed. Vittorio Springfield Tome-

- Peri, Manana Topadze, Anna Lukianowicz with the collaboration of Oleg Rumjancev, "Otto Sagner", München-Berlin.
- Бунчич 2004:** Д. Бунчич, *Энантиосемия внутриязыковая и межъязыковая как проблема коммуникации*, In: Grabska, Marcelina (ed.): "Sl'owa, sl'owa, sl'owa"... v komunikacii e'zykowej II, Gdansk, 207-212.
- Ганеев 2003:** Б. Ганеев, *Первоначальная энантиосемия и диффузность в языке*, В: Вестник Оренбургского государственного Университета, 4, стр. 9-14.
- Горелов 1986:** И. Горелов, *Энантиосемия как столкновение противоречивых тенденций языкового развития*, В: Вопросы языкознания, 4, стр. 86-96.
- Климов 1964:** Г. Климов, *Этимологический словарь картвельских языков*, Издательство Академии Наук СССР, Москва.
- Преображенский 1910-1914:** А. Преображенский, *Этимологический словарь русского языка*, Москва.
- Ривелис 2008:** Е. Ривелис, *В глазу наблюдателя, или антонимы ли рыба и мясо? Об энантиосемии и мнимых противоположностях*, In: Scando-Slavica 54, 159-178.
- Цветаева 1994:** М. Цветаева, *Хлыстовки*, В: Собрание сочинений в семи томах, Т. 5, "Эллис Лак", Москва, стр. 92-98.
- Цветаева 1994:** М. Цветаева, *Музей Александра III*, В: Собрание сочинений в семи томах, Т. 5, "Эллис Лак", Москва, стр. 155-161.
- Цоллер 1998:** В. Цоллер, *Эмоционально-оценочная энантиосемия в русском языке*, В: Филологические науки 4, стр.76-83.

*Lia Abuladze, Andreas Ludden*

## **Enantiosemy in the Georgian Language (II)**

### Summary

In the second part of our article "Enantiosemy in the Georgian language" we continue to review the works concerning the enantiosemy, published from the end of the 20th century to our days. In our observation we focus our attention on I and II volumes of the "Wörterbuch des Gegensinns im Deutschen" of Peter Rolf Lutzeier (Lutzeier 2007, 2012)

In the preface of his dictionary Lutzeier writes that he has not found the word which correlates with German *Gegensinn* in English linguistic terminology, although it is well known that this phenomenon, i.e. the category of words with opposing senses, is named "enantiosemy" (Matthews 1998, Finkin 2005). For the designation of this phenomenon, Lawrence Horn prefers to use "enantionymy" and "enantionyms" – for the designation of examples, "supported by the parallel with such well established terms of lexical art as antonym(y), synonym(y) and hyponym(y)" (Horn 2011:3). In our article we use "enantiosemy" to designate the category supported with such a term as polysemy, and we use "enantioseme" for the examples. These terms are more reasonable, in our opinion, because polysemy and enantiosemy both designate *one and the same word* with different meanings whereas such terms as antonymy, synonymy, hyponymy, etc. deal with the relations between *two or more different words*.

We enumerate Georgian enantiosemes in our article and try to categorize them, although it is very difficult (if not impossible) to achieve any precise categorization or classification in such a sphere as lexical semantics.

We have singled out the following groups of enantiosemes:

1. Some finite verbs in the Present Tense. These verbs having no preverbs are ambiguous, e.g.

**rtav** in the imperative sentence: “nu rtav dzrava-s”

neg. particle switch off/switch on -Imp. the engine -Dat.

*Don't switch off the engine vs. Don't switch on the engine*

Most of such verbs demonstrate the reversible relations between two opposite senses.

2. The words with senses demonstrating the diversity of points of view belong to the second group of enantiosemes. Most of them are adverbs or postpositions, e.g. **c'in** *forward / backward*.

The third group consists of enantiosemes derived from a concept having such a meaning, which makes it possible to change in two opposite directions (so-called voces mediae), e.g. **jado** with the primary meaning *magic*, which has changed in two directions: *charming* and *monster*.

3. In Georgian, as in other languages, we find the enantiosemes related to the so-called “paradoxical feels”, e.g.

we say: xel-eb-i **m-e-c'vi-s**

hand-PI-Nom O1-RV-burn-S3

*My hands burn* (when we feel anything *cold* or *hot*).

We also find the enantiosemes in utterances expressing emotional state, e.g. many interjections can have contradictory senses determined by the context. Sometimes emotions are manifested non-verbally. We may laugh or cry with joy or in contrary with sorrow.

4. In Georgian as well as in many other languages euphemism is one of the sources of enantiosemy; also cases of cacophemismus or dispphemismus can be established in Georgian.

5. There are many cases of ironical use of words in Georgian (so-called rhetorical enantiosemy).

We hope that further investigations may help to enlarge the list of enantiosemes and classify them more precisely.

Concerning this phenomenon of language, we think that its existence in many (if not all) languages, and mostly in the same semantic fields, cannot be occasional and may indicate certain cognitive features of human mind.



## ИНТЕГРАТИВНАЯ МОДЕЛЬ РЕЧЕПОРОЖДЕНИЯ В МЕТОДИКЕ ПРЕПОДАВАНИЯ РКИ

Современная методическая наука в качестве общей цели обучения иностранному языку предполагает коммуникативную компетенцию в полном объеме этого понятия, в качестве же объекта обучения выступает речевая деятельность, представленная совокупностью речевых действий. Следовательно, построение методической системы предполагает знание закономерностей речевого общения, выявляемых психолингвистикой, теорией коммуникации, лингвистикой в процессе исследования природы речевой деятельности человека (механизмы порождения речевого высказывания, организация внутреннего лексикона, сущность языковой способности, психологические особенности овладения иноязычной речью и т.д.). Исследование внутренних механизмов речи, стратегий, которые использует говорящий при порождении речевого сообщения, на современном этапе развития научного мышления проводится преимущественно с позиций когнитивного подхода к языку, предполагающего обращение к мыслительным (когнитивным) категориям (память, восприятие, внимание, мышление и др.) (Баранов, Добровольский 1997:12-13).

Процесс порождения речи в рамках когнитивной парадигмы рассматривается как “речемыслительный процесс, одновременно приводящий в движение когнитивные и языковые структуры в их постоянном взаимодействии и переплетении, а поэтому требующий для своего протекания наличия в мозгу человека не только особых оперативных механизмов, но и своеобразной «стационарной» базы их применения” (ЧФЯ 1991). Соответственно, моделирование процесса речепорождения невозможно без учета тесной связи языка и мышления; представления о типах языкового знания, которые необходимы человеку для того, чтобы он говорил, о том, как эти знания отражаются на разных этапах порождения высказывания, как используются в речевой деятельности, как организованы языковые знания в сознании человека (проблемы категоризации и концептуализации опыта человека и т.п.).

В российской психолингвистике предложено несколько моделей речепорождения. Каждая модель имеет свои специфические черты, однако все они базируются на исследованиях Л. С. Выготского, который в системе речепорождающего процесса выделил три этапа: 1) этап семантического, смыслового развертывания; 2) этап лексико-грамматического развертывания; 3) этап звуковой реализации. Согласно мнению Л. С. Выготского, общее движение процесса порождения речи происходит в направлении от мотива, порождающего какую-либо мысль, к оформлению самой мысли, к опосредованию ее во внутреннем слове, а затем в значениях внешних слов и, наконец, в словах (Вятютнев 1977, 6:38-45).

Попытка группы исследователей пересмотреть с позиций когнитивного подхода природу процессов речепорождения привела к появлению интегративной модели порождения речи. При создании данной модели процесса речепорождения использовались не только работы по психологии и психолингвистике, но и работы собственно лингвистического характера. В частности, лингвистический аспект интегративной модели порождения речи базируется на схеме речепорождения, предложенной С. Д. Кацнельсоном (Кацнельсон 1972). В интегративной модели порождения речи указаны следующие стадии: 1) блок *превербальных* стадий (мотивационно-побудительная и мыслеформирующая стадии); смешанные, *вербально-авербальные* стадии; собственно *вербальные* стадии, начинающиеся с выбора и поиска внутреннего слова.

Несмотря на наличие достаточного количества работ, посвященных анализу функционирования речевого механизма, тем не менее, проблема перехода “от нематериальной мысли к материи звука (при говорении) и от материи звука к идее, пониманию (при слушании)” остается одной из труднейших для теоретической психологии, психолингвистики. Именно этапу перехода от невербальных концептов к вербальным уделено особое внимание в интегративной модели порождения речи. Следуя за схемой речепорождения, намеченной в исследованиях С. Д. Кацнельсона (первая ступень в процессе речепорождения – речемыслительная (или семантическая), вторая – лексико-морфологическая и третья – фонологическая, авторы интегративной модели придают существенное значение понятию пропозиции, в том смысле, как пропозиция трактуется в работах С. Д. Кацнельсона. Процесс перехода к внешнему высказыванию предполагает формирование пропозиции как костяка будущего предложения, т.е., с психологической точки зрения, происходит осознание тех ролей, которые играют в описываемой ситуации обозначенные предметы; с лингвистической же точки зрения, на этой стадии говорящий выбирает определенную схему синтаксического целого (ЧФЯ 1991:59, 66). Таким образом, создание предложения осуществляется как осознание того конкретного отношения, которое усматривается между обозначенными участниками события, ситуации, или же как осознание того действия, состояния или качества, которое приписывается выбранному и обозначенному субъекту.

Авторы интегративной модели речепорождения, принимая идеи С. Д. Кацнельсона о роли пропозиции в процессе формирования высказывания на этапе внутренней речи, вносят определенную корректировку непосредственно в процесс построения пропозиции. Так, если С. Д. Кацнельсон полагает, что именно предикат является исходным компонентом построения пропозициональной структуры во внутренней речи, то, по мнению авторов интегративной модели, формирование пропозиции может начинаться с любого компонента будущей пропозиции, иными словами, в качестве квантификатора, “делителя” мыслительного потока на единицы может выступать не (реляционный, мотивирующий) предикат, а любая лексема, любой член из складывающейся пропозиции. Именно эту единицу авторы интегративной модели определяют как «внутреннее слово», заимствуя это понятие из работ Л. С. Выготского. По мнению авторов интегративной модели, “внутреннее слово – зародыш пропозиции”. “Конкретные способы формирования вне-

шнего высказывания определяются тем, какое именно слово или группа слов “преднайдены” во внутренней речи ... и, главное, какую функцию надлежит им сыграть в этом высказывании – темы или ремы, субъекта или предиката, строительного материала для идентифицирующей или же характеризующей (предикативной) группы и т.п.” (**ЧФЯ** 1991:59-60). Таким образом, от “преднайденного” внутреннего слова расходятся векторы к другим компонентам формирующейся пропозиции, выбираются пути реализации компонентов построенной пропозиции. При этом, как считают авторы интегративной модели, возможны два пути – либо номинативный, когда смыслы подводятся под лексические значения; либо синтаксический, когда смыслы соотносятся с синтаксическими значениями сентенциального типа. Выбор пропозиции, которая ведет к актуализации определенной расстановки сил, приводит к тому, что говорящему следует решить, подходит ли “внутреннее слово” в форме, найденной для него во внутренней речи, для “передвижения” в состав внешнего высказывания, и если подходит, то в каком качестве оно будет там выступать. На этой же стадии может произойти замена “внутреннего слова”, послужившего стимулом для формирования высказывания.

Авторы интегративной модели указывают, что в процесс порождения речевого высказывания вовлечены внутренние механизмы: номинации, синтаксирования, морфологического оформления и озвучивания. Руководит всеми указанными механизмами семантико-прагматический, который выступает в виде прагматического и семантического операторов, координирующих взаимодействие всех механизмов и направляющих их на решение поставленной коммуникативной цели.

В целях доказательства существования выделенных внутренних механизмов речи, а также того, что каждый из них выполняет соответствующий набор определенных операций, могут быть использованы факты, полученные при анализе некоторых видов патологии речи, в частности афазии. Так, Р. О. Якобсон, анализируя с лингвистической точки зрения разные формы афазии, приходит к заключению, что необходимо различать две ведущие “лингвистические операции” в речевой деятельности: селекция (выбор) и комбинация (сочетание) (Якобсон 1990:112-114). Данные две речевые операции указывают на возможности парадигматического и синтагматического подходов к построению высказывания. При этом парадигматический подход предполагает не только выбор и отбор единиц лексического уровня, но и единиц синтаксического уровня, наиболее приспособленных для выражения определенного значения. Операции селекции и комбинации могут быть сопоставлены с механизмами номинации и синтаксирования, которым принадлежит особая роль в процессе порождения сообщения (**ЧФЯ** 1991:72).

Принципиальным для авторов интегративной модели порождения речи является признание существования двух типов сообщений, выделенных шведским лингвистом К. Сведелиусом и прокомментированных А. Р. Лурия, – “коммуникации событий” и “коммуникации отношений”: «наблюдения показали, что если за коммуникацией событий лежат процессы наглядного мышления, коммуникация отношений требует участия операции пространственными соотношениями, совмещающими соотносимые элементы целого высказывания в единой симультанной (квазипространственной) структуре» (цитируется по: **ЧФЯ** 1991:74). Следовательно, в работе

синтаксического компонента можно выделить, по крайней мере, два пласта: один из них связан с наглядным мышлением, другой, напротив, с логическим, абстрактным. В первом случае человек создает пропозициональные структуры более простого порядка, имеющие корреляты в реальной ситуации и отражаемые в сознании человека в виде их наглядного образа; во втором случае пропозициональные структуры достаточно сложны именно потому, что для них нет наглядного соответствия в предметном мире, они создаются в мысленном пространстве. Психологи отмечают несомненную психологическую сложность порождения высказывания на основе абстрактно-логических операций, быструю утрату способности их производства при поражении мозга (Казанская 1998:109-122).

Для формирования в сознании человека мысли о логических отношениях, а также для реализации этой мысли необходимы особые языковые единицы как на уровне лексики, так и на уровне синтаксиса. Неупотребление изучающими иностранный язык средств выражения сложных семантических категорий – категорий отношений, к которым относится и категория уступительности, свидетельствует, прежде всего, о невладении учащимися данным грамматическим материалом.

Следует отметить, что в психологии, психолингвистике одним из спорных вопросов является вопрос о том, с какой единицы начинается процесс вербализации мысли. В качестве такой единицы (если ее соотнести с единицами языковой системы), по мнению ученых, могут выступать сема, слово, синтаксическая модель. В интегративной модели процесс вербализации замысла может начинаться либо со слова, либо с любой формы слова или намек на форму, либо с синтаксической структуры. Авторы интегративной модели предложили несколько возможных схем перехода от мысли к речевому высказыванию. Интегративная модель порождения речи включает следующие звенья: мотив – замысел; формирование мысли с кристаллизацией группы личностных смыслов – оформление и развитие мысли за счет перекодирования личностных смыслов в языковые значения, связанные с определенными типами знаков – организация этих языковых знаков во внешнее речевое высказывание. Каждое звено характеризуется своими собственными свойствами и механизмами, существование которых может быть доказано тем, что семантика предложения включает в себя *особые* компоненты значения. Мотивационно-побудительная стадия процесса порождения высказывания оставляет «свой след» в виде прагматических и модусных компонентов значения, стадия формирования мысли проявляется в конструировании пропозициональной основы высказывания (*ЧФЯ* 1991:46; 98).

Проблема формирования структуры высказывания, в том числе и его внутренней (семантической) структуры, входит в число проблем, активно обсуждаемых в психолингвистике и лингвистике.

Обобщая указанные особенности интегративной модели порождения речевого высказывания, в числе существенных ее характеристик следует отметить следующие: а) процесс порождения речи в данной модели изображается по формуле «от мысли к слову»; б) семантика, деятельностная роль которой учитывается во всех существующих моделях порождения речи, в интегративной модели рассматривается как «дирижер речевой деятельности» (Е.С. Кубрякова); в) данная модель

предполагает, что между замыслом и речевым произведением возможна дистанция, которая в одних типах речи минимальная и несущественная, в других – значительная; г) процес перехода единиц невербальной природы (образов, представлений) в вербальные представляет собой процесс формирования личностных смыслов, которые далее распределяются в определенные пучки, группы смыслов, по языковым категориям; формирование личностных смыслов совпадает с поиском внутреннего слова, с которым связывается процесс пропозиционализации; д) в интегративной модели речевые механизмы представлены не как механизмы, действующие по алгоритмическим принципам, предполагающим детерминированность каждой последующей операции предыдущей, а как процессуальные механизмы принятия решений, механизмы, действующие по принципу неполной детерминированности, что обеспечивает принципиальную множественность языковых процессов, способных реализовать одну и ту же речемыслительную задачу (**ЧФЯ** 1991:59). Соответственно речевая деятельность в рамках интегративной модели речепорождения характеризуется свойством эквивиальности, т.е. возможности достичь один и тот же результат – построить необходимое речевое высказывание, – используя для этого разные пути.

Речевая деятельность как сложное динамическое образование состоит из целой системы механизмов. Как утверждает в современной методике преподавания иностранных языков, механизмы речевой деятельности на родном и иностранном языке одни и те же, отличаясь во втором случае уровнем функционирования, степенью «прилаживания» к оперированию новыми средствами и способами формирования и формулирования мысли и особенностями организации артикуляционной и интонационной программ. Так, анализируя функционирование речевых механизмов в процессе овладения иностранным языком, И. А. Зимняя отмечает, что “механизмы предметно-логического плана высказывания, или логики мысли, и денотативной соотнесенности” “включаются” в говорение на иностранном языке; “механизмы внутреннего оформления высказывания” (лексико-грамматического оформления) “прилаживаются”; “механизмы внешнего, фонационного, оформления иноязычного высказывания» специально формируются; исходный же механизм речевой деятельности – механизм мотивации – может приводиться в действие специальными приемами организации учебного процесса, т.е. его активность может регулироваться преподавателем (Зимняя 1989:169-172).

Положение о том, что процессы речепорождения на родном языке и иностранном языке имеют общее звено в виде этапа “внутреннего программирования” (“...независимо от грамматических особенностей конкретного языка существуют некоторые более или менее универсальные особенности организации высказывания”. Леонтьев 1974:165), т.е. у носителей разных языков логико-семантические структуры, “семантические представления”, отражающие ситуации внеязыковой действительности, более или менее близки, имеет особое значение для практики изучения средств выражения функционально-семантических категорий, базирующихся на сложных понятийных категориях, к числу которых относится ФСК уступительности.

Опора в процессе изучения иностранного языка на понятийные, типологические категории позволяет учащимся соотнести и сопоставить изучаемое грамматическое явление с аналогичным в родном языке, что ведет к более глубокому осмыслению языкового материала, способствует формированию речевых навыков правильного его употребления.

Одним из спорных вопросов по отношению к процессу порождения высказывания на иностранном языке является вопрос о месте перевода во внутренней речи с родного языка на иностранный. Практически общепринятым считается положение, согласно которому на начальном этапе усвоения иностранного языка перевод с родного языка на изучаемый составляет одно из звеньев процесса порождения иноязычного высказывания и, соответственно, одна из задач процесса обучения – “избавиться” от этого промежуточного звена. В то же время заслуживает внимания иная точка зрения, согласно которой “внутренний перевод представляет собой не временное, благо преодолимое явление, а основу механизма порождения иноязычного речевого высказывания, действующего постоянно на всем протяжении ... обучения иностранному языку...” (Генцель 1992:91), и, следовательно, эффективности процесса овладения иностранным языком будет способствовать такая организация учебной работы, при которой активно используются материалы, предполагающие сопоставление явлений родного и изучаемого языков. Подобное утверждение еще раз доказывает актуальность, перспективность методического принципа опоры на родной язык учащихся.

Реализация в практике обучения иностранному языку принципа опоры на родной язык учащихся позволяет обратиться к семантической основе высказывания, содержащей универсально-понятийные элементы, а также выявить «стратегии кодирования» определенного содержания, сопоставляя языковые конструкции родного и изучаемого языков, выражающие данное содержание. При переходе к вербализации замысла средствами иностранного языка говорящий должен принять во внимание целый ряд факторов, способных осложнить иноязычную речевую деятельность. В частности, говорящему необходимо решить, какие из компонентов семантического представления подлежат вербализации на изучаемом языке, какой должна быть иерархия вербализуемых компонентов (какие из них будут главными, какие – подчиненными), какие морфолого-синтаксические отношения устанавливаются между компонентами, начиная от главных и кончая второстепенными подчинениями, какими синтаксическими способами можно «вытянуть» нелинейный смысл в линейную цепочку слов. У носителя языка навыки речи настолько автоматизированы, что преобладающей формой в условиях каждодневной коммуникации является спонтанная речь, представляющая собой “симультанное разворачивание речемысли” (*ЧФЯ* 1991:75). Очевидно, что это становится возможным благодаря наличию в сознании человека системы динамических стереотипов, сформированной ассоциативно-вербальной сети, отлаженному функционированию “механизмов упреждающего синтеза”.

Проведенный анализ процесса порождения речевого высказывания позволяет сделать ряд выводов, актуальных для методики и практики преподавания иностранных языков и русского языка как иностранного.

Процесс порождения речевого сообщения на иностранном языке, как и на родном, проходит три основные стадии (1 – мотив-замысел; 2 – формирование семантического представления, перекодирование этого представления в языковые значения; 3 – организация значений во внешнее высказывание), важность каждой из которых несомненна. В то же время психологи особую роль в процессе порождения высказывания отводят первой (превербальной) стадии. Подобное заключение ставит перед методикой задачу – выявить рациональные стимулы, способные активизировать работу речемыслительного процесса на иностранном языке, т.е. найти такие типичные речевые ситуации, при которых может проявиться та или иная семантическая функция и, следовательно, возникнет потребность в ее языковом выражении. Следовательно, эффективный комплекс упражнений для активизации средств выражения функционально-семантической категории уступительности, являющейся глубоко прагматичной категорией, должен разрабатываться с опорой на ситуации общения, типичные для функционирования уступительных конструкций.

Поскольку корректная речевая деятельность на иностранном языке возможна при наличии сформированной в сознании говорящего системы динамических стереотипов, ассоциативно-вербальных сетей, состоящих из иноязычных единиц, то работа над грамматическими структурами при изучении иностранного языка должна проводиться в комплексе с работой над лексическим материалом, что особенно актуально при рассмотрении средств выражения функционально – семантических категорий, относящихся к категориям отношений, к числу которых принадлежит ФСК уступительности.

Принимая во внимание мысль, что ядро формируемой пропозиции во внутренней речи может составлять глагол, в процессе изучения иностранного языка особое место должна занимать работа над глагольной лексикой, правилами заполнения актантных позиций вокруг глагольной единицы в структуре предложения. В лингвистических исследованиях неоднократно подчеркивалась активная роль глаголов в формировании уступительных конструкций определенных типов. Следовательно, изучение русских уступительных конструкций в иноязычной аудитории предполагает обращение к ряду лексико-грамматических групп глаголов.

Этап перехода от мысли к суждению является важнейшим этапом в процессе порождения речевого высказывания. Для перевода многомерных структур мыслительной деятельности в линейные, синтагматически организованные изучающему иностранный язык необходимо знание определенных способов кодирования семантического представления, т.е. необходимо знание некоего набора синтаксических структур, способных выразить определенное значение, поскольку на каждом языке решение речемыслительной задачи возможно множеством разных способов. ФСК уступительности относится к числу наиболее сложных и разветвленных: уступительные отношения могут быть выражены разнообразными синтаксическими средствами. Данный факт должен получить адекватное системе русского языка представление в учебном материале.

Таким образом, результаты исследований по психологии и психолингвистике способствуют формированию теоретической основы процесса обучения иностран-

ნენი ენებზე, ვთმ ჩილ რუსკომ ენებზე კემ ინოსტრანნომ, ოპრედელენიუ ეფექტივნის მეთოდისკის პრემომ ორგანიზაციი ენებნიი დეაქტენოსი ენებნიი, ა თაკვე პოვლიუთ პრეგნოზიროვრე რაციონალნიი პუტი ი სპოვობი ოვლადენიი ინოენიკნიი რეჩევიი დეაქტენოსიუ.

## *ლიტერატურა*

- ბარანოვ, დობროვოლსკიი 1997:** ა. ნ. ბარანოვ, დ. ო. დობროვოლსკიი, *პოსტულატი კოგნიტივიი სემანტიკიი*, იან, სერიი ლიტერატურის ი ენებნიი, თმ 56, №1. ს.11-21.
- ვიატუტნევი 1977:** მ. ნ. ვიატუტნევი, *კომუნიკატივიი ნაპრავლენნოსი ობუჩენიი რუსკომ ენებზე ვ ზარუბეჟნიი სკოლახ*, “რუსკიი ენებზე ზარუბეჟომ”, № 6. ს. 38-45.
- გენცელი 1992:** ე. გენცელი, *ბილინგვალნიი მოდელი პოროჟდენიი ვისკაჟივანიი ი ვოპროსი ოპტიმიზაციი პრეპოდავანიი რუსკომ ენებზე კემ ინოსტრანნომ*, “ რუსკიი ენებზე ზარუბეჟომ”, №2. ს. 89-96.
- ჰიმნიი 1989:** ი. ა. ჰიმნიი, *პსიქოლოგია ობუჩენიი ნეროდნომ ენებზე*, “რუსკიი ენებზე”, მოსკვი.
- კაზანსკიი 1998:** ა. ვ. კაზანსკიი, *რეჩევიი ოშიბკი ვ მოტივაციონნომ ასპექტე*, ენებნიი სოვნიი: ფორმიროვანიი ი ფუნქციონიროვანიი, ინ-ტ ენებნიი სოვნიი, მოსკვი, ს. 109-122.
- კაჩნელისონი 1977:** ს. დ. კაჩნელისონი, *ტიპოლოგია ენებნიი ი რეჩევიი მიშლენიი*, “ნაუკა“, ლენინგრადი.
- ლეონტიევი 1974:** ა.ა. ლეონტიევი, *ოსნოვი თეორიი რეჩევიი დეაქტენოსი*, “ნაუკა“, მოსკვი.
- ჩფი 1991:** *ჩელოვეჩესკიი ფაქტორ ვ ენებზე: ენებნიი ი პოროჟდენიი რეჩი*, “ნაუკა“, მოსკვი.
- იაკობსონი 1990:** პ. ო. იაკობსონი, *დვა ასპექტი ენებნიი ი დვა ტიპი აფატიჩესკიი ნარუშენიი*, თეორია მეტაფორი, “პროგრესი”, ს. 110-132.

## *მარინა ალექსიძე*

### **მეტყველების წარმოქმნის ინტეგრაციული მოდელი რუსულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდოლოგიაში**

#### **რეზიუმე**

თანამედროვე მეთოდოლოგიაში უცხო ენის სწავლების საერთო მიზანს წარმოადგენს კომუნიკაციური კომპეტენცია ამ ცნების სრული მოცულობით, სწავლების საგანს კი – სამეტყველო მოდელის შექმნა, რომელიც წარმოადგენილია სამეტყველო ქმედებების ერთობლიობით. მეტყველების წარმოქმნის პროცესების კოგნიტიური მიდგომის პოზიციიდან გადახედვის შედეგად გაჩნდა მეტყველების წარმოქმნის ინტეგრაციული მოდელი, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არავერბალური კონცეპტებიდან ვერბალურ კონცეპტებზე გადასვლას.

მეტყველების წარმოქმნის ინტეგრაციული მოდელის ჩარჩოებში სამეტყველო მოდელის შექმნა ხასიათდება ეკვიფინალობის თვისებით: ერთი და იმავე შედეგის მიღწევა – საჭირო სამეტყველო გამონათქვამის აგება – შესაძლებელია სხვადასხვა გზის გამოყენებით.



სტატიაში მოცემულია მეტყველების წარმოქმნის ინტეგრაციული მოდელის ანალიზი, გაკეთებულია რუსულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდისათვის აქტუალური დასკვნები.

სამეტყველო გამონათქვამის წარმოქმნის პროცესში უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს აზრიდან მსჯელობაზე გადასვლის ეტაპი. აზრობრივი მოღვაწეობის მრავალგანზომილებიანი სტრუქტურების ხაზოვან, სინტაგმატურად ორგანიზებულ სტრუქტურებში გადაყვანისათვის უცხო ენის შესწავლის დროს საჭიროა სემანტიკური კოდირების გარკვეული ხერხების ცოდნა, საჭიროა ისეთი სინტაქსური სტრუქტურების რაღაც ნაკრების ცოდნა, რომლებსაც შეუძლია გარკვეული მნიშვნელობის გადმოცემა, ვინაიდან თითოეულ ენაში სააზროვნო-სამეტყველო ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია მრავალი, განსხვავებული ხერხით.


დათმობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი განეკუთვნება ყველაზე უფრო რთული და განშტოებული ველების რიცხვს: დათმობითი მიმართებების ასახვა შესაძლებელია სხვადასხვა სინტაქსური საშუალებით. ამ ფაქტმა უნდა პოვოს რუსული ენის სისტემისათვის ადეკვატური ასახვა სასწავლო მასალაში.

**საერთო-ქართვლური ფუძე-ენის წყობა: აქტიური(?)**

**1. შესავალი: თეორიული საფუძვლები**

ენა სამყაროს, სინამდვილის სტრუქტურირების ერთ-ერთი საშუალებაა. სინამდვილე მთლიანია. მისი დანაწევრება კონკრეტული კოლექტიური ცნობიერების მიერ სპეციფიკურად ხორციელდება. სამყაროს კონცეპტუალიზაციის პროცესში, სინამდვილის სტრუქტურირებისას, მთლიანობიდან გამოცალკევდება განუსაზღვრელი რაოდენობის ობიექტები, ფიქსირდება მათი თანმხლები თვისებრიობები, პრედიკატული ელემენტების წყალობით მყარდება გარკვეული მიმართებები და ფიქსირდება სიტუაციის თანმხლები გარემოებები – ამგვარად იგება სინამდვილის „ობიექტური“ ლინგვისტური სურათი.

მაშასადამე, სინამდვილე (resp. ობიექტური რეალობა კანტისეული გაგებით) განსაზღვრავს ენას, რომელიც, თავის მხრივ, ენობრივი სტრუქტურების საშუალებით სპეციფიკურად ანაწევრებს მას და გარკვეულ ურთიერთმიმართებებს ამყარებს მის ელემენტებს შორის; ანუ, ენასა და სინამდვილეს შორის ურთიერთშექცევადი კავშირია, რომელიც გაშუალებულია ცნობიერებით, რამდენადაც ამ მიმართებების დამყარება სწორედ ცნობიერებაში ხდება:



ლინგვისტური ძიების ძირითადი მიზანია ენობრივი სტრუქტურების ანალიზი და ამ სტრუქტურების მიღმა „სინამდვილის“ ლინგვისტური „ხედვის“ ამოცნობა, რაც ზოგადი თეორიის შემუშავებასა და კონკრეტულ ენათა დანახსიათებას გულისხმობს. ამ მიზნის განხორციელებას ხელს უწყობს სხვადასხვა წყობის ენათა ფართო, სისტემური შესწავლა. ნებისმიერი მეთოდი, რომლის საშუალებითაც ხდება კონკრეტული ენის მონაცემების ანალიზი, იძლევა ამ ენის გარკვეულ გრამატიკულ მოდელს, მაგრამ არაფერს გვეუბნება ზოგადად ენისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებზე და ამ ენათა შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებულობებზე. ენის ზოგადი მახასიათებლების და პროცესების შესწავლა, ენის ზოგადი თეორიის შემუშავება შესაძლებელია მხოლოდ სხვადასხვაგვარ ენათა შეპირისპირებითი ანალიზისა და მიღებული შედეგების განზოგადების საშუალებით. ენების ამგვარი (იგივე, კომპარატივისტული) ანალიზი ორი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს: დიაქრონიული და სინქრონიული.

საზოგადოდ, ორ ან მეტ ენაში დადასტურებული მსგავსება შეიძლება იყოს შემთხვევითი დამთხვევის, სესხების, ნათესაური კავშირისა ან ტიპოლოგიური თუ არეალური მსგავსების შედეგი:

1. თუ რაღაც  $A_i$  ენობრივი ნიშან-თვისება, რომელიც ძირითადად სტრუქტურული ხასიათისაა, გვხვდება ორ ან მეტ  $L^1 \dots L^n$  ენაში  $A_i^1 \dots A_i^n$  ფარდობათა სახით და არ წარმოადგენს სესხების შედეგს, ამასთანავე, ვერ ხერხდება ამ ფარდობათა დაკავშირება  $t$ -დროითი ფაქტორის გათვალისწინებით, მაშინ ეს ნიშან-თვისება მიიჩნევა გარკვეულ ტიპოლოგიურ ნიშნად, რის მიხედვითაც მოცემული  $L^1 \dots L^n$  ენები ერთიანდება ერთ ტიპოლოგიურ კლასში (თუ ასეთი ფარდობები დასტურდება ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში გავცელებულ ენებს შორის – საქმე გვაქვს არეალურ ტიპოლოგიასთან).
2. თუ რაღაც  $A_i$  ენობრივი ნიშან-თვისება, რომელიც არა მხოლოდ სტრუქტურულ ნიშნებს, არამედ მკაცრი, რეგულარული  $A_i^1 \dots A_i^n$  შესატყვისობების სახით ძირითად ლექსიკურ ფონდსაც მოიცავს, გვხვდება ორ ან მეტ  $L^1 \dots L^n$  ენაში და მათი დაკავშირება შესაძლებელია  $t$ -დროითი ფაქტორის გათვალისწინებით როგორც რაღაც უფრო ზოგადი,  $*A_i$  ნიშნის დიაქრონიული გარდაქმნების შედეგი, მაშინ ხდება ამ  $*A_i$  ზოგადი ნიშან-თვისების რეკონსტრუქცია პიპოთეტური  $*L$ -ენისათვის და ეს  $*L$ -ენა ივარაუდება  $L^1 \dots L^n$  (ამიერიდან მონათესავე) ენების წინაპრად,  $A_i \dots A_i^n$  ფაქტები კი  $*A_i$ -ნიშნის სხვადასხვაგვარი დიაქრონიული გარდაქმნების შედეგად.

(2) დებულება განსაზღვრავს ისტორიულ-შედარებით (resp. დიაქრონიულ) ენათმეცნიერებას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პროდუქტიული მიმდინარეობა იყო XIX-XX საუკუნეთა ენათმეცნიერებაში.


ენათა კვლევის ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, წარმოვადგინოთ სამყაროს კონცეპტუალიზაციისა და სტრუქტურირების საფუძვლების დიაქრონიული ცვლის პროცესი, რაც თავისი არსით ინტეგრალური ხასიათისაა და მოიცავს ადამიანური ყოფის ისეთ სოციოკულტურულ სფეროებს, როგორცაა ენა, ხელოვნება, რელიგია, მეურნეობა, ეთნოტრადიციული ადათ-წესები, კულტურა-ცივილიზაცია ფართო გაგებით და სხვა. ამ მეთოდის საფუძველზე რეკონსტრუირებული ფუძენის ანალიზი და მისი დიაქრონიული განვითარების სურათი გვაძლევს გარკვეულ ინფორმაციას ხალხთა გენეტიკური კავშირების, მათი პირველსაცხოვრისისა და ისტორიული მიგრაციების მიმართულებების შესახებ.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც ასახავენ სინამდვილის ლინგვისტური სტრუქტურირების სხვადასხვაგვარ შესაძლებლობებს და აყალიბებენ სამყაროს ენობრივი ხედვის გარკვეულ „სურათს“.

სინტაქსური კონსტრუქციების ბირთვი აიგება ზმნისა და მისი არგუმენტული სტრუქტურის საფუძველზე. ზმნასთან ფორმალურ-სემანტიკურ მიმართებაში მყოფი სახელების (resp. აქტანტების, უფრო ზოგადად კი, არგუმენტების) რაოდენ-

ნობას განსაზღვრავს ზმნის ვალენტობა [შდრ. პირიანობას შანიძისეული გაგებით (შანიძე 1973)], რომელიც ქართულში შეიძლება იყოს მაქსიმუმ ოთხი; მაგალითად, ზოგიერთი კონსტრუქცია წყვეტილში ორი მიცემითბრუნვიანი სახელით შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს როგორც არგუმენტული სტრუქტურა, სადაც ზმნასთან ფორმალურ მიმართებებს ამყარებს ოთხი სახელი: *მიმიკერა მან მე ის მას; მიმიბა მან მე ის მას; მიმიბარა მან მე ის მას*; და სხვა ამ ტიპის კონსტრუქციები, სადაც ზმნა წარმოდგენილია, როგორც წესი, სასხვისო ქცევის ფორმით.<sup>1</sup>

ზმნასა და სახელს შორის არსებული ფორმალური მიმართებები განსხვავებულია ენათა მიხედვით. ქართველურ ენებში ეს მიმართებები, ძირითადად, კოორდინაციის პრინციპის საფუძველზე მყარდება (ჩიქობავა 1968): ზმნა განსაზღვრავს სახელის ფორმას (resp. ბრუნვა), ხოლო სახელი, თავის მხრივ, მართავს ზმნის ფორმას (resp. პირისა და რიცხვის ნიშნები):



არგუმენტთა ბრუნვათა ყალიბები და ზმნის მართვის მოდელები ქმნიან კონკრეტული ენის სხვადასხვა წყობის ბაზისურ ტიპებს. ამ ტიპების გავრცელებულობის მიხედვით საუბრობენ, ძირითადად, ე.წ. ნომინატიური, ერგატიული და აქტიური ტიპის (resp. წყობის) ენებზე. ეს ბაზისური წყობა მორფოსინტაქსური მახასიათებლების ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება რეკონსტრუირებულ იქნეს ფუძე-ენისათვისაც.

## 2. არგუმენტული სტრუქტურა ქართველურ ენებში და საერთო-ქართველური ფუძე-ენის წყობის რეკონსტრუქცია

### 2.1. ქართველურ ენათა არგუმენტული სტრუქტურის განმსაზღვრელი ბრუნვათა მოდელები

ქართველურ ენებში (ქართული, სვანური, მეგრული და ლაზური) მარტივი, ბირთვული კონსტრუქციების შესაბამისი არგუმენტული სტრუქტურა განისაზღვრება ზმნური ვალენტობითა და არგუმენტების ბრუნვათა ყალიბების სამი მთავარი მოდელით:

<sup>1</sup> ამგვარი კონსტრუქციების სხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის იხ. რ. ასათიანის ნაშრომი (ასათიანი 1982:90), სადაც მიცემითბრუნვიანი მეორე არგუმენტი გათანაბრებულია ლოკატიური მნიშვნელობის უბრალო დამატებასთან და არ მიიჩნევა არგუმენტული სტრუქტურის განმსაზღვრელ აქტანტურ არგუმენტად: *მიმიკერა მან მე ღილი კაბას// კაბაზე; მიმიბარა მან მე შვილი გამზრდელს//სკოლაში*; და სხვ.

**I. ნომინატიური მოდელი:** {A-არგუმენტი სახელობითში (\*-ი/-Ø), B და C-არგუმენტები (თუკი ზმნას შეეწყობა ერთზე მეტი არგუმენტი) – მიცემითში (\*-ბ)};<sup>2</sup>

- |                           |          |           |   |
|---------------------------|----------|-----------|---|
| (1) ქართული:              | კაც-ი    | სახლ-ს    | ა-გ-უბ-ს                                    |
|                           | კაც-სახ. | სახლ-მიც. | ნეიტ.ქცევა-აგება-თემის.ნიშ.-აწმყო.ს.3.მხ.   |
| (2) მეგრული:              | კონ(ი)   | ქუდე-ს    | ო-გ-ან-ს                                    |
|                           | კაც.სახ. | სახლ-მიც. | ნეიტ.ქცევა-აგება-თემის.ნიშ.-აწმყო.ს.3.მხ.   |
| (3) ლაზური <sup>3</sup> : | კონი     |           | ტუბ-უ-ნ                                     |
|                           | კაც.სახ. |           | (გა)თობა-ვნებ.აწმყო-ს.3.მხ.                 |
| (4) სვანური:              | მარე     | ქორ-ს     | ა-გ-უბ                                      |
|                           | კაც.სახ. | სახლ-მიც. | (ს.3.მხ.) ნეიტ.ქცევა-აგება-თემის.ნიშ.-აწმყო |

**II. ერგატიული (მოთხრობითბრუნვიანი) მოდელი:** {A არგუმენტი – ერგატივში (\*-მა/მ), B – სახელობითში (\*-ი/-Ø), C – მიცემითში (\*-ბ)};

- |              |             |           |  |
|--------------|-------------|-----------|--|
| (5) ქართული: | კაც-მა      | სახლ-ი    | ა-ა-გ-ო                                    |
|              | კაც-ერგ.    | სახლ-სახ. | ზმნისწინი-ნეიტ.ქცევა-აგება-აორისტი.ს.3.მხ. |
| (6) მეგრული: | კონ(ი)-ქ(ი) | ქუდე      | ქო-და-გ-უ                                  |
|              | კაც-ერგ.    | სახლ.სახ. | მტკანაწ-ზმნისწინი-აგება-აორისტი.ს.3.მხ.    |
| (7) ლაზური:  | კონი-ქ      | ოხორი     | ლო-კოდ-უ                                   |
|              | კაც-ერგ.    | სახლ.სახ. | ზმნისწინი-აგება-აორისტი.ს.3.მხ.            |
| (8) სვანური: | მარე-მ      | ქორ       | აღ-გ-უ                                     |
|              | კაც-ერგ.    | სახლ.სახ. | ზმნისწინი(ს.3.მხ)-აგება-აორისტი            |

**III. დატიური (მიცემითბრუნვიანი) მოდელი:** {A არგუმენტი – მიცემითში (\*-ბ), B – სახელობითში (\*-ი/-Ø), [C არგუმენტი კარგავს ზმნასთან არგუმენტულ მიმართებას]};

- |                            |          |           |   |
|----------------------------|----------|-----------|---|
| (9) ქართული:               | კაც-ს    | სახლ-ი    | ა-უ-გ-ი-ა   |
|                            | კაც-მიც. | სახლ-სახ. | ზმნისწინი-(ინგ.ს.3.)მახ.ხმოვანი-აგება-თურმ. I-ინგ. O.3(ინგ.ს.3.მხ.)     |
| (10) მეგრული:              | კონ-ს    | ქუდე      | ღუ-გ-აფ-უ-(ნ)   |
|                            | კაც-მიც. | სახლ.სახ. | ზმნისწინი.(S.3.)მახ.ხმოვანი-აგება-თემის.ნიშ-თურმ.I-ინგ.O.3(ინგ.ს.3.მხ.) |
| (11) ლაზური <sup>4</sup> : | კონი-ს   | ია        | უ-ნონ   |
|                            | კაც-მიც. | ის.სახ.   | (ინგ.ს.3)მახ.ხმოვანი-ნდომა.აწმყო.ინგ.O.3(ინგ.ს.3.მხ.)                   |
| (12) სვანური:              | მარე-ს   | ქორ       | ოთ-გ-ა  |
|                            | კაც-მიც. | სახლ.სახ. | ზმნისწინი(ინგ.ს.3)-აგება-თურმ.I   |

<sup>2</sup> აქ და შემდგომში ყველაგან რეკონსტრუირებული ბრუნვის ნიშნები მოცემულია გ. მაჭავაძე-რიანისა (მაჭავარიანი 2002) და ა. ონიანისა (ონიანი 1978, 1989) მიერ რეკონსტრუირებული მორფემების მიხედვით.

<sup>3</sup> ლაზურში ზმნები, რომელთაც პირდაპირობექტური არგუმენტი (B) შეეწყობათ, არასოდეს მიჰყვებიან ნომინატიურ მოდელს; ე.ი. ნომინატიური წყობა დამახასიათებელია მხოლოდ ერთ- (A) ან ორარგუმენტიანი (A,C) კონსტრუქციებისათვის.

<sup>4</sup> ლაზურში ზმნები, რომელთაც ახასიათებს ერგატიული მოდელი, III-სერიის ფორმებში, სადაც სხვა ქართველურ ენებში ზმნები ე.წ. ინვერსიულ მოდელს მიჰყვებიან, ავლენენ ტენდენციას ერგატიული მოდელის შენარჩუნებისა (კარტოზია 2005).

## 2.2. ბრუნვათა რეკონსტრუქცია

ქართველურ ენებში დადასტურებული ეს სამი მოდელი მხოლოდ მესამე პირის (ნაცვალ)სახელებისათვის არის დამახასიათებელი: პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ბრუნვების მიხედვით არ იცვლებიან; ე.ი., ბრუნვების მიხედვით, უნდა გამოიყოს ორი ქვესისტემა: პირველ ქვესისტემას შეადგენენ I/II პირის არგუმენტები (I და II პირის ნაცვალსახელები), მეორეს კი III პირის არგუმენტები (III პირის ნაცვალსახელები და სახელები, რომლებიც ფორმალურად მესამე პირთან არიან გათანაბრებულნი<sup>5</sup>).

I ქვესისტემა ბრუნვების მიხედვით არ არის დიფერენცირებული არც ერთ ქართველურ ენაში: (ქართული) *მე, შენ, ჩვენ, თქვენ*: (მეგრული) *მე, სი, ჩქი/ჩქგ, თქვა*: (ლაზური) *მა(ნ), ჩქუ(ნ)/ჩქინ/შქუ, სი(ნ), თქვა(ნ)*: (სვანური) *მი, სი, ნაი, სვად*.

განსხვავებით, II ქვესისტემა ბრუნვათა მიხედვით მდიდარ პარადიგმებს ქმნის: ქართულში გამოიყოფა შვიდი ბრუნვა, მეგრულში – ცხრა, ლაზურში – შვიდი, სვანურში კი ექვსი.

ზემოთ წარმოდგენილი მოდელები, რომლებიც დამახასიათებელია II ქვესისტემისათვის, გვიჩვენებენ, რომ არგუმენტთა ბრუნვა შეიძლება იყოს ან სახელობითი, ან მოთხრობითი, ან მიცემითი.

სახელობითისა და მიცემითის მორფოლოგიური მარკინგების რეკონსტრუქცია საერთო-ქართველური ფუძე-ენისათვის ყოველგვარი დაბრკოლების გარეშეა შესაძლებელი:

მიცემითი: \**-ს* → (ქ.)-*ს* : (სვ.)-*ს* : (მ.)-*ს* : (ლ.)-*ს*

სახელობითი: \**-∅* → (ქ.)-*ი/-∅* : (სვ.)-*∅* : (მ.)-*ი/-∅* : (ლ.)-*∅*<sup>6</sup>

რაც შეეხება მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის რეკონსტრუქციას, აქ გარკვეული სირთულეებია, რამდენადაც ამ ბრუნვის მორფოლოგიური მარკინგები<sup>7</sup> თანამედროვე ქართველურ ენებში მეტად მრავალფეროვანია:

ქართული: /-მა/-/-მ/∞/-ნ/

მეგრული: /-ქ/

ლაზური: /-ქ/

სვანური: ((/-ღ/(||/-ემ)/-/-ემ/∞/-ემ/)||/-/(ემ)ნემ

ამდენად, მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის რეკონსტრუქციაც საერთო-ქართველურისათვის უფრო მეტ სირთულეებს აწყდება.

<sup>5</sup> კაცმა ვთქვი და დამიჯერე, ქალი ლაპარაკობ და მეტი თავშეკავება ვმართებს და სხვა ამ ტიპის წინადადები მარკირებული დისკურსისათვის არის დამახასიათებელი და, როგორც ენის პერიფერიული გამონათქვამები, ძირითადი მოდელების სტრუქტურული ყალიბების დადგენისას გადამწყვეტ როლს ვერ ასრულებენ.

<sup>6</sup> გ. მაჭავარიანი აღნიშნავს: „ამოსავალში სახელობითი ბრუნვა არ უნდა ყოფილიყო გაფორმებული, რის გადმონაშთიც წრფელობითი უნდა იყოს“ (მაჭავარიანი 2002:78).

<sup>7</sup> ფუნქციების თვალსაზრისითაც არა გვაქვს ერთიანი სურათი (იხ. ქვემოთ, 2.4, პუნქტი 5).

მოთხრობითი ბრუნვის გენეზისის გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ბრუნვის განმსაზღვრელი ფუნქციურ-სემანტიკური ფაქტორების გაანალიზებას.<sup>8</sup> ამ მიზნით, დაუბრუნდეთ I ქვესისტემას.

ქართულში I და II პირის ნაცვალსახელთა ფორმების შეპირისპირებისას თვალში საცემია საერთო სტრუქტურული -*ენ* ელემენტის არსებობა: *შ-ენ, ჩ-ენ, თქ-ენ*. შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდის მოშველიებით, პირველი პირის ნაცვალსახელისთვისაც აღდგება \**მუ-ენ*<sup>9</sup> ფორმა, რომლის გამოვლინებადაც შეიძლება მივიჩნიოთ *მენ*// *მენა* დიალექტური ფორმები – ყველა ეს ნაცვალსახელური ფორმა შეიძლება განივრცოს -*ა* ელემენტით: *მენა, შენა, ჩვენა, თქვენა*. ამდენად, I ქვესისტემის ფარგლებში აშკარად გამოიყოფა ფორმალურად მსგავსი -*ენ*//-*ენა* დაბოლოება.<sup>10</sup> თუ ამ სტრუქტურულად იდენტური, იზომორფული ფორმებისათვის მოიძებნა საერთო ფუნქციურ-სემანტიკური განმასხვავებელი შინაარსი (ანუ, თუ დამყარდა ამ ფორმასა და გარკვეულ შინაარს შორის მიმართება), მაშინ შესაძლებელი იქნება ამ -*ენ(ა)* დაბოლოების გარკვეული კატეგორიის მორფემად კვალიფიკაცია.

მსგავსი -*(ე)ნ* ელემენტი დასტურდება *კინ*//*ვიენ* კითხვით ნაცვალსახელებთანაც. I და II პირის ნაცვალსახელებსა და *კინ* კითხვით ნაცვალსახელს შორის არსებული ეს ფორმალური მსგავსება, საგარაუდოდ, გამოწვეული უნდა იყოს მათი საერთო სემანტიკით: I/II პირი, როგორც ‘შეტყველი/მსმენელი’, ყოველთვის ‘პიროვნება’<sup>11</sup> და *კინ* კითხვაც ყოველთვის მხოლოდ ‘პიროვნებას’ დაესმის. მაშასადამე, -*ენ(ა)* დაბოლოება შეიძლება კვალიფიცირდეს +[პიროვნება] სემანტიკის ფორმალურ გამოხატულებად<sup>12</sup> და გამოიყოს ‘პიროვნობის’ კატეგორია, რომელიც, როგორც გრამატიკული კატეგორია, ფუნქციონირებს მხოლოდ ბრუნების I ქვესისტემაში.<sup>13</sup> აღსანიშნავია, რომ *კინ* ნაცვალსახელისათვის სახელობითი და მოთხრობითი ფორმალურად დიფერენცირებული არ არის, რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ‘პიროვნობის’ სემანტიკური კატეგორიის (I/II პირის ნაცვალსახელები + *კინ* კითხვითი ნაცვალსახელი) ფარგლებში, I ქვესისტემაში A-არგუმენტის ფუნქციონალური გამოცალკეება არ ხდება. თუ გავიხსენებთ საკმაოდ ცნობილ უნივერსალიას უმრავლესობა ენებში მესამე პირის ნაცვალსახელის მეორეული წარმომავლობის შესახებ (ბენვენისტი 1974:259-270), აშკარა გახდება,

<sup>8</sup> იხ. რ. ასათიანის ნაშრომი (ასათიანი 1987).

<sup>9</sup> იხ. თ. გამყრელიძის ნაშრომი (გამყრელიძე 1959).

<sup>10</sup> ქართულ ენათმეცნიერულ ტრადიციაში მეცნიერთა ნაწილი ამგვარ დაბოლოებებს მიიჩნევს ე.წ. სახელთა მადლტერმინირებულ სუფიქსებად (იხ. ჩიქობავა 1939, მარტიროსოვი 1964, მელიქიშვილი 1980).

<sup>11</sup> ან ‘პიროვნებასთან’ მეტაფორულად გათანაბრებული სახელი ზღაპრულ, ალეგორიულ თუ ფანტასტიკურ სიუჟეტებში.

<sup>12</sup> მსგავს ინტერპრეტაციას გვთავაზობს აგრეთვე აღ. ფოცხიშვილი (იხ. ფოცხიშვილი 2000).

<sup>13</sup> აღნიშნული კატეგორია არ უნდა აგვერიოს კლასის კატეგორიაში, რადგან კლასის გრამატიკული კატეგორიის არსებობის შემთხვევაში -*ენ* მაჩვენებელი (ან მისი კვალი) უნდა იყოს ნებისმიერი ‘ადამიანის, პიროვნების’ აღმნიშვნელ არსებით სახელში, რაც ფაქტობრივად არც ერთ ქართველურ ენაში არ დასტურდება.

რომ I ქვესისტემა ასახავს იმ პერიოდის რელიქტურ ვითარებას, როდესაც ქართველურ ენებში III პირის ნაცვალსახელი დამოუკიდებელ ერთეულად ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო. მისი გენეზისი ჩვენებითი ნაცვალსახელების ფორმალურ-სემანტიკურ ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

	I	II
ახლოს'	ეს	ეგ
“შორს”	ის	იგ(ი)

“შორს” ნიშნის დაკარგვა

→

III პირის წარმოქმნა

	I	II	III
‘ახლოს’	ეს	ეგ	ის, იგ(ი)

სინამდვილიდან მესამე პირის ენობრივი გამოცალკეება, როგორც ჩანს, ემთხვევა ქართველური ენობრივი ცნობიერების ცვლას:

$I(II) \sim \text{‘ყველაფერი დანარჩენი’} \rightarrow I/II/III(+[\text{პიროვნება}]) \sim \text{‘ყველაფერი დანარჩენი’}$

ერგატიული მოდელის A-არგუმენტის სემანტიკას თუ დავუკვირდებით, ის არის პროტოტიპულად უმაღლესი აქტივობის სულიერი სახელი, ძირითადად, +[პიროვნება] ნიშან-თვისების მატარებელი, ამიტომ ბუნებრივი უნდა ყოფილიყო მისთვის +[პიროვნება]-ის გამომხატველი ფორმალური ნიშნის,  $-(\text{ე})\text{ნ}(\text{ა})-\text{ს}$ , განზოგადება ქართულში: ‘მოლაპარაკე/მსმენელი’ და ის, ვინც პოტენციურად შეიძლება ჩაერთოს საკომუნიკაციო აქტში და იქცეს ‘მოლაპარაკე/მსმენელად’ (ასეთი კი, ძირითადად, აქტიური, სულიერი პიროვნებაა), მარკირებულია ერთი და იმავე  $-(\text{ე})\text{ნ}$  ნიშნით. სწორედ ამ ფაქტს უნდა ასახავდეს ჩვენებითი ნაცვალსახელების მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად  $-ნ$  ელემენტის დაფიქსირება: *ამა-ნ, მაგა-ნ, მა-ნ*. III პირის *მა-ნ* ფორმა კი, როგორც აქ“იქ” ორიენტაციის გამოხატვისაგან მაქსიმალურად ნეიტრალური, შემდეგში დაუკავშირდა აქტიურ სახელებს (resp. Ag) და ქართულში, სახელობითის პარალელურად, საბოლოოდ ჩამოყალიბდა მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი  $-მ/-მა$ .<sup>14</sup>

სახელობითი: *კაც იგი* → *კაც-ი*

მოთხრობითი: *კაც მან* → *კაც-მა*

ამგვარად, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისი ქართულში მიგვანიშნებს ‘პიროვნობის’ I ქვესისტემით შემოსაზღვრული გრამატიკული კატეგორიის მარკირების გაფართოებას და გადააზრებას აქტიური მოქმედი აგენსის მარკერად. ამგვარად გაფართოებული სემანტიკით მოთხრობითი ფუნქციურად უპირისპირდება სხვა არგუმენტების სახელობით-მიცემით ბრუნვებს და განსაზღვრავს II ქვესისტემისათვის დამახასიათებელი არგუმენტული სტრუქტურების ბრუნვათა მოდელების ჩამოყალიბების პროცესს. ეს გადააზრება და ‘პიროვნობის’ კატეგორიის „გაფართოება“ მიმდინარეობს იმგვარად, რომ ‘პიროვნება’: ‘არაპიროვნება’ დაპირისპირება კვლავ ძალაშია და გარკვეულ სემანტიკურსა (სახელთა დაყოფა ‘ვინ’/‘რა’ კლასებად) თუ გრამატიკულ (ბრუნვათა I და II ქვესისტემების დაპირისპირება) ძალას კვლავ ინარჩუნებს.

<sup>14</sup> იხ. დაწვრილებით ა. შანიძის მოსაზრება (შანიძე 1973).



მეგრულსა და ლაზურში ეს პროცესი, კოგნიტიური თვალსაზრისით, ქართულის მსგავსად წარმართა, მხოლოდ აქ მოთხრობითის ნიშნად განზოგადდა არა ნაცვალსახელებში დადასტურებული *-(ე)ნ* ელემენტი (მაგალითად, ლაზურში: *მან, სინ, ჩქინ, თქვან*), არამედ ზმნაში 'პიროვნობის' კატეგორიის გამომხატველი სუფიქსური მაჩვენებელი *-ქ (მ.)/-რ (ლ.)*, რომელიც თანამედროვე მეგრულსა და ლაზურში შენარჩუნებულია აწმყოს I/II პირის ზმნურ ფორმებში; მაგალითად, მეგრულის ფორმებია: *პ-ჭარ-უნ-ქ* (მე ვწერ), *ჭარ-უნ-ქ* (შენ წერ), *ჭარ-უნ-ს*; რომელთაც ლაზურში შეესაბამება ფორმები: *ბ-ღურ-უ-რ* (მე ვკვდები), *ღურ-უ-რ* (შენ კვდები), *ღურ-უნ* (ის კვდება).

მეგრულის *-ქ* სუფიქსს მეშველი ზმნის ნაშთად მიიჩნევს ქ. ლომთათიძე (ლომთათიძე 1946:131-140): *ქორენ* → *-ქ* და ფუნქციონალურად აწმყოში სტატიკური ზმნებისათვის დამახასიათებელ მეშველ ზმნებთან აიგივებს. მაგრამ *-ქ* სუფიქსი მოუღის ყველა ზმნას – როგორც გარდაუვალს (დინამიკურსაც), ისე გარდამავალს და ამ უკანასკნელთან მისი გაქრობის ფაქტები *-უნ-ქ* → *-უ* იხსნება ფონეტიკურად: *-ს*თან ერთად იკარგება *-ქც*, რომელიც კითხვით ფორმებში, *-ო* კითხვითი ნაწილაკის დართვისას, აღდგება: *პჭარუნ-ქ//პჭარუ* → *პჭარუნქო?* ამდენად, სტატიკურ ზმნათა აწმყოს მახასიათებლად მისი კვალიფიკაცია მისაღები არ უნდა იყოს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ყველა ქართველურ ენაში მოქმედებს ტენდენცია I/(II)~III დიქტომიის მარკირებისაკენ მისწრაფებისა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეგრულისა და ლაზურის შემთხვევებშიც საქმე გვაქვს ამ ტენდენციის რეალიზაციასთან: 'პიროვნების' კატეგორია მარკირებულია ზმნაში სუფიქსური მაჩვენებლების ოპოზიციით, სადაც მეგრული *-ქ* და ლაზური *-რ* ზმნურ ფორმაში გამოხატავენ I/II პირს (+[პიროვნება]), ხოლო *∅*, როგორც მეგრულში, ისე ლაზურში – III პირს (–[პიროვნება]). ამ ფორმებისგან დამოუკიდებლად ზმნას ერთვის პირის ნიშნებიც. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეგრულ ზმნურ ფორმებში დაფიქსირებული 'პიროვნობის' ეს სუფიქსური *-ქ* მაჩვენებელი, ქართულის მსგავსი კოგნიტიური გადააზრება-გაფართოებით, მეგრულ-ლაზურში ჩამოყალიბდა მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად, ხოლო ზმნურ ფორმებში პარალელურად დადასტურებული სუფიქსური მაჩვენებლები სინქრონიული რელიქტებია 'პიროვნობის' კატეგორიისა.<sup>15</sup>

რაც შეეხება სვანურს, აქ მოთხრობითი ბრუნვის ალომორფების სიჭრელისა და სინქრონიული თუ დიაქრონიული მიმართებების დადგენის სირთულის გამო,<sup>16</sup> ქართველ მეცნიერთა უმეტესობა ამ ბრუნვის რეკონსტრუქციას საერთო-ქართველური ფუძე-ენისათვის საეჭვოდ მიიჩნევს. ამ საკითხის ადეკვატური გადაჭრი-

<sup>15</sup> *-ქ* სუფიქსის განსხვავებული ინტერპრეტაციისა და გენეზისისა თუ ფუნქციონალური კვალიფიკაციის შესახებ იხ.: ი. ყოფშიძე (ყოფშიძე 1914), ნ. მარი (მარი 1910), რომლებიც მას ნაცვალსახელური წარმოშობისად მიიჩნევენ; ასევე, ლ. ეზუგბაია (ეზუგბაია 2010), რომელიც მის ფუნქციად "სუბიექტობის სემანტიკას" დაფიქსირებას ვარაუდობს და თ. მახარობლიძე (მახარობლიძე 2009), რომელიც წარმოდგენილი ანალიზის მსგავს კვალიფიკაციას იძლევა.

<sup>16</sup> იხ. გვ. 94, სადაც ალომორფები წარმოდგენილია ალ. ონიანის ანალიზის შესაბამისად (ონიანი 1998).

სათვის აუცილებელია ბრუნებისა და ზმნური პირის ნიშნების მოდელების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი.

### 2.3. ბრუნათა მოდელების განმსაზღვრელი პირობები

ბრუნათა მოდელის შერჩევა ხდება ზმნის უღლების ტიპების – დრო-კილოთა ფორმების (ე.წ. მწკრივების) პარადიგმათა მიხედვით. ქართული გრამატიკული ტრადიციის მიხედვით, ეს მწკრივები მორფოსინტაქსური თავისებურებების საფუძველზე ქმნიან ზმნურ ფორმათა სერიებს (შანიძე 1973): I სერია – აწმყოსა და მასთან ფორმალურად (ერთი ფუძის მქონე) დაკავშირებული მწკრივები, II სერია – აორისტისა და მასთან ფორმალურად დაკავშირებული მწკრივები და III სერია – თურმეობითისა და მასთან ფორმალურად დაკავშირებული მწკრივები (დასავლურ ქართველურ არეალში გამოყოფენ IV სერიასაც). ქართველურ ენებში ზმნები უღლების პარადიგმების მიხედვით იყოფა ოთხ კლასად. I კლასის ზმნების უღლების მოდელს მიჰყვებიან გარდამავალი და მათთან სტრუქტურულად გათანაბრებული დერივაციული კაუზატივები; II კლასის ზმნები მოიცავენ გარდაუვალ, ღინამიკურ პასივებს; III კლასის ზმნები კი გარდაუვალ, ღინამიკურ აქტიურ ზმნებს; ხოლო ყველა სხვა ტიპის ზმნები (სტატიკური, ასევე, ე.წ. ინვერსიული, გრძნობა-აღქმის გამომხატველი ზმნები და სტატიკური მედიო- პასივები) გვიჩვენებენ თავისებურ უღლებას: მაგალითად, მათი სემანტიკიდან გამომდინარე, დაპირისპირება წყვეტილი (resp. აორისტი) : უწყვეტელი ნეიტრალიზებულია და, შესაბამისად, II სერიის სპეციფიკური მწკრივები არ დასტურდება. ასეთი ზმნები ერთიანდებიან IV კლასში. ამ კლასების ძირითად განმასხვავებელ სემანტიკურ-დიფერენციალურ ნიშნებად შეიძლება გამოიყოს ‘გარდამავლობა’, ‘ღინამიკურობა’ და ‘ტელიკურობა’<sup>17</sup> (‘მოქმედების ზღვრულობა’ – შედეგის მიღწევაზე, დასრულებაზე ორიენტირება).

#### ცხრილი 1: ზმნური კლასები სემანტიკურ-დიფერენციალური ნიშნების მიხედვით

ზმნური კლასები	გარდამავლობა	ღინამიკურობა	ტელიკურობა
I კლასი: შედეგის მიღწევაზე ორიენტირებული აქტიური ზმნები	+	+	+
II კლასი: შედეგის მიღწევაზე ორიენტირებული პასიური ზმნები	–	+	+
III კლასი: შედეგის მიღწევაზე არაორიენტირებული აქტიური პროცესუალური ზმნები	–	+	–
IV კლასი: შედეგის მიღწევაზე არაორიენტირებული (სტატიკური, გრძნობა-განცდის) ზმნები	–	–	–

<sup>17</sup> ზმნური კლასების დიფერენციაციისათვის ‘ტელიკურობის’ ნიშნის როლს პირველად გახაზავს დ. პოლისკი (პოლისკი 1981).

ყოველ ქართველურ ენაში ეს ზმნური კლასები დრო-კილოთა სერიებთან ერთად განსაზღვრავენ არგუმენტთა ბრუნვებსა და ზემოთ დასახელებულ ბრუნვათა მოდელებს:

**ცხრილი 2: ქართული და სვანური**

დრო-კილოთა სერიები	I სერია			II სერია			III სერია		
	A	B	C	A	B	C	A	B	C
არგუმენტები	A	B	C	A	B	C	A	B	C
I კლასი	სახ.	მიც.	მიც.	მოთხ.	სახ.	მიც.	მიც.	სახ.	-----
II კლასი	სახ.	-----	მიც.	სახ.	-----	მიც.	სახ.	-----	მიც.
III კლასი	სახ.	-----	მიც.	მოთხ.	-----	მიც.	მიც.	-----	-----
IV კლასი: სტატიკური გრძნობა-აღქმის, აფექტური	სახ.	-----	მიც.	---	-----	-----	სახ.	-----	მიც.
	მიც.	-----	სახ.	(მიც.)	-----	სახ.)	მიც.	-----	სახ.

**ცხრილი 3: მეგრული**

დრო-კილოთა სერიები	I სერია			II სერია			III სერია		
	A	B	C	A	B	C	A	B	C
არგუმენტები	A	B	C	A	B	C	A	B	C
I კლასი	სახ.	მიც.	მიც.	მოთხ.	სახ.	მიც.	მიც.	სახ.	-----
II კლასი	სახ.	-----	მიც.	მოთხ.	-----	მიც.	სახ.	-----	მიც.
III კლასი	სახ.	-----	მიც.	მოთხ.	-----	მიც.	მიც.	-----	-----
IV კლასი: სტატიკური გრძნობა-აღქმის, აფექტური	სახ.	-----	მიც.	-----	-----	-----	სახ.	-----	მიც.
	მიც.	-----	სახ.	(მიც.)	-----	სახ.)	მიც.	-----	სახ.

**ცხრილი 4: ლაზური**

დრო-კილოთა სერიები	I სერია			II სერია			III სერია		
	A	B	C	A	B	C	A	B	C
არგუმენტები	A	B	C	A	B	C	A	B	C
I კლასი	მოთხ.	სახ.	მიც.	მოთხ.	სახ.	მიც.	მიც. მოთხ.	სახ.	-----
II კლასი	სახ.	-----	მიც.	სახ.	-----	მიც.	სახ.	-----	მიც.
III კლასი	მოთხ.	-----	მიც.	მოთხ.	-----	მიც.	მიც. მოთხ.	-----	-----
IV კლასი: სტატიკური გრძნობა-აღქმის, აფექტური	სახ.	-----	მიც.	-----	-----	-----	სახ.	-----	მიც.
	მიც.	-----	სახ.	(მიც.)	-----	სახ.)	მიც.	-----	სახ.

#### 2.4. ზმნური პირის ნიშნები თანამედროვე ქართველურ ენებში

ქართველურ ენებში გამოიყოფა პირის ნიშანთა ორი რიგი, ე.წ. ვინისა და მანის რიგები, რომელთა ფუნქციას პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებულ სახელურ არგუმენტთა მიერ ზმნური ფორმის სინტაქსური მართვის მარკირება.<sup>18</sup>

##### ქართული:

	ვინის რიგი			მანის რიგი	
	მხ.	მრ.		მხ.	მრ.
I	ვ-	ვ- თ		ძ-	ძვ-
II	-	- თ		ვ-	ვ- თ
III	-ს,-ა,-ო	-ნ,-ენ, -ან, -ნენ,-ეს	C B	ჰ-	ჰ- (-თ)

##### მეგრული:

	ვინის რიგი			მანის რიგი	
	მხ.	მრ.		მხ.	მრ.
I	ვ- ჯ/-∅	ვ- თ		ძ-	ძ- თ,-ნ,-(ნ)ან,-ა(ნ),-ეს
II	- ჯ/-∅	- თ		ვ-	ვ- თ,-ნ,-ა(ნ),-(ნ)ან,-ეს
III	-ს,-ნ,-უ	-ნ,-ა(ნ), -ნა(ნ),-ეს		-	- (-ნ,-ა(ნ),-(ნ)ან,-ეს) <sup>19</sup>

##### ლაზური:

	ვინის რიგი			მანის რიგი	
	მხ.	მრ.		მხ.	მრ.
I	ვ- რ/-∅	ვ- თ		ძ-	ძ- თ,-ნ,-ნან,-ან,-ეს
II	- რ/-∅	- თ		ვ-	ვ- თ,-ნ,-ნან,-ან,-ეს
III	-ს,-ნ,-უ	-ნ,-(ნ)ან,-ეს		-	- (-ნ,-ნან,-ან,-ეს)

##### სვანური:

	ვინის რიგი				მანის რიგი	
	მხ.	მრ.			მხ.	მრ.
I-ინკ.	(ხ)ჟ-	(ხ)ჟ-	-ღ	ძ-	ძჟ-	
ექსკლ.		ლ-	-ღ		ხ-	
II	ხ-	ხ-	-ღ	ჟ-	ჟ- -ხ	
III	ლ-,∅-	ლ-,∅-	-ხ	C	*ჰ-,ხ-	*ჰ-,ხ- -(ხ)
				B	-	-

<sup>18</sup> ქვემოთ ცხრილებში მოცემულია მხოლოდ ძირითადი და მორფოლოგიურად შეპირობებული ალომორფები; ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფებისათვის იხ. შესაბამისი შრომები: (შანიძე 1973; ონიანი 1998; კარტოზია და სხვანი 2010; ასათიანი 2011).

<sup>19</sup> მეგრულსა და ლაზურში ფრჩხილებში ჩასმული III პირის ეს ალომორფები დასტურდება მხოლოდ ინვერსიულ ზმნებთან.

ტრადიციულად, ვინის რიგის პირის ნიშნები მიჩნეულია სუბიექტის მარკერებად, მანის რიგისა კი კვალიფიცირებულია ობიექტის მარკერებად, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის: I და II კლასის ზმნების III სერიის ფორმებში, ასევე, გრძნობა-აღქმის აფექტურ ზმნებთან სუბიექტი მარკერებულია მანის რიგის – ობიექტი კი ვინის რიგის ნიშნებით. სწორედ პირის ნიშანთა ფუნქციების ამგვარი „შებრუნების“ გამო, ასეთ ზმნურ ფორმებს უწოდებენ ‘ინვერსიულებს’.

ანალიზის ასეთი არათანმიმდევრულობის თავიდან ასაცილებლად,<sup>20</sup> პირველ ეტაპზე, უფრო ეფექტური ჩანს პირის ნიშანთა ანალიზი ყოველგვარი ფუნქციონალური თუ სემანტიკური კვალიფიკაციის გარეშე, უბრალოდ იმ მიმართებების საფუძველზე, რომელთაც ისინი გარკვეული ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ სახელურ არგუმენტებთან ამყარებენ:<sup>21</sup>

1. მიცემითში მდგარი სახელი ზმნაში ყოველთვის აჩენს მანის რიგის პირის ნიშნებს;
2. მოთხრობითში მდგარი სახელი – ვინის რიგის პირის ნიშნებს;
3. სახელობითში მდგარი სახელი კი ზმნაში აჩენს ან:
  - (ა) ვინის რიგის ნიშნებს (თუ ის ერთადერთი არგუმენტია ან ზმნასთან იმავედროულად დაკავშირებულია მიცემითში მდგარი სახელი); ან
  - (ბ) მანის რიგის ნიშნებს (თუ ზმნასთან იმავედროულად დაკავშირებულია
  - (გ) საერთოდ უნიშნოა (თუ ზმნასთან ერთდროულად დაკავშირებულია ორივე – როგორც მიცემითში, ისე მოთხრობითში მდგარი – სახელი).

## *2.5. ბრუნვათა მოდელებისა და ზმნური პირის ნიშნების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი*

ზემოთ წარმოდგენილი მოდელების ფუნქციური და სემანტიკური ანალიზის შედეგად იკვეთება შემდეგი კანონზომიერებები:

1. ყველა ქართველურ ენაში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელური არგუმენტები არ დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს; ანუ, ბრუნების მიხედვით უნდა გამოიყოს ორი ქვესისტემა: I/II პირის ქვესისტემა, რომელიც ბრუნვათა მიხედვით გაუდიფერენცირებელია, და III პირის ქვესისტემა, რომელიც მიჰყვება ბრუნვათა ან ნომინატიურ, ან ერგატიულ, ან მიცემით ბრუნვათა მოდელებს.

<sup>20</sup> იხ. ალ. ონიანის მოსაზრება (ონიანი 1978), რომელსაც შემოაქვს პირთა ‘სავალდებულო-არასავალდებულო’ მარკირების ცნება და ამ ნიშნით განასხვავებს მანისა და ვინის რიგის პირის ნიშანთა ფუნქციებს.

<sup>21</sup> ყველა ქართველურ ენაში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელური არგუმენტები არ დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს, თუმცა ზმნური პირის ნიშნების მართვის თვალსაზრისით ისინი ისევე მოქმედებენ, როგორც მოთხრობითში, სახელობითში ან მიცემითში მდგარი არგუმენტები. შესაბამისად, შეიძლება ვისაუბროთ პირველი და მეორე პირის ერგატივზე, რომელიც ზმნურ ფორმაში ყოველთვის აჩენს ვინის რიგის პირის ნიშნებს, პირველი და მეორე პირის მიცემითზე, რომელსაც ზმნურ ფორმაში ყოველთვის შეესაბამება მანის რიგის პირის ნიშნები, და პირველი/მეორე პირის სახელობითზე, რომელსაც ზემოთ წარმოდგენილი (ა)-(ბ)-(გ) პირობების შესაბამისად შეესაბამება ან ვინის, ან მანის პირის ნიშნები, ან უნიშნოა.

2. გრძობა-აღქმის, აფექტურ ზმნათა შემცველი კონსტრუქციები ყველაზე თანმიმდევრულია და ყოველთვის ბრუნვათა ყალიბების დატიურ მოდელს მისდევენ: ექსპერიენცერული სუბიექტი ყოველთვის წარმოდგენილია მიცემითი ბრუნვით, ხოლო მასტიმულირებელი ობიექტი – სახელობითით.
3. სახელობითი და მიცემითი ბრუნვები პოლიფუნქციურია: სახელობითი გამოხატავს როგორც სუბიექტს, ისე ობიექტს; ხოლო მიცემითი – ირიბ ობიექტს, ექსპერიენცერულ და I/II-კლასის ზმნათა III სერიის სუბიექტს, ასევე, პირდაპირ ობიექტს I სერიის ზმნურ ფორმებში (გამონაკლისია ლაზური, სადაც მიცემითს ეს უკანასკნელი ფუნქცია არ გააჩნია).
4. რამდენადაც ზმნასა და არგუმენტებს შორის არსებული სხვადასხვაგვარი მორფოსინტაქსური მიმართებების ინტერპრეტაცია სინტაქსური ფუნქციების (resp. სუბიექტი, პირდაპირი და ირიბი დამატება) გამომხატველ ფორმალურ მარკერებად ვერ ხერხდება, ამ ფუნქციებსა და ბრუნვებსა თუ პირის ნიშნებს შორის ცალსახა დამოკიდებულების არარსებობის გამო, უფრო ადეკვატური ჩანს ამ ფორმალური მოდელების კვალიფიკაცია არა სინტაქსური ფუნქციების, არამედ უშუალოდ ‘სემანტიკური როლების’ (resp. აგენსი, პაციენსი, ადრესატი, ექსპერიენცერი და სხვა) მარკერებად. არგუმენტთა სემანტიკური როლები შეიძლება დახასიათდეს ზმნასთან მათი კავშირისას გამოვლენილი ერთი სემანტიკური ნიშნის – ‘არგუმენტთა თავისუფალი ნება’ – სხვადასხვაგვარი შინაარსით:
  - აგენსი (resp. Ag) – ეს არის ისეთი არგუმენტი, რომლის ‘თავისუფალი ნება’ იმგვარად არის ჩართული ზმნით გამოხატულ პრედიკაციაში, რომ ის აკონტროლებს მოქმედებას; ანუ (+[თ.ნ.]);
  - ადრესატი (resp. Ad) / ექსპერიენცერი (resp. Exp) / აგენსი<sup>22</sup> (Ag<sub>unknown</sub>) – ეს ისეთი არგუმენტებია, რომელთა ‘თავისუფალი ნება’ არ არის ჩართული ზმნით გამოხატულ პრედიკაციაში და ისინი ვერ აკონტროლებენ მოქმედებას; ანუ, (–[თ.ნ.]);
  - პაციენსი (resp. P) – ეს არის ისეთი არგუმენტი, რომლის კონტროლი აპრიორულად გამორიცხულია; ამდენად, მისთვის ნიშანი ‘თავისუფალი ნება’ ჭარბია – ანუ, Ø.

<sup>22</sup> III სერიის ფორმების სემანტიკური განსხვავებულობა წარსულის სხვა (წყვეტილი-უწყვეტილი) ფორმებისგან სწორედ ამ ფორმათა პერფექტულობითა და Ag-ის როლის „ნიველირებით“ შეიძლება დადგინდეს: მოქმედების წარმოდგენა შედეგიდან გამომდინარე და Ag-ის ნების ჩართულობა-ჩაურთველობის ნიველირება და –[თ.ნ.]-სთან გათანაბრება: გამონათქვამი – *კაცმა ააშენა სახლი* (=აშენებული სახლი სახეზეა და აქტუალიზებულია, გახაზულია (resp. ენობრივად რეპრეზენტირებულია), რომ ამ პროცესში ჩართული იყო კაცის ნება) – უპირისპირდება გამონათქვამს – *კაცს აუშენებია სახლი* (=აშენებული სახლი სახეზეა და არ არის აქტუალიზებული-გახაზული (resp. ენობრივად რეპრეზენტირებული) კაცის ნება) ამ პროცესში ჩართული იყო თუ არა).

‘თავისუფალი ნების’ ნიშანი<sup>23</sup> მართავს ზმნური პირის ნიშნების გაჩენას ზმნაში, რაც იერარქიულად ორგანიზებული პროცესია, რომელიც შემდეგი წესებით შეიძლება აღიწეროს:

- I. არგუმენტი, რომლის ‘თავისუფალი ნება’ არ არის ჩართული პრედიკაციაში (ან არ არის ცნობილი, მისი ნება ჩართულია, თუ არა) ზმნაში აჩენს **მანის რიგის** ნიშნებს (სემანტიკურად ასეთი არგუმენტებია: Ad, Exp და III სერიის  $Ag_{unknown}$ );
- II. არგუმენტი, რომელიც თავისი ნებით მოქმედებს, ზმნაში აჩენს **ვინის რიგის** ნიშნებს (სემანტიკურად ასეთი არგუმენტია Ag);
- III. არგუმენტი, რომელიც რჩება  $I > II$  წესების ამოქმედების შემდეგ, ზმნაში აჩენს:
  - ა) **ვინის რიგის** ნიშნებს, თუ ის ზმნასთან არგუმენტულ მიმართებაში მყოფი ერთადერთი სახელია (კონსტრუქცია: P);
  - ბ) **ვინის რიგის** ნიშნებს, თუ მეორე არგუმენტის ‘თავისუფალი ნება’ არ არის ჩართული პრედიკაციაში (კონსტრუქციები: P-Ad, P-Exp, P- $Ag_{unknown}$ );
  - გ) **მანის რიგის** ნიშნებს, თუ მეორე არგუმენტის ‘თავისუფალი ნება’ ჩართულია პრედიკაციაში (კონსტრუქცია: Ag-P);
  - დ)  $\emptyset$ , თუ ‘თავისუფალი ნების’ მიხედვით განსხვავებული ორივე არგუმენტი (+[თ.ნ.] და –[თ.ნ.]) ჩართულია პრედიკაციაში (კონსტრუქცია: Ag-Ad-P).

ამ წესების შეთანადებით 2.3-ში მოცემულ წესებთან ჩანს, რომ მსგავსად სინტაქსური ფუნქციებისა, ცალსახა შესაბამისობა არ დასტურდება არც ბრუნვებსა და სემანტიკურ როლებს შორის: Ag შეიძლება გამოხატულ იქნეს სახელობითით ან მოთხრობითით; P – სახელობითით ან მიცემითით; მართალია, Ad უკავშირდება მხოლოდ მიცემითს, თუმცა არა პირუკუ: მიცემითი შეიძლება გამოხატავდეს Exp,  $Ag_{unknown}$  და P – ანუ, არც ამ შემთხვევაში გვაქვს ცალსახა შესაბამისობა. ამდენად, ბრუნვათა მოდულებსა და პირის ნიშნებს შორის არსებული შესაბამისობების ერთადერთ ადეკვატურად აღწერად შეიძლება მივიჩნიოთ წესების სწორედ ამგვარი დინამიკური წარმოდგენა, სადაც წესების მოქმედება  $I > II > III(ა)/III(ბ)/III(დ)/III(გ)$  იერარქიის სახით არის ორგანიზებული: ჯერ მოქმედებს I წესი, შემდეგ II და მხოლოდ ამის შემდეგ III ქვეწესებიდან ერთ-ერთი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ქართველური ენები პირთა მიერ ზმნური ფორმების მართვისას მიმართავენ ‘ოპტიმალისაციას’ და, ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, P ფორმდება არა რაიმე სპეციფიკური მარკერით, არამედ I/II წესების ამოქმედების შემდეგ დარჩენილი ‘არადაკავებული’ ბრუნვით; ასეთი ოპტიმალისაცია კიდევ ერთხელ განხაზავს P როლის არამარკირებულ ხასიათს ქართველურ ენებში.

5. რაც შეეხება ერგატივს, მხოლოდ ის არის ერთადერთი ბრუნვა, რომელიც მკაცრად მხოლოდ ერთ სინტაქსურ ფუნქციას უკავშირდება: თუ ერგატივი – მაშინ სუბიექტი; თუმცა არც ამ შემთხვევაში გვაქვს ურთიერთცალსახა

<sup>23</sup> შდრ. ლ. ფოცხიშვილის მიერ გამოყოფილ ‘უნებლობის’ ლექსიკურ-გრამატიკულ კატეგორიას (ფოცხიშვილი 2000).

შესაბამისობა, რამდენადაც სუბიექტი შეიძლება გამოიხატოს როგორც მოთხოვნილობით (ანუ, ერგატივით), ისე სახელობითით ან მიცემით. ერგატიული კონსტრუქცია (resp. ერგატიული მოდელი) ჩნდება ორი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- (1) ზმნა უნდა იყოს I- ან III-კლასის;
- (2) ზმნა უნდა იყოს აორისტში.

ამდენად, ქართველურ ენებში გვაქვს ე.წ. ‘გახლეჩილი’ ერგატივი (Dixon 1979, Harris 1981), სადაც ერგატიული მოდელის შერჩევა განპირობებულია ზმნური კლასებითა და დრო-კილოთა სერიებით. ეს არჩევანი ქართველურ ენათა მიხედვით სხვადასხვაგვარია:

- **მეგრული აკმაყოფილებს მხოლოდ (2)-პირობას:** ნებისმიერი კლასის ზმნა II სერიის ფორმებში (IV-კლასის ზმნების გარდა, რომელთაც აორისტი და მასთან დაკავშირებული მწკრივები არ გააჩნიათ) არგუმენტთა გაფორმებისთვის ირჩევს ერგატიულ მოდელს, ხოლო I სერიის ფორმებში – ნომინატიურ მოდელს;
- **ლაზური აკმაყოფილებს მხოლოდ (1)-პირობას:** ნებისმიერი გარდამავალი (resp. I-კლასის) ზმნითა და, ასევე, ე.წ. ‘აქტიურობის’ კატეგორიის გასწვრივ ‘გაფართოებული’<sup>24</sup> გარდაუვალ-ატელიკური (resp. III-klasis) ზმნით აგებული კონსტრუქცია ფორმდება ერგატიული მოდელის შესაბამისად და ეს რეგულარობა დაცულია როგორც II, ისე I სერიაში<sup>25</sup>.
- **ქართულსა და სვანურში დაცულია ორივე – როგორც (1), ისე (2) პირობა:** ნებისმიერი გარდამავალი (resp. I-კლასის) ზმნითა და, ასევე, ე.წ. ‘აქტიურობის’ კატეგორიის გასწვრივ ‘გაფართოებული’ გარდაუვალ-ატელიკური (resp. III-klasis) ზმნით აგებული კონსტრუქცია მხოლოდ II სერიის ფორმებში მარკირდება ერგატიული მოდელის შესაბამისად.

## 2.6. I/II~III პირთა დიქტომიის მარკირების დომინანტურობა

თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ფაქტებს, ცხადი ხდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ერგატიული მოდელი დასტურდება ყველა ქართველურ ენაში, ამ კონსტრუქციის ერთგვაროვანი ფუნქციისა და ერგატიული ბრუნვის მორფემის რეკონსტრუქცია საერთო-ქართველური ფუძე-ენისათვის გართულებულია. ერგატივის ასეთი „გახლეჩილობა“ და გარკვეული პირობებით შემოსაზღვრულობა განპირობებული უნდა იყოს ამ მოდელის მეორეულობით; ანუ, სავარაუდოდ, უნდა არსებობდეს ისეთი კატეგორია, რომელიც იერარქიულად უფრო ძლიერია, პირველადია ბრუნვათა მოდულების მართვის თვალსაზრისით და რომელიც ნათელს მოჰფენს ამ შეზღუდვების კოგნიტიურ შინაარსს.

<sup>24</sup> იხ. ვ. ბოლდერის ნაშრომი (ბოლდერი 1979), სადაც ერგატიული კონსტრუქცია მიჩნეულია ე.წ. ‘გაფართოებული აქტიურობის’ გამომხატველ მოდელად; ასევე, მელიქიშვილისა (მელიქიშვილი 2012) და ასათიანის (ასათიანი 1994) შრომები.

<sup>25</sup> იხ., აგრეთვე, შენიშვნა 4, გვ. 93.



ერგატიული მოდელის გაჩენის განმსაზღვრელი პირობების გამოწვევლილვითი ანალიზის შედეგად ფიქსირდება კიდევ ერთი შეზღუდვა:

*(3) ერგატიული ბრუნვა ახასიათებს მხოლოდ არგუმენტთა III პირის ქვესისტემას; ანუ, ერგატიულ ბრუნვის ფორმით წარმოდგენილია მხოლოდ მესამე პირის (ნაცვალ)სახელური არგუმენტები.*

ეს უკანასკნელი შეზღუდვა ფუნქციონირებს ყველა ქართველურ ენაში და ეს რეგულარობა გვიბიძგებს დავუშვათ, რომ ქართველური ენები, უპირველეს ყოვლისა, მიისწრაფვიან I/(II)~III პირთა დიქტომიის მარკირებისაკენ. ასეთი ინტერპრეტაციის სასარგებლოდ მეტყველებს ყველა ქართველური ენის გრამატიკულ სისტემაში დადასტურებული შემდეგი ფაქტები (ასათიანი 1994):

1. **ბრუნვათა მოდელები:** I/II პირის ნაცვალსახელები ბრუნვათა მიხედვით გაუდიფერენცირებულ ქვესისტემას ქმნიან მაშინ, როდესაც III პირის (ნაცვალ) სახელების ქვესისტემაში გამოიყოფა ბრუნვათა მიხედვით მდიდარი პარადიგმები.
2. **ზმნურ ფორმათა პირთა მიხედვით მართვის მოდელები:** I/II პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელები ზმნაში აჩენენ პრეფიქსებს მაშინ, როდესაც III პირის მხოლობითი რიცხვის (ნაცვალ)სახელები – სუფიქსებს (გამონაკლისია მხოლოდ სვანური).<sup>26</sup>
3. **მესამე პირის ალომორფთა მრავალფეროვნება და სხვა კატეგორიებთან თანაკვეთაში წარმოდგენა:** I/II პირის ნიშანთა მცირერიცხოვანი ალომორფები ძირითადად სხვადასხვაგვარი ფონეტიკური პროცესებით არის განპირობებული და ცალსახად პირებს აღნიშნავენ მაშინ, როდესაც III პირის ალომორფთა სიმდიდრე და მრავალრიცხოვნობა ძირითადად მორფოლოგიურად არის შეპირობებული და სხვა მორფოლოგიურ კატეგორიებთან (სულიერობა, აქტივ-პასივის დაპირისპირება, დრო-კილოთა განსხვავებები, პირთა კომბინირებისას გამოვლენილი ფუნქციონალური სხვაობები და სხვა) თანაკვეთაში რეალიზდება.
4. **ზმნის მრავალპირიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფუნქცია,** რაც გულისხმობს I/II პირის (მათი სხვადასხვაგვარი ფუნქციონალური კვალიფიკაციისა და მიუხედავად – როგორც სუბიექტის, ასევე ობიექტის) აუცილებელ მარკირებას ზმნურ ფორმაში.
5. **რიცხვში შეთანხმება:** I/II პირი ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში მაშინ, როდესაც III პირი – გარკვეული სემანტიკური თუ ფუნქციონალური შეზღუდვებით.
6. **ქცევის კატეგორიის დიქტომიურობა:** თუ მოქმედება ორიენტირებულია I/II პირისაკენ, ზმნაში წარმოდგენილია \*ი- პრეფიქსი მაშინ, როდესაც თუ მოქმედება

<sup>26</sup> პირთა მიერ ზმნური ფორმის მართვის მიხედვით ამ დიქტომიის მარკირებისკენ სწრაფვა განსაკუთრებით ძლიერად არის რეალიზებული მეგრულსა და ლაზურში ზმნის აწმყოს ფორმებში სუფიქსური -ჟ, -რ მაჩვენებლებით (იხ. 2.2, გვ. 97); ხოლო სვანურში ინკლუზივექსკლუზივის კატეგორიის ფორმალური დაპირისპირებით.

ორიენტირებულია III პირისაკენ, ზმნაში წარმოდგენილია ან \*ი- პრეფიქსი (თუ ეს III პირი სუბიექტურია) ან \*უ- (თუ ეს III პირი ირიბობიექტურია).

7. **მიმართულების კატეგორია:** თუ მოქმედება მიმართულია I/(II) პირისაკენ, ზმნაში წარმოდგენილია ერთი ტიპის ზმნისწინები მაშინ, როდესაც თუ მოქმედება მიმართულია III პირისაკენ, მეორე ტიპის ზმნისწინები.<sup>27</sup>



ეს არგუმენტები ნათელყოფენ, რომ ქართველურ ენებში მოქმედებს პირთა I/(II) „III დიქტომიის ფორმალიზების ძლიერი ტენდენცია, რომელიც გასდევს მთელ გრამატიკულ სისტემას. ეს დიქტომია პრივილეგირებულ პოზიციამია და განსაზღვრავს სიტუაციების ლინგვისტური სტრუქტურირების პროცესს: უპირველეს ყოვლისა, ღირებულია I/(II)~III დიქტომიის გრამატიკალიზება – ნომინატიური, ერგატიული თუ დატიური მოდელების მონაცვლეობას მხოლოდ III პირის ქვესისტემაში აქვს ადგილი და განისაზღვრება ‘თავისუფალი ნების’ სემანტიკური ნიშნით განსხვავებული სემანტიკური როლების, ზმნური კლასებისა და დრო-კილოთა სხვადასხვაგვარი კვეთების ფორმალიზაციით.


## *2.7. ბრუნვათა და ზმნური მართვის მოდელების განმსაზღვრელი ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნების იერარქიული წარმოდგენა და დომინანტური კატეგორია*

ფორმალური მოდელების მართვის თვალსაზრისით, ამ მოდელების განმსაზღვრელი ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნები და კატეგორიები შეიძლება წარმოვადგინოთ გარკვეული იერარქიების სახით, სადაც უპირობო მართვისა თუ ნაკლებ შეზღუდვებს დაქვემდებარებული კატეგორიები უფრო “ძლიერ“ კატეგორიებად მივიჩნით და იერარქიაშიც უფრო მაღალ საფეხურზე წარმოვადგინოთ. ამგვარი იერარქიული მიმართებები საშუალებას იძლევა კატეგორიათა გრამატიკალიზაციის პროცესი სინქრონიულ დინამიკურ პროცესად იქნეს გადაზრებული იმგვარად, რომ ყოველი კონსტრუქცია გაანალიზებულ იქნეს არა მხოლოდ როგორც ფორმასა და შინაარსს შორის არსებული მარტივი მიმართება (ანუ, ჩატარდეს სტრუქტურულ-ტაქსონომიური, დესკრიფციული ანალიზი), არამედ როგორც შინაარსების შესაბამისი ფორმების გენერაციის, წარმოშობის პროცესი, სადაც იერარქიულად მაღალ საფეხურზე მდგარი, სიღრმისეული კატეგორიების გრამატიკალიზაცია „შენიღებულია“ და ზედაპირულად უფრო დაბალ საფეხურზე მდგარ კატეგორიებთან თანაკვეთაში ფორმალიზდება.

<sup>27</sup> ზმნისწინთა ტიპები ქართველურ ენებში სხვადასხვაგვარი პრინციპებისა და სემანტიკური თუ ფორმალური ნიშნების მიხედვით დგინდება, თუმცა აღნიშნული დაპირისპირება გარკვეული სხვაობებით ფუნქციონირებს ყოველ ქართველურ ენაში: მაგალითად, II პირი, რომელიც ნაცვალსახელთა (მაგალითად, *ამ-მაგ-იმ*, *ასეთი-მასეთი-ისეთი*, *ამნაირი-მავნაირი-იმნაირი* და სხვა) და გარემოებათა (მაგალითად, *აქ-მაქ-იქ*, *ასე-მასე-ისე*, *ამდენად-მავდენად-იმდენად* და სხვა) და გარემოებათა (მაგალითად, *აქ-მაქ-იქ*, *ასე-მასე-ისე*, *ამდენად-მავდენად-იმდენად* და სხვა) ‘სიახლოვის’ ნიშნის მიხედვით განსხვავებულ დეიქსურ დაპირისპირებაში ქმნის ტერნალურ ოპოზიციებს (იხ. ასათიანი 2013), საკომუნიკაციო სივრცის სტრუქტურირების ბინარულ ოპოზიციებზე გადასვლისას მეგრულში, განსხვავებით, ვოქვათ, ქართულსაგან, ერთიანდება არა I, არამედ III პირთან.

ეს იერარქიები, რომლებიც ავლენენ ენობრივი სისტემის ფუნქციონირების განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორებს, განსხვავებულია ქართველურ ენებში:





### 2.8. იერარქიების დიაქრონიული ინტერპრეტაცია

აღნიშნული იერარქიები შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს დიაქრონიულ ენობრივ პროცესადაც, სადაც იერარქიის ყოველი საფეხური არსებული ენობრივი მიმართებების დიაქრონიულ ცვლას ასახავს. ამ სახის ცვლილებები, თავის მხრივ, ენობრივი სტრუქტურირების განმსაზღვრელი ფუნქციურ-სემანტიკური ფაქტორებისა და მათი განმაპირობებელი კოგნიტიული პროცესების ცვლილებაზე უნდა მიგვანიშნებდნენ – წარმოიქმნება „ახალი“ კატეგორიები და/ან ხდება „ძველი“ კატეგორიების გადააზრება-რეინტერპრეტაცია: სემანტიკური როლების მიხედვით სახელთა ფორმალური დიფერენციაცია; დრო-კილოთა მიხედვით ზმნური ფორმების დაპირისპირება; ზმნათა ფორმალური დიფერენციაცია გარდამავლობის, დინამიკურობისა და ტელიკურობის სემანტიკური ნიშნების საფუძველზე; დაბოლოს, არგუმენტთა ფუნქციონალური განსხვავება (resp. S:O<sub>ირიბი</sub>:O<sub>პირდაპირი</sub>). ყოველივე ეს შედეგად იწვევს არგუმენტული სტრუქტურებისა (resp. მარტივი წინადადების შესაბამისი მორფოსინტაქსური კონსტრუქციების) და, ზოგადად, ენის არგუმენტულ სტრუქტურათა წყობის დიაქრონიულ ცვლას.

იერარქიების შესაბამისად, არგუმენტულ სტრუქტურათა დიაქრონიული ცვლის ოთხი მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, ოთხი ეტაპი გამოიყოფა:

- I – ენობრივი სტრუქტურები განისაზღვრება პარტიციპანტების საკომუნიკაციო აქტში ჩართულობის ამსახველ პირთა I/(II)~III დიქტომიის ფორმალური დაპირისპირებით (ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური);
- II – ენობრივი სტრუქტურები განისაზღვრება როგორც სემანტიკური როლების [+თ.ნ.](Ag):[-თ.ნ.](Ad):ø(P) ფორმალური დაპირისპირებით, ისე ‘გარდამავლობა/დინამიკურობა/ტელიკურობის’ სემანტიკური ნიშნებით განსხვავებული ზმნური ფორმების დაპირისპირებით (ლაზური);
- III – ენობრივი სტრუქტურები განისაზღვრება როგორც სემანტიკური როლებითა და დრო-კილოთა კატეგორიების [+აორისტი]:[-აორისტი] ფორმალური დაპირისპირებით, ისე S:O სინტაქსური ფუნქციების ფორმალური დაპირისპირებით (მეგრული);
- IV – ენობრივი სტრუქტურები განისაზღვრება როგორც დრო-კილოთა კატეგორიების [+აორისტი]:[-აორისტი] ფორმალური დაპირისპირებით, ისე ‘გარდამავლობა/დინამიკურობა/ტელიკურობის’ სემანტიკური ნიშნებით განსხვავებული ზმნური კლასებისა და S:O სინტაქსური ფუნქციების ფორმალური დაპირისპირებით (ქართული, სვანური).

ეს ოთხი მდგომარეობა ასახავს პირთა I/(II)~III დიქტომიის ფორმალიზებიდან სემანტიკური როლებისა (Ag-P-Ad) თუ კატეგორიების (დრო-კილო, გარდამავლობა-დინამიკურობა-ტელიკურობა) მარკირების გავლით სინტაქსურ ფუნქციათა (S:O) გრამატიკალიზაციისაკენ დიაქრონიული სვლის რთულ პროცესს: სახელთა ენობრივი დიფერენციაცია იმანენტური სემანტიკური ნიშან-თვისებების მარკირებიდან „გადადის“ ზმნურ მოქმედებაში მათი როლისა და ფუნქციების განსხვავებული ხასიათის ფორმალიზებაზე. ბუნებრივია, ასეთი არსებითი ხასიათის ცვლილება გულისხმობს და ეფუძნება „ენობრივი შემეცნების“ ცვლას. როგორც ჩანს, ეს კოგნიტიური პროცესი იმგვარად მიმდინარეობს, რომ „სინამდვილის“ ენობრივი სტრუქტურირებისას „ძველი“ კატეგორიები კი არ „ქრება“, არამედ ინარჩუნებს თავის „ძალას“, გრამატიკული სისტემის „სიღრმეში“ გადადის და იერარქიების სახით ორგანიზდება.

## *2.9. იერარქიების კოგნიტიური ინტერპრეტაცია და საერთო-ქართველური ფუძე-ენის წყობის რეკონსტრუქცია*

საზოგადოდ, სამყაროს შემეცნების პროცესი ირეკლება იმ ცვლილებებში, რომლებსაც „სინამდვილის“ ლინგვისტური „ხედვის“ ამსახველი ენობრივი სტრუქტურები განიცდიან (იხ. 1. შესავალი: თეორიული მიდგომები, გვ. 1-3). თუ ზემოთ მოცემული იერარქიების დიაქრონიულ ინტერპრეტაციას გავიზიარებთ და მათ კოგნიტიურ პროცესებთან კავშირების გამოვლენას შევეცდებით, მივიღებთ ქართველთა სამყაროსეული შემეცნების დიაქრონიული „განვითარების“ გარკვეულ სურათს,

რაც, ბუნებრივია, დაგვეხმარება საერთო-ქართველური ფუძე-ენის დიაქრონიული ცვლის პრე- და პროტოენობრივი ვითარების<sup>28</sup> რეკონსტრუქციის საქმეში:

I. ენობრივი შემეცნება იწყება დეკარტის ფილოსოფიური ფორმულის შესაბამისად: *Cogito ergo sum*; ანუ, ერთმანეთს უპირისპირდება *მე* (პირობითად ვუწოდოთ 'ეგო-სივრცე', შემოკლებით: ES) და *ყველაფერი დანარჩენი* (პირობითად ვუწოდოთ 'ალტერ-სივრცე', შემოკლებით: AS).

სამყაროს ლინგვისტური შემეცნება გრძელდება ყოველ მომდევნო საფეხურზე ES-ს გაფართოებით – *მე* კონცეპტთან კოგნიტიურად ახლო მდგომი ერთეულების AS-დან ამორიცხვითა და ES-ში ჩართვით. კონცეპტუალური „სიახლოვე“ განისაზღვრება სილვერსტანინის (სილვერსტანინი 1976) ენათა ტიპოლოგიური კვლევის შედეგად ემპირიულად დაფიქსირებული ენობრივი იერარქიების შესაბამისად: I პირი > II პირი > III 'პიროვნება' > სულიერი/აქტიური.

II. AS-დან II პირის ამორიცხვა და ES-ში ჩართვა – ანუ, საკომუნიკაციო აქტში მონაწილე 'შეტყველი-მსმენელი' (I/II პირი) უპირისპირდება 'ყველა სხვას' (III პირი). ასეთ ინტერპრეტაციას ამყარებს ყველა ქართველურ ენაში I/(II)~III დიქტომიის ფორმალური მარკირებისაკენ მისწრაფების ტენდენციის ენობრივი რეალიზაცია: *-ენ/-ქ/-რ/-Ø*: 'ენიშნობა'.

III. AS-დან 'პიროვნობის' ნიშნის მატარებელი III პირის ამორიცხვა და ES-ში ჩართვა – ანუ, იქმნება დაპირისპირება *ვინ:რა* (+[პიროვნება]:[-პიროვნება]) მარკირებული კითხვით და ჩვენებით ნაცვალსახელებში დადასტურებული *-ნ/-ქ* მარკირებლებით (ე.წ. III პირის ნაცვალსახელთა მოთხრობითი ბრუნვის ფორმები).

IV. AS-დან 'თავისუფალი ნების' ნიშნის მატარებელი ერთეულების ამორიცხვა და ES-ში ჩართვა – ანუ, იქმნება დაპირისპირება {სულიერი, აქტიური}; {უსულო, არააქტიური} (+[თ.ნ.] : 'ნების მიხედვით ნეიტრალური') – ყველა სულიერი, აქტიური სახელი 'თავისუფალი ნების' მატარებელია მაშინ, როცა უსულო, არააქტიური სახელი აპრიორულად ვერ დახასიათდება თავისუფალი ნების ქონა-არქონის თვალსაზრისით, რამდენადაც უსულობა/არააქტიურობა ნებას აპრიორულად გამორიცხავს.

ენობრივი შემეცნების მომდევნო ეტაპზე 'თავისუფალი ნების' მარკირება უკავშირდება სემანტიკური როლების განსხვავებას, რაც უკვე გულისხმობს სახელთა დიფერენციაციას არა იმანენტური ნიშნებით, არამედ სიტუაციაში ამ სახელების სემანტიკური როლისა და პრედიკაციაში აქტიური-არააქტიური ჩართულობის თვალსაზრისით. ამდენად, ენობრივი შემეცნების გაფართოების ლოგიკურად მოსალოდნელ მომდევნო საფეხურზე ხდება:

V. AS-დან 'სულიერობა-აქტიურობა' ნიშნის მატარებელი ერთეულების ამორიცხვა და ES-ში ჩართვა იმგვარად, რომ თავისუფალი ნების მატარებელი {სულიერი, აქტიური} სახელი კონკრეტულ სიტუაციაში (resp. მოქმედებაში)

<sup>28</sup> პრე- და პროტოენობრივის გამოიჯვანის აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის შესახებ იხ. თ. გამყრელიძის ნაშრომი (გამყრელიძე 2004:84-87).

თავისი ნების ჩართულობით (resp. +[თ.ნ.], Ag) უპირისპირდება {სულიერ, აქტიურ} სახელს, რომელიც პოტენციურად, ასევე, თავისუფალი ნების მატარებელია, თუმცა კონკრეტულ სიტუაციაში მისი ნება ჩართული არაა (resp. –[თ.ნ.], Ad). სწორედ ამ ეტაპს უნდა ასახავდეს მიცემითი ბრუნვის ჩამოყალიბება, რომლის საერთო-ქართველური ფუძე-ენის პროტოდონზე რეკონსტრუქციასაც \*-ს მორფემის სახით ადასტურებს ქართველურ ენებს შორის არსებული რეგულარული შესატყვისობები. მიცემითი ბრუნვა უპირისპირდება, ერთი მხრივ, +[თ.ნ.] მქონე (ამ ეტაპზე, როგორც ჩანს, ბრუნვის მიხედვით გაუდიფერენცირებელ, Ø-ნიშნთან) Ag როლს და, მეორე მხრივ, აპრიორულად ნების მიხედვით ნეიტრალურ, ‘უნიშნო’ P როლს.

VI. AS-დან +[თ.ნ.] ნიშნის მატარებელი ერთეულების ამორიცხვა და ES-ში ჩართვა ხორციელდება იმგვარად, რომ გრძელდება სიტუაციისა და პრედიკაციის სემანტიკის გათვალისწინება – ანგარიში ეწევა ზმნურ სემანტიკასა და დრო-კილოთა შინაარსებს (კერძოდ, აორისტს).<sup>29</sup> შედეგად დაპირისპირება ‘აქტიური : არააქტიური’ “იხლიჩება“ და ფორმირდება მოთხრობითი და სახელობითი ბრუნვები:<sup>30</sup>

(Ag)მოთხრობითი { აქტიური: გარდამავალი, დინამიკური, ტელიკური  
 აქტიური: გარდაუვალი, დინამიკური, ატელიკური

სახელობითი { აქტიური: გარდაუვალი, დინამიკური, ტელიკურ  
 არააქტიური: გარდაუვალი, სტატიკური, ატელიკური


ეს ფორმალიზაცია იმგვარად მიმდინარეობს, რომ I/(II)~III დიქტომია შენარჩუნებულია ბრუნვის I და II ქვესისტემების დაპირისპირებით, მოთხრობითის ნიშნად კი გადაიხარება {III,+[პიროვნების]} შესაბამისი, ‘სიშორე:სიახლოვის’ გამოხატვის მიხედვით მაქსიმალურად ნეიტრალური, ჩვენებითი ნაცვალსახელის ირიბი ბრუნვის ფორმა, სახელობითის ნიშნად კი იმავე ნაცვალსახელის პირდაპირი ბრუნვის ფორმა. საერთო-ქართველურის პრედონის ენობრივ სივრცეში შემეცნების ამგვარი გადახარება უკვე შემზადებულია, თუმცა ენობრივი სტრუქტურებისა და მოდელების ფორმირებისათვის გადაწყვეტი ნაბიჯი დამოუკიდებლად იდგმება ყველა ქართველურ ენაში და ამიტომაც ბრუნვათა ფუნქციების დაზუსტება და ბრუნვის გამოხატვა ქართულში, მეგრულში, ლაზურსა თუ სვანურში სხვადასხვაგვარად ხდება და ძირითადად აორისტი:არააორისტი დაპირისპირებისა და ზმნური კლასების განსხვავებულ ფორმალიზაციას ეფუძნება.

<sup>29</sup> ‘აორისტი’ სხვადასხვაგვარ ღირებულებას იძენს ქართველურ ენებში: ლაზურში ეს ნიშანი ბრუნვათა მოდელების შერჩევაზე გავლენას არ ახდენს მაშინ, როდესაც სხვა ქართველურ ენებში +[აორისტი] მართავს ერგატიულ მოდელს, –[აორისტი] კი არა (იხ. მოდელების განაწილების ცხრილები, გვ. 98).

<sup>30</sup> სწორედ ამ ეტაპზე უნდა მომხდარიყო სახელობითის, როგორც კოგნიტიურად არამარკირებული ბრუნვის, ფორმალური მარკირება -ი ნიშნით.

VII. ბრუნვის ამ ფორმების დაპირისპირება ვრცელდება 'ნების თვალსაზრისით ნეიტრალური' P არგუმენტისათვისაც იმგვარად, რომ სუბიექტად რეალიზებული P ყოველთვის სახელობითშია მაშინ, როდესაც ობიექტად რეალიზებული P ხან სახელობითშია (თუ მეორე არგუმენტი მოთხრობითშია), ხან კიდევ მიცემითში (თუ მეორე არგუმენტი მიცემითშია); ანუ, სახეზეა არგუმენტთა S/O ფუნქციების მიხედვით დაპირისპირება.


ეს ეტაპები გრაფიკულად შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:<sup>31</sup>




<sup>31</sup> ამ ფიგურებში არ არის ასახული 'აორისტის' როლი; აორისტის მიხედვით დაპირისპირებული ფორმები არ განასხვავებენ მოდელებს ლაზურში, სხვა ქართველურ ენებში კი მხოლოდ VI და VII ეტაპზე იძენენ ბრუნვითა მოდელების განმასხვავებელ ძალას.




V ეტაპი:



VI ეტაპი:



VII ეტაპი



### 3. დასკვნები: პროტოქართველურის წყობა და მისი მიმართება

#### პროტონდოვერობულის წყობასთან


წარმოდგენილი ანალიზისა და ინტერპრეტაციების შედეგად შეიძლება და-ვასკვნათ:

- ფუძე-ენის პრექართველური დონე გვიჩვენებს I/II~III დიქტომიის ფორმა-ლური დაპირისპირებისა და 'პიროვნობის' კატეგორიის ჩამოყალიბების პრო-ცესს (დიაქრონიული განვითარების I, II და III ეტაპები);
- პროტოქართველური შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს აქტიურ ენად, რაც განპირობებულია, ზმნური სემანტიკის გათვალისწინების ფონზე, 'პიროვნო-ბის' კატეგორიის სემანტიკურ როლებად გადააზრება-გაფართოების პროცე-სით (დიაქრონიული განვითარების IV-V ეტაპები): –[თ.ნ.] (resp. Ad), მარ-კირებული მიცემით (\*-ს), უპირისპირდება არამარკირებულ დანარჩენ რო-ლებს (Ag, +[თ.ნ.] და P, [თ.ნ.]-ის მიხედვით აპრიორულად გაუდიფერენცი-რებელ არგუმენტს);
- აქტიური კონსტრუქციების შემდგომ განვითარებას ლოგიკურად მივყავართ 'გახლეჩილი' ერგატიული კონსტრუქციების ფორმირებისაკენ: +[თ.ნ.] (resp.

Ag), მარკირებული ზმნური კლასებისა და დრო-კილოების მიხედვით ან მოთხრობით, ან სახელობით, უპირისპირდება, ერთი მხრივ, Ad-ს ([თ.ნ.]ს მარკირებულს მიცემით) და, მეორე მხრივ, არამარკირებულ P-ს (ნების მიხედვით ნეიტრალურ არგუმენტს, წარმოდგენილს ან არამარკირებულ სახელობითში, ან, –[თ.ნ.]-თან კოგნიტიური სიანხლოვის გამო, მიცემითში). ასეთი გარდასახვით პროტოდონზევე ჩასახული ერგატიული კონსტრუქცია დამოუკიდებლად ყალიბდება ქართველურ ენებში (დიაქრონიული განვითარების VI ეტაპი);

- სემანტიკაზე ორიენტირებული აქტიური წყობის მქონე პროტოსისტემა თანამედროვე ქართველურ ენებში გარდაისახება სინტაქსური ფუნქციების მარკირებაზე ორიენტირებულ სისტემად; პროცესი იწყება სუბიექტური P-ს წარმოდგენით სახელობითი ბრუნვით, ხოლო ობიექტური P-სი – მიცემითით (ან, ოპტიმალისაციის ძალით, მოთხრობით Ag-თან ერთად კომბინაციაში – სახელობითით); და გრძელდება მოთხრობითში წარმოდგენილი Ag-argumentis S-ად ინტერპრეტაციით. ამგვარი პროცესების შედეგად საბოლოოდ ფორმირდება ერგატიული კონსტრუქციები ქართველურ ენებში (დიაქრონიული განვითარების VII ეტაპი).<sup>32</sup>

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი პროტოინდოევროპულისათვის აღადგენენ აქტიურ კონსტრუქციას, რომელიც განვითარების შედეგად თანამედროვე ევროპულ ენებში იძლევა ნომინატიურ კონსტრუქციებს (გამყრელიძე, ივანოვი 1984). როგორც თანამედროვე ინდოევროპული ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს სემანტიკური მიმართებების მარკირებაზე ორიენტირებული პროტოსისტემა ამ ენებშიც გარდაიქმნება სინტაქსური ფუნქციების მარკირებაზე ორიენტირებულ სისტემად. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პროტოქართველური გარდაისახება ერგატიული წყობის ენად, პროტოინდოევროპული კი ნომინატიური წყობის ენად:




<sup>32</sup> სვანურში მოთხრობითი ბრუნვის ერთ-ერთ ალომორფად ვითარებითი ბრუნვის ნიშნის (-დ) დაფიქსირება, შესაძლოა, ასახავდეს ამ ეტაპზე (სემანტიკური მარკირებიდან ფუნქციურზე გადასვლისას) სემანტიკური როლის მარკირებისას არა მხოლოდ არგუმენტების, არამედ უფრო ფართოდ, არაარგუმენტული სემანტიკური როლის გათვალისწინებასაც: *კაცა(Ag) ჳრის საზამთროს დანით(Ins) → დანა(Ag=Ins=S) ჳრის საზამთროს*; რის მასტიმულირებელიც შესაძლოა კავკასიური ენობრივი გარემო იყოს, სადაც მოთხრობითისა და სხვა ირიბი ბრუნვების (მოქმედებითის, ტიპოლოგიურად კი ვითარებითისაც) ფუნქციების გაერთიანება საკმაოდ გავრცელებულია.


საკარაულოდ, ამის მიზეზი უნდა იყოს განსხვავებული წინაპირობები და ფუნქციონალური პრელინების გასხვავებული ვითარება: ქართველურ ენებში აქტიური კონსტრუქცია მიიღება ეგო-სივრცის პერსპექტივიდან ალტერ-სივრცის სპეციფიკაცია-დანაწევრებითა და ეგო-სივრცის გაფართოება-გადააზრებით (I/II~III დიქტომიიდან 'სულიერობის, სემანტიკური აქტიურობის' კატეგორიისა და სემანტიკური როლების განსხვავების გავლით S/O-მდე), რასაც ლოგიკურად ერგატიული კონსტრუქციების წარმოქმნამდე მივყავართ; განსხვავებით, ინდოევროპულ ენებში აქტიური კონსტრუქცია, როგორც ჩანს, მიიღება საპირისპირო კოგნიტიური პროცესით – ალტერ-სივრცის სპეციფიკაციითა და მისგან ეგო-სივრცის გამოყოფა-დაკონკრეტებით ('სულიერობის, სემანტიკური აქტიურობის' კატეგორიიდან S/O-სა და პირის კატეგორიამდე), რაც ლოგიკურად ნომინატიური კონსტრუქციების წარმოქმნას განაპირობებს.

ასეთი ინტერპრეტაციის სასარგებლოდ მეტყველებს ინდოევროპულ ენებში S-ის არამარკირებულობა და O-ს მარკირებულობა, განსხვავებით ერგატიული ენებისა, სადაც, პირიქით, O არის არამარკირებული, S კი მარკირებული. ასეთი განსხვავების კოგნიტიური „ახსნა“ უნდა ვეძიოთ პროტოაქტიური ენის განსხვავებულ საფუძვლებში. ქართველურში S-ად ინტერპრეტირდება აქტიური (და მასთან, ზმნის აქტიური სემანტიკის საფუძველზე, კოგნიტიურად გათავისუფლებული არა-აქტიური) სახელი, რომლის მარკირებულობაც მხოლოდ ეგო-სივრცის ალტერ-სივრციდან მარკირებული გამოყოფის პერსპექტივიდან სტრუქტურირების პირობებით შეიძლება აისნას: **მე ვარ აქტიური, მარკირებული, და ყველაფერი, რაც ჩემთან კონცეპტუალურად „ახლოსაა“, ჩემი „მსგავსია“, ასევე მარკირებულია;** ხოლო ინდოევროპულში – არგუმენტის S-ად კვალიფიკაცია უკავშირდება უშუალოდ ალტერ-სივრცის აქტიურ-არააქტიურ სახელებად დიფერენციაციას; ამ პერსპექტივიდან კი არააქტიური სახელის არამარკირებულობა და კოგნიტიურად მისი აქტიურთან ფუნქციური გათანაბრება იძლევა S-ის არამარკირებულობას: **არა-აქტიური არამარკირებულია და ყველაფერი, რაც მასთან კოგნიტიურად ასოცირდება, ასევე არამარკირებულია.**

პროტოინდოევროპული: AS  $\longrightarrow$  ES



პროტოქარველური: ES  $\longrightarrow$  AS



### ლიტერატურა

- ამირიძე 1998:** ნ. ამირიძე, *კონცეპტუალური არქექტიპები და მათი ასახვა მორფოსინტაქსში*, დისერტაციის ბიულეტენი, თბილისი.
- ანდერსონი 1977:** S.R. Anderson, *On mechanisms by which languages become ergative*, In: C.n.Li (ed.), *Mechanisms of syntactic change*, University of Texas Press, Austin, TX ,317-363.
- არონსონი 1979:** H.L. Aronson, *Towards a typology of transitivity: The strange case of the Georgian subject*, *The Elements*, CLS parasession volume, 297-306.
- ასათიანი 1982:** რ. ასათიანი, *მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი*, “მეცნიერება“, თბილისი.
- ასათიანი 1987:** რ. ასათიანი, *მოთხრობითი ბრუნვის გენეზისი ქართულსა და ქართველურ ენებში*, მაცნე, ელს, 4, “მეცნიერება“, თბილისი.
- ასათიანი 1994:** რ. ასათიანი, *ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები (გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში დომინანტური კატეგორიის დადგენის თვალსაზრისით)*, “მეცნიერება“, თბილისი.
- ასათიანი 2011:** რ. ასათიანი, *ლაზურის გრამატიკის კონსპექტი*, “უნივერსალი“, თბ.
- ასათიანი 2012:** რ. ასათიანი, *სივრცის ლინგვისტური სტრუქტურირების დინამიკური კონცეპტუალური მოდელი: ქართული ზმნისწინები*, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის საიუბილეო კრებული, თბილისი.
- ბენვენისტი 1974:** Э. Бенвенист, *Структура отношений лица в глаголе*, *Общая лингвистика*, Наука, Москва:
- ბოედერი 1979:** W. Boeder, *Ergative Syntax and Language Change: The South Caucasian Languages*, In: P. Plank (ed.), London, 435-480.
- ბრეითვეითი 1973:** K. Braithweithe, *Case Shift and Verb Concord in Georgian*, PhD thesis. Department of Linguistics, The University of Texas at Austin.
- გამყრელიძე 1959:** თ. გამყრელიძე, *სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი*, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
- გამყრელიძე 2004:** თ. გამყრელიძე, *ფუძე-ენის რეკონსტრუქცია და მისი ქრონოლოგიური დონეები*, პერსპექტივა-XXI, VI, “ენა და კულტურა“. თბილისი.

- გამყრელიძე, ივანოვი 1994/95:** T. Gamkrelidze, V. Ivanov, *Indo-European and the Indo-Europeans. A Reconstruction and Historical Analysis of a ProtoLanguage and a ProtoCulture*, 2 vols. English version by Johanna Nichols, with a preface by Roman Jakobson, Mouton de Gruyter, Berlin-New York.
- დელენსი 1985:** S. DeLancey, *Agentivity and Syntax*, In: Eilfort W.H., Kroeber P.D. and Peterson K.L. (eds.), *Papers from the Parasession on Causatives and Agentivity*, Chicago Linguistic Society, Chicago, 1-12.
- დიქსონი 1979:** R. M.W. Dixon, *Ergativity*, Cambridge Un. Press, Cambridge.
- ეზუგბაია 2010:** ლ. ეზუგბაია, *მეგრულ-ლაზურის გრამატიკის საკითხები*, თბილისი.
- კარტოზია 2005:** გ. კარტოზია, *ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში*, თბილისი.
- კარტოზია და სხვანი 2010:** გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, *მეგრულის ლინგვისტური ანალიზი*, “შერიდიანი“, თბილისი.
- კიბრიკი 1997:** A. Kibrik, *Beyond Subject and Object: Toward a Comprehensive Relational Typology*, In: *Linguistic Typology*, I. Mouton de Gruyter, Berlin-New York, 279-346.
- კლიმოვი 1977:** Г. Климов, *Типология языков активного строя*, Наука, Москва.
- კროფტი 2002:** W. Croft, *The Non-existence of Syntactic Relations*, Third Winter Typological School, Russian State Humanitarian University Press, Moscow.
- ლომთათიძე 1946:** ქ. ლომთათიძე, *-ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში*, იკე, I, 131-140.
- მარი 1910:** Н. Марр, *Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем*, СПб.
- მარტიროსოვი 1964:** ა. მარტიროსოვი, *ნაცვალსახელი ქართველურ ენებში. ისტორიულ-შედარებითი ანალიზი*, თბილისი.
- მასნარობლიძე 2009:** თ. მასნარობლიძე, *ლინგვისტური წერილები*, I, თბილისი.
- მაჭავარიანი 2002:** გ. მაჭავარიანი, *ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- მელიქიშვილი 1980:** დ. მელიქიშვილი, *პირის ნაცვალსახელთა ფუძის აგებულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი*, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბილისი, 48-57.
- მელიქიშვილი 2012:** Ir. Melikishvili, *Two Sets of Georgian Person Markers as the Expression of the Opposition Active/Inactive*. In: *Special Issues on Georgian in the Typological perspective*, *The Journal of Language Typology and Universals / Sprachtypologie und Universalienforschung (STUF)*. (Forthcoming).
- ნებიერიძე 1987:** გ. ნებიერიძე, *როგორი სისტემა უნდა ადგეს ქართველურ ფუძე-ენაში – ერგატიული თუ ნომინატიური?* მაცნე, ელს, 2, თბილისი.
- ნებიერიძე 1988:** გ. ნებიერიძე, *არსებობს თუ არა ერგატიული კონსტრუქცია ქართველურ ენებში?* მაცნე, ელს, 3, თბილისი.
- ონიანი 1978:** ალ. ონიანი, *ქართველურ ენათა მორფოლოგიის საკითხები. ზმნის პირი, რიცხვი, ინკლუზივ-ექსკლუზივი*, “განათლება“, თბილისი.
- ონიანი 1989:** ალ. ონიანი, *ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (სახელთა მორფოლოგია)*, “განათლება“, თბილისი.
- ონიანი 1998:** ალ. ონიანი, *სვანური ენა (ფონოლოგიისა და მორფოლოგიის საკითხები)*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

- სარჯველაძე 1984:** ზ. სარჯველაძე, *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*, თბილისი.
- სილვერსტაინი 1976:** M. Sirverstain, *Hierarchy of Features and Ergativity*, In: R.M.W. Dixon (ed.): *Grammatical Categories in Australian Languages*, Australian Institute of Aboriginal Studies, Canberra.
- ტუიტი 1998:** K. Tuite, *Kartvelian Morphosyntax*, Lincom Europa, Munich.
- ფოცხიშვილი 2000:** ალ. ფოცხიშვილი, *ქართული ენა, მორფოლოგია*, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 54-143.
- ჩიქობავა 1939:** არნ. ჩიქობავა, *მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში*, თსუ შრომები, X, თბილისი.
- ჩიქობავა 1961:** არნ. ჩიქობავა, *ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, II, ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები*, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
- ჩიქობავა 1968:** არნ. ჩიქობავა, *მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I*, თბილისი.
- ყიფშიძე 1914:** И. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (иверского) языка*, СПб.
- შანიძე 1973:** აკ. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ჰარისი 1981:** A.C. Harris, *Georgian Syntax. A study in relational grammar*, Cambridge University Press, Cambridge.
- ჰარისი 1985:** A.C. Harris, *Diachronic syntax: the Kartvelian case*, Syntax and Semantics, 18. Academic Press, New York: .
- ჰოლისკი 1981:** D.A. Holisky, *Aspect and Georgian Medial Verbs*, Caravan Books, Delmar-New York.
- ჰოლისკი 1991:** D.A. Holisky, *Laz, The Indigenous Languages of the Caucasus*, Vol.1, The Kartvelian Languages, Caravan Books, Delmar-New York, 395-472.

*Rusudan Asatiani*

### **The ProtoKartvelian Alignment System: An Active one (?)**

#### Summary

The split-ergativity of the Kartvelian languages defined by the TAM categories and restrictions of verb classes is represented as a result of hierarchically organized changes of linguistic structures. Various levels of hierarchies reflecting dynamic synchronic processes of linguistic structuring are interpreted as the stages of development of minor-syntactic constructions based on the ‘appearance’ of certain grammatical categories (viz., Telicity, Transitivity, TAM, S/O). The hierarchies reveal that the ProtoKartvelian alignment system is semantically oriented and active.

Taking into consideration the reconstruction of ProtoIndo-European alignment as an active one (Gamkrelidze&Ivanov 1994/95), it seems possible to speak about a typological closeness of those protolanguages that further developed in different ways: contemporary, the Indo-European languages are interpreted as the nominative languages, while Kartvelian – as the ergative ones.

**ინგლისური, გერმანული, ფრანგული და ქართული ენების ბგერათა შიკრიისპირებითი ანალიზი**

სტატია ინგლისური, გერმანული, ფრანგული და ქართული ბგერების ფონეტიკური შეპირისპირებითი დახასიათების ცდაა. ამ ენათა ანბანის, ბგერებისა და მათი არტიკულაციების შედარებითი აღწერა, სამეტყველო ორგანოების დასახელება განხორციელებულია – ლ. არმსტრონგის, ფ. ბეიერის, ფ. კარტონის, პ. დელატრის, ა. გოლუბევის, პ. კანტის, ი. სმირნოვას, ფ. ვირეტელის, პ. ახვლედიანის, ლ. გამსახურდიას, შ. გაფრინდაშვილის, გ. დოლიძის, ს. ჟღენტის, ა. შანიძისა და ზ. ჯაფარიძის მიერ ჩატარებული გერმანიკული, რომანული და ქართული ენების ფონეტიკური სამეცნიერო კვლევათა მონაცემების მიხედვით.

ფონეტიკური ტრანსკრიფცია გამოიყენება ბგერითი ერთეულების ფონეტიკური თვისებების ასახვისათვის. მთავარ პრინციპს წარმოადგენს ტრანსკრიბირებული ბგერისა და გამოყენებული პირობითი ნიშნის ცალსახა შესაბამისობა. ყველაზე მეტად გამოიყენება საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი (International Phonetic Alphabet, IPA), შემუშავებული საერთაშორისო ფონეტიკური ასოციაციის მიერ ლათინური ანბანის საფუძველზე (შექმნილია 1886 წელს პარიზში, საორგანიზაციო ცენტრი ლონდონშია).

**სამეტყველო ორგანოები**

	ქართულად	ინგლისურად	გერმანულად	ფრანგულად
I	ხორხი	larynx	Ke Kehlkopf (m)	larynx (m)
II	ხახის ღრუ	pharynx	Rachenraum (m)	pharynx (m)
III	პირის ღრუ	mouth cavity	Mundhöhle (f)	cavité buccale (f)
IV	ცხვირის ღრუ	nasal cavity	Nasenhöhle (f)	fosses nasales (fpl)
1	ენა	tongue	Zunge (f)	langue (f)
2	ენის წვერი	tip of the tongue	Zungenspitze (f)	pointe de la langue (f)
3	ენის ზურგის წინა ნაწილი (წინაენა)	blade of the tongue	Vorderzunge (f)	partie antérieure de la langue (f)
4	ენის ზურგის შუა ნაწილი (შუაენა)	front of the tongue	Mittelzunge (f)	partie médiane de la langue (f)
5	ენის ზურგის უკანა ნაწილი (უკანაენა)	back of the tongue	Hinterzunge (f)	partie postérieure de la langue (f)
6	ენის ძირი	root of the tongue	Zungenwurzel (f)	racine de la langue (f)
7	ბაგეები	lips	Lippen (f pl)	lèvres (f pl)
8	კბილები	teeth	Zähne (m pl)	dents (f pl)

9	ნუნები (ალვეოლები)	alveolar ridge	Alveolarrand (m)	alvéoles (m pl)
10	მაგარი სასა (პალატუმი)	hard palate	harter Gaumen (m)	palais dur (m)
11	რბილი სასა (ველუმი)	soft palate	weicher Gaumen (m)	palais mou (m)
12	ნაქი (უვულა)	uvula	Zäpfchen (n)	luette (f)
13	სახმო სიმები	vocal cords	Stimmbänder (npl)	cordes vocales (f pl)
14	საყლაპავი მილი	gullet	Speiseröhre (f)	oesophage ( <u>m</u> )
15	სასუნთქი მილი (ტრაქეა)	windpipe	Luftröhre ( <u>f</u> )	trachée ( <u>f</u> )

**ფონეტიკური ტრანსკრიფცია**

ბგერა	სიტყვა-ნიმუში, რომელშიც გვხვდება მოცემული ბგერა	ბგერა	სიტყვა-ნიმუში, რომელშიც გვხვდება მოცემული ბგერა	ბგერა	სიტყვა-ნიმუში, რომელშიც გვხვდება მოცემული ბგერა	ბგერა	სიტყვა-ნიმუში, რომელშიც გვხვდება მოცემული ბგერა
ქართული ხმოვნები		ინგლისური ხმოვნები		გერმანული ხმოვნები		ფრანგული ხმოვნები	
i	თითი [tʰitʰi] ის [is]	i: ɪ	bee [bi:] it [it]	i: ɪ	hier [hi:ɛ] ist [ʼist]	i	ville [vil]
ɛ	ხე [xɛ] ეს [ɛs]	e æ	pet [pet] cat [kæt]	e: ɛ ɛ:	schwer [ʃve:ɛ] Hände [ʰhendə] Bär [be:ɛ]	e ɛ ɛ̃	Caf é [ka'fe] tête [te:t] prince [prɛ̃:s]
a	და [da] ათი [atʰi]	ʌ ɑ:	bus [bʌs] arm [ɑ:m]	a ɑ: ɐ	Amt [ʼamt] Bahn [ba:n] aber [ʼɑ:bɐ]	a ɑ ã	chatte [ʃat] châle [ʃɑ:l] angle [ã:gl]
ɔ	ღო [dɔ] ომი [omi]	ɒ ɔ:	dog [dɒg] port [pɔ:t]	ɔ o:	Oft [ʼɔft] Ohr [ʼo:ɛ]	ɔ o õ	botte [bɔt] pot [po] rond [Rõ]
u	კუ [kʰu] უმი[umi]	ʊ u:	foot [fʊt] tool [tu:l]	ʊ u:	Duft [duft] du [du:]	u	ours [ʊrs]
				ʏ y:	Glück [glʏk] Typ [ty:p]	y	une [yn]
		ɜ ə	bird [bɜ:d] figure [ʼfɪgə]	œ ø ə	zwölf [tʃvœlf] Bö [bø:] Tinte [ʼtɪntə]	œ ø ə œ̃	œuf [œf] lieu [ljø] demi [dø'mi] à jeun [a'ʒœ̃]



ქართული თანხმოვნები		ინგლისური თანხმოვნები		გერმანული თანხმოვნები		ფრანგული თანხმოვნები	
p <sup>ʰ</sup> p <sup>h</sup> b	პური [p <sup>ʰ</sup> uri] ფარა [p <sup>h</sup> ara] ბარი [bari]	p b	pig [pig] big [big]	p b	Pakt [pakt] Baum [ba <sub>u</sub> om]	p b	post [pɔst] bon [bɔ̃]
				p <sup>h</sup> f	Pferd [p <sup>h</sup> fɛt]		
t <sup>ʰ</sup> t <sup>h</sup> d	ტომი [t <sup>ʰ</sup> omi] თოვლი [t <sup>h</sup> ɔvli] დანა [dana]	t d	tea [ti:] date [dɛt]	t d	Tier [ti:g] da [da]	t d	thé [te] datte [dat]
ts <sup>ʰ</sup> ts dz	წაბლი [ts <sup>ʰ</sup> abli] ცოტა [tsɔt <sup>ʰ</sup> a] ძუა [dzua]			t̪s	Zahn [t̪s a:n]		
tɕ <sup>ʰ</sup> tɕ dʒ	ჭა [tɕ <sup>ʰ</sup> a] ჩირი [tɕiri] ჯარი [dʒari]	tɕ dʒ	cheese [tɕi:rz] jam [dʒæm]	t̪ɕ dʒ	Deutsch [dɔθ t̪ɕ] Gin [dʒin]		
k <sup>ʰ</sup> k <sup>h</sup> g	კარი [k <sup>ʰ</sup> ari] ქონი [k <sup>h</sup> oni] გემი [gemi]	k g	cake [keik] goat [gɔt]	k g	Kladde [ˈkladə] Garten [ˈgɑrtən]	k g	crabe [krab] gamme [gam]
q <sup>ʰ</sup>	ყანა [q <sup>ʰ</sup> ana]						
(f) v	ყენი [fk <sup>h</sup> eni] ვარდი [vardi]	f v	flat [flæt] veal [vi:l]	f v	Feder [ˈfe:də] Wagen [ˈva:gən]	f v	feuille [føɛj] vie [vi]
s z	სამი [sami] ზარი [zari]	s z	sea [si:] zoo [zu:]	s z	Skizze [ˈskitsə] Saal [za:l]	s z	sucre [sykr] zébu [zeˈby]
ʃ ʒ	შავი [ʃavi] ჟოლო [ʒɔlɔ]	ʃ ʒ	ship [ʃip] measure [ˈmeɪʒə]	ʃ ʒ	Schuh [ʃu:] Jabot [ʒaˈbo:]	ʃ ʒ	chose [ʃo:z] gel [ʒɛl]
		θ ð	thin [θɪn] that [ðæt]				
				ç	Milch [mɪlç]		
x ɣ	ხარი [xari] ღერო [ɣɛrɔ]			x	Buch [bu:x]		
h	ჰავა [hava]	h	hen [hen]	h	Hase [ˈha:zə]		
m	მიწა [mits <sup>ʰ</sup> a]	m	mule [mjʊ:l]	m	Mut [mu:t]	m	mer [mɛ:r]
n	ნავი [navi]	n	nose [nɔʊz]	n	nein [na <sub>ɪ</sub> en]	n	nappe [nap]
l	ლომი [lɔmi]	l	leaf [li:f]	l	Lyrik [ˈly:rɪk]	l	lune [lyn]
r	რუ [ru]	r	roof [ru:f]	r*/R	rot [ro:t]	R	roc [Rɔk]
		ŋ	ring [rɪŋ]	ŋ	eng [ˈɛŋ]	ŋ	Camping [kɑ̃ˈpiŋ]
						ɲ	linge [liŋ]

ნახევარხმოვნები							
j	დიალექტებში	j	yak [jæk]	j	Jahr [jɑ:ɝ]	j	iode [jɔd]
w	ვურნიე [vur tʃiɛ]	w	wine [wain]			w	noix [nwa]
						ყ	nuit [nყი]

ინგლისური დიფთონგები		გერმანული დიფთონგები	
aɪ	sky [skai]	a_e	dein [da_en]
aʊ	round [raʊnd]	a_ო	auf [ʼa_ოf]
ɔɪ	boy [bɔɪ]	ა_ø	neu [nɔ_ø]
əʊ	boat [bəʊt]		
eɪ	table [ʼteɪb(ə)l]		
ɪə	ear [ɪə]		
eə	bear [beə]		
ʊə	tour [tʊə]		

ქართული, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ანბანი

ქართული ანბანი		ინგლისური	გერმანული	ფრანგული
		THE ALPHABET	DAS ALPHABET	L'ALPHABET
ა [an]	A a	[eɪ]	[ʼɑ:]	[a]
ბ [ban]	B b	[bi:]	[be:]	[be]
გ [gan]	C c	[si:]	[ts̃:]	[se]
დ [dɔn]	D d	[di:]	[de:]	[de]
ე [en]	E e	[i:]	[ʼe:]	[œ]
ვ [vin]	F f	[ef]	[ʼef]	[ɛf]
ზ [zen]	G g	[dʒi:]	[ge:]	[ʒe]
თ [tʰan]	H h	[eɪtʃ]	[ha:]	[aʃ]
ი [in]	I i	[aɪ]	[ʼi:]	[i]
ქ [kʰan]	J j	[dʒeɪ]	[jɔt]	[ʒi]
კ [las]	K k	[keɪ]	[ka:]	[ka]
ლ [man]	L l	[el]	[ʼɛl]	[ɛl]
ნ [nar]	M m	[em]	[ʼem]	[ɛm]
ო [ɔn]	N n	[en]	[ʼen]	[ɛn]
პ [pʰar]	O o	[əʊ]	[ʼo:]	[ɔ]
ჟ [ʒხი]	P p	[pi:]	[pe:]	[pe]
რ [raɛ]	Q q	[kju:]	[ku:]	[ky]

ს [san]	R r	[ɑ:]	[ʼer]	[ɛ:R]
ტ [tʼar]	S s	[es]	[ʼes]	[ɛs]
უ [un]	T t	[ti:]	[te:]	[te]
ფ [pʰar]	U u	[ju:]	[ʼu:]	[y]
ქ [kʰan]	V v	[vi:]	[fa_ო]	[ve]
ღ [ɣan]	W w	[ʼdʌb(ə)ju:]	[ve:]	[dubləʼve]
ყ [qʼar]	X x	[eks]	[ʼiks]	[iks]
შ [ʃ in]	Y y	[waɪ]	[ʼɣpsilɔn]	[iʼgɾɛk]
ჩ [tʃ in]	Z z	[zed]	[ʃs et]	[zɛd]
ც [tsan]				
ძ [dzil]				
წ [tsʼil]				
ჭ [tʃʼar]				
ხ [xan]				
ჯ [dʒbɔ]				
ჰ [hæɛ]				

**ინგლისური, გერმანული, ფრანგული და ქართული ენების  
საარტიკულაციო ბაზისები და ფონეტიკური წყობა**

სამეტყველო ბგერების საარტიკულაციო, აკუსტიკურ და პერცეფციულ თვისებებს შეისწავლის **ფონეტიკა**. პერიოდული რხევების შედეგად გამოცემულ ბგერას ეწოდება მუსიკალური ტონი ან უფრო მარტივად **ტონი**, ხოლო ბგერები, რომლებიც წარმოიქმნება არაპერიოდული რხევების შედეგად, იწოდება **ჩქამად**.

სახმო სიმების თრთოლისას წარმოქმნილი ტონი წარმოდგენილია კვაზიპერიოდული რხევებით. სახმო სიმების რხევათა სინშირე განსაზღვრავს ბგერის სიმაღლეს, ბგერის სიძლიერეს ანუ ინტენსივობას – რხევის ამპლიტუდა, ხოლო ბგერის ტემბრს – ჰარმონიული სტრუქტურა. ტემბრი არის ბგერის ის თვისება, რომლითაც ერთმანეთისაგან განსხვავდება სხვადასხვა მუსიკალური საკრავის ხმა: გიტარისა ვიოლინოს ხმისგან, ორივესი ფორტეპიანოსაგან და ა.შ. ერთი ადამიანის ხმა განსხვავდება მეორე ადამიანის ხმისაგან ტემბრით – ყველა სხვა თვისების ერთნაირობის დაცვით. ასევე თითოეულ სამეტყველო ბგერას, კერძოდ კი ხმოვანს აქვს თავისი ტემბრი, განსხვავებული სხვა ხმოვნის ტემბრისაგან.

ტემბრი არის ხმოვნის ისეთი შეფერილობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, განვასხვაოთ ის სამეტყველო ბგერები, რომლებიც სიმაღლის, ინტენსივობისა და გრძლივობის მიხედვით ერთნაირია, მაგრამ განსხვავებული ელფერებითაა წარმოდგენილი. ბგერის ტემბრი განისაზღვრება იმ რეზონატორის სიდიდითა და ფორმით, რომელსაც ბგერა გაივლის. ეს რეზონატორებია ხორხის ზედა ნაწილი, რომელიც სახმო სიმების ზემოთაა, ასევე ხახის, პირისა და ცხვირის ღრუები.

სამეტყველო ბგერებს, ენაში მათ ფუნქციათა თვალსაზრისით, შეისწავლის **ფონოლოგია**, რომელშიც მეტყველების ყველა ბგერა დაიყვანება ენის ბგერით ერთეულთა განსაზღვრულ რიცხვამდე, ანუ ფონემებამდე. ფონემის ცნება არ არის ფიზიკური ბგერის ცნების ტოლფარდი. ფონემა აღნიშნავს ბგერის პოზიციურად განპირობებულ ვარიანტთა ერთობლიობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თითოეული ფონემა მეტყველებაში რეალიზდება ერთი ან რამდენიმე ვარიანტით, რომელთაც ალოფონები ეწოდება; თვით ფონემა კი ემსახურება სიტყვებისა და მათი ფორმების განსხვავებას. მეტყველებაში ფონემის ჩანაცვლება სხვა ფონემით იწვევს სიტყვის აზრის შეცვლას და შესაბამისად მოსაუბრეთა არასწორი ურთიერთგაგების მიზეზადაც გვევლინება. ფონემის ერთი შეფერილობის (ანუ ვარიანტის) მეორით ჩანაცვლება არ იწვევს აზრის დამახინჯებას, მაგრამ მეტყველებას ანიჭებს უცხოურ აქცენტს.

ამგვარად, ფონოლოგიური თვალსაზრისით, ენის ერთეულებს წარმოადგენენ არა თვით ბგერები, სიტყვები, სიტყვაშეერთებები და წინადადებები, არამედ მათი შესაბამისი კატეგორიები ფონემისა, მარცვლისა, მახვილიანი ჯგუფისა და სინტაგმისა.

ინგლისური და გერმანული განეკუთვნებიან გერმანიკულ ენათა ჯგუფს, ხოლო ფრანგული – რომანულ ენათა ჯგუფს, მაგრამ, მიუხედავად განსხვავებებისა, მათი გეოგრაფიული სიახლოვე ყოველმხრივ განაპირობებს მათ საერთო ნიშნებსაც.

ქართული ენა, რომელიც განეკუთვნება კავკასიურ ენათა ქართველურ ენობრივ ოჯახს, ძალიან განსხვავებულია ფონეტიკის თვალსაზრისით ზემოთ ჩამოთვლილ ენათაგან, და ჩვენი მიზანია შეპირისპირებითი მეთოდით წარმოვადგინოთ ქართული, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების ფონეტიკური მახასიათებლები.

## **ზმოვან ბგერათა კლასიფიკაცია**

ზმოვან ბგერათა კლასიფიკაციის საფუძვლებია:

- 1. ენის ჰორიზონტალური მდგომარეობა**  
წინა რიგის;  
შუა, ანუ შერეული რიგის;  
უკანა რიგის.
- 2. ენის ვერტიკალური მდგომარეობა**  
ძალადი აწეულობის (დახურულები);  
საშუალო აწეულობის (ნახევრად დახურულები ანუ ნახევრად ღიები);  
დაბალი აწეულობის (ღიები).
- 3. ბაგეების მდგომარეობა**  
ლაბიალურები (მომრგვალებულები);  
არალაბიალურები (არამომრგვალებულები).
- 4. რბილი სასის მდგომარეობა**  
ცხვირისმიერები (პირისმიერ-ცხვირისმიერები);  
მსუბუქად ნაზალიზებულნი;  
პირისმიერები.

ხმოვანთა გრძლივობაც წარმოადგენს დიფერენციალურ ნიშანს. ქართული-სათვის ხმოვნის გრძლივობას ფონოლოგიური ღირებულება არ აქვს და მხოლოდ ინტონაციური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს. ასევე ფრანგულ ენაში გრძლივობა არ განეკუთვნება ხმოვან ფონემათა მუდმივ ნიშნებს, თუმცა გრძელ და მოკლე ხმოვანთა შორის განსხვავება ფრანგული მეტყველების რიტმიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

ინგლისურ და გერმანულ ენებში გრძელი და მოკლე ხმოვნები სხვადასხვა ფონემებია, ეს კი ნიშნავს, რომ ერთი ბგერის მეორით შეცვლა იქნება ფონოლოგიური შეცდომა.

ჩვენს განსახილველ ენებში ოპოზიციები რიგისა და აწეულობის მიხედვით არსებობს; ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ერთი ბგერის მეორით შეცვლით არ შეიქმნას ფონოლოგიური შეცდომის საშიშროება.

## **თანხმოვან ბგერათა კლასიფიკაცია**

### **1. აქტიური სამეტყველო ორგანოს მიხედვით**

*ბავისძიერები* (ჩქამის წყარო იმყოფება საარტიკულაციო ტრაქტის წინა ნაწილში, რეზონატორთა სისტემა – ამ წყაროს უკან);

*ენისძიერები:*

*წინაენისძიერები* (მცირე წინა რეზონატორი და ჩქამის წყაროს უკან მყოფი დიდი რეზონატორი);

*შუაენისძიერები* (ჩქამის წყარო – პირის რეზონატორის უკან);

*უკანაენისძიერები* (ჩქამის წყარო პირის რეზონატორის უკან);

*ნაქისძიერები* (ჩქამის წყარო პირის რეზონატორის უკან).

### **2. წარმოების ადგილის მიხედვით**

*წვეილბავისძიერები* – *ბილაბიალურები*;

*კბილბავისძიერები* – *ლაბიოდენტალურები*;

*კბილისძიერები* – *დენტალურები*;

*წინანუნისძიერები* – *პრეალვეოლარულები*;

*ნუნისძიერები* – *ალვეოლარულები*;

*უკანანუნისძიერები* – *პოსტალვეოლარულები* (არტიკულაცია – ალვეოლების უკან);

*სასანუნისძიერები* – *პალატოალვეოლარულები* (არტიკულაცია – მაგარი სასისა და ალვეოლების არეში);

*მაგარსასისძიერები* – *პალატალურები* (არტიკულაცია – მაგარი სასის არეში);

*რბილსასისძიერები* – *ველარულები* (არტიკულაცია – რბილი სასის არეში);

*ნაქისძიერები* – *უვულარულები*;

*ხახისძიერები* – *ფარინგალურები* (არტიკულაცია – ხახის არეში);

*ხორხისძიერები* – *ლარინგალურები* (არტიკულაცია – ხორხში).

### **3. ენის მდგომარეობის მიხედვით:**

*აპიკალურები* (არტიკულაცია – ენის წვერით);

*ღორსალურები* (არტიკულაცია – ენის ზურგით);

კაკუმინალურები (არტიკულაცია – ვერტიკალურად აწეული ენის წინა მხრით);  
კორონალურები (არტიკულაცია – ენის ზურგის ბრტყელი ან ჩაზნექილი კიდეების აწევით სასისაკენ).

**4. წარმოების რავგარობის მიხედვით:**

*ხშულები* (იმპულსური ჩქამი წარმოიქმნება განხშვის შედეგად);

*ნაპრალოვნები* (ტურბულენტური ჩქამის არსებობა ნაპრალში ჰაერის ნაკადის გავლისას);

*ვიბრანტები* (წყვეტილი მოდულაციები ჩქამის გარეშე);

*ხშულ-ნაპრალოვნები* (ლატერალები, ნაზალები და აფრიკატები, რომლებსაც პირველი ელემენტის (ხშვის) მიხედვით ზოგჯერ ხშულებს მიაკუთვნებენ).

**5. სახმო სიმების მონაწილეობის მიხედვით:**

*ყრუები;*

*მჟღერები.*

**6. ჩქამისა და ტონის თანაფარდობის მიხედვით:**

*ჩქამიერები;*

*სონორები.*

**7. ენის ზურგის შუა ნაწილის მდგომარეობით:**

*მაგრები;*

*რბილები.*

**8. ბგერის წარმოებაში ცხვირის ღრუს მონაწილეობა-არმონაწილეობის მიხედვით:**

*ცხვირისმიერები;*

*პირისმიერები.*

**ხმოვან ბგერათა კლასიფიკაცია ენის ჰორიზონტალური მდგომარეობის მიხედვით**

		ინგლისური	გერმანული	ფრანგული	ქართული
წინა რიგი		i: e æ <sup>1</sup>	i i: e e ε: ø: yy: æ ē: œ:	i e ε a ø œ ə y ɛ œ	i ე
	<i>უკან გადაწეული</i>	ɪ a <sup>2</sup>			
შუა რიგი		ɜ: ə	ə ɐ		a
უკანა რიგი	<i>წინ გადაწეული</i>	ʌ ʊ o <sup>3</sup>	a		u ო
	<i>ღრმა</i>	ɑ: ɒ: ɔ: u:	ɑ: ɔ o: ɒ u: ɑ̃: ɔ̃:	ɑ ɔ o u ɑ̃ ɔ̃	

<sup>1</sup> ε – დიფთონგის ბირთვი [eə] (= [eə]).

<sup>2</sup> a – დიფთონგების ბირთვი [aɪ], [aʊ].

<sup>3</sup> o – დიფთონგის ბირთვი [oʊ] (= [əʊ]).

**ზმოვან ბგერათა კლასიფიკაცია ენის ვერტიკალური მდგომარეობის მიხედვით**

		ინგლისური	გერმანული	ფრანგული	ქართული
მაღალი აწეულობა	ვიწრო	i: u:	i: u: y:	i u y	i u
	ფართო	ɪ ʊ	ɪ ʊ ʏ		
საშუალო აწეულობა	ვიწრო	e ɜ: o <sup>1</sup>	e: o: ø: ə õ:	e ø ə ə õ	ɛ ə
	ფართო	ɛ <sup>2</sup> ʌ	ɔ ə ɛ ɛ̃: œ̃:	ɔ ɛ̃ œ̃	
დაბალი აწეულობა	ვიწრო	ɑ:			
	ფართო	æ ɑ: ɒ ʌ <sup>3</sup>	ɛ ɛ: ɑ ɑ: ɔ̃:	ɛ ɑ ɑ ɔ̃	ɑ

<sup>1</sup> o – დიფთონგის ბირთვი [oʊ] (= [əʊ]).

<sup>2</sup> ɛ – დიფთონგის ბირთვი [ɛə] (= [eə]).

<sup>3</sup> ʌ – დიფთონგების ბირთვი [aɪ], [aʊ].

**თანზმოვან ბგერათა კლასიფიკაცია წარმოების რაგვარობის მიხედვით**

		ინგლისური	გერმანული	ფრანგული	ქართული
ხშულები	მსკდომები	p b t d k g	' (?) p b t d k g	p b t d k g	p' p <sup>h</sup> b <sup>h</sup> t <sup>h</sup> d <sup>h</sup> k' k <sup>h</sup> g q'
	აფრიკატები	tʃ dʒ	p <sup>h</sup> f <sup>h</sup> t <sup>s</sup> t <sup>ʃ</sup> d <sup>ʒ</sup>		ts' ts dz tʃ' tʃ dʒ
ნაპრალოვნები	ბრტყელი ნაპრალით	f v θ ð h j r	f v ç x h ʎ j	f v s z ʃ ʒ j ʁ	(f) v x ɣ h
	მრგვალი ნაპრალით	s z ʃ ʒ w	s z ʃ ʒ	w ɥ	s z ʃ ʒ
ვიბრანტები			r r*	r r*	r
ლატერალები		l ɫ	l	l	l
ნაზალები		m n ŋ	m n ŋ	m n ɲ ŋ	m n

**თანზმოვან ბგერათა კლასიფიკაცია წარმოების ადგილის მიხედვით**

		ინგლისური	გერმანული	ფრანგული	ქართული
ბაგისმიერები	ბილაბიალური	p b m w	p b m	p b m w ɸ	p' p <sup>h</sup> b m
	ლაბიოდენტალური	f v	f v p <sup>h</sup> f	f v	(f) v
წინაენისმიერები	დენტალური	θ ð		t d n l s z	t' t <sup>h</sup> d n l
	პრეალვეოლარული				s z ts' ts dz
	ალვეოლარული	t d n l ʃ s z	t d n l r* s z t <sup>s</sup>	ʃ ʒ r*	r

	პოსტ- ალვეოლარული	რ ჯ ჰ	წ ჰ		წ ჰ ჩ' ჩ ძ ჰ
	ალვეოპალატა- ლური	ტ ძ	ტ̣ ჯ̣ ძ̣		
შუენისმიერები (პალატალურები)		ჯ	ჯ̣	ჯ̣	
უკანაენისმიერები	ველარული	კ გ ე	კ გ ე ხ	კ გ ე	კ' კ <sup>h</sup> გ
	პოსტველარული				კ' ხ ყ
ნაქისმიერები (უველარულები)			ყ რ	რ ზ	
ხანისმიერები			ხ		
ხორხისმიერები		ხ	' (?)		ხ

### ლიტერატურა

- გ. ახვლედიანი, *ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები* (მეორე გამოცემა), სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1999.
- ნ. გამყრელიძე, შ. კოტეტიშვილი, ი. ლეჟავა, ლ. ლორთქიფანიძე, ლ. ჯავახიძე, *ქართული ნორმატიული და დიალექტური მეტყველების ფონეტიკური ანალიზი*, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი 2006.
- შ. გაფრინდაშვილი, *საწარმოთქმო დაბრკოლებათა რავგარობის საკითხი ქართულში*, პიკე, XII, 1960.
- გ. დოლიძე, *ჰ თანხმონის ფიზიოლოგიისათვის ქართულში*, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. X, 1955.
- ს. ფლენტი, *ქართული ენის ფონეტიკა*, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1956.
- თ. უთურგაძე, *ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა*, გამომცემლობა “მეცნიერება“, თბილისი 1976.
- ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები I. მორფოლოგია*, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1973.
- ზ. ჯავარიძე, *ქართულ ბგერათა სისტემა და მეტყველების სინთეზის ზოგი საკითხი*, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, № 1, 1995.
- Л. К. Гамсахурдия, *Шумные смычные фонемы грузинского языка*, Фонетический сборник I, Издательство ТГУ, Тбилиси 1961.
- А. П. Голубев, И. Б. Смирнова, *Сравнительная фонетика английского, немецкого и французского языков*, Москва 2005.
- И. Лежава, *Некоторые вопросы сопоставительного анализа консонантизма русского и грузинского языков*, Сборник трудов посвящается 85-летию Г. И. Цибахашвили, “Универсали”, Тбилиси 2006.
- Г. П. Торсуев, *Фонетика английского языка*, Москва 1950.



- Ts. Akhvlediani, *Phonétique de la langue française*, Tbilissi 2011.
- F. Carton, *Introduction à la phonétique du français*, Paris 1974.
- P. Delarttre, *The Phonetic Features of English, French, German and Spanish*, L., Toronto: Wellington, Sydney 1965.
- J. Forchhammer, R. Schneide, *Deutsche Aussprachelehre für In-und Ausländer*, München 1962.
- O. G. Kosmin, G. A. Sulemova, *Praktische Phonetik der deutschen Sprache*, Москва 1990.
- Longman Dictionary of Contemporary English*, New Edition, London 1992.
- G. Meinhold, E. Stock, *Phonologie der deutschen Gegenwartssprache*, Leipzig 1982.

*Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze, Ivane Lezhava*

## **Comparative Study of English, German, French and Georgian Sounds**

### Summary

The presented paper deals with the comparative study of phonetic sounds in English, German, French and Georgian languages. English and German belong to the group of Germanic languages, and French is a representative of the Romance language group. However, despite all their differences their geographical proximity fully determines their common signs. The Georgian language, which belongs to the Kartvelian language group of Caucasian language family, is very different from the above enumerated languages in terms of phonetics.

Our aim is to observe and investigate the phonetic features of Georgian, English, German and French languages through a comparative method. In particular, the classification of vowel sounds according to their horizontal and vertical position and the classification of consonants according to their place and manner of articulation.

WINFRIED BOEDER

QUOTATIVE UNITS AND INFORMATION UNITS IN KHEVSURIAN<sup>1</sup>

One of the most striking contrasts between standard and non-standard Georgian is the abundance of quotative clitic particles in reported speech segments of dialect texts. While literary Georgian bans the ubiquity of quotative clitic-*o* and restricts it to sentence-final or at least clause-final positions, dialects allow it in seemingly any sentence-internal position, too:<sup>2</sup>

*ert-i-o kac-i-o mevida-o* (Gurian;ჭაჭანიძე 1970:39)  
 one-NOM-Q man-NOM-Q he.came-Q

A comprehensive study of this phenomenon is a desideratum of Kartvelology. In an important article on Georgian quotatives, Manning (1996) covers the whole range of the Eastern Georgian Mountain dialects and aims at establishing an implicational relationship between different positions of the quotative particle and the differential behaviour of the “mountain” and “valley” dialects. In the present context, I will concentrate on one single mountain dialect, a more or less archaic variant of Khevsurian, which promises to be more uniform than a dialect continuum. My observations are based on a rather homogeneous main corpus of 600 quotative units that occur in continuous passages of prose texts collected by a native Khevsur linguist, Aleksī Činčarauli (1960, no. 1, 2, 3, 61, 63).<sup>3</sup> Additional examples are taken from other texts of the same collection and from the “Georgian Dialectology” volume (Giginešvili et al. 1961).<sup>4</sup>

The Khevsurian quotative clitic particle has the allomorphs *-o* in non-final position (as in: *binaš-a-o-da*) and *-v* in final position. By a general phonetic rule, this *-v* is deleted after *-o* (e.g. after the vocative suffix *-o*: *švil-o* < \**švil-o-v*child-VOC-Q),<sup>5</sup>

<sup>1</sup> Many thanks go to my infatigable consultant of Khevsurian, Avtandil Arabuli (Institute of Linguistics, Georgian Academy of Sciences), without whose expertise and patient help I would not even have understood much of the data. However, he should not be held responsible for my misunderstandings and for my linguistic interpretation. I am also grateful to Mike Bauer (USA) who volunteered to correct an early version of my paper. All inadequacies are mine, of course.

<sup>2</sup> ოლოტი (1975:40) observes that the older the recording of a folklore text is, the more quotative particles are used.

<sup>3</sup> While Činčarauli’s texts probably do not represent a transcription of tape-recorded material, there is no doubt that they are faithful to the genuine norm of his dialect (viz the variant of Šašili).

<sup>4</sup> Besarion Gabuuri’s texts were not considered in order to avoid a possible influence of “non-prosodic” segmentation in non-oral data.

<sup>5</sup> Cp. ČT 361,24 *Nia-o* < \**Nia-o-v* Nia-VOC-Q vs. ČT 361,38 *Nia-v* Nia-VOC.

with the exception of monosyllables like *ho*: *ho-oyes-Q* in (1) below. In consonant-final words, an epenthetic vowel *-a* is inserted before *-v* (as for instance in *mšivis-a-v* < \**mšivis-v* in (2) below).

The goal of this paper is to describe quotative units, i.e. the segments that stretch from the boundary of a clause or from a quotative particle to the next occurrence of a quotative particle. It is argued that quotative units can be determined on the basis of constraints on their internal structure. They seem to correspond to phonological phrases and can be interpreted as easily processible units of information in natural speech.

Starting with a description of quotative units (1.), their grouping into segments preceding and following a clausal core unit (2.-4.), and their internal structure (5.-6.), I will discuss cases of mismatch between syntactic constituent structure and quotative units (7.) and their implications for the domain problem of the quotative clitic (8.). In a final chapter (9.), the question will be raised in what sense the sentence fragmentation into quotative units is related to “information packaging” and to phenomena like “noun phrase density”, polypersonality and “preferred argument structure”.

This paper is not cross-linguistic, but its typological leaning encourages me to dedicate it to the lasting memory of an eminent Georgian scholar who spent all her life on a typology-based study of Kartvelian and who I had the privilege to know and appreciate for forty years, **Irine Melikišvili**. She will remain a standard example to serious students of comparative-historical linguistics in this field.

1. There is quite a number of **non-clausal quotative units**, ranging from simple words (interjections, particles etc. in (1)-(5)) to phrases (formulaic expressions (6)-(7) and (17) below: vocatives (8)-(9)). (In the following, || marks clause boundaries, | boundaries between quotative units):

- (1) ||*ho-o*, | *eg dagviḱali-v* (ČT 326,20)  
|| *yes-Q* | *this kill.it.for.us-Q* ‘yes, slaughter this one for us’
- (2) || *ara-v*, | *aḱar mšivis-a-v* (ČT 384,26)  
|| *no-Q* | *not.more I.am.hungry-EP-Q* ‘no, I’m not hungry any more’
- (3) || *ḱarg-i-v* | *maš-a-v*, | *utxres*, | *miolt-a-v* | *čvena-v* | *im-is bina-ši-o-da* ...  
(ČT326,9)  
|| *good-NOM-Q* | *then-EP-Q* | *they.told.him* | *we.will.go.there-EP-Q* | *we-Q* | *that-GEN hut-in-Q-and* ... ‘well then, they told him, we will see him in his hut and ...’
- (4) || *aha-t-a-v*, | *me makv-a-v* | *dana-i-v*(ČT 327,22)  
|| *look.here-PL-EP-Q* | *I I.have.it-EP-Q* | *knife-NOM-Q* ‘look here, I have a knife’
- (5) || *arika-v*, | *mišvele-v* (ČT 378,8)  
|| *hurry.up-Q* | *help.me-Q* ‘quick, help me!’

- (6) || *gor-is angeloz-is çqaloba-ma-v* (ÇT 352,3)  
 || hill-GEN angel-GEN mercy-ERG-Q ‘by the grace of the Angel of the Hill’s icon!’
- (7) || *šeni çirime-v*, | *vera-s mišvel-a-e-v?* (ÇT 351,7)  
 || *your plague.to.me-Q* | IMPOSS.what-DAT you.help.me-INTP-EP-Q  
 ‘o dear, can’t you help me with something?’
- (8) || *Imeda-o*, | *aset xari-v*, | *aget-i-v* | (ÇT 356,29)  
 || *Imeda-Voc.Q* | such.a.one.NOM you.are-Q | such.a.one-NOM-Q  
 ‘Imeda, you are a good-for-nothing’
- (9) || *dalocvil-o ymert-o*, | *neṭar ar maḳmaeb-a-e-v* | *amtven-s gaçireba-sa-v* | (ÇT 328,36)  
 || blessed-VOC God-VOC |would NEG you.let.me.have.it.enough-INTP-EP-Q |  
 so.much-DAT misery-DAT-Q ‘good God, why don’t you let so much misery be  
 enough for me?’

Vocatives occur in different positions. Some occur in clause-initial position and are stressed (as in (8)–(9)), others occur in second positions and are unstressed: they either follow a formulaic expression with which they form one single quotative unit (10)–(11), or they follow an initial phrase, where they form separate quotative units (12)–(13) which are similar to other inserted expressions (like the parenthesis in (14)).<sup>6</sup>

- (10) || *gamaržveba*,<sup>7</sup> *čem-o çqems-o!* | (ÇT 326,28)  
 || victory *my-VOC shepherd-VOC* ‘I greet you, my shepherd!’
- (11) || *magiḳvd tav*, *Nia-o!* | (ÇT 361,24)  
 || it.died.to.you head.NOM *Nia-Voc.Q*  
 ‘may you die, Nia!’<sup>8</sup>
- (12) || *nu gešinis-a-v*, | *beča-o*, | *nu-a-v!* | (ÇT 353,6)  
 || PROH you.are.afraid-EP-Q | *hapless-Voc* | PROH-EP-Q  
 ‘don’t be afraid, you hapless, don’t!’
- (13) || *eg myera ḳi ar mamçons-a-v*, | *šojqola-o*, | *ai(m) kven-it ro amadis-a-v*, | *ais myera mamçons-a-v* | (ÇT 351,33)  
 || this singing.NOM but NEG it.pleases.me-EP-Q | *Joqola-Voc* | that.OBL below-  
 INSTR SUB it.comes.up-EP-Q | that.NOM singing.NOM it.pleases.me-EP-Q  
 ‘This singing [i.e. lament] doesn’t please me, Joqola, it is the singing which  
 comes from the place below that pleases me’
- (14) || *me mitxra-v*, | *martal-i-a-v*, | *Nia-ma-v* | *eg-i-v* | (ÇT 356,36)  
 || I he.said.it.to.me-Q | *true-it.is-Q* | *Nia-ERG-Q* | this-NOM-Q ‘Nia told me this,  
 it is true’

<sup>6</sup> See Boeder 1985 for some discussion.

<sup>7</sup> Here and in the following example, the comma probably does not represent a prosodic reality, but follows a prescriptive rule of Georgian orthography.

<sup>8</sup> According to Činčarauli 2005 s.v. the speaker (Nia) addresses himself: ‘(lit.) may I die to you, Nia!’, i.e. he is angry at himself. Činčarauli translates the formula by Georgian: “vai dedasa, ara grcxvenia?”. Cf. (97).

Inserted expressions can be clauses which consist of more than one unit (15)-(16). If they are reported speech, they follow the rules of quotative marking (as in (17) vs. (15)): quotations and quotations embedded in quotations have the same quotative marking.

(15) || eg iset-s ra-s mamcems-a-v, | *tkva iman*,| ro ar gamitavdas-a-v(ČT 327,9)  
 || this.NOM such-DAT what-DAT he.will.give.it.to.me-EP-Q | *he.said.it*| SUB  
 NEG it.would.end.to.me-EP-Q

‘he will give me such a thing, he said, of which I will not be running short’

(16) || čina-s çuxra-sa-v | šen korčil-s vikamt-a-v, | *utkomavImeda-is-ad* | meore-s  
 çuxra-sa-v | ima-t korčil-s vaknev-a-v(ČT 358,10)  
 || before-DAT evening-DAT-Q | your wedding-DAT we.will.make.it-EP-Q |  
*he.has said.it-EP-Q Imeda-GEN-ADV* | second-DAT evening-DAT-Q | that-  
 PLOBL wedding-DATI.will.make.them.make.it-EP-Q

‘on the evening before, we will celebrate your wedding, he told Imeda, they say, on the next evening, I will let them celebrate a wedding’<sup>9</sup>

(17) || Qurçan-is madl-ma-v, | *tkva-e-v* | *Uavarga-ma-v*, | sada-c žiqv gaprinda-v  
 [...] (ČT 352,24)  
 || Quran-GEN grace-ERG-Q | *he.said-EP-Q* | *Uavarga-ERG-Q* | where-REL  
 ibex.NOMit.flew.out-Q [...]

‘by the grace of the Quran, *Uavarga said*, where the ibex will jump over [...]’

In addition, there are exclamatory non-verbal clauses that have the structure of copular clauses:

(18) | čem Zviad-i-v | *mır-is-gan mağlul-i-o-da* | *užebar-i-v!* (ČT 354,25)  
 | my Zviad-NOM-Q | *enemi-GEN-from killed-NOM-Q-and* | *unrevenged-NOM-Q*  
 ‘my Zviad killed by an enemi and still without revenge!’

2. My main interest in this paper are **multi-unit verbal clauses** like:

(19) || çqals-ik-ita-v | kamand-eb dgas-a-v | kidev-a-v (ČT 359,7)  
 || water-there-INSTR-Q | guard-PL.NOM stands-EP-Q | again-EP-Q  
 ‘beyond the river, there are still guards standing there’

These clauses have an obligatory “core unit” containing a finite verb (*kamand-eb dgas-a-v* in (19)). Core units can occur alone (as in (20)). (In the following, core units will be underlined.) A core unit can be preceded by what I will call a “left periphery” (as in (21)-(22)) and they can be followed by a “right periphery” (as in (23)) or both (as in (19)).

(20) || ertuc-is mamklav mavklat-a-v (ČT 352,14)  
 || each.other-GEN killing.NOM we.will.kill.him-EP-Q ‘we will kill each other’s killer’

<sup>9</sup> “wedding” is ironically used for “killing”.

- (21) || ima-t codv-ita-v | mbruniale ciskvil dadga-v (ČT 352,30)  
 || that-PLOBL sin-INSTR-Q | rotating mill.NOM it.stopped-Q  
 ‘by their sin, the mill stopped turning’
- (22) || eg-i-v | tq̄uil-s ar itq̄vis-a-v (ČT 326,9)  
 || this-NOM-Q | lie-DAT NEG he.will.say.it-EP-Q ‘this one will not tell a lie’
- (23) | nu miklav-a-v | deda-sa-v! (ČT 355,26)  
 | PROH you.kill.to.me | mother-DAT-Q ‘do not kill my mother’

In most examples, there is just one quotative unit on the left periphery (as in (21)-(22)) and/or one on the right periphery (as in (23)). Examples with more than one peripheral unit are not rare, though, in both peripheral positions on the left and on the right side (24)-(25). Examples with more than two units on one side are (26)-(27).

- (24) | maga-sa-v | tq̄uil-sa-v | vera-vin ver aatkmevs-a-v! (ČT 326,7)  
 | this-DAT-Q | lie-DAT-Q | IMPOSS-who.NOM IMPOSS he.will.make.him.say-EP-Q  
 ‘this one [about whom you speak], nobody will be able to make him tell a lie’
- (25) | šen žmobil Zviad avar yrevav-a-v | dyesa-v | mtibl-eb-či-a-v (ČT 354, 32 (33))  
 | your.NOM sworn.brother.NOM Zviad.NOM not.anymore he.feasts-EP-Q |  
 today-Q | hay-maker-PL-in-EP-Q  
 ‘your sworn brother Zviad does not feast anymore among the hay-makers today’
- (26) || ert-xan-a-v, | Imeda-m tkvis-a-v, | mi-a-da Uavarga-ma-v | Uavarga-is  
mesixle-n-i-v | kac-diac-n davxanžrenit-a-v | çiskvil-či-a-v (ČT 352,28) ||  
 one-time-EP-Q | Imeda-ERG he.used.to.say-EP-Q | I-EP-and Uavarga-ERG-Q |  
Uavarga-GEN avenger.of.blood-PL-NOM-Q man-woman-PL.NOM  
we.daggered.them-EP-Q | mill-in-EP-Q  
 ‘once, Imeda used to say, I and Uavarga daggered Uavarga’s avengers of blood, men and women, in a mill’
- (27) || ert iq̄va-v | klde-ze šamždar-i-v | Kist-i-v, | ai(m) çq̄al-či šagdebul-i-v | klde-  
zeda-v (ČT 351,6)  
 || one.NOM he.was-Q | rock-on mounted.on-NOM-Q | Chechen-NOM-Q |  
 that.OBLwater-in thrown.on-NOM-Q | rock-on-Q  
 ‘there was one Chechen who sat on a rock, who had been thrown on that rock [by the water]’

Right periphery units are more frequent than left periphery units (128 : 78 in my main corpus of 600 quotative units). Similarly, multiple right periphery units are more frequent than multiple left periphery units (16 : 8). This asymmetry may be connected with the fact that the earlier the verb is reached, the easier constituents can be assigned appropriate clausal functions.

**3.** The quotative units of the **left periphery** often seem to have specific syntactic, textual and pragmatic functions, e.g. conjunctions (28)-(29), relative pronouns (30),

adverbial question words (31), expressions of temporal and spatial orientation (32)-(33), contrast (34)-(36), topicality (37)-(39) etc.

- (28) || tu-a-v | me mamkles-a-v, | šena-v | aba maxklidi-v | sxva-s nu-vi-s maxklav-a-v | [...] || tu šen ma(g)kles-a-v [...] (ČT 356,21-23)  
 || if-EP-Q | I they killed.me-EP-Q | you-Q | now kill.them-Q | other-DAT PROH-who-DAT you.will.kill.him-EP-Q | [...] || if you they.kill.you-EP-Q  
 ‘if they kill me, you kill them, don’t kill anybody else [...] If they kill you [...]’
- (29) | magrem-a-v | ert k̄utx-i-v | mrud-i-akv-a-v (ČT 330,25)  
 | but-EP-Q | one.NOM corner-NOM-Q | skewed-NOM-it.has.it-EP-Q  
 ‘but one of its corners is skewed’
- (30) || icnoba-e-v | eexlada-v | im Mšavel-sa-v, | romen-ma-c-a-v | šena-v | sisxl magidina-v? | (KD 13,24)  
 || you.will.recognize.him-INTP-EP-Q | right.now-Q | that.OBL Pshavian-DAT-Q  
 | who-ERG-REL-EP-Q | you-Q blood.NOM he.made.it.flow.to.you  
 ‘will you recognize the Pshavian who shed your blood?’
- (31) || radara-v | mi-a-v | sxva-ta-vi(t) macxovreba-v? (ČT 329,1)  
 || why.not-Q | I-EP-Q | other-PLOBL-like you.make.me.live-INTP-Q  
 ‘why don’t you let me live like others?’
- (32) || zmobil ro mamiklan-a-v | memr-a-v | Guruel-ta-d miqola mamindeba-o-da | [...] (ČT 352,33)  
 || sworn.brother.NOM SUB they.kill.him.to.me.SBJV | then-EP-Q | Guruel-PLOBL-to following.NOM.am.obliged-Q-and [...]  
 ‘should they kill my sworn brother, then I am obliged to take bloody revenge on the Guruels’
- (33) || klde-č-a-v | nadir-ta-v | peqdapeq x̄qvebodis-a-v(ČT 352,19)  
 || rock-in-EP-Q | game-PLOBL-Q | on.its.heels he.follows.it-EP-Q  
 ‘on the rocks, he follows on the heels of the game’
- (34) || eg-i-v | qml-it gadmametaneba-o’ | tkvena-v | top daxkridit-a-v! (KD 16,5)  
this-NOM-Q | sword-INSTRhe.will.attack.me-Q.and | you-Q | rifle.NOM you.hit.him-EP-Q  
 ‘when he attacks me with his sword, you hit him with your rifle!’
- (35) || maga-s getq̄vi-v | ert-sa-v. || meore-sa-v | ima-s getq̄vi-v (ČT 327,13)  
this-DAT I.tell.it.to.you-Q | one-DAT-Q | second-DAT-Q | that-DAT I.tell.it.to.you-Q  
 ‘This<sup>10</sup> is one thing I tell you. The second thing I’ll tell you is the following’
- (36) || mesame-s ima-s getq̄vi-v, | ro col-s ro maiqvan-a-v, | col-sa-v | gul-isa ar utxra-v | (ČT 327,16)  
 || third-DAT that-DAT I.will.tell.it.to.you-Q | SUB wife-DAT SUB you.bring.her-EP-Q | wife-DAT-Q | heart-GEN.NOM NEG you.tell.her.SBJV-Q

<sup>10</sup> In Khevsur, second person deixis (*mag-*) is used with nouns expressing speech directed towards the addressee (A. Arabuli).

‘the third thing I tell you is that when you marry a wife, do not tell her your secret thoughts’

- (37) | *top-sa-v* | *spilo-s zval ukrav-a-v* | *ima-sa-v* | *is-i-v* | *Čuča-i-a-v* | *Buḡulišvil-i-v* | (ČT 353,31)  
 | *rifle-DAT-Q* | *elephant-GEN bone.NOM it.is.fastened.to.it-EP-Q* | *that-DAT-Q* | *that-NOM-Q* | *Chucha-NOM-he.is-Q* | *Bukulishvili-NOM-Q* |  
 ‘that [man] has an elephant’s bone fastened at his rifle, that [man] is Chucha Bukulishvili’
- (38) | *eg dana-i-v* | *čem iḡva-v* (ČT 327,29)  
 | *this knife-NOM-Q* | *my.NOM it.was-Q* ‘this knife was mine’
- (39) || *šen col-sa-v* | *Somex xḡvarobs-a-v* (ČT 328,22)  
 || *your wife-DAT-Q* | *Armenian.NOM he.loves.her-EP-Q*  
 ‘an Armenian is the lover of your wife’

While it is plausible that topics and contrastive units occur on the left periphery, other units occur both on the left periphery and in the core unit. Compare the two contrastive sentences in (28), and (30) with (40).

- (40) | *šamaixura-v* | *nabad-i-v*, | "ḡa-is mamišvil-o", | *romen-sa-c utxres-a-v*, | *ais-i-v* (ČT 358,33)  
 | *he.covered.himself-Q* | *Nabadi-NOM-Q* | "good-GEN father.son-VOC" | *who-DAT-REL they.said.to.him* | *that-NOM-Q* |  
 ‘he covered himself with a *nabadi*, the one whom they addressed with "son of a good father", that one’

In addition, coordinate constituents can be divided between the left periphery and the core unit:

- (41) || *Nia-is top-i-v* | (*tkven-is paḡ-isa, čven-is paḡ-isa*) | *da Cika-is top magvcenit-a-o*’ [...] (ČT351,36)  
 || *Nia-GEN rifle-NOM-Q* | (*your-GEN grandfather-GEN, our grandfather-GEN*)  
 | *and Tsika-GEN rifle.NOM you.give.it.to.us-EP-Q*  
 ‘give us Nia’s rifle (your grandfather’s, our grandfather’s) and Tsika’s rifle’
- (42) || *ḡvirḡ-nak-i-v*, | *čurč-i-o-d*’ | *isetura ara geknebodat-a-e-v?* | (ČT 329,14)  
 || *wool.remnant<sup>11</sup>-winter.wool<sup>12</sup>-NOM-Q-and* | *waste.wool-Q-and* | *such.NOM NEG you.PL.will.have.it-INTP-EP-Q* |  
 ‘you haven’t got waste wool remnants and the like by chance?’

If we assume that coordinate constituents cannot differ in their functional category, we may conclude that left periphery units and core units do not necessarily differ in their functions.

<sup>11</sup> “low quality wool that remained in the comb during the process of hackling” (Činčarauli 2005 s.v. *ḡvirḡ*)

<sup>12</sup> “low quality wool from a lamb that has passed the winter” (Činčarauli 2005 s.v. *nakci*)



4. Quotative units of the **right periphery** are dislocated constituents (or “tail constituents” in the sense of “Functional Grammar”, Dik 1997). They are supplements of the clause. For different reasons they are not included in the core unit. Right dislocation is obvious where noun phrases are split. For instance, attributive genitives (43)-(44) or adjectives (45)-(46) can be dislocated.

- (43) | sam-s cagartom-a-v | *e saxl-isa-sa-v* (ČT 328,15)  
 | three-DAT I.will.take.them.away-EP-Q | this house-GEN-DAT-Q  
 ‘I will take three things of this house away’
- (44) | tu tkvis-a-v | *Nia-ma-v* | tu ert-xan tkuis-a-v | gamtqüleba ces ar iqva-v | *im-isa-i-v* (ČT 362,1)  
 || if he.said.it-EP-Q | *Nia-ERG-EP-Q* | if one-time he.said.it-EP-Q |  
 making.something.a.lie.NOM rule.NOM NEG it.was-Q | that-GEN-NOM-Q  
 ‘if Nia had said something, if he had said something it was impossible for him to break his promise’
- (45) ert kac gamagidgebist-a-v | *qvitel-čoqa-i-v* (ČT 353,30)  
one.NOM man.NOM he.will.be.after.you.PL-EP-Q | *yellow-chokha-NOM-Q*  
 ‘a man with a yellow chokha will be after you’
- (46) | Mšavel mavida-v | *ert-i-v* (ČT 351,28)  
 || Pshav.NOM he.came-Q | *one-NOM-Q*  
 ‘There came one Pshavian’

There are even cases of double right dislocation:

- (47) | ama-ši ki daxkargviv-a-v | *gageba-i-v* | *balax-t en-isa-i-v* (KD 18,32)  
 || this.OBL-in but he.obviously.lost.it-EP-Q | *understanding-NOM-Q* | *plant-PL.OBL language-GEN-NOM-Q*  
 ‘in living so he obviously lost the capacity to understand the language of the plants’
- (48) dauçqa-v | *amxanig-sa-v* | *Kišt-sa-v* (ČT 351,7)  
he.began.to.him-Q | *fellow-DAT-Q* | *Chechen-DAT-Q*  
 ‘he addressed his fellow Chechen’

The structure of these clauses can be derived as follows:

- (49) (47') *daxkargviv gageba-i balax-t enisa-i* < *balax-t en-is gageba-i daxkargviv*  
 (48') *dauçqa amxanig-sa Kišt-sa* < *Kišt-sa amxanig-sa dauçqa*

Similarly, “heavy” constituents are often dislocated. In (50) the second post-verbal quotative unit is an amplifying, climactic epiphraze of the first.

- (50) || eeg qel-i-a-v | *čem-is žmobil-is mamqlav-isa-i-v*, | *šen-is žm-is Zviad-is mamqlav qel-i-v* (ČT 354,35(34))  
 || this.NOM hand-NOM-it.is-EP-Q | *my-GEN sworn.brother-GEN killing-GEN-NOM-Q* | *your-GEN brother-GEN Zviad-GEN killing.NOM hand-NOM-Q*

‘This is the hand that killed your sworn brother, the hand that killed your brother Zviad’

There are examples of unambiguous afterthought constructions, for instance in (27), (40) and:

- (51) | gaucxadeba(-d) ar-c dadgeboda-v | *is-i-v*, | *Nia-i-v*(ČT 356,18)  
 |without.having.made.it.real(-ADV) NEG-too he.stood.up-Q|*that-NOM-Q* | *Nia-NOM-Q*  
 ‘he did not stop before having realized [what he had said], he, Nia’

But none of these categories applies to the examples like the following, and a common function of all right dislocation seems improbable, for instance in (37) and:

- (52) || exla unda caxvida-v | *šena-v*(ČT 327,4)  
 || now NECESS you.go.away.SBJV | *you-Q* ‘you must go away now’  
 (53) [...] da | mabrundes-a-v | *uķena-v*(ČT 354,12)  
 [...] and | they.returned-EP-Q | *back-Q* ‘they came back’  
 (54) | dažda-v | *ban-zeda-o-da* [...] (ČT 353,2)  
 | he.sat.down-Q | *flat.roof-on-Q-and* ‘he sat down on the flat roof’

In the following example, coordinative constituents are divided between the core unit and the right periphery.

- (55) kal-i-c gaizardas-a-o-d’ | *važ-i-ca-v* (KD 10,36)  
 girl-NOM-too she.should.raise-EP-Q-and | boy-NOM-too-Q  
 ‘she should bring up both a girl and a boy’

However, the conjuncts are not contiguous as in (42), where they are divided between the left periphery and the core unit. Right dislocation of the second conjunct into the right periphery would require an unusual extraction from a coordinative structure.<sup>13</sup> It seems preferable to assume ellipsis: *kal-i-c gaizardas-a-o-d’* | *važ-i-c gaizardas-a-a-v* ‘she should bring up a girl and she should bring up a boy’ > *kal-i-c gaizardas-a-o-d’* | *važ-i-ca-v* (=55).

5. Now let us consider the **internal properties** of quotative units.

5.1 One common feature of all quotative units is the fact that they must contain at least one **stressed word**, where “stress” refers to any form of prominence in terms of prosodic features. In view of the lack of any systematic research on the prosody of quotative units in Khevsur, this remains a plausible hypothesis.

5.2. **Peripheral units** contain e.g. adverbials (26), (56)-(57), adverbial question words (31) and conjunctions and particles (28)-(29), (58)-(59). These units occur on the left or on the right peripheries or in the core unit. Cp. (60) vs (30) vs (61); (62) vs (63).

<sup>13</sup> It would be at variance with John Ross’ “coordinate structure constraint”.

- (56) | *šiga-v* | ai(m) tavriela-či xkrna-e-v(ČT 351,10)  
| *in-Q* | that.OBL head-in he.hit.him-EP-Q  
‘he hit him right on his head [with a stone]’
- (57) | ageb šamaqdasa-v | *axlosa-v*(ČT 354,5)  
| maybe he.comes.up.SBJV-Q | *near-Q* ‘maybe he comes up nearby’
- (58) | *ageraile-v* | mta ro čans-a-v, | *ima-s ik-iti ciṭ-eb-ad vikcevit-a-o-d*’ [...] (KD 18,7)  
| *here-Q* | mountain.NOM SUB it.is.visible-EP-Q, | that-DAT there-INSTR bird-PL-ADVwe.became-EP-Q-and ‘look, where you see the mountain, beyond it we became birdsand’
- (59) | šayamda-v | *ki-a-o-d*’ [...] (KD 17,39)  
| night.came.on-Q | *but-EP-Q-and* | [...] ‘it grew dark, however, and’
- (60) | *eexlada-v* | mixva-o-da | gklaven-a-v(ČT 327,27)  
| *now-Q* | you.will.go-Q-and | they.will.kill.you-EP-Q  
‘if you go there now, they will kill you’
- (61) | *eexla ra-ya gišvela-v*? (ČT 328,21)  
| *now* what-only I.help.you.SBJV-Q ‘now how shall I help you, I wonder?’
- (62) | raqla mamegebebian-a-v | *netara-v*?(ČT329,13)  
| how they.will.meet.me-EP-Q | *Part-Q*  
‘how will they welcome me, I wonder?’
- (63) | *švil-o*, | *neṭa sad-ra xari-v*? (ČT 360,1)  
| *child-VOC.Q* | *PART* where-what you.are-Q  
‘o my child, where might you be?’

The most frequent constituents on the periphery are pronouns (64)-(65), nouns (66) and noun phrases (67)-(68) or postpositional phrases (69).

- (64) | *mi-a-v* | šen cagiqvan-a-v(ČT 328,8)  
| *I-EP-Q* | you I.will.lead.you-EP-Q ‘I will take you along’
- (65) | *eg-i-v*|tq̄uil-s ar itq̄vis-a-v(ČT 326,9)  
| *this-Nom-Q* | lie-DAT NEG he.will.say.it-EP-Q ‘this one will not tell a lie’
- (66) | *ḡac-ma-v* | *tavis gačireba ar unda daicilas-a-v* (ČT 329,23)  
| *man-ERG-Q* | his misery.NOM NEG NECESS he.forgets.it.SBJV-EP-Q  
‘a man should not forget his misery’
- (67) | atkmie-v | *šen kmar-sa-v*(ČT 328,6)  
| make.tell.it-Q | *your husband-DAT-Q* ‘make your husband tell it [to you]’
- (68) | *eeči-a-v* | daicile-v | *čem natkvam siṭqo-i-v*(ČT 327,32)  
*right.now-EP-Q* | you.forgot.it-Q | *my said speech-NOM-Q* ‘you forgot what I told you at once’
- (69) | yvino mogvitanet-a-v | *maran-š-ita-v*(ČT 329,28)  
| wine.NOM bring.it.for.us-EP-Q | *wine.cellar-in-INSTR-Q* ‘bring us wine from the cellar!’

5.3. Peripheral units are subject to **restrictions**:

a) Peripheral quotative units are restricted to one non-clitic constituent, except with personal pronouns in coordinative constructions. In (70), a personal pronoun and one noun are coordinated and form one quotative unit, but coordinated nouns as in (71) must be separate quotative units. (71') is ungrammatical.

(70) | *mi-a-da* Uavarga-ma-v (cf. (26))

| I-EP-and Uavarga-ERG-Q 'I and Uavarga'

(71) | qel-eb-zeda-o-d' | tav-zeda-v | (KD 17,1)

| hand-PL-on-Q-and | head-on-Q | 'on [our] hands and heads'

(71') \* | qeleb-zeda-d' tav-zeda-v |

On the other hand, personal pronouns can be quotative units in non-coordinative contexts (cp. *mi-a-v* in (31), and non-personal pronouns occur as quotative units both in non-coordinative (*eg-i-v* in (22)) and in coordinative structures:

(72) || čem mamasaxl-i-o-d' | *ese-eb-i-v* | ertuc daxqocen-a-v (KD 10,26)

|| my.NOM host-NOM-Q-and | *this-PL-NOM-Q* | each.other.DAT they.kill.them  
'my host and these kill each other'

b) Adnominal genitive nouns cannot be quotative units of their own.

(73) | *top-is* kondrax-zeda-v | spilo-s 3val unatobda-v(ÇT 354,3; \* | topisa-v |

kondraxzeda-v)

| *rifle-GEN* butt-on-Q | elephant-GEN bone.NOM it.shone.to.him

'on the butt of his rifle there shone an elephant's bone'

(74) || *i čia-is mčaml-eb-is* tavrivl-eb-sa-v, | *šen-eb-is saxlisqac-eb-is* tavrivl-eb-sa-v,

| aak magitan-a-v! (KD 16,24; \**i čaisa-v mčamblebisa-v* tavrivlebsa-v, | *šenebis saxlisqacebisa-v*tavrivlebsa-v)

|| *that worm-GENeater-PL-GEN* head-PL-DAT-Q | *your-PL-GEN cousin-PL-GEN* head-PL-DAT-Q | right.here I.will.bring.them.to.you-EP-Q

'I will bring you the heads of those worm-eaters, the heads of your cousins'

The same seems to be true for other attributive, adjectival constituents and adnominal adjuncts:

(75) || *šav* čedila rogor gqav-a-v? (ÇT 326,28; \**šavi-v*čedilarogor gqav-a-v?)

|| black.NOM wether.NOM how you.have.it-EP-Q 'how is your black wether?'

(76) | *klde-ze* šamždar-i-v | (cf. (27); \* | *kldezea-v* | *šamždari-v* | )

*rock-on* sitting.on-NOM-Q | 'who was sitting on the rock'

(77) | *samzir-s* çasvlai-v | (ÇT 356,8; \* | *samzirs-a-v* | *çasvlai-v* | )

| *ambush-DAT* going.away-NOM-Q 'going away to hide in an ambush'

(78) | čem-sa-vittqve-eb xqvaniqva-v | *ika-c-a-v* (KD 16,40; \**čemsavita-v*tqveeb)

| I-DAT-like captive-PL.NOM they.had.had.them-Q | there-too-EP-Q

'there, too, they had had captives like me'

We conclude that constituents which depend on their right-adjacent heads cannot be quotative units. **Not every constituent is a possible quotative unit.**

**6. The core unit** consists of two segments: a right-hand segment which we call “verb phrase” and which contains a finite verb form along with optional constituents whose positions are syntactically fixed relative to the verb, on the one hand (6.1-6.3), and a left-hand segment which precedes the verb phrase and whose positions are not fixed relative to the verb, on the other (6.4).

**6.1.** In most cases, the finite verb is in the final position of the **verb phrase** (but see below 8.4). It is preceded by stressed interrogative ((79)-(81)) or negative indefinite (82) pronouns; clitic indefinite (non-specific) pronouns ((81)-(83), (93)); a stressed negation particle (84); and the necessity particle *unda* (84), in this order<sup>14</sup> (Stress is not marked in the original.).

- (79) || es dana sá-i(t) maiyi-v |(ČT 327,23)  
| this.NOM knife.NOM where-INSTR you.got.it ‘where did you get this knife from?’
- (80) [...] da | me rá-i-γ vkna-e-v | eexlada-v? (ČT 328,22)  
[.] and | I what-NOM-only I.do.SBJV-EP-Q | now-Q ‘what shall I do now?’
- (81) | šen dana rá-š vi-s ščirdeboda-v? |(ČT 327,33)  
| your.NOM knife.NOM what-in who-DAT he.needed.it-Q |  
‘what did anybody need your knife for?’
- (82) | axa ára-s vin gtxovdas-a-v |(ČT 327,26)  
| while *nothing-DAT who.NOM* he.asks.you.for.it.SBJV-EP-Q |  
‘as long as nobody asks you anything’
- (83) | róm<sup>15</sup> ra-s vin vi-s stxovdas-a-v, | šen ro ára-s gtxovdas-a-v |(ČT 327,11)  
| SUB what-DAT who.NOM who-DAT he.asks.him.for.it.SBJV-EP-Q | you SUB  
nothing-DAT he.asks.you.for.it.SBJV-EP-Q  
‘when somebody asks somebody for something, and when he doesn’t ask **you** for anything’
- (84) | tavis gačireba ár unda daicilas-a-v |  
| his.own misery.NOM *NEG NECESS* he.forgets.it.SBJV-EP-Q |(cf. (66))

**6.2.** Indefinite specific and non-specific pronouns ((81)-(83); cp.(92)) and nouns with the corresponding enclitic determiners ((85)-(87)) seem to be restricted to core units:

- (85) || ert-a bečav-a Kist-a ra-i-m mavida-v |(ČT 353,2)  
|| one-DIM miserable-DIM Chechen-DIM.NOM what-NOM-SPEC he.came-Q  
‘some miserable Chechen came’
- (86) || Pičvtgor-a-v | kac ra-i-m čamačinda-v |(ČT 354,25(26))

<sup>14</sup> For the preverbal position and “logical accent” of the negation see Alxazišvili 1959:384; the preverbal position of interrogative pronouns is mentioned by Vogt 1971:224 §2.208.

<sup>15</sup> A. Arabuli informs me that *rom* is stressed.

- || Pichvtgor-EP-Q | man-NOMwhat-NOM-SPEC he.appeared-Q |  
 ‘some man appeared on Pichvtgori’  
 (87) | kvirt ra miecit-a-v | (ČT 329,17)  
 | wool.remnant.NOM some.NOM give.PL.it.to.him-EP-Q |  
 ‘give him some hackled wool remnants [cf. (42)]’

Indefinite, interrogative and negative indefinite pronouns seem to lack in peripheral positions. They form a natural class in that their reference is only “type identifiable” for the hearer.

6.3. If the core unit occurs in clause-initial position, it can have clause-initial proclitic particles (88) and conjunctions (89). Second position clitics also occur (90)-(93).

- (88) | xo ertad ort-a-v |(ČT 328,9)  
 | indeed together we.are-EP-Q | ‘we are together [like husband and wife], aren’t we’  
 (89) | manamka-s gza-ši-a-v|(ČT 327,15)  
 | as.long.as good-Dat way-in-it.is-Q | ‘as long as you are on a good road’  
 (90) | masvl-isa ki neba gakv-a-v |(ČT 327,19)  
 | coming-GEN but will.NOM you.have.it-EP-Q | ‘but the permission to come you have’  
 (91) | eegr ki ar davikargebi-v |(ČT 327,29)  
 | this.way but NEG I.will.be.lost-Q | ‘surely I will not perish this way’  
 (92) | memr xo | mi-a-c unda mavklna-v | (ČT 353,11)  
 | then *indeed* | I-EP-too NECESS I.kill.them.SBJV-Q | ‘then I, too, must kill them, mustn’t I’  
 (93) | ro tat-t vi-s davaksoviebdi-v, | peq-t ra-s čavicomdi-v | (ČT 329,15)  
 | SUB sock-PLOBLwho-DAT I.will.make.him.knit.them-Q | foot-PLOBL what-DAT I.would.put.them.on | ‘so that I would let someone knit socks which I would put on’

6.4. The **segment preceding the verb phrase** consists of optional constituents that belong to the same class as the peripheral units. While the number of clitics and pronominal constituents is unrestricted ((94)-(95); cf. (15)), the number of non-pronominal arguments is restricted to one (96). (Note that the noun *tavi* ‘head’ in (97) semantically behaves like a pronoun with regard to its reflexive reference.) Exceptions to this restriction, though very rare, do occur. However, additional constituents are restricted to non-argumental adverbial expressions (oblique or postpositional phrases) (98)-(100):

- (94) | ege-n me mamklaven-a-v(ČT 354,7)  
 | this-PL.NOM I they.will.kill.me-EP-Q ‘these will kill me’  
 (95) | me-c eg mindoda-v! | (ČT 354,1)  
 || I-too this.NOM I.wanted.it-Q | ‘I wanted this too!’

- (96) [...] da | me firil davičqi-v |(ČT 354,23)  
 [...] and | I weeping.NOM I.began.it-Q | ‘and I began to weep’
- (97) | tav-i-mc Nia-s maukvdeba-v |(ČT 356,16)  
 | head-NOM-OPTPART Nia-DAT it.will.die.to.him-Q  
 ‘as sure as I live’
- (98) | mqar-ze top edva-v | (ČT 354,25(26))  
 | shoulder-on rifle.NOM it.lay.on.it-Q | ‘he had shouldered a rifle’
- (99) | ert dye-s šenkorčil-s ikmen-a-v | Guruel-n-i-o-d’ | meore-s dye-s ki šen-is momkļav-is korčil-sa-c vaknev-a-v! (ČT 353,6)  
 | one day-DAT your wedding-DAT they.will.make.it-EP-Q | Guruel-PL-NOM-Q-  
 and | second-DAT day-DAT but your-GEN killer-GEN wedding-DAT-tooI.will.make.them.make.it-EP-Q | ‘one day, the Guruelis will celebrate your wedding, but on the second day I will make them celebrate your killer’s wedding, too’
- (100) | Zviad-is cxen-i-c šimšil-s mamikvdeba-v(ČT 354,22)  
 | Zviad-GEN horse-NOM-too hunger-DAT it.will.die.to.me  
 ‘Zviad’s horse will die from hunger, won’t it’

6.5. The core unit, i.e. the verb phrase and its left-adjacent segment taken together, is similar to peripheral units: both allow pronouns in addition to non-pronominal constituents and both allow a dependent lexical constituent together with its head (genitives, adjectival modifiers, adnominal adjuncts in peripheral units; an argument in the core unit). What distinguishes peripheral units from core units is the possibility of additional stressed constituents in the latter (pronouns and negations in the verb phrase, an adverbial constituent in its left-adjacent segment).

7. So far, we have specified some internal properties of quotative units. Now, let us consider the relationship between quotative units and syntactic structure.

Manning (1995) formulates placement rules that refer to constituents and to the concept of “head of a constituent”. For instance, the quotative clitic occurs “after the final constituent” of a clause, “after the initial constituent”, after the finite verb, after the complementizer introducing the clause, etc. Most placement rules are applied according to a preference order; others are optional, for instance: “after any constituent following the finite verb”. As appears from the constraint on personal pronouns in coordinative constructions (5.3a) and on constituents which depend on their right-adjacent heads (5.3b) the reference to constituents as the domain of quotative clitic placement must be specified.

Note that Manning’s approach does not require an exhaustive parsing of clauses into quotative units: placement rules specify their domain and the host of the clitic quotative particle. From our perspective, we will say that quotative units are determined with reference to syntactic structure and its categorial properties, but

that syntactic constituents and quotative units do not coincide and that there are several cases of **mismatch** between them.

7.1. First, there are quotative units that are not constituents. Proclitics can be combined with a stressed word constituent without being its co-constituent.<sup>16</sup> Consider the relative pronoun in (101) and the conjunctions in (102)-(104):

(101) | sam-i-v | eg-i-a-v, | ra-sa-c šena-v | qel daayire-o(ČT 328,28)  
 | three-NOM-Q | this-NOM-it.is-Q | *what-DAT-REL* you-Q | hand.NOMyou.  
reach.out.for.it-Q

‘these are the three things for which you reached out your hand’

(102) | šena-v | ro Guro-sa-v | zal daatane-v(ČT 363,6)  
 | you-Q | *SUB* Guro-DAT-Q | force.NOM you.inflicted.it.on.him-Q  
 ‘when you oppressed Guro’

(103) || an zurg-t amikide-v, | *anšina-v* | davbrundat-a-v | (ČT 330,12)  
 || either back-PLOBL load.me.upon.yourself | or home-Q | let.us.return-EP-Q |  
 ‘either carry me on your shoulder, or let us return home’

(104) || mivscat-a-v | top-eb-i-v, | *tu es xalx-i-v* | šin cava-v | (ČT 352,1)  
 || let.us.give.it.to.them-Q | rifle-PL-NOM-Q | *if* this.NOM people.NOM-Q |  
home they. go-Q |  
 ‘let us give them the rifles if these people leave to their home’

Similarly, the conjunction *ro(m)* introducing reported speech does not always align itself with constituent structure. It has three possible positions, which correlate with pauses and other prosodic features (cp. Tevdoraze 1978:45-46, 82, 90; Boeder 1982:385), with the use of correlatives, with clause function and with position (Kiziria 1987:60, Boeder 2005; cp. now Kojima 2014): In (105)-(106) it is proclitic to, but does not form a constituent with, its adjacent words, which belong to a subordinate clause (cp. *an* in (103) and *tu* in (104)). Whereas the second token of *ro* in (106) refers to the subordinate clause it occurs in, the scope of initial *ro* in (105) and (106) is a reported speech segment that can comprise everything from a single word to a sequence of sentences. In (107), the conjunction, being a stressed word, forms a quotative unit by itself (see Kiziria 1987: 60). In (107'),<sup>17</sup> *rom* is enclitic: its host is the preceding verb (as in Standard Georgian). Syntactically, it belongs to its subsequent segment, but with regard to the segmentation into quotative units it attaches to the preceding verb, which is a typical feature of Modern Georgian conjunctions (Ležava 1981; Kiziria 1987:59-60; Boeder 2001;2005).

(105) | xo gitxari-v, | *ro gul-isa-s nu etqvi-v* | col-sa-v | (ČT 328,20)  
 | indeed I.told.you | *SUB* heart-GEN-DAT PROH you.tell.her | wife-DAT-Q |

<sup>16</sup> In Manning’s description, these proclitics can be disregarded because clitics are not considered to be syntactic constituents, but “phrasal affixes”. They can not be hosts of the quotative clitic.

<sup>17</sup> For this example, I rely on the competence of a Khevsur, Avtandil Arabuli.



- ‘I told you, didn’t I, that you should not tell your wife your secret thoughts’
- (106) | mesame-s ima-s getq̄vi-v, | ro<sub>1</sub> col-s ro<sub>2</sub> maiq̄vana-v, | col-sa-v | gul-isa ar utxra-v | (= (36))  
 | third-DAT that-DAT I.will.tell.it.to.you-Q | SUB<sub>1</sub> wife-DAT SUB<sub>2</sub> you.bring.her-EP-Q | wife-DAT-Q | heart-GEN.NOM NEG you.tell.her.SBJV-Q
- (107) | xo gitxari-v, | rom-a-v, | axa ara-s vin gtxovdas-a-v, | šen nu utxridi-v, | ro "me makv-a-v" |(ČT 327,26)  
 | indeed I.told.you-Q | SUB-EP-Q | while nothing-DAT who.NOM he.asks.you.for.it.SBJV-EP-Q | you PROH you.tell.him-Q | SUB I I.have.it-EP-Q |  
 ‘I told you, didn’t I, that, as long as nobody asks you anything, don’t say to him: “I have it” ’
- (107') | xo gitxari rom-a-v, | axa [...]  
 | indeed I.told.you SUB-EP-Q | while [...]

7.2. There are constituents that are not quotative units. For instance, consider split constituents. One type of split is the result of dislocation: genitive noun phrases (108)-(109), attributive phrases (110) and appositive phrases (111). But the non-genitive coordinative constituents in (112)-(113) can not be regarded as dislocated (cf. ad (55)).

- (108) qel-i-a-v | čem-is žmobil-is mamklav-isa-i-v (= (50))  
 | hand-NOM-it.is-EP-Q | my-GEN sworn.brother-GEN killing-GEN-NOM-Q
- (109) sam-scagartom-a-v | e saxlisa-sa-v | (= (43))  
 | three-DAT I.will.take.them.away-EP-Q | this house-GEN-DAT
- (110) ert kac gamagidgebist-a-v | q̄vitel-čōqa-i-v (= (45))  
 | one.NOM man.NOM he.will.be.after.you.PL-EP-Q | yellow-chokha-NOM-Q
- (111) is-i-v | Čuča-i-a-v | Buḱulišvil-i-v (= (37))  
 | that-NOM-Q | Chucha-NOM-he.is-EP-Q | Bukulishvili-NOM-Q
- (112) čem mamasaxl-i-o-d' | ese-eb-i-v (= (72))  
 | my.NOM host-NOM-Q-and | this-PL-NOM-Q
- (113) | šen deda-i-o' | Šitur-is deda-i-v | ertpera(d) namzvel-n ar arian-a-v | (ČT 360,8)  
 | your mother-NOM-Q.and | Shitur-GEN mother-NOM-Q | equally having.brought.forth-PL.NOM NEG they.are-Q |  
 ‘your mother and Shitur’s mother have not equally brought forth offspring’

Each conjunct occurs as a separate quotative unit, but together they form a coordinative noun phrase constituent according to their standard interpretation. This seems to indicate that it is the lower level phrases (the single conjuncts) that underlie the formation of quotative units and not the whole (maximal) coordinative phrase. However, in non-coordinative phrases, this principle does not apply: attributive constituents cannot be quotative units inside a noun phrase (5.3b).

7.3. There are additional cases of mismatch between quotative units and syntactic constituents.

First, there is a kind of parsing paradox: the last conjunct of a coordinative structure can belong to quotative units that do not form proper constituents. In (114) *isetura*, while being a constituent parallel to *ķvirġ-nakci* and *čurčġ*, does not form a proper constituent with *ara geknebodataev*. Similarly, *čičķebis zidvai* in (115), while being a possible well-formed noun phrase, is not a proper constituent in this context.

(114) | *ķvirġ-nakci-i-v*, | *čurčġ-o-d'* | *isetura ara geknebodat-a-e-v?* | (= (42))  
 | *wool.remnant-winter.wool-NOM-Q-and* | *waste.wool-Q-and|such.NOM*  
*NEGYou.PL.will.have.it-INTP-EP-Q*

(115) | *cuxrixan daicqes-a-v* | *napot-eb-isa-i-o-d'* | *čičķ-eb-is zidva-i-v* | (KD 17,33)  
*at.dusk they.began.it-EP-Q* | *chipping-PL-GEN-NOM-Q-and* | *brushwood-PL-*  
*GEN carry-NOM-Q* ‘at dusk they began to carry chippings and brushwood’

The last example is revealing: genitive noun phrases (*čičķ-eb-is*) that are adjacent to their head noun (*zidva-*) cannot be quotative units of their own (\**čičķ-eb-isa-vzidva-i-v*). However, if the genitive noun is not left-adjacent to its head noun, it can be a quotative unit of its own. The genitive noun is marked by case agreement ("Suffixaufnahme", Boeder 1995): *napot-eb-isa-I* agrees with *zidva-i*; it behaves like other genitive nouns that do not meet the head-adjacency condition, for instance right-dislocated genitives (cp. (44) *čes[-i] [...] | im-isa-i*; (50) *qel-i | čem-is žmobil-is mamķlav-isa-i*; (109) *sam-s [...] | e saxlisa-sa*).

Second, not all coordinate constituents can be quotative units. As was said above (5.3a), there are examples with a personal pronoun as the first conjunct where coordinative structures cannot be split:

(116) || *karg oqšam mogvimzade-v* | *me da čem šumar-sa-v!* (ČT 329,24)  
 || *good.NOM supper.NOM prepare.it.for.us* | *I and my guest-DAT-Q*  
 ‘prepare a good supper for me and my guest!’

These examples conform to the restriction that peripheral quotative units cannot contain more than one non-pronominal word, but preclude a simple one-to-one relationship between quotative units and syntactic constituents, since syntactically speaking they consist of two same-level conjuncts.

All these phenomena show that quotative units and syntactic constituents are related to each other, but that syntactic constituents cannot simply be mapped on quotative units and that they are not coextensive.

8. Now that we know that quotative units do not match syntactic constituents, we will look for a **kind of units** that belongs to a different level of linguistic structure. Our hypothesis is that quotative units are prosodic units. Again, we have to

distinguish between peripheral units (8.1) and core units containing a verb phrase (8.2) and other constituents (8.3-8.4).

**8.1.** Peripheral units are phonological phrases (specifically: clitic groups, to use a concept by Nespor, Vogel 1986:145-163) which are based on different types of syntactic phrases (noun phrases, postpositional phrases etc.) one word of which must be stressed, and their clitics. Besides proclitics (7.1), phrases can have enclitics which either precede or follow the quotative clitic. For instance, the quotative clitic *-v* follows the clitic *-c* which attaches to its narrow scope<sup>18</sup> (the pronoun *mi*) in (117). Similarly, it follows the clitic question particle *-e* (allmorph of *-a*) in (118) (cf. (30), (42)).

(117) || *mi-a-ca-v* | šen-sa-vi(t) mtxovara viq̄avi-v | (ČT329,22)  
 || *I-EP-too-Q* | you-DAT-like beggar.NOM I.was-Q | ‘I too was a beggar like you’

(118) || *ar modian-a-e-v?* | (ČT 329,32)  
 || NEGthey.come-INTP-EP-Q | ‘don’t they come?’

On the other hand, the quotative can itself be followed by the conjunction *-d’/-’-da* ‘and’. Since the quotative particle here always occurs in its vocalic shape *-o* (instead of the auslaut shape *-v*), *-d(a)* and *-o* must belong to the same phonological word, and *-d(a)* be its final segment.<sup>19</sup>

**8.2.** The verb mostly has a final position in the verb phrase which is also the final position of the core unit.<sup>20</sup> However, the verb can have an initial position in its verb phrase if clause-final and clause-initial position coincide. In this case it can have second position clitics (119)-(120). In (121), the head noun is dislocated into the right periphery, whereas the indefinite pronoun *ra-i* remains in situ (i.e. in the core unit): *koxmax-i ra-i-v* > *ra-i-v* | *koxmax-i* (cp. (85)-(86)):

(119) || maxv ki-a-o’ | veyar çaxv ki-a-v | (ČT 358,15)  
 || you.come but-EP-Q.and | IMPOSS.anymore you.go.away but-EP-Q |  
 ‘you will come, yes, but you will not be able to go away anymore’

<sup>18</sup> This clitic must be distinguished from the homophonous (but etymologically identical) clitic *-c* which has the meaning of Georgian *neṭa* ‘I wonder, German *etwa, wohl* (in interrogative sentences)’ and which **follows** the quotative clitic particle in: *am sakmis dyeta-v sanadirod-o-o-c* (< *sanadirod-a-o-c*) *kve aravin ikneboda-v?* (ČT 354,28) ‘will anybody go hunting on these workdays, I wonder?’.

<sup>19</sup> On the clitic nature of *-da* see Arabuli 2001. The shape of the conjunction seems to depend on its position: *-da* before the boundary of a clause (cp. (3)), *-d’* and *-’* elsewhere (cp. (42)). (Simple *-’* represents a specific intonation of the preceding syllable; Činčarauli 1960:68-69.)

<sup>20</sup> The final position of the verb seems to be called into question by an example cited by Manning (1995:203): *aik çeedi šen-a-v* (KD 24,11) there you.go.forth you-EP-Q ‘go away there!’. In the texts studied here, the final verb always has a quotative particle: *čem-tan-it unda çaxvida-v* | *šen-a-v* (ČT 327,4) I-at-INSTR NECESS you.go.forth.SBJV-Q | you-Q ‘you must go away from me’.

(120) [...] da | maugroet ra-i-v | am mtxovara-sa-v | (ČT 329,17)  
and | you.PL.collect.it what-NOM-Q | this.OBL beggar-DAT-Q |  
‘and collect something for this beggar!’

(121) || daugližet ra-i-v | qoxmax-i-o-d’ | (ČT 329,20)  
|| you.pluck.it.for.him what-NOM-Q | unripe.fruit-NOM-Q-and |  
‘pluck some unripe fruit for him and’

In some contexts the verb is fronted in its phrase.<sup>21</sup> This marked position denotes an unexpected event (122) or focussing (123).

(122) | gadmačinda Uavarga-i-ca-v | čem-s ik-iti-a-v (ČT 354,29(30))  
| coming.over.he.appeared Uavarga-NOM-too-Q | I-DAT there-INSTR-EP-Q  
‘to my surprise,<sup>22</sup> Uavarga appeared coming over from the other side’

(123) | Nia-is topisa-sa-v, | [...] | aima-s ar šavxqsni-v, | mtel ro gagatavnant-a-v, |  
mivssem ki ara-v (ČT 352,4)  
| Nia-GEN rifle-GEN-DAT-Q | [...] | that.OBL-DAT NEG I.will.take.it.off-Q |  
whole.NOM SUBthey.end.you.SBJV-EP-Q | I.will.give.it but NEG-Q  
‘the needle [sticking in the muzzle] of Nia’s rifle [...] not even that will I take  
down [and give it to the Chechens], even if they kill you all’

The position of the quotative particle, then, is not “after the verb”,<sup>23</sup> but at the right edge of the verb phrase. This edge **can** be marked by a pause, but it need not (N. Gamqrelize et al. 2006:39-40; in these transcribed texts, | and || mark pauses):

(124) znel-i qopila | sibere  
difficult-NOM it.has.been | old.age.NOM ‘old age really is no good, I must say’

(125) ar-c omianob-is dro-s vyondebodit | āse  
NEG-too war.time-GEN time-DATwe.worried | so  
‘even during the war we did not worry so much’

(126) tu kıdev || çavidodes || žiqv-s maxqlavdes || didı žixv-s | moiyebedes qorc-s ||  
çaxqvredes ima-s karg-ad gaaketebdezədə || gāketebdes im-is keceul-s  
if again || they.would.go.forth || ibex-DAT they.would.kill.it || big ibex-DAT |  
they.would.bring.it meat-DAT || they.would.cut.it that-DAT good-ADV  
they.would.make.it and || they.would.make.it that-GEN khachapuri-DAT  
‘if they went out again, they shot ibex, big ibex, they brought the meat, cut it,  
prepared it well and made *khachapuri* filled with it’

Both the post-verbal position and the marked phrase-initial position are old: they correspond to the scribal punctuation in Old Georgian manuscripts, which marks a pauses (for loud reading; Boeder 1991).

<sup>21</sup> Cp. Skopeteas et al. 2009:103-104.

<sup>22</sup> See note 18.

<sup>23</sup> Manning (1995:200) interprets the clitic placement in this position as an instance of attachment to the head.

8.3. In the last two sections we have considered phrasal constituents: noun phrases, postpositional phrases etc. in peripheral units, on the one hand, and the verb phrase, on the other, and the clitics that attach to both of them. On the phonological level, they are phonological phrases. Disregarding for the moment the core unit, the rule would be:

The quotative particle is attached to the right edge of a phonological phrase which must contain a stressed word and which consists of a single syntactic phrase together with its clitics (except co-ordinated personal pronouns and attributive constituents; 5.3).

The core unit, on the other hand, cannot be described on the basis of unitary syntactic phrases and their restrictions alone. While the verb phrase segment of the core unit is a single syntactic phrase, this is not true for the core unit as a whole. The core unit is not based on a single syntactic phrase, and the segment to the left of the verb phrase can comprise several stressed non-pronominal constituents. This leads us to the question what kind of unit the core unit is based on.

8.4. Since we determined peripheral quotative units as phonological phrases, the core unit as a prosodic unit seems to be a possible interpretation, too, although we have no specifically prosodic evidence so far. We will posit the core unit as a phonological phrase which is based on one or more syntactic constituents. Taking its obligatory part, the verb phrase, as a basis, we may say that the core unit is a phonological phrase which is based on either the verb phrase alone or a combination of the verb phrase with one or more left-adjacent syntactic phrases and their clitics. For instance, in (a) (= (66)) the noun phrase (*tavis gačireba*) is joined to the verb phrase (*ar unda daicilas*): two phonological phrases are combined in a single phonological phrase (*tavis gačireba ar unda daicilas*). On the phonological level, two syntactic phrases are mapped on a single phonological phrase. In (b) (= (42)), the last of the three coordinated conjuncts is joined to the verb phrase, thereby disregarding the coordinative noun-phrase (NP') as a higher-level syntactic constituent and forming a new, larger non-syntactic unit.<sup>24</sup>

- (a) syntactic structure:  
 [ḵacma]<sub>NP</sub> [tavis gačireba]<sub>NP</sub> [ar unda daicilas]<sub>VP</sub>  
 phonological phrasing →  
 (ḵacma) (tavis gačireba) (ar unda daicilas)  
 restructuring →  
 (ḵacma) (tavis gačireba ar unda daicilas)  
 quotative particle attachment →  
 ḵacma-v | tavis gačireba ar unda daicilasa-v (= (66))

<sup>24</sup> Compare the opposite approach of Skopeteas et al. (2009: 105): “Every constituent forms its own prosodic phrase (p-phrase), with the exception of the verb, which may be integrated into the phrase of an adjacent argument.” If quotative units represent prosodic units, as suggested here, they are not compatible with prosodic phrases in this sense. The integration of the verb into its adjacent argument phrase does not cover the whole range of multi-constituent core units.

- (b) syntactic structure:  
 [[*ķvirṭ-nakci*]<sub>NP</sub> [*čurči*]<sub>NP</sub> *da* [*isetura*]<sub>NP</sub> ]<sub>NP'</sub> [*ara geknebodat*]<sub>VP</sub>  
 phonological phrasing →  
 (*ķvirṭ-nakci*)(*čurči da*)(*isetura*) (*ara geknebodat*)  
 restructuring →  
 (*ķvirṭ-nakci*)(*čurči da*) (*isetura ara geknebodat*)  
 quotative particle attachment →  
*ķvirṭ-nakci-v,|čurči-o-d'* | *isetura ara geknebodat-a-e-v* (= (42))

This phenomenon is known as “restructuring” in studies of prosodic structure (where it is, however, restricted e.g. to modifiers and complements being joined into a phonological phrase that contains their head; Nespor 1993). As we pointed out above (6.b), it is subject to a specific condition: the left segment that precedes the verb phrase in the core unit can contain only one argument phrase, and additional phrases are probably restricted to one adverbial phrase per clause.

Note that restructuring, if correct, explains two properties of quotative marking: first, the difference between the internal structure of peripheral units and of the core units, and second, the fact that the attachment of quotative particles to peripheral units never skips a phrase: in the Khevsur materials considered here, there is no such case where, say, the first and the third phrase are marked by quotative particles, but not the second; the marked phrases form a continuous series, and there is no room for optional marking.<sup>25</sup>

8.5. One supplement is in order here. Predicative complements form one unit with their copula (127)-(128) and their bivalent variant “to have” (129). They never have a quotative particle: complement and copula are inseparable. In (130), the subject of the question is dislocated into the right periphery.

- (127) *čvena-v* | *qvela-n guguṭe-eb ort-a-v* (KD 18,6)  
 we-Q | all-PL.NOM *cuckoo-PL.NOM we.are-EP-Q* ‘we are all cuckoos’  
 (128) *gvel-is čim-ze ašenebul-i-a-v* (ČT 328,11)  
 snake-GEN skin-on *built-NOM-it.is-Q* ‘it is built on a snake’s skin’  
 (129) *sasaxle ra-ze ašenebul akv-a-v?* (ČT 328,7)  
 palace.NOM what-on built.NOM he.has.it-INTP-Q ‘what has he built the palace on?’  
 (130) *ra-i-a-v* | *sopl-is qur-i-v?* || *sopl-is qur-i-v* | *zayl-i-a-v* (ČT 330,24)  
 what-NOM-it.is-Q | village-GEN ear-NOM-Q? || village-GEN ear-NOM-Q | dog-NOM-it.is-Q  
 ‘what is the village’s ear? The village’s ear is the dog’

<sup>25</sup> In Manning’s approach (1995:209; similarly for pre-verbal constituents, p. 210) there is optional clitic placement: “In a non-SOV clause, any constituents following the finite verb and preceding the final constituent may be quotative if both the finite verb and the final constituent are...”.

9. The results obtained above deserve some comments. They concern the distribution of arguments in core and peripheral quotative units on the one hand (2.-4.), and the internal structure of quotative units, on the other (5.-6.).

9.1. Consider the frequencies of arguments in the 600 unit corpus of narrative texts (A = agent, S = intransitive subject, direct object, IO = indirect object; 1., 2., 3. = first, second, third person pronouns; N = lexical(non-pronominal) noun):

	left periphery			core unit			right periphery		
	1./2	3.	N	1./2	3.	N	1./2	3.	N
A3	1	3		7	8	5	1	∅	2
S	2	1	11	7	13	45	3	∅	12
O	1	∅	2	4	18	50	∅	1	16
IO	1	2	3	6	3	13	2	1	6

- a) Argumental pronouns are relatively rare, as is to be expected in a language whose polypersonal verb codes the “person” of arguments.
- b) Both pronominal and lexical arguments are more frequent in the core unit than in the periphery units taken together. They tend to be left-adjacent to the verb, and the relatively high number of right periphery arguments can be interpreted as the result of frequent right dislocation. This distribution is compatible with the commonly held idea that Georgian is an SOV language. Note that the relative low frequency of arguments on the left periphery as compared with those in core and right periphery units makes it easier to process their relationship with their verb: they are predominantly either left-adjacent to the verb or follow it.
- c) The relative frequency of arguments is S/O > IO > A. The number of non-zero (verb-external) O and S is almost equal. The frequency of IO and A is similar to the findings of many other languages: intransitive verbs are more frequent than transitive verbs, and ditransitives are less frequent than intransitive and transitive verbs. Non-zero A is rare in accordance with Du Bois’ (1987, 2003:60) “Non-lexical A constraint”: “Avoid lexical A”. Lexical arguments typically have the function of introducing “new” arguments into discourse. However, new A arguments are less frequent: “Avoid new A” (Du Bois 1987, 2003:69). Most agents continue to be referred to by forms that code high accessibility. In Georgian these forms are primarily verbal affixes, and pronouns are used under special conditions like contrast.

9.2. As we have seen above, the internal structure of quotative units is subject to specific constraints, which are repeated here:

- 1) Peripheral units contain at least one stressed word (5.1). They are based on syntactic constituents and their clitics (7.1), except co-ordinated personal pronouns (5.3a) and attributive constituents (5.3b; dependent constituents, 6.5).

- 2) Core units consist of two segments: an obligatory verb phrase containing a verb, pronouns and clitics (6.1-6.3); and a non-obligatory segment preceding the verb phrase which can contain pronouns, clitics and only one non-pronominal argument constituent and one non-argumental (adverbial) constituent (6.4).

These constraints control the formation of quotative units: the clause is parsed into quotative units according to the limitations provided by the constraints.

9.3. The constraints have both quantitative and qualitative aspects: quantitative (e.g. “one and only one”), syntactic (e.g. “left-adjacent to its head noun”), relational (e.g. “argument”), categorial (e.g. “non-pronominal”) and phonological (e.g. “at least one stressed word”).

- a) Quantitative aspects are an important feature of spoken language. They are not restricted to the units described here. An extreme example may illustrate this: there are quadrivalent verb forms in Georgian, as in:

(131) *migišverine me šen žox-i mçqems-s xbo-s-tvis ( / xbo-s)*<sup>26</sup>

I.made.him.hold.it.out.for.you I you stick-NOM sheperd-DAT calf-GEN-for / calf- DAT

‘I let the shepherd hold out the stick at your calf’

But such clauses, while being correct, are extremely rare (if they occur at all). The normal case is the use of a verb form with zero, one or at most two lexical arguments in contexts which allow a maximum of zero anaphora for most of its arguments. In many languages quantitative restrictions on “noun phrase density” are valid on the clause level (Munro, Gordon 1982; Bickel 2003; Du Bois 1987: “Avoid more than one lexical core argument”). In this, then, the “information packaging” of quotative units is similar to that of clauses.

- b) However, the constraints on clause segmentation into quotative units are not purely quantitative. Quotative units can be quite voluminous, for instance in genitive modifier constructions like (132) and chains of pronouns as in (133) or combinations of argument plus adverbial phrase in the core unit of (134).

(132) [*i ča-is mçaml-eb-is*]tavrivleb-sa-v, [*šen-eb-is saxlisqac-eb-is*] tavrivl-eb-sa-v (= (74))

[that worm-GEN eater-PL-GEN] head-PL-DAT-Q, [your-PL-GEN cousin-PL-GEN] head-PL-DAT-Q

(133) [rom *ra-s vin vi-s* stxovdas-a-v] (= (83))

[SUB what-DAT who.NOM who-DAT he.asks.him.for.it.SBJV-EP-Q]

(134) [*meores dyes ki*] [*šenis momqlavis korçilsa-c*] (= (99))

[second-DAT day-DAT but] [your-GEN killer-GEN wedding-DAT-too]

<sup>26</sup> Avtandil Arabuli has kindly provided me with this extraordinary example.



It is rather a combination of different quantitative and qualitative features that matters.

- c) It is an interesting question if constraints on quotative structure are related to properties that make these “information packages” easily processible. A correspondence between prosodic units (intonation units which rarely contain more than one lexical noun or verb in English conversation) and “cognitive units” of information processing has been suggested by W. Chafe (1994 and earlier). However, while the relevance of quantity (“only one”) for processibility is straightforward, the impact of the distinction between head-dependent and coordinative structures on the ease of processing is less obvious. As for free pronouns, they have their counterparts in the polypersonal verb and are also highest on the scale of referent accessibility (Ariel 1990): “pronouns, especially personal pronouns, are significantly easier to process than, say, definite noun phrases” (Rohdenburg 1996: 174). This property of pronouns could explain why their additional occurrence in otherwise complex quotative units (such as the verb phrase) adds only a “tolerable degree” of complexity.
- d) However, new data may change the picture. The scarcity of information on the sound shape and phonological properties of quotative units (stress, prosody etc.) make a discussion of this aspect largely impossible. There are many aspects that remain to be clarified, for instance the question in how far the prosodic units established in the Georgian linguistic tradition (“rhythmic group”, “syntagma” etc.) are comparable to quotative units. And finally, we haven’t even discussed the question what it means to attach a clitic to a phonological phrase (8.4) in the framework of a general linguistic theory.

***Abbreviated category labels***

ADV	adverbial case	OPTPART	optative particle
DAT	dative	PART	particle
EP	epenthetic vowel	PL	plural
ERG	ergative	PROH	prohibitive
GEN	genitive	Q	quotative
IMPOSS	negation of possibility	REL	relative pronoun marker
INSTR	instrumental	SBJV	subjunctive
INTP	interrogative particle	SPEC	specific
NECESS	particle of necessity	SUB	subordinator
NEG	negation	VOC	vocative
OBL	oblique		

## **Bibliography**

Abbreviations: ČT = A. Činčarauli 1960; KD = I. Giginėišvili et al. 1961

**Alxazišvili 1959:** A. Alxazišvili, *Porjadok slov i intonacija v prostom povestvovatel'nom predložėnii gruzinskogo jazyka* / Word-order and intonation of simple declarative sentence in Georgian, In: *Fonetičeskij sbornikI* [Členu-korrespondentu AN SSSR, akademiku AN GSSR, professoru Georgiju Saridonoviču Axvlediani k ego semidesjatiletiju] [edd. V. A. Artemov – S. M. Žyenti], Izd. TGU, Tbilisi, pp. 367-414.

**Arabuli 2001:** A. Arabuli, *Enkliškis bunebisatvis Kartulši* / For the enclitic nature in Georgian [R. 53], In: *Varlam Topuria 100* (TSU, Pilologiis paķulėti; SMA, EI), TU gam-ba, Tbilisi, pp.46-53.

**Ariel 1990:** M. Ariel, *Accessing Noun Phrase Antecedents*, Routledge, London.

**Bickel 2003:** B. Bickel, *Referential density in discourse and syntactic typology*, *Language* 79: 708-736.

**Boeder 1982:** W. Boeder, *Bücher aus Georgien: Sprachwissenschaft*, *Bedi Kartlisa* 40 (1982): 369-387.

**Boeder 1985:** W. Boeder, *Zur Grammatik des Vokativs in den Kartwelsprachen*, In: *Studia Linguistica Diachronica et Synchronica* Werner Winter Sexagenario Anno MCMLXXXIII quae redigenda curaverunt atque ediderunt Ursula Pieper et Gerhard Stickel, Mouton de Gruyter, Berlin-New York-Amsterdam, pp. 55-80.

**Boeder 1991:** W. Boeder, *The Phrasing of Old Georgian According to Scribal Punctuation*, Paper read at the Seventh Conference on the Non-Slavic Languages of the Soviet Union, Chicago, 22-24. May 1991 [= *Punktuacia, segmentacia da sintaksuri šruķtura žvel Kartulši*, *Kartuli enis ķatedris šromebi* (Sakartvelos ganatlebis saminištro; Sulxan-Saba Orbelianis saxelobis Tbilisis saxelmćipo pedagogiuri uniwersiėti) 4 (1998): 3-17.

**Boeder 1995:** W. Boeder, *Suffixaufnahme in Kartvelian*, In: *Double Case, Agreement by Suffixaufnahme*, Edited by Frans Plank, Oxford University Press, New York-Oxford, pp. 151-215.

**Boeder 2001:** W. Boeder, *Protasis und Apodosis in den Kartwelsprachen*, In: *Varlam Topuria 100* (TSU, Pilologiis paķulėti; SMA, EI), TU gam-ba, Tbilisi, pp.31-45.

**Boeder 2005:** W. Boeder, *Protasis and apodosis in the Kartvelian languages*, *Sprachtypologie und Universalienforschung* 58 (Focus on: Sentence types and sentence structures, Editors: Jost Gippert, Marcel Erdal & Rainer Voßen), pp. 16-25.

**Činčarauli 1960:** A. Činčarauli, *Xevsurulis taviseburebani*, *Teķšėbita da indeksit* / Osobennosti xevsurskogo dialekta gruzinskogo jazyka. S tekstami i indeksom [R. 312-323] (SMA, EI),

SMA gam-ba, Tbilisi.

**Činčarauli 2005:** A. Činčarauli, *Xevsuruli leksiķoni* / *Aleksi Tchintcharauli: Khevsurian Dictionary* (SMA, EI), *Kartuli Ena*, Tbilisi.

- Dik1997:** S. C.Dik, *The Theory of Functional Grammar*. Part 2: *Complex and Derived Structures*, Edited by Kees Hengeveld, De Gruyter Mouton, Berlin.
- Du Bois1987:** J.W. Du Bois, *The discourse basis of ergativity*, *Language* 63: 805-855.
- Du Bois2003:** J. W.Du Bois, *Discourse and grammar*, In: Michael Tomasello (ed.): *The New Psychology of Language: Cognitive and functional approaches to language structure*. Volume 2. Mahwah, NJ: Erlbaum, pp. 47-87.
- Žažanize 1970:** P.Žažanize, *Gurijskij dialekt v otnošenii k adžarskomu / Guruli dialekti Ačarultan mimartebaši*, Autoreferat DD (TSU), Tbilisi.
- Gamqrelize et al. 2006 :** N. Gamqrelize, Š.Ķoŧetišvili, I. Ležava, L. Lortkipanize, L. Žavaxize, *Kartuli normaŧuli da dialekturi meŧvelebis poneŧikuri analizi / Phonetic analysis of Georgian normative and dialectal speech* [ed. I. Melikišvili], NeĶeri, Tbilisi.
- Gigineišvili et al. 1961 :** I. Gigineišvili, V. Topuria, I. Kavtaraze, *Kartuli dialektologia*. I. Kartuli enis ŧilota moĶle ganxilva. Ŧekšŧebi, LeksiĶoni, TU gam-ba, Tbilisi.
- Flonŧi 1975:** A. Flonŧi, *Xalxuri prozis enisa da sŧilis saĶitxebi*, TU gam-ba, Tbilisi.
- Kojima 2014:** Y.Kojima, *The position of rom and the pragmatics of subordinate clauses in Georgian*, In: *Advances in Kartvelian Morphology and Syntax*. Contributions to the Festival of Languages Bremen, 17 September to 7 October, 2009, Edited by Nino Amiridze, Tamar Reseck and Manana Topadze (= *Diversitas Linguarum* 38), Universitatsverlag Brockmeyer, Bochum, pp. 141-153.
- Ķiziria1987:** N. Ķiziria, *Saliteraturo Kartulis inŧonaciis saĶitxebi / Voprosy intonacii gruzinskogo literaturnogo jazyka* [R. 133-136] (SMA, EI), Mecniereba, Tbilisi.
- Ležava 1981:** I. Ležava, *Ķavširebi da pauzis adgili Kartul saliteraturo Ķarmotkmaš / Sojuzy i mesto pauzy v gruzinskom literaturnom proiznošenii* [R. 76-77], In: *PoneŧiĶa da norma*, 71-77.
- Manning 1995:** H. P. Manning, *Quotative clitic "spreading" in NE Georgian mountain dialects*, *Chicago Linguistic Society, Papers* 31, 2 (parasession on Clitics): 198-214.
- Munro, Gordon 1982:** P. Munro, L. Gordon, *Syntactic relations in Western Musko-gean: a typological perspective*, *Language* 58: 81-115.
- Nespor, Vogel 1986:** M. Nespor, Marina, I. Vogel, *Prosodic Phonology*, Foris, Dordrecht.
- Nespor 1993:** M. Nespor, *Fonologia*, il Mulino, Bologna.
- Rohdenburg 1996:** G. Rohdenburg, *Cognitive complexity and increased grammatical explicitness in English*, *Cognitive Linguistics* 7: 149-182.
- Skopeteas et al. 2009:** S. Skopeteas, C. Fery, R. Asatiani, *Word order and intonation in Georgian*, *Lingua* 119:102-127.
- Tevdoraze 1978:** I. Tevdoraze, *Kartuli enis prosodiis saĶitxebi*, TU gam-ba, Tbilisi.
- Vogt 1971:** H. Vogt, *Grammaire de la langue georgienne*, Universitetsforlaget, Oslo.

**სხვათა სიტყვის ერთეულები და ინფორმაციის ერთეულები ხევისურულში**  
რეზიუმე

უკვე კარგა ხანია ცნობილია, რომ ქართული დიალექტური მეტყველება უხვად იყენებს სხვათა სიტყვის ნაწილაკებს. აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისთვის კ.პ. მანინგი შეეცადა „სხვათა სიტყვის კლიტიკების გავრცელების“ წესები განესაზღვრა შემადგენელთა სტრუქტურისა და წინადადებაში ზმნის მომდევნო პოზიციის საფუძველზე. წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ხევისურული სხვათა სიტყვის ნაწილაკების კორპუსი, რომელიც შეიცავს 600-ზე მეტ ერთეულს და რომელიც ამოკრებილია ა. ჭინჭარაულის მიერ გამოცემული ტექსტებიდან. გამოვყავით სხვათა სიტყვის ერთეულების სამი ტიპი მათი შინაგანი სტრუქტურისა და წინადადებაში მათი პოზიციის მიხედვით: ერთი მხრივ, ცენტრალური ერთეული, რომელიც შეიცავს ზმნის პირიან ფორმას და მეორე მხრივ, ერთეულები, რომლებიც გვხვდებიან ცენტრალური ერთეულის მარცხნივ და მარჯვნივ.

პერიფერიული ერთეულები ძირითადად წარმოადგენს ერთ სინტაქსურ შემადგენელს და კლიტიკას, ხოლო ცენტრალური ერთეული შედგება ზმნისგან, განუსაზღვრელი კლიტიკური ნაცვალსახელებისა და სხვა კლიტიკებისგან და შესაძლოა მაქსიმალურად რამდენიმე არაკლიტიკური ნაცვალსახელის, ერთი ლექსიკური არგუმენტისა და ერთი ლექსიკური ზმნიზედური ერთეულისგან. სინტაქსური შემადგენლებისა და სხვათა სიტყვის ნაწილაკებს შორის გამოვლენილი რამდენიმე ტიპის შეუსაბამობის საფუძველზე ვასკნით, რომ სხვათა სიტყვის ერთეულები უშუალოდ არ გამომდინარეობს სინტაქსური სტრუქტურიდან. ეს პროსოდიული ერთეულებია (ფონოლოგიური ფრაზები), რომლებშიც ერთი შემადგენელი შეიძლება მიუერთდეს მეორე შემადგენელს (სინტაქსური სტრუქტურა > შემადგენელთა შეზღუდული მიერთება > ფონოლოგიური ფრაზები). ეს პროცესი გარკვეული შეზღუდვებით ხასიათდება. ამ შეზღუდვათაგან ზოგიერთს შეიძლება კოგნიტიური და ფსიქოლინგვისტური საფუძველი ჰქონდეს: შესაძლოა დავუშვათ, რომ ისინი იმავდროულად ინფორმაციულ ერთეულებს წარმოადგენენ, რომელთა ერთდროული „დამუშავება“ (ანალიზი) არ უნდა იყოს ძნელი. მაგალითად, არც ერთი სხვათა სიტყვის ერთეული არ შეიცავს ერთზე მეტ დამოუკიდებელ, არაზმნურ და არანაცვალსახელურ ფრაზას, მაშინ როცა ცენტრალური ერთეული დამატებით შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე ნაცვალსახელს, რომელთა ანალიზიც შედარებით ნაკლებ „ხარჯს“ მოითხოვს.

## სამეულთა კორელაციური კონეპი

(გიორგი ახვლედიანის საარქივო მასალების მიხედვით)<sup>1</sup>

გიორგი ახვლედიანის არქივი, რომელიც ამაჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში ინახება, ენათმეცნიერების ისტორიისთვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. ამ არქივში დაცული გიორგი ახვლედიანის კოლეგებთან თუ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოსთან პირადი და ოფიციალური მიმოწერის ერთი ნაწილი კარგად აჩვენებს ენათმეცნიერთა მდგომარეობას საბჭოთა კავშირში. ერთი მხრივ, მათ უხდებოდათ საენათმეცნიერო აზრის განვითარება არაფანსად, სიცოცხლისთვის საშიშ პოლიტიკურ გარემოში, მეორე მხრივ, ისინი ძირითადად იზოლირებულნი იყვნენ სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ევროპელი ლინგვისტებისაგან, რომელთა ნაშრომები ფასდებოდა როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის პროპაგანდა. ეს საკითხი სპეციალურად შესწავლას იმსახურებს. საბჭოეთის დროს, იდეოლოგიური წნეხის გამო, ენათმეცნიერები დაგვიანებით ან საერთოდ ვერ ეცნობოდნენ მათი თანამედროვე უცხოელი ენათმეცნიერების ნაშრომებს, რაც განაპირობებდა საბჭოთა ენათმეცნიერების ჩაკეტილობას, ხელს უშლიდა ლინგვისტური იდეებისა და თეორიული სიახლეების ურთიერთგაზიარებას, განსაკუთრებით საბჭოთა და ევროპულ ენათმეცნიერებს შორის.

მაგალითად, ძნელია იმის თქმა, იცნობდა თუ არა გიორგი ახვლედიანი პრადის ლინგვისტური წრის მიღწევებს ფონოლოგიაში. სმენოდა თუ არა მას იმის შესახებ, რომ 1928 წელს ჰააგაში ლინგვისტთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე სამი რუსი ენათმეცნიერი – რომან იაკობსონი, სერგეი კარცევსკი და ნიკოლოზ ტრუბეცკოი პრადის ლინგვისტური წრის სახელით წარდგინეს ფონოლოგიის სპეციალური პროგრამით, რასაც 1929 წელს პრადის ლინგვისტური წრის შრომების ორი ტომი მოჰყვა (Travaux du Cercle Linguistique de Prague). დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პრადელი ფონოლოგები არ იცნობდნენ გიორგი ახვლედიანის ძალიან მაღალი სამეცნიერო მნიშვნელობის ნაშრომებს ზოგად და ექსპერიმენტულ ფონეტიკაში, ისევე როგორც მის სტატიებს ინდოევროპულ და ინდოირანულ ენათმეცნიერებაში. რომ არა რუსეთის 1917 წლის რევოლუცია და მისი შედეგები, სრულიად შესაძლებელი იყო გიორგი ახვლედიანი,

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (№ დ13/13) ფარგლებში; წაკითხულია მოხსენებად ლინგვისტურ იდეათა ისტორიის მეცამეტე საერთაშორისო კონფერენციაზე ვილა რეალში (პორტუგალია) 2014 წლის აგვისტოში.

ნიკოლოზ ტრუბეცკოი, სერგეი კარცევსკი და რომან იაკობსონი, სხვა კოლეგებთან ერთად, შეხვედროდნენ ერთმანეთს რომელიმე სამეცნიერო ფორუმზე მაინც.

1917 წლის რევოლუციის იდეებთან შეუთავსებლობის გამო ბევრი ენათმეცნიერი რუსეთიდან ემიგრაციაში წავიდა. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ რ. იაკობსონი და ნ. ტრუბეცკოი თავის იდეებს ფონოლოგიაში სამშობლოსაგან მოშორებით ავითარებდნენ. ამიტომაც ნიკოლოზ ტრუბეცკოი, რომელმაც ფონოლოგიისა და ფონეტიკის გამიჯვნა ენისა და მეტყველების სოსიურისეულ დიქტომიას დაამყარა (სხვათა შორის, ეს არის ერთადერთი შემთხვევა, რომ ნიკოლოზ ტრუბეცკოი სოსიურს იმოწმებს), ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს იდეა უფრო ადრე, რუსულ ენათმეცნიერებაში შეიქმნა: ბოდუენ დე კურტენე იყო პირველი ენათმეცნიერი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ბგერა შეიძლება შევისწავლოთ როგორც ფიზიკური მოვლენა ან როგორც საზოგადოებაში კომუნიკაციისათვის გამოყენებული სიგნალი... მაგრამ ბოდუენ დე კურტენეს იდეები არ იყო ცნობილი ენათმეცნიერთა ფართო წრეებისათვის (მას ჰყავდა ძირითადად რუსი და პოლონელი სტუდენტები) და ამის გამო არ ექცეოდა ამ მიგნებას ჯეროვანი ყურადღება (ტრუბეცკოი 1960:11). სწორედ პოლიტიკური მიზეზების გამო მოხდა ის ფაქტი, რომ ფონოლოგიის ფუძემდებელი ლინგვისტები ბოდუენ დე კურტენეს მოწაფეები არ იყვნენ. ტრუბეცკოი დანაწილებით წერდა: ლინგვისტთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე ჰააგაში სამმა რუსმა ენათმეცნიერმა, რომელთაგან „წმინდა შემთხვევითობის გამო“ არცერთი არ იყო ბოდუენ დე კურტენეს საენათმეცნიერო სკოლიდან, ჩამოაყალიბა მოკლე პროგრამა, რომელშიც მკვეთრად იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული სამეტყველო და ენობრივი ბგერების შემსწავლელი საენათმეცნიერო დარგები – ფონეტიკა და ფონოლოგია (ტრუბეცკოი 1960:11).

გიორგი ახვლედიანის ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის საფუძველი, შეიძლება ითქვას, რომ სათავეს სწორედ ბოდუენ დე კურტენეს სკოლიდან იღებს, რადგან მას ასწავლიდა კურტენეს მოწაფე ლევ შჩერბა, რომელსაც პოლივანოვთან ერთად დიდ შეფასებას აძლევდა მოგვიანებით ნ. ტრუბეცკოი ბოდუენ დე კურტენეს იდეათა გაღრმავებისა და გავრცელებისათვის. სწორედ ლ. შჩერბამ დიდად განსაზღვრა გიორგი ახვლედიანის სამეცნიერო ინტერესები. შჩერბას მოწაფეობამდე გ. ახვლედიანს დამთავრებული ჰქონდა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. უნივერსიტეტში სწავლისას მან დაწერა ნაშრომი „ლიკვიდებისა და ნაზალი კონსონანტების ისტორია სანსკრიტში, ბერძნულში, ლათინურსა და სლავურ ენებში“. ამ კვლევას ძალიან მაღალი შეფასება მისცა ხარკოვის უნივერსიტეტის პროფ. ი. ენძელინმა (ენძელინი 1914:7-10), რომელიც იმ დროს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების აღიარებული ავტორიტეტი იყო. სწორედ მისი ხელმძღვანელობით ემზადებოდა საპროფესოროდ ხარკოვის უნივერსიტეტში 1914-1915 წლებში გიორგი ახვლედიანი. ცოტა ხანში იგი გაგზავნეს პეტროგრადის უნივერსიტეტში, სადაც ისმენდა ქართულ ფილოლოგიაში ნიკო მარის, ირანულ ფილოლოგიაში – კ. ზალემა-

ნისა, ინდურ ფილოლოგიაში – თ. შერბაცკისა და ზოგად და ექსპერიმენტულ ფონეტიკაში – ლ. შერბას ლექციებს (ახვლედიანი 1978).

სხვათა შორის, მოგვიანებით, როცა გიორგი ახვლედიანი მსჯელობდა ფონეტიკისა და ფონოლოგიის მიმართებაზე, სპეციალურად ამახვილებდა ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ პრალის ლინგვისტური სკოლის წარმომადგენლები რომან იაკობსონი და ნიკოლოზ ტრუბეცკოი ბოდუენ დე კურტენეს მოწაფეები იყვნენ. ბერის დისტინქტური ფუნქცია უკვე შემჩნეული ჰქონდათ XIX საუკუნის 60-იან წლებში, მაგრამ ფონემის თეორია ბოდუენ დე კურტენემ შექმნა მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში და იგი განავითარეს მისმა მოწაფეებმა – კრუმფჰელსკიმ და შერბამ.

სწორედ ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ახვლედიანსა და პრალელ ფონოლოგებს საერთო ძირები აქვთ, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის თეორიათა ერთიანობისათვის. გიორგი ახვლედიანს ფონეტიკის არც ერთ სახელმძღვანელოში და არც ერთ სტატიამი არ გაუმიჯნავს ფონეტიკა და ფონოლოგია, თუმცა აღიარებდა ფონოლოგიის დიდ მნიშვნელობას ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისა და ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარებისთვის, მაგრამ ფონოლოგია ყოველთვის ფონეტიკის დარგად მიანდა. მის წიგნებში არსად ჩანს ტერმინები – ვარიანტი ან ალოფონი. „ალოფონი“ შემოიტანა ამერიკულმა დესკრიფციულმა ენათმეცნიერებამ. ტრუბეცკოის ამ შინაარსით გამოყენებული აქვს ტერმინი „ვარიანტი“. მიუხედავად იმისა, რომ არც „ვარიანტი“ და არც „ალოფონი“ გიორგი ახვლედიანთან გამოყენებული არ არის, იგი ერთმანეთისაგან ყოველთვის მიჯნავს ბერას და ფონემას (ბერას და ფონემას (გ. ახვლედიანის წვლილისთვის ბერითი სისტემის ფონოლოგიური კვლევის საქმეში იხ. თ. გამყრელიძე 2014:312-316).).

ნიკოლოზ ტრუბეცკოისთვის ფონემა არის მოცემული ენის უმცირესი დისტინქტური ერთეული. „ფონოლოგიის საფუძვლებში“ იგი თავად აკვირდება ტერმინ ფონემის გამოყენებისა და მისი განსაზღვრების ისტორიას. 1912 წელს ლ. შერბამ ფონემა ასე განმარტა: „ფონემა ეწოდება მოცემული ენის ისეთ ზოგად ფონეტიკურ წარმოდგენას, რომელიც ასოცირდება შინაარსობრივ წარმოდგენებთან და შეუძლია სიტყვათა დიფერენცირება“ (შერბა 1912:14). ტრუბეცკოი აღნიშნავდა, რომ შერბამ პირველად გახაზა ფონემის სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია, თუმცა ფონემის მისეული განსაზღვრება არ იყო თავისუფალი ასოციაციური ფსიქოლოგიის პოზიციისაგან. შერბასთან შედარებით უფრო გამოკვეთილი ჩანს ფონემის იაკოვლევისეული განსაზღვრება: „ფონემები ის ბერებია, რომელთა დახმარებით ხდება ენაში სიტყვათა განსხვავება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ფონემებად უნდა ჩავთვალოთ ის ბერითი სხვაობები, რომლებიც მეტყველებაში გამოიყოფა როგორც უმოკლესი ბერითი მომენტები და ასხვავებენ ენის მნიშვნელობის მქონე ელემენტებს“ (იაკოვლევი 1928:46). ნ. ტრუბეცკოი ფონემის განსაზღვრაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იაკობსონისეულ ფორმულირებას, რომელიც მან 1929 წელს რუსული ფონოლოგიის ევოლუციის შესახებ ფრანგულად დაწერილ ნაშრომში მოგვცა: „ფონოლოგიური ოპოზიციის

ყველა წევრი, რომელიც არ დაიშლება მეორე რიგის უფრო მცირე ფონოლოგიურ ოპოზიციებად, არის ფონემა“ (იაკობსონი 1929:5). მცირედენი სახეცვლილებით ფონემის ეს განმარტება („ფონოლოგიური ოპოზიციის ყველა წევრი, რომელიც არ იშლება უფრო მცირე და უფრო მარტივ ფონოლოგიურ ერთეულებად, არის ფონემა“) შევიდა „სტანდარტიზებული ფონოლოგიური ტერმინოლოგიის პროექტში“ (იაკობსონი 1930:31).

გიორგი ახვლედიანის არც ერთი პერიოდის ნაწერში არ ჩანს ბოლომდე ფონემის ასეთი გაგება, თუმცა ფონემას ბგერებისგან იმით გამოარჩევს, რომ ფონემას სიტყვათგანმასხვავებლური ანუ დისტინქტური ფუნქცია აქვს. მხოლოდ ამ ფუნქციის მქონე ბგერაა ფონემა. თუ ბგერას დისტინქტური ფუნქცია არა აქვს, ის ფონემა არ არის. აქედან გამომდინარე, ყველა ფონემა ბგერაა, მაგრამ ყველა ბგერა ფონემა არ არის. სწორედ ამ ცნებებს აფუძნებს ახვლედიანი ენათა ფონოლოგიური სისტემის კვლევას. როგორც აღვნიშნეთ, იგი არ იყენებს ტერმინებს – ალოფონი და ვარიანტი, თუმცა სპეციალურად განიხილავს ბგერათა მონაცვლეობის ისეთ სახეებს, რომლებსაც სიტყვის მნიშვნელობის ცვლილება არ მოსდევს. მათ აღსანიშნავად იყენებს ტერმინებს: ტოლფუნქციანი და უტოლფუნქციო (ახვლედიანი 1999:279).

როგორცა ჩანს, გიორგი ახვლედიანი მხოლოდ მას შემდეგ გაეცნო ნიკოლოზ ტრუბეცკოის ნაშრომს, რაც იგი ითარგმნა გერმანულიდან რუსულად და გამოიცა საბჭოთა კავშირში. იქამდე გიორგი ახვლედიანი დამოუკიდებლად ავითარებდა თავის მოსაზრებებს ქართული ენის თანხმოვანთა სამეულებრივ სისტემაზე. მის მიერ გამოთქმული შეხედულებანი ქართული ენის თანხმოვანთა კლასიფიკაციის შესახებ ჩამოყალიბებულია 1922-1926 წლებში გამოქვეყნებული სტატიებში (რომლებიც შემდეგ შევიდა სახელმძღვანელოში „ენათმეცნიერების პროპედევტიკა და ზოგადი ფონეტიკა“ (1932), და ქართული ენის თანხმოვანთა სისტემის ნაწილი უცვლელად იბეჭდებოდა მისივე „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში“ (ბოლო გამოცემა – 1999). ამათგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა 1923 წელს „თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში“ დაბეჭდილი სტატია ქართულში მკვეთრი ხშულების შესახებ (ახვლედიანი 1922-23:113-128).

გ. ახვლედიანმა თავიდანვე მიაქცია ყურადღება ქართული ენის თანხმოვანთა სისტემის ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს. ეს არის ყრუ აბრუპტივი<sup>2</sup> თანხმოვნების არსებობა. თუ ერთმანეთს შევადარებთ ქართულ, რომანულ, გერმანიკულ და სლავურ ენებს, აშკარა გახდება, რომ ინდოევროპულ ენებში გვაქვს ორი სახის წყვილეულები – ხშული თანხმოვნებით და ნაპრალოვანი თანხმოვნებით მიღებული წყვილეულები, ხოლო ქართულში ნაპრალოვნები ქმნიან წყვილეულებს, ხშულები და აფრიკატები კი – სამეულებს.

<sup>2</sup> გიორგი ახვლედიანის სამეულთა სისტემის დახასიათებისას რომან იაკობსონი აღნიშნავს, რომ „აბრუპტივი“ არის გ. ახვლედიანის პერსონალური ტერმინი, რომლის ინგლისური ცალია: ejective (alias "glottalized") (იაკობსონი 1968:221), თუმცა ეს ადგილი რედაქტირებულია 1971 წლის გამოცემაში (იხ. იაკობსონი 1971:721).



ქართული

ინდოევროპული

ხშულები

b – p – p’

d – t – t’

g – k – k’

ჰ – c – c’

ჴ – č – č’

b – p

d – t

g – k

ჰ – c

ჴ – č

ჯერ კიდევ 1923 წელს წერდა გიორგი ახვლედიანი: „ქართული ენის ერთ-ერთი სპეციფიკური მახასიათებელი არის აბრუპტივების, ანუ აბრუპტივი თანხმოვნების არსებობა. ამ ბგერების წარმოთქმის დროს სახმო სიმები დახშულია, ხოლო ბგერის წარმოება ხდება პირის ღრუში არსებული ჰაერით. ქართულში ექვსი აბრუპტივია. ისინი ჰომორგანულ თანხმოვნებთან ერთად ქმნიან ქართულ თანხმოვანთა სამეულებრივ სისტემას“. 1959 წელს ახვლედიანი ერთმანეთს ადარებს ქართულ და ინდოევროპული ენების ხშულებს: მაგალითად, სლავურ, რომანულ და გერმანიკულ ხშულ წყვილებს (მჟღერი – ყრუ) – b-p, d-t, g-k ქართულში შეესატყვისება თანხმოვანთა ჰომორგანული ტრიადები (მჟღერი – ფშვინვიერი – აბრუპტივი): ბ-ფ-პ; დ-თ-ტ; გ-ქ-კ. სამეულებრივ სისტემასთან ერთად არსებობს თანხმოვანთა ოთხეულებრივი სისტემა, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ რიგში შეიძლება იყოს ოთხი კომპონენტი: მჟღერი – ყრუ ფშვინვიერი – აბრუპტივი – პრერუპტივი. პრერუპტივი არსობრივად არის ყრუ ფშვინვიერი, ოღონდ ფშვინვა ამ შემთხვევაში მინიმალურია. პრერუპტივი უცხო არ არის არაკავკასიური ენებისთვის (ახვლედიანი 1959:41-47). ენათმეცნიერები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩრდილო- და სამხრეთკავკასიურ ენებს საერთო წარმოშობა აქვთ, უშვებენ იმის შესაძლებლობას, რომ სამეულთა სისტემა ოთხეულთა სისტემის დასუსტების გამო წარმოიქმნა (როგავა 1943).

ნიკოლოზ ტრუბეტკოის ფონოლოგიური თეორიიდან ამჟამად ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, თუ რა მნიშვნელობით იყენებს იგი ტერმინ კორელაციას და როგორი ფონოლოგიური ოპოზიციები ქმნის კორელაციურ კონებს. ნ. ტრუბეტკო წერს: „საჭიროა პრივატული, პროპორციული, მრავალგანზომილებიანი ოპოზიციები გავმიჯნოთ სხვა ოპოზიციებისაგან სპეციალური ტერმინით. ამ მიზნით ვიყენებთ ტერმინ **კორელაციას**. კორელაციურ წყვილში ვგულისხმობთ ორ ისეთ ფონემას, რომლებიც არიან ლოგიკური პრივატული პროპორციული მრავალგანზომილებიანი ოპოზიციის წევრები. კორელაციური თვისება (ნიშანი) ფონოლოგიურია, რომელის არსებობა-არარსებობა ახასიათებს კორელაციურ კონებს“ (ტრუბეტკო 1960:95).


ცალკე საკითხია, რამდენი ფონემა შეიძლება იყოს ჩართული კორელაციურ ურთიერთობებში. ამასთან დაკავშირებით ნ. ტრუბეტკოი წერდა (ტრუბეტკოი 1960:96-7): თუ ფონემა მონაწილეობს ერთი და იმავე მონათესავე კლასის კორელაციებში, მაშინ იმავე კორელაციურ წყვილებში მონაწილე ფონემები ქმნიან მრავალწევროვან კორელაციურ კონას. ასეთი კორელაციური კონის სტრუქტურა მრავალწევროვანია. იგი დამოკიდებულია არა მხოლოდ კორელაციათა რაოდენობა-

ზე, არამედ წევრებს შორის მიმართებაზეც. ყველაზე ხშირად გვხვდება ისეთი კორელაციური კონები, რომლებშიც გაერთიანებულია ორი მონათესავე კორელაცია. თუ თითოეული კორელაციის ორივე წევრი მონაწილეობს სხვა კორელაციაშიც, მაშინ იქმნება ოთხწევროვანი კორელაციური კონა. ასეთი კორელაციური კონები ჰქონდა სანსკრიტს:

<b>p-ph</b>	<b>t-th</b>	<b>k-kh</b>
<b>b-bh</b>	<b>d-dh</b>	<b>g-gh</b>

ოთხწევროვანი კორელაციური კონა სანსკრიტში გამოწვეულია იმით, რომ წვევლის თითოეული წევრი მონაწილეობს მჟღერობა-სიყრუისა და ფშვინვიერობის კორელაციაში. b-p და bh-ph ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც მჟღერი და ყრუ, p-ph და b-bh კი ერთმანეთისაგან ფშვინვიერობა-არაფშვინვიერობით უპირისპირდებიან. ოთხწევრიანი კორელაციური კონები ახასიათებს ჩეჩნურს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ჩრდილოკავკასიურ ენებში არსებობს ოთხი სერია: მჟღერი, ყრუ ფშვინვიერი, ყრუ პრერუპტივი, ყრუ აბრუპტივი (იხ. ზემოთ).

თუ ორ კორელაციურ წვევლს აქვს ერთი საერთო წევრი, მაშინ იქმნება სამწევროვანი კორელაციური კონა, როგორც ეს ჰქონდა ძველ ბერძნულს.



საწევროვანი კორელაციური კონა ძველ ბერძნულში მიიღება იმის გამო, რომ ეს ხშული თანხმოვნები ერთმანეთს უპირისპირდებიან მჟღერობა-სიყრუისა და ორი განსხვავებული სიყრუის – ფშვინვიერობისა და პრერუპტივი თუ აბრუპტივი თანხმოვნების არსებობის გამო.

თუ კონაში ერთიანდება სამი მონათესავე კორელაცია, მაშინ თეორიულად დასაშვებია ასეთ კონაში 4-დან 8-მდე წევრის არსებობა. ამის საილუსტრაციოდ ნ. ტრუბეცკოი იმოწმებს მაგალითებს ქართული ენიდანაც, რომელშიც, მისი აზრით, არსებობს ხუთწევროვანი კორელაციური კონა (ტრუბეცკოი 1960:97):


<b>ც</b>		<b>ჭ</b>	
<b>ჯ</b>	<b>ც</b>	<b>ჭ</b>	<b>ჭ</b>
<b>ზ</b>	<b>ს</b>	<b>ჟ</b>	<b>შ</b>

ქართულის მაგალითი ნიკოლოზ ტრუბეცკოის სწორად არა აქვს დასახელებული. ქართულში, ბერძნულის მსგავსად, სამწევროვანი კორელაციური კონები გვაქვს. აქ დასახელებულ მაგალითში აფრიკატების (ხშულ-ნაპარალოვნების) მიერ შექმნილ სამეულთა სისტემას ემატება ნაპარალოვანი წვევილეულები, რითაც ირღვევა კორელაციური კონის შექმნის თავად ტრუბეცკოის მიერ დადგენილი წესები.

გიორგი ახვლედიანის მსჯელობა ქართული ენის სამეულთა სისტემაზე ამჟღავნებს საოცარ მსგავსებას ნ. ტრუბეცკოის „ფონოლოგიის საფუძვლებში“ სპეციალურად განხილულ კორელაციისა და ფონემათა კორელაციური კონების შესახებ მსჯე-

ლობასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას შემდეგ, რაც გაეცნო ტრუბეცკოის წარმოდგენებს ფონემათა კორელაციური კონების შესახებ, ახვლედიანი დაინტერესდა თანხმომავანთა სამეულბერივი სისტემების ძიებით სხვადასხვა ენაში (ამას ადასტურებს მრავალი ენის მონაცემები, რომლებიც სპეციალურად უგროვებია გიორგი ახვლედიანს). მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართული და ძველი ბერძნული ენების თანხმომავანთა სისტემების მსგავსებას და დასვა საკითხი ამ ენათა მიმართების ახლებურად განხილვის თაობაზე, კერძოდ კი, ინდოევროპულ და ქართველურ ენათა ისტორიული ურთიერთობის შესახებ როგორც ტიპოლოგიური, ისე ენობრივი კავშირის ფარგლებში ენათა მიმართების თვალსაზრისით. გიორგი ახვლედიანს მოუშადავებია წინასწარი მოხსენება „ხმულ თანხმომავანთა სამეულბერივი სისტემის შესახებ ქართულსა და ძველ ბერძნულში“, რომელიც არ არის ცალკე დაბეჭდილი, მაგრამ ინახება მის არქივში. სწორედ ამ საარქივო მასალას ვეყრდნობით გიორგი ახვლედიანის თანხმომავანთა სამეულბერივი სისტემებისა და ნიკოლოზ ტრუბეცკოის კორელაციური კონების სახეთა შედარებაზე მსჯელობისას.<sup>3</sup>

გ. ახვლედიანმა საკითხი დასვა ასე – არის თუ არა ძველი ბერძნული ენის ტრიადის წევრებს შორის ისეთივე მიმართება, როგორიც გვაქვს ქართული ენის სამეულთა სისტემაში. ძველ ბერძნულს არა აქვს აფრიკატების მიერ შექმნილი სამეულბები. ძველი ბერძნული სამეულის პირველი წევრები მჟღერი თანხმომავანებია, მეორე წევრები – ფ(ფ), მ(თ), ჯ(ქ) ყრუ ფშვინვიერი უნდა იყოს, თუ ვიმსჯელებთ იმ ძველბერძნული სიტყვების ლათინური დაწერილობით, რომლებიც ქართულს ძველი ბერძნულიდან უსესხია. მაგალითად, ფაეტონი ΦΑΙΘΩΝ (ლათინური დაწერილობით phaethon). ფ გადმოიცემა ლათინურში როგორც ph, ხოლო მ – როგორც th, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ორივე ფშვინვიერია.



<sup>3</sup> მომდევნო გვერდზე წარმოდგენილ პირველ საარქივო ჩანაწერზე ჩანს, როგორ არაკვედა გ. ახვლედიანი ბერძნულ სამეულთა შემადგენლობას. შემდეგი სურათი კი პირველი გვერდი მისი წინასწარი მოხსენებისა „ხმულ თანხმომავანთა სამეულბერივი სისტემის შესახებ ქართულსა და ძველ ბერძნულში“ რუსულ ენაზე.

ТРОЙНАЯ СИСТЕМА ЧАСТЫХ СВЯЗНЫХ СОГЛАСНЫХ  
ЗВУКОВ В ДРЕВНЕГРЕЧЕСКОМ И ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКАХ

(Предварительное сообщение)

1. Тема данного сообщения, по первоначальному замыслу автора, должна была быть разработана в типологическом плане, поскольку касалась форм, с которыми имеют дело типологический метод, но сейчас обматывало не с фактором времени, ни с фактором пространства (Р. Колосов). Однако, после выхода в свет фундаментального исследования Т. Гамкрелдзе и Г. Аничевских "Система согласных в области индоевропейских языков" (1967г.), тема сообщения, подкрепляющее в некотором смысле, концепцию авторов, имеет отношение не в одном только типологическом аспекте.

2. В древнегреческом языке три группы гоморганного частых связных согласных, известные в данном сообщении трехгласники: 1) тригласные:  $\beta \varphi \theta$ , 2) тригласные породоименности  $\delta \rho \tau$  и  $\chi \psi \sigma$  / тригласные родственности:  $\chi \psi \sigma$ , 3) тригласные породоименности:  $\delta \rho \tau$  (родственные) тригласники) тригласные группы:  $\delta \rho \tau$ ,  $\chi \psi \sigma$ ,  $\beta \varphi \theta$ , 3) тригласные породоименности:  $\delta \rho \tau$  и  $\chi \psi \sigma$  и 3) тригласные родственности:  $\delta \rho \tau$ ,  $\chi \psi \sigma$ ,  $\beta \varphi \theta$ . Именно древнегреческий, естественно, не исключая четвертый и пятый факторности тригласных, известных в грузинском ( $\rho \lambda \sigma \rho$ , родственности)  $\delta \rho \tau$ ,  $\chi \psi \sigma$ ,  $\beta \varphi \theta$  и  $\rho \lambda \sigma \rho$ . 3. Языковая ответственность между тригласными др.-греческого и грузинского языков заключается в том, что при одностороннем обмене, язык триглас др.-греческого и грузинского, их некоторым компонентам фактически могут не охватывать друг о другом. 4. О полной тождественности связей звуков разных языков и приходится, конечно, говорить; однако язык не можно осмыслить,

ბერძნულ თანხმოვანთა სამეულებრივი სისტემის შესახებ წევრის დახასიათებისას გიორგი ახვლედიანი იჩენს სიფრთხილეს. შეიძლება ჩაითვალოს თუ არა, რომ ეს წევრი აბრუპტივია. ქართულის მსგავსი თანხმოვანთა აბრუპტივიანი სამეულებრივი სისტემები აქვთ სომხურსა და ოსურს. გიორგი ახვლედიანი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ სხვა არც ერთ ინდოირანულ ენას, რომელიც არ არის გავრცელებული კავკასიის რეგიონში, აბრუპტივები არა აქვს. ერთადერთი ინდოირანული ენა, რომელსაც მოეპოვება სამეულთა სისტემა, არის ქურთული, მაგრამ მას აბრუპტივები არ ახასიათებს. გამონაკლისია მხოლოდ აზერბაიჯანში გავრცელებული ორი მცირე ირანული ჯგუფის ენა — ტალიშური და თათური, რომლებსაც არ შეუთვისებიათ სამეულთა სისტემა. აქედან გიორგი ახვლედიანი აკეთებს დასკვნას, რომ აბრუპტივები უნდა დავაკავშიროთ კავკასიის რეგიონთან, რადგან სწორედ აქ გავრცელებულ ენებს ახასიათებთ ისეთი სამეულებრივი და ოთხეულებრივი სისტემები, რომლებიც აბრუპტივს შეიცავენ. არქივში მოძიებული მასალა აჩვენებს, რომ გ. ახვლედიანი ქმნიდა ისეთი ენების ჩამონათვალს, რომლებიც ასეთ თანხმოვანს შეიცავენ, მაგრამ მან კავკასიის რეგიონში გავრცელებული ენების გარდა სხვაგან თანხმოვანთა ასეთი სისტემა ვერ ნახა (იხ. ქვემოთ მოცემული გვერდი საარქივო მასალიდან). სხვათა შორის, რამდენიმე ჩრდილოკავკასიურ ენაში არ არის აბრუპტივი  $\beta \rho'$ , მაგალითად, ანდიურში, ხუნძურში, ბოთლიხურ და სხვა რამდენიმე ენაში.



სწორედ ამავე პერიოდში გიორგი ახვლედიანი ეცნობა რომან იაკობსონის ნაშრომს ტიპოლოგიური და ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მიმართების შესახებ (იაკობსონი 1963) და სვამს საკითხს, რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ქართულის მსგავს სამეულბერივ კორელაციურ კონებს – რად უნდა ჩაითვალოს ეს: ამ ენათა გენეტიკური ერთიანობის ნიშნად, მათი ურთიერთავსებლის შედეგად თუ უბრალოდ ტიპოლოგიურ მახასიათებლად. ახლა მხოლოდ შეიძლება დაუშვათ, რა განვითარებას მიიღებდა კავკასიური ენათმეცნიერება და საერთოდ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება საბჭოთა კავშირში, რომ ყოფილიყო ცოცხალი ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნის ენათმეცნიერებს შორის.

რომან იაკობსონი, როგორც ჩანს, ახვლედიანის ნაშრომს ქართული და კავკასიური აბრუპტივების შესახებ გაეცნო 1951 წელს ლ. შჩერბასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულის დან, რომელიც ლენინგრადში დაიბეჭდა (ახვლედიანი 1951), მაგრამ გიორგი ახვლედიანს ქართული ენის ბევრითი სისტემის, განსაკუთრებით კი, აბრუპტივი თანხმონების შესახებ გამოქვეყნებული აქვს შრომები 1922–1926 წლებში (იხ. ზემოთ). მოგვიანებით რომან იაკობსონმა დაწერა სპეციალური ნაშრომი აბრუპტივების შესახებ, რომელიც დაიბეჭდა 1968 წელს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ელექტრონული კვლევის ლბორატორიის კვარტალურ ანგარიშში (იგი ინახება მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინ-

სტიტუტის არქივებისა და სპეციალურ კოლექციათა ინსტიტუტში).<sup>4</sup> ამ კვლევის ერთ მოზრდილ ნაწილში იაკობსონი მაღალ შეფასებას აძლევს გიორგი ახვლედიანის წვლილს ქართული და კავკასიური აბრუპტივების კვლევის საქმეში. იაკობსონის ეს წერილი იმავე წელს შევიდა გიორგი ახვლედიანის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კრებულში, ხოლო მოგვიანებით იაკობსონმა იგივე წერილი შეიტანა თავისი შრომების პირველი ტომის მეორე გამოცემაში 1971 წელს. თუ ერთმანეთს შევადარებთ ამ წერილებისთვის დართულ სამეცნიერო ბიბლიოგრაფიას, ვნახავთ, რომ მხოლოდ საქართველოში გამოცემულ წერილშია დამოწმებული გ. ახვლედიანის ქართული შრომები, რომელთაგან სიახლით განსაკუთრებული ღირებულებისაა 1923 წელს თბილისის უნივერსიტეტის მოამბეში გამოქვეყნებული წერილი „მკვეთრნი ხმუნნი ქართულში“. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ელექტრონული კვლევის ლაბორატორიის კვარტალურ ანგარიშში კი მხოლოდ ზოგადი მითითებაა ქართულად დაწერილი ნაშრომების შესახებ (“Severral studies in Georgian”, იაკობსონი 1968:226).

პოლ ფელონი, რომელსაც ეკუთვნის მნიშვნელოვანი ნაშრომი „აბრუპტივების სინქრონული და დიაქრონული ფონოლოგია“ არ მოიხსენიებს გიორგი ახვლედიანს, როგორც აბრუპტივთა მკვლევარს. იგი იცნობს მის ნაშრომს მხოლოდ იაკობსონის წერილიდან აბრუპტივების შესახებ და აღნიშნავს, რომ აბრუპტივების კვლევა ძალიან ფრამენტულად ხდებოდა ევროპაში. აბრუპტივების აღწერა და წარმოება ენათმეცნიერებისათვის ასეულობით წლის მანძილზე დიდი პრობლემა იყო. ფელონის დაკვირვებით, 1661 წელს აბრუპტივები სწორადა აქვს აღწერილი ლუდოლფს (Grammatica Athiopica, a grammar of Amharic) და სპეციალური ნიშნით – აპოსტროფითაც – გადმოსცემს მათ. აბრუპტივთა პირველ მკვლევარად ფელონი ასახელებს დოკს, რომელმაც 1923 წელს გამოაქვეყნა „ზულუს ენის ფონეტიკა“. გასაკვირია, რომ ტრუბეტკოის იდეურმა თანამებრძოლმა და მეცნიერებაში თანამოაზრემ არ იცოდა, რომ კავკასიურ ენებში აბრუპტივების არსებობა უკვე შემჩნეული ჰქონდათ XIX საუკუნის 60-იან წლებში ა. შეგრენს, პ. უსლარსა და ე. ზივერსს. ამ ავტორებს ხშირად ასახელებდა გ. ახვლედიანი „კავკასიურ მკვეთრებზე“ მსჯელობისას, თუმცა იქვე მიუთითებდა, რომ საკითხის მეცნიერული დამუშავება ქართველ ლინგვისტთა დამსახურება იყო (ახვლედიანი 1959). თავის მხრივ, არც გ. ახვლედიანისთვის იყო ცნობილი რომან იაკობსონისა და ნიკოლოზ ტრუბეტკოის შრომები სხვადასხვა ენის ბგერითი სისტემებისა და ზოგადი ფონოლოგიის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური მიზეზების გამო იაკობსონი და ახვლედიანი ერთმანეთის ნაწერებს დაახლოებით ორმოცი წლის დაგვიანებით გაეცნენ, ნ. ტრუბეტკოი კი უფრო ადრე გარდაიცვალა.

<sup>4</sup> ნაშრომის სქოლიოში აღნიშნულია კვლევის დამფინანსებელი მხარეები: “This work was supported by the National Institute of Health (Grant MH-13390-02) and the Joint Services Electronics Programs (U. S. Army, U. S. Navy, and U. S. Air Force) under Contract DA 28-043-AMC-02536(E)”, R. Jakobson, MC 72, Institute Archives and Special collection, MIT Libraries, Cambridge, Massachusetts, Box 18, Folder 18 (იაკობსონი 1968:221)

მოგვიანებით სწორედ გიორგი ახვლედიანის მოწაფემ, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ განავითარა იდეა, რომ წინარე-ინდოევროპული ენის ხშულთა სისტემა სტრუქტურულ-ტიპოლოგიურად მეტად ახლოს არის ხშულთა საერთო-ქართველურ (სამხრეთკავკასიურ) და საერთო-სემიტურ სისტემებთან, რომლებშიც ეს სერიები იდენტური დისტინქტური ნიშნებით ხასიათდება. პირველი წევრია გლოტალიზებული თანხმოვანი, მეორე წევრი მჟღერი, ხოლო მესამე წევრი – ყრუ ფშვინვიერი (გამყრელიძე 2008:556)

საერთო-ინდოევროპული	საერთო-ქართველური	საერთო-სემიტური
$(p') - b^{[h]} - p[h]$	$p' - b - p^{[h]}$	$- b - p^{[h]}$
$t' - d^{[h]} - t[h]$	$t' - d - t^{[h]}$	$t' - d - t^{[h]}$
$k' - g^{[h]} - k[h]$	$k' - g - k^{[h]}$	$k' - g - k^{[h]}$

### ლიტერატურა

S. R. Anderson, *Phonology in the twentieth century: Theories of rules and theories of representations*, Univ. of Chicago Press, Chicago 1985.

**ახვლედიანი 1922-1923:** გ. ახვლედიანი, *მკვეთრი ხშულნი ქართულში*, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 2, უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**ახვლედიანი 1951:** Г. С. Ахвледиани, *Две системы гармоничных смычных в грузинском языке*, Сборник статей памяти Акад. Л. В. Щербы, Ленинград.

**ახვლედიანი 1959:** Г. С. Ахвледиани, *О некоторых основных вопросах фонетики грузинского языка*. Фонетический сборник, I, К 70-летию со дня рождения Г. С. Ахвледиани, Труды кафедры общего языковедения, 3, Тбилисский государственный университет им. И. В. Сталина, Тбилиси.

Г. С. Ахвледиани, Троечная система чистых смычных согласных звуков в дренегреческом и грузинском языках (Предварительное сообщение), ხელნაწერი გიორგი ახვლედიანის არქივიდან, 60-იანი წლები.

**ახვლედიანი 1978:** გიორგი ახვლედიანი: *ბიობიბლიოგრაფია*, მთ. რედაქტორი შ. ძიძიგური, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**ახვლედიანი 1999:** გ. ახვლედიანი, *ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები*, სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**გამყრელიძე და სხვები 2008:** თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შალერი, ნ. შენგელაია, *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**გამყრელიძე 2014:** თ. გამყრელიძე, *გიორგი ახვლედიანი – ახალი ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსი*, რჩეული წერილები და გამოსვლები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**ენძელინი 1914:** И. М. Эндзелин, *Отзыв о медальном сочинении на тему “Очерк истории плавных и носовых согласных в санскрите, греческом, латинском и славянском языках”*, под девизом: «Per angusta ad augusta» / И. М. Эндзелин // Записки Императорского Харьковского университета, Харьков, кн. 1, с. 7-10.

- იაკობსონი 1929:** R. Jacobson, *Remarques sur l'évolution phonologique du russe comparée avec celle des autres langues slaves*, TCLP II, Prague.
- იაკობსონი 1930:** P. Якобсон, *Стандартизованная фонологическая терминология*, TCLP, IV, Prague.
- იაკობსონი 1963:** P. Якобсон, *Типологические исследования и их вклад в сравнительно-историческое языкознание*, Новое в лингвистике, Вып. III, Москва.
- იაკობსონი 1968:** R. Jacobson, *Extrapulmonic Consonants (Ejectives, Implosives, Clicks)*, Research Laboratory of Electronics, Massachusetts Institute of Technology, Quarterly Progress Report, July 15, R. Jakobson, MC 72, Institute Archives and Special collection, MIT Libraries, Cambridge, Massachusetts, Box 18, Folder 18.
- იაკობსონი 1968ა:** R. Jacobson, *Extrapulmonic consonants: ejectives, implosives, clicks*, To Honour Giorgi Akhvlediani, Essays on the occasion of his eightieth birthday, Georgian Academy of Sciences, Tbilisi.
- იაკობსონი 1971:** R. Jacobson, *Extrapulmonic consonants: ejectives, implosives, clicks*, Selected Writings: Phonological studies, 2nd edition, p. 720-727
- იაკოვლევი 1928:** Н. Ф. Яковлев, *Математическая формула построения алфавита*, в сборнике: Культура и письменность Востока, I, М.
- როგავა 1943:** Г. Рогава, *Четвертичная система смычных в адыгейских языках*, Сообщения АН Груз. ССР, т. IV, №3.
- ტრუბეცკოი 1960:** Н. Трубецкой, *Основы фонологии*, Москва.
- ტრუბეცკოი 1969:** N. S. Trubetzkoy, *Principles of phonology*, Translated by Christine A. M. Baltaxe, Univ. of California Press, Berkeley.
- ფელონი 2013:** P. D. Fallon, *The synchronic and diachronic phonology of ejectives*, Outstanding dissertations in Linguistics, Published by Routledge.
- შერბა 1912:** Л. В. Щерба, *Русские гласные в качественном и количественном отношении*, СПб.

*Tinatin Bolkvadze*

## **Correlation Bundles of Consonants**

summary

Evidently, G. Akhvlediani got acquainted with N. Trubetzkoy's study after it had been translated from German into Russian and published in the Soviet Union. Prior to that, G. Akhvlediani developed his idea on the three-member group, or the triad system of Georgian consonants. Presumptions expressed by G. Akhvlediani on the classification of Georgian consonants were set forth in the articles published in 1922-1926 – they were later included in the textbook “Linguistic Propaedeutics and General Phonetics” (1932), and a part of the system of Georgian consonants was published unchanged in his “Principles of General Phonetics”(1999, 2<sup>nd</sup> ed.).

G. Akhvlediani drew particular attention to one of the significant characteristics of the system of Georgian consonants from the very start – it is the availability of voiceless ejective or, voiceless abruptive consonants. The paper deals with Giorgi Akhvlediani's archival data and it also reveals how difficult and sometimes even impossible were the relations between soviet and emigrant linguists.



## ფუძე-ენის რეკონსტრუქცია და მისი ქრონოლოგიური დონეები<sup>1</sup>



1. ფუძე-ენის რეკონსტრუქციის პროცესში, ტიპოლოგიური კრიტერიუმების აუცილებელი გამოყენებით, შეიძლება მოვახდინოთ პოსტულირება ისეთი სტრუქტურებისა, რომლებიც, სავარაუდოდ, არასოდეს არსებობდა სისტემაში თანადროულად, ე.ი. განეკუთვნებოდა ფუძე-ენის განსხვავებულ ქრონოლოგიურ დონეებს. ამის კარგი მაგალითი შეიძლება იყოს „ლარინგალური“ ფონემების პოსტულირების პრობლემა ინდოევროპულ ფუძე-ენაში. ინდოევროპულ ფუძე-ენაში ტრადიციულად, ფერდინანდ დე სოსიურიდან მოყოლებული, ლაპარაკობენ სამი ან მეტი „ლარინგალური“ ფონემის პოსტულირების აუცილებლობაზე, რასაც უპირისპირდება თეზისი ინდოევროპულში ერთადერთი „ლარინგალის“ არსებობის შესახებ. პარადოქსი ის გახლავთ, რომ ეს განსხვავებული თვალსაზრისები შესაძლებელია განვიხილოთ არა ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებად, არამედ ისინი „კომპლემენტარულად“ ჩავთვალოთ და ფუძე-ენის განსხვავებული ქრონოლოგიური პლასტების მახასიათებლებად მივიჩნიოთ.

ინდოევროპულ ფუძე-ენაში, ფერდინანდ დე სოსიურიდან მოყოლებული, შინაგანი რეკონსტრუქციის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ერთადერთი **e-tembris** ხმოვნის რეკონსტრუქცია და მინიმუმ სამი „ლარინგალური“ ფონემის პოსტულირება: **H<sub>1</sub>, H<sub>2</sub>, H<sub>3</sub>**. **e**-ხმოვნის წინმავალ პოზიციაში „ლარინგალები“ განსაზღვრავდნენ ხმოვნის ტემბრს; **e**-ხმოვნის მომდევნო პოზიციაში იგივე „ლარინგალები“ განსაზღვრავდნენ ხმოვნის ტემბრსა და სიგრძეს: **H<sub>1</sub>e→e, H<sub>2</sub>e→a, H<sub>3</sub>e→o ; eH<sub>1</sub>→ē, eH<sub>2</sub>→ā, eH<sub>3</sub>→ō**.

ამგვარად აიხსნებოდა სწორედ განსხვავებული ტემბრის **e, a, o** ხმოვნებისა და მათი „გრძელი“ **ē, ā, ō** კორელატების წარმოშობა ინდოევროპულში (ამგვარი ფონემური ცვლილებების ტიპოლოგიური მაგალითები შესაძლებელია სხვა ენებშიც (მაგალითად, სემიტურში) დავადასტუროთ, რაც ლარინგალური და, საზოგადოდ, უკანა წარმოების ბგერების ფონეტიკური მახასიათებლებით შეიძლება აიხსნებოდეს). მაგრამ როგორ შეუთავსდება ერთმანეთს „სამლარინგალიანი“ ინდოევროპული სისტემა და პოსტულატი ინდოევროპულში ერთადერთი **H** „ლარინგალური ფონემის“ არსებობის შესახებ, რაზედაც თითქოს ხეთური (ანატოლიური) ენის მონაცემები უნდა მიუთითებდეს? საკითხი მარტივად წყდება „შინაგანი რეკონსტრუქციის“ საფუძველზე ინდოევროპულ ფუძე-ენაში განსხვავებული ქრონოლოგიური პლასტების გამოიჯვნით.

<sup>1</sup> იხ. „პერსპექტა“ XXI, 6, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი 2004.

ინდოევროპული ფუძე-ენის ადრეულ ქრონოლოგიურ დონეზე „მინაგანი რე-კონსტრუქციით“ პოსტულირდება **e-tembris** ერთადერთი ვოკალური ფონემა, პარალელურად მინიმუმ სამი „ლარინგალური“ ფონემისა: **H<sub>1</sub>, H<sub>2</sub>, H<sub>3y</sub>** თავდაპირველ ხმოვან ფონემასთან მეზობლობაში (I ეტაპი) აღნიშნული „ლარინგალები“, გარკვეული პერიოდიდან მოყოლებული, იწყებენ ზემოქმედებას თავდაპირველი ხმოვნის ტემბრსა (II ეტაპი) და სიგრძეზე (III ეტაპი), რის შედეგადაც მიიღება განსხვავებული ტემბრისა და სიგრძის **e, a, o** ხმოვნები. ეს პროცესი სქემატურად შემდეგნაირად გამოისახება:



იმ პერიოდიდან, როდესაც თავდაპირველი ერთადერთი ვოკალური ფონემა მის მეზობლობაში მყოფი სამი განსხვავებული „ლარინგალური“ ფონემის გავლენით გადაიქცევა სამ განსხვავებულ **e, a, o** ფონემად, მათ მეზობლობაში მყოფი „ლარინგალები“, შექმნილი დისტრიბუციული მიმართებების გამო, კარგავენ დამოუკიდებელ ფონემურ სტატუსს და გადაიქცევიან ერთადერთი საერთო „ლარინგალური ფონემის“ სამ ფონეტიკურად განსხვავებულ ალოფონად: **/H<sub>1</sub>, H<sub>2</sub>, H<sub>3</sub>/ → /H/ ≈ [H<sub>1</sub>, H<sub>2</sub>, H<sub>3</sub>]**.

ამდენად, II ეტაპი ჩვენს სქემაში ასახავს ინდოევროპული ფუძე-ენის განვითარების იმ ქრონოლოგიურ დონეს, როდესაც სამი „ლარინგალური“ ფონემიდან და ერთი საერთო ვოკალური ფონემიდან გარკვეული ფონეტიკური გარდაქმნების შედეგად მივიღეთ **სამი** განსხვავებული ვოკალური და **ერთი** საერთო „ლარინგალური“ ფონემა. ეს ქრონოლოგიური ეტაპი ასახულია სწორედ ხეთურში (ანატოლიურში), სადაც საერთო „ლარინგალური“ ფონემა წარმოდგენილია ან ველარული სპირანტის სახით, ან სეგმენტური რეფლექსაციის გარეშე; ეს უკანასკნელი ვითარება უნდა ვივარაუდოთ ინდოევროპულ ფუძე-ენაში ანატოლიურის გამოყოფის უშუალოდ წინა პერიოდისთვის. დანარჩენ ისტორიულ ინდოევროპულ ენებში დასტურდება უფრო გვიანდელი, III ქრონოლოგიური ეტაპი, სადაც „ლარინგალი“ უკვე დაკარგულია როგორც სეგმენტური ფონემა, რაც წინა **e, a, o** ვოკალური ფონემების დაგრძელებას იწვევს. ინდოევროპული ფუძე-ენის განვითარების I ეტაპს შეიძლება ეწოდოს **პრე-ინდოევროპული**, ხოლო აქ განხილულ II ეტაპს, ე.ი. იმ ეტაპს, რომელიც ასახავს საერთო-ინდოევროპულ ფუძე-ენას მის ცალკეულ დიალექტებად უშუალოდ დაშლის წინ – **პროტო-ინდოევროპული**.

2. ანალოგიური ქრონოლოგიური დონეები უნდა გავარჩიოთ ქართველურ ფუძე-ენაშიც იმ ფონოლოგიური პროცესების თანმიმდევრული წარმოჩენის მიზნით, რომლებიც პოსტულირებული იყო „ქართველურში“ ისტორიულად დადასტურებული ბგერათფარდობების ასახსნელად.

კერძოდ, საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში სიბილანტურ თანხმოვანთა რეკონსტრუქციის დროს გასარჩევია ფუძე-ენის განვითარების ორი ქრონოლოგიური

ეტაპი – უშუალოდ დაშლის წინა პერიოდი და უფრო ადრინდელი ეტაპი, როდესაც უნდა ვივარაუდოთ სწორედ სამი სიბილანტური რიგის არსებობა:

I	II	III
ს	ს <sub>1</sub>	შ
ზ	ზ <sub>1</sub>	(ჟ)
ც	ც <sub>1</sub>	ჩ
ძ	ძ <sub>1</sub>	ჯ
წ	წ <sub>1</sub>	ჭ

საერთო-ქართველურ სიბილანტურ ფონემათა ამგვარად პოსტულირებული კორელაციური სისტემა (გ. მაჭავარიანი) ჯერ კიდევ ფუძე-ენის წიაღში უნდა გადასულიყო მომდევნო, უფრო გვიანდელ, ფუძე-ენის დაშლის უშუალოდ წინა პერიოდში ჩამოყალიბებულ ქრონოლოგიურ ეტაპზე (დასავლური და აღმოსავლური დიალექტური არეალით), სადაც ამოსავალი სამი სიბილანტური რიგიდან უნდა მიგვეღო: ერთი მხრივ, ორი რიგი და შიშინა ბგერათკომპლექსები (ს, შ, შქ; ზ, ჟ, [ჟგ]; ც, ჩ, ჩქ; ძ, ჯ, ჯგ; წ, ჭ, ჭკ – დასავლურ დიალექტურ არეალში) და, მეორე მხრივ, მხოლოდ ორი – სისინა და შიშინა – რიგი (ს, შ; ზ, [ჟ]; ც, ჩ; ძ, ჯ; წ, ჭ – აღმოსავლურ დიალექტურ არეალში).


საერთო-ქართველური სამი სიბილანტური რიგის ჰიპოთეზისაგან განსხვავებით, თუ ფუძე-ენაში მხოლოდ ორ რიგს და მათთან ერთად თავდაპირველ შიშინა ბგერათკომპლექსებს ვივარაუდებთ (კ. ჰ. შმიდტი, ი. მელიქიშვილი), ე.ი.: ს, შ და შქ; ზ, ჟ და ჟგ; ც, ჩ და ჩქ; ძ, ჯ და ჯგ; წ, ჭ და ჭკ, უნდა დავუშვათ აღმოსავლურ დიალექტურ არეალში, ჯერ კიდევ ფუძე-ენაში, ამგვარი შიშინა ბგერათკომპლექსების მარტივ შიშინა თანხმონებად გადაქცევა (ე.ი.: შქ → შ; ჟგ → ჟ; ჩქ → ჩ; ჯგ → ჯ; ჭკ → ჭ). შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ ფუძე-ენის წიაღში ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი დიალექტური არეალიდან ცალკეული ენობრივი ერთეულების წარმოშობა-განვითარება.

ამგვარად, მსგავსად საერთო-ინდოევროპული ფუძე-ენისა, საერთო-ქართველურშიც შესაძლებელია გამოიყოს ორი ქრონოლოგიური დონე, რომლებიც დახასიათდება, ფუძე-ენაში მომხდარი ფონოლოგიური ცვლილებების თვალსაზრისით, როგორც „პრე-ქართველური“ (სამი სიბილანტური რიგით) და „პროტო-ქართველური“ (სამი სიბილანტური რიგის სათანადო გარდაქმნებით საერთო-ქართველურის დასავლურ და აღმოსავლურ დიალექტურ არეალებში).

შედარებით-ლინგვისტური მონაცემების საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ დასავლური დიალექტური არეალიდან თავდაპირველად სვანურის, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულის, გამოყოფა და განვითარება, რასაც მომდევნოდ „ზანურ-ქართული“ ერთიანობის დაშლა მოჰყვა.

საერთო-ქართველური ფუძე-ენის დაშლის ეს პროცესი შეიძლება ავსახოთ ერთგვარი „გენეალოგიური ხის“ საშუალებით, რომელიც ემყარება გერჰარდ ლეეტერსის მიერ შემოთავაზებულ სქემას (იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტოა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, თბილისი 1965, გვ. 6 და შმდ.). ამასთანავე, ქართველურ

ლური ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონეები და მოგვიანებით ცალკეულ დიალექტურ ჯგუფებად დაშლა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ე.წ. „დერივატიულ-სივრცული მოდელის“ სახით, რომელიც გულისხმობს ტრადიციული „გენეალოგიური ხისა“ და „ტალღების თეორიაში“ მიღებული სავარაუდო დიალექტურ ზონათა ერთგვარ შერწყმას ერთ საერთო  $t$  დროში განშლად დიაგრამად:<sup>2</sup>



**ქართველურ დიალექტთა წარმოგავლობის  
სივრცულ-დერივატიული დიაგრამა  
[ქართველური გენეალოგიური ხე]**

<sup>2</sup> შდრ. ჩვენ მიერ საერთო-ინდოევროპული ენის აღწერისას წარმოდგენილი ამგვარი დიაგრამა (იხ. Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры, Тбилиси 1984, стр. 398-399).

## ქვემდებარის სინტაქსური კალისათვის თანამედროვე ქართულში

ცოცხალ მეტყველებასა და მასმედიის ენაში ყველაზე ადრე ვლინდება ცვლილებები სალიტერატურო ენის სხვადასხვა დონეზე, მათ შორის – გრამატიკულ სისტემაში. როგორც ცნობილია, ეს ცვლილება მას შედარებით ნაკლებად ეხება, მაგრამ მაინც მოსალოდნელია. ენის განვითარების პროცესში საერთო გრამატიკულ სისტემაში ვლინდება ცოცხალ ფორმათა ვარიანტულობა. ამიტომ ყველა ასეთი შემთხვევა უნდა აღინუსხოს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ნორმა შეიცვალოს, რათა აღმოიფხვრას სხვაობა ნორმასა და რეალურ ვითარებას შორის.

ფაქტია, რომ სალიტერატურო ენის განვითარების გათვალისწინება, მისი შედარება ცოცხალ მეტყველებასა და დიალექტებთან საშუალებას გვაძლევს, ახლებურად გაგვიჩვენოს გამოვლენილი „მცდარი“ ფორმები და სათანადო ადგილი დაუკვიდროთ სალიტერატურო ენის გრამატიკულ სისტემაში.

ცნობილია, რომ „სალიტერატურო ენისადმი ნორმატიული მიდგომა მიზნად ისახავს, მიღწეულ იქნეს სალიტერატურო ენის სტაბილიზაცია და მონოლითურობა, მოხდეს ნორმათა უნიფიკაცია ისე, რომ, ერთი მხრივ, ხელი არ შეუშალოს ენის საყოველთაო ფუნქციონირებას, ხოლო, მეორე მხრივ – არ შეჩერდეს ცოცხალი სალიტერატურო ენის განვითარება, რათა დიდად არ გაიზარდოს განსხვავება ზეპირსა და მწიგნობრულ ენას შორის“ (არაბული 2008:30).

ქართული ენის სინტაქსში ერთ-ერთი პრობლემურია ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი, რომელიც საკმაოდ განსხვავებულია ევროპული ენებისაგან. ჩვენს ენაში ბოლომდე არაა გატარებული პრინციპი, რომ მრავლობით რიცხვში დაისვას შემასმენელი მრავლობითში მდგომ ყველა ტიპის ქვემდებარესთან. შეთანხმება დამოკიდებულია არა მარტო ქვემდებარის მრავლობითის ფორმაზე (**ებია-ნია** ის თუ **ნარიანი**), არამედ მის სემანტიკაზე: სულიერ სახელს აღნიშნავს თუ უსულოს, გაპიროვნებულია თუ არა. ცხადია, ეს ასახულია ნორმირების წესებშიც.

ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში ურთიერთობის საკითხი საკმაოდ საფუძვლიანად არის განხილული ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში (კვაჭაძე 1977; კიზირია 1982; ფეიქრიშვილი 1996; გეგუჩაძე 2001 და სხვ.),<sup>1</sup> ზოგ ნაშ-

<sup>1</sup> უშუალოდ აღნიშნულ საკითხს ეძღვნება შრომები: კ. კეკელიძე 1949; ა. კიზირია 1982; 1985; მ. ჩინჩალაძე 1955; ნ. ბასილაია 1956 და 1963; თ. მრეველიშვილი 1959; რ. ლიპარტელიანი 1974; მ. მელიქიძე 1996; თ. უთურგაძე 2008; მ. მაღუაშვილი 2001; 2005 და სხვ. საშუალო ქართულში: ი. რუსაძე 1983; მ. მელიქიძე 1997; ლ. გოზალიშვილი 2001; გურულ დიალექტში – გ. ფუტკარიძე 1987; ფრანგულ ენასთან შეპირისპირებით: ნ. პაპავა 1975 და სხვ.

რომში განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული ნორმალიზაციის წესებზე (შალამბერიძე 1961; არაბული 2008; ზეჟალაშვილი 2004 და სხვ.).

ჩვენ შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ ვითარება ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ლიტერატურული ტექსტების, თარგმანების, ჟურნალ-გაზეთებისა და სამეცნიერო ენის მიხედვით<sup>2</sup> და აქ წარმოვადგენთ დაკვირვების შედეგებს.

განსაკუთრებით საინტერესოა **ეტიანი** მრავლობითით გამოხატული ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვში. როგორც ვიცით, ქართულ ენაში **ეტიან** მრავლობითში შეთანხმების თანამიმდევრული წესი არ გვაქვს. ლ. კვაჭაძე მართებულად აღნიშნავდა: „როცა **ეტიან** მრავლობითში დასმული ქვემდებარე უსულო საგნის სახელია, შემასმენლის რიცხვში შეწყობის მტკიცე წესი არ გვაქვს: ხშირია როგორც შეთანხმების, ისე შეუთანხმებლობის შემთხვევები. თანამედროვე ქართულში ამ მხრივ დიდი რყევაა. ამითაა გამოწვეული, რომ თანაბარ პირობებში ერთი და იგივე ზმნა-შემასმენელი ხან მრავლობითში დგას, ხან მხოლობითში (კვაჭაძე 1977:102). აღნიშნული ტიპის მრავლობითი დღესდღეობით საზოგადოდ ავლენს ტენდენციას, თითქმის ყოველთვის შეითანხმოს ზმნა რიცხვში.<sup>3</sup> ეს შეიძლება განპირობებული იყოს სამეცნიერო-ტექნიკური, მხატვრული და მასმედიის ტექსტების თარგმნის ინტენსიურობითაც უცხოური ენებიდან.

**სინტაქსური ნორმა** ქართულში ასეთია: უსულო საგნის სახელით გადმოცემული ქვემდებარე, რომელიც მრავლობით რიცხვში დგას, ზმნას **ვერ ითანხმებს** რიცხვში:

ხის ტოტები იღეწებოდა (გამს. 2012:104).

აქ მაღალი ფიჭვები იდგა (დოჩან. 1987:82).

ადრე ამ ბაღში ფოთლიანი ხეები იდგა (მორჩ. 2004:82).

კენჭები გამოჩნდა ფსკერზე (დოჩან. 1987:264).

სეტყვასავით წამოვიდა ფუთიანი მუშტები (დოჩან. 1987:270).

ჭიშკრები აჭრიალდა (დოჩან. 1987:255).

მტვერჩამორცხილი სახურავები ჯერ კიდევ გლუვად ბზინავდა მზეზე (დოჩან. 1987:244).

ცეცხლები ენთო ქარისაგან გაფხეკილ გორაზე (ჩოხ. 2007:70).

ხანგრძლივი ომები აღარბებდა ქვეყანას (ისტ. 214).

ომებმა ხანგრძლივი დროით მოულო ბოლო ჩეხეთში გერმანელთა ბატონობას (ისტ. 174).

<sup>2</sup> საილუსტრაციო მასალად გამოყენებულია ქართველ მწერალთა ნაწარმოებები, ჟურნალ-გაზეთების სტატიები (თანამედროვე ქართული ენის კორპუსის – **გეოს** მიხედვით), სხვადასხვა დარგის (მათემატიკური, საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიული, ისტორიული და სხვ.) სამეცნიერო და სასწავლო ტექსტები.

<sup>3</sup> უსულო საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარესთან შემასმენლის შეთანხმება რიცხვში დადასტურებულია დიალექტებშიც (მაგ., ქართლურში: შიგ მაღლა, საცა ქანდარები არიან, ქათმებიც ისხდნენ ხოლმე. კახური: ეს ქვები შავი კირის ქვები არიან. შამობრუნებული წვერები არიან კალათის მანები. იხ. <http://www.mygeorgia.ge>).

**გაპიროვნების** დროს შეთანხმება ჩვეულებრივია (ამ დროს ზმნის გვარს მნიშვნელობა არა აქვს).

**გარდამავალ ზმნებთან:**

*საჯიხვევებმაც შემოიხსნეს* მზის სხივებით მოქარგული ყელსახვევები (ჩოხ. 2007:200).

დაწყნარდნენ მთები, ყვითელი თავ-თმანი *ჩაბოიწეწეს ტყეებმა* (ჩოხ. 2010:173).

*მთები* ბნელ ღამეს ტანზე *იხდიდნენ* (ჩოხ. 2007:198).

*მთებმა* ერთმანეთს რაღაც *გადაურზურულეს* (ჩოხ. 2007:200).

მაღალყელიანი ჩექმების რბილი *ძირები* ნელდ მიწას *გრძნობდნენ* (დოჩან. 1987:425).

**გარდაუვალ ზმნებთან:**

ა. **მელიოპტივებთან:** *პეპლები ცეკვავდნენ* ნათურის გარშემო (ჩოხ. 2010:197).

ალაგ-ალაგ *ვარსკვლავები* ჯოგად *ბრდღვიალებდნენ* (დოჩან. 1987:255).

ღვარიდან *მისრიალებდნენ* ცისფერი *ბაღდადები* (ლეონ. 2010:133).

მომღიმარი *ყვავილები* უმწიკვლო ღვარევი *ელგარებდნენ* (ლეონ. 2010:133).

ბ. **პასივებთან** (და მელიოპასივებთან): *ფოთლები* კვლავ უილაჯოდ *ებლაუჭებოდნენ* მოსასხამზე (დოჩან. 1987:426).

მწყობრად *იდგნენ* დასხმული *ვაზები* (ლეონ. 2010:133).

მთვარის შუქზე ვედრებასავით *იდგნენ* გაძარცული *ტყეები* (ჩოხ. 2010:49).

ზოგჯერ უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელებთან (ერთსა და იმავე წინადადებაშიც კი) შემასმენელი ერთ შემთხვევაში მრავლობითის ფორმაში დგას და მეორე შემთხვევაში – მხოლოობითში:<sup>4</sup>

მწვანედ *აგოროზებულიყვინ* მაღლა წიფელა, რცხილა, მუნა, ცოტათი ზემოთ ფიჭვები *იდგა* (დოჩან. 1987:251).

სალამოს ისევ *მოსწყინდა* სიშიშვლე *მთებს*, შარიშურით *ჩაიცვეს* ბნელი ღამე ტანზე (ჩოხ. 2007:197).

ქვემდებარის სინტაქსური ძალის შესახებ ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში წერდა გ. შალამბერიძე: „არის ტენდენცია, რომ მრავლობითში დასმულ ყოველგვარ ქვემდებარეს შემასმენელი რიცხვში შეეთანხმოს, რაც ზოგ შემთხვევაში ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ამ მხრივ ქართულ ენაში შემუშავებულ წესებს“ (შალამბერიძე 1961:121). თანამედროვე ქართულში კი, განსაკუთრებით – სამეცნიერო-ტექნიკურ და თარგმნილ ტექსტებში, კიდევ უფრო გაძლიერდა ეს ტენდენცია – შემასმენელი ითანხმებს რიცხვში **უსულო საგნის** აღმნიშვნელ სახელებს.<sup>5</sup> ცხადია, ჭარბობს **აქტიური** (გარდამავალი და გარდაუვალი) ზმნები:

<sup>4</sup> ცხადია, მხატვრულ ტექსტებში ძნელია ნორმირების აუცილებლობაზე ლაპარაკი.

<sup>5</sup> ქართული სიტყვის კულტურის საკითხების მე-5 წიგნში ენობრივად არის მიმოხილული საშუალო სკოლის მათემატიკის, ფიზიკის, ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები. ამ წერილებში ყურადღება მიქცეული რიცხვში შეთანხმების საკითხებზეც ქვემდებარე-შემასმენელს შორის: ვიოლა კალანდაძე 1983; თინა ღვინაძე და ვახტანგ ხმალაძე 1983; თამარ ზურაბიშვილი 1983; ცირა კალაძე 1983.

კუთხეს *შეადგენენ* გვერდების ტოლი *სიგრძეები* (მათემ. 397).  
 ბისექტრისები გადაკვეთით ოთხკუთხედს *ქმნიან* (მათემ. 379).  
 სამყაროში არსებული *სხეულები იზიდავენ* ერთმანეთს (ბუნ. 17).  
 ფერს *ქრომოპლასტები განაპირობებენ* (ბუნ. 131).  
*მჟავა-წვიმები* დიდ ზიანს აყენებენ გარემოს (ბუნ. 93).  
 იონიზებული *ატომები შთანთქვენ* და *ასხივებენ* ნეიტრალური ატომებისაგან განსხვავებული ტალღის სიგრძის სხივებს ([http://sc.tsu.ge/articles.php?article\\_id=49](http://sc.tsu.ge/articles.php?article_id=49)).  
 ერთმანეთისგან დამორეზულმა *ატომებმა* ერთმანეთთან კავშირი *შეინარჩუნეს* (24 საათი, 2010).  
 მოლბდენის და მისი ნაერთების *თვისებები* უფრო მეტ მსგავსებას *ამჟღავნებენ* ვოლფრამთან, ვიდრე ქრომთან (<http://www.chemistry.ge/periodictable/view.php?numb=42> ).  
 სპეციალური *მოწყობილობები ამოწმებენ*, ხომ არ არის რობოტის სახსრებში რაიმე ზედმეტი ნივთი (ახალი ვერსია 2003).  
 ჰესის მთავარი *მოწყობილობები ... ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ* (24 საათი 2005).  
 აირტურბინული *დანადგარები* მაქსიმალური ეფექტურობით (46-58%) ელექტროენერგიას *გამომუშავებენ* (24 საათი 2005).  
 ევროპული *სახელმწიფოები* მეტოქის წინააღმდეგ ოსმალეთის გამოყენებას *ცდილობდნენ* (ისტ. 221).  
 ანტიბიოტიკების ნივთიერებათა მოლეკულები... ორგანიზმს მასზე „დაპარაზიტებულ“ მიკროორგანიზმთაგან *დაიფარავენ* (საქართველოს რესპუბლიკა 2009)  
 საბჭოთა *დანადგარები ახშობდნენ* „ისრაელის ხმას“ (მენორა 2004).

**აქტიურ გარდაუვალ** ზმნებთან:

აირის *მოლეკულები* თავისუფლად *მოძრაობენ* (ბუნ. 60).  
 მაღალი გამავლობის ავტომობილებზე დამონტაჟებული *დანადგარები* განუწყვეტლივ *მოძრაობენ*, პოზიციებს იცვლიან (კვირას 2002).  
 პირველ ეტაპზე აღნიშნულ საქვებებში დამონტაჟებული აირტურბინული *დანადგარები იმუშავებენ* ძალურ რეჟიმში (24 საათი 2005).  
*წერტილები მდებარეობენ* ტოლგვერდა სამკუთხედის წვეროებში (მათემ. 353).  
 შესაძლოა, იქ ნახშირბადის *მოლეკულებმა*, წყლის მოლეკულების მსგავსად, მეტეორიტების საშუალებით *შეაღწიეს* (24 საათი 2004).  
 ეკოსისტემაში მოხვედრილმა ქიმიურმა *ნივთიერებებმა* შეიძლება *იმოქმედონ* იქ არსებულ ყველა ცოცხალ ორგანიზმზე ([http://www.nanoarchive.org/12066/1/8\\_273\\_282.pdf](http://www.nanoarchive.org/12066/1/8_273_282.pdf) gv.280).

**პასიურ** (და მედიოპასიურ) ზმნებთან:

*მოლეკულები* თავისუფლად *გადაადგილდებიან* (ბუნ. 15).  
*მანქანები* დაჯახების შედეგად *დეფორმირდებიან* (ბუნ. 42).



მთები ერთმანეთისაგან ასაკისა და რელიეფის ხასიათის მიხედვითაც *გასხვავდება* (გეოგრაფია 2012:98).

*კაკეები* წარმოშობის მიხედვითაც *განსხვავდება* (გეოგრ. 99).

*მიკროორგანიზმები გამოირჩევიან* სწრაფი რეაგირებით (ნანო კვლ., 2013, 8, 273: [http://www.nanoarchive.org/12066/1/8\\_273\\_282.pdf](http://www.nanoarchive.org/12066/1/8_273_282.pdf)).

ყველაზე დიდი ელექტროგამტარობით *ხასიათდება* *ლითონები* (<http://orthodont.ge.com/2012/10/21>).

*კომპოზიტები* ნანოზომის W შემთხვევაში *ხასიათდება* სტრუქტურის ერთგვაროვნებით (<http://gtu.ge/Ctmf/Science/Dissertation/Referat/2013>).

სიმაღლეების *ფუძეები* ერთსა და იმავე წრეწირს *ეკუთვნიან* (მათემ. 387).

კუთხის *სიდიდეები ეკუთვნიან* სხვადასხვა წრეწირს (მათემ. 367).

ნმ *მოლეკულებს „სტკიოდათ“* და ისინი თითქოს უჩიოდნენ თავიანთ ტკივილს (საქართველოს რესპუბლიკა 2001).

სასწავლო *დაწესებულებებს* ხანგრძლივი ისტორია *აქვთ* (ისტ. 292).

ნერვულ *უჯრედებს აქვთ* გრძელი ბოჭკოები (ბუნ. 123).

ბირთვის *პროტონებსა და ნეიტრონებს აქვთ* იგი [სტრუქტურა] ((საქართველოს რესპუბლიკა 2009).

ნანო *ფხვნილებს გააჩნიათ* გამოყენების დიდი პოტენციალი მაღალი ხარისხის მონოკრისტალების, მემბრანების, სინთეზური საიუველირო ქვების და ა.შ. მისაღებად (ნანო კვლ. 2013, 8, 315:

[http://www.nanoarchive.org/12072/1/8\\_315\\_326.pdf](http://www.nanoarchive.org/12072/1/8_315_326.pdf)).

ცოცხალ *ორგანიზმებს შესწევთ* უნარი აღიქვან ნივთიერებათა უფრო მცირე კონცენტრაციები (ნანო კვლ. 2013, 8, 276:

[http://www.nanoarchive.org/12066/1/8\\_273\\_282.pdf](http://www.nanoarchive.org/12066/1/8_273_282.pdf)).

პლანზიდიურ *genebs SeswevT* უნარი აწარმოონ ფერმენტები, რომლებიც ანტი-ბიოტიკის ინაქტივაციას იწვევენ (<http://www.mkurnali.ge/skhvadaskhva/2328-2010-12-25-19-45-49.html?start=1>).

წლების მანძილზე გაურემონტებელი *ენერგობლოკები და დანადგარები* ერთმანეთის მიყოლებით *გამოდიან* მწყობრიდან (საქართველო 2002).

**არის/იყო** ზმნასთან, როგორც შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილთან:

წყლის და ნახშირორჟანგის *მოლეკულები* მჭიდროდ *არიან* ერთმანეთთან და-*კავშირებულნი* (24 საათი 2005).

ცილის მოლეკულაში *ამინომჟავები* სწორხაზოვნად *არიან განლაგებულნი* ([http://biologyabitur.blogspot.com/2010/12/blog-post\\_04.html](http://biologyabitur.blogspot.com/2010/12/blog-post_04.html)).

ტრანსფორმატორები და სხვა დენმიმღები *დანადგარები არ არიან მიერთებულნი* დამიწების კონტურებთან (24 საათი 2004).

ამ დროისათვის ებრაელთა საზენიტო *დანადგარები* სრულ მზადყოფნაში *იყვნენ* და სიგნალს ელოდნენ (კვირას 2003).

წინ ჩამოთვლილ ქვემდებარებთან (მოლეკულები, ატომები, ელექტრონები, ნეიტრონები, დანადგარები და სხვ.) შემასმენელი ხშირადაა **შეუთანხმებელიც**:

ნახშირორჟანგის *მოლეკულები* დედამიწის გაცივებას ხელს *უშლის* დედამიწიდან გამოსხივებული ინფრაწითელი ფოტონების შთანთქმის გამო (საქართველოს რესპუბლიკა 2009).

მესამეს დაშლას კი მხოლოდ სწრაფი *ნეიტრონები იწვევს* (24 საათი 2006). *ელექტრონებს* სტრუქტურა არ *გააჩნია* (საქართველოს რესპუბლიკა 2009). მეცნიერთათვის ცნობილი ატომების (უფრო ზუსტად – ელემენტების, რომელთა *ატომებიც* გარემო სამყაროს *ქმნის*) სია შესაძლოა მოიძებნოს მენდელეევის ცხრილში (საერთო გაზეთი 2010).

ზოგჯერ შემასმენელს მრავლობითში ვხვდებით **კრებით**<sup>6</sup> სახელებთანაც. ამ შემთხვევაში უგულებელყოფილია სახელის ფორმა და უპირატესობა ეძლევა შინაარსს, რომელიც გავლენას ახდენს ფორმაზე (ე.წ. **სინეზისის** შემთხვევა):<sup>7</sup>

ეს *ხალხი* მართლა პატიოსნად და უანგაროდ *ემსახურებოდნენ* ქართულ ფეხბურთს (11x11 2001).

აქ იკრიბებიან ადრე დილიდან მილეითის *ხალხი* (<http://imogzaure.ge/?p=3103>).

რიცხვში შეთანხმება ზოგჯერ გვაქვს მაშინაც, როცა ქვემდებარე **ორცნებიანი კომპოზიტია**, ამასთან, როგორც სულიერი, ისე უსულო საგნის აღმნიშვნელი სიტყვა. ამ ტიპის დარღვევა უფრო გავრცელებულია ცოცხალ მეტყველებაში, მაგრამ ხანდახან გვხვდება სამეცნიერო და თარგმნილ ტექსტებშიც (ნაკლებად – მხატვრულ ლიტერატურაში):

დღეს, ალბათ, *და-ძმა* უკვე ერთად *არიან* (საქართველოს რესპუბლიკა 2005).

*და-ძმა* ყოველდღე მოწყალებით შეგროვებულ თანხას დედას *აძლევენ* (ახალი ვერსია 2003).

*და-ძმა* სწავლის დასრულების შემდეგ სალონის გახსნაზე *ოცნებობენ* (კახეთის ხმა 2005).

ჩემი *და-ძმა* ჯერ კიდევ სკოლაში *დადიოდნენ* (ახალი თაობა 2005).

*დედ-მამა* კი ალბათ გაზაფხულისთვის *მესტუმრებიან* (11x11 2003).

გიგოს ავადმყოფი *დედ-მამა* ზამთრის სიბნელეში ცივ ღუმელზე *სხედან* (ლიტერატურული საქართველო 2002).

მაგრამ მათ ნაცვლად რძლის *დედ-მამა* *ჩამოვიდნენ* (ახალი ივერია, 2002).

### **შედგენილ შემასმენელთან:**

ჩემი *და-ძმა* ლტოლვილები *არიან* (საერთო გაზეთი 2010).

იმისი *დედ-მამა* პედაგოგები *იყვნენ* (გურია-ნიუსი 2005).

უფროსი *და-ძმა* სკოლის მოსწავლეები *იყვნენ* (დილის გაზეთი 2001).

უწინასწარმეტყველა მას, რომ მისი *დედ-მამა* მომავალში მონაზვნები *გაზღებოდნენ* (ახალი თაობა 2005).

<sup>6</sup> უნდა ითქვას, რომ მსგავსი მაგალითი ძალზე ცოტა დასტურდება პუბლიცისტურ და სამეცნიერო ტექსტებში.

<sup>7</sup> სინეზისის შესახებ იხ.: მალუაშვილი 2001 და 2005.

ცხადია, **სინეზისი**, შემასმენლის შეთანხმება რიცხვში ქვემდებარესთან შინა-არსის მიხედვით (ორცნებიან კომპოზიტებთან, კრებითს სახელებთან და სხვ.), ნორმის დარღვევაა, რადგან ეწინააღმდეგება ქართულ ენაში საუკუნეების განმავლობაში შემუშავებულ წესებს. ის არც სხვა ენებში მიიჩნევა მართებულად.

როგორც ვხედავთ, ქართული ენის სინტაქსში ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმება, რადგან ბოლომდე არაა გატარებული ფორმალური შეთანხმების წესი (ანუ მრავლობითში მდგომ ყველა ტიპის ქვემდებარესთან შემასმენლის დასმა მრავლობით რიცხვში). შეთანხმება დამოკიდებულია არა მარტო ქვემდებარის მრავლობითის ფორმანტზე, არამედ მის სემანტიკაზე: სულიერ სახელს გამოხატავს ის თუ უსულოს, გაპიროვნებულია თუ არა.

როგორც განხილული მაგალითები მოწმობს, ცოცხალ მეტყველებაში, სამეცნიერო, პუბლიცისტურ ტექსტებსა და თარგმანებში მომრავლებულია ნორმისაგან განსხვავებული შემთხვევა, რითაც ნათლად ჩანს, რომ გაზრდილია **ებიან** მრავლობითში მდგომი სუბიექტის სინტაქსური ძალა. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა შემასმენლის შეთანხმება უსულო საგნის სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან სამეცნიერო-ტექნიკურ და პუბლიცისტურ ტექსტებში იმ შემთხვევებშიც, როცა გაპიროვნება არაა.

სპეციალურ ლიტერატურაში ადრეც იყო შენიშნული აქტიურ ზმნებთან რიცხვში შეთანხმების გახშირება, მაგრამ ასეთი მაგალითები არც პასიურ ზმნებთანაა იშვიათი (მაგ., *მოლეკულები* თავისუფლად გადაადგილებიან. *სამკუთხედები შეადგენენ. ვაკეები წარმოშობის მიხედვითაც განსხვავდებიან*. ამის გამო *მდინარეები აღიღდნენ*). ვფიქრობთ, ამ ტიპის შეთანხმება არ უნდა მივიჩნიოთ სინტაქსური ნორმის დარღვევად, არამედ ესაა ქართული ენის სინტაქსურ სისტემაში გარკვეული ცვლილების გამოვლენა.

## **ლიტერატურა**

- არაბული 2008.** ა. არაბული, *ქართული მეტყველების კულტურა*, მე-2 გამოცემა, თბილისი.
- ბასილაია 1956.** ნ. ბასილაია, *შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან რიცხვში*, სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 9, სოხუმი, გვ. 309-345.
- ბასილაია 1963.** ნ. ბასილაია, *შედეგნილი შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან*, სკოლა და ცხოვრება, 8, გვ. 43-50.
- გვეუჩაძე 2010.** ლ. გვეუჩაძე, *ქართული ენა. სინტაქსის საკითხები* (რედ. გ. გოგოლაშვილი), თბილისი.
- გოზალიშვილი 2001.** ლ. გოზალიშვილი, *რიცხვური შეთანხმების საკითხები თეიმურაზ II-ის ენაში*, შრომები, თსუ სიღნაღის (კახეთის) ფილიალი, 3, გვ. 118-123.
- ზექლაშვილი 2004.** რ. ზექლაშვილი, *ქართული მართლწერის საკითხები* (რედ. რ. ქურდაძე), თბილისი.

- ზურაბიშვილი 1983:** თ. ზურაბიშვილი, *საშუალო სკოლის ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოთა ენობრივი მიმოხილვა*, ქსკს, 1983, V, გვ. 263-294.
- კალანდაძე 1983:** ვ. კალანდაძე, *საშუალო სკოლის მათემატიკის სახელმძღვანელოთა ენობრივი დახასიათება*, ქსკს, V, გვ. 206-244.
- კალაძე 1983:** ც. კალაძე, *საშუალო სკოლის გეოგრაფიის სახელმძღვანელოთა ენობრივი დახასიათება*, ქსკს, V, გვ. 295-316.
- კეკელიძე 1949:** მ. კეკელიძე, *სახელისა და ზმნის შეთანხმება რიცხვში*, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 2, თბილისი, გვ. 27-35.
- კვაჭაძე, 1977:** ლ. კვაჭაძე, *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი*, მე-2 შესწ. გამოცემა, თბილისი.
- კიზირია 1955:** ა. კიზირია, *-ებ ნიშნიანი მრავლობითი რიცხვის სინტაქსური ძალი-სათვის ძველ ქართულში*, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 7, თბილისი, გვ. 35-40.
- კიზირია 1982:** ა. კიზირია, *მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში*, თბილისი.
- კიზირია 1985:** ა. კიზირია, *ობიექტის მიერ ზმნის შეთანხმება მრავლობით რიცხვში თანამედროვე ქართულში*, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 24, თბილისი, გვ. 100-112.
- ლიპარტელიანი 1974:** რ. ლიპარტელიანი, *ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების სწავლებისათვის*, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 3, გვ. 47-49.
- მადუაშვილი 2001:** მ. მადუაშვილი, *სინეზისი ქართულში (წინადადების წევრებს შორის რიცხვში შეთანხმების საკითხი ქართულ ზეპირმეტყველებასა და სამწერლო ენაში)*, ინტელექტი, 1(21), თბილისი, გვ. 35-40.
- მადუაშვილი 2007:** მ. მადუაშვილი, *სინეზისი ქართულში*, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები. ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, პირველი კრებული, თბილისი, გვ. 70-77.
- მელიქიძე 1996:** მ. მელიქიძე, *მრავლობითი რიცხვის სახელობითი მდგარი ობიექტის მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმება შერწყმულ და რთულ წინადადებებში*: საენათმეცნიერო ძიებანი, 5, თბილისი, გვ. 169-178.
- მელიქიძე 1997:** მ. მელიქიძე, *ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის პრინციპები საშუალო ქართულში*, საკანდ. დისერტაცია, თბილისი.
- მრეველიშვილი 1959:** თ. მრეველიშვილი, *ქვემდებარის და შემასმენლის ურთიერთობის შესახებ რუსულ და ქართულ ენებში*, კომუნისტური აღზრდისათვის, №8, თბილისი, გვ. 33-43.
- პაპავა 1975:** ნ. პაპავა, *ფრანგული ქვემდებარე და მისი შეპირისპირება ქართულ ქვემდებარესთან*, საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები, ტ. 2, თბილისი, გვ. 305-311.
- რუსაძე 1983:** ი. რუსაძე, *სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების საკითხი ქართულ საერო ლიტერატურის ძეგლებში (XII-XVIII სს.)*, საკანდ. დისერტაცია, თბილისი.
- უთურგაძე 2008:** თ. უთურგაძე, *სახელთა მრავლობითი რიცხვი ქართულში*, ქართველოლოგია, 1, თბილისი, გვ. 11-21.

**ფეიქრიშვილი 1996.** ჟ. ფეიქრიშვილი, *ქართული ენის სინტაქსი (სალექციო კურსი)*, ქუთაისი.

**ფუტკარიძე 1987.** გ. ფუტკარიძე, *რიცხვში შეთანხმების საკითხები ქართული ენის გურულ დიალექტში*, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 125 (3), თბილისი, გვ. 653-655.

**ღვინაძე, ხმალაძე 1983.** თ. ღვინაძე, ვ. ხმალაძე, *საშუალო სკოლის ფიზიკის სახელმძღვანელოთა ენის ზოგი საკითხი*, ქსკს, V, გვ. 245-262.

**შალამბერიძე 1961.** გ. შალამბერიძე, *ქართული მართლწერა*, მე-2 გადამუშ. გამოცემა, თბილისი.

**ჩინჩალაძე 1955.** მ. ჩინჩალაძე, *ქვემდებარე-შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობა ქართულში და მისი სწავლება რუსული სკოლის XI კლასში*, ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხები სკოლაში, 8, თბილისი, გვ. 60-78.

### **წყაროები**

**დოჩან. 1987.** გ. დოჩანაშვილი, *მოთხრობები*, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი, 630გვ.

**ლეონ. 2010.** გ. ლეონიძე, *ლექსები*, თბილისი.

**მორჩ. 2004.** ა. მორჩილაძე, *ვეშაპი მადათოვზე*, ბაკურ სულაკაურის გამომცემა, თბილისი, 235 გვ.

**ჩოხ. 2007.** გ. ჩოხელი, *თხზულებანი ხუთ ტომად*, ტ. 1, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 508გვ.

**ბუნ. 2012.** რ. ქანთარია, ლ. ჩიჩუა, გ. ანდრონიკაშვილი, მ. სეხნიაშვილი, მ. ჯალიაშვილი, *ბუნებისმეტყველება*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

**გეოგრ. 2012.** მ. ბლიაძე, გ. ჭანტურია, დ. კერესელიძე, *გეოგრაფია*, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი.

**ისტ. 2012.** გ. სანიკიძე, ლ. გორდენიანი, დ. ფირცხალავა, *ისტორია*, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი.

**მათემ. 1986.** დ. ავაზაშვილი, *მათემატიკის ამოცანათა კრებული*, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 639გვ.

**გაზეთები (2003-2013წწ.):** „ახალი ვერსია“, „ახალი თაობა“, „ახალი ივერია“, „გურია-ნიუსი“, „დილის გაზეთი“, „კახეთის ხმა“, „კვირას“, „მენორა“, „ლიტერატურული საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „საერთო გაზეთი“, „საქართველო“, „24 საათი“, 11x11 (დამოწმებულია გეკოს მიხედვით).

**ჟურნალები:** „არილი“, სამეცნიერო ჟურნალი „ნანო სტუდია“ (Nano Studies).

### **ინტერნეტრესურსები**

**გეკო** – თანამედროვე ქართული ენის კორპუსი:

<http://iness.uib.no/gekko/concordance>

<http://www.mygeorgia.ge/>

<http://www.lingua.ge/normalizacia.html>

<http://www.nanoarchive.org>  
<http://www.mkurnali.ge/skhvadaskhva/2328-2010-12-25-19-45-49.html?start=1>  
[http://biologyabitur.blogspot.com/2010/12/blog-post\\_04.html](http://biologyabitur.blogspot.com/2010/12/blog-post_04.html)  
[http://sc.tsu.ge/articles.php?article\\_id=49](http://sc.tsu.ge/articles.php?article_id=49)  
[http://www.chemistry.ge/periodic\\_table/view.php?numb=42](http://www.chemistry.ge/periodic_table/view.php?numb=42)  
<http://orthodontge.com/2012/10/21>  
<http://gtu.ge/Ctmf/Science/Disertation/Referat/2013>

*Rusudan Zekalashvili*

## **To the Syntactical Strength of the Subject in Modern Georgian**

### Summary

One of the most important and problematic issues of Modern Georgian Syntax is the agreement of the subject and the predicate in number. This differs from the analogous phenomenon in the European languages. The principle of agreement based on the noun form, which implies that predicate should be plural with all subjects in plural, is not always maintained in Georgian. Agreement depends not only on the presence of any kind of plural formants in subject (**-eb** or **-n**), but on its semantics as well: is the subject animate or inanimate, personalized or not. Certainly, it is reflected in the syntactic norms of the Georgian literary language.

In active speech, in scientific and publicistic literature, and in translations, recently many cases of deviation from the norm have been evidenced, which clearly shows the growth of the syntactic strength of subjects in plural, with the formant **-eb**. In scientific and technical books it has become normal to use the agreement of the subject and predicate in plural, when the subject is represented by an inanimate noun. It has already been noticed in the linguistic papers that such agreement is especially frequent with the **active** voice verbs (and with medio-actives as well), but observations confirm that the examples of such agreement are not seldom with the **passive** verbs either (e.g. *“molekulebi tavisuplad gadaadgildebian”* [Molecules are moving swiftly]; *“vaḗebi ḗarmoḗobis mixedvit gansxvavdebian”* [plains differ by origin]; *“mankanebi depormirdebian”* [machines undergo deformation]). Normally, in Georgia, predicates should not agree in number with those inanimate subjects.

In my opinion, such types of agreement should not be considered violations of the syntactic norm but rather the facts of changes taking place in the historically formed syntactic system.

As for **synesis**, agreement in number between the subject and predicate is based on the meaning (with the subjects expressed by the **two-notion composites** such as *“da-ḗma”* [brother and sister], or *“ded-mama”* [mother and father]), also with the subjects expressed by the **collective** nouns (such as *“xalxi”* [people]) – such cases of agreement in number are inconsistent with the syntactic rules developed through many years and are considered violations of the norm.

## ზმნისწინები მეგრულში

### 1. შესავალი

ენობრივ სისტემაში სივრცის სტრუქტურირება და სივრცულ მიმართებათა ასახვა ზმნისწინების მეშვეობით ხდება. ზმნისწინთა სისტემა მეგრულში რთულია. სივრცეში მიმართულებისა და ორიენტაციის გარდა, მეგრულში ზმნისწინების საშუალებით გამოიხატება მოქმედების მიმდინარეობის შედარებით სრული სურათი. ყოველი ზმნისწინის მიერთება ზმნურ ფუძესთან იმდენად მრავალფეროვან სემანტიკურ ვარიაციებს იტევს, რომ კონკრეტული მნიშვნელობები ცალკეულ მაგალითებსა და კონტექსტებშია საძიებელი. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმ რთულ ფონეტიკურ პროცესებს, რომლებიც ზმნისწინთა დართვას ახლავს მეგრულში, შეგვიძლია ამ შემთხვევაშიც გავიმეოროთ ა. შანიძის აზრი, გამოთქმული ქართული ენის ზმნისწინთა სისტემასთან დაკავშირებით: „... იმდენად მრავალფეროვანია წარმოქმნის ნიუანსები ზმნისწინთა გამოყენების საკითხში, რომ შეუძლებელია, სპეციალური გამოკვლევის გარეშე, აღინუსხოს, თუნდაც მიახლოებით, ძირითადი ხაზები ამ საკითხში“ (შანიძე 1980:253).

*აგებულების* მიხედვით ზმნისწინები მეგრულში ორგვარია: *მარტივი* და *რთული*. ზმნისწინთა ძირითადი *ფუნქციები*: 1. გეზისა და ორიენტაციის აღნიშვნა სივრცეში; 2. ასპექტის წარმოება, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია მომავალი დროის გამოხატვასთან; 3. ახალი ზმნური ფუძეების წარმოქმნა.

ზოგადად, მეგრულში ზმნურ ფორმაში მორფმათა რანგობრივი დალაგება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემის სახით:

ST-PRV-IMP-S1,S2/01,02-CV-(R)-PASS/CAUS/POTN-ThM-SCR-S3-PL-PTC

სადაც გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები:

ST – მტკიცებითი (კო-, გა-) ან უარყოფის (ვა-) ნაწილაკები;

PRV – ზმნისწინი: მარტივი ან რთული;

IMP – იმპერფექტის პრეფიქსი ((თ) მ + ხმოვანი);

S – სუბიექტური პირი;

O – ობიექტური პირი;

CV – მატევეარი ხმოვნები (ა-, ი-, უ-): ქცევის, გვარის, კონტაქტის, პოტენციალისის პრეფიქსული ნიშნები;

R – ძირი;

PASS – ვნებითი;

CAUS – კაუზატივი;

POTN – პოტენციალისი;

- ThM – თემის ნიშანი;
- SG – მხოლოდითი რიცხვი;
- PL – მრავლობითი რიცხვი;
- PTC – ნაწილაკი.

ყოველი კონკრეტული ზმნური ფორმა განისაზღვრება ზმნურ კატეგორიათა სხვადასხვა კომბინაციის საფუძველზე. მაგალითად:

- (1) ვა- გილა- მა- გ- ო- დვ- ან- ს  
 ST(უარყოფის)- PRV- IMP- O2- CV- R(დება)- ThM S3.SG  
 „(ის) არ დადებს მას შენზე (შენს მხარზე)“.

## 2. მარტივი ზმნისწინი მეგრულში

მეგრულში მარტივი ზმნისწინები ერთმარცვლიანები არიან და უმეტეს შემთხვევაში ქართულიდან ნასესხობებს ან ქართული შესაბამისი ფორმების ფონოლოგიურ შესატყვისობებს წარმოადგენენ.

### 2.1 მარტივი ზმნისწინის ფონოლოგიური სტრუქტურა

მარტივი ზმნისწინი მეგრულში ფონოლოგიური სტრუქტურის მიხედვით არის V ან CV ტიპისა:

a. V ტიპი:

- (2) ა- (ქართული ნასესხობა)  
 ა- ზვალ- ამა „შეხვედრა“  
 PRV- ზვედრ- MSD<sup>1</sup>  
 ა- რდ- ება „აგდება“ (აბუჩად)  
 PRV- გდ- MSD  
 ა- რიდ- ება „არიდება, აცილება“  
 PRV- რიდ- MSD

(3) ო- (ფონოლოგიურად შეესატყვისება ქართულ ა-ს)

- ო- ჭოფ- უ „დაიჭირა“  
 PRV- ჭერ- S3.SG

(4) ე- (სემანტიკურად ქართული ა- ზმნისწინის ფარდი)

- ე- სხაპ- უა „ახტომა“  
 PRV- ხტ- MSD  
 ე- ჯინ- ა „ზევით ახედვა“  
 PRV- ხედ- MSD  
 ე- დირთ- უ „ადგა“  
 PRV- დგ- S3.SG

<sup>1</sup> MSD-ით აღინიშნება მასდარის მაწარმოებელი სუფიქსი.



b. CV ტიპი:

(5) გა- (ქართული ნასესხობა)

გა-	თ-	ება	„გათაეება“
PRV-	თავ-	MSD	
გა-	კეთ-	ება	„კეთება“ (მთელი ფორმა ქართული ნასესხობაა)
PRV-	კეთ-	MSD	
გა-	ჭყორ-	ღ-	უ „დაავიწყდა“
PRV-	ღავიწყ-	SCR	S3.SG

(6) გო- (ფონოლოგიურად შეესატყვისება ქართულ გა- ზმნისწინს)

გო-	ჭყვიდ-	უა	„გაწყვეტა“
PRV-	წყვიტ-	MSD	
გო-	ხოფ-	უა	„გახევა“
PRV-	ხევ-	MSD	
გო-	კვათ-	უ	„გაკვეთა“
PRV-	კვეთ-	S3.SG	

(7) გე- (სემანტიკურად შეესატყვისება ქართულ ა- და და- ზმნისწინებს)

გე-	სხაპ-	უა	„დახტომა“ (რამეზე)
PRV-	ხტ-	MSD	
გე-	ზიმ-	აფა	„დამიზნება“
PRV-	მიზნ-	MSD	
გე-	ჭოფ-	უ	„აილო“
PRV-	ღ-	S3.SG	

(8) და- (ქართული ნასესხობა)

და-	რკ-	ება	„დაკლება“
PRV-	კლ-	MSD	
და-	კსნ-	ება	„დაკალება“
PRV-	კავ-	MSD	
და-	გვიან-	ება	„დაგვიანება“
PRV-	გვიან-	MSD	

(9) ღო- (ფონოლოგიურად შეესატყვისება ქართულ და- ზმნისწინს)

ღო-	ცვილ-	უა	„მოკვლა“
PRV-	კლ-	MSD	
ღო-	ჭარ-	უა	„დაწერა“
PRV-	წერ-	MSD	
ღო-	თას-	უ	„დათესა“
PRV-	თეს-	S3.SG	

(10) წა- (ქართული ნასესხობა)

წა-	ულ-	ა	„წახდენა“
PRV-	ხდ-	MSD	
წა-	ცონ-	ება	„წახდენა, გაფუჭება“
PRV-	ხდ-	MSD	
წა-	ა-	გ-	უ „დაკარგა, წაავო“
PRV-	CV-	კარგ-	S3.SG

(11) მე- (მი-) (შდრ. ქართული მი- ზმნისწინი)

მე-	ულ-	ა	„მისვლა“
PRV-	სვლ-	MSD	
მე-	უ-	ლ-	უ „მიაქვს“
PRV-	CV-	ქვ-	S3.SG
მე-	ჭარ-	უ	„მისწერა“
PRV-	წერ-	S3.SG	

(12) მო- (შდრ. ქართული მო- ზმნისწინი)

მო-	ულ-	ა	„მოსვლა“
PRV-	სვლ-	MSD	
მო-	უ-	ლ-	უ „მოაქვს, მოიტანა“
PRV-	CV-	ტან-	S3.SG
მო-	ჭარ-	უ	„მოსწერა“
PRV-	წერ-	S3.SG	

(13) შე- (ქართული ნასესხობა)

შე-	ხვალ-	ამა	„შეხვედრა“ (შდრ. შე-ხვალ-ამა  ა-ხვალ-ამა, „შეხვედრა“ მნიშვნელობით)
PRV-	ხვედრ-	MSD	
შე-	წყორ-	უა	„შერწყმა“
PRV-	რწყმ-	MSD	
შე-	ე-	ხებ-	უ „შეეხო“
PRV-	CV-	ხ-	S3.SG

**2.2 მარტივი ზმნისწინების ძირითადი სემანტიკა**

მარტივ ზმნისწინებს შორის მე- და მო- გამოირჩევიან იმით, რომ ისინი უმეტესად აღნიშნავენ ორიენტაციას მოძრაობისა და გადაადგილების გამომხატველ ზმნებში:

(14) მე- იხმარება მაშინ, როდესაც მოძრაობა მიმართულია სამეტყველო აქტის მონაწილეთა (მოლაპარაკე – მსმენელი, *id.* ინტერლოკუტორები) სივრცე-დან გარეთ, ე.წ. საიქეთო ორიენტაცია, მაგალითად:

მე- ურ- ს „მიდის“ (აქედან – იქით)  
 PRV- სვლ- S3.SG  
 მე- ნურ- უნ- ს „მიცურავს“ (აქედან – იქით)  
 PRV- ცურ- ThM S3.SG

(15) მო- იხმარება მაშინ, როდესაც მოძრაობა პირიქით, სამეტყველო აქტის მონაწილეებისკენ არის მიმართული, ე.წ. სააქეთო ორიენტაცია, მაგალითად:

მო- რთ- უ „მოვიდა“ (იქიდან – აქ)  
 PRV- სვლ- S3.SG  
 მო- ნურ- უნ- ს „მოცურავს“ (იქიდან – აქეთ)  
 PRV- ცურ- ThM S3.SG

ყველა სხვა მარტივი ზმნისწინის სემანტიკის ცალსახად განსაზღვრა იოლად ვერ ხერხდება და სამომავლო კვლევის საგანია. მხოლოდ რამდენიმე მათგანი გვიჩვენებს მოძრაობის მიმართულებას:

(16) ე-  $\uparrow$  მოძრაობა მიმართული ქვევიდან, ზედაპირიდან ზევით:

ე- ჭოფ- უ „აიღო“  
 PRV- ღ- S3.SG  
 ე- სხაპ- უა „ახტომა“  
 PRV- ხტ- MSD

(17) გე-/ღო-  $\downarrow$  მოძრაობა მიმართული ზევიდან ქვევით, ზედაპირისკენ:

გე- ხ- უნდა „დაჯდომა“  
 PRV- ჯდ- MSD  
 გე- ჯინ- ა „დახედვა“  
 PRV- ხედ- MSD  
 ღო- ნთხ- აფა „დაცემა, დავარდნა“  
 PRV- ცემ- MSD  
 ღო- ხუნ- აფა „დადება, დასმა“  
 PRV- ღ- MSD

(18) გო-  $\bigcirc \rightarrow$  მოძრაობა ზედაპირზე, მიმართული შიგნიდან გარეთ:

გო- სხაპ- უა „გახტომა“  
 PRV- ხტ- MSD  
 გო- ტ- ება „გასვლა, გაშვება“  
 PRV- სვლ- MSD

როგორც წესი, ნასესხები ზმნისწინები შედარებით იშვიათია და თითქმის არ იხმარებიან მოძრაობისა და გადაადგილების ზმნებთან.

### 3. რთული ზმნისწინები

რთული ზმნისწინები ორმაცვლიანია, მაგალითად:

- (19) ე+კო-ნწურუნს „მოცურავს აქეთ (ნაპირისკენ)“  
ე+ლა-განს „არჭობს, ასობს რალაცას რალაცაში“  
გო+მო-რაგვაფა „გამოვდება“  
მი+და-ტყობუნს „გაპარვა მალულად“

რთული ზმნისწინები მეგრულში გაცილებით მეტია, ვიდრე ქართულში. ისინი წარმოქმნილია მარტივი ფორმებიდან და მათი სტრუქტურული ფორმულა ასეთია:

- (a) ტიპი: მარტივი ზმნისწინი + ლოკაციის ნაწილაკი (ე+კო-ნწურუნს, ე+ლა-განს და სხვ.);  
(b) ტიპი: მარტივი ზმნისწინი + მარტივი ზმნისწინი (გო+მო-რაგვაფა, მი+და-ტყობუნს და სხვ.).

ზმნისწინებს შეიძლება დაერთოს ლოკაციური ნაწილაკები კო-, წო-, თო-, ნო-, ლა-, შა-, რომელთაც შემდეგი მნიშვნელობები აქვთ:

კო- „რალაცის, რაიმეს ნაპირას, კიდეზე, ახლოს“, მაგ.: მი-კო-რე „რალაცის ნაპირას, კიდეზე დგას“; მი-კო-ბუ „ჰკიდია, მიმდგარია (კედელზე)“; ე-კო-ხე „რალაცის ნაპირას, პირას, კიდეზე ზის“; მი-კო-ხუნა „მიჯდომა კედელთან, კუთხეში ჯდომა“; ე-კო-ძუ „რალაცის კიდეზე, ნაპირზე ძევს“ და სხვ.

წო- „რაიმეს წინ“, მაგ.: მი-წო<sup>2</sup>-რე „რალაცის წინ დგომა“; მი-წო-ძუ „რალაცის წინ ძევს“; მი-წო-ხე „რალაცის წინ ზის“; მი-წო-ქოთამა „წამოვდება თვალისა, დაბეზდება, წინ დაგდება“ და სხვ.

თო- „რალაცის ქვეშ“ შესაძლოა „ქვემოთ, შიგნით, სიღრმეში“, მაგ.: მი-თო-რე „რალაცის ქვეშ ზის“; ი-თო-ძუ „რალაცის ქვეშ ძევს“; ა-თუ-რე „ქვემოთ უდგას“; მი-თო-ხუნა „შიგნით, სიღრმეში ჯდომა“ და სხვ.

ნო- „რისამე ზედ, ზემოთ ყოფნა“, შესაძლოა „შიგნით, სიღრმეში“, მაგ.: მი-ნო-ხე „ზედ აზის, თავზე აზის“; მი-ნო-ძუ „თავზე აძევს“; დი-ნო-ხუნა „შიგნით ჯდომა“ და სხვ.

ლა- „რალაცის შიგნით“, შესაძლოა „გვერდით, ნაპირას“, მაგ.: მი-ლა-რე „შიგ დგას“; მი-ლა-ხე „შიგ, შიგნით ზის, ოთახში ზის“; ა-ლა-ხუნა „გვერდით ჯდომა“ და სხვ.

შა- „რისამე შორის, შუაში, შიგნით“, მაგ.: მი-შა-რე „იტყვიან სკოლაში ყოფნაზე“; მი-შა-ძუ „რალაცაში დევს“; მი-შა-ხე „შორის ზის“; ა-შა-რინა „შუაში დგომა“; დი-შა-რინა „შორის დგომა“ და სხვ.

მარტივი ზმნისწინების ლოკაციურ ნაწილაკებთან შესაძლო კომბინაციების-თვის იხ. ცხრილი 1:

<sup>2</sup> მიწო- ერთადერთი ზმნისწინია, სადაც დასაშვებია მეტათეზისი – წიმო-, მნიშვნელობის შენარჩუნებით.

მარტივი ზმნისწინების ლოკაციურ ნაწილაკებთან შესაძლო კომბინაციები

მარტივი ზმნისწინები	ლოკაციური ნაწილაკები					
	კო-	წო-	თო-	ნო-	ლა-	შა-
ა-	+	+	+	+	+	+
ო-	+	+	+	+	+	+
ე-	+	+	+	+	+	+
და-	-	-	-	-	-	-
დო-	+	-	+	+	+	+
გა-	+	*	+	*	*	+
გო-	+	+	+	+	+	+
გე-	+	+	+	+	+	+
წა-	-	-	-	-	-	-
შე-	-	-	-	-	-	-
მე-	+	+	+	+	+	+
მო-	+	+	+	+	+	+

ცხრილში „+“ აღნიშნავს რეალიზებულ კომბინაციებს, „-“ – არარეალიზებულ კომბინაციებს, ხოლო „\*“ – რეალიზებულ, თუმცა იშვიათ გამოჩენას.

ცხრილიდან ჩანს, რომ ქართულიდან ნასესხები მარტივი ზმნისწინების კომბინატორული შესაძლებლობები შეზღუდულია: და-, წა-, შე- არ წარმოქმნის (ა) ტიპის რთულ ზმნისწინებს; რამდენიმე ნაწილაკი ემატება გა- ზმნისწინს და წარმოქმნის რთულ ზმნისწინებს, მაშინ როცა სხვა კომბინაციები ძალიან იშვიათია. ნასესხები ზმნისწინებიდან მხოლოდ ა-ს აქვს სრული კომბინატორული შესაძლებლობა ყველა შესაძლო კომბინაციის რეალიზაციისა. იხ. რამდენიმე კომბინაცია ცხრილიდან 1:

(20) ეკო-ხუნა „რაიმეს ახლოს ჯდომა“

დინო-ხუნა<დონო-ხუნა „რაიმეს შიგნით ჯდომა“

მიკო-ხუნა<მეკო-ხუნა „მიჯდომა ვინმესთან/რაიმესთან“

ალა-ხუნა „გვერდით ჯდომა“

გინო-ლაფა<გენო-ლაფა „დაცემა, ჩამოცვივნა“

გეშა-ლაფა „აქროლება“ (ზემოთ)

მიწო-ლაფა<მეწო-ლაფა „ახტომა“ (ზემოთ)

რთული ზმნისწინების (ბ) ტიპი შედარებით მცირერიცხოვანია. აქ მეორე კომპონენტი უმთავრესად არის მო- (ამო-, გამო-, გომო-, გემო-, წომო-, ეს უკანასკნელი ყველაზე იშვიათია). იმავე (ბ) ტიპის მეორე კომპონენტი ასევე შეიძლება იყოს მარტივი და- ზმნისწინი, მაგრამ ძალიან იშვიათად: მხოლოდ მე- და მო- ზმნისწინები კომბინირებენ დო-სთან (მელო-, მოლო-).

ორივე – მარტივი და რთული ზმნისწინები განიცდიან გარკვეულ ცვლილებებს შემდეგი ფონეტიკური წესების მიხედვით:

**წესი 1** – CV ტიპის ზმნისწინებში ხმოვნები შეიძლება ფაკულტატიურად დაიკარგოს, თუ ისინი არ არიან ძირის წინ პირველი და ბოლო პრეფიქსები;

**წესი 2** – მარტივი ზმნისწინების ხმოვნები მე-, გო-, დო- გადადიან ი-ში, რომელიც შეიძლება დაიკარგოს წესი 1-ის მიხედვით: მეკო->მიკო-, გოკო->გიკო-, დოკო->დიკო-;

**წესი 3** – როდესაც ზმნისწინის დამაბოლოებელ ხმოვანს მოსდევს სხვა მაქცევარი ხმოვანი, ადგილი აქვს ხმოვანთა შერწყმას/დაკარგვას მეგრულში მოქმედი შემდეგი ფონეტიკური წესების მიხედვით:

ა+ა>ა	ე+ა>ია	ო+ა>ა
ა+ი>ე	ე+ი>ი	ო+ი>ი
ა+უ>(ა)უ	ე+უ>(ე)უ	ო+უ>უ
ა+ო>ა	ე+ო>იო	ო+ო>ა
ა+ე>ე		

ფონეტიკური ცვლილებების ილუსტრაციისთვის მოცემულია შემდეგი მაგალითები:

- (21) მეწო-ხე>მიწო-ხე (წესი 2) „ზის (რალაცის) წინ“
- (22) ვეძეწო-ხე>ვემიწო-ხე (წესი 2)>ვეძწო-ხე (წესი 1) „არ ზის (რალაცის) წინ“
- (23) მიკო-უხაკუ>მიკუხაკუ (წესი 3) „უკაკუნა, ურტყა (რამეზე, რაიმეს)“
- (24) ქე<sup>3</sup>-მეკო-უხაკუ>ქე-მიკო-უხაკუ (წესი 2)>ქე-მკო-უხაკუ (წესი 1)>ქე-მკუხაკუ (წესი 3) „უკაკუნებდა (რამეზე, რაიმეს)“.

**ცხრილი 2**

რთული ზმნისწინები („\*“ ნიშნით აღნიშნულია იშვიათი ზმნისწინები)

აკო-	აწო-	ათო-	ანო-	ალა-	აშა-	ამო-
ეკო-	ეწო-	ეთო-	ენო-	ელა-	ეშა-	
ოკო-	ოწო-	ოთო-	ონო-	ოლა-	ოშა-	
დოკო-		დოთო-	დონო-	დოლა-	დოშა-	
დიკო-		დითო-	დონო-	დოლა-	დოშა-	
გაკო-	გაწო-*	გათო-	განო-*	გალა-	გაშა-	გამო-
გოკო-	გოწო-	გოთო-	გონო-	გოლა-	გოშა-	გომო-
გიკო-	გიწო-	გითო-	გინო-	გილა-	გიშა-	გიმო-
გეკო-	გეწო-	გეთო-	გენო-	გელა-	გეშა-	გემო-
						წამო-
მეკო-	მეწო-	მეთო-	მენო-	მელა-	მეშა-	მელა-
მიკო-	მიწო-	მითო-	მინო-	მილა-	მიშა-	მილა-
მოკო-	მოწო-	მოთო-	მონო-	მოლა-	მოშა-	მოლა-

<sup>3</sup> ქე- არის მტკიცებითი ნაწილაკი.

როული ზმნისწინების მნიშვნელობის (მაგ., ა-კო, დო-კო და სხვ.) დადგენა ძალიან ძნელია, რადგან იცვლება ლამის ყოველ ზმნურ ძირთან მიმართებაში და საჭიროებს სპეციალურ კვლევას. როული ზმნისწინების მეშვეობით ხდება მოძრაობის მიმართულების და იმავდროულად მოქმედების სივრცეში ლოკაციის ზუსტი დეტერმინაცია, მოქმედების საწყისი და საბოლოო წერტილების, მიმდინარეობის სრული, შეიძლება ითქვას, დინამიკური სურათის დახატვა. ამასთან, როული ზმნისწინების სემანტიკა ყოველთვის შემადგენელ კომპონენტთა ჯამს არ უდრის, თუმცა, რა თქმა უნდა, გვხვდება გამონაკლისებიც – ზოგ ზმნისწინს აქვს რამდენიმე, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი მნიშვნელობა. დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ზმნისწინები კარგავენ დამოუკიდებელ მნიშვნელობას, უერთდებიან ზმნის ფუძეს და მხოლოდ სრულ და უსრულ ასპექტზე მიუთითებენ.

მეგრულში ზმნისწინების მდიდარი სისტემით კომპენსირდება თანდებულების ღარიბი სიმრავლე სახელებთან. თანდებულიანი ფრაზებით ლოკაციის გადმოცემა აქ, განსხვავებით ქართულისაგან (მაგ., მაგიდა-ს-თან, \*კედელ-ს-ზე>კედელ-ზე), თითქმის არ ხდება. მეგრულში როული ზმნისწინების მეორე კომპონენტი ასრულებს იმავე ფუნქციას, რასაც ქართულში თანდებული სახელებთან, ანუ სახელის ფორმის სიმარტივე ასეთ პირობებში ზმნის ფორმის სირთულეს მოასწავებს (ჩიქობავა 1936:130).

ამრიგად, ლოკაციის ნაწილაკები მეგრულის ზმნისწინებში და განსაკუთრებით როულ ზმნისწინებში არიან ფუნქციური დუბლიკატები ქართული თანდებულებისა. მეგრულის ზმნურ კონსტრუქციებში სახელი, რომელთან მიმართებაშიც ლოკაციაა გამოხატული, დგას მიცემით ბრუნვაში, მაგალითად:

(25) ჭუკი-ი                    ხულა-ს                    შქირენ-ით                    ვე-მლა-ცურ-უნ-ი  
თაგვ-NOM                    ბელელ-DAT                    შიმშილ-INST                    არ-PRV-[მოკვდება]  
„თაგვი არასოდეს კვდება შიმშილით ბელელში“.

(26) დიდ-ი                    ქჷა-Ø                    ქი-მლარ-[გინუ-უ]                    ოთახუ-ს  
დიდ-NOM                    ქვა-NOM                    AFF-PRV-გორ-ა                    ოთახ-DAT  
„მან შემოაგორა დიდი ქვა ოთახში“.

რა დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა ზემოთ წარმოდგენილი კვლევა? მასალის შემდგომი დეტალური ანალიზი გამოავლენს და ახსნის მეგრულში ზმნისწინთა სემანტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, ჯერჯერობით კი შეიძლება ითქვას, რომ დამკვიდრებული აზრი მეგრულში 80-ზე მეტი ზმნისწინის არსებობის შესახებ *გადაჭარბებულია*. მეგრულში დადასტურებულ 12 მარტივი ზმნისწინს თუ გამოვაკლებთ ქართულიდან შესულ 5 ზმნისწინს (ა-, გა-, და-, შე-, წა-), გვრჩება საკუთრივ მეგრული 7 მარტივი ზმნისწინი. ვარიანტთა სიუხვე გამოწვეულია მარტივი ზმნისწინებზე მეორე კომპონენტად ლოკაციური ნაწილაკების დართვით, საგარაუდოდ, ზმნიზელური წარმოშობისა.

სივრცის სტრუქტურირებისას ქართულშიც და მეგრულშიც მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან, მოქმელის პოზიციასთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოძრაობის საწყისი და ბოლო პუნქტების აღნიშვნა. ამასთან, თუ ქართული *მიმართულების სიბრტყულ სურათს* გვიხატავს, მეგრულში *სამგანზომილებიანი სივრცითი მიმართებება* წარმოდგენილი: სივრცეში ყოფნაც და მიმართულებაც.

### ლიტერატურა

- რ. ამირეჯიბი-მალენი, ნ. დანელია, ი. ღუნღუა, *კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა*, „უნივერსალი“, თბილისი 2006.
- ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, *თანხმევანთკომპლექსები მეგრულში*, თსუ კრებული „აკაკი შანიძეს“, თბილისი 1981.
- გ. კარტოზია, *ლაზური ტექსტები, II*, „მეცნიერება“, თბილისი 1993.
- მ. ლომია, რ. გერსამია, *მეგრული ტექსტების მორფოლოგიური ანალიზი, I-II*, თსუ, თბილისი 2012.
- ო. ქავჯაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I-IV ტ.*, „ნეკერი“, თბილისი 2001-2009.
- ი. ქობალავა, *გვ- ზმნისწინის მნიშვნელობისათვის მეგრულში*, ენათმეცნიერების საკითხები, 4, თბილისი 2002.
- ა. ქობალია, *მეგრული ლექსიკონი*, „არტანუჯი“, თბილისი 2010.
- ნ. ქუთელია, *ლაზურის ფონემატური სტრუქტურა*, თსუ, თბილისი 2005.
- შანიძე 1980.** ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, III ტ.*, თსუ, თბილისი.
- ჩიქობავა 1936.** არნ. ჩიქობავა, *ჭანურის გრამატიკული ანალიზი*, მეცნ. აკად. გამომც., ტფილისი.
- პ. ცხადაია, *ზოგი ზმნისწინის სადერივაციო ფუნქციის შესახებ ზანურში (მეგრულის მიკროტოპონიმური მასალის მიხედვით)*, *ქართველური ონომასტიკა, IV*, „ინტელექტი“, თბილისი 2010.
- პ. ჭარაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, თსუ, თბილისი 1997.
- მ. ხუბუა, *მეგრული ტექსტები*, მეცნ. აკად. გამომც., ტფილისი 1937.
- I. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (иверского) языка с хресто- мамией и словарем*, Типография Императорской Академии Наукъ, С.-Петербургъ 1914.
- R. Asatiani, *A Dynamic Conceptual Model for the Linguistic Structuring of Space: Georgian Preverbs*, 7th International Tbilisi Symposium on LLC, TbiLLC 2007, Springer-Verlag, Berlin-Heidelberg 2009.
- A. C. Harris, *Mingrelian*, In: *The Indigenous Languages of the Caucasus*, vol. I, *The Kartvelian Languages*, Caravan Books, Delmar N.Y., 1991.



## **Preverbs in Megrelian**

### Summary

The preverb is one of the main tools used to reflect spatial relations defining the direction or location of an action denoted by a verb. The Megrelian preverb system is quite complex. According to their morphological structure, Megrelian preverbs are of two main types: simple and complex. As for their function, they can be used: 1) to show direction (with verbs of motion or movement); to express orientation, indicating whether a motion is oriented either towards or away from the interlocutors; 2) to indicate perfectivity; 3) to add some shade of meaning, i.e. to derive verbs with some new different semantics.

There are 12 simple preverbs in Megrelian. Complex preverbs are formed from the simple ones by adding location particles or some simple preverbs. Sometimes the semantics of a complex preverb is not equal to the mere sum of its components.

The article is descriptive and it only aims at systemizing the variety of preverbs according to their morphological structure. As for the semantics of preverbs, attention is only given to the semantics of the preverbs that occur with verbs of motion or movement. Preverbs in Megrelian, as in other Kartvelian languages, can be present in verb forms including finite forms and deverbal nouns (masdars and particles; the former is an infinite form, actually the name of an action/state denoted by the corresponding verb, carrying the lexical meaning of the verb and having case forms like nouns).

ვლადიმერ ლეკიაშვილი

**ლინგვისტიკა, მათემატიკა და ორგზის  
კომპოზიციური სემანტიკა**

*“Now, don’t disappoint me.  
Choose your words very carefully”.*

*Guy Ritchie,  
“Lock, Stock and Two Smoking Barrels”*

ბუნებრივი ენების სემანტიკის კომპოზიციურობის საკითხს მათემატიკური ლინგვისტიკის სამყაროში დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. სემანტიკის კომპოზიციურობის პრინციპს (მთელის მნიშვნელობა განისაზღვრება შემადგენელთა მნიშვნელობებით და მათი კომბინირების წესით) ინტუციურად სრულიად მისაღებად მიიჩნევენ საკუთრივ ლინგვისტურ სამყაროშიც, თუნდაც არც იყენებდნენ ამ კონკრეტულ ტერმინს. „სამყაროებს“ ამ შემთხვევაში მოდალურ ლოგიკას დაკვესხეთ. ზოგადი წარმოდგენა მაინც რომ შეგვექმნას იმაზე, თუ როგორ ანალიზებს მათემატიკური ლინგვისტიკა, ე.წ. ენის ფილოსოფია თუ საკუთრივ ლინგვისტიკა ბუნებრივი ენების სემანტიკას ზოგადად და კერძოდ, მის კომპოზიციურობის პრინციპს, გამოვიყენებთ ეპისტემურ ლოგიკაში მიღებულ მულტიაგენტურ მოდელს, ოღონდ უმნიშვნელო მოდიფიკაციით და მნიშვნელოვანი გამარტივებით: „შესაძლო სამყაროებს“ გავაიგივებთ აგენტებთან და ე.წ. წვდომის მიმართებას უშუალოდ აგენტებს (ან თანამოაზრე აგენტთა ჯგუფებს) შორის განვსაზღვრავთ. ერთი სიტყვით, „სამყაროებს“ მეტაფორულად გამოვიყენებთ და ვიგულისხმებთ გარკვეულ ინდივიდთა ან ინდივიდთა გაერთიანებისთვის დამახასიათებელ შეხედულებების, ფასეულობების, ცოდნის და ა.შ. სისტემებს. აღვნიშნოთ ლინგვისტური სამყარო  $W_L$ -ით, მათემატიკური  $W_M$ -ით, მათლინგვისტური (ფილოსოფიურ-ლინგვისტური)  $W_{ML}$ -ით, ხოლო ენის მცოდნე, ნაკითხი და თანაც განათლებული კოლექტივი  $W_C$ -ით ( $C$  კულტურის ნიშნად). თანამედროვე, ანუ ოცდამეერთე საუკუნის „წვდომის მიმართება“ კი ასეთი იქნება:  $W_{ML}$ -ს აქვს „წვდომა“  $W_M$ -სთან და  $W_L$ -სთან;  $W_L$ ,  $W_M$  და  $W_C$  კი „თვითკმარი“ სამყაროებია – მათ სხვა სამყაროებთან წვდომა არ აქვთ, ამ სამიდან უკანასკნელი კი იზოლირებულიც არის, მასთან არც სხვა სამყაროებს აქვთ კავშირი. აქ ერთი განმარტებაც უნდა გავაკეთოთ: რადგან ჩვენი „მოდელი“ არა იმდენად ეპისტემური, რამდენადაც ლოქსასტური, ანუ რწმენაზე დამყარებულია, ზემოხსენებულ სამყაროთაგან თითოეულს შესაძლოა ღრმად სწამდეს, რომ აქვს წვდომა  $W_C$ -სთან, მაგრამ ეს უბრალოდ  $W_C$  არ იქნება, არამედ – მათი წარმოსახვითი  $W_C$ .

$W_{ML}$  სამყაროში სემანტიკური ანალიზის შესანიშნავ მაგალითად გამოდგება „ყოფნა“ ზმნის მონტეგეუსეული განსაზღვრა: “ $G_3$  ( $[is]$ ) is that function  $f$  in  $((2^I)^{A \times A})^{A^0}$  such that, for all  $x \in A^0$ , all  $t, u \in A$ , and all  $i \in I, f(x)(t, u)(i) = 1$  if and only if  $t = u$ ” (Montague 1974:195) (ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, როგორ შემოთავაზებდა ამის დანახვაზე  $W_L$  სამყარო, მაგრამ მას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ აქვს წვდომა  $W_{ML}$  სამყაროსთან და ნეტარ უმეცრებაში იმყოფება). განსაზღვრება არის ლაკონიური, ზუსტი და უზადო, ოღონდ უნდა დავუშვათ, რომ საკუთარი სახელების შესაბამისი „მნიშვნელობები“ დამოუკიდებლად არსებობენ ექსტრალინგვისტურ სამყაროში რაღაც ოდენობათა სიმრავლის სახით ( $A$ ), რომ ორადგილიანი ზმნები სემანტიკურად ამ სიმრავლის დეკარტული ნამრავლია საკუთარ თავზე ( $A \times A$ ), რომ ფორმულის შესაძლო დენოტაცია არის იმ სამყაროთა სიმრავლე, რომელშიც ეს ფორმულა ჭეშმარიტია (ანუ სამყაროთა საერთო სიმრავლის ყველა ( $2^I$ ) ქვესიმრავლეთაგან ერთ-ერთი) და რომ ე.წ. დენოტაციის ფუნქციის განსაზღვრის არე  $A$  სიმრავლის ელემენტთა ყველა შესაძლო თანმიმდევრობაა ( $A^0$ ). მართალია, დაშვებათა ამ არასრული ჯაჭვიდან მხოლოდ პირველია ზოგადად საეჭვო და არაარგუმენტირებული (ჩვენთვის კი კატეგორიულად მიუღებელი), კერძოდ ის, რომ ენობრივ ფრაზებს შეიძლება მნიშვნელობად “მივხატო” რაღაც ექსტრალინგვისტური, ენისგან სრულიად დამოუკიდებელი ობიექტები, მაგრამ ესეც საკმარისია, რომ მოცემული განსაზღვრება ერთ უაზრო (ლინგვისტური თვალსაზრისით) კონსტრუქციად იქცეს. ყოველივე ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, მოვიყვანოთ კეროლისეული წითელი დედოფლის სიტყვებს: “You may call it “nonsense” if you like, but I’ve heard nonsense, compared with which that would be as sensible as a dictionary!” საინტერესოა, რას გულისხმობდა დედოფალი და ასეთი რა ჰქონდა გაგონილი. იქნებ ეს:

“7. seek'(j,  $\lambda Q \exists x[\text{unicorn}'(x) \wedge Q\{x\}]$ )

At this point, no more simplifications of line (7) are possible in the PTQ system. The formula in line (7) ... asserts that John (the individual denoted by  $j$ ) stands in the "seek-relation" to, as it were, the property of being a property that some unicorn has. We must now try to understand exactly what the interpretation of this formula is. This interpretation is undoubtedly one of the most arcane aspects of the entire PTQ system, but also one of the most fascinating and ingenious.” (Dowty, Wall, Stanley 1981:216) განვმარტავთ, რომ საქმე ეხება ინგლისური ფრაზის “John seeks a unicorn” ფორმალიზებას. ფორმულა მონტეგეუსე ეკუთვნის, ღირსშესანიშნავი კომენტარი კი ციტირებული წიგნის ავტორებს. PTQ კი მონტეგეუსე ნაშრომის “The Proper Treatment of Quantification in Ordinary English” აკრონიმია. Property ამ შემთხვევაში მხოლოდ ტექნიკური ტერმინია და საერთო არაფერი აქვს ამ სიტყვის კონვენციურ მნიშვნელობასთან.  $W_{ML}$  სამყაროსთვის დამახასიათებელი ისეთი მაღალმხატვრული გამოთქმები, როგორცაა property of being property ან property of properties სხვა არაფერია, თუ არა ინტუიციურად სავსებით მისაღები ამა თუ იმ ფორმულის “ბუნებრივ ენაზე” გადათარგმნის (მკითხ-

ველმა განსაჯოს რამდენად წარმატებული) მცდელობა. ამ სამყაროს მთავარი პრობლემაც ესაა – ბუნებრივენოვანი (მისი კვლევის ობიექტი) ფრაზების სინთეზი. აქ ანალიზიც თავისებური იციან. ორაზროვნების მაგალითად მონტეგიუსთან (Montague 1974:268) ვხვდებით ფრაზას “a woman loves every man” და ამ წინადადების ორიდან ერთ-ერთი ინტერპრეტაცია, მისივე (ინგლისურენოვანის) აზრით, იქნებოდა „ყოველი კაცისთვის მოიძებნება ვიღაც მასზე შეყვარებული ქალი“. ერთი სიტყვით,  $W_{ML}$ -ში სინთეზირებული ტექსტებიდან კოჰერენტული აზრის გამოსატანად მხოლოდ ერთი გზა არსებობს: კონცენტრირება ფორმულებზე და ბუნებრივენოვანი კომენტარებისა თუ განმარტებების მაქსიმალური უგულვებელყოფა. მივუბრუნდეთ კომპოზიციურობის საკითხს. როგორც ვნახეთ, ფრაზა “John seeks a unicorn” მონტეგიუს ინტენსიონალურ ლოგიკაში ასეთ ფორმას იღებს:  $seek'(j, \hat{\lambda}Q\exists x[unicorn'(x) \wedge Q\{x\}])$ . “seek” ორადგილიანი ზმნაა, ან, როგორც აქ იტყვიან, რელაცია, ოღონდ ეს ზმნა „ინტენსიონალურია“ და მასში ორივე ადგილს ლოგიკური ინდივიდი ვერ დაიკავებს: სუბიექტისას – კი, მაგრამ მისი ობიექტი, a unicorn, აქ ასე გამოიხატება:  $\hat{\lambda}Q\exists x[unicorn'(x)\wedge Q\{x\}]$ . ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოვიდგინოთ მატრიცად, რომლის პირველი განზომილება იქნება შესაძლო სამყაროები, მეორე – პრედიკატები. მთელი ფრაზა კი რომელიმე სამყაროში იქნება ჭეშმარიტი იმ შემთხვევაში (და მხოლოდ იმ შემთხვევაში), თუ seek-ის შესაძლო ინტერპრეტაციათა სიმრავლეში აღმოჩნდება ისეთი ელემენტი (წყვილი), რომლის პირველი შემადგენელი იქნება John, მეორე კი ზემოხსენებული მატრიცა, თანაც ისეთი, რომ მის პრედიკატთა რიგში ფიგურირებდეს unicorn, დანარჩენი პრედიკატები კი საკმარისი იყოს იმისთვის, რომ ყოველ სამყაროში unicorn-ის და ამ პრედიკატთა თანაკვეთა მხოლოდ ერთ ელემენტს იძლეოდეს. ეს ელემენტი შესაძლოა განსხვავებული იყოს ყოველ სამყაროში, ზოგიერთში კი (მაგალითად, რეალურ სამყაროში) პრედიკატი unicorn საერთოდც ცარიელი სიმრავლე იქნება. ისევ და ისევ, “You may call it "nonsense" if you like, but ...”. ინტენსიონალური ლოგიკის ენაზე თარგმნილი გამონათქვამის სემანტიკური ინტერპრეტაციის მთელი ეს პროცედურა ავტომატურია, ოღონდ სახალისო. და რაც უფრო რთული ბუნებრივენოვანი ფრაზების ინტერპრეტაციას მოვინდომებთ, ეს პროცესი მით უფრო მეცნიერულ ხასიათს მიიღებს. მთავარი აქ ისაა, რომ დაცულია კომპოზიციურობის პრინციპი. ხსენებული წინადადების ყოველი სიტყვის მნიშვნელობა ისაზღვრება ცალ-ცალკე, მთელი წინადადების მნიშვნელობა კი უკვე ამ მნიშვნელობების საფუძველზე. სხვა საკითხია, რომ ზმნის მნიშვნელობა არსებითად ყველა იმ წინადადების უსასრულო ჩამონათვალს მოიცავს, რომლის შემადგენლობაშიც კი შეიძლება შეგვხვდეს ეს ზმნა, და მთელი წინადადების მნიშვნელობის (ჭეშმარიტება-მცდარობის) დადგენა კი ამ უსასრულო რეესტრში სასურველი ელემენტების აღმოჩენაზე დაიყვანება.

ის, თუ რამდენადაა კომპოზიციურობა ბუნებრივი ენების იმანენტური თვისება, ამაზე  $W_{ML}$  სამყაროში ბევრს არ საუბრობენ, მაგანი მას საერთოდაც წმინ-

და მეთოდოლოგიურ საკითხადაც განიხილავს, მაგრამ როცა ვლოდეკ ზადროჟნიმ ფორმალურადაც ლამტკიცა (Zadrozny 1994), რომ ნებისმიერი სემანტიკა შეიძლება კოდირებულ იქნეს კომპოზიციურ სემანტიკად, ამას აქ დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან. “We disagree.” – იყო პასუხი (Kazmi, Pelletier 1998:629). აი, ჩვენ კი სრულად ვეთანხმებით – სასიამოვნოა, როცა ინტუიციურად სრულიად ნათელი და უდავო მოსაზრება (მით უმეტეს, როცა საქმე ბუნებრივი ენების სემანტიკას ეხება), რომელსაც ენის ფილოსოფოსთა სამყარო მთელი თავისი ნაღვაწით (და თავისდა უნებურად) კიდევ უფრო აშკარას ხდის, ბოლოს და ბოლოს ფორმალურადაც დამტკიცებული და ბეჭედდასმული. ზადროჟნისთან მოცემულია ე.წ. მნიშვნელობის ფუნქცია. ნებისმიერი სინტაქსური სირთულის ენობრივი ერთეულის მნიშვნელობის ფუნქცია წარმოდგენილია წყვილთა უსასრულო სიმრავლით, სადაც თითოეული წყვილის მეორე წევრი არის მოცემული ერთეულის და მისი კონტექსტის მნიშვნელობის ფუნქცია, პირველი კი – მხოლოდ კონტექსტის (განსასაზღვრი ერთეულის გარეშე) მნიშვნელობის ფუნქცია –  $\mu(t(\alpha)) = \{ \langle t(\alpha), m(t(\alpha)) \rangle, \langle \mu(t(0)), \mu(t(\alpha).t(0)) \rangle, \dots, \langle \mu(t(\alpha)), \mu(t(\alpha).t(\alpha)) \rangle, \dots \}$  (Zadrozny 1994:333). ჩვენი მხრივ დავამატებდით, რომ იდეალური სურათისთვის ამ სიმრავლიდან პირველი წყვილი  $\langle t(\alpha), m(t(\alpha)) \rangle$  (რომლის თანახმადაც მნიშვნელობის ფუნქცია ნებისმიერ ენობრივ ერთეულს რაღაც „მნიშვნელობას“ მიაწერს) საერთოდაც ამოსაღებია. საგულისხმოა, რომ ეს მიდგომა სრულად ეთანხმება იმ პრინციპს, რომელსაც ჰოჯესი მოიხსენიებს ფრეგეს პრინციპად: “Principle F. The meaning of a term in Y is the contribution that the term makes to the meanings of terms in X containing it.” (Hodges 2001:18) (X წინადადებების სიმრავლეა, Y – ყველა გამონათქვამის, მათ შორის, წინადადების შემადგენლების). ზადროჟნის თეორემა მტკიცდება არასტანდარტული სიმრავლეთა თეორიის ფარგლებში (სადაც ცერმელო-ფრენკელის დაფუძნების აქსიომა ჩანაცვლებულია სხვა აქსიომებით, რომლებიც მის უარყოფას გულისხმობენ და შესაბამისად, დაშვებულია სიმრავლები, რომლებიც ელემენტად თავის თავს შეიცავენ), რაც არცაა გასაკვირი, რამდენადაც მნიშვნელობის ფუნქცია ყოველი ენობრივი ერთეულისთვის ე.წ. ჰიპერსიმრავლების ფორმითაა წარმოდგენილი. ბუნებრივი ენების სემანტიკისთვის ეს ერთადერთი ადეკვატური მეთოდია, რადგან თუ მის ერთეულთა მნიშვნელობებს მხოლოდ ენობრივ (და არა სიტუაციურ) კონტექსტთა საფუძველზე განვსაზღვრავთ, წრიულობა გარდაუვალი იქნება. ამავე დროს, თუკი შესაძლებელია ნებისმიერი სემანტიკის ინტერპრეტაცია კომპოზიციურ სემანტიკად, ალბათ სწორედ ეს თვისება იძლევა მისი ეფექტიანი გამოყენების საშუალებას. შესაბამისად, (მათ შორის) ბუნებრივენოვანი სემანტიკისთვის კომპოზიციურობა მხოლოდ იმდენად იქნებოდა საინტერესო, თუ ის მნიშვნელობის გამოთვლადობას უზრუნველყოფდა. “By a generalization of *Church’s Thesis*, a semantics is computable if and only if it is recursive. Therefore, if we want semantics to be computable, we want it to be recursive.” (Pagin 2011:58). მნიშვნელობის ფუნქცია  $\mu$  რეკურსიული რომ იყოს, ის შემდეგ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: “There is a function  $b$  and for every

$\alpha \in \Sigma$  and operation  $r_\alpha$  such that for every meaningful expression  $s$ ,  $\mu(s) = b(s)$  if  $s$  is atomic and  $\mu(s) = r_\alpha(\mu(u_1), \dots, \mu(u_n), u_1, \dots, u_n)$  if  $s = \alpha(u_1, \dots, u_n)$ . For  $\mu$  to be recursive, the basic function  $b$  and the meaning composition operation  $r_\alpha$  must themselves be recursive” (ibid). აქვე ისიცაა ნაჩვენები, რომ სემანტიკის კომპოზიციურობა და რეკურსიულობა ფორმალურად ერთმანეთისგან დამოუკიდებელი თვისებებია და სემანტიკა შეიძლება იყოს კომპოზიციური და არაგამოთვლადი და პირიქით. მაგრამ კომპოზიციურობაც არის და კომპოზიციურობაც. აი, ზადროჟნის მიერ კონსტრუირებული კომპოზიციური სემანტიკა გამოთვლადია, თანაც ტიურინგ-გამოთვლადი. ოღონდ... გამოთვლადობაც არის და გამოთვლადობაც: თუკი ენობრივი ფრაზების მნიშვნელობის გასარკვევად და სემანტიკურად გამართული ტექსტის შესადგენად მოგვიწევს მთელი სამყაროს (როგორც რეალურის, ისე წარმოსახვითის) სტრუქტურირება სიმრავლეთა თეორიის საფუძველზე, იქნებ ვაძლეს ამის მაგივრად ინტუიციასა და გულის კარნახს ვენდოთ. არის სხვა გზაც. თუ  $W_{ML}$  სამყაროს თავს დავაღწევთ და ამ ყველაფერს შორიდან შევხედავთ, სურათი იქნება უფრო იმედისმომცემი და ჰუმანიტარული („ჰუმანიტარული“, როგორც მნიშვნელობის ფუნქცია, რომელიც არგუმენტად აიღებდა, ვთქვათ, „მეცნიერებებს“ და ფუნქციის მნიშვნელობად მოგვცემდა „ჰუმანიტარულ მეცნიერებებს“). დავიწყოთ იმით, რომ თეორია, რომელიც ბუნებრივენოვანი ფრაზების მნიშვნელობებად განიხილავს ექსტრალინგვისტური სამყაროს ობიექტებს (იქნება ეს ფიზიკური ობიექტები თუ რაღაც „სიტუაციები“) პრინციპულად ვერ შეძლებს ავტომატური პროცედურის შექმნას სრულფასოვანი ტექსტის სინთეზირებისთვის ან უკვე შექმნილის ინტერპრეტაციისთვის – იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ენობრივი ერთეულები მხოლოდ კონტექსტში იღებენ მნიშვნელობას (ამ საკითხში მაინც ფრეგე ცამდე ლოგიკური იყო (Frege 1960:71)), იზოლირებულად მათი მნიშვნელობების განსაზღვრა, ანუ ყველა კონტექსტის გათვალისწინება პრინციპულად შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია ამის პრაქტიკული მცდელობა გარანტირებული წარუმატებლობით (იხ.  $W_{ML}$  სამყაროს შრომები). საილუსტრაციოდ ავიღოთ უმარტივესი შემთხვევა – ორადგილიანი ზმნა. ინტენსიონალურ ლოგიკაში მისი ექსტენსია რომელიმე სამყაროში იქნება იმ ობიექტთა დალაგებულ წყვილთა სიმრავლე, რომელთა წევრებმაც შეიძლება დაიკავონ შესაბამისი ადგილები ამ ზმნაში, ე.ი. თუ რაღაც კონკრეტული წყვილები დაიკავენ ამ ადგილს, მთლიანად ფრაზის მნიშვნელობა იქნება ჭეშმარიტი, სხვა წყვილების შემთხვევაში კი – მცდარი, მისი ინტენსია კი იმ შესაძლო სამყაროთა სიმრავლე იქნება, რომელშიც ის ჭეშმარიტია. მოკლედ, ენობრივ ერთეულთა კომბინაციის მოტივირებისთვის ეს მეთოდი მიმართავს ამ ერთეულთა მიერ აღნიშნული „ობიექტების“ კომბინირების ლეგიტიმურობას („ჭეშმარიტება“ წმინდა ლოგიკური ტერმინია, თანაც – ტექნიკური და უმჯობესი იქნება მსჯელობიდან საერთოდაც თუ გამოვრიცხავთ). გრძელი, შემოვლითი გზაა, თანაც საშიში – წარმოსახვითი სამყაროების კონსტრუირებას შესაბამისი წარმოსახვის გასაკონტროლებლად უზადოდ განათლებული შემოქმედები სჭირდება. არსებობს სხვა, მოკლე და უსაფრთხო

გზაც: შესაფასებელი კომბინაცია ტექსტში მოვიდით (ანუ ენობრივ სფეროს არ გავცდეთ) და თუ საკმარისი რეგულარობით შევხვდით, ლეგიტიმურადაც ჩავთვალთ. ანუ ლიტერატურა ვიკითხოთ, თანაც მხატვრული და უმჯობესია კლასიკური ( $W_{ML}$  სამყაროში ასე რომ მოქცეულიყვნენ, მაშინ იმასაც მიხვდებოდნენ, რომ “Colorless green ideas sleep furiously”-ის შემოქმედმა თავისდა უნებურად სემანტიკური თვალსაზრისით არა უაზრო, არამედ სავსებით აზრიანი მეტაფორა შეთხზა, შეიძლება დიდი ვერაფერი, მაგრამ მაინც აზრიანი).

ბუნებრივენოვან ერთეულთა სემანტიკის ანალიზისას საკუთრივ ენობრივ სფეროს თუ არ გავცდებით, მნიშვნელობის კომპოზიციურობის როლი განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდება. ავიღოთ ნებისმიერი ერთეული  $a$  და მასზე ერთი დონით მაღალი ერთეული  $A$ , რომლის შემადგენლობაშიც იქნება  $a$ . დავუშვათ, რომ ჩვენთვის ცნობილია  $a$ -ს მნიშვნელობა, ხოლო ერთეული  $A$  არის  $a$ -ს ენობრივი უზუსით დაუდასტურებელი კომბინაცია რომელიმე სხვა ერთეულთან. ჩვენი ამოცანაა (1) დავადგინოთ, რამდენად დასაშვებია ენაში  $A$ -ს არსებობა და (2) გამოვთვალოთ  $A$ -ს მნიშვნელობა. რადგან ყოველი ერთეულის მნიშვნელობა ისაზღვრება მხოლოდ იმ კონტექსტთა სიმრავლით, რომელშიც ის გვხვდება, მისი მნიშვნელობა შეგვიძლია გავაიგივოთ მის კომბინატორულ პოტენციალთან უფრო მაღალი დონის ერთეულის ფარგლებში. ახალი კონტექსტი (ანუ მისი ჯერაც უცნობი კომბინაცია სხვა ერთეულთან – ჩვენ შემთხვევაში  $A$ ) მას ნაწილობრივ შეუცვლის მნიშვნელობას, ხოლო ამ ახალი კომბინაციის ლეგიტიმურობას (და შემდგომ ეტაპზე მის მნიშვნელობასაც) განსაზღვრავს ანალოგიის პრინციპი, ანუ უნდა არსებობდეს ისეთ ერთეულთა სიმრავლე, რომლებიც ერთდროულად დააკმაყოფილებდნენ შემდეგ ორ პირობას: (1) ეს ერთეულები ხსენებულ კონტექსტში ( $A$ ) ჩაენაცვლებიან მოცემულ ერთეულს ( $a$ ) და მიღებული კომპლექსები ( $A'$ ,  $A''$ ,  $A'''$  ...) იქნება დადასტურებული ენობრივი უზუსით და (2) ისინი ასევე ჩაენაცვლებიან  $a$ -ს ბევრ სხვა, ასევე უზუსით დადასტურებულ კონტექსტში. რაც უფრო მრავალრიცხოვანი იქნება ასეთი კონტექსტები, მით უფრო ახლოს იქნება  $a$ -ს მნიშვნელობა ამ ერთეულების მნიშვნელობებთან.  $A$ -ს მნიშვნელობა (კონტექსტთა სიმრავლე) კი იქნება  $A'$ ,  $A''$ ,  $A'''$ ... ერთეულების შესაბამისი კონტექსტების სიმრავლეთა თანაკვეთა.

### ლიტერატურა

- Dowty, Wall, Stanley 1981** : David R. Dowty, Robert E. Wall, Stanley Peters, *Introduction to Montague Semantics*, D. Reidel Publishing Company, Dordrecht, Holland.
- Frege 1960** : Gottlob Frege, *The Foundations of Arithmetic*, Harper & Brothers, New York.
- Kazmi, Pelletier 1998** : Ali Kazmi, Francis Jeffry Pelletier, *Is Compositionality Formally Vacuous? Linguistics and Philosophy* **23**: 629-633.

**Montague 1974** : *Selected Papers of Richard Montague*, New Haven and London, Yale University Press.

**Pagin 2011** : Peter Pagin, *Compositionality, Complexity, and Evolution Proceedings*, PERILUS 2011, *Symposium on Language Acquisition and Language Evolution*, The Royal Swedish Academy of Sciences and Stockholm University.

**Hodges 2001**: Wilfrid Hodges, *Formal Features of Compositionality*, *Journal of Logic, Language and Information*, Volume 10, Issue 1, pp. 7-28.

**Zadrozny 1994** : Wlodek Zadrozny, *From Compositional to Systematic Semantics*, *Linguistics and Philosophy*, Volume 17, Issue 4, pp. 329-342.

*Vladimer Lekiasvili*

## **Linguistics, Mathematics and Double-compositional Semantics**

### Summary

The main topic of the article is the issues concerning the semantic interpretation of the natural language, the principle of semantic compositionality and the procedures of computation of meanings. Various aspects of the traditional approaches to the subject are examined and compositionality is considered the necessary prerequisite to the systematic analysis of semantics. We attempt to show the methodological advantages of the interpretation of linguistic phrases on the ground of linguistics proper, under the total exclusion of the extralinguistic world.



## ჰიპოტაქსის განვითარების საფეხურებისათვის სვანურ ენაში

მეცნიერებაში მიღებულია დებულება ჰიპოტაქსის მეორეულობის შესახებ: ენის განვითარების ადრეულ საფეხურებზე მხოლოდ მარტივი წინადადებები იყვნენ ერთმანეთთან შეპირისპირებულნი, შემდეგ და შემდეგ გამოუმავლა რთული სინტაქსური მიმართებანი, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ჰიპოტაქსის რთული სისტემის ჩამოყალიბებაში“ (ძიძიგური 1989:9).

ჰიპოტაქსური კონსტრუქციის გენეზისის სხვაგვარად წარმოგვიდგენს ფ. ერთელიშვილი: „დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით მთავარ წინადადებაში ისაზღვრება, ზუსტდება ცალკეული სიტყვის (არსებითის, საწყისის, ნაცვალსახელის, შემასმენელი-ზმნის) მნიშვნელობა ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით. სიტყვის მნიშვნელობის, აზრის უფრო ზუსტად და სრულყოფილად გამოთქმის საჭიროებით ჩანს შეპირობებული დამოკიდებული წინადადების წარმოშობა და, თუ დამოკიდებული წინადადების გენეზისის საკითხი დაისმის დღის წესრიგში, ჩვენი აზრით, კვლევა *განსაზღვრების* სპეციფიკისა და გენეზისის ძიების მიმართულებით უნდა წარიმართოს“ (ერთელიშვილი 1963:214).

საზოგადოდ, რთული ქვეწყობილი წინადადება მიჩნეულია ენის განვითარების მაღალი საფეხურის შესაბამის სინტაქსურ კონსტრუქციად; „იგი მანიშნებელია ლოგიკური აზროვნების განვითარების მაღალი დონისა. ჰიპოტაქსის, ანუ რთული დაქვემდებარებული წინადადების აღნაგობა ნიშანდობლივია განვითარებული სალიტერატურო ენისათვის. პარატაქსი უფრო ხალხურ მეტყველებას, დიალექტებს ახასიათებს, ჰიპოტაქსი კი უფრო სამწერლობო ენის კუთვნილებაა, – ჰიპოტაქსი – კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების რთული სახეობებით“ (ძიძიგური 1989:11).

სვანური ზმნის უღლების პარადიგმაში მოიპოვება ქართულისგან განსხვავებული, ევიდენციალური მწკრივები; ეს ზმნა-შემასმენლები თითქმის თანაბრად იყენებენ პარატაქსსა და ჰიპოტაქსს, თანაც ჰიპოტაქსში მათი ჩართულობის შემთხვევაში სავალდებულო არ არის კავშირი, ზოგჯერ – არც კორელატი.

საერთოდ, სვანურ ენაში ქვეწყობის თავისებური (უკავშირო, ხშირად – უკორელატოც) ფორმაა პროდუქტიული; საკმაოდ გავრცელებულია ქართულისებური კონსტრუქციაც, მაგრამ ეს უკანასკნელი ზოგჯერ ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს და ქართულის კალკად ჩანს; აღნიშნული მოვლენა განსაკუთრებით პირობით-შედეგობით კონსტრუქციას ეხება:

- (1) *ივანე თბილისთე სგადრი, გუშუს ჩუბრგიტე* – „ივანე თბილისში [თუ] წავა („შევა“), საქმეს მოავგარებს („მო-ა-რიგ-ებ-ს“)“; შდრ.

(2) ივანე თბილისთე *ლახ/შობტამ სვადრი, ერქა* გუმეშ ჩტარგიტე – „ივანე თბილისში თუ/ როცა წავა („შევა“), მაშინ საქმეს მოავკარებს“.

მეორე წინადადებაში კორელატიც და მაქვემდებარებელი კავშირიც წარმოდგენილია, მაგრამ მთავარი აზრი არ შეცვლილა, მხოლოდ ერთგვარი „გალიტერატურულეული“, ხელოვნური კონსტრუქცია მივიღეთ. პირველში კი, ვინაიდან ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ატრიბუტები (კორელატი და მაქვემდებარებელი კავშირი/წევრ-კავშირი) არ არის, დამოკიდებული წინადადება დროის გარემოებითიც შეიძლება იყოს და პირობითიც: *მეხარ იურხუნი* (შესაძლებლობის, resp. ინფერენც. აწმყო/მყოფ.), *ლახტეთ დემ ლღღრიდ* (ბქ.) – „ხვალ 'თუ' იწვიმებს („რომ/თუ' წვიმდეს იქნება“), მთაში ვერ წავალთ“;

(1) ბზ.: *ბეფშუ ნაპრს წინწლიდარს ხადგარუნა* (I თურმ.), *ეჟა მიჩამუს ოხბაჟა*; ბქ.: *ბეფშუ ნაპტრს წინწლიდარს ხადგარტუნა, ეჟი მიჩომუს ოთბაჟა* – „ბავშვი ჩიტს 'რომ' ბარტყებს უკლავდა 'თურმე', ის მამამისს გაუგია“;

(2) ბზ.: *ბეფშუ ნაპრალს ლგმდგარუინ* (II თურმ.), *ეჟა მიჩამუს ოხბაჟა*; ბქ.: *ბეფშუ ნაპტრარს ლგმდგარუნელი, ეჟი მიჩომუს ოთბაჟა* – „ბავშვი ჩიტებს [რომ] კლავდა თურმე, ის მამამისს გაუგია“;

(3) ბზ.: *მეთხუინარ ლგნშან ღტაშს (/ღტშშს) ადგარნე* (ინფერენც. სრ. მყოფ.), *დლ მმ (მნდ/დემის) ხაპტიტე*; ბქ.: *მეთხუინარ ლგნშან ღტაშს ადგარნე, დლ დემის ხაპტიტე* – „მონადირე ნიშნიან ჯიხვს [თუ] მოკლავს, დალი არ აპატიებს“;

(4) ბზ.: *მეთხუინარ ლგნშან ღტაშს ადგარნა* (სრ. პირობ.), *დლ მმ ხაპტიტა*; ბქ.: *მეთხუინარ ლგნშან ღტაშს ადგარნა, დლ დემის ხაპტიტა* – „მონადირე ნიშნიან ჯიხვს [თუ] მოკლავდა, დალი არ აპატიებდა“;

(5) ბზ.: *მეთხუინარს ლგნშან ღტაშ ოთდგარა* (პრევერბიანი I შედეგ.), *ეჟა დლს მნდ ლოხპტიტა*; ბქ.: *მეთხუინარს ლგნშან ღტაშ ოთდგარა, ეჟი დლს მადე ლოხპტიტა* – „მონადირეს ნიშნიანი ჯიხვი [რომ] მოუკლავს, ის დალის არ უპატიებია“;

(6) ბზ.: *მეთხუინარს ლგნშან ღტაშ ხადგარუნა* (უპრევერბო ევიდენც. I შედეგ.), *ეჟა დლს მნდ ლოხპტიტა*; ბქ.: *მეთხუინარს ლგნშან ღტაშ ხადგარუნა, ეჟი დლს მადე ლოხპტიტა* – „მონადირეს ნიშნიანი ჯიხვი [რომ] 'მო'უკლავს [თურმე] (= ჰყოლია მონაკლავი), ის დალის არ უპატიებია“;

(7) ბზ.: *მეთხუინარს ლგნშან ღტაშ ხედგარი* (I პირობ.-შედეგ.), *დლ მმ (დემ/დემის) ხაპტიტე*; ბქ.: *მეთხუინარს ლგნშან ღტაშ ხედგარი, დლ დემის ხაპტიტე* – „მონადირეს ნიშნიანი ჯიხვი [რომ] ეყოლება მოკლული, დალი არ აპატიებს“;

(8) ბზ.: *მეთხუინარს ლგნშან ღტაშ ხედგარულ* (II პირობ.-შედეგ.), *დლ მმ ხაპტიტა*; ბქ.: *მეთხუინარს ლგნშან ღტაშ ხედგარიტე, დლ დემის ხაპტიტა* – „მონადირეს ნიშნიანი ჯიხვი [რომ/თუ] ეყოლებოდა მოკლული, დალი არ აპატიებდა“.

როგორც ვხედავთ, (3), (4), (7) და (8) კონსტრუქციებში, ჩვეულებრივ, არც კორელატია გამოყენებული და არც კავშირი, დანარჩენებში კი კორელატი გვაქვს, მაგრამ კავშირი – არა (შევსება შესაძლებელია როგორც კორელატებით, ასევე კავშირებით, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, კონსტრუქციები ამით მხოლოდ ხელოვნურობის ელფერს თუ შეიძენენ, სემანტიკურად კი არაფერი შეიცვლება).

ვფიქრობთ, სვანური ენის მონაცემები იმ ძველი ვითარების გამოვლინებაა, როცა მარტივი წინადადებები მხოლოდ ლოგიკური მიმართებით (და არა გრამატიკულად) უკავშირდებიან ერთმანეთს. ასეთ ტიპს შ. ძიძიგური სათანადო კონსტრუქციის უძველეს ტიპად მიიჩნევს (ძიძიგური 1989:442), ხოლო კორელატიანი, მაგრამ უკავშირო კონსტრუქციები, რომლებიც ასევე დამახასიათებელია სვანურისთვის, სათანადო ტიპის წინადადებათა გრამატიზაციის პირველი საფეხურის სიტუაციას უნდა ასახავდნენ: „კორელატი კრავს ასიდენტურად დაახლოებულ წინადადებებს და ისინი ერთიანი (რთული) წინადადების გამომუშავებისკენ მიჰყავს“ (ძიძიგური 1989:443).

სვანურში უკავშირო ქვეწყობილ კონსტრუქციაში დამოკიდებული წინადადების ინტონაცია კითხვითობისკენ იხრება (კავშირის გამოყენების შემთხვევაში ინტონაცია აღარ შეიძწევა); ეს მოვლენა ასევე ადასტურებს მკვლევართა იმ მოსაზრებას ჰიპოტაქსური კონსტრუქციის გენეზისის შესახებ, რომლის მიხედვითაც „დამოკიდებული წინადადება კითხვითი წინადადებისაგან მომდინარეობს. ქვეწყობილი წინადადება სტრუქტურულად წარმოადგენს კითხვითი წინადადებისა და მისი საპასუხო წინადადების შეერთების შედეგს. ოღონდ, ამ შეერთების საფუძველზე კითხვით წინადადებას (resp. დამოკიდებულ წინადადებას) დაკარგული აქვს კითხვითი შინაარსი“ (როგავა 1948: 365); „ენის ძველ საფეხურებზე კითხვითი წინადადება ასინდენტურად უკავშირდებოდა გრძნობისა და თქმის სემანტიკის ზმნათა შემცველ წინადადებას, **კითხვითი ინტონაცია წარმოადგენდა სინტაქსური დაკავშირების საფუძველს**“ (ძიძიგური 1989:443; ხაზი ჩენია – ქ. მ.).

თანამედროვე სვანურ მეტყველებაში, ინფერენციული მწკრივების არსებობის გამო (რომლებიც თავად შეიცავენ „თუ“-ს, პირობითობის გაგებას), ხშირ შემთხვევაში წინადადებაში არ არის წარმოდგენილი კითხვითი ნაცვალსახელი ან ზმნიზედა; ინტონაცია სწორედ ასეთ შემთხვევაშია სავალდებულო ატრიბუტი საანალიზო კონსტრუქციისთვის და „სამახვილო ცენტრი“ სწორედ ინფერენციული ზმნებია.

ამ თვალსაზრისით სვანური ენის ვითარება განსაკუთრებით საყურადღებოა ზოგიერთი დიალექტის მონაცემებთან მიმართებითაც: „ინგილოურ, გურულ და აჭარულ დიალექტებს დაუცავთ დამოკიდებული წინადადების გენეზისის თვალსაზრისით უაღრესად ანგარიშგასაწევი ფორმა, რომელიც პირველ მათგანს დღეს უკვე დავიწყებული აქვს (ვიცნობთ მოსე ჯანაშვილის ტექსტების მიხედვით), ხოლო გურულ-აჭარული ტიპობრივი მეტყველებისათვის იგი ნიშანდობლივია განვითარების თანამედროვე საფეხურზე.

ინგილოურ კილოში დამოკიდებული წინადადება განხილული ტიპოლოგიისა (იგულისხმება პირობითი – ქ. მ.) კითხვითი წინადადების სტრუქტურულ ნიშანს

ავლენს: მოცემულია -ა, კარგად ცნობილი მაჩვენებელი კითხვითობისა ქართულ ენაში. ეს გარემოება კი მანიშნებელია იმ უძველესი ვითარებისა, როდესაც მართივინადადებანი ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდნენ და ერთ-ერთი მათგანი, კითხვითობის მატარებელი, შემდეგ დამოკიდებულ წინადადებად ჩამოყალიბდა, მასში კავშირი გამოძევადა, კითხვითი ნიშანი მოიშალა და ორი წინადადება ერთმანეთს დაუკავშირდა გრამატიკული საშუალებებით, – დასრულდა დაქვემდებარების პროცესი“ (ძიდიგური 1989:448).

სვანურში, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, აღნიშნული კითხვითობის -ა ელემენტი ცოცხალია და იგი სწორედ „თუ“-ს ნიშნავს: ბზ. **მამ ადეა-ა?** – „არ წახვედი-ა?“/არ წახვედი, თუ?“ **უჩხეა-ა?** – „წვიმს-ა?“/წვიმს, თუ?“ ბქ. **ლპირ ქპნიჭუდ-ა?** – „წიგნი წაიკითხე-ა?“ / „წიგნი თუ წაიკითხე?“; ეს ნაწილაკი დამოუკიდებლადაც გვხვდება წინადადებაში როგორც მაპირისპირებელი კავშირი (ბზ. ჰა, ბქ. ა < ჰა): **ალა ჯაკუ, ჰა ეჯა?** (ბზ.) – „ეს გინდა, თუ ის?“ **ჯუდეი კაბს ხიქუმ, ა კუღანს?** (ბქ.) – „გრძელ კაბას რა იცვამ, თუ მოკლეს?“ მაგრამ მთავარი ისაა, რომ აღნიშნული ელემენტი საანალიზო (ჰიპოტაქსურ) კონსტრუქციაშიც გვხვდება, თუმცა მისი ფუნქცია ნათელი არ არის, ვინაიდან წინადადების შინაარსი უმისოდაც (ინტონაციურად) იგივეა: ბზ. **სი ადრინე-ა, მი ამჩუ მამ ხუჩრპუტი!** ბქ.: **სი ადრინე-ა, მი ამჩუ დემის ხუჩრპუტი/ხუჩინი** – „შენ [თუ] წახვალ („წახვალ-ა?“/შენ წახვალ, ხომ?“), მე აქ არ გავჩერდები!“

მოსე ჯანაშვილის მიერ ინგილოურში დადასტურებულ მოვლენას (კავშირისა და კითხვითი ნაწილაკის თანაარსებობას) ენის განვითარების დღევანდელ საფეხურზე შ. ძიდიგური ანაქრონიზმად მიიჩნევს და მიუთითებს, რომ „უკანასკნელი დიალექტოლოგიური ძიებების მიხედვით, ეს თავისებურება ინგილოურს აღარ ახასიათებს“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, სალიტერატურო ენის გავლენით თუ მის გარეშე, დიალექტებშიც გაერთმნიშვნელიანებისკენ მიისწრაფვის და ახალ მოდელს ირგებს; როგორც აღვნიშნეთ, სვანურშიც კითხვითობის -ა, რომელიც საერთოდ ძლიერ პროლექტიულია, დამოკიდებულ წინადადებაში აღარ წარმოადგენს აუცილებლობას, უფრო მეტიც – ის ნაკლებად გვხვდება. რაც შეეხება აჭარულ და გურულ მონაცემებს, – აქ, როგორც ჩანს, სწორედ სვანური ენის მსგავსი ვითარებაა: „აჭარულ-გურულში სათანადო წინადადება, აგრეთვე, კითხვითი ინტონაციისაა, მაგრამ -ა ნაწილაკი კი არ ერთვის (რომელიც, ეტყობა, დიდი ხანია დასავლურ კილოებში ხმარებიდან გადავარდნილა), არამედ კითხვა გამოხატულია წინადადების უკანასკნელი მარცვლის გაგრძელებით“ (ძიდიგური 1989:449). თუმცა, სვანურთან შედარებით, ამ შემთხვევაშიც უფრო ახალი ტიპის კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე, რადგანაც კავშირი სავალდებულოა: „ავი ქალიზა რუმ შეგეხედაა, მაშინათვე იტყოდი...“ (აჭარ.); „თქვენ რომ ხელც არ მიშლიდე, ყოლიფერს მუახერხეფ“ (გურ.).

ქ. ლომთათიძის აზრით, ინგილოურის -ა შესაძლოა წარმოადგენდეს რომელიც სიტყვის ნაშთს; ეს სიტყვა შეიძლება იყოს „არის“ („არს“)... ან დამადასტურებელ-ჩაკითხვითი „არა“; მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს -ა გურულ და აჭა-

რულ დიალექტებშიც უნდა გვექნოდნა და მისი დაკარგვის შედეგი უნდა იყოს წინა ხმოვნის დაგრძელება (ლომთათიძე 1946:338); ამ მოსაზრებას არ ეთანხმება შ. ძიძიგური. ჩვენ დაპირისპირებულ თვალსაზრისთა ანალიზს ამჯერად არ შევუდგებით, ვინაიდან კითხვითი ნაწილაკის გარეშეც, მხოლოდ ინტონაციურობითა და უკავშირობითაც, აშკარაა, რომ სვანურს ძველი და საშუალო ქართული-სებური დამოკიდებული (შესაბამისად – რთული ქვეწყობილი) წინადადება ახასიათებს;

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონსტრუქციული სპეციფიკურობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა პირობითი დამოკიდებულის შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება; თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მონაცემებით, პირობით დამოკიდებულ წინადადებაში დაქვემდებარებას განაპირობებს კითხვითი სემანტიკის კავშირი „თუ“, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ „პირობის“ წინადადება კითხვითს წინადადებას წარმოადგენდა. შესაძლებელია, ეს კითხვითი სიტყვა წინადადებაში არც ყოფილიყო, მაგრამ ინტონაციის მომენტი გარკვეულ როლს ასრულებდა“ (ძიძიგური 1989:446; ხაზი ჩვენია – ქ. მ.); მკვლევარს სათანადო ნიმუშები მოჰყავს “ვეფხისტყაოსნიდან“:

- (1) „ა ქ ა თ ს ა მ წ ე ლ ა რ მ ო ვ ი დ ე, მაშინ გმართებს გლოვა, ფლასი“ (169,3);
- (2) „მ ო ვ კ ვ დ ე, თავსა ნუ მოიკლავ“ (787,3);
- (3) „შ ე ნ მ ო ჰ კ ვ დ ე დ ა ი გ ი წ ა ხ დ ე ს, ესე შენთვის რა მადლია?“ (273,4; ნუშერაცია – (1), (2), (3) – ჩვენია – ქ. მ.)...

„გამოყოფილი წინადადებანი პირობითი წინადადებებია, ასინდეტურად დაკავშირებულნი მთავართან. მათი კონსტრუქციული ნიშანია შემასმენლის კონიუნქტიური ფორმა. ინტონაციურად, უნდა ვივარაუდოთ, ასეთი წინადადება – გამიჯნული მთავარისაგან – კითხვითი წინადადებაა“ (ძიძიგური 1989:447; ხაზი ჩვენია – ქ. მ.); მეტად საინტერესო ფაქტამდე მიგვიყვანა ამ კონსტრუქციების გადმო-სვანურების მცდელობამ: ყველა კონიუნქტიური ფორმის შემასმენელმა კავშირებითი კი არა, ჩვენი საანალიზო საკუთრივ ინფერენციული მწკრივი მოითხოვა, ხოლო შედეგად სვანური მეტყველებისთვის მეტად ბუნებრივი და საშუალო ქართულის ზუსტი სემანტიკური შესატყვისები მივიღეთ:

- (1) ბზ. „ამხნწ (||ამუნლო) სამ ზაუ მმ პნჭტდენი [\*?]<sup>1</sup> (ინფერენც. მყოფ. = „თუ არ მოვალ“), ეჩქა ჯაწგხ ლინგტლენტ, ძაძარ“; ბქ. „ამხნქა (||ამუნდტე) სამ ზაუ დემის ონჭტდენი, ეჩქას ჯაწგხ ლინგლეუტი, ძაძარ“;
- (2) ბზ. „ჩტპთდავრი (ინფერენც. მყოფ. = „თუ მოვკვდები“)/ჩოდგანდნდ (II კავშ.), თხტიმ ნუმწდგრი“; ბქ. „ჩოთდავრი/ჩოდგანე, თხტიმ ნომწდგპრი“;
- (3) ბზ. „სი ჩტპთდავრი ი ევჯა ჩტპდფაჭტი“ (ინფერენც. მყოფ. = „რომ მოკვდე“; „რომ წახდეს/გაფუჭდეს“), ალა ისგოტდ მწა მწდილ ლი?“; ბქ. „სი ჩტპთდავრი ი ევჯი ჩტპდლატში, ალი ისგოტ მწა მწდილ ლი?“ (მდრ. ზემოთ მოცემული ქართული ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნიდან“).

<sup>1</sup> \*? სიმბოლოში იგულისხება კითხვით ინტონაცია.

თითოეული ხაზგასმული შემასმენლის ფორმა კონიუნქტივითაც მისაღებია სტილურად და სემანტიკურად, მაგრამ არა უფრო მეტად, ვიდრე ჩვენ მიერ შემოთავაზებულნი – კავშირებითი მწკრივების გამოყენებით თითქოს საგრძნობი ხდება, რომ წიგნის ენის გამეორებას ვცდილობთ და ტექსტი ხელოვნურობის ელფერს იღებს (განსაკუთრებით – ბალსქვემოურში).

ჰიპოტაქსური კონსტრუქციის არასრულად (სალიტერატურო ქართულის დონეზე) განვითარებაზე მეტყველებს, ჩვენი აზრით, ის ფაქტიც, რომ მისი პარალელური (კავშირიანი და უკავშირო) ტიპები, ბალსქვემოურ დიალექტთან შედარებით, ბალსქვემოურში (განსაკუთრებით ჩუბეხეურში, ქვედა ზონაში, რომელიც ქართული სალიტერატურო ენისა და ბალსქვემოურის გავლენას ნაკლებად განიცდის) ნაკლებად არის; მაგალითად, ამ დიალექტში **ერ** („რომ“) კავშირიც გაცილებით ნაკლებ პროდუქტიულია რთულ კონსტრუქციებში: ბალსქვემოელი თუ ამბობს – **სი ერ ჩრანჯლენი ლახტხან, ერქა აღჩედ თბილისთე** – „შენ რომ ჩამოხვალ მთიდან, მაშინ წავიდეთ თბილისში“, ბალსქვემოელი იტყვის: **სი ჩრანჯლენი ლახტხენ\*?, ერქას ოლჩედ თბილისთე** – „შენ [რომ] ჩამოხვალ მთიდან (კითხვითი ინტონაცია, მახვილი ბოლო მარცვალზე), მაშინ წავიდეთ თბილისში“.

დაბოლოს, ალბათ უნდა ვიფიქროთ, რომ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ჩამოყალიბების პერიოდში სვანურ ენაში ზოგ მწკრივს უკვე შექმნილი ჰქონდა ინფერენციული მნიშვნელობა (რაც, ჩვენი აზრით, მორფოლოგიურადაც აისახა საანალიზო ფორმებში – იხ. მარგიანი-სუბარი 2012, 148-150), აღნიშნული ზმნები თავადვე (გარემოცვისგან დამოუკიდებლად) მოიცავენ პირობითობის გაგებას, ამდენად, კავშირი, ქართული სალიტერატურო ენისგან განსხვავებით, სვანურში სავალდებულო არც იყო, თუმცა ქვეწყობილი წინადადების კავშირიანი შეერთებაც ენაში, ცხადია, შესაძლებელია პარალელურად, რაც უფრო მეტად ინოვაციას ან სალიტერატურო ქართულის გავლენას უნდა მიეწეროს.

რაც შეეხება იმ საკითხს, რომ ეს პროცესი მხოლოდ პირობით დამოკიდებულ წინადადებას არ ეხება, ადვილი ასახსნელია: ბოლოს და ბოლოს ყოველგვარი ქვეწყობა, საზოგადოდ, პირობითობასაც (ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით) ნიშნავს – ყველა ტიპის დამოკიდებული წინადადება ერთგვარად წინაპირობაა მთავარში მოცემული სიტუაციისთვის: „დამოკიდებული წინადადება, კითხვითი ინტონაციის საფუძველზე, ქართულში პირობითი შინაარსისა“ (როგავა 1948:366).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „უმწერლობო ენებში (მეგრულში, სვანურში) დასტურდება ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა ორი ფენა: **პირველი**, წვერ-კავშირიანი და მაქვემდებარებელკავშირიანი, რომლებიც იმეორებენ რთულ კონსტრუქციათა დახვეწისა და სრულყოფის გზას ძველი ქართულიდან თანამედროვე ქართულამდე; **მეორე**, საკუთრივ ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, რომელთა თავისებურება, პირველ რიგში, განპირობებულია იმით, რომ **ბევრ მათგანში ჭირს დამოკიდებულ წინადა-**

**დებათა ტიპის განსაზღვრა** (ხაზი ჩვენია – ქ. მ.), შეიძლება ითქვას, რომ ეს არც არის საჭირო, რადგან მთლიანად წინადადება, კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, ინფორმაციის სტრუქტურირების სპეციფიკური სტრატეგიის გამოძახებელია“ (კარტოზია და სხვ. 2010:342).

ფიქრობთ, სწორედ ამ სტრატეგიის განხორციელების გზა ისევ და ისევ ზმნაზე, მის მოქნილობასა და ინფორმაციულ შესაძლებლობებზე გადის.

ჩვენი აზრით, **სვანურში ჰიპოტაქსური კონსტრუქციის შედარებით არქაული ტიპის შენარჩუნებას ხელი შეუწყო:** ა) **ინფერენციული (ეპისტემიკურობის, პირობითობის, შესაძლებლობის სემანტიკის შემცველი) ზმნების არსებობამ ენაში;** ბ) ახალი რთული კონსტრუქციის შექმნისთვის მოტივაციის არარსებობამ: წიგნის ენამ სხვა მოთხოვნები წამოაყენა, სხვა სივრცე მოითხოვა (**უმთავრესი მიზეზი!**) და იგი საანალიზო მიმართულებითაც უფრო მეტად განვითარდა, უმწერლობო ენამ კი მხოლოდ ზმნის განსაკუთრებული მოქნილობითა და ინფორმაციული ტევადობით „ისარგებლა“ და ბევრი რამ ორგანულ ფორმებში ასახა; შესაბამისად, რთული ქვეწყობილი წინადადების ტიპიც, სპეციფიკური (ინფერენციული) მწკრივებით გამოხატული შემასმენლის ხარჯზე, ძველი ფორმით შენარჩუნდა, თუმცა მის პარალელურად სალიტერატურო ენის ანალოგიით (და არა აუცილებლობით) თანდათანობით კონსტრუქციის სრულყოფილი (კავშირიანი, კორელატიანი) ფორმაც დამკვიდრდა;

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ბოლომდე ჩამოყალიბების პროცესი სვანურში ჯერაც არ დასრულებულა, ხოლო ეს პროცესი უძველეს საფეხურზე რომ არ გაყინულა, ამის დასტურია საანალიზო კონსტრუქციის ძველი და ახალი ტიპების თანაარსებობა ენაში. კვლევა გრძელდება და მომე ენებისა და დიალექტების, ასევე ძველი ქართული მონაცემების გამოწველილვით შესწავლა-შეპირისპირებამ სვანური ენის მასალასთან შესაძლოა რთული წინადადების საერთო-ქართველური მოდელისა და, ზოგადად, გენეზისის შესახებ გარკვეულ სათანადო დასკვნებამდეც მიგვიყვანოს.

### **ლიტერატურა**

**ერთელიშვილი 1963.** ფ. ერთელიშვილი, *რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში*, I, თბილისი.

**კარტოზია, გერსამია, ლომია, ცხადაია 2010.** გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, *მეგრულის ლინგვისტური ანალიზი*, თბილისი.

**ლომთათიძე 1946.** ქ. ლომთათიძე, *დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში*, იკე, I, თბილისი.

**მარგანი-სუბარი 2012.** ქ. მარგანი-სუბარი, *ვეიდენციულობის კატეგორია სვანურში*, თბილისი.

**როგავა 1948.** გ. როგავა, *ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში*, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, VIII, თბილისი.

*როგავა 1953*: გ. როგავა, *დრო-კილოთა IV ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში*, იკე, V, თბილისი.

*ძიძიგური 1989*: შ. ძიძიგური, *რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში*, თბილისი.

*Ketevan Margiani-Subari*

## **Towards the Developmental Stages of Hypotaxis in Svan**

### Summary

The asyndetic form of subordination (often without a correlate) is mostly spread in Svan. It is true that along with it there occurs a Georgian-like structure, but the latter leaves the impression of artificiality and seems to be a Georgian calque. The mentioned phenomenon refers to a condition-consequence construction (though it is not unusual for complex sentences with other types of subordinate clauses, either).

The mentioned occurrence is unfamiliar for the modern literary Georgian. It is noteworthy that a verb-predicate of a Svan complex sentence without a conjunction/correlate is always expressed by some inferential (prop. Svan) screeve (inferential present, inferential type of future...) and not by a Georgian-like categorical verbal form.

I believe that the **preservation of a relatively archaic type of a Svan hypotaxis construction has been contributed by**: a) **existence of inferential verbs (containing epistemic modality, conditional semantics) in the language**; b) non-existence of motivation for creating a new complex construction: a book language has raised other demands and required different space (**major reason!**); while an unwritten language only ‘took advantage’ of a verb’s particular flexibility and informative capacity and has reflected many things in organic forms. Accordingly, the type of a complex sentence has maintained in an old form at the expense of the predicate expressed by specific (inferential) screeves, though along with it, by analogy ( and not by necessity) of a literary language gradually a perfect form (with a conjunction/correlation) of a construction has established, as well.


Thus, it could be said that the formation process of a hypotaxis construction in Svan has not finished yet; and the fact that this process did not ‘freeze’ on the ancient stage may be proved by the co-existence of old and new types of an analytical construction in Svan.

The research is still continuing. In all probability, the detailed study and comparison of kindred languages and dialects, as well as Georgian data, with the Svan language material may lead us to proper conclusions on a Common-Kartvelian model of a complex sentence and, generally, on genesis.



## დროის სისტემა ქართულ ჟესტურ ენაში

ქართულ ჟესტურ ენას აქვს თავისი დროის სისტემა. საერთოდ, ჟესტური ენები სივრცითი და დროითი ერთეულების მიმართ თავის სპეციფიკურ დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ, თუმცა დროის კატეგორია, საერთოდ, ყველა ენაში (აქ მოვიაზრებთ როგორც ჟესტურ, ასევე სამეტყველო ენებსაც) მოიცავს უნივერსალურ ქრონომეტრულ თვალსაზრისებს. მოქმედების შესრულების დრო ან, საერთოდ, დროითი სივრცე ჟესტური ენებისთვის ზოგადი გრაფიკით ასე გადმოიხატება:



წინ არის მომავალი, უკან არის წარსული. ახლოს წინ არის ახლო მომავალი, ახლოს უკან არის ახლო წარსული, ხოლო წინ შორს არის შორეული მომავალი და უკან შორს არის შორეული წარსული. ეს მიდგომა არის უნივერსალური ჟესტური ენებისთვის.



დრო


ეს არის მრავალფაზიანი სიტყვა-ჟესტი „დრო“.

დროის გადმოცემისას მიმიკას აქვს გრამატიკული მნიშვნელობა. ერთი და იმავე ჟესტით სხვადასხვა დროით შინაარსს იძენს.

მოქმედების დრო შემდეგი მიმიკით გადმოიცემა:

1. აწმყო არის აწურული ლოყები და გრძივად მოჭკუტული თვალებით გადმოცე-  
მული მიმდინარე დრო;
2. წარსული უფრო კატეგორიული მიმიკით ხასიათდება, როგორც მომხდარი  
ფაქტი.
3. მომავალი გადმოიცემა აწეული წარბებით და თხოვნითი სავარაუდო-სამომავ-  
ლო ელფერით;  
გარდა მიმიკისა, ზმნის დროთა გადმოსაცემად შესტური ერთეულებიც გამოი-  
ყენება.


1. აწმყო:



### ხატავს


ეს არის ერთხელიანი შესტის ფორმა, აწმყო დრო.

2. წარსულის მარვენებელი შესტი უკან გადაქნეული ხელით გამოსახული  
შესტია.



### წარსული დრო

აღსანიშნავია, რომ სრული წარსული დროის გადმოსაცემად ქართულ შეს-  
ტურ ენას აქვს შესაბამისი გრამატიკული ერთეული:



სრული წარსული დროის გამომხატველი ნიშანი „უკვე“ არის ორი ხელის მკერდის დონეზე დაქნევა, როგორც ხდება სველი ხელების გაფერთხვა. ზოგჯერ ეს ნიშანი შეიძლება ერთი ხელითაც იყოს წარმოდგენილი, როდესაც შესტურ ფორმაში გვაქვს სრული დრო, იქ წარსული დროის ნიშანი აღარ იქნება, რადგანაც ეს უკვე თავისთავად მოიაზრებს შესრულებულ ზმნურ აქტს. თუმცა ზოგჯერ ადგილი აქვს რეფერენტთა სიჭარბესაც, მაგრამ შესტური ენის ლაკონიური ბუნების გამო ეს იშვიათობაა.



**დასაბა**


ამ ფორმაში წარსული სრული დროის აღმნიშვნელი შესტი გვაქვს პირველ ორ ფოტოზე და შემდეგ მოდის ზმნა.



**დასაბა**

წარმოდგენილ ფორმაში ჯერ ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ამსახველი შესტია გამოსახული პირველ ორ სურათზე და მერე მოდის წარსული სრული დროის შესტი მესამე და მეოთხე სურათებზე.

3. მომავალი დრო წინ წაწეული ხელით გამოსახული შესტით გამოსახება:



**მომავალი დრო**



## დასაბავს


აქ მომავალი დროის გამომხატველი ჟესტი გვაქვს. ჯერ ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ამსახველი ჟესტია გამოსახული პირველ ორ სურათზე და მერე მოდის მომავალი დროის ჟესტი მესამე და მეოთხე სურათებზე – წინ წაწეული ხელით გამოსახული ჟესტი. თუმცა ზოგი წყარო ამ ორ ფორმანტს სხვა თანმიმდევრობითაც გვიჩვენებს:



## დასაბავს

აქ ჯერ მომავალი დროის ჟესტია გამოსახული პირველ ორ სურათზე და მერე მოდის ზმნის ამსახველი ჟესტი მესამე და მეოთხე სურათებზე.

ქართულ ჟესტურ ენას აქვს განგრძობითობის გრამატიკული ნიშანიც, რითიც ის უსრული ასპექტის სემანტიკას გადმოსცემს:



## განგრძობითობის ნიშანი



### ხატავდა

მოცემული შესტური ზმნის ფორმაში პირველი ორი სურათი გვიჩვენებს განგრძობითობას – უსრულ დროს. მესამე და მეოთხე სურათები (უკან გადაქნეული ხელი) გვიჩვენებს წარსულ დროს. მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე კი ზმნა წარმოდგენილია ძირითადი ლექსიკური ერთეულით. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ ფორმასაც აქვს ალტერნატიული ვარიანტები შესტურ რეფერენტთა რანგების თვალსაზრისით.

განგრძობითი დროები, შესაბამისად, გაგრძელებული და შენელებული პანტომიმური მოძრაობებით გადმოიცემა. ზოგჯერ ეს მორფოსემანტიკა შესტის განმეორებითობითაც არის ასახული:



### ხატავდა

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს „ხატავდა“ ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა, რომელიც ასევე მეორდება მესამე და მეოთხე სურათებზეც.



### წერდა

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს „წერდა“ ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა. მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია წარსული დროის შესტი, ხოლო ბოლო ორ ფოტოზე – მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე ასახულია განგრძობითობის ნიშანი.




წარღა

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს „წერღა“ ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა, რომელიც ასევე მეორდება მესამე, მეოთხე და მეხუთე სურათებზეც.



აკეთებღა

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს „აკეთებღა“ ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა. მესამე და მეოთხე სურათებზე გამოსახულია წარსული დროის შესტი, ხოლო ბოლო ორ სურათზე – მეხუთე და მეექვსე ფოტოებზე ასახულია განგრძობითობის ნიშანი.



აკეთებღა

პირველ და მეორე სურათებზე მოცემული გვაქვს „წერღა“ ზმნის ძირეული ლექსიკური ფორმა, რომელიც ასევე მეორდება მესამე და მეოთხე სურათებზეც.

უნდა აღენიშნოთ, რომ კონკრეტული განსახილველი საკითხის უკეთ წარმოჩინების მიზნით ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩვენ გააზრებულად არ ავსახეთ ზმნის პირები, ანუ აქ წარმოდგენილია სრული ფორმის ფრაგმენტი. მაგრამ ცხადია, რომ ეს ზმნური ფორმები, რა თქმა უნდა, პირთა კომბინაციის კონკრეტული ფორმებია და აქვს შესტური ფორმით წარმოდგენილი პირიანობის სათანადო ნიშნებიც.

გაბმულ მეტყველებაში ამა თუ იმ კონკრეტულ წინადადებაში ზმნამ შეიძლება არ გაარჩიოს მოქმედების დრო, ან მხოლოდ ერთხელ გამოიყენოს დროის შესტი, როგორც ძირითადი ინფორმაცია. ეს გამომდინარეობს შესტურ ენათა ლა-

კონიზმიდან. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ენის ნორმების დადგენა, სადაც შეჯერებული იქნება სხვადასხვა მიდგომა და დასაბუთებული, არგუმენტირებული ნორმა დაიდება.




1978 წლის 14 აპრილი ისტორიული დღეა.

პირველი ორი სურათი გადმოგვცემს სიტყვას „ათასს“. მესამე და მეოთხე სურათებზე ასახულია სიტყვა „ცხრაასი“, ხოლო შემდეგი ორი სურათი, მეხუთე და მეექვსე, ასახავენ მოცემული რიცხვის ათეულს, კერძოდ, მეშვიდე ათეულს და პირველი რიგის ბოლო სურათზე მოცემულია დასახელებული წლის – 1978-ის ბოლო ციფრი – ერთეული „რვა“. ქვედა რიგში პირველ სურათზე მოცემულია სიტყვა „წელი“. შემდეგი ორი ფოტო – ქვედა რიგის მეორე და მესამე ფოტოები გვიჩვენებენ რიცხვს 14. ამათგან პირველი არის ათეულის მაჩვენებელი – 10 და მეორე კი ერთეულის – 4. ქვედა რიგის მეხუთე ფოტოზე გამოსახულია სიტყვა-ფესტი „აპრილი“, ხოლო მომდევნო მეექვსე სურათი ასახავს სიტყვა-ფესტს „ისტორიული“. აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვაც დროითი სემანტიკითაა გაგებული ქართულ ფესტურ ენაში და, შესაბამისად, ციკლორობით, წრიული დროის ფორმით აისახება. ქვედა რიგის ბოლო ორი სურათი – მეშვიდე და მერვე გვიჩვენებს სიტყვა-ფესტს „დღეა“. აქ ყოფნა ზმნა გამოტოვებულია. ქართული სამეტყველო ენისგან განსხვავებით, ეს მისაღები ფორმაა ქართულ ფესტურ ენაში.



დავიბადე 1984 წლის 24 იანვარს.

მოცემულ წინადადებაში პირველი ორი ფესტი აღნიშნავს სიტყვას „დავიბადე“ – ეს არის „ბავშვის“ შობის პროცესის ტრაექტორიის ამსახველი სიტყვა-ფესტის მოძრაობა. მესამე და მეოთხე ფოტოები გვიჩვენებენ სიტყვას „ათასს“, შემდეგი მეზუთე და მეექვსე სურათები ასახავენ ასეულების სიტემის ციფრს – „ცხრაასს“, მეშვიდე და მერვე სურათებზე მოცემულია ათეულების სისტემის ციფრი – „მერვე ათეული“ და შემდგომი ზედა რიგის ბოლო მეცხრე სურათი გვიჩვენებს დასახელებული წლის – 1984-ის ბოლო ციფრს – ერთეულს „ოთხი“. ქვედა რიგში პირველ სურათზე მოცემულია სიტყვა „წელი“, ხოლო მეორე და მესამე გვიჩვენებს რიცხვს 24. ამითგან პირველი არის ათეულის მაჩვენებელი – 20 და მეორე კი ერთეულის – 4. ქვედა რიგის ბოლო მეოთხე ფოტო პირველი „ი-“ დაქტილით ასახავს სიტყვა-ფესტს „იანვარი“.



### **დღეს პარასკეზია, 6 დეკემბერი**

ამ წინადადებაში პირველი სურათი ასახავს სიტყვა-ფესტს „დღეს“. მეორე სურათზეა მოცემული სიტყვა-ფესტი „პარასკევი“ და ბოლო, მეოთხე ფოტო ამ სიტყვაში შემავალი პირველი „დ-“ დაქტილით ასახავს სიტყვა-ფესტს „დეკემბერი“.

ქართულ ფესტურ ენაში დროის სისტემა ძირითადად გადმოიცემა დროის ზმნიზელებით და ასევე დროის აღმნიშვნელი ისეთი სიტყვა-ფესტებით, როგორცაა საათი, წელი, საუკუნე, თვე და ა.შ. ბუნებრივია, რომ ქართულ ფესტურ ენაში დროის საზომი ერთეულები იმეორებს ქართული სამეტყველო ენის სისტემას, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ენაში ყოველთვის არ გვხვდება სამეტყველო ენის შესაბამისი დროის გამომსახველი სიტყვები. მაგალითად, ქართულ ფესტურ ენაში არ გავქვს შემდეგი დროის ზმნიზელები და დროის აღმნიშვნელი სიტყვათშეთანხმებები: დროდარო, ზოგჯერ, ნამყო, აწყო, მყოფადი, მაშინვე, ამ წუთას, რეგულარულად, მყისვე, წამიერად, ჟამი, მეყსეულად, ოდესმე, მრავალჟამიერ. თარგმანში ეს სიტყვები მათთან შინაარსით ახლომდგომი სიტყვებით შეიცვლება.

მიმდინარე ეტაპზე, როდესაც ჯერ არ არის შემუშავებული ქართული ფესტური ენის ნორმები, აღინიშნება დიდი სხვადასხვაობა ზმნის ფორმებში მოცემული დრო-კილოთა გამომსახველი ფესტების თანმიმდევრობის თვალსაზრისით.

ქართული ფესტური ენის ლექსიკის დროის სისტემა ძირითადად გადმოიცემა დროის ზმნიზელებით და ასევე დროის აღმნიშვნელი ისეთი სიტყვა-ფესტებით, როგორცაა საათი, წელი, საუკუნე, თვე და ა.შ. ბუნებრივია, რომ ქართულ ფეს-



ტურ ენაში დროის საზომი ერთეულები იმეორებს ქართული სამეტყველო ენის სისტემას, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართულ ჟესტურ ენაში ყოველთვის არ გვხვდება სამეტყველო ენის შესაბამისი დროის გამომსახველი სიტყვები. მაგალითად, ქართულ ჟესტურ ენაში არ გავსებს შემდეგი დროის ზმნიზებები და დროის აღმნიშვნელი სიტყვათშეთანხმებები: დროდადრო, ზოგჯერ, ნამყო, აწმყო, მყოფადი, მაშინვე, ამ წუთას, რეგულარულად, მყისვე, წამიერად, ჟამი, მეყსეულად, ოდესმე, მრავალჟამიერ. თარგმანში ეს სიტყვები მათთან შინაარსით ახლომდგომი სიტყვებით შეიცვლება.

ქართულ ჟესტურ ენაში დროის აღმნიშვნელი სიტყვები ძალიან ხშირად მიუთითებენ დროის მარადიულობის ფენომენზე, მის წრიულობასა და ციკლურობაზე.

### ლიტერატურა

- ა. ბატატუნაშვილი, *მოლაპარაკე ხელები*, ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი, თბილისი 2008.
- თ. მახარობლიძე, *ჟესტურ ენათა ნაციონალიზაციის პროცესი*, კავკასიის ხალხთა ფოლკლორი და კულტუროლოგია, საერთაშორისო სიმპოზიუმის თეზისები, თსუ, თბილისი 2012.
- В.З. Базоев, В.А. Паленный, *Человек из мира тишины*, “Академкнига”, Москва 2002.
- В.З. Базоев, Г.Н. Гаврилова, Т.П. Давыденко, И.А. Егорова, В.В. Ежова, Н.А. Чаушьян, *Словарь Русского жестового языка*, Москва, Издательство “Флинта” 2009.
- Г.Л. Зайцева, *Русский жестовый язык. Курс для начинающих*, Учебно-методическое пособие, Научно-методический центр социально-педагогических проблем обучения глухих и жестового языка, Москва 1999.
- Русский жестовый язык и мы*, Сборник материалов Московской конференции 20.04.2011.
- Современные аспекты жестового языка*, Составитель сборника А. Комарова. Москва 2006.
- Р.Н. Фрадкина, *Говорящие руки. Тематический словарь жестового языка глухих России*, Москва 2001.
- Ch. Baker-Shenk, D. Cokely, *American Sign Language. A Teacher's Resource Text on Curriculum, Methods and Evaluation*, Clerc Books, Gallaudet University Press. Washington D. C. 1980.
- Ch. Baker-Shenk, D. Cokely, *American Sign Language. A Teacher's Resource Text of Grammar and Culture*, Clerc Books, Gallaudet University Press, Washington D.C. 1980, 1991.
- Grammar and Culture*, Clerc Books, Callaudet University Press, Washington D.C. 1980, 1991
- E. Costello, *American Sign language Dictionary*, Random House Webster's, New-York 1994.

*Gesture Languages of Friendship*, Volume II, Saint Petersburg 2003.

A. Kendon, "Human Gestures", In K. R. Gibson and T. In: gold (eds) *Tools, Language and Cognition in Human Evolution*, Cambridge University Press, Cambridge 1944.

*Tamar Makharoblidze*

### **The Temporal System in the Georgian Sign Language**

#### Summary

The Georgian sign language has its own time system. Generally, sign Languages demonstrate their specific but universal attitudes towards the spatial and time linguistic units. The Georgian sign language possesses an appropriate time vocabulary. The words very often point to the circular character of time reproducing the non-iconic signs. This language displays all the time-connected categories which are well exposed in the verbal systems of spoken Georgian. For the current moment, the standards for the Georgian sign language are not yet developed and now there is a big variety of forms exposing the same meaning without any fixed location for time sign markers in the row of gestures displaying the meanings of the finite verbal forms.

## ზემო ქართლის ტოპონიმიკური მასალები

„ენათმეცნიერების საკითხების“ II, 2008 წლის ნომერში დაიბეჭდა ჩვენი სტატია სათაურით „შიდა ქართლის ძველი ტოპონიმები“, რომელშიც მიმოვიხილეთ ზემო ქართლის ხეობების ორი ათეული ტოპონიმის ისტორია, ეტიმოლოგია, ანთროპონიმის საკითხების ძველი და ახალი ვითარება.

აღნიშნული მხარე საქართველოს ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს, ტოპონიმები კი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოდენობებია, რომლებიც გვეხმარება ძველად იქ მცხოვრები ხალხის ეკონომიკურ-კულტურული ვითარების გამოვლენაში, ეროვნულობის დადგენაში.

მხარის შესახებ უპირველესი ძეგლებია ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“, „ძველი ერისთავთა“ და სხვა წყაროები, რომელთა გათვალისწინების გარეშე კვლევა სრულყოფილი ვერ იქნება.

ვახუშტი წერს: „...ამ ადგილებთა შინა პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაიდგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“ (ვახუშტი 1997:73-74).

ამავე დროს ვახუშტი აღწერს ტოპონიმებს და ზოგიერთის განმარტებასაც იძლევა: „სამხრით მთა ხოხის კაკასი, ფრიად მაღალი, ამან მოიგო სახელი თვისი ხოხვით სვლისათვის, რამეთუ ძნიად გარდავაღს ცხენნი მას ზედა. გარნა მკვირცხლნიც ჭირითა... ბრუცსაბმელი ეწოდება, ვინათგან არს მსგავსი საბძლისა და უქმი“ (ვახუშტი 1997:114-117).

ტოპონიმებისა და დოკუმენტების შედარების საფუძველზე შესაძლებელი ხდება მსჯელობა ენობრივ სიტუაციაზე მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებში, როდესაც მთაში ქართველობა სახლობდა, ისინი სხვა ენობრივ გარემოში მოხვდნენ და ნელ-ნელა დაივიწყეს მშობლიური. „ენა აქუთ ძველი დვალური“ – წერს ვახუშტი და „აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად, უწყიან ქართულნი“. ვახუშტის ასეთი განმარტება დვალურის შესახებ იმიტომ მოაქვს, რომ ის დვალურს უპირისპირებს ოსურს. დვალები მეტყველებდნენ ოსურად, ოღონდ დვალურ დიალექტზე, დვალური კი ქართულის განშტოება იყო და მთელი ტოპონიმია მეცნიერმა დვალებისაგან ჩაიწერა.

მხოლოდ ქართული ენის საშუალებით აიხსნება დვალეთში არსებული კომპი-კომა-კომკები, როკა, კასრისკარი, ქნოლო, ყელი, თრუსო, ზეკარი, ედისი, ერმანი და მრავალი სხვა. ძველი ერემა, დღეს ნასოფლარი ერმანია, რომელიც ლი-

ახვის ერთი შენაკადის სათავეა. ის მესაქონლეობის აღმნიშვნელ ტოპონიმად უნდა მივიჩნიოთ. მთაში ჩაწერილი მასალების მიხედვით (ქსნის ხეობის მეცხვარეები), ცხვრის ფარა, რომ მთებს შეეფინება, იმას „ერქუა ერემაი“. მართლაც, ეს მხარე საუკუნეების განმავლობაში მეცხვარეობის რეგიონი იყო.

ყელი ეწოდება როგორც ტბას (ყელის ტბა), ისე მის დასავლეთით ვიწრო ხეობას, რომელიც საქონლის გადასარეკი იყო.

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მათიანე „ძეგლი ერისთავთა“, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნის მნიშვნელოვანი ისტორიული ქრონიკაა, მოგვითხრობს ქართლის მთიანეთის მთელი რიგი გეოგრაფიული სახელების შესახებ. ქრონიკის მიხედვით, მალრან დვალნი და ქვემო დვალნი ამ დროისათვის თემ-სოფლების მიხედვით არიან დაჯგუფებულნი და ნარიანი მრავლობითობითა და სადაურობის მაწარმოებელ - ელ სუფიქსებითაა გაფორმებული:

„ზღუბერელ-როკაელნი, ბრუტასშვილნი, კოშკელ-იოსებურნი, თლეველ-მული-სეველნი, კელეურ-კაბეშურნი და სხვები“ (ძეგლი ერისთავთა 1954:336).

ქრონიკაში დასახელებული „ერემა“ დღევანდელ ნასოფლარს ერმანს შეეფარდება, რომელიც ზემო ერმანის წყლის სათავეში „დიდი მთის“ დასავლეთით ლოკალიზდება. სავარაუდოა, რომ ძეგლში დასახელებული „ხოჯა“ თანამედროვე ხომს შეეფარდება, რომელიც ასევე ნასოფლარია.

ქრონიკაში დასახელებული „ჟამური“ ქსნის ხეობის სათავეში ლოკალიზებულ იმ ტერიტორიულ ერთეულს შეეფარდება, რომელსაც დღესაც ჟამური ეწოდება. ფონეტიკური მსგავსების თვალსაზრისით ამ ტოპონიმის სეხნია, პარალელური სახელია მდინარე ფაწას სათავეში ასევე საძოვრებით მდიდარი ადგილები, რომელსაც „ჟამურა“ ეწოდება და ყოველთვის დიდი ლიახვის ხეობის სოფლების: კეხვის, ძარწემის, ქემერტის, ქურთის, თამარაშენის კუთვნილი საზაფხულო საძოვრები იყო. მცხოვრებთა განმარტებით, სიტყვა „ჟამურა“ მჟავე წყლის აღმნიშვნელია, რომელიც ამ ადგილებში უხვად მოედინება.

ქრონიკაში აღნიშნული როკი (ხალხური ეტიმოლოგიით ჩამოროკილი კლდე) დიდი ლიახვის მარჯვენა შენაკად როკის წყლის ხეობაში მდებარე პატარა სოფელს, როკას, შეეფარდება. „ბრუტასშვილნი“ ნასოფლარ ბრიტათს შეეფარდება, რომელიც ლიახვის მარჯვენა შენაკად ბრიტათის წყალზე მდებარეობს. ზოგიერთ დოკუმენტში ის გვხვდება როგორც „ბრიტაული“, რაშიც ჩანს მისი თავდაპირველი ფონეტიკური სახე. კოშკა მდებარეობს დიდი ლიახვის შენაკად კოშკის წყლის ხეობაში, მარჯვენა მხარეს. აღნიშნულ ნასოფლარში რამდენიმე თავდასაცავი კოშკია აგებული და სახელიც კოშკ-კოშკები დაარქვეს ჩვენმა წინაპრებმა. ეს სიტყვა წარმოადგენს ანალოგს ისეთი გეოგრაფიული სახელებისა, როგორებიცაა – ციხიანი, ციხეები, დიდციხე, დარბაზი, ნადარბაზევი, ტაძრები, ბაგები და სხვები.

ვახუშტის განსაზღვრით, დვალეთი ეწოდება ზეკარის კავკასიდან ვიდრე ჩერქეზამდე. ამასთან მეცნიერი მალრან-დვალეთს უწოდებს კასრის კარს, ზრამაგას, ჟღელეს, ნარას, კუდაროს. ტოპონიმი „მალრან-დვალეთი“ ეტიმოლოგიზდება როგორც „ტყიანი დვალეთი“. ამგვარ ახსნას კი საფუძვლად უდევს სიტყვა „მალრანი“, რომელიც სულხან-საბასთან ასეა განმარტებული: „მალრანი, არს მთათა შინა ტევრნალი, შამბიანი“ (სულხან-საბა 1991:449). მეტათეზისის გზით (ნ-რ) მალნარისაგან – მალრანის მომდინარეობის შესაძლებლობა.

მთაში არსებული ზოგიერთი სოფელი და ნასოფლარი ჯერ კიდევ ინარჩუნებს ძველ სახელებს, რომლებიც გვარის მიხედვით იყო დარქმეული. დიდი ლიანხვის მარცხენა მხარეს დაბა ჯავის პირდაპირ არის სოფელი ბუზალა, სადაც ბუზალაძეები ცხოვრობდნენ. უცხოტომელთა მოძალების გამო ისინი ბარად წავიდნენ საცხოვრებლად. ეს გვარი ძირითადად ფრონეს ხეობის სოფელ ახალშენში ჩასახლდა, არიან ქარელში და ამავე რაიონის სოფლებშიც. ახალსოფელი ამჟამად ნასოფლარია მდინარე სვერისწყლის ხეობაში. აქ ცხოვრობდნენ ჯირკველიშვილები, რომლებიც გორის სოფელ ვარიანში არიან ჩასახლებულები. ისინი ცხოვრობდნენ სოფელ ანძისშიც. პატარა სოფელ ზალდაში არის „გიუნანთ ეკლესია“, ეს სახელი დაერქვა გიუნაშვილების გვარის მიხედვით, რომლებიც მერე ცხინვალში და სოფელ დგერისში დაესახლნენ. ამავე ხეობაში „შევარდენის კლდის“ ძირში იყო პატარა დასახლება „თიბილაანთ კარი“, სადაც თიბილაშვილები ცხოვრობდნენ, ამჟამად კი ნასოფლარია და სხვა.

წყაროებში მოდიებული ტოპონიმების ანალიზით შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნა, რომელიც მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი იქნება ბევრი საკითხის გასარკვევად. კერძოდ, მცდარია არაქართველ ტომად დვალეების გამოცხადება. აქ უგულებელყოფილია ქართული ზეპირგადმოცემები, ტოპონიმიკური მასალა, ისტორიული წყაროები. ყოველივე ეს ეპიგრაფიკულ მასალასთან შეჯერებას, კვლევას და პუბლიკაციას მოითხოვს.

## **ლიტერატურა**

**გიულდენშტედტი 1962:** ი. გიულდენშტედტი, *მოგზაურობა საქართველოში*, ტ. I, თბილისი.

**ვახუშტი 1997:** ვ. ბაგრატიონი, *საქართველოს გეოგრაფია*, თბილისი.

**სულხან-საბა 1991:** სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, თბილისი.

**ძეგლი ერისთავთა 1954:** ძეგლი ერისთავთა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი.

## **Toponymic Materials of Zemo Kartli**

### Summary

The above-mentioned region represents the central part of Georgia. Toponyms help us to ascertain the cultural and economic condition of the people who lived there centuries ago and to identify their nationality. When comparing the toponyms and the documents, it is possible to discuss the language situation existing in the middle of the 18<sup>th</sup> century, when the Georgian population lived in the mountains. Later, they found themselves in different language conditions forgetting their mother tongue.

The toponym maghran-dvaleti is etymologized as “tkiani dvaleti” and such explanation of this expression is based on the word “maghrani”. Some mountain villages or deserted villages still retain their old names given to them according to the surnames of the people who lived there. For example, the Buzaladzes lived in the village of Buzala. In the ruined village of Akhalsopeli lived the Jirkvelishviliz and so on. By means of toponyms we can judge about the problems connected with our history and the history of our language.

## რიცხვით სახელთა ბრუნების ტიპები სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მიხედვით

მორფოლოგიური თვალსაზრისით, როგორც ცნობილია, რიცხვითი სახელი ბრუნებადი სიტყვაა, და ამ კატეგორიის მიხედვით არაფრით არ განსხვავდება არსებითი და ზედსართავი სახელისაგან, გარდა იმისა, რომ რიცხვით სახელს მრავლობითი რიცხვის ფორმები არ მოეპოვება. მართალია, რიცხვით სახელს შეიძლება მრავლობითის ფორმაც ჰქონდეს (მაგ.: „ორი“ და „ორნი“, „ხუთი“ და „ხუთნი“, „შვიდი“ და „შვიდნი“ და ა.შ.), მაგრამ ეს, მეცნიერთა თვალსაზრისით, მხოლოდ ფორმალური მრავლობითია (შანიძე 1980:47).

ცნობილია ისიც, რომ სვანურ სახელთა ბრუნება დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული, რის გამოც, სვანურის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ა. შანიძე წერდა: „...ძნელია ნათლად გაერკვეს კაცი იმ არეკლარულ ფორმებში, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნება დღეს...“ (შანიძე 1981:362). მიუხედავად ამ სირთულისა, სვანური ბრუნების კატეგორიაზე არაერთი ცნობილი მეცნიერი მუშაობდა (ვ. თოფურია, კ. ღონღუა, თ. შარაძენიძე, მ. ქაღდანა, გ. მაჭავარიანი, ი. ჩანტლაძე, ალ. ონიანი, ლ. პალმაიტი, ე. გაზდელიანი და სხვ.) და უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი შრომებიც შეიქმნა.

როგორც ალ. ონიანი შენიშნავს (1998:57), „გარკვეული სახის მიღწევები სახელთა ბრუნების შესწავლაშიც იქნა მოპოვებული, თუმცა ამ სფეროში მეცნიერულ პროგრესს, გარდა შესასწავლი ობიექტის სირთულისა, ორმა გარემოებამ შეუშალა ხელი: 1. სვანურის ნარეკობის მცდარი თეზისის გაზიარებამ, რასაც სვანურ სახელთა ბრუნებაში სხვადასხვა ენათა „სისტემების“ მექანიკური გამოყოფა მოჰყვა; სინქრონიული ანალიზი, ამ გზით, აფიქსთა წარმომავლობის მიხედვით დაჯგუფების ცდამ შეცვალა; 2. სინქრონიული კვალიფიკაციისას დიაქრონიიდან ამოსვლამ, ე.ი. თანამედროვე სვანურის მონაცემთა იმის მიხედვით დახასიათების ცდებმა, როგორც ვარაუდის მიხედვით, უნდა ყოფილიყვნენ ისინი ისტორიულად და როგორც არ არიან ამჟამად“ (ჯანაშია 1959:86-100; თოფურია 1944:342-347; თოფურია 1985:79-81).

ალ. ონიანი თავის ცნობილ ნაშრომში „სვანური ენა“ შეეცადა თანამედროვე სვანური ენის ბრუნების სისტემის დახასიათებას სინქრონიული ანალიზის ცნობილი პრინციპებიდან ამოსვლით (ონიანი 1998:57), და გააკეთა ერთი მეტად საყურადღებო დასკვნა, რომ „თანამედროვე სვანურში არ მოიპოვება ბრუნვის გამომხატველი არც ერთი მორფოლოგიური ერთეული, რომელიც სხვა ენებიდან (ქართველურიდან თუ არაქართველურიდან) იყოს ნასესხები, და, რაც, მაშასადამე,

სვანურ სახელთა ბრუნებაში არასვანური სისტემების გამოყოფის საშუალებას იძლეოდა (იქვე). თუმცა ამჯერად ბრუნვის გამომხატველ მორფოლოგიურ ერთეულთა ანალიზზე არ შევჩერდებით და გადავალთ პირდაპირ სახელთა ბრუნების ძირითადი ტიპების განხილვაზე.

სვანურ ბრუნებათა კლასიფიკაცია პირველად წარმოადგინა ს. ჯანაშიამ. მან საკლასიფიკაციო ნიშნად გამოიყენა ბრუნვის ნიშანთა სადაურობა და შესაბამისად გამოყო სამი ბრუნება: 1. წმინდა ქართველური (ორგანული) ბრუნება, 2. წმინდა (ან თითქმის წმინდა) „უცხო“ ბრუნება და 3. შერეული ბრუნება<sup>1</sup> (ჯანაშია 1942:254). ვ. თოფურიამ კი სპეციალურ წერილში „ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით“ ბრუნების ოთხი სისტემა გამოყო: 1. ქართველური (ქართულ-ზანური), 2. აღილეური (ჩერქეზულ-დაღესტნური), 3. სვანური (resp. ქართულ-კავკასიური) და 4. ნარევი (თოფურია 1944:344). კლასიფიკაცია აქაც ბრუნვის ნიშანთა სადაურობამ განსაზღვრა. უფრო მოგვიანებით კი ბრუნვათა წარმოების პრინციპზე დაყრდნობით თანამედროვე სვანური ბრუნების ხუთი ტიპი წარმოადგინა თ. შარაძენიძემ (შარაძენიძე 1955:127-133). ჩვენ სწორედ თ. შარაძენიძისეული კლასიფიკაციის მიხედვით წარმოვადგენთ ქვემოთ სვანურ რიცხვით სახელთა ბრუნებას და მეტი თვალსაჩინოებისათვის ცალ-ცალკე წარმოვადგენთ როგორც ტრადიციულად ცნობილი სვანური დიალექტების (ბალსხემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურის, ლენტეხურის), ისე ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულურ-შემოქალაქური კილოკავების ბრუნებათა პარადიგმებს.

## ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

### I ტიპი

#### I ტიპის I ქვეტიპი

სახ.	ჟოშთხჟ „ოთხ-ი“	ჟოხჟშდ „ხუთ-ი“	იშგჟიდ „შვიდ-ი“
მიც.	ჟოშთხჟ-ს „ოთხ-ს“	ჟოხჟშდ-ს „ხუთ-ს“	იშგჟიდ-ს „შვიდ-ს“
მოთხ.	ჟოშთხჟ-დ „ოთხ-მა“	ჟოხჟშდ-დ „ხუთ-მა“	იშგჟიდ-დ „შვიდ-მა“
ნათ.	ჟოშთხჟ-იშ „ოთხ-ის“	ჟოხჟშდ-იშ „ხუთ-ის“	იშგჟიდ-იშ „შვიდ-ის“
მოქ.	ჟოშთხჟ-შიშჟ „ოთხ-ით“	ჟოხჟშდ-ჟშჟ „ხუთ-ით“	იშგჟიდ-ჟშჟ „შვიდ-ით“
ვით.	ჟოშთხჟ-დ „ოთხ-ად“	ჟოხჟშდ-დ „ხუთ-ად“	იშგჟიდ-დ „შვიდ-ად“

სახ.	აეშდ „ათ-ი“	აშირ „ას-ი“	ათანს „ათას-ი“	მილიონ „მილიონ-ი“
მიც.	აეშდ-ს „ათ-ს“	აშირ-ს „ას-ს“	ათანს-ს „ათას-ს“	მილიონ-ს „მილიონ-ს“
მოთხ.	აეშდ-დ „ათ-მა“	აშირ-დ „ას-მა“	ათანს-დ „ათას-მა“	მილიონ-დ „მილიონ-მა“
ნათ.	აეშდ-იშ „ათ-ის“	აშირ-იშ „ას-ის“	ათანს-იშ „ათას-ის“	მილიონ-იშ „მილიონ-ის“
მოქ.	აეშდ-ჟშჟ „ათ-ით“	აშირ-ჟშჟ „ას-ით“	ათანს-ჟშჟ „ათას-ით“	მილიონ-ჟშჟ „მილიონ-ით“
ვით.	აეშდ-დ „ათ-ად“	აშირ-დ „ას-ად“	ათანს-დ „ათას-ად“	მილიონ-დ „მილიონ-ად“

<sup>1</sup> მკვლევარს სამივე ბრუნების ნიმუშები, ძირითადად, ზავადსკის ჩანაწერების მიხედვით მოჰყავს.



I ტიპის II ქვეტიპი

სახ.	ეშხუ „ერთ-ი“	ფერუ „ორ-ი“	სემი „სამ-ი“
მიც.	ეშხუ-ს „ერთ-ს“	ფერუ-ს „ორ-ს“	სემი-ს  სემ-ს „სამ-ს“
მოთხ.	ეშხუ-დ „ერთ-მა“	ფერუ-დ „ორ-მა“	სემი-დ  სემ-დ „სამ-მა“
ნათ.	ეშხუ-წჷ „ერთ-ის“	ფერუ-წჷ „ორ-ის“	სემი-წჷ „სამ-ის“
მოქ.	ეშხუ-ჟჷ „ერთ-ით“	ფერუ-ჟჷ „ორ-ით“	სემი-ჟჷ  სემ-ჟჷ „სამ-ით“
ვით.	ეშხუ-დ „ერთ-ად“	ფერუ-დ „ორ-ად“	სემი-დ  სემ-დ „სამ-ად“

სახ.	უსგუა „ექვს-ი“	არა „რვა“	ჩხარა „ცხრა“
მიც.	უსგუა-ს „ექვს-ს“	არა-ს „რვა-ს“	ჩხარა-ს „ცხრა-ს“
მოთხ.	უსგუა-დ „ექვს-მა“	არა-დ „რვა-მ“	ჩხარა-დ „ცხრა-მ“
ნათ.	უსგუა-წჷ „ექვს-ის“	არა-წჷ „რვა-ის“	ჩხარა-წჷ „ცხრა-ის“
მოქ.	უსგუა-ჟჷ „ექვს-ით“	არა-ჟჷ „რვა-ით“	ჩხარა-ჟჷ „ცხრა-ით“
ვით.	უსგუა-დ „ექვს-ად“	არა-დ „რვა-დ“	ჩხარა-დ „ცხრა-დ“

II ტიპი

სახ.	ეშხუ „ერთ-ი“	ფორი „ორ-ი“
მიც.	აშხუ „ერთ-ს“	ფარუ „ორ-ს“
მოთხ.	აშხ-ჟჷ-ემ <sup>2</sup> „ერთ-მა“	ფარუ-ემ „ორ-მა“
ნათ.	აშხ-ჟჷ-მ-იწჷ „ერთ-ის“	ფარუ-მ-იწჷ „ორ-ის“
მოქ.	აშხ-ჟჷ-ჟჷ „ერთ-ით“	ფარუ-მ-ჟჷ „ორ-ით“
ვით.	აშხ-დ „ერთ-ად“	ფარუ-დ „ორ-ად“

II ტიპის მე-4 ქვეკლასი

სახ.	სემი (←*სამ-ი) „სამ-ი“
მიც.	სამ (←*სამ-ჟჷ) „სამ-ს“
მოთხ.	სამ-ემ (←*სამ-ჟჷ-ემ) „სამ-მა“
ნათ.	სამ-(ე)მ-იწჷ (←*სამ-ჟჷ-(ე)მ-იწჷ) „სამ-ის“
მოქ.	სამ-ჟჷ (←*სამ-ჟჷ-ჟჷ) „სამ-ით“
ვით.	სამ-დ (←*სამ-ჟჷ-დ) „სამ-ად“

V ტიპი

სახ.	უსგუა „ექვსი“	არა „რვა“
მიც.	უსგუა-მ (←*უსგუა-ამ) <sup>3</sup> „ექვს-ს“	არა-მ (←*არა-ამ) „რვა-ს“
მოთხ.	უსგუა-მ (←*უსგუა-ემ)   უსგუა-მ-დ   უსგუა-მ-ნემ „ექვს-მა“	არა-მ (←*არა-ემ)   არა-მ-დ   არა-მ-ნემ „რვა-მ“

<sup>2</sup> პარალელურად დასტურდება აშხ-ჟჷ-ემ ფორმაც, რომელიც ნათესაობითი ბრუნვის მსგავსად სამფუძიანი ბრუნების ტიპად შეიძლება მივიჩნიოთ.

<sup>3</sup> ჩვენი აზრით, მიცემითში უნდა აღდგეს მეორე ბრუნვის ნიშანიც (უსგუა-მ ←\*უსგუა-ამ-ს, არა-მ ←\*არა-ამ-ს, ჩხარა-მ ←\*ჩხარა-ამ-ს), რომელიც ბალსზემოურში მოკვეცილია, თუმცა იგულისხმება.

ნათ.	უსგუჲ-მ-იშ (←*უსგუჲ-ემ/ამ-იშ) „ექეს-ის“	არჲ-მ-იშ (←*არა-ემ/ამ-იშ) „რგ-ის“
მოქ.	უსგუჲ-მ-შჲ (←*უსგუჲ-ამ-შჲ) „ექეს-ით“	არა-მ-შჲ (←*არა-ამ-შჲ) „რგ-ით“
ვით.	უსგუჲ-მ-დ (←*უსგუჲ-ამ-დ) „ექეს-ად“	არა-მ-დ (←*არა-ამ-დ) „რგ-ად“

სახ.	ჩხარა <sup>4</sup> „ცხრა“
მიც.	ჩხარა-მ (←*ჩხარა-ამ) „ცხრა-ს“
მოთხ.	ჩხარა-მ (←*ჩხარა-ემ)    ჩხარა-მ-დ    ჩხარა-მ-ნჲმ „ცხრა-მ“
ნათ.	ჩხარა-მ-იშ (←*ჩხარა-ემ/ამ-იშ) „ცხრ-ის“
მოქ.	ჩხარა-მ-შჲ (←*ჩხარა-ამ-შჲ) „ცხრ-ით“
ვით.	ჩხარა-მ-დ (←*ჩხარა-ამ-დ) „ცხრ-ად“

ბრუნების ეს ტიპი (ანუ მიცემითზე დამყარებული) დამახასიათებელია მხოლოდ ზემოსვანური დიალექტებისათვის, ქვემოსვანურში კი არ გვხვდება (იქვე, 120).

ბალსზემოურში დადასტურდა ბრუნების ისეთი სისტემა, რომელიც საერთო-ცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულ ვერც ერთ ბრუნების ტიპში ვერ განთავსდა. მას შესაძლოა ვუწოდოთ ნარევი ბრუნება და ცნობილ 5 ტიპს დავამატოთ მე-6 ტიპიც.

#### VI ტიპი

სახ.	ფერუ „ორ-ი“
მიც.	ფერ-ჲ-ს „ორ-ს“
მოთხ.	ფერ-ჲ-დ „ორ-მა“
ნათ.	ფერ-ჲ-მ-იშ „ორ-ის“
მოქ.	ფერ-ჲ-მ-შჲ „ორ-ით“
ვით.	ფერ-ჲ-დ „ორ-ად“

#### ბალსქვემოური

ბალსქვემოურში მარტივი რიცხვითი სახელები ბრუნების შემდეგ ტიპებს გვიჩვენებენ:

#### I ტიპის II ქვეტიპი

სახ.	ჟოშთხჲ „ოთხ-ი“	ჟოხუშდ „ხუთ-ი“	იშგუილ „შვიდ-ი“
მიც.	ჟოშთხჲ-ს „ოთხ-ს“	ჟოხუშდ-ს „ხუთ-ს“	იშგუილ-ს „შვიდ-ს“
მოთხ.	ჟოშთხჲ-დ „ოთხ-მა“	ჟოხუშდ-დ „ხუთ-მა“	იშგუილ-დ „შვიდ-მა“
ნათ.	ჟოშთხჲ-იშ „ოთხ-ის“	ჟოხუშდ-იშ „ხუთ-ის“	იშგუილ-იშ „შვიდ-ის“
მოქ.	ჟოშთხჲ-შჲ „ოთხ-ით“	ჟოხუშდ-შჲ „ხუთ-ით“	იშგუილ-შჲ „შვიდ-ით“
ვით.	ჟოშთხჲ-დ „ოთხ-ად“	ჟოხუშდ-დ „ხუთ-ად“	იშგუილ-დ „შვიდ-ად“

<sup>4</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში მე-5 ტიპის ბრუნებად მიჩნეული იყო მხოლოდ არა „რვა“ და ჩხარა „ცხრა“ რიცხვითი სახელები, ჩვენ მიერ კი დაემატა უსგუჲ „ექესი“.

სახ.	დეშდ „ათ-ი“	აშირ „ას-ი“	ათას „ათას-ი“	მილიონ „მილიონ-ი“
მიც.	დეშდ-ს „ათ-ს“	აშირ-ს „ას-ს“	ათას-ს „ათას-ს“	მილიონ-ს „მილიონ-ს“
მოთხ.	დეშდ-დ „ათ-მა“	აშირ-დ „ას-მა“	ათას-დ „ათას-მა“	მილიონ-დ „მილიონ-მა“
ნათ.	დეშდ-იშ „ათ-ის“	აშირ-იშ „ას-ის“	ათას-იშ „ათას-ის“	მილიონ-იშ „მილიონ-ის“
მოქ.	დეშდ-შჲ „ათ-ით“	აშირ-შჲ „ას-ით“	ათას-შჲ „ათას-ით“	მილიონ-შჲ „მილიონ-ით“
ვით.	დეშდ-დ „ათ-ად“	აშირ-დ „ას-ად“	ათას-დ „ათას-ად“	მილიონ-დ „მილიონ-ად“

I ტიპის II ქვეტიპი

სახ.	ეშხუ „ერთ-ი“	ფორი „ორ-ი“	სემი „სამ-ი“
მიც.	ეშხუ-ს „ერთ-ს“	ფორი-ს „ორ-ს“	სემი-ს „სამ-ს“
მოთხ.	ეშხუ-დ „ერთ-მა“	ფორი-დ „ორ-მა“	სემი-დ „სამ-მა“
ნათ. <sup>5</sup>	ეშხუ-იშ „ერთ-ის“	ფორი-იშ „ორ-ის“	სემი-იშ „სამ-ის“
მოქ.	ეშხუ-შჲ „ერთ-ით“	ფორი-შჲ „ორ-ით“	სემი-შჲ „სამ-ით“
ვით.	ეშხუ-დ „ერთ-ად“	ფორი-დ „ორ-ად“	სემი-დ „სამ-ად“

სახ.	უსგჲა „ექვს-ი“	არა „რვა“	ჩხარა „ცხრა“
მიც.	უსგჲა-ს „ექვს-ს“	არა-ს „რვა-ს“	ჩხარა-ს „ცხრა-ს“
მოთხ.	უსგჲა-დ „ექვს-მა“	არა-დ „რვა-მა“	ჩხარა-დ „ცხრა-მა“
ნათ.	უსგჲა-იშ „ექვს-ის“	არა-იშ „რვა-ის“	ჩხარა-იშ „ცხრა-ის“
მოქ.	უსგჲა-შჲ „ექვს-ით“	არა-შჲ „რვა-ით“	ჩხარა-შჲ „ცხრა-ით“
ვით.	უსგჲა-დ „ექვს-ად“	არა-დ „რვა-ად“	ჩხარა-დ „ცხრა-ად“

ფუძეში ე ხმოვნის შემცველი მარტივი რიცხვითი სახელები (ეშხუ, ფორუ, სემი) პარალელურად მეორე ტიპის ბრუნებასაც მისდევენ. ისინი, როგორც წესი, ჴ-იან მიცემითს იყენებენ ფუძედ მომდევნო ბრუნვათათვის. ვნახოთ ამ ტიპის ბრუნების ნიმუშები ბალსქვემოური დიალექტის მიხედვით:

II ტიპი<sup>6</sup>

სახ.	ეშხუ „ერთ-ი“	ფორი „ორ-ი“	სემი „სამ-ი“
მიც.	აშხ-ჲ „ერთ-ს“	ფარ-ჲ „ორ-ს“	სამ-ჲ „სამ-ს“
მოთხ.	აშხ-ჲ-ემ „ერთ-მა“	ფარ-ჲ-ემ „ორ-მა“	სამ-ჲ-ემ „სამ-მა“
ნათ.	აშხ-ჲ-ემ-იშ „ერთ-ის“	ფარ-ჲ-ემ-იშ „ორ-ის“	სამ-ჲ-ემ-იშ „სამ-ის“
მოქ.	აშხ-ჲ-შჲ „ერთ-ით“	ფარ-ჲ-შჲ „ორ-ით“	სამ-ჲ-შჲ „სამ-ით“
ვით.	აშხ-ჲ-დ „ერთ-ად“	ფარ-ჲ-დ „ორ-ად“	სამ-ჲ-დ „სამ-ად“

<sup>5</sup> ბალსქვემოურში ნათესაობით ბრუნვაში -იშ დაბოლოებიანი ფორმების პარალელურად დას-ტურდება ეშხუ-მ-იშ, ფორი-მ-იშ, ჴოშოხჲ-მ-იშ, ეშდ-მ-იშ ფორმებიც, რაც სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულ მასალებში არ შეგვიინიშნავს.

<sup>6</sup> შენიშვნა: მარტივი რიცხვით სახელებს, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, თ. შარაძე-ნიძის მიერ გამოყოფილი მე-3 და მე-4 ტიპის ბრუნება არ გააჩნიათ.

II ტიპის მე-5 ქვეკლასი

სახ.	სემი (←*სამ-ი) „სამ-ი“
მიც.	სამ (←*სამ-ჲ) „სამ-ს“
მოთხ.	სამ-ემ (←*სამ-ჲ-ემ) „სამ-მა“
ნათ.	სამ-ე <sup>1</sup> მ-იშ (←*სამ-ჲ-ე <sup>1</sup> მ-იშ) „სამ-ის“
მოქ.	სამ-შჲ (←*სამ-ჲ-შ) „სამ-ით“
ვით.	სამ-დ (←*სამ-ჲ-დ) „სამ-ად“

V ტიპი

სახ.	არა „რვა“	ჩხარა „ცხრა“	უსგუა „ექვსი“
მიც.	არა-მ „რვა-ს“	ჩხარა-მ „ცხრა-ს“	უსგუა-მ „ექვს-ს“
მოთხ.	არა-მ-დ  არ-ემ-დ „რვა-ამ“	ჩხარა-მ-დ „ცხრა-ამ“	უსგუა-მ-დ „ექვს-მა“
ნათ.	არ-ემ-იშ „რვა-ის“	ჩხარა-ემ-იშ „ცხრა-ის“	უსგუა-ემ-იშ „ექვს-ის“
მოქ.	არა-მ-შჲ „რვა-ით“	ჩხარა-მ-შჲ „ცხრა-ით“	უსგუა-მ-შჲ „ექვს-ით“
ვით.	არა-მ-დ „რვა-ად“	ჩხარა-მ-დ „ცხრა-ად“	უსგუა-მ-დ „ექვს-ად“

შესადარებლად მოვიხმობთ ლახამულურულის ნიმუშებსაც:

ლ ა ხ ა მ უ ლ უ რ ი

სახ.	ეშჲი „ერთ-ი“	დორი „ორ-ი“	სემი „სამ-ი“
მიც.	ეშჲი-ს „ერთ-ს“	დარჲ  დორი-ს „ორ-ს“	სამ  სემი-ს „სამ-ს“
მოთხ.	ეშჲი-დ „ერთ-მა“	დარჲ-ემ  დარჲ-ემ  დორი-დ „ორ-მა“	სამ-ემ  სემი-დ „სამ-მა“
ნათ.	ეშჲი-ა <sup>1</sup> შ „ერთ-ის“	დარჲ-ემ-იშ  დორი-ა <sup>1</sup> შ „ორ-ის“	სა/ემ-იშ (←*სამ-მ-იშ) „სამ-ის“
მოქ.	ეშჲი-შ <sup>1</sup> ჲ „ერთ-ით“	დარჲ-შ <sup>1</sup> ჲ  დორი-შჲ „ორ-ით“	სამ-შჲ  სემი-შჲ „სამ-ით“
ვით.	ეშჲი-დ „ერთ-ად“	დარჲ-დ  დარჲ-დ „ორ-ად“	სამ-დ  სემი-დ „სამ-ად“

ლ ა შ ხ უ რ ი

I ტიპის I ქვეტიპი

სახ.	სემი „სამ-ი“	ჲოშთხჲ „ოთხ-ი“	ჲონჲუშდ „ხუთ-ი“	იშგუილ „შვიდ-ი“
მიც.	სემი-ს „სამ-ს“	ჲოშთხჲ-ს „ოთხ-ს“	ჲონჲუშდ-ს „ხუთ-ს“	იშგუილ-ს „შვიდ-ს“
მოთხ.	სემი-დ „სამ-მა“	ჲოშთხჲ-დ „ოთხ-მა“	ჲონჲუშდ-დ „ხუთ-მა“	იშგუილ-დ „შვიდ-მა“
ნათ.	სემი-იშ „სამ-ის“	ჲოშთხჲ-იშ „ოთხ-ის“	ჲონჲუშდ-იშ „ხუთ-ის“	იშგუილ-იშ „შვიდ-ის“
მოქ.	სემი-შჲ „სამ-ით“	ჲოშთხჲ-შჲ „ოთხ-ით“	ჲონჲუშდ-შჲ „ხუთ-ით“	იშგუილ-შჲ „შვიდ-ით“
ვით.	სემი-დ „სამ-ად“	ჲოშთხჲ-დ „ოთხ-ად“	ჲონჲუშდ-დ „ხუთ-ად“	იშგუილ „შვიდ-ი“

სახ.	აეშდ „ათ-ი“	აშირ „ას-ი“	ათას „ათას-ი“	მილიონ „მილიონ-ი“
მიც.	აეშდ-ს „ათ-ს“	აშირ-ს „ას-ს“	ათას-ს „ათას-ს“	მილიონ-ს „მილიონ-ს“
მოთხ.	აეშდ-დ „ათ-მა“	აშირ-დ „ას-მა“	ათას-დ „ათას-მა“	მილიონ-დ „მილიონ-მა“
ნათ.	აეშდ-იშ „ათ-ის“	აშირ-იშ „ას-ის“	ათას-იშ „ათას-ის“	მილიონ-იშ „მილიონ-ის“
მოქ.	აეშდ-ჟშ „ათ-ით“	აშირ-ჟშ „ას-ით“	ათას-ჟშ „ათას-ით“	მილიონ-ჟშ „მილიონ-ით“
ვით.	აეშდ-დ „ათ-ად“	აშირ-დ „ას-ად“	ათას-დ „ათას-ად“	მილიონ-დ „მილიონ-ად“

I ტიპის II ქვეტიპი

სახ.	უსგჟა „ექვს-ი“	არა „რვა“	ჩხარა „ცხრა“
მიც.	უსგჟა-ს „ექვს-ს“	არა-ს „რვა-ს“	ჩხარა-ს „ცხრა-ს“
მოთხ.	უსგჟა-დ „ექვს-მა“	არა-დ „რვა-მ“	ჩხარა-დ „ცხრა-ამ“
ნათ.	უსგჟა-შ „ექვს-ის“	არა-შ „რვ-ის“	ჩხარა-შ „ცხრ-ის“
მოქ.	უსგჟა-ჟშ „ექვს-ით“	არა-ჟშ „რვ-ით“	ჩხარა-ჟშ „ცხრ-ით“
ვით.	უსგჟა-დ „ექვს-ად“	არა-დ „რვ-ად“	ჩხარა-დ „ცხრ-ად“

ლაშხურში ჩვენ მიერ დაფიქსირებული დანარჩენი ბრუნების ნიმუშები ვერც ერთ ცნობილ ბრუნების ტიპში ვერ მოხვდა, რადგან აქ აღრევასთან გვაქვს საქმე. ზემოსვანური დიალექტებისათვის დამახასიათებელი I ტიპის II ქვეტიპისა და II ტიპის, აგრეთვე V ტიპის ფორმები ნაშთის სახით არის შემორჩენილი ლაშხურში. ვფიქრობთ, მსგავსი ბრუნება ლაშხურსაც ახასიათებდა, რაც თანდათან მოიშალა და უნიფიკაცია განიცადა, თუმცა დღემდე ერთ სისტემაზე ვერ დაიყვანა, რასაც ჩვენ მიერ ინფორმატორთაგან ჩაწერილი ბრუნების ნიმუშებიც ადასტურებენ. როგორც ჩანს, ბრუნვათა ტიპების მოშლა ქვემოსვანურ დიალექტებში ქართულის გავლენის შედეგია.

ნარევი ბრუნება

სახ.	ეშხუ „ერთ-ი“	აერუ „ორ-ი“
მიც.	ეშხუ-ს „ერთ-ს“	აერუ-ს „ორ-ს“
მოთხ.	ეშხ-ჟ-მ-ემ ეშხ-ჟ-ემ „ერთ-მა“	აერ-ჟ-დ აერუ-ემ აერუ-მემ „ორ-მა“
ნათ.	ეშხ-ჟ-მ-იშ „ერთ-ის“	აერ-ჟ-მ-იშ „ორ-ის“
მოქ.	ეშხუ-ჟშ „ერთ-ით“	აერუ-ჟშ „ორ-თ“
ვით.	ეშხუ-დ „ერთ-ად“	აერ-ჟ-დ „ორ-ად“

სახ.	სემი „სამ-ი“	ჟლშთხჟ „ოთხ-ი“
მიც.	სემი-ს „სამ-ს“	ჟლშთხჟ-ს „ოთხ-ს“
მოთხ.	სემ-ემ სემ-მ-ემ „სამ-მა“	ჟლშთხჟ-დ ჟლშთხჟ-მ-ემ ჟლშთხჟ-ემ „ოთხ-მა“
ნათ.	სემ-მ-იშ სემ-მ-იშ „სამ-ის“	ჟლშთხჟ-მ-იშ „ოთხ-ის“
მოქ.	სემი-ჟშ „სამ-ით“	ჟლშთხჟ-ჟშ „ოთხ-ით“
ვით.	სემი-დ „სამ-ად“	ჟლშთხჟ-დ „ოთხ-ად“

სახ.	წონხუშდ „ხუთ-ი“	უსგუჶ „ექვს-ი“
მიც.	წონხუშდ-ს „ხუთ-ს“	უსგუჶ-ს „ექვს-ს“
მოთხ.	წონხუშდ-ემ „ხუთ-მა“	უსგუჶ-მ-დ „ექვს-მა“
ნათ.	წონხუშდ-მ-იშ „ხუთ-ის“	უსგუჶ-მ-იშ „ექვს-ის“
მოქ.	წონხუშდ-შუ „ხუთ-ით“	უსგუჶ-ჶშუ „ექვს-ით“
ვით.	წონხუშდ-დ „ხუთ-ად“	უსგუჶ-მ-დ „ექვს-ად“

სახ.	იშგუჶიდ „შვიდ-ი“	არა „რვა“	ჩნარა „ცხრა“
მიც.	იშგუჶიდ-ს „შვიდ-ს“	არა-ს „რვა-ს“	ჩნარა-ს „ცხრა-ს“
მოთხ.	იშგუჶიდ-დ „შვიდ-მა“	არ-ემ  არა-მ-დ „რვა-მ“	ჩნარა-მ-დ  ჩნარ-ემ „ცხრა-ამ“
ნათ.	იშგუჶიდ-ემ-იშ „შვიდ-ის“	არა-მ-იშ „რვა-ის“	ჩნარა-მ-იშ  ჩნარ-ემ-იშ „ცხრა-ის“
მოქ.	იშგუჶიდ-ჶშუ „შვიდ-ით“	არა-ჶშუ „რვა-ით“	ჩნარა-ჶშუ „ცხრა-ით“
ვით.	იშგუჶიდ-დ „შვიდ-ად“	არა-მ-დ „რვა-ად“	ჩნარა-მ-დ „ცხრა-ად“

სახ.	აეშდ „ათ-ი“	აშირ „ას-ი“
მიც.	აეშდ-ს „ათ-ს“	აშირ-ს „ას-ს“
მოთხ.	აეშდ-ემ „ათ-მა“	აშირ-ემ „ას-მა“
ნათ.	აეშდ-იშ „ათ-ის“	აშირ-ემ-იშ „ას-ის“
მოქ.	აეშდ-ჶშუ „ათ-ით“	აშირ-ჶშუ „ას-ით“
ვით.	აეშდ-დ „ათ-ად“	აშირ-დ „ას-ად“

**შენიშვნა:** II ტიპის ბრუნება, როგორც ცნობილია, გართულებულია მიცემითში გამოვლენილი ჶ- სუფიქსით, რომლის შედეგია ორფუძიანობა (უფრო ზუსტად სამფუძიანობა) და სწორედ ამ ჶ-ინიან მიცემითს ემყარება დანარჩენი ბრუნები ზემოსვანურ დიალექტებში. ლაშხურში მიცემითის ნიშნად ეს ჶ- არ დასტურდება, თუცა თავს იჩენს მოთხრობითში, ნათესაობითში და იშვიათად (სპორადულად) დანდება ვითარებითშიც. საინტერესოა, ახასიათებდა თუ არა ბრუნების ეს ტიპი ლაშხურს? ვფიქრობთ, ახასიათებდა, ვინაიდან მისი კვალი აშკარად ჩანს.

**ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი**

I ტიპი

I ტიპის I ქვეტიპი

სახ.	ეშხუ „ერთ-ი“	აერბი „ორ-ი“	სემი „ორ-ი“
მიც.	ეშხუ-ს „ერთ-ს“	აერბი-ს „ორ-ს“	სემი-ს  სემ-ს „ორ-ს“
მოთხ.	ეშხუ-დ „ერთ-მა“	აერბი-დ „ორ-მა“	სემი-დ „ორ-მა“
ნათ.	ეშხუ-აშუ „ერთ-ის“	აერბი-აშუ „ორ-ის“	სემი-აშუ „ორ-ის“
მოქ.	ეშხუ-ჶშუ „ერთ-ით“	აერბი-ჶშუ „ორ-ით“	სემი-ჶშუ  სემ-ჶშუ „ორ-ით“
ვით.	ეშხუ-დ „ერთ-ად“	აერბი-დ „ორ-ად“	სემი-დ  სემ-დ „ორ-ად“

სახ.	ოშთხუ „ოთხ-ი“	ოხუიშტ „ხუთ-ი“	იშკუილ „შვიდ-ი“
მიც.	ოშთხუ-ს „ოთხ-ს“	ოხუიშტ-ს „ხუთ-ს“	იშკუილ-ს „შვიდ-ს“
მოთხ.	ოშთხუ-დ „ოთხ-მა“	ოხუიშტ-დ „ხუთ-მა“	იშკუილ-დ „შვიდ-მა“
ნათ.	ოშთხუ-იშ „ოთხ-ის“	ოხუიშტ-იშ „ხუთ-ის“	იშკუილ-იშ „შვიდ-ის“
მოქ.	ოშთხუ-შუ „ოთხ-ით“	ოხუიშტ-ჟუშ „ხუთ-ით“	იშკუილ-ჟუშუ „შვიდ-ით“
ვით.	ოშთხუ-დ „ოთხ-ად“	ოხუიშტ-დ „ხუთ-ად“	იშკუილ-დ „შვიდ-ად“

სახ.	„აქეშტ „ათ-ი“	აშირ „ას-ი“
მიც.	„აქეშტ-ს „ათ-ს“	აშირ-ს „ას-ს“
მოთხ.	„აქეშტ-დ „ათ-მა“	აშირ-დ „ას-მა“
ნათ.	„აქეშტ-იშ „ათ-ის“	აშირ-იშ „ას-ის“
მოქ.	„აქეშტ-ჟუშუ „ათ-ით“	აშირ-ჟუშუ „ას-ით“
ვით.	„აქეშტ-დ „ათ-ად“	აშირ-დ „ას-ად“

სახ.	ათას „ათას-ი“	მილიონ  მილუენ „მილიონ-ი“
მიც.	ათას-ს „ათას-ს“	მილიონ-ს  მილუენ-ს „მილიონ-ს“
მოთხ.	ათას-დ „ათას-მა“	მილიონ-დ  მილუენ-დ „მილიონ-მა“
ნათ.	ათას-იშ „ათას-ის“	მილიონ-იშ  მილუენ-იშ „მილიონ-ის“
მოქ.	ათას-ჟუშუ „ათას-ით“	მილიონ-ჟუშუ  მილუენ-ჟუშუ „მილიონ-ით“
ვით.	ათას-დ „ათას-ად“	მილიონ-დ  მილუენ-დ „მილიონ-ად“

I ტიპის II ქვეტიპი

სახ.	უსკუა „ექვს-ი“	არა „რვა“	ჩხარა „ცხრა“
მიც.	უსკუა-ს „ექვს-ს“	არა-ს „რვა-ს“	ჩხარა-ს „ცხრა-ს“
მოთხ.	უსკუა-დ „ექვს-მა“	არა-დ „რვა-მა“	ჩხარა-დ „ცხრა-მა“
ნათ.	უსკუა-იშ „ექვს-ის“	არა-იშ „რვა-ის“	ჩხარა-იშ „ცხრა-ის“
მოქ.	უსკუა-ჟუშუ „ექვს-ით“	არა-ჟუშუ „რვა-ით“	ჩხარა-ჟუშუ „ცხრა-ით“
ვით.	უსკუა-დ „ექვს-ად“	არა-დ „რვა-ად“	ჩხარა-დ „ცხრა-ად“

თანამედროვე ლენტეხური რიცხვითი სახელების ბრუნებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი II, III, IV და V ტიპის ბრუნება დღევანდელი მონაცემების მიხედვით მხოლოდ რელიქტის სახით არის შემორჩენილი, რასაც ადასტურებს ჩვენ მიერ ლენტეხურ დიალექტში დაფიქსირებული ბრუნების ნიმუშები:

სახ.	ეშხუ „ერთ-ი“	უსკუა „ექვს-ი“	იშკუილ „შვიდ-ი“
მიც.	ეშხუ-ს „ერთ-ს“	უსკუა-ს „ექვს-ს“	იშკუილ-ს „შვიდ-ს“
მოთხ.	ეშხუ-ჟ-ემ „ერთ-მა“	უსკუა-მ-დ „ექვს-მა“	იშკუილ-დ „შვიდ-მა“
ნათ.	ეშხუ-მ-იშ  ეშხუ-ჟ-იშ „ერთ-ის“	უსკუა-მ-იშ „ექვს-ის“	იშკუილ-ემ-იშ „შვიდ-ის“
მოქ.	ეშხუ-ჟუშუ „ერთ-ით“	უსკუა-ჟუშუ „ექვს-ით“	იშკუილ-ჟუშუ „შვიდ-ით“
ვით.	ეშხუ-დ „ერთ-ად“	უსკუა-მ-დ „ექვს-ად“	იშკუილ-დ „შვიდ-ად“

სახ.	არა „რვა“	ჩხარა „ცხრა“
მიც.	არა-ს „რვა-ს“	ჩხარა-ს „ცხრა-ს“
მოთხ.	არა-მ-დ „რვა-მ“	ჩხარა-მ-დ „ცხრა-მ“
ნათ.	არა-მ-იშ  არ-ემ-იშ „რვ-ის“	ჩხარა-მ-იშ „ცხრ-ის“
მოქ.	არა-ჟშ „რვ-ით“	ჩხარა-ჟშ „ცხრ-ით“
ვით.	არა-დ  არა-მ-დ „რვ-ად“	ჩხარა-მ-დ „ცხრ-ად“

რიცხვით სახელთა ბრუნებას, რომელიც სქემატურად წარმოვადგინეთ, ვერ მივაკუთვნებთ ვერც ერთ დღემდე ცნობილ სვანური ბრუნების ტიპს, რადგან აქ წარმოდგენილ სქემაში ბრუნვათა ტიპების აღრევასთან გვაქვს საქმე და შესაბამისად შეიძლება ვუწოდოთ ნარევი (ე.წ. ჰიბრიდული) ბრუნება. ამ მოსაზრების გამოთქმის საშუალებას კი გვაძლევს შემდეგი: II ტიპის ბრუნებაში, როგორც ცნობილია, განსხვავება იწყება მიცემითიდან (მიცემითის ნიშანია ჟ-), რომელსაც ემყარება მოთხრობითი (-ემ ნიშნინი), ვითარებითი (-დ-იანი) და მოქმედებითი, შესაბამისად გვაქვს ორფუძიანი (ან სამფუძიანი ბრუნება) (შარაძენიძე 1955:128-129). ჩვენი დაკვირვებით, დღევანდელ ლენტეხურ მეტყველებაში მიცემითის ნიშნად ჟ- არც ერთ რიცხვით სახელში არ დასტურდება, თუმცა ეს ჟ- ნაშთის სახით შემორჩენილია მოთხრობითსა და ნათესაობით ბრუნვაში ეშხუ „ერთი“ რიცხვით სახელში. საინტერესოა, ასევე, ლაშხურსა და ლენტეხურში მოთხრობითში გამოვლენილი სამფუძიანი ბრუნების ნიმუში (ეშხუ-მ-ემ „ერთმა“), რომელიც ამ სახით სვანური ენის სხვა დიალექტებში არ ფიქსირდება.

**ჩ ო ლ უ რ უ ლ ი**

სახ.	ეშხუ „ერთ-ი“	აქრუ „ორ-ი“	სემი „სამ-ი“
მიც.	ეშხუ-ს „ერთ-ს“	აქრუ-ს „ორ-ს“	სემი-ს „სამ-ს“
მოთხ.	ეშხუ-დ „ერთ-მა“	აქრუ-დ „ორ-მა“	სემი-დ  სემ-დ „სამ-მა“
ნათ.	ეშხუ-შ  ეშხუ-მ-იშ   ეშხუ-მ-იშ „ერთ-ის“	აქრუ-შ  აქრუ-მ-იშ „ორ-ის“	სემი-შ  სემ-მ-იშ (←*სემი-ემ-იშ) „სამ-ის“
მოქ.	ეშხუ-ჟშ „ერთ-ით“	აქრუ-ჟშ „ორ-ით“	სემი-ჟშ „სამ-ით“
ვით.	ეშხუ-დ „ერთ-ად“	აქრუ-დ  აქრუ-დ „ორ-ად“	სემი-დ „სამ-ად“

სახ.	[ჟ]ოშთხუ „ოთხ-ი“	[ჟ]ოხჟიშტ „ხუთ-ი“	უხგჟა „ექვს-ი“
მიც.	[ჟ]ოშთხუ-ს „ოთხ-ს“	ჟოხჟიშტ-ს „ხუთ-ს“	უხგჟა-ს „ექვს-ს“
მოთხ.	ჟოშთხუ-დ „ოთხ-მა“	ჟოხჟიშტ-დ „ხუთ-მა“	უხგჟა-დ „ექვს-მა“
ნათ.	ჟოშთხუ-იშ   ჟოშთხუ-მ-იშ „ოთხ-ის“	ჟოხჟიშტ-იშ „ხუთ-ის“	უხგჟა-მ-იშ   უხგჟა-შ „ექვს-ის“
მოქ.	ჟოშთხუ-ჟშ „ოთხ-ით“	ჟოხჟიშტ-ჟშ „ხუთ-ით“	უხგჟა-ჟშ „ექვს-ით“
ვით.	ჟოშთხუ-დ „ოთხ-ად“	ჟოხჟიშტ-დ „ხუთ-ად“	უხგჟა-დ  უხგჟა-მ-დ „ექვს-ად“

სახ.	იშგჟიდ „შვიდ-ი“	არა „რვა“	ჩხარა „ცხრა“
მიც.	იშგჟიდ-ს „შვიდ-ს“	არა-ს „რვა-ს“	ჩხარა-ს „ცხრა-ს“
მოთხ.	იშგჟიდ-დ „შვიდ-მა“	არა-დ „რვა-მ“	ჩხარა-დ „ცხრა-მ“



ნათ.	იშგუილ-იშ „შვიდ-ის“	არა-მ-იშ  არ-აშ  არე-მ-იშ „რვის“	ჩხარა-მ-იშ  ჩხარ-აშ   ჩხარ-ეშ-იშ „ცხრ-ის“
მოქ.	იშგუილ-ჟუშ „შვიდ-ით“	არა-ჟუშ „რვ-ით“	ჩხარა-ჟუშ „ცხრ-ით“
ვით.	იშგუილ-დ „შვიდ-ად“	არა-დ  არა-მ-დ „რვ-ად“	ჩხარა-დ  ჩხარა-მ-დ „ცხრ-ად“

სახ.	აეშდ  ტ „ათ-ი“	აშირ „ას-ი“	ათას „ათას-ი“
მიც.	აეშდ  ტ-ს „ათ-ს“	აშირ-ს „ას-ს“	ათას-ს „ათას-ს“
მოთხ.	აეშდ  ტ-დ „ათ-მა“	აშირ-დ „ას-მა“	ათას-დ „ათას-მა“
ნათ.	აეშდ  ტ-იშ „ათ-ის“	აშირ-იშ „ას-ის“	ათას-იშ „ათას-ის“
მოქ.	აეშდ  ტ-ჟუშ „ათ-ით“	აშირ-ჟუშ „ას-ით“	ათას-ჟუშ „ათას-ით“
ვით.	აეშდ  ტ-დ „ათ-ად“	აშირ-დ „ას-ად“	ათას-დ „ათას-ად“

სრულიად განსაკუთრებულ ვითარებას ავლენს ჩოლურული მეტყველება, რომელიც, ლაშხურ-ლენტიურთან საზიარო ფორმების გარდა, სვანური ენის სხვა დიალექტებისაგან განსხვავებულ ბრუნების ნიმუშებსაც გვთავაზობს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სხვა დიალექტების მსგავსად მასშიც ადგილი აქვს უნიფიკაციას – ბრუნების დაყვანას ერთ სისტემაზე. **-მ** ფორმანტიანი ნათესაობითი და ვითარებითი რელიქტის სახით არის შემორჩენილი, მოთხრობითში კი ბრუნვის ნიშნად **-ემ/-მ** დღევანდელი ვითარების მიხედვით არ დასტურდება.

როგორც ვხედავთ, რიცხვით სახელთა ბრუნება სვანურში უპირატესად მისდევს სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველური ტიპის ბრუნების სახელით ცნობილ ძირითად ტიპს, თუმცა ამასთან ერთად თავს იჩენს მთელი რიგი ცვლილებები, რაც საკმაოდ ართულებს ბრუნების სისტემას. სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში დასტურდება მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ფორმანტი **-ემ**, რომელიც თავს იჩენს ხოლმე ნათესაობითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნითა წინა. **-მ** ფორმანტიან მოთხრობითის ფუძეზე დაყრდნობილი ნათესაობითი კი განსაკუთრებით დამახასიათებელია ა ბოლონმოვნიანი რიცხვითი სახელებისათვის (**უსგუა, არა, ჩხარა**), რომლებიც ნათესაობითში ძირითადად მხოლოდ ამ სახით (მაგ.: ლშხ. **უსგუამიშ, არ მიშ, ჩხარ მიშ**, ბქ. **უსგუამიშ, არემიშ, ჩხარემიშ...**) წარმოგვიდგებიან, თუმცა გზადაგზა თავს იჩენს **-იშ** და **-აშ** ფორმანტიანი (მაგ.: **ჟოშთხჟ-იშ** „ოთხ-ის“, **ჟოხუშდ-იშ** „ხუთ-ის“, **იშგუილ-იშ** „შვიდ-ის“, **ემხუ-აშ** „ერთ-ის“, **აერუ-აშ** „ორ-ის“, **სემი-აშ** „სამ-ის“ და ა.შ.) ფორმებიც, რაც ქართულის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

რაოდენობითი რიცხვითი სახელების გარდა, ნათესაობითი ბრუნვის **იშ** სუფიქსის წინ **-მ** თავს იჩენს, აგრეთვე, რიგობით რიცხვით სახელთაგან ნაწარმოებ ფორმებშიც – წილობითებში, მაგ.: **მოუშთხჟემი ნათი** “მეოთხედი ნაწილი“, “მეოთხედი“, **მონუშდემი ნათი** „მეხუთედი ნაწილი“, „მეხუთედი“, **მოუსგუემი ნათი** „მეექვსედი ნაწილი“, „მექვსედი“, **მეაშგუიდემი ნათი** „მეშვიდედი ნაწილი“, „მეშვიდედი“, **მეარემი ნათი** „მერვედი ნაწილი“, „მერვედი“, **მეაჩხრემი ნათი** „მეცხრედი ნაწილი“, „მეცხრედი“, **მეაშდემი ნათი** „მეათედი ნაწილი“, „მეათედი“ და სხვ.

რიგობითი რიცხვითი სახელების ბრუნება სვანური ენის ყველა დიალექტში ერთ სისტემას მიჰყვება:

	ბზ.	ბქ.	ლშხ.
სახ.	მერამე  მერაჲე „მეორე“	მერამე	მერამე
მიც.	მერამე-ს  მერაჲე-ს „მეორე-ს“	მერამე-ს	მერამე-ს
მოთხ.	მერამე-დ  მერაჲე-დ „მეორე-მ“	მერამე-დ	მერამე-დ
ნათ.	მერამე-შ  მერაჲე-შ „მეორ-ის“	მერამე-შ	მერამე-შ
მოქ.	მერამე-შჲ  მერაჲე-შჲ „მეორ-ით“	მერამე-შჲ	მერამე-შჲ
ვით.	მერამე-დ  მერაჲე-დ „მეორე-დ“	მერამა-დ	მერამე-დ

	ლნტ.	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მერბე	მერამე	მერამე	მერამე
მიც.	მერბე-ს	მერამე-ს	მერამე-ს	მერამე-ს
მოთხ.	მერბე-დ	მერამე-დ	მერამე-დ	მერამე-დ
ნათ.	მერბე-შ	მერამე-შ	მერამე-შ	მერამე-შ
მოქ.	მერბე-შჲ	მერამე-შჲ	მერამე-შჲ	მერამე-შჲ
ვით.	მერბე-დ	მერამე-დ	მერამა-დ	მერამე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
სახ.	მესამე „მესამე“	მესამე	მესამე	მესამე
მიც.	მესამე-ს „მესამე-ს“	მესამე-ს	მესამე-ს	მესამე-ს
მოთხ.	მესამე-დ „მესამე-მ“	მესამე-დ	მესამე-დ	მესამე-დ
ნათ.	მესამე-შ „მესამ-ის“	მესამე-შ	მესამე-შ	მესამე-შ
მოქ.	მესამე-შჲ „მესამ-ით“	მესამე-შჲ	მესამე-შჲ	მესამე-შჲ
ვით.	მესამე-დ „მესამე-დ“	მესამე-დ	მესამე-დ	მესამე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მესამე	მესამე	მესამე
მიც.	მესამე-ს	მესამე-ს	მესამე-ს
მოთხ.	მესამე-დ	მესამე-დ	მესამე-დ
ნათ.	მესამე-შ	მესამე-შ	მესამე-შ
მოქ.	მესამე-შჲ	მესამე-შჲ	მესამე-შჲ
ვით.	მესამე-დ	მესამე-დ	მესამე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
სახ.	მეწოთხე „მეოთხე“	მეწოთხე	მეწოთხე	მეწოთხე
მიც.	მეწოთხე-ს „მეოთხე-ს“	მეწოთხე-ს	მეწოთხე-ს	მეწოთხე-ს
მოთხ.	მეწოთხე-დ „მეოთხე-მ“	მეწოთხე-დ	მეწოთხე-დ	მეწოთხე-დ
ნათ.	მეწოთხე-შ „მეოთხ-ის“	მეწოთხე-შ	მეწოთხე-შ	მეწოთხე-შ
მოქ.	მეწოთხე-შჲ „მეოთხ-ით“	მეწოთხე-შჲ	მეწოთხე-შჲ	მეწოთხე-შჲ
ვით.	მეწოთხე-დ „მეოთხე-დ“	მეწოთხე-დ	მეწოთხე-დ	მეწოთხე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მეოშთხუე	მე <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> უშთხუე	მ <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> უშთხუე
მიც.	მეოშთხუე-ს	მე <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> უშთხუე-ს	მ <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> უშთხუე-ს
მოთხ.	მეოშთხუე-დ	მე <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> უშთხუე-დ	მ <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> უშთხუე-დ
ნათ.	მეოშთხუე-შ	მე <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> უშთხუე-შ	მ <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> უშთხუე-შ
მოქ.	მეოშთხუე-შუ	მე <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> უშთხუე-შუ	მ <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> უშთხუე-შუ
ვით.	მეოშთხუე-დ	მე <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> უშთხუე-დ	მ <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> უშთხუე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
სახ.	მ <sup>რ</sup> ნტ <sup>რ</sup> ი <sup>1</sup> შდე „მეხუთე“	მეუხუშდე	მ <sup>რ</sup> ნტ <sup>რ</sup> ი <sup>1</sup> შდე	მეუხუშტე
მიც.	მ <sup>რ</sup> ნტ <sup>რ</sup> ი <sup>1</sup> შდე-ს „მეხუთე-ს“	მეუხუშდე-ს	მ <sup>რ</sup> ნტ <sup>რ</sup> ი <sup>1</sup> შდე-ს	მეუხუშტე-ს
მოთხ.	მ <sup>რ</sup> ნტ <sup>რ</sup> ი <sup>1</sup> შდე-დ „მეხუთე-მ“	მეუხუშდე-დ	მ <sup>რ</sup> ნტ <sup>რ</sup> ი <sup>1</sup> შდე-დ	მეუხუშტე-დ
ნათ.	მ <sup>რ</sup> ნტ <sup>რ</sup> ი <sup>1</sup> შდე-შ „მეხუთ-ის“	მეუხუშდე-შ	მ <sup>რ</sup> ნტ <sup>რ</sup> ი <sup>1</sup> შდე-შ	მეუხუშტე-შ
მოქ.	მ <sup>რ</sup> ნტ <sup>რ</sup> ი <sup>1</sup> შდე-შუ „მეხუთ-ით“	მეუხუშდე-შუ	მ <sup>რ</sup> ნტ <sup>რ</sup> ი <sup>1</sup> შდე-შუ	მეუხუშტე-შუ
ვით.	მ <sup>რ</sup> ნტ <sup>რ</sup> ი <sup>1</sup> შდე-დ „მეხუთე-დ“	მეუხუშდე-დ	მ <sup>რ</sup> ნტ <sup>რ</sup> ი <sup>1</sup> შდე-დ	მეუხუშტე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მეოხტოშტე	მეუხუშდე	მ <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> ხუშდე
მიც.	მეოხტოშტე-ს	მეუხუშდე-ს	მ <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> ხუშდე-ს
მოთხ.	მეოხტოშტე-დ	მეუხუშდე-დ	მ <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> ხუშდე-დ
ნათ.	მეოხტოშტე-შ	მეუხუშდე-შ	მ <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> ხუშდე-შ
მოქ.	მეოხტოშტე-შუ	მეუხუშდე-შუ	მ <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> ხუშდე-შუ
ვით.	მეოხტოშტე-დ	მეუხუშდე-დ	მ <sup>რ</sup> ტ <sup>1</sup> ხუშდე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
სახ.	მ <sup>რ</sup> სგ <sup>რ</sup> უე „მეექვსე“	მეუსგ <sup>რ</sup> უე	მ <sup>რ</sup> უსგ <sup>რ</sup> უე	მეუსკ <sup>რ</sup> უე
მიც.	მ <sup>რ</sup> სგ <sup>რ</sup> უე-ს „მეექვსე-ს“	მეუსგ <sup>რ</sup> უე-ს	მ <sup>რ</sup> უსგ <sup>რ</sup> უე-ს	მეუსკ <sup>რ</sup> უე-ს
მოთხ.	მ <sup>რ</sup> სგ <sup>რ</sup> უე-დ „მეექვსე-მ“	მეუსგ <sup>რ</sup> უე-დ	მ <sup>რ</sup> უსგ <sup>რ</sup> უე-დ	მეუსკ <sup>რ</sup> უე-დ
ნათ.	მ <sup>რ</sup> სგ <sup>რ</sup> უე-შ „მეექვსე-ის“	მეუსგ <sup>რ</sup> უე-შ	მ <sup>რ</sup> უსგ <sup>რ</sup> უე-შ	მეუსკ <sup>რ</sup> უე-შ
მოქ.	მ <sup>რ</sup> სგ <sup>რ</sup> უე-შუ „მეექვსე-ით“	მეუსგ <sup>რ</sup> უე-შუ	მ <sup>რ</sup> უსგ <sup>რ</sup> უე-შუ	მეუსკ <sup>რ</sup> უე-შუ
ვით.	მ <sup>რ</sup> სგ <sup>რ</sup> უე-დ „მეექვსე-დ“	მეუსგ <sup>რ</sup> უე-დ	მ <sup>რ</sup> უსგ <sup>რ</sup> უე-დ	მეუსკ <sup>რ</sup> უე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მეუსგ <sup>რ</sup> უე	მეუსგ <sup>რ</sup> უე	მ <sup>რ</sup> სგ <sup>რ</sup> უე
მიც.	მეუსგ <sup>რ</sup> უე-ს	მეუსგ <sup>რ</sup> უე-ს	მ <sup>რ</sup> სგ <sup>რ</sup> უე-ს
მოთხ.	მეუსგ <sup>რ</sup> უე-დ	მეუსგ <sup>რ</sup> უე-დ	მ <sup>რ</sup> სგ <sup>რ</sup> უე-დ
ნათ.	მეუსგ <sup>რ</sup> უე-შ	მეუსგ <sup>რ</sup> უე-შ	მ <sup>რ</sup> სგ <sup>რ</sup> უე-შ
მოქ.	მეუსგ <sup>რ</sup> უე-შუ	მეუსგ <sup>რ</sup> უე-შუ	მ <sup>რ</sup> სგ <sup>რ</sup> უე-შუ
ვით.	მეუსგ <sup>რ</sup> უე-დ	მეუსგ <sup>რ</sup> უე-დ	მ <sup>რ</sup> სგ <sup>რ</sup> უე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
სახ.	მწეშტღე „მეშვიდე“	მეიშტღიდე	მწეშტღე	მეიშტღიდე
მიც.	მწეშტღე-ს „მეშვიდე-ს“	მეიშტღიდე-ს	მწეშტღე-ს	მეიშტღიდე-ს
მოთხ.	მწეშტღე-დ „მეშვიდე-მ“	მეიშტღიდე-დ	მწეშტღე-დ	მეიშტღიდე-დ
ნათ.	მწეშტღე-შ „მეშვიდე-ის“	მეიშტღიდე-შ	მწეშტღე-შ	მეიშტღიდე-შ
მოქ.	მწეშტღე-შჲ „მეშვიდე-ით“	მეიშტღიდე-შჲ	მწეშტღე-შჲ	მეიშტღიდე-შჲ
ვით.	მწეშტღე-დ „მეშვიდე-დ“	მეიშტღიდე-დ	მწეშტღე-დ	მეიშტღიდე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მეიშტღიდე	მეიშტღიდე	მეიშტღიდე
მიც.	მეიშტღიდე-ს	მეიშტღიდე-ს	მეიშტღიდე-ს
მოთხ.	მეიშტღიდე-დ	მეიშტღიდე-დ	მეიშტღიდე-დ
ნათ.	მეიშტღიდე-შ	მეიშტღიდე-შ	მეიშტღიდე-შ
მოქ.	მეიშტღიდე-შჲ	მეიშტღიდე-შჲ	მეიშტღიდე-შჲ
ვით.	მეიშტღიდე-დ	მეიშტღიდე-დ	მეიშტღიდე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
სახ.	მწარე „მერვე“	მეარე	მწარე	მეარე
მიც.	მწარე-ს „მერვე-ს“	მეარე-ს	მწარე-ს	მეარე-ს
მოთხ.	მწარე-დ „მერვე-მ“	მეარე-დ	მწარე-დ	მეარე-დ
ნათ.	მწარე-შ „მერვე-ის“	მეარე-შ	მწარე-შ	მეარე-შ
მოქ.	მწარე-შჲ „მერვე-ით“	მეარე-შჲ	მწარე-შჲ	მეარე-შჲ
ვით.	მწარე-დ „მერვე-დ“	მეარე-დ	მწარე-დ	მეარე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მეარე	მეარე	მეირე
მიც.	მეარე-ს	მეარე-ს	მეირე-ს
მოთხ.	მეარე-დ	მეარე-დ	მეირე-დ
ნათ.	მეარე-შ	მეარე-შ	მეირე-შ
მოქ.	მეარე-შჲ	მეარე-შჲ	მეირე-შჲ
ვით.	მეარე-დ	მეარე-დ	მეირე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
სახ.	მწჩხრე „მეცხრე“	მეჩხრე	მწჩხრე	მეჩხრე
მიც.	მწჩხრე-ს „მეცხრე-ს“	მეჩხრე-ს	მწჩხრე-ს	მეჩხრე-ს
მოთხ.	მწჩხრე-დ „მეცხრე-მ“	მეჩხრე-დ	მწჩხრე-დ	მეჩხრე-დ
ნათ.	მწჩხრე-შ „მეცხრე-ის“	მეჩხრე-შ	მწჩხრე-შ	მეჩხრე-შ
მოქ.	მწჩხრე-შჲ „მეცხრე-ით“	მეჩხრე-შჲ	მწჩხრე-შჲ	მეჩხრე-შჲ
ვით.	მწჩხრე-დ „მეცხრე-დ“	მეჩხრე-დ	მწჩხრე-დ	მეჩხრე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მეჩხრე	მეჩხრე	მეიჩხრე
მიც.	მეჩხრე-ს	მეჩხრე-ს	მეიჩხრე-ს
მოთხ.	მეჩხრე-დ	მეჩხრე-დ	მეიჩხრე-დ
ნათ.	მეჩხრე-შ	მეჩხრე-შ	მეიჩხრე-შ
მოქ.	მეჩხრე-შჟ	მეჩხრე-შჟ	მეიჩხრე-შჟ
ვით.	მეჩხრე-დ	მეჩხრე-დ	მეიჩხრე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.
სახ.	მეშდე „მეათე“	მეეშდე  მეიშდე	მეაშდე	მეეშტე
მიც.	მეშდე-ს „მეათე-ს“	მეეშდე-ს  მეიშდე-ს	მეაშდე-ს	მეეშტე-ს
მოთხ.	მეშდე-დ „მეათე-მ“	მეეშდე-დ  მეიშდე-დ	მეაშდე-დ	მეეშტე-დ
ნათ.	მეშდე-შ „მეათ-ის“	მეეშდე-შ  მეიშდე-შ	მეაშდე-შ	მეეშტე-შ
მოქ.	მეშდე-შჟ „მეათ-ით“	მეეშდე-შჟ  მეიშდე-შჟ	მეაშდე-შჟ	მეეშტე-შჟ
ვით.	მეშდე-დ „მეათე-დ“	მეეშდე-დ  მეიშდე-დ	მეაშდე-დ	მეეშტე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მეშტე	მეეშდე  მეიშდე	მეაშდე
მიც.	მეშტე-ს	მეეშდე  მეიშდე-ს	მეაშდე-ს
მოთხ.	მეშტე-დ	მეეშდე  მეიშდე-დ	მეაშდე-დ
ნათ.	მეშტე-შ	მეეშდე  მეიშდე-შ	მეაშდე-შ
მოქ.	მეშტე-შჟ	მეეშდე  მეიშდე-შჟ	მეაშდე-შჟ
ვით.	მეშტე-დ	მეეშდე  მეიშდე-დ	მეაშდე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშზ.	ლნტ.
სახ.	მეაშირე „მეასე“	მეაშირე	მეაშირე	მეაშირე
მიც.	მეაშირე-ს „მეასე-ს“	მეაშირე-ს	მეაშირე-ს	მეაშირე-ს
მოთხ.	მეაშირე-დ „მეასე-მ“	მეაშირე-დ	მეაშირე-დ	მეაშირე-დ
ნათ.	მეაშირე-შ „მეას-ის“	მეაშირე-შ	მეაშირე-შ	მეაშირე-შ
მოქ.	მეაშირე-შჟ „მეას-ით“	მეაშირე-შჟ	მეაშირე-შჟ	მეაშირე-შჟ
ვით.	მეაშირე-დ „მეასე-დ“	მეაშირე-დ	მეაშირე-დ	მეაშირე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მეაშირე	მეაშირე	მეიშირე
მიც.	მეაშირე-ს	მეაშირე-ს	მეიშირე-ს
მოთხ.	მეაშირე-დ	მეაშირე-დ	მეიშირე-დ
ნათ.	მეაშირე-შ	მეაშირე-შ	მეიშირე-შ
მოქ.	მეაშირე-შჟ	მეაშირე-შჟ	მეიშირე-შჟ
ვით.	მეაშირე-დ	მეაშირე-დ	მეიშირე-დ

არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას კი რიცხვითი სახელი მუდამ უცვლელად არის წარმოდგენილი, თუმცა ირიბ ბრუნვებში თითქმის ყველა დიალექტ-

ტში შეიძლება შეგვეხვდეს მიცემითი ბრუნვის ფორმა – აშხუ : აშხუ მარა | აშხუ მარეს „ერთ კაცს“, აშხუ მარედ „ერთმა კაცმა“, აშხუ მარემიშ „ერთი კაცის“, აშხუ მარად „ერთ კაცად“ და ა.შ.

	ბზ.	ბქ.
სახ.	ეშხუ მარე „ერთ-ი“	ეშხუ მარე „ერთ-ი“
მიც.	ეშხუ მარე-ს ეშხუ მარა-ს „ერთ კაცს“	ეშხუ მარე-ს ეშხუ მარა-ს „ერთ კაცს“
მოთხ.	ეშხუ მარე-დ ეშხუ მარა-დ „ერთ კაცს“	ეშხუ მარე-დ ეშხუ მარა-დ „ერთ კაცს“
ნათ.	ეშხუ მარე-მ-იშ „ერთი კაცის“	ეშხუ მარე-მ-იშ „ერთი კაცის“
მოქ.	ეშხუ მარა-ჟშ „ერთი კაცით“	ეშხუ მარე-ჟშ „ერთი კაცით“
ვით.	ეშხუ მარე-დ ეშხუ მარა-დ „ერთი კაცით“	ეშხუ მარე-დ ეშხუ მარა-დ „ერთი კაცით“

	ლშხ.	ლნტ.
სახ.	ეშხუ მარე „ერთ-ი“	ეშხუ მარე „ერთ-ი“
მიც.	ეშხუ მარე-ს ეშხუ მარა-ს „ერთ კაცს“	ეშხუ მარე-ს ეშხუ მარა-ს „ერთ კაცს“
მოთხ.	ეშხუ მარე-დ ეშხუ მარა-დ „ერთ კაცს“	ეშხუ მარე-დ ეშხუ მარა-დ „ერთ კაცს“
ნათ.	ეშხუ მარე-მ-იშ „ერთი კაცის“	ეშხუ მარე-მ-იშ „ერთი კაცის“
მოქ.	ეშხუ მარა-ჟშ „ერთი კაცით“	ეშხუ მარე-ჟშ „ერთი კაცით“
ვით.	ეშხუ მარე-დ ეშხუ მარა-დ „ერთი კაცით“	ეშხუ მარე-დ ეშხუ მარა-დ „ერთი კაცით“

	ჩოლ.	ლხმ.
სახ.	ეშხუ მარე „ერთ-ი“	ეშჟი მარე „ერთ-ი“
მიც.	ეშხუ მარე-ს ეშხუ მარა-ს „ერთ კაცს“	ეშჟი მარე-ს ეშჟი მარა-ს „ერთ კაცს“
მოთხ.	ეშხუ მარე-დ ეშხუ მარა-დ „ერთ კაცს“	ეშჟი მარე-დ ეშჟი მარა-დ „ერთ კაცს“
ნათ.	ეშხუ მარე-მ-იშ „ერთი კაცის“	ეშჟი მარე-მ-იშ „ერთი კაცის“
მოქ.	ეშხუ მარა-ჟშ „ერთი კაცით“	ეშჟი მარე-ჟშ „ერთი კაცით“
ვით.	ეშხუ მარე-დ ეშხუ მარა-დ „ერთი კაცით“	ეშჟი მარე-დ ეშჟი მარა-დ „ერთი კაცით“

როგორც თანამედროვე სვანურ ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, სვანურ რიცხვით სახელთა ბრუნება მთლიანად თ. შარაძენიძისეულ ზემოდასახელებულ კლასიფიკაციას არ მიჰყვება. ზემოსვანური დიალექტები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ბრუნების რამდენიმე ტიპს, ქვემოსვანურ დიალექტებში კი აღნიშნული ბრუნების ტიპები მხოლოდ რელიქტის სახით არის შემორჩენილი. ვფიქრობთ, მსგავსი ბრუნების ტიპები ქვემოსვანურ დიალექტებსაც ახასიათებდა, რაც თანდათან მოიშალა და უნიფიკაცია განიცადა, თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, დღემდე ერთ სისტემაზე ვერ დაიყვანა. ბრუნების ის ტი-

პეტი კი, რომლებიც ჩვენ სხვადასხვა დიალექტში დავაფიქსირეთ, საენათმეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულ ვერც ერთ ბრუნების ტიპს ვერ მოერგო, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სვანურ სახელთა ბრუნების იმ დიდ სირთულეს, რომელზეც ა. შანიძე ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში საუბრობდა.

### **ლიტერატურა**

- თოფურია 1944:** ვ. თოფურია, *ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით*, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, №3, თბილისი.
- თოფურია 1985:** В. Т. Топуриа, *Сванский язык*, Языки народов СССР, Т. IV, 1967. ამ ნაშრომის ვარიანტია – *Сванский язык*, Ежегодник иберийско-кавказского языкознания, XII, თბილისი.
- ონიანი 1998:** ალ. ონიანი, *სვანური ენა*, თბილისი.
- შანიძე 1980:** ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თხზულებანი, ტ. III, თბილისი.
- შანიძე 1981:** ა. შანიძე, *ოცობითი თვლის გავლენა ათობითს წერაზე ქართულში*, თხზულებანი, ტ. II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი.
- შარაძენიძე 1955:** თ. შარაძენიძე, *ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში*, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, თბილისი.
- ჯანაშია 1959:** ს. ჯანაშია, *სვანურ-ადიღური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები*, შრომები, III, თბილისი.
- ჯანაშია 1942:** *სვანურ-ადიღური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები. ქართველურ-ადიღური პარალელები*, I, ენიმკის მოამბე, თბილისი.

*Medea Saghliani*

### **Types of Declension of Numerals according to Svan Dialects**

#### **Summary**

The paper deals with the paradigms of the declension of numerals of the traditionally known Svan dialects (Upper-Balian, Lower-Balian, Lashkh and Lentekhian), as well as of Cholur, Lakhamul-Ushgul ones, considering the five types of declension in scientific literature. The study of modern empirical Svan material revealed that the declension of Svan numerals does not follow T. Sharadzenidze's classification. Upper Balian dialects still preserve several types of declension that are widely-known in scientific literature while in Lower-Balian dialects the said types have survived as a form of relict. We believe that such types of declension were characteristic for the Lower Svan dialects, which gradually collapsed and unified, but it must be said that they did not reduce to one system. The mentioned declension types of different dialects did not coincide with the types of declension acknowledged in scientific literature, which once again confirms the great difficulty of declension in Svan. This issue was discussed by A. Shanidze as early as the 1980s.

მანა სანოპია

## რთულზმნურ ციკლურ პარადიგმათა ტიპოლოგიისათვის

(ძველი სპარსულისა და საერთო-სპარსულის მონაცემების მიხედვით)

ტიპოლოგიურად, ყველა ენაში რთული ზმნების წარმოქმნა-გაქრობა თუ მარტივ ზმნებთან მონაცვლეობა-თანაარსებობა გარკვეულ ენობრივ ციკლებად მოძრაობს და ტრიალებს სხვადასხვა ვარიანტებით. სპარსული ენის ჭრილში ახალ-სპარსული ყურადღებას იქცევს რთულ ზმნათა განვითარებული სისტემით და ამიტომაც ამ ენის მოცემულ ერთეულთა დიაქრონია და რეტროსპექცია ერთდროულად ბევრს იმეტყველებს ზოგადად რთულ ზმნათა ტიპოლოგიაზე, მონაცვლეობაზე და დინამიკაზე.

შედარებისთვის, ქართული ენის რთული ზმნებიც ძალიან საყურადღებოა და იმავდროულად ნაკლებად შესწავლილი. წლების წინ მ. ანდრონიკაშვილმა მიუძღვნა სპეციალური წერილი ძველქართულ რთულ ზმნებს (ანდრონიკაშვილი 1972). შესაძლოა, ცალკეული საკითხები იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა ნაშრომშიც, მაგრამ თუნდაც ახალქართული რთული ზმნების სისტემური ნიშნები ამომწურავად არ ქცეულა შესწავლის ობიექტად. კერძოდ, ზოგადი მაგალითისთვის, დღევანდელი ქართული იტევს უამრავ რთულ ზმნას ანუ აღწერით (ანალიზურ) ერთეულებს ფლექსიის ფონზე; თანაც აღინიშნება ახალ-ახალ ერთეულთა აღმოცენებისა და აქტუალური გამოყენების საკმაოდ მძლავრი *დინამიკა სამეტყველო ნაკადში* (დისკურსში). უმეტესად, ყველა ძველ ანუ ლიტერატურულ ენაში ადრევე არსებულ რთულ ზმნას თუ ახალ/უახლეს (დღევანდელ) ნეოლოგიზმსაც აქვს ალტერნატიული მარტივი ზმნის ფორმა ან ფორმები (რომ არაფერი ვთქვათ სინონიმებზე), მაგრამ *მოლაპარაკე* უფრო ხშირად ირჩევს *რთულ-ზმნურ შესიტყვებას* მაგ.: *ივნორს (ივნორირებას) უკეთებს (ივნორირებს); ციტირებას უკეთებს/ახდენს (ციტირებს); ამინდი ვაკეთდა (რა ცუდი ამინდი ვაკეთდა!); კონტროლირებას ვუწევდი/ვახდენდი (ვაკონტროლებდი); ხელმძღვანელობა ვაუწია (უხელმძღვანელა); პასუხს იძლევა (პასუხობს); პასუხი მომეცია! (მიპასუხე!);* და მისთ. მრ. სხვა. განსაკუთრებით ხაზგასმულად დღევანდელი დისკურსების ავტორები ირჩევენ სწორედ *ნეოლოგიურ, ინოვაციურ (ანუ ენაში ახლად წარმოებულ) რთულ ზმნებს*.

ახალსპარსულის ენობრივი სივრცე ცნობილია რთულ ზმნათა სიმრავლითა და მორფოსინტაქსურ-ლექსიკოლოგიურ სტრუქტურათა დიდი მრავალფეროვნებით. მარტივ ზმნათა (მათ შორის რთულზმნურ სისტემაში მონაწილე) რაოდენობა ბევრად მცირეა. მაგალითად, უსწორო (არაწესიერ) მარტივ ზმნათა ჩამონათვალი (რომელიც, ჩვეულებრივ, თავსდება აკადემიურ ლექსიკონთა დანართებში)



იტევს სულ 135 ზმნას. სპეციალურად არ დაგვითვლია წესიერი ზმნები, რაც აკადემიური ლექსიკონის ვერტიკალების მიხედვით არ იქნებოდა რთული, თუმცა აპრიორულად შეგვიძლია დავეუშვათ თუნდაც იმდენივე. შეფარდება აშკარაა, მაგრამ ზუსტი სტატისტიკა მე პირადად ხელთ არ მაქვს. თანამედროვე ახალსპარსულის ეს ვითარება და პროცესი იწყება კლასიკური ახალსპარსულიდანვე და ვრცელდება კონკრეტულ ენობრივ სივრცეში მძლავრი დინამიკით. თანამედროვე ახალსპარსულში რთულზმნურ სისტემაში ჩნდება სულ *ახალ-ახალი* მორფოსინტაქსური თუ ლექსიკოლოგიური *ნიშან-თვისებებიც*; მაგ.: სახელური ნაწილი, *მრავლობითი რიცხვით* წარმოდგენილი, მიუთითებს წარმოებული ქმედების ინტენსივობაზე; აღინიშნება *დამხმარე (მაძლიერებელ) მარტივ ზმნათა განახლება*, ცვლილებები, გამდიდრება, ურთიერთჩანაცვლება, რამდენიმე ზმნური ელემენტის *ერთდროული პარალელური* გამოყენება, *ახალი ზმნების* მოზიდვა-ჩართვა სისტემაში და მისთ. საჭიროა აქვე დავაფიქსიროთ, რომ *დიდ აკადემიურ სპარსულ-ქართულ ლექსიკონზე* მუშაობა (იხ. ბიბლ.: სპარსულ-ქართული ლექსიკონი 2008-2016) ავლენს გამოწველივით მასალას და მათ შორის, – ყოველგვარ სიანხლებსა და ნეოლოგიზმებს, ინოვაციებს; აგრეთვე, ბუნებრივია, ვლინდება *ორენოვან ლექსიკონთა ტიპოლოგიური თავისებურებები* და კერძოდ, ამ შემთხვევაში, *სპარსული რთული ზმნების ქართულად* გადმოღების ყოველგვარი ვარიანტები და *შესატყვისთა* შეჯერება-დაძებნის მაქსიმალური შესაძლებლობები; თუმცა, ვიმეორებ, სხვადასხვა მონაცემთა სტატისტიკური კვლევა არც მე პირადად, არც ჩემს სამუშაო ჯგუფს ამ სფეროში არ უწარმოებია.

ზემოთქმულის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ თანამედროვე, დღევანდელ ახალსპარსულში იმავდროულად მიმდინარეობს *საპირისპირო პარალელური* პროცესიც: *მარტივ ზმნათა* დაბრუნება ძლიერ განვითარებული რთულზმნური წარმოების სისტემის ფონზე მის დინამიკაში. მიმდინარეობს რთულ ზმნათა *სახელური* კომპონენტებისგან თუ ზოგადად სხვა სახელებისგან *წესიერ მარტივ ზმნათა* წარმოება, ან უბრალოდ ძველ (უკვე ადრევე არსებულ) მარტივ ზმნათა დაბრუნება ხმარებაში, – რთულ ზმნათა ნაცვლად თუ პარალელურად; ანუ იკვეთება *ახალ რთულ ზმნათა წარმოქმნის საპირისპირო ტენდენციაც*, ზოგადი სქემის თანახმად – *რთული ზმნა > მარტივი ზმნა*; თუმცა ერთი შეხედვითაც ცხადი ხდება, რომ ეს უკანასკნელი სქემა გაცილებით ნაკლებ პროდუქტიულია ჯერჯერობით, ვიდრე პირუკუ ციკლური სქემა: *მარტივი ზმნა > რთული ზმნა. სტატისტიკური სურათი* მაინც მეორე სქემის სასარგებლოდ მეტყველებს.

ამდენად, თანამედროვე ახალსპარსულში მოკლე მიმოხილვის შედეგად ვაფიქსირებთ *უნივერსალური ტიპოლოგიური ზოგადდინგვისტური ციკლების ორივე მუდმივმონაცვლე საპირალურ რგოლს*: *მარტივი > რთული > მარტივი > რთული..* და ა.შ. ესაა *დიაქრონიული ციკლურობა ანუ ციკლურობა დიაქრონიაში თავისი სხვადასხვა დიაქრონიულ-ტიპოლოგიური ციკლის ურთიერთშენაცვლებით*.

ახალსპარსულ ვითარებაზე თქმული აქ საკმარისია, მეტად ვერ შევწერდებით, ჩვენ მხოლოდ მოკლედ ნათელგვაავით *დიაქრონიულ-ტიპოლოგიური საერთო*

*წამყვანი ძირითადი ტენდენციები* იმისთვის, რომ *რეტროსპექტულად გავაშუქოთ* ამ გადასახედიდან მოცემული წერილის ძირითადი განსახილველი ობიექტი (სახოკია 1985, 1998, 2007, 2013).

ახალსპარსულის საერთო სურათი (კლასიკურისა და თანამედროვე ენის ჩათვლით) მით უფრო საინტერესოს ხდის ძველი და საშუალო სპარსულის ვითარების ამომწურავ შესწავლას. სწორედ ამ ფონზე განსაკუთრებით **ფასეული** იყო ძველი სპარსულის მასალა, რასაც ხანგრძლივად ვაკვირდებოდი. ამ მხრივ არა ოდენ მონაცემთა წმინდა ლინგვისტურმა შესწავლამ, არამედ განსაკუთრებით **აქემენიდურ წარწერთა თარგმანების და მათ შორის მხატვრული ლიტერატურული თარგმანების საავტორო გამოცდილების შედეგად მიღებული ქართული შესატყვისების** გამოვლენამაც გარკვეულწილად იმოქმედა ჩემეული საერთო სურათის შექმნაზე და სამუშაო წესით ძველსპარსული რთულზმნური სისტემის პარადიგმულ ჩამოყალიბებაზე. გვაქვს აგრეთვე დიდძალი საშუალო სპარსულის (ფალაურის) მასალაც, რომელიცაა შემაერთებული მორფოსინტაქსურ-ლექსიკოლოგიური რგოლი ძველსა და ახალსპარსულს შორის, თუმცა საგანგებოდ ჯერ ფალაურის მასალა სრულად არ განგვიხილავს, გარდა იმ ქვეთავის ფარგლებისა, რომელიც სადოქტორო დისერტაციის შემადგენელი, მაგრამ ძალიან მოკლედ, შეზღუდულად, შეკუმშულად ფორმულირებული ნაწილი იყო (სახოკია 1998). მთავარი ისაა, რომ ძველი სპარსული მოცემული **ენის ჭრილის** ორივე შემდგომი ენობრივი რგოლისთვის (დონისთვის) **პროტოტიპული** ბუნება-ხასიათისა და ნიშან-თვისებების მატარებელია; თავის მხრივ, რაც კიდევ უფრო გამოკვეთილია, საშუალო სპარსულის (ფალაურის) რთულზმნური პარადიგმული სისტემა საკმარისად თვალსაჩინოდ და ნიშანდობლივად **პროტოტიპულია** ახალსპარსულის მიმართ. სამომავლოდ, ერთდროულად სამივე რგოლის მონაცემთა ერთობლივი და ერთდროული კომპლექსური განხილვა-წარმოდგენა ნათელყოფს უწყვეტ **მემკვიდრეობით დინამიკას**, რომელიც ვლინდება როგორც **რეტროსპექტული** შესწავლა-დაკვირვებით, ასევე **დიაქრონიულ-ტიპოლოგიური** ანალიზით ანუ **ორმხრივი მიმართულებით**: ახალსპარსულიდან გამომდინარე, უკუსვლით ძველისკენ და პირიქით, – ძველიდან საშუალო და ახალსპარსულისკენ.

ამჟამად ძველი სპარსულის მასალაა ჩვენი ანალიზის ობიექტი და ეს ანალიზი ამ ეტაპზე **შემაჯამებელია**: იგი **ავვირგვინებს** ჩემს მრავალი წლის წინ დაწყებულ კვლევა-შესწავლას და შეიცავს **შემაჯამებელ დასკვნებს**. მოცემულ წერილში წარმოდგენილია ძველი სპარსულის ძველი და ახალი რთული ზმნების ჩემეული საბოლოო **დიაქრონიულ-ტიპოლოგიური კოდიფიკაცია**; აგრეთვე მოცემულია მოსაზრებები, – ყოველივე ამის გათვალისწინებით, რა როლი და ადგილი უკავია ძველსპარსულ ახლად წარმოჩენილ რთულ ზმნებს ჩემს ძველ, **ადრინდელ ტაბულაში**, რომელიც თავის დროზე შეიცავდა 40-მდე სხვადასხვა ჯგუფს, kar-cartanaiy-*კარ-ჩარტანაი* – „კეთება“ **ზმნის დიდი უპირატესობით** (სახოკია 1972, 1985, 1998, 1979). მართლ ეს ერთი ნიშანიც უკვე საკმარისია, ვილაპარაკოთ მემკვიდრეობით-პროტოტიპულ მახასიათებლებზე. მოცემული შტრიხი უპირობოდ უნდა

აღინიშნოს როგორც დიაქრონიული ტიპოლოგიისთვის მნიშვნელოვანი, განმსაზღვრელი ფაქტორი. “კეთება“ ზმნით *მოდელირებული ზმნების ჯგუფები წამყვანია* მოცემული *ტაბულისთვისაც* და ახალი *ჩამონათვალისთვისაც* (სახოკია 2013). ეს ჯგუფები *პროტოტიპული ნიშანია ახალსპარსულის* ვითარებისთვისაც, *საშუალო სპარსულის* გავლით აგრეთვე. ქვემოთ აღწერილია, რა ვითარებაა შემდგომი გაღრმავებული კვლევით თავად *ძველ სპარსულში* და კიდევ რა *პროტოტიპული ჯგუფები* ვლინდება.

ბოლო წლების კვლევის შედეგად ჩვენ მიერ საკმაოდ მრავლად გამოვლენილია დამატებით ახალი რთულზმნური ერთეულები ძველ სპარსულში, მანამდე არაკოდირებული და არასისტემატიზებული. ასეთი შედეგები მიღებულია უფრო გაღრმავებული გრამატიკული და სემანტიკური სტრუქტურულ-სისტემური ანალიზის ბაზაზე, მცირე და ფართო ტექსტური კონტექსტების ფაქტორების პრაგმატული გამოყენებით. ძველი სპარსულის ეს ახალი რთული ზმნები თავისი კომენტარებით მოცემული წერილის ობიექტს წარმოადგენს.

რთული ზმნები, სრული გამყარებისა და გრამატიკალიზაციის შემთხვევაში, ჰორიზონტალური ერთეულებიდან ვერტიკალური ერთეულების, ლექსიკური პარადიგმების კუთვნილებად იქცევა და გაფორმებას პოვებს ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისითაც: გამოყენებითი, პრაქტიკული სფეროდანაც გამომდინარე, ეს ლექსემებად ქცეული მორფოსინტაქსემები და სინტაქსემები ენის სალექსიკონო ფონდში იმკვიდრებენ ადგილს, რის გამოც ენის შესწავლა-სწავლებისა თუ ლინგვისტური კვლევა-ანალიზისას ასეთი შესიტყვებების აღქმა-დახსომება ერთიან განუყოფელ ენობრივ ერთეულად ხამს. მაგრამ საქმე ისაა, ტიპოლოგიურად მოკლედ აღწერილი ეს მოვლენა ცოცხალი ენობრივი პროცესია, რომელიც ქვეცნობიერად ზორციელდება ტექსტური თუ სამეტყველო პრაგმატული ნაკადების საკომუნიკაციო, აქტუალური (აქტუალიზებული) რეალიზაციის დროს, მოქმედი კონკრეტული ენის შემთხვევაში. ენის პრაგმატული სტრუქტურის მსგავსი პროცესები, ცხადია, ივარაუდება ძველი, მკვდარი ენების არსებული ტექსტური მონაცემების კვლევა-ანალიზის შემთხვევაშიც, თუმცა ამ დროს კვლავ იმავე ენის დიაქრონიული ჭრილისა და რეტროსპექტული ტიპოლოგიური შეპირისპირების მეთოდოლოგიას ვიყენებთ: დიაქრონიული და რეტროსპექტული ორმხრივი ანალიზის მეშვეობით ვახდენთ საკვლევ ერთეულთა კოდირებას და კლასიფიკაციას. ამგვარი კვლევების საუკეთესო საშუალებას და საფუძველს იძლევა სპარსული ენის ჭრილი სამი ძირითადი ენობრივი სიბრტყის გათვალისწინებით: ძველი სპარსული-საშუალო სპარსული (ფალაური)-ახალსპარსული (ორივე დონის, კლასიკური და თანამედროვე ფარსის ჩათვლით). ახალსპარსული ენათმეცნიერთათვის და კერძოდ ირანისტათისთვის, კარგადაა ცნობილი ანალიტიკური (ანალიზური, აღწერითი) ერთეულების და, მათ შორის, პირველ რიგში, რთული ზმნების სიმდიდრით, რაც ზედმიწევნით სრულადაა ასახული სპარსული ენის ლექსიკოგრაფიულ მასალაშიც: პირველ რიგში, აქ ვგულისხმობთ და ვყვარდნობთ ი. რუბინჩიკის სპარსულ-რუსულ ლექსიკონს. ამ კუთხით საინტერესო მასალა გვაქვს

სპარსული ენის რთულ ზმნათა რეტროსპექტული კვლევისთვის, რასაც იმავდროულად ზოგადლინოლოგიური ლინგვისტური ღირებულებაც აქვს.

ადრევე შექმნილი გვაქვს ძველი სპარსულის რთული ზმნების მოდელირებული ჯგუფების განზოგადებული სქემა (Сахокия 1972, 1979, 1985, 1998; იხ. Сахокия 1985:93-96, 135, ტაბულა 5). ეს ადრინდელი კვლევა ითვალისწინებდა ცალკეულ ნაშრომებსაც, რომელიც ეხებოდა სპარსულის ჭრილში რთული ზმნების საკითხებს; შემდგომშიც სპარსული ენობრივი ჭრილის რთულ ზმნებს მიეძღვნა სხვადასხვა სახის მიდგომის არაერთი გამოკვლევა (სრული ბიბლიოგრაფია იხ.: სასოკია 2013). ეს მიდგომები მოიცავს სხვადასხვა პარამეტრებს.

აღსანიშნავია, რომ ირანული ენათმეცნიერების საფუძვლებში რთული ზმნების ჩამოყალიბების ენობრივ დონედ პირველ რიგში ძირითადად საშუალო სპარსული ითვლება (ОИЯ 1979; ОИЯ 1981:135). ეს მაშინ, როდესაც ჩვენი კვლევების შედეგები ცოტა ხნით ადრე ძველ სპარსულში რთულ ზმნათა მოდელირების მკვეთრ მონაცემებს ააშკარავებდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ახალგაზრდა მკვლევრებსაც. კერძოდ, ერთი ავტორი წერს, რომ ირანული ენათმეცნიერების საფუძვლებში რთული ზმნების ჩამოყალიბების კონცეფცია გადასინჯვას მოითხოვს, რადგან ძველი სპარსულის გარკვეული შენაერთები სწორედ რთულ ზმნებად კოდიფიკაციას ექვემდებარება: „აღსანიშნავია, რომ ისეთ აკადემიურ კრებულში, როგორცაა ‘Основы иранского языкознания, Среднеиранские языки’, ‘ზმნური ფრაზეოლოგიზმები’, ანუ ე.წ. ‘ანალიზური ზმნები’ საშუალო სპარსულ ინოვაციადაა განხილული, ანუ უგულებელყოფილია ის ფაქტი, რომ უკვე ძველი სპარსული ენის ძეგლებში გვხვდება გარკვეული რაოდენობა ორწევრიანი ზმნური შესიტყვებებისა, რომლებიც შეგვიძლია მივაკუთვნოთ ზმნათა ამ კატეგორიას“ (ნათაძე 2008:132, 136). ხსენებულ ნაშრომში შესაბამისად მითითებულია ამ სტრიქონების ავტორის ადრეული შრომები. სპარსულ ენობრივ ჭრილში რთულ ზმნათა დინამიკა, რომელიც ფართოდაა წარმოჩენილი ახალსპარსულში, საშუალო სპარსულის დონეზე აშკარა პროტოტიპულ ვითარებას გვიჩვენებს, მაგრამ ეს პროცესი ნათლად შეინიშნება და იწყება ძველი სპარსულის დონეზე; ამ მხრივ სახეზეა მორფოსინტაქსურ ნიშანთა დადასტურებული მემკვიდრეობითობა, ისევე როგორც კონკრეტული ლექსიკური ერთეულების დიაქრონიულ-რეტროსპექტული ანუ პროტოტიპულ-მემკვიდრეობითი ურთიერთკავშირი.

ამგვარად, სურათი ასეთია: თავდაპირველად, ადრეულ წლებში, სპარსული ენის რთულ ზმნათა დინამიკური წარმოქმნისა და ახალსპარსულის რთულ ზმნური სისტემის ჩამოყალიბების საწყისი ეტაპების წარმოჩინების ენობრივ დონედ საშუალო სპარსული ითვლებოდა, რაც ნათლადაა კიდევ ნათქვამი ირანული ენათმეცნიერების საფუძვლებში (იგულისხმება რუსულენოვანი ფუნდამენტური გამოცემა, მოსკოვი 1979-1981, შემოკლებით ОИЯ). სწორედ იმ წლებში, როცა ზემოხსენებული საფუძვლები ქვეყნდებოდა, ამ წერილის ავტორი უკვე იკვლევდა დამწყები მეცნიერის კვალობაზე ძველი სპარსულის რთულ ზმნურ ლექსემებს და სინტაქსემებს. ძველსპარსულ რთულ ზმნათა კოდიფიკაცია და კლასიფიკაცია

პირველად 1971-1972 წლებში ჩვენს სპეციალურ მოხსენებებში გაჟღერდა რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაზე. 1972 წელს ქ. სამარყანდში დაიბეჭდა პირველი ნაშრომი ამ თემაზე, 1979 წელს კი – თბილისში უფრო სრული ნაშრომი რუსულ ენაზე (სახოკია 1972, 1979); ხოლო უფრო სრულად კი, ჯერ 1975 წელს ჩვენს დისერტაციაში – შემდგომ კი 1985 წელს მონოგრაფიაში – ეს თემა ერთ-ერთ ნაკვეთად გვქონდა წარმოდგენილი (სახოკია 1985:93-96, 173). ძველსპარსულ რთულ ზმნათა კლასიფიკაცია გრაფიკულად იქნა გაფორმებული 1975, 1979 და 1985 წლების პუბლიკაციებში, შესაბამისი ტაბულების სახითაც. ავტორის კვლევის შედეგები სათანადოდ იყო შეფასებული და აღიარებული სპეციალისტთა მიერ, პირველ რიგში კი ახალსპარსულ ზმნათა წამყვანი მკვლევრის, ი. რუბინჩიკის მიერ (რუბინჩიკი 1981; დანარჩენი მისი სათანადო ბიბლიოგრაფია იხ. შრომაში: სახოკია 2013).

ჩვენი კვლევები დიაქრონიულად და რეტროსპექტულად, დიაქრონიული ტიპოლოგიის მეთოდოლოგიით გაგრძელდა დღემდე (სახოკია 1998, 2013; სახოკია 1985-2013). ძველი სპარსულის რთული ზმნები მის დინამიკაში სპარსული ენის ჭრილში (ძველ-საშუალო-ახალსპარსული) ავტორის სადოქტორო დისერტაციის ერთ-ერთი ნაკვეთი იყო (სახოკია 1998). ჩვენ მიერ **ძველი სპარსულის დონეზე მოქმედი რთულზმნური სისტემის** კოდიფიკაციისა და კვალიფიკაციის მნიშვნელოვანი ფაქტორები დებულება, წამყვანი ფლექსიური ენობრივი სისტემის ფონზე, ხაზგასმით აღინიშნა ბოლო ხანების შედარებით ახალგაზრდა თაობის მკვლევართა ნაშრომებშიც, როგორც ზემოხსენებული ОИЯ-ის მონაცემების საპირისპირო, უფრო ზუსტად კი შემავსებელი მტკიცებულება (ნათაძე 2008). ბოლო წლების კვლევის შედეგად კი ჩვენ მიერ გამოვლენილია **დამატებით ახალი რთულ-ზმნური ერთეულები**, მანამდე არაკოდიფიცირებული და არასისტემატიზებული. ასეთი შედეგები მიღებულია უფრო გაღრმავებული გრამატიკული და სემანტიკური სტრუქტურულ-სისტემური ანალიზის ბაზაზე, მცირე და ფართო ტექსტური კონტექსტების ფაქტორების პრაგმატული გამოყენებით. **ძველი სპარსულის ეს ახალი რთული ზმნები** თავისი კომენტარებით მოცემული წერილის ძირითად ობიექტს წარმოადგენს.

ამდენად, მოცემულ წერილში იკვეთება ორი მთავარი დებულება: 1. ხაზგასმით აღნიშვნა იმ ფაქტისა, რომ **ძველი სპარსულის** დონეზე სპარსული ენის დიაქრონიული ჭრილის **რთულზმნური დინამიკის სასტარტო დასაწყისის კოდიფიკაცია** და საკვლევ ერთეულთა **სისტემური კლასიფიკაცია** ამ სტრიქონების ავტორის **მეცნიერული პრიორიტეტი** და გარკვეულწილად შესაბამისი პრეროგატივაა; ამ საკითხში ავტორის **პირველობას** და მისი დებულების მნიშვნელობას ავტორისეული და სხვა სამეცნიერო შრომები ადასტურებენ; 2. ადრევე ჩემ მიერ გამოშუქებული საშუალო სქემების მიხედვით და ამ მოდელირებული სქემების გაფართოების გზითვე გამოვლენილია სხვადასხვა გრამატიკულ-სემანტიკური ჯგუფებისადმი მიკუთვნებადი ახალი რთული ზმნები ძველ სპარსულში; დამყარებულია საშუალო და ახალსპარსულის მონაცემებთან მათი პროტოტიპული კოორ-

დინაცია. საბაზისო ტაბულის ჯგუფების ძირითადი მონაცემები ადრევე იყო წარმოდგენილი წინა შრომებში (სახოკია 1972, 1979, 1985:93-96, 173, 2013).

ქვემოთ მოგვყავს საბაზისო ტაბულისა და ახალი ჯგუფების ძირითადი მონაცემები კვლევის დღევანდელ ღონეზე.

ძველსპარსული ტექსტების უფრო დაკვირვებულმა შემდგომმა კვლევამ გააფართოვა, ჩემი აზრით, კონტექსტიდან გრამატიკალიზებული ერთეულების გამოყოფის შესაძლებლობები და პერსპექტივები, რის შედეგადაც მივიღეთ ჰორიზონტალური ხაზებიდან რთული ზმნების ახალი ვერტიკალების კვალიფიკაციის პერსპექტივები. ამოსავალი და საყრდენი ადრინდელი სქემები და მოდელებია, დამატებულია ახალი პარამეტრებიც. ქვემოთ მოკლედ მომყავს ძველი სპარსულის ახალი რთული ზმნები და ზმნური ფრაზეოლოგიზმები იმავე ფორმით, რაც ორიგინალის ლინგვისტურ კონტესტშია წარმოდგენილი. საეჭვო ერთეულებს კითხვის ნიშნით აღვნიშნავთ.

bajim abarata ‘to paid tax’ „ბაჟის გადახდა/მოტანა“; arika abava ‘to get angry’ „გაბრაზება“; vasiy abava ‘to multiply’ „გამრავლება, გაბევრება“; svāipašyam akutā ‘to appropriate’ „მითვისება, მისაკუთრება“; dītam caxriya ‘to capture’ „მიტაცება“; gāθavā avāstāyam ‘to restore [on its own place]’ „თავის ადგილზე დაყენება“; maškāuvā avākanam ‘to sseat sb on pontoons’ „ნავტიკებზე დასმა/შესხმა“ (ušabarim akunavam’ to help sb mount a camel,’ „შდრ.: აქლემებზე დასმა: გააქლემოსნობა/აქლემოსნის გაკეთება“); asam frānyam(?) ‘to bring horses’ „ცხენოსნად გაყვანა/ცხენებით გადაყვანა“; basta adāriya ‘tocapture’ „შეპყრობილად დაცვა/შეპყრობა“; jiyamnam āha, θakata āha ‘to conclude’ „მიწურვა, მიღება [დროის, – თვის]“; dastayā akunauš ‘to help’ „დახმარება/ხელშეწყობა/შეწყვანა“; daušta biyā(?)’to be friendly with sb’ „მეგობრობა, მეგობრად ყოფნა, მეგობრობის გაწევა“; utava āhy’to can’ „შეძლება: შეეძლია, ძალგიძს“; nipištīyā adārayatā’ to print, to confirm by seal’ „დაბეჭდვა/გამოქვეყნება/გავრცელება, ბეჭდის დასმა“; avastāyā cāxriyatā ‘to write on the skin’ „ტყავზე გაწერა/დაწერა“; viya marda ‘to destroy’ „აღვა, მოსპობა, განადგურება, მუსრის გავლება“; ucaram āha ‘to make good’ „კეთილად ქმნა, კარგის კეთება“; taumā ahatiy, utava āhy, tanuš tāvayatiy ‘to be able’ „შეძლება: ძალგიძს; შეუძლია, ძალუძს სხეულს“; tacaram akunauš ‘to build a palace’ „სასახლის აგება/აშენება“; stūnā akunavam ‘to put up columns’ „სვეტთა აღმართვა“; dacaram akunavam ‘to build palace’ „სასახლის აგება/აშენება“; akunavam ima hadiṣ ‘to build a palace’ „სასახლის აგება/აშენება“; hadiṣ akunavam ‘to build a palace’ „სასახლის აგება/აშენება“; stūnāya akunauš ‘to erect columns’ „სვეტების აღმართვა“; apadanam akunauš/akunavam ‘to build palace’ „სასახლის აგება“; gāθava niyašādayam ‘to place, to put on its own place’ „თავის ადგილზე დამკვიდრება“; kartam akunavam ‘to make sth’ „საქმის/გაკეთებულის/ნახელავის გაკეთება“; ustacanam akunauš ‘to attach a staircase with railings’ „მოაჯირებიანი კიბის მიშენება“; ardaštāna karta ‘to make window-frames’ „ფანჯრის რაფების გამოკვეთა/გაკეთება/გამოჭრა“; azdā bavātiy ‘to recognize’ „ცოდნა, შეც-

ნობა, გაგება, ინფორმირება, შეტყობინება, ცნობის მიცემა“; partaram patiyajata ‘to wage war’ „ომის წარმოება“; paṁim ma avarada ‘to leave the course, the path’ „გზიდან გადახვევა/სწორი გზის დაკარგვა, გზის აბნევა“; fraṣam ṁadayātaiy ‘to like, to seem good’ „მოწონება, კარგად აღქმა, კარგად მოჩვენება“; naibam akunavam ‘to better, to improve, to make better’ „კეთილად ქმნა, გაუმჯობესება“; miṁṁa kariyaiṣ ‘to do evil, to do evil things’ „ბოროტობა, ავის ქმნა, ბოროტების/სიავის ჩადენა“; darṣam dārayāmiy ‘to control’ „გაკონტროლება, მოწესრიგება, გამგებლობა, ფლობა, პერობა“; xṣnuta amiy , uxṣnauṣ amiy ‘to enjoy’ „კმაყოფილება, მოწონება, გახარება“; yumaiṣ amiy(?) ‘to train, to be in training’ „ვარჯიშობა, ჯომარდობა/ჯომარდად ყოფნა“; azdā kuṣuva ‘to recognize’ „ინფორმირება, გაგება, ცოდნა“; duruxtam kunavataiy ‘to lie’ „ტყუილი, ცრუობა“; aṁagam akunavata ‘masonry, to carve stone, to cut stone’ „ქვისმთლელობა, ქვის თლა/დამუშავება“; daraniyam akunavaṣa ‘to cultivate gold, to make gilt’ „ოქრომჭედლობა, ოქროზე მუშაობა“; dāruv akunavaṣa ‘to manufacture wood’ „ხის დამუშავება, ხეზე მუშაობა“; agurum akunavaṣa ‘to make bricks’ „აგურის დამუშავება, აგურის გამოყვანა“; didam apiṁa ‘to paint a building’ „მოხატვა, ნაგებობის/კედლების მოხატვა“; fraṣam kunautiy ‘to adorn, to decorate’ „გამშვენება, მოლამაზება, გალამაზება, მორთვა, მოჩუქურთმება, მოპირკეთება“; gaṁava niyṣādayam ‘to place, to put in its own place’ „თავის ადგილზე დამკვიდრება/დაყენება, მოსმა, დასმა“; daiva ayadiya(?) ‘to worship idols’ „კერპთთაყვანისმცემლობა, კერპების/ დევების (დაივების)/ცრულმერთთა თაყვანისცემა“; manauviṣ amiy ‘to be angry’ „გულფიცობა, განრისხება, გაჯავრება, გაბრაზება“; frataram akunavam ‘to better, to improve’ „გაუმჯობესება, კეთილად ქმნა, გამშენიერება, გამშვენება, გალამაზება, მოლამაზება“; yānam jadiyāmiy ‘to ask for mercy, to pray’ „წყალობის თხოვნა, ვედრება, ლოცვა“; Auramazdam āyadayi(?) ‘to worship Auramazda’ „აპურამაზდას თაყვანისცემა“; nipiṣtam akunauṣ ‘to write, to make an inscription’ „წარწერის გაკეთება/ ამოკვეთა, დაწერა“; dipim nipiṣtanaiy ‘to make an inscription, to inscribe’ „დაწერა, წარწერის შექმნა, წარწერის დაწერა/(გ)ამოკვეთა“; paradayadāṁ akunavam ‘to create paradise, to build paradise’ „სამოთხის აგება, გაშენება, შექმნა; სალხინოს/სავანის გაშენება“; mayuxa karta ‘to make a door-knob’ „კარის სახელურების გაკეთება“; batugara karta ‘to make wine-bowl’ „თასის გაკეთება/გამოჭედვა“; patikaram cartanaiy ‘to cut a sculpture’ „კვეთილობის, ქანდაკების, სკულპტურის, ბარელიეფის გამოკვეთა“; duvarṁim (visadahyum) akunavam ‘to make/to build the gates (of all countries)’ „(ყველა ქვეყნის) კარიბჭის/ხეივნის აგება“; tyamaiy dartanayā bavatiy ‘to be angry’ „განრისხება“; gaṁava akunavam/kartam ‘to place, to put in its own place’ „თავის ადგილზე დამკვიდრება/დაყენება, მოსმა, დასმა („კეთება“ ზმნით)“; yauviyā katanaiy ‘to dig a canal’ „არხის გაჭრა/გათხრა“; būmi akaniya ‘to dig earth’ „მიწის თხრა, მიწის ამოყრა“; iṣṁiṣ ajaniya ‘to mold a sun-dried brick’ „ალიზის გამოყვანა“; ṁika avaniya ‘to pack rubble’ „ქვიშის/მიწაყრილის გაკეთება, ჩაყრა: საძირკვლის ჩაყრა, ბალაგერის ამოშენება/ამოყვანა“;

uvaspa uratacā kunautiy ‘to rear good horses and make good chariots’ „კარგ ცხენთა და კარგ ეტლთა მოშენება/კეთება“; yauviyā akaniya ‘to dig a canal’ „არხის გაჭრა/გათხრა“; xraθum niyasaya ‘to bestow wisdom’ „სიბრძნის ბოძება/დამკვიდრება[ღვთიური]“; aruvastam niyasaya ‘to bestow activity upon..’ „უნარების ბოძება/დამკვიდრება/მინიჭება/მიცემა[ღვთიური](??)“ და სხვა.

მასალობრივად ვეყრდნობით ძირითადად რ. კენტისეულ გამოცემას (კენტი 1956). ვითვალისწინებთ სხვა აკადემიურ გამოცემებსაც (შდრ.: ბრანდენშტაინი, მაირჰოფერი 1964; შმიტი 1981, 1980; აბულყასემი 1997; შერვო 2005 და სხვა; სრული ბიბლიოგრაფია იხ. შრომაში: სახოკია 2013).

ორმხრივი მიმართულების კვლევა უზრუნველყოფს რთულზმნურ მორფოსინტაქსემათა გამოვლენას მათ დინამიკაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ი. რუბინჩიკისეული მოდელირებული სქემების გამოყენება ახალსპარსულიდან უკუსვლით, რეტროსპექტული მიმართულებითა და დიაპაზონით (რუბინჩიკი 1981, 1980, 1983 და სხვა). სწორედ მის სტრუქტურულ-ლექსიკოლოგიურ პარამეტრებს ეყრდნობა ძირითადად ჩვენ მიერ წარმოჩენილი ძველსპარსული რთულზმნური სისტემა.

მოყვანილი ნიმუშები ნიშნათა სხვადასხვა მოტივაციით ხასიათდება. მასალა მოითხოვს შემდგომ დაზუსტებას, მაგრამ მოცემულ ბოლო წერილებში წარმოჩენილი ახალი რთული ზმნების აბსოლუტური უმეტესობის დამატება **ძველსპარსულ რთულზმნურ სიაში** უდავო მგონია.

ჩვენს ბოლო ნაშრომში, რომელიც ჯერ ციფრულად იყო წარმოდგენილი ინტერნეტში, შემდგომ კი უკვე დაიბეჭდა, მოტანილი მაქვს ზემომოყვანილი ახალი საკოდიფიკაციო ერთეულების მცირე კონტექსტებიც, სადაც განვიხილავთ კონტექსტურ მონაცემებს შესატყვისი კომენტარებით. იქ წარმოდგენილია და ხაზგასმულია **მხოლოდ ახალი რთული ზმნები**, რომელიც **ადრეულ შრომებში არ იყო კოდიფიცირებული** (სახოკია 2012/2013; შდრ.: სახოკია 1972; სახოკია 1979; სახოკია 1985:93-96, 173, იხ. იქვე ტაბ. 5:173).

ხოლო გარკვეული ორი ერთეული არც იმ ბოლო ნაშრომშია შესული და მოცემული წერილის დაწერის დროისთვის გამოვლინდა; ესაა ზემოთ წარმოდგენილ ჩამონათვალში სულ ბოლო ორი სახელურ-ზმნური შესიტყვება, თუმცა გარკვეულწილად კითხვის ნიშნების ქვეშ. კერძოდ, შემდეგი ერთეულები: xraθum niyasaya ‘to bestow wisdom’ „სიბრძნის ბოძება/დამკვიდრება[ღვთიური]“; aruvastam niyasaya ‘to bestow activity upon...’ „უნარების ბოძება/დამკვიდრება[ღვთიური]“ (??). აქ ვიტოვებთ კითხვის ნიშნის დასმის შესაძლებლობას და სამომავლოდ ასეთ ერთეულთა შემდგომ საკოდიფიკაციო განხილვის უფლებას სამუშაო წესით.

საზოგადოდ, ამ ბოლო ნიმუშებიდანაც ჩანს, რაოდენ გასათვალისწინებელია **რთულ ზმნათა კოდიფიკაციისთვის ფართო პრაგმატულ-კულტუროლოგიური კონტექსტებისა და ფაქტორების** გათვალისწინებაც, რომლებიც თუნდაც **ექსტრალინგვისტური სფეროების გავლენასაც** ამჟღავნებენ; მაგრამ **კულტუროლოგიური პრაგმატული სემანტიკის** შეცნობა და გამოვლენა, საბოლოო ჯამში, **ენობრივ**



ერთეულთა კოდიფიკაციისა და კვალიფიკაციის ამოცანების წმინდა ლინგვისტურ ფარგლებში უნდა ვდებოდეს. პრაგმატიკა ქმნის მოტივაციას, მოტივირებას, რომელიც განსაზღვრავს ამ შემთხვევაში შესიტყვების ლექსიკალიზაციის სხვადასხვა ხარისხს (სახოკია 2013). ეს მექანიზმები კარგად იკვეთება ძველსპარსულ ტექსტთა თარგმანისას, იქნება ეს აწკარდული (სიტყვასიტყვით) ან ლინგვისტური (სამეცნიერო, აკადემიური), თუ მხატვრულ-ლიტერატურული, პოეტური (პოეტიზირებული) თარგმანი. აქ ვერ ვისაუბრებთ თარგმანთა საკითხებზე დაწვრილებით, ამ საგულისხმო თემებთან კავშირში უნდა იხილოთ აქემენიდურ ძველსპარსულ წარწერათა ჩემული ქართული მხატვრული თარგმანები შესავლითა და კომენტარებით; აგრეთვე – მ. ანდრონიკაშვილის ქართული თარგმანებიც თავისივე შესავლებითა და კომენტარებით (სახოკია 2012, ანდრონიკაშვილი 1990; ანდრონიკაშვილი, სახოკია 1990; ქართულში რთული ზმნების თემატიკისთვის იხ. ანდრონიკაშვილი 1972).

2013 წელს გამოქვეყნებულ ჩვენს ნაშრომში ადრინდელი ტაბულა „გასუქდა“ 100 ერთეულამდე, – ზუსტად, 100 რთულზმნური ერთეული დაემატა იმ რამდენიმე ათეულს; ახლა, ბოლო ორი ერთეულის ჩათვლით, ზუსტად გვაქვს 140-142 ერთეული. შესაძლებელია შემდგომი დაზუსტებანიც, კლება-მიმატების გათვალისწინებით. მაგრამ ძირითადი რაოდენობა, ჩემი რწმენით, პლუს-მინუსის მეტნაკლებობით მაინც იტრიალებს ამ ციფრის გარშემო. ესაა თავისუფალი შენაერთებიდან კონტექსტში დაფიქსირებული რთულზმნური შესიტყვებანი, არსებული მოდელირებული სქემების გამოყენებით, თუნდაც დაწყებული ი. რუბინიჩის სტრუქტურებიდან გამომდინარე, რომელიც მიგვაჩნია გამოსადეგად და რომელსაც ვეყრდნობოდით თავიდანვე და მათვე ახლაც ვავითარებთ. იმავდროულად გასათვალისწინებელია კულტუროლოგიური კონტექსტუალური მიდგომებიც (კულტლინგვისტიკის ზღვარი) გრამატიკალიზაციის დადგენაში.

kar/čartanaiy-კარ/ჩართანაი – „კეთება“ ზმნის როლი იმ ახალ, 2013 წლის სიაშიც ლომისწილი იყო, მაგრამ სხვა საინტერესო ჯგუფებიც იყო გამოვლენილი კონტექსტუალური მიდგომებით (კონტექსტი ზოგად ლინგვისტიკაში), და ბოლოს აგრეთვე თარგმანის მექანიზმების ამოქმედების შედეგადაც. მაგ., ახალი შევსებული სრული ბევრი ერთეული იყენებს ისეთ დამხმარე ზმნებს, რომლებიც სხვაგანაც გვაქვს წარმოდგენილი წინა სიებში და ამდენად დამხმარე მამოდელირებელ ზმნად უკვე აღრევეა აპრობირებული. ამგვარი სხვადასხვა სემანტიკისა და სინშირის საგულისხმო მამოდელირებელი ზმნებია: bar მოტანა, ტარება; stā დადგენა, დაყენება; dār ჰყრობა, ფლობა; šād დადგენა, გადაწყვეტა; yas მინიჭება, ბოძება, წყალობა, მიცემა; nipištaniy დაწერა, ამოკვეთა, წერა; θad მოჩვენება, გაფიქრება; bav გახდომა; ah ყოფნა; kan/ katanaiy ამოთხრა, წყვეტა, გლეჯა; rad გადახვევა, დატოვება, მიტოვება, დაგდება, მიგდება; pars კითხვა, მოკითხვა, დაკითხვა; gaub ლაპარაკი, თქმა, რქმევა, წოდება; tav შეძლება; mar მოსპობა, სიკვდილი; piθ მოხატვა; yad თავყანისცემა, აღიარება; jad თხოვნა, ვედრება; van ჩაყრა, მოტყეპნა, ამოვსება, მოსწორება, გასწორება; jan გამოყვანა, დატყეპნა, გამოწვა;

**nay** გაყვანა, გადაყვანა; **aja** გატანა, წაღება, მიღწევა, მოქმედება, წარმოება და სხვა (ზმნები წარმოდგენილია ტექსტური, დაფიქსირებული ფორმების შესაბამისად). ფართო კულტოროლოგიურ-ლინგვისტურ სემანტიკურ ფაქტორზე ვრცლად ვისაუბრეთ ერთ-ერთ შრომაში (2013). რთულ ზმნათა გრამატიკული სტრუქტურები ადრევე ყველა სათანადო ნაშრომში გამოწვლილვითი განხილვის საგნად გვქონდა, მაგრამ კულტოროლოგიის სფეროს ანუ *ლინგვისტური პრაგმატიკისა და ინფორმატიკის (ინფორმაციული სტრუქტურის) საკითხი ძალიან დიდი სიახლეა, კერძოდ ძველსპარსული რთულზმნური სისტემის დიაქრონიულ-ტიპოლოგიური კოდოფიკაციისთვის. სტატისტიკის ფაქტორიც* ერთი ნიშანდობლივი არგუმენტია, მაგრამ ზოგადად ყოველგვარი (ლექსიკური, პრაგმატული, კონტექსტური, აქტუალური, ინფორმაციული და მისთ.) *სემანტიკა* გადამწვეტად გვეჩვენება განხილვად ერთეულთა საკვალიფიკაციოდ და საკოდოფიკაციოდ; მაგ., ავიღოთ თუნდაც **kar** კარ „კეთება“ ზმნის გამოყენება აღმშენებლობითი შინაარსის აქემენიდურ წარწერებში ყოველგვარი სახის სააღმშენებლო სემანტიკის ლექსემათა მნიშვნელობით, როგორცაა: აგება, შენება, დამუშავება, გამოჭედა, მოპირკეთება, მოხატვა, დახატვა, დაწერა, გამოთლა, გამოყვანა, აღმართვა, დაყენება, დადგმა, და მისთ.; ანდა ღვთიური//ღვთაებრივი სემანტიკის ჩართვა ზმნებში „ბოძება, მინიჭება, წყალობა“ და ა.შ. არსებითად, *ძველი სპარსულის ტექსტური მასალა კარგი ტიპოლოგიური პოლიგონია ზოგადად რთულზმნური პარადიგმული სისტემების ყოველმხრივი უნივერსალური ზოგადლინგვისტური დაკვირვებისთვის, ჭრილის დიაქრონიის გათვალისწინებით.*

სწორედ ამიტომ, ზემოთ წარმოდგენილი იყო საკითხის ისტორია სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, დასახელდა ჩვენი შრომები ქრონოლოგიის მიხედვით, რაც ასევე ქრონოლოგიურად შედარებულია სხვა ავტორებისა და სხვა გამოცემების მონაცემებთან. შეჯამებული დასკვნები იტევს საკითხის ისტორიასა და მასალის კოდოფიკაცია-კვალიფიკაციასაც.

**დასკვნა:** უფრო დაკვირვებული შემდგომი კვლევის შედეგად შეიძლება კიდევ გამოვლინდეს ახალ-ახალი რთულზმნური წარმონაქმნები. ზოგადად გვხვდება *ერთეულები ორწევრიანიც და მრავალწევრიანიც* (იხ. ჩამონათვალის სია: სახოკია 2013). იმავდროულად, პირუკუ, არ გამოვრიცხავთ დაზუსტებული ანალიზის შედეგად ამოვარდეს რომელიმე კითხვის ქვეშ დაყენებული ერთეულიც: საქმე ისაა, რომ მაქსიმალურად სრულ ჩვენეულ ჩამონათვალში მოყვანილი ნიმუშები *ნიშანთა კვალიფიკაციისა და სისტემატიზაციის სხვადასხვა მოტივაციით* ხასიათდება. *მოტივირების ხარისხიც* ზოგ შემთხვევაში განსხვავებულია. მასალა მოითხოვს კვლავაც შემდგომ დაზუსტებულ კვლევას, მაგრამ გარკვეული, ზემოთ განხილული *ახალი ზმნების აბსოლუტური უმეტესობის დამატება ძველი სპარსულის რთულ ზმნათა პარადიგმებში* უდავოდ და უეჭველად მართებულად მიმაჩნია. პირველ რიგში და *უპირობოდ*, ეს ეხება ზმნა „კეთება“-თი ნაწარმოებ, *მოდელირებულ რთულ ზმნებს.*

ძველი სპარსულის რთულ ზმნებთან მიმართებაში იკვეთება ჩვენი სამეცნიერო პრიორიტეტი როგორც საწყისი შესწავლის, აგრეთვე ქრონოლოგიური და იდეური კოდიფიკაციის თვალსაზრისით, ისევე მოცემული თემის წმინდა მასალობრივი შემდგომი მოძიება-განვითარებით.

*ჩვენი დასკვნით*, სპარსულის ენობრივი ჭრილისთვის რთულზმნური სისტემის სასტარტო პოზიციები ძველი სპარსულის დონეზე ყალიბდება და არა ოდენ საშუალო სპარსულის დონეზე; შემდგომ ფალაურის ეტაპის გავლით, ახალსპარსულის ძლიერ განვითარებული რთულზმნური მორფოსინტაქსურ-ლექსიკოლოგიური პარადიგმული სისტემა მომდინარეობს ძველსპარსულის საწყისი პროტოტიპული ვითარებიდან.

მთავარი თემა ჩვენი წერილისა სწორედ თქმულის საფუძველზე უკავშირდება იმას, რომ ვალიართ ძველსპარსულ რთულ ზმნათა დიდი დიაქრონიულ-ტიპოლოგიური მნიშვნელობა, – სპარსულის ჭრილისთვისაც და საერთოდ რთულ ზმნათა მორფოსინტაქსურ-ლექსიკოლოგიური ციკლების ზოგადი ტიპოლოგიისთვის.

### *ლიტერატურა*

*აბულყასემი 1997*: M. Abulqasemi, *Dasture tarixiye zabane farsi/The Historical Grammar of Persian Language*, Ed. Samt, Tehran (1375).

*ანდრონიკაშვილი, სახოკია 1990*: მ. ანდრონიკაშვილი, მ. სახოკია, *აქემენიდების ძველი სპარსული ლურსმული წარწერები, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია*, რედ. გრ. გიორგაძე, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

*ანდრონიკაშვილი 1972*: M. K. Андроникашвили, *О сложных глаголах древнегрузинского языка и об их соотносительности с глагольными фразеологизмами*, Труды Самаркандского университета им. Алишера Навои. Вопросы фразеологии, ч. 2, 219, Самарканд, изд. САМГУ, 47-51.

*ბრანდენშტაინი, მაირჰოფერი 1964*: W. Brandenstein, M. Mayrhofer, *Handbuch des Altper sische*, ed. Otto Harrassowitz, Wiesbaden.

*ნათაძე 2008*: მ. ნათაძე, *რთული ზმნები საშუალო სპარსულ ენაში (უწინდებულ რთული ზმნები)*, დავით კობიძე 100, საიუბილეო კრებული, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 132-137.

*კენტი 1956*: R. Kent, *Old Persian*, New Haven.

*რუბინჩიკი 1981*: Ю.А. Рубинчик, *Основы фразеологии персидского языка*, Изд. ВЛ, Москва.

*რუბინჩიკი 1983*: Ю.А. Рубинчик, *Грамматический очерк персидского языка. Персидско-русский словарь 2тт.*, АН-ИВ, Изд. Русский язык, Москва.

*რუბინჩიკი 1983*: *Персидско-русский словарь 2тт.*, (ред. Рубинчик Ю.А. АН-ИВ, Изд. Русский язык, Москва.

*რუბინჩიკი 1980*: Ю.А. Рубинчик, *Определение объема фразеологии и вопросы включения фразеологизмов в словари персидского языка, Иранское языкознание*, Ежегодник, Изд. ВЛ, Москва, 190-197.

- სახოკია 1985:** М. М. Сахокия, *Посессивность, переходность и эргативность*, Изд. Мецниереба, АН Грузии, ИВ, Тбилиси.
- სახოკია 1972:** М.М. Сахокия, *О сложных глаголах в древнеперсидском языке и их отнесенности к слову*, Труды Самаркандского университета им. Алишера Навои, Вопросы фразеологии, ч.2,219, Изд. САМГУ, Самарканд, 41-47.
- სახოკია 1979:** М.М. Сахокия, *К вопросу образования и классификации сложных глаголов в древнеперсидском языке, მაცნე, ელს, 1*, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 111-118.
- სახოკია 1998:** მ. სახოკია, *დიაქრონიული ტიპოლოგია მორფოსინტაქსში: ინდოევროპული/ქართველური, სადოქტორი დისერტაცია და ავტორეფერატი*, თბილისი, თსუ გამომცემლობა; М. М. Сахокия, *Диакроническая типология в морфосинтаксисе индоевропейских и картвельских языков, Автореф. докт. дисс.*, Изд. ТГУ, Тбилиси.
- სახოკია 2007:** მ. სახოკია, *შრომები*, გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი.
- სახოკია 2012:** მ. სახოკია, *აქემენიდთა ძველსპარსული წარწერები, თარგმანი ძველსპარსულიდან მათ სახოკიასი*, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი.
- სახოკია 2013:** მ. სახოკია, *ახალი რთული ზმნები ძველ სპარსულში, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, VII, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 42-59, 287-288.
- სპარსულ-ქართული ლექსიკონი 2008/2016:** სპარსულ-ქართული დიდი აკადემიური ლექსიკონი (დამუშავების პროცესში), რუსთაველის ფონდისა და შემდგომ ილიუნის უნივერსიტეტის სამეცნიერო პროექტები, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ხელმძღვანელი მ. სახოკია თბილისი.
- შერვო 2005:** P. O. Skaervo, *Old Persian*, B. Kitzinger Press, Munich.
- შმიტი 1980:** R. Schmitt, *Zwei unpubliesierte Bruchstuke der Trontrager – Beischriften des Artaxerxes Grabes*, Wien.
- შმიტი 1981:** R. Schmitt, *Altpersische Siegel-Inschriften*, Wien.
- ОИЯ 1979:** *Основы иранского языкознания, Среднеиранские языки*, Изд. Наука, Москва.
- ОИЯ 1981:** *Основы иранского языкознания, Древнеиранские языки*, Изд. Наука, Москва.

*Maia Sakhokia*

## **Towards the Typology of Compound Verb Cyclic Paradigms**

### Summary

Summary Earlier I have made a scheme of Old Persian Compound Verbs-CV (Sakhokia 1972, 1979, 1985, 2012). Of course, the previous works have also been considered here (Z. Telegdi, G. Lazard, N. Sims-Williams, etc.). The main CV-groups have been coordinated with Modern Persian CV models and Phrasal Verbs (PhV)/phraseologisms, according to J. Rubinchik's schemes, in retrospective range.

These Old Persian CV-groups were represented earlier (see above). The grammatical and semantic features of these Op CV/PhV include/comprise the actives, the passives, the affectives, the paronomasias, etc. Such OP CVs/PhVs are the prototypes of the New Persian CVs/PhVs, together with the auxiliaries (kardan, šodan, bordan, budan/hastan, forsidan/ xāstan, goftan/xāndan, tavānestan, etc.). In this work I would like to represent some newly discovered Old Persian CVs/PhVs. These data are presented in this article in detail (see above: the list of data; cf. the list of data in: Sakhokia 2012 too). A doubtful/problematic fact is denoted by a question mark; separate units are represented by such a linguistic form as textual context. Some new auxiliaries and new groups have also been revealed, but they must be discussed more precisely. In my opinion, CVs/PhVs with the verb *cartanaiy-kar* are clearly codified. Not all of these units are of equal strength/austerity. The degree of grammaticalization and lexicalization, as well as different CV-groups or PhVs must be studied and defined in the light of the diachronic space/range, in correspondence general linguistic (lexical and structural) rules. However, I believe that, first of all, they must be correspond to the CV/PhV schemes established for Modern Persian. J. Rubinchik's system will be used as an initial point (cp. Also: Moqaddam, Vidrin, etc.). Based on this, I will be able to reveal the OP prototypes of Modern Persian data. On the other hand, in this case the Modern Persian data can serve as the basis for defining certain word combinations mentioned above.

Are some of them just contextual combinations (phrasemes), or all these examples are somehow Phrasal Verb/the Compound Verb units? This question must be answered as clearly as possible. These conclusions are actually connected with the peculiarities of pragmatic semantics of Old Persian Inscription texts too. One conclusion is obvious in all the cases: the dynamics of formation of multiple Compound Verbs and Phrasal Verbs functioning in New (Classical and Modern) Persian starts from Old Persian Texts.

## ბიოსემიოტიკა

როგორც ცნობილია, სემიოტიკა – მეცნიერება ნიშანთა სისტემების სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესახებ – წარმოიშვა XX საუკუნის დასაწყისში ორი დამოუკიდებელი წყაროდან: ჩ. ს. პერსისა და ფ. დე სოსიურის სემიოტიკური თეორიებიდან. თავიდანვე საყოველთაო გავრცელება სოსიურის ლინგვისტიკაზე ორიენტირებულმა მოდელმა პოვა, რომელიც ძირითადად ვერბალურ ნიშნებს იკვლევდა. მოგვიანებით სემიოტიკის კვლევის არეალი გაიზარდა და კულტურის არავერბალური მხარეებიც მოიცვა – ფერწერა, არქიტექტურა, მუსიკა, მოდა და ა.შ. დროთა განმავლობაში აღიარება მოიპოვა ასევე პერსის ნიშნის თეორიამ. საბოლოოდ კი ჩამოყალიბდა ნიშნის ორი კონცეფცია: უნილატერალიზმი, რომელიც ეყრდნობა პერსის ნიშნის ტრადიულ მოდელს და ამტკიცებს, რომ ნიშნის არსებობისთვის საკმარისია მხოლოდ მისი ერთ-ერთი მხარე – მატერიალური (გამოხატულების პლანი) ან იდეალური (შინაარსის პლანი), და სოსიურის სემიოტიკაზე დაფუძნებული ბილატერალიზმი, რაც გულისხმობს გამოსახულებისა და შინაარსის პლანის ერთობას, რომლებიც იმყოფებიან ურთიერთტრანსცენდენტურ მდგომარეობაში, ანუ მათი გადაყვანა ერთიმეორეში შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ უნილატერალისტური კონცეფციის მიხედვით, არ არსებობს ნიშნისა და არა-ნიშნის დაპირისპირება და ყოველი ობიექტი სამყაროში არის ნიშანი.

იმთავითვე სემიოტიკოსები ცდილობდნენ, პასუხი გაეცათ კითხვებისთვის: რა არის ნიშანი? როგორ ხდება ნიშანთა წარმოქმნა? არის თუ არა სემიოზისის პროცესი დაკავშირებული მხოლოდ ადამიანის გონებასთან? თუ არა, მაშინ ბიოლოგიური სისტემის რომელ დონემდე შეიძლება ვივარაუდოთ სემიოტიკური მიმართებების არსებობა და რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სემიოტიკური/არა-სემიოტიკურის დისტინქციას ბუნებაში?

გასაგებია, რომ მხოლოდ ლინგვისტური სემიოტიკის ფარგლებში მსგავსი საკითხების გადაჭრა შეუძლებელია. XX ს-ის 40-იანი წლებიდან მოხდა ინფორმაციის თეორიისა და კიბერნეტიკის სემიოტიკასთან დაახლოება, რამაც სემიოტიკურ ანალიზს ზუსტი მეთოდები შეჰმატა. მაგრამ კიბერნეტიკული კონცეფცია განიხილავს სიგნალებს (signals) – ინფორმაციის მატარებელ ერთეულებს მათი კონტექსტებისა და ფუნქციებისაგან დამოუკიდებლად, მაშინ როდესაც სემიოტიკა შეისწავლის ნიშნებს (signs), რომელთა მნიშვნელობა კონტექსტურადაა განპირობებული იმ რთული სისტემების სპეციფიკით, რომლებშიც ხდება ამ ნიშნებით ოპერირება. სიგნალის ინტერპრეტაცია მხოლოდ ერთი განსაზღვრული საშუალებითაა შესაძლებელი, ხოლო ნიშანი სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს გაგებული. ანუ სემიოტიკური მიდგომა გულისხმობს ჰოლისტურ შეხედულებას, რომლის

თანახმად, ცალკეულ მოვლენებსა და ობიექტებს მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ როგორც მთლიანობის ნაწილებს. კიბერნეტიკასა და ინფორმაციის თეორიაში ამგვარი დამოკიდებულების გადატანის შედეგად შესაძლებელი გახდა კომპიუტერული მეცნიერებებისა და ხელოვნური ინტელექტის შექმნაზე მომუშავე დისციპლინების ჩამოყალიბება.

XX საუკუნის 60-იან წლებში მოხდა სემიოტიკის დაახლოება კიდევ ერთ მეცნიერულ სფეროსთან – თეორიულ ბიოლოგიასთან. საქმე ისაა, რომ ბიოლოგიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ნათელი გახდა ცოცხალ სისტემებში მიმდინარე პროცესების მხოლოდ ფიზიკისა და ქიმიის კონცეპტუალური აპარატის მეშვეობით აღწერის არასაკმარისობა. ამ მდგომარეობამ გამოიწვია ბიოლოგიურ ნაშრომებში ინფორმაციის თეორიიდან ნასესხები ტერმინოლოგიის აქტიური გამოყენება: კოდი, ინფორმაცია, შეტყობინება, უკუქცევითი კავშირი (feedback) და სხვა. ყოველივე ეს გახდა ახალი ინტერდისციპლინული მიმდინარეობის – ბიოსემიოტიკის – წარმოქმნის მიზეზი. ბიოსემიოტიკის კიდევ ერთი წყაროა სისტემების ზოგადი თეორია, ვინაიდან დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად მტკიცდება მოსაზრება, რომლის თანახმადაც განსხვავებული წარმოშობისა და თვისებების მქონე სისტემებს გააჩნიათ აგებულების, განვითარების, ქცევისა და ევოლუციის მსგავსი მოდელები. ამგვარი მიდგომა იძლევა არსებითად განსხვავებული მოვლენების ერთმეორესთან დაკავშირებისა და მათი საერთო კანონზომიერებების დანახვის საშუალებას.

უნდა ითქვას, რომ მეცნიერების ისტორიაში ყოველთვის იყო ბუნებისა და მასში მიმდინარე პროცესების კულტურულ ფენომენებთან მეტაფორულად დაკავშირების მცდელობა. მაგალითად, შუა საუკუნეებში ბუნებას აღიქვამდნენ როგორც ღვთის მიერ იღუმალ ენაზე დაწერილ წიგნს, რომლის მნიშვნელობა მხოლოდ რჩეულებს ესმით. მოგვიანებით, უკვე XX საუკუნეში, სოსიურის ლინგვისტური თეორიის გავრცელების შემდეგ, შენიშნეს ბუნებისა და ბუნებრივი ენის სტრუქტურული ანალოგიურობა. მეტყველების ფონოლოგიური სტრუქტურისა და გენეტიკური კოდის მსგავსებას აღნიშნავდა რ. იაკობსონი. შემდგომში ეს ანალოგია უფრო გაღრმავდა და ჩამოყალიბდა ბუნების მოდელი „სიცოცხლე – ენა“, რომელიც ხაზს უსვამს ორგანული ბუნებისა და ენის სტრუქტურების იზომორფიზმს. კომპიუტერული მეცნიერებებისა და ხელოვნური ინტელექტის თეორიასთან ერთად გაჩნდა ახალი მეტაფორა – სიცოცხლე როგორც მაღალი დონის ენაზე დაწერილი პროგრამა, რომელიც შეიცავს მემკვიდრეობით ინფორმაციას და შემდეგ ითარგმნება უჯრედის „მანქანურ“ ენაზე. ამ მიდგომის ფარგლებში ბიოლოგიური სტრუქტურა წარმოჩენილია როგორც კომუნიკაციური პროცესი.

ბუნებისა და ენის მეტაფორული დაკავშირება ძირითადად სოსიურის სემიოტიკას ეყრდნობოდა, რომელიც აგებულია ნიშნის დიქოტომიურ პრინციპზე – აღსანიშნისა და აღმნიშვნელის დაპირისპირებაზე. მაგრამ ეს მიდგომა გამოუსადეგარი აღმოჩნდა ბიოლოგიური მოვლენების მოდელირებისთვის, რადგან იგი არ ითვალისწინებს ნიშნის მომხმარებელს. ეს უკმარობა გადალახულია ნიშნის პერსი-

სეულ მოდელში. პერსის თანახმად, ნიშანი მხოლოდ მაშინაა ნამდვილი, როდესაც იგი აღქმული და ინტერპრეტირებულია. თავისთავად იგი არ შეიცავს არანაირ მნიშვნელობას, თუკი ეს მნიშვნელობა მას ნიშნის მომხმარებელმა არ მიანიჭა, ამიტომ ნიშნის სტრუქტურა აუცილებლად უნდა მოიცავდეს არა ორ, არამედ სამ კომპონენტს. ესენია: რეპრეზენტამენი (ნიშნის სხეული), ობიექტი (გარესამყაროს აღნიშნული ფენომენის იდეა) და ინტერპრეტანტი (თავდაპირველი იდეის მეტ-ნაკლებად შესაბამისი ახალი ცნება, რომელსაც ნიშნის მომხმარებელი, ინტერპრეტატორი ქმნის თავის გონებაში). პერსი მიიჩნევდა, რომ ინტერპრეტაციის პროცესი არ მოითხოვს მაინცდამაინც გონიერ ცნობიერებას, ინტერპრეტატორი შესაძლოა იყოს ცხოველი, მცენარე, კრისტალი – ორგანული ან არაორგანული სამყაროს ნებისმიერი ობიექტი.

სწორედ პერსის სემიოტიკის პრინციპითაა (თუმცა მისგან სრულებით დამოუკიდებლად) აგებული გერმანულ-ესტონელი ბიოლოგის, იაკობ ფონ იქსკულის,<sup>1</sup> ბიოლოგიური თეორია. იქსკულის კონცეფციით, ბიოლოგია ორგანიზმებს უნდა განიხილავდეს არა როგორც შესწავლის ობიექტებს, არამედ როგორც აქტიურ სუბიექტებს, რომლებსაც გააჩნიათ გარემოსთან ურთიერთობის მიზნობრივი უნარები. ცხოველთა სამყაროში მიმდინარე პროცესების ახლებურად გააზრება უკავშირდება იქსკულის მიერ შემოღებულ ცნებას – უმველტს (Umwelt – გერმ. „გარე სამყარო“), რომელიც აღნიშნავს ცოცხალი ორგანიზმის მიერ სუბიექტურად აღქმულ და ინტერპრეტირებულ გარემოს. მისი წარმოდგენით, უმველტი საანის ბუშტივით გარს აკრავს ყოველ ინდივიდს. იგი შედგება მხოლოდ ისეთი კომპონენტებისგან – ნიშნებისგან, რომლებსაც აქვთ რაიმე მეტ-ნაკლებად ფუნქციონალური მნიშვნელობა ინდივიდისთვის (მაგ., საკვები, წყალი, თავშესაფარი, მტერი და სხვა). შეიძლება ითქვას, რომ უმველტი ორგანიზმისთვის არის სამყაროს სემიოტიკური მოდელი, რომელსაც იგი თვითონ ქმნის და ცვლის არასუბიექტურ გარემოსთან (Umgebung – გერმ. „გარემო“) ურთიერთობის პროცესში.

იქსკულის თეორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნებაა „ფუნქციონალური წრე“ (Funktionskreis, Functional Circle), რომელიც აღწერს სუბიექტისა და სამყაროს ურთიერთქმედებას. არსებობს სუბიექტის პერცეფციული სამყარო (Merkwelt, Merk – გერმ. „ნიშანი“), რომელშიც შედის ყოველივე, რაც აღქმულია მის მიერ როგორც მნიშვნელოვანი და საჭირო; როდესაც სუბიექტი იწყებს მოქმედებას გარესამყაროში, მისი ზემოქმედების არე (Wirkwelt, wirken – გერმ. „მოქმედება“) იცვლება ინდივიდის შინაგანი განწყობის შესაბამისად. შემდეგ ეს შეცვლილი სამყარო ისევ ხდება სუბიექტის მიერ პერცეფციის საგანი. ასე იკვრება აღქმისა და მოქმედების ციკლი, რომელიც მხოლოდ ინდივიდის სიკვდილის შემთხვევაში ირღვევა.

საკუთარი შეხედულებები მეცნიერმა გადმოსცა ნაშრომებში “Umwelt und Innenwelt der Tiere” (1909), “Bausteine zu einer biologischen Weltanschauung”

<sup>1</sup> Jakob von Uexküll, 1864-1944.



(1913), “Theoretische Biologie” (1920), “Bedeutungslehre” (1940) და სხვები. 1926 წელს მან ჰამბურგის უნივერსიტეტში დააარსა Institut für Umweltforschung, სადაც შეისწავლიდნენ ცხოველებსა და მათ უმველტებს. იქსკულის მოღვაწეობის პერიოდში მისმა კონცეფციამ ვერ პოვა ფართო გავრცელება და დავიწყებას მიეცა, მაგრამ XX საუკუნის 60-იან წლებში მისი ნაშრომები ხელახლა იქნა აღმოჩენილი. დღესდღეობით იქსკული ითვლება ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის, ეთოლოგიის, ბიოკიბერნეტიკის ერთ-ერთ დამაარსებლად.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბიოლოგიაში წარმოიქმნა მრავალი ახალი დარგი: ზოოფსიქოლოგია, ეთოლოგია (მეცნიერება ცხოველების ქცევის შესახებ), ეკოლოგია, მოლეკულარული ბიოლოგია, გენეტიკა, უჯრედის ბიოლოგია, ნეირობიოლოგია. ამ დისციპლინების ფარგლებში განხორციელებულმა კვლევებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მხოლოდ ფიზიკური და ქიმიური მიდგომები ვერ ხსნის ურთულესი ბიოლოგიური სისტემების ქცევისა და ურთიერთობის მექანიზმებს. საჭირო იყო ახალი მიდგომა, რომელიც გაითვალისწინებდა ცოცხალ ბუნებაში მიმდინარე პროცესების ინფორმაციულ, კომუნიკაციურ ხასიათს.

ყოველივე ამან გამოიწვია ბიოლოგიისა და სემიოტიკის დაახლოება. პირველად ტერმინი „ბიოსემიოტიკა“ გამოიყენა ებრაელმა ფსიქიატრმა, ფსიქოლოგმა, ნეიროლოგმა ფრიდრიჰ სალომონ როტშილდმა<sup>2</sup> 1962 წელს. დაახლოებით ამ პერიოდს მიეკუთვნება ასევე ამერიკელი ლინგვისტისა და სემიოტიკოსის, თომას სებუოკის,<sup>3</sup> ნაშრომები ზოოსემიოტიკის შესახებ. სებუოკის აზრით, ცხოველების მიერ გამოყენებული ნიშნები წარმოიქმნება მათი ნერვული სისტემის მიერ, ისევე როგორც ეს ადამიანების შემთხვევაში ხდება. მოგვიანებით გერმანელმა სემიოტიკოსმა, მარტინ კრამპენმა,<sup>4</sup> დააარსა ფიტოსემიოტიკა, ვინაიდან გაირკვა, რომ ნიშანთა ინტერპრეტაცია არ მოითხოვს აუცილებლად ნერვულ სისტემას. გამოვლინდა ასევე ორგანიზმის შიგნით, უჯრედის დონეზე და უჯრედებს შორის მიმდინარე პროცესების სემიოტიკური ხასიათი, რამაც გამოიწვია მათი მექანიზმების ხელახალი გააზრება.

დიდი წვლილი ბიოსემიოტიკის ჩამოყალიბებაში შეიტანა იქსკულის ვაჟიშვილმა, ბიოსემიოტიკოსმა, მედიკოსმა, ფსიქოლოგმა თურე ფონ იქსკულმა,<sup>5</sup> რომელმაც მოახდინა მამის ნაშუქელების სემიოტიკური ინტერპრეტაცია. მან განავითარა უმველტის თეორია და მიუსადაგა იგი ფსიქოსომატური მედიცინის პრობლემატიკას. მან ასევე ჩამოაყალიბა ბუნებრივი დონეების სემიოტიკური თეორია, რომელიც მოიცავს უჯრედს („სემიოტიკური ატომი“, ყველაზე დაბალი დონე), ვეგეტაციურ სემიოზისს (ფიტოსემიოტიკა), ცხოველთა სემიოზისს (ზოოსემიოტიკა) და ადამიანების ნიშანთა სისტემებს (ანთროპოსემიოტიკა).

<sup>2</sup> Friedrich Salomon Rothschild, 1899-1995.

<sup>3</sup> Thomas A. Sebeok, 1920-2001.

<sup>4</sup> Martin Krampen 1928-

<sup>5</sup> Thure von Uexküll, 1908-2004.

პირველი ბიოსემიოტიკური კონფერენცია „ბიოლოგია და ენა“ 1978 წელს ჩატარდა ტარტუში, ხოლო 2001 წლიდან კოპენჰაგენისა და ტარტუს უნივერსიტეტების ბიოსემიოტიკური ჯგუფები ატარებენ ყოველწლიურ კონფერენციას Gatherings in Biosemiotics. ამ დროიდანვე რეგულარულად გამოდის ბიოსემიოტიკისადმი მიძღვნილი პერიოდული გამოცემები, ნაშრომები, სახელმძღვანელოები. 2005 წ. დაარსდა ბიოსემიოტიკის შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოება. ამ მიმართულებით მუშაობს მრავალი მეცნიერი: კალევი კული (ესტონეთი), იესპერ ჰოფმაიერი, კლაუს ემეხი (დანია), ალექსეი შაროვი, ჯონ დილი, ტერენს დიკონი, ჰოვარდ პატი (აშშ), მარჩელო ბარბიერი (იტალია), მარტინ კრამპენი (გერმანია), სერგეი ჩებანოვი, ალექსანდრე სედოვი (რუსეთი) და სხვები.

დღესდღეობით გამოიყოფა ბიოსემიოტიკის ორი ძირითადი განხრა – ენდოსემიოტიკა, რომელიც შეისწავლის ორგანიზმის შიგნით მიმდინარე სემიოზისის პროცესებს, და ეგზოსემიოტიკა, რომლის ყურადღების ცენტრშია სემიოზისის პროცესები ორგანიზმებს შორის. ეგზოსემიოტიკა, თავის მხრივ, იყოფა ზოოსემიოტიკად (სემიოზისი ცხოველურ ორგანიზმებში) და ფიტოსემიოტიკად (სემიოზისი მცენარეულ სამყაროში). ზოგიერთი ბიოსემიოტიკოსი მიიჩნევს, რომ აქვე უნდა შედიოდეს ანთროპოსემიოტიკა (სემიოზისი ადამიანების საზოგადოებაში), ხოლო სემიოტიკა ტრადიციული გაგებით, როგორც ადამიანის მიერ წარმოქმნილი ნიშანთა სისტემების შემსწავლელი მეცნიერება, უნდა გახდეს ბიოსემიოტიკის ნაწილი. განარჩევენ ასევე ვერტიკალურ სემიოზისს (მომავალ თაობებთან კომუნიკაცია მემკვიდრეობითი ინფორმაციის გადაცემის გზით) და ჰორიზონტალურ სემიოზისს (დროის ერთ მონაკვეთში არსებულ ორგანიზმთა შორის კომუნიკაცია).

ამრიგად, ბიოსემიოტიკა წარმოადგენს რთული სისტემების სტრუქტურების, ფუნქციონირებისა და ევოლუციის შემსწავლელ ზოგად მეცნიერებას, რომელიც აერთიანებს ბიოლოგიური, ჰუმანიტარული და ტექნიკური სფეროების დარგებს.

ბიოსემიოტიკური მიდგომით, ცოცხალი ორგანიზმი არის კომუნიკაციური სისტემების მრავალდონიანი თვითორგანიზებადი ქაოსური იერარაქია. სიცოცხლის ყოველ დონეზე არსებობს სემიოზისი და მნიშვნელობა. ყოველი ორგანიზმი ცხოვრობს ნიშნებით სავსე სამყაროში, ვინაიდან ყოველივე, რასაც იგი აღიქვამს და შეიგრძნობს, მისთვის მნიშვნელობითაა სავსე. მნიშვნელობისა და კომუნიკაციის სამყარო შეადგენს სემიოსფეროს. ყოველი პოპულაცია ქმნის ვიზუალურ, აკუსტიკურ, ყნოსვით, ტაქტილურ ან ქიმიურ ნიშნებს და ამის მეშვეობით საერთო სემიოსფეროში იკავებს გარკვეულ სემიოტიკურ ნიშას. ცალკეული ორგანიზმის მიერ წარმოქმნილი და აღქმული ნიშნები წარმოადგენენ მის უმველტს, ხოლო პოპულაციის ნიშანთა ერთობლიობა – „კოლექტიურ უმველტს“ (swarm's umwelt; swarm – გუნდი, მასა, ზროვა). ამ თვალსაზრისით, თვითონ ორგანიზმიც განიხილება როგორც კოლექტიური უმველტი, ვინაიდან ნებისმიერი ორგანიზმის წარმატებული მოქმედება დამოკიდებულია მისი ნაწილების შეთანხმებულ მოქმედებაზე, ანუ იმაზე, თუ რამდენად წარმატებულად მიმდინარეობენ სემიოტიკური პროცესები მის შიგნით, უჯრედის დონიდან დაწყებული და ცალკეული ორგანო-

ებით დამთავრებული. ხოლო როდესაც სემიოტიკური მექანიზმი „ფუჭდება“, ორგანიზმს უჩნდება პრობლემები ეფექტურად ფუნქციონირებაში. სწორედ ამ კუთხით განიხილება ბიოსემიოტიკაში ავადმყოფობა.

სემიოსფეროში წარმატებული მოქმედება და გადარჩენა დამოკიდებულია ორგანიზმის მიერ ნიშანთა აღქმისა და წარმოქმნის მექანიზმების სირთულესა და სრულყოფილებაზე. ბიოსემიოტიკის ერთ-ერთი თეზისის მიხედვით, სულ უფრო რთულ ნიშანთა სისტემების გამომუშავების აუცილებლობა შესაძლოა განიხილებოდეს ევოლუციის ძირითად მამოძრავებელ ძალად. ამიტომ ბიოსემიოტიკოსები მიიჩნევენ, რომ უნდა მოხდეს ცოცხალ სისტემებში ნებისმიერ დონეზე მიმდინარე ყველა პროცესის ხელახალი გაანალიზება და კონცეპტუალიზება სემიოტიკური თვალსაზრისით.

**სიცოცხლის ბიოსემიოტიკური ინტერპრეტაცია ვერდნობა შემდეგ პოსტულატებს:**

**I. ცოცხალ და არაცოცხალ სისტემებს შორის განსხვავება უტოლდება სემიოტიკურისა და არასემიოტიკურის დისტინქციას**

ის საკითხი, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ცოცხალ მატერიალად და რა – არა, ჯერაც გაცხარებულ კამათს იწვევს ბიოლოგებს შორის. ბიოსემიოტიკოსები მიიჩნევენ, რომ ცოცხალია ის სისტემა, რომელშიც მიმდინარეობს სემიოზის პროცესი. პერსის განსაზღვრებით, ნიშანი მხოლოდ მაშინაა ნამდვილი (proper sign), როდესაც იგი აღქმული და ინტერპრეტირებულია, ამიტომ ნიშანთა წარმოქმნა იწყება ინტერპრეტატორების, ანუ პირველი ცოცხალი ორგანიზმების, წარმოშობასთან ერთად. მაგრამ რა შეიძლება ჩაითვალოს ნიშნების ინტერპრეტაციად? სემიოტიკოსების აზრით, ამის ყველაზე მარტივი მაგალითია თვითწარმოქმნის (self-production), თვითრეპროდუქციის (self-reproduction) უნარი, რადგან თვითრეპროდუქციული სისტემა წარმოქმნის საკუთარ თავს და განსაზღვრავს მის იდენტურობას, რაც აუცილებლად გულისხმობს თვითრეფერენციას (self-reference) – თვითაღწერის, თვითმიმართების უნარს. ამ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ სისტემა თვითონაა ნიშნის მატარებელიც და ინტერპრეტატორიც, მას გააჩნია ინფორმაცია საკუთარი ორგანიზმის ფუნქციონირების, გამრავლებისა და განვითარების შესახებ და ამ სასარგებლო ინფორმაციის მომავალი თაობებისთვის გადაცემის უნარიც.

ამერიკელმა ფიზიკოსმა ჰოვარდ პატიმ<sup>6</sup> ამგვარ მდგომარეობას სემანტიკური კრული (semantic closure) უწოდა, რომელიც განსაზღვრა როგორც კრული მიმართება ორგანიზმის მატერიალური ასპექტების ფიზიკურ კანონებსა და სიმბოლური ასპექტების სინტაქტიკურ წესებს შორის. ამ მიმართებას პატი აკავშირებს მატერიისა და გონების ფილოსოფიურ დაპირისპირებასთან. ორგანიზმის მატერია და სტრუქტურა ექვემდებარება ფიზიკურ კანონებს, მაგრამ მისი სიმბოლური მხარე (რომელსაც პატი განსაზღვრავს როგორც მნიშვნელობის ან სემანტიკური ფუნქცი-

<sup>6</sup> Howard Pattee, 1926-.

ის მქონე შედარებით მარტივ მატერიალურ სტრუქტურას) შეუძლებელია აიღწე-  
როს ფიზიკის მეთოდებით. ამავე დროს, ყოველი ორგანიზმი იმართება და მრავ-  
ლდება სიმბოლური გენეტიკური კოდის მეშვეობით – მატერიას ესაჭიროება სიმ-  
ბოლური გამოსახულება, რათა გადასცეს თავისი სტრუქტურა სხვა მატერიას, და  
ამ სიმბოლური გამოსახულების შინაარსი და ფუნქცია არ განისაზღვრება მისი  
ფიზიკური აგებულებით ან ქიმიური შემადგენლობით. ამრიგად, მატერიალური და  
სიმბოლური ასპექტები იმყოფებიან კომპლემენტარული ურთიერთმიმართების  
მდგომარეობაში, რაც წარმოადგენს აუცილებელ პირობას თვითორგანიზებული  
სისტემების წარმოქმნისა და შედგომა განვითარებისთვის. პატის აზრით, მხოლოდ  
სემანტიკურად კრული, ანუ ფიზიკური და სიმბოლური, სტრუქტურული და ფუნ-  
ქციონალური მხარეების მქონე სისტემა შეიძლება ჩაითვალოს ავტონომიურ ცოცხ-  
ალ სისტემად და მხოლოდ მას შეიძლება გააჩნდეს ევოლუციური პოტენციალი.

სემანტიკური კრულის კონცეფცია ახლოსაა ჩილეელი მეცნიერების უმბერტო  
მატურანასა<sup>7</sup> და ფრანსისკო ვარელას<sup>8</sup> მიერ 1972 წელს შემოტანილ ცნებასთან  
„ავტოპოიეზისი“ (αὐτὸς – თვითონ, ποιήσις – შექმნა), რაც აღნიშნავს ცოც-  
ხალი არსებების თვითწარმოქმნას. ეს ცნება უპირისპირდება „ალპოიეზისს“ –  
საკუთარი თავისგან განსხვავებული რამის შექმნას.

თვითწარმოქმნის პროცესს შეიძლება დავაკვირდეთ არაცოცხალ ბუნებაშიც,  
მაგ., ცეცხლის ალი სანთელში ან კრისტალი. თუმცა, ზოგი ბიოლოგის აზრით,  
იმის მიხედვით, თუ როგორ განვსაზღვრავთ სიცოცხლეს, ცეცხლი და კრისტა-  
ლი შეიძლება მივიჩნიოთ პრიმიტიულ ცოცხალ სისტემებად.

პირველი უმარტივესი ცოცხალი სისტემები შემდეგი თვისებებით ხასიათდება:

- 1) ნიშნები არ არიან განცალკევებულნი ინტერპრეტატორებისგან – ეს არის  
თვითრეფერენციის ძირითადი მახვენებელი. სხვა საქმეა, რომ ორგანიზმის  
ზოგმა ნაწილმა შეიძლება შეასრულოს ძირითადად ნიშნის ფუნქცია, ზოგმა  
კი – ინტერპრეტატორის. ასე, დნმ-ის მოლეკულები წარმოადგენენ ნიშნებს,  
ხოლო რიბოსომები – მათ ინტერპრეტატორებს;
- 2) ნიშნის ინტერპრეტაცია ხდება მოქმედებით, და არა კონცეპტის წარმოქმნით  
– გარე ობიექტზე მარტივი სისტემები რეაგირებენ მოქმედებით. მაგ., როდესაც  
თვითრეპროდუქციული პოლიმერი ეხება მონომერს, იგი იერთებს მას, თა-  
ნაც ამგვარი ინკორპორაცია სელექციურია, რაც წარმოადგენს აღქმის ერთ-  
ერთ ფორმას. უფრო რთულ სისტემებში აღქმა და მოქმედება განცალკევებუ-  
ლია, ასე, ცხოველი საკვების მიღებამდე სინჯავს მას;
- 3) ნიშნების ამოცნობა არ არის განცალკევებული მათი გამოყენებისგან;
- 4) არ არსებობს უფრო დაბალი დონის შინაგანი კომუნიკაციური პროცესები.

ამრიგად, ბიოსემიოტიკა სიცოცხლის წარმოშობას აკავშირებს კომუნიკაცი-  
ისა და სემიოზისის წარმოქმნასთან. მაგრამ, ამავე დროს, რაიმე მკვეთრი საზღვა-

<sup>7</sup> Humberto R. Maturana, 1928-.

<sup>8</sup> Francisco Varela, 1946-2001.

რი ცოცხალსა და არაცოცხალს შორის გავლებული არ არის. სანაცვლოდ სემიოტიკოსები ლაპარაკობენ სასაზღვრო არეზე, ზოლზე, რომლის ქვემოთაც სემიოზისი არ მიმდინარეობს, ხოლო მის ზემოთ არსებობს სემიოზისის (და შესაბამისად, სიცოცხლის) მზარდი ღონეები. ამ არეს „სემიოტიკური ზღურბლი“ (semiotic threshold) ეწოდება.

## II. სემიოზისის ცნება განუყოფლადა დაკავშირებული ღირებულების (value), ამოცნობის (recognition), კატეგორიზაციის (categorization) ცნებებთან

ღირებულების ცნება ბიოლოგიაში შემოიღებინა ინგლისელმა ბიოლოგმა, გენეტიკოსმა, თანამედროვე სტატისტიკის დამაარსებელმა რონალდ ფიშერმა<sup>9</sup>, რომელმაც ორგანიზმის ღირებულება განსაზღვრა როგორც მისი წვლილი მთელი პოპულაციის ზრდაში. რაც უფრო მეტია ორგანიზმის რეპროდუქციული შესაძლებლობები, მით უფრო მაღალია მისი ღირებულება. ასე, კვერცხის რეპროდუქციული ღირებულება უფრო დაბალია, ვიდრე ქათმის, რადგან ზრდასრულ ქათამს შეუძლია წარმოშვას მრავალი კვერცხი, ხოლო კვერცხს სჭირდება დრო, რათა ზრდასრულ ინდივიდად ჩამოყალიბდეს. ღირებულებასთან მიმართებაში თვითწარმოქმნა ნიშნავს ღირებულების ზრდას. ამგვარად, გზა კვერცხიდან ზრდასრულ ფრინველამდე წარმოადგენს თვითწარმოქმნის პროცესს, რადგან მის შედეგად იზრდება ინდივიდის რეპროდუქციული ღირებულება.

პრაგმატული მიდგომის თანახმად, პრაქტიკული შედეგი მიჩნეულია მნიშვნელობისა და ჭეშმარიტების კრიტერიუმად. იქსკულმა ნიშანი დააკავშირა სარგებლობის (usefulness) ცნებასთან: ყოველივე, რაც სასარგებლოა ორგანიზმისთვის, მისთვის არის ნიშანი. ალექსეი შაროვმა ივარაუდა, რომ ნიშნის ან მოქმედების ღირებულება შეიძლება განისაზღვროს მისი წვლილით სისტემის გადარჩენასა და რეპროდუქციაში. ღირებულება შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. ეს უკანასკნელი არ არის ნორმალური, რადგან იწვევს სისტემის დაზიანებას. ამიტომ, თუ ნიშანს ხშირად აქვს უარყოფითი ღირებულება, ორგანიზმი უბრალოდ აღარ იყენებს მას.

ნიშნის ამოცნობა შეიძლება განისაზღვროს როგორც სისტემის უნარი ობიექტის ღირებულების (ანუ სარგებლიანობის) შეფასებისა და მისი ღირებულების შესაბამისად გამოყენებისა. ეს პროცესი შესაძლებელი ხდება ერთგვარი მენსიერების არსებობის შემთხვევაში, ანუ სისტემამ უნდა იცოდეს ნიშნის მნიშვნელობა, რათა გამოიყენოს ან უარყოს იგი. ამრიგად, მნიშვნელობას გააჩნია უნივერსალური სტატუსი ცოცხალ სისტემებში. ამგვარი მიდგომა ასევე დამახასიათებელია უ. მატურანას კოგნიტიური თეორიისთვის, რომლის თანახმად, ყველა ცოცხალი სისტემა, ნერვული სისტემის ქონა/ უქონლობისგან დამოუკიდებლად, წარმოადგენს კოგნიტიურ სისტემას, ხოლო სიცოცხლე განისაზღვრება როგორც კოგნიციის პროცესი.

<sup>9</sup> Ronald Fisher, 1890-1962.

ყოველივე ეს გასაგები და მისაღებია ადამიანის ან მაღალი განვითარების დონის მქონე ცხოველთან მიმართებაში, მაგრამ რას ნიშნავს „ღირებულება“ ან „ამოცნობა“ უმარტივესი ორგანიზმების შემთხვევაში? შესაძლოა წარმოვიდგინოთ შემდეგი სიტუაცია: გარემოს გარკვეული ცვლილება იწვევს რეპროდუქციის მაღალი სისწრაფის მქონე სისტემების გადარჩენას და რეპროდუქციის დაბალი სისწრაფის მქონე სისტემების დაღუპვას. ასეთ შემთხვევაში გარემოს ფაქტორი წარმოვიდგება ობიექტად, რომელიც სისტემის მიერ ამოცნობის და ინტერპრეტირების შედეგად იძენს გარკვეულ მნიშვნელობას (ინტერპრეტანტი), რაც აისახება სისტემის ქცევაში – იგი იწყებს ფუნქციონირებას ამ ფაქტორის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს გამრავლების სისწრაფის ზრდა. ამრიგად, გარემოს ფაქტორი იძენს გარკვეულ ღირებულებას სისტემისთვის, რომელიც ამოიცნობს მას და იწყებს შესაბამისად რეაგირებას. საბოლოო ჯამში, სისტემას უყალიბდება გარემოსთან ურთიერთობის გარკვეული წესები, ან, იქსკულის თქმით, ჰიპოთეზების ნაკრები, რომელიც წარმოდგენილია კოდირებული, სიმბოლური სახით (რეპრეზენტამენი).

შემდგომში კოდირებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია ვერტიკალური სემიოზისის მეშვეობით ხდება მომდევნო თაობებში, რომლებიც ამ გზით იღებენ შეტყობინებას გადარჩენის, განვითარებისა და რეპროდუქციის მექანიზმების შესახებ. ის ცოცხალი სისტემები, რომლებსაც არ გააჩნიათ სპეციალიზებული გენეტიკური სტრუქტურა, თვითონ განიხილებიან როგორც შეტყობინება, ანუ ნიშანი.

ამოცნობასთან ერთად ჩნდება კატეგორიზაციის პროცესი. როდესაც ორი ან რამდენიმე სისტემა იწყებს ურთიერთობას, ადგილი აქვს ურთიერთამოცნობას (reciprocal recognition), რაც იწვევს დისკრეტული სისტემების ფორმირებას. დისკრეტიზაცია კი, თავის მხრივ, ნიშნავს კატეგორიზაციას – ინდივიდუალურად განსხვავებულ ობიექტთა ერთსა და იმავე კატეგორიაში გაერთიანებას. პერსის ტერმინოლოგიით, ეს არის ფუნქციონალურად მსგავსი ნიშნების (tokens) ზოგად ტიპში (type) გაერთიანება. ნიშანთა კატეგორიზაცია იწვევს მათით აღნიშნული ობიექტების კატეგორიზაციას და – პირიქით. საბოლოოდ, კომუნიკაციის პროცესში წარმოქმნილი ეს უნარი ნებას აძლევს ორგანიზმს, გამოიმუშაოს მოქმედების სანიმუშო, ტიპური მოდელების სასრული რაოდენობა.

ამრიგად, ისეთი ცნებები, როგორცაა „ღირებულება“, „ამოცნობა“, „მნიშვნელობა“, „კატეგორიზაცია“ სემიოზისის საფუძველს წარმოადგენენ, თვითონ სემიოზისი კი – სასიცოცხლო პროცესების დასაბამს.

### **III. კატეგორიზაციის პირდაპირი შედეგია კოდირების მექანიზმის წარმოქმნა**

კოდი შეიძლება განისაზღვროს როგორც კონვენციური შესატყვისობა ორი განსხვავებული სფეროს ელემენტებს შორის. პერსის მიხედვით, კოდირების პროცესში ინტერპრეტანტი ამყარებს კავშირს ობიექტსა და რეპრეზენტამენს შორის. ამ შესატყვისობის დედუცირება შეუძლებელია ელემენტების ფიზიკური ან ქიმიური თვისებებიდან. ბიოსემიოტიკური თვალსაზრისით, ღმ-ის სტრუქტურა თავის-

თავად არ წარმოადგენს კოდს, მაშინ როდესაც შესატყვისობა დნმ-ის ნუკლეოტიდურ ტრიპლეტებსა და ცილაში ამინომჟავების რიგს შორის არის ნამდვილი კოდი – გენეტიკური კოდი.

დნმ-ის მოქმედების მექანიზმი სემიოტიკურ ჭრილში შემდეგნაირად გამოიყურება:

დნმ-ში კოდირებული ინფორმაცია გადაიწერება რნმ-ის მოლეკულაში. ამ პროცესს ტრანსკრიფცია ეწოდება. შემდეგ კი რნმ-ის მატრიცაზე ხდება ცილების სინთეზი – ამას ტრანსლაციას უწოდებენ. სახეზეა ტრიალული მიმართება რეპრეზენტაქენს (გენის ქიმიური სტრუქტურა), ობიექტს (ცილაში ამინომჟავების თანმიმდევრობა) და ინტერპრეტანტს (უჯრედის ბიოქიმიური ქსელი) შორის.

ალსანიშნავია, რომ თვითონ დნმ არ შეიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს მისი „წაკითხვა“. მას არ გააჩნია გასაღები საკუთარი თავის ინტერპრეტაციისთვის. ამიტომ თუ ინტერპრეტაცია იცვლება, იცვლება გენის მნიშვნელობაც და, შესაბამისად, განსხვავებული იქნება სინთეზირებული ცილის შემადგენლობაც.

ამრიგად, გენეტიკური მექანიზმი წარმოგვიდგება როგორც წმინდა სემიოტიკური მიმართება. სემიოტიკური თვალთახედვით, გენი მხოლოდ მაშინაა სრულყოფილი ნიშანი, როდესაც იგი ინტერპრეტირებულია, და ამ შემთხვევაში იგი არის სიმბოლო, ხოლო როდესაც იგი არაა ინტერპრეტირებული, იგი წარმოადგენს გადაგვარებულ, პოტენციურ ნიშანს – ინდექსს.

ინფორმაციის თეორიაში განასხვავებენ კოდირების ორ ძირითად სახეობას – ანალოგურსა და ციფრულს (analog and digital codes). ანალოგური კოდი დამყარებულია უწყვეტი ელექტრონული სიგნალების მსგავსებაზე მათივე სახით წარმოდგენილ საწყის სიგნალებთან. კოდირების ამ საშუალების დროს, გადამტან სიგნალში არსებული ინფორმაციის რაოდენობა უდრის საწყისი სიგნალის ინფორმაციის რაოდენობას, იგი არ შეიცავს სიჭარბეს. ციფრული კოდის შემადგენელი ელექტრონული სიგნალები კი დისკრეტულ მდგომარეობაში იმყოფებიან, ხოლო თვითონ კოდში შეტანილია სიჭარბე, რაც იცავს მას დამახინჯებისგან.

დანიელი ბიოსემიოტიკოსების, კ. ემეხისა<sup>10</sup> და ი. ოფმაიერის,<sup>11</sup> თანახმად, ცოცხალ სისტემებში კომუნიკაცია ხორციელდება ორივე სახეობის კოდის გამოყენებით. ასე, დნმ-ის სიმბოლური კოდი ციფრულია, ცოცხალი ორგანიზმისა – ანალოგური. რეპროდუქციის პროცესში ანალოგური კოდი გადადის ციფრულში, ხოლო ინდივიდუალური განვითარების დროს პირიქით – ციფრული კოდი გადადის ანალოგურში. ამრიგად, ვერტიკალური სემიოზის ორგანიზმები ახორციელებენ ციფრული კოდის მეშვეობით და ჰორიზონტალურ სივრცეში კი ისინი არსებობენ როგორც ანალოგურად კოდირებულნი. ამ პრინციპმა კოდის დუალობის (code-duality) სახელწოდება მიიღო.

<sup>10</sup> Claus Emmeche, 1956-.

<sup>11</sup> Jesper Hoffmeyer, 1942-.

როგორც ვხედავთ, კომუნიკაცია და სიცოცხლე წარმოადგენენ ურთიერთგანპირობებულ პროცესებს, რომლებსაც საფუძველში უდევთ გამრავლებისა და შენარჩუნებისთვის საჭირო ინფორმაციის გადაცემის აუცილებლობა.

#### **IV. ეკოლუციური განვითარების მომდევნო საფეხურია რამდენიმე მარტივი სისტემის გაერთიანება და ახალი იერარქიული დონეების წარმოქმნა**

ამ პროცესს „მეტასისტემური გადასვლა“ (metasystem transition) ეწოდა. ეს ცნება დაამკვიდრა ამერიკაში მოღვაწე რუსმა ფიზიკოსმა და კიბერნეტიკოსმა, ვალენტინ ტურჩინმა (1931-2010). მისი თეორიის მიხედვით, ნებისმიერ რთულ სისტემას, რომელიც წარმოიშობა ეკოლუციის პროცესში, უნდა გააჩნდეს იერარქიული ორგანიზაცია. რამდენიმე ელემენტის ნაერთისგან ბუნება ირჩევს ყველაზე სასარგებლო კომბინაციას, შემდეგ ხდება მისი დუბლირება, გამრავლება და სხვა ამგვარ ელემენტებთან შეერთება. ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია იერარქიის ჩამოყალიბება, რადგან, ტურჩინის თანახმად, რთული სისტემა (ბუნებრივიც და ხელოვნურიც) მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზებულად, როდესაც დაფუძნებულია რაიმე იერარქიაზე.

მეტასისტემურ გადასვლასთან აკავშირებენ სიცოცხლის წარმოშობას – ერთუჯრედიანი ორგანიზმიდან მრავალუჯრედიანი ორგანიზმის ჩამოყალიბებას. ქვესისტემების ინტეგრირება უფრო დიდ სისტემაში ორი მიმართულებით ხდება: ჰომოგენური კოოპერაციის დროს ერთიანდება რამდენიმე იდენტური ორგანიზმი (შემდგომში შესაძლოა მოხდეს მათი დიფერენციაცია, მაგალითად, უჯრედები მრავალუჯრედიან ორგანიზმში ან ჭიანჭველების დაყოფა კასტებად), ხოლო ჰეტეროგანული კოოპერაცია, ანუ სიმბიოზისი, გულისხმობს რამდენიმე განსხვავებული სისტემის გაერთიანებას, რომლის წევრებიც ასიმეტრიულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, ვინაიდან მათი ფუნქციები თავიდანვე განსხვავებულია. ასე, ფუთქურები წარმოადგენენ ობისა და წყალმცენარეებისგან შემდგარ სიმბიოზურ ორგანიზმებს, ეუკარიოტული უჯრედი – რამდენიმე ტიპის პროკარიოტული უჯრედიდან შემდგარ წარმონაქმნს და ა.შ.

როდესაც ხდება ორი ან რამდენიმე სისტემის გაერთიანება, ისინი იწყებენ თანამშრომლობას – ერთიმეორისთვის რესურსების გამოძეუშავებას. რესურსები კი წარმოადგენენ ნიშნებს. ამრიგად, იქმნება ჰიპერციკლები შინაგანი სემიოტიკური მიმართებებითა და კომუნიკაციით. ამასთან ყოველი ქვესისტემა ახდენს ორმაგ ინტერპრეტაციას – თავისი თავის და სხვა ქვესისტემის მიერ წარმოქმნილი ნიშნებისას. პირველ შემთხვევაში ხდება ლოკალური ინტერპრეტაცია, მეორე შემთხვევაში – გლობალური. მეტასისტემის იერარქიული სტრუქტურა განაპირობებს ღირებულებების, მნიშვნელობების, კონცეპტების იერარქიას. განვითარების დაბალ დონეზე ეს ცნებები უდრის მოქმედებას. რაც უფრო რთულდება სისტემა, მით უფრო მეტადაა კონცეპტუალური სისტემა განვითარებული და მოქმედებას დაშორებული. განვითარების უმაღლეს საფეხურზე კი ჩვენ ვხედავთ ადამიანის ენას და კულტურას, რომლებიც გამოირჩევიან აბსტრაქციის მაღალი ხარისხით.



## V. ევოლუციის ბიოსემიოტიკური ხედვა განსხვავდება ტრადიციული ნეოდარვინისტული მოდელისგან

ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ევოლუციური ცვლილებები გამოწვეულია ცალკეული გენების შემთხვევითი მუტაციებით. ბიოსემიოტიკური კონცეფცია კი ტელეოლოგიურ და ჰოლისტურ ხასიათს ატარებს: მის თანახმად, ბიოლოგიური ობიექტის სტრუქტურა განპირობებულია მისი ფუნქციით, და არა პირიქით. ევოლუციური პროცესი შედეგისკენაა მიმართული და ემსახურება ამა თუ იმ საჭიროებისთვის აუცილებელი ფუნქციონალური ფორმების წარმოქმნას. ამ კუთხით, ცოცხალი სისტემა სწორედ იმით განსხვავდება არაცოცხალისგან, რომ მას შეუძლია მოერგოს (fit) მისთვის სასარგებლო ფორმას და დაიმანჯვროს იგი (ბიოლოგიაში ამ პროცესს აღწერენ ტერმინით „ადაპტაცია“), ხოლო არაცოცხალ სისტემას არ გააჩნია საკუთარი თავის გაუმჯობესების მექანიზმი.

სემიოტიკოსების აზრით, ევოლუციური ცვალებადობა არის სემიოზისის ერთ-ერთი გამოვლინება, რადგან გენომიც და გარემოც წარმოადგენენ ორგანიზმის მიერ ინტერპრეტაციის ობიექტს, ანუ ნიშნებს. მათი „წაკითხვა“ სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ინტერპრეტაციის გზები დამოკიდებულია ორგანიზმის ტიპზე. ამრიგად, აღმოჩნდა, რომ ადამიანსა და საფუარს (ერთუჯრედიანი სოკოვანი ორგანიზმი) ზოგიერთი გენი ერთნაირი აქვთ, მაგრამ ისინი განსხვავებულად ვლინდებიან, რადგან განსხვავებულად არიან ინტერპრეტირებულნი. ამავე დროს, გარემოში არსებული ნიშნებიც ასევე განსხვავებულადაა აღქმული სხვადასხვა ორგანიზმის მიერ.

თუ კლასიკურ ბიოლოგიაში ევოლუცია ნიშნავს სულ უფრო მეტად რთული და განვითარებული სტრუქტურების წარმოქმნას, სემიოტიკური თვალსაზრისით ევოლუცია შეიძლება დახასიათდეს როგორც „სემიოტიკური თავისუფლების“, ანუ ნიშნის, ინფორმაციის ინტერპრეტაციის ვარიანტების მრავლობითობის ზრდა, ხოლო სტრუქტურული და ორგანიზაციული სირთულე განიხილება როგორც ამ პროცესის გვერდითი მოვლენა. ინგლისელი და ამერიკელი ანთროპოლოგის, ლინგვისტის, სემიოტიკოსისა და კიბერნეტიკოსის, გრეგორი ბეთსონის<sup>12</sup> თქმით, სწორედ ინფორმაცია არის ის „განსხვავება, რომელიც ქმნის განსხვავებულობას“ (“a difference which makes a difference”).

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ბიოსემიოტიკოსები ხაზს უსვამენ ევოლუციის კლასიკური დარვინისტული მოდელისა და ბიოსემიოტიკური კონცეფციის დამატებითობას.

ამრიგად, ბიოსემიოტიკის თვალსაზრისით, ცოცხალი ბუნება წარმოადგენს სხვადასხვა სირთულის ნიშანთა სისტემების ერთობლიობას. გამოყოფენ ნიშანთა სისტემების ოთხ ჯგუფს: ნიშანთა უჯრედული სისტემა (სემიოზისი უჯრედის შიგნით), ნიშანთა ვეგეტაციური სისტემა (ქსოვილთა შორის კავშირი მრავალუჯრედიან ორგანიზმში), ცხოველების ნიშანთა სისტემა (სენსორულ-ნერვულ-კუნ-

<sup>12</sup> Gregory Bateson, 1904-1980.

თოვანი სისტემები, რომლებიც პასუხს აგებენ მოძრავი ცოცხალი ორგანიზმების ქცევაზე) და ენობრივი ნიშანთა სისტემები (სიმბოლური ნიშნები).

სემიოტიკის, როგორც მეცნიერების, არსებობა დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ სრულებით განსხვავებული ნიშანთა სისტემები და მათი ელემენტები ავლენენ ფუნდამენტურ მსგავსებას როგორც სისტემური ორგანიზაციის, ასევე განვითარების მხრივ. ამიტომ ცოცხალ ბუნებაში მიმდინარე სემიოტიკური პროცესების შესწავლა პირდაპირ კავშირშია ადამიანების საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური თუ კულტურული მოვლენების შესწავლასთან, ანუ სხვა ცოცხალი ორგანიზმების უკეთ გაგება ადამიანს დაეხმარება საკუთარი თავის შემეცნებაში.

### ლიტერატურა

- A. B. Седов, *Этюды био-логики*, <http://www.proza.ru/2008/04/18/507>.
- В. Ф. Турчин, *Феномен науки: Кибернетический подход к эволюции*, изд. 2-е, Москва, ЭТС, 2000.
- M. Barbieri, *A Short History of Biosemiotics*, *Biosemiotics* (2009) 2:221–245.
- T. Deacon, C. Emmeche, J. Hoffmeyer, K. Kull, F. Stjernfelt, *Theses on Biosemiotics: Prolegomena to a Theoretical Biology*, *Biological Theory* 4(2) 2009, pp.167-173.
- C. Emmeche, J. Hoffmeyer, *From Language to Nature – the Semiotic Metaphor in Biology*, *Semiotica* 84 (1/2): 1-42, 1991.
- J. Hoffmeyer, *Biosemiotics: Towards a New Synthesis in Biology*, *European Journal for Semiotic Studies*, vol. 9 No. 2, pp. 355-376.
- J. Hoffmeyer, K. Kull, *Thure von Uexkull 1908-2004*, *Sign Systems Studies* 33.2, 2005, pp.487-494.
- K. Kull, *Biosemiotics in the Twentieth Century: A View from Biology*, *Semiotica* vol. 127 (1/4), pp. 385-414 (1999).
- K. Kull, *Biosemiotics: To Know, What Life Knows*, *Cybernetics and Human Knowing*, Vol. 16, nos. 1-2.
- K. Kull, *Jakob von Uexkull: An Introduction*, *Semiotica* vol. 134 (1/4), 2001.
- K. Kull, *On Semiosis, Umwelt and Semiosphere*, *Semiotica* vol.120 (3/4), 1998, pp.299-310.
- K. Kull, *Semiotics is a Theory of Life*, *Semiotics 2003*: “Semiotics and National Identity”, pp. 15-31.
- K. Kull, C. Emmeche, D. Favareau, *Biosemiotic Questions*, *Biosemiotics* (2008) 1: 41-55.
- K. Kull, T. Tiivel, *Lectures in Theoretical Biology: The Second Stage*, Estonian Academy of Sciences, Tallin 1993.
- A. Sharov, *Semiosis in Self-Producing Systems*, <http://home.comcast.net/~sharov/biosem/txt/casys99.html>
- A. Sharov, *The Origin and Evolution of Signs*, <http://home.comcast.net/~sharov/biosem/txt/origsign.html>

*მასალები საიტებიდან*

<http://www.biosemiotics.org/>

<http://www.zbi.ee/~uexkull/biosem.htm>

<http://www.zoosemiotics.helsinki.fi/>

<http://www.biosemiotica.ru/>

*Ketevan Dzidziguri*

## **Biosemiotics**

### Summary

This article is about a new science – biosemiotics, the history of its generation and its fundamentals. Biosemiotics was developed in the 1960s at the interface of theoretical biology and semiotics. It studies the structures, functioning and evolution of living complex systems. According to biosemiotics, the system is alive if the process of semiosis is going on in it, i.e. the process of sign production. The living system is a multilayered self-organized hierarchy of communicating subsystems, the survival and successful functioning of which depend on the valid perception and interpretation of semiotic processes going on in the outer world and inside the system. More complex and advanced organisms have more complete and perfect sign perception/production mechanisms. The development of these mechanisms is considered as a main driving force of evolution of living nature. The unity of signs produced by living systems constitutes the semiosphere. Every species occupies its own place in the semiosphere, the so-called semiotic niche.

There are two main branches of biosemiotics: endosemiotics, which studies the semiotic processes inside the organism, and exosemiotics, which concentrates on the semiosis between organisms. Exosemiotics, on its part, is divided into zoosemiotics (semiosis in the animal world) and phytosemiotics (semiosis in the vegetable world). Some biosemioticians consider that anthroposemiotics (semiosis in human society) as well as traditional semiotics – the science of sign systems produced by human beings – should be a part of biosemiotics.

ქეთევან ჭილაია

## სივრცის ლინგვისტური სტრუქტურირება სკოლამდელი ასაკის ქართულ ბავშვებში

ენის დაუფლების პროცესი განიხილება, როგორც აბსტრაქტული გრამატიკული სტრუქტურებისა და მათი წესების წარმოქმნის ფლობის თანდაყოლილი უნარის გამოვლენა, რომელიც კონკრეტული, მშობლიური ენის შესატყვისი მეტყველების განვითარების სახით ეტაპობრივად რეალიზდება. რამდენადაც ენის დაუფლება არის ბავშვის თანდაყოლილი უნარი, შესაბამისად, ის თანდაყოლილი ენობრივი „ცოდნის“ აქტუალიზაციას გულისხმობს. ამგვარად ბავშვის ენობრივი განვითარება „შინაგანად“ არის განსაზღვრული. მეტყველება არა მხოლოდ ცოდნის დაუფლებისა და კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ ის ბავშვის ფსიქიკურ განვითარებასაც განაპირობებს. საგნების, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისა თუ ბუნების გაცნობისას ბავშვს უფართოვდება გონებრივი შესაძლებლობები, უვითარდება მეტყველება და უყალიბდება სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულება. ენა, ეს არ არის პირველი სისტემა, რომელიც განაპირობებს მის საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა, ერთი მხრივ, ენათმეცნიერების, კერძოდ ფსიქოლინგვისტიკის შესწავლის მნიშვნელოვანი ასპექტი – ბავშვის ენობრივი განვითარება; მეორე მხრივ კი, ქართულში სივრცის სტრუქტურირების ენობრივი მოდელების გამოვლენა, რადგანაც ქართული ენა მდიდარია სივრცის მასტრუქტურირებელი ენობრივი ელემენტებით – თანდებულებითა და ზმნისწინებით, რომლებიც გამოხატავენ მოქმედების ადგილს, მიმართულებასა და ორიენტაციას. სწორედ ამ ორი საკითხის შეჯერებით გამოიკვეთა ჩვენი **საკვლევი თემატიკაც** – ბავშვის მეტყველების განვითარება სივრცითი მიმართებების ენობრივი რეალიზაციების ათვისების თვალსაზრისით, და ჩამოყალიბდა **კვლევის მიზანიც** – სივრცის ლინგვისტური სტრუქტურირების ძირითადი მოდელების გამოვლენა სკოლამდელი ასაკის ქართველ ბავშვებში.

სივრცის ლინგვისტური სტრუქტურირების გასაანალიზებლად აქცენტი გაკეთდა არა საკომუნიკაციო, არამედ გეოგრაფიულ სივრცეზე. გეოგრაფიული სივრცე, როგორც წესი, სტრუქტურირდება გარკვეული აბსტრაქტული მიმართებების საფუძველზე, რომელთა წარმოსახვა დამოკიდებულია უშუალოდ კონკრეტულ სუბიექტურ თვალთახედვაზე. სავარაუდოდ, ამ ასპექტზე დაკვირვებით უკეთ წარმოჩნდება კონკრეტულ ცდისპირთა ინდივიდუალური თვალთახედვა და, შესაბამისად, საშუალება გვქვია, უკეთ დავაკვირდეთ ბავშვის აზროვნებისა და ენობრივი კომპეტენციის განვითარებას სივრცის სტრუქტურირების პროცესში – თუ როგორ იგებენ და წარმოქმნიან ისინი სიტუაციის შესაბამის ენობრივ გამონათქვამებს მეტყველებისას.

ზოგადად ფსიქოლოგიის, კერძოდ კი ბავშვის განვითარების განმსაზღვრელი ფსიქიკური პროცესების, კვლევის მთავარ მეთოდს დაკვირვება წარმოადგენს, მისი ქცევის შესასწავლად კი ყველაზე უფრო ხელსაყრელი მასალა მაშინ გვეძლევა, როდესაც ეს ბუნებრივ პირობებში ხდება. ამდენად, ექსპერიმენტი ჩავატარეთ საველე პირობებში ცდისპირებთან უშუალო კონტაქტისას ე.წ. „ბუნებრივი ექსპერიმენტის“ მეთოდის გამოყენებით და ამით თავიდან ავიცილეთ პასუხების ის წინასწარგანსაზღვრულობა, რომელიც ხელოვნური ექსპერიმენტის პირობებში ხშირად ხელს უშლის ინდივიდუალობისა და ბუნებრივად აქტუალიზებული მასალის მოპოვებას.

კვლევა ჩავატარეთ სპეციალურად ჩვენ მიერ შედგენილი, საკვლევად შერჩეულ თემაზე ორიენტირებული კითხვარებისა და თამაშის მსგავსი ინტერაქტიული საექსპერიმენტო ამოცანების გადაწყვეტის შედეგად მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით. გამოვიყენეთ ხერხი, რომელსაც ჟ. პიაჟემ ე.წ. „კლინიკური მეთოდი“ უწოდა (პიაჟე 1994).

თამაშის დროს კითხვებით მივმართავდით ინფორმანტებს, რომლებიც ბუნებრივად, თამაშისას წარმოთქვამდნენ გარკვეულ წინადადებებს თუ ფრაზებს. კითხვები და საექსპერიმენტო ამოცანები შედგენილი იყო იმგვარად, რომ მოგვეხდინა ბავშვების პასუხების ჩვენთვის საინტერესო მიმართულებით სტიმულირება.

საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, ექსპერიმენტის სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა სკოლამდელი ასაკის (4-6 წლის) 13 ბავშვი. იმისათვის, რომ ბავშვების პასუხების სტატისტიკურ ანალიზზე დაფუძნებული განზოგადებების სოციალური ღირებულება ყოფილიყო მიღწეული, გავითვალისწინეთ ჟ. პიაჟეს მიერ რეკომენდებული შემდეგი კრიტერიუმები (პიაჟე 1994):

- ერთი და იმავე ასაკის ბავშვთა გამოკითხვა;
- განვითარების მეტ-ნაკლებად ერთი დონის მქონე ბავშვთა გამოკითხვა;
- ერთი და იმავე შეხედულების დადასტურება დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ.

განვითარების მეტ-ნაკლებად ერთნაირი დონის მიღწევისთვის გამოირიცხა ე.წ. ინკლუზიური ბავშვები (გონებრივი განვითარების დონით როგორც თავიანთ ასაკთან შედარებით ჩამორჩენილი, ისე მაღალგანვითარებული, ე.წ. „უენდერკინდი“ ბავშვები). აგრეთვე შეირჩა ერთი და იმავე ეროვნების წარმომადგენლები, რათა კვლევის შედეგზე არ ემოქმედა მათ და/ან მათი მშობლების „ენობრივ კოდს“ და სააზროვნო, მშობლიური ენა ყველასათვის ერთი და იგივე ყოფილიყო.

ბავშვთა ასაკთან დაკავშირებული მოსალოდნელი სხვაობების გამო, ბავშვები შევარჩიეთ იმგვარად, რომ ნახევარი ინფორმანტებისა 4 წლის ყოფილიყო, მეორე ნახევარი კი 5 წლის. ასაკის განსაზღვრის ამოსავალ წერტილად მივიჩნიეთ ის, რომ ამ ასაკის ბავშვებს ჯერ არ აქვთ მიღებული სასკოლო სწავლებიდან გამომდინარე რაიმე ცოდნა და სივრცის სტრუქტურირებისას ისინი ყოველდღიურ, პირად, საყოფაცხოვრებო გამოცდილებას ემყარებიან. შეიძლება გაჩნდეს კითხვა – რატომ მაინცდამაინც 4-5 წლის და არა, ვთქვათ, 3 ან 6 წლის?

როგორც ცნობილია, ჟან პიაჟეს „განვითარების სტადიალური თეორიის“ მიხედვით, ბავშვთა განვითარება ორ ძირითად პერიოდად იყოფა (პიაჟე 1994):

- (1) სენსომეტრული **ინტელექტის სტადია**, როდესაც ბავშვი გარე გამლიზიანებლებს მხოლოდ გარკვეული მოტორული რეაქციებით პასუხობს და ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანი,
- (2) ოპერაციამდელი **განვითარების სტადია** (2-7 წლამდე), როდესაც ბავშვი რეალობის შესახებ კონკრეტული, ყოველდღიური გამოცდილებიდან მიღებული ინფორმაციის და შესაბამისად, კონკრეტული სიტუაციებიდან გამომდინარე ახორციელებს კონკრეტულ სამეტყველო ქმედებებს. ამ სტადიისათვის, თავის მხრივ, ორი პერიოდი გამოიყოფა: **ცნებამდელი აზროვნება** (2-4 წლამდე) და **ინტუიციური აზროვნება** (4-7 წლამდე).

ყველაფერს, რასაც აღვიქვამთ, იმთავითვე სადმე სივრცეში მიუჩინებ ხოლმე ადვილს და ეს არის ჩვენი აღქმის თანდაყოლილი თვისება. ამასთანავე, ბავშვის სხვა კითხვებს შორის კითხვები სივრცის შესახებ ადრეული ასაკიდანვე იჩენს თავს. მიუხედავად ამისა, 4 წელზე მცირეწლოვანი ბავშვები არ გამოგვადგებოდა ამ ექსპერიმენტისათვის, რადგანაც 2-3 წლის ასაკი წარმოადგენს ე.წ. ცნებამდელ აზროვნებას. ამ დროს ბავშვს უკვე შეუძლია სიტყვის გამოყენება, თუმცა ძირითადად მხოლოდ მაშინ, როდესაც ამის რაიმე პრაქტიკული საჭიროებაა. ექსპერიმენტის დაწყებამდე გამოიკითხა რამდენიმე 3 წლის ბავშვი, რომლებიც საკმაოდ გონივრულ პასუხებს იძლეოდნენ, თუმცა მხოლოდ ფრაგმენტულად და, ამდენად, ჩვენი კვლევისათვის საჭირო მასალის მოპოვება, მათი პასუხებიდან გამომდინარე, არაეფექტურად ჩავთვალეთ. მონაცემების ფართო სპექტრისა და პარალელების გამოყენების შესაძლებლობა, სიტუაციის შესაბამისად მოქმედება, რომლის დროსაც ბავშვები აზრებს ამყარებენ საკუთარ გამოცდილებაზე, ცნებების შემუშავება სწორედ 4 წლიდან იწყება და ეფუძნება ინტუიციური აზროვნების განვითარებას. ამდენად, ინფორმანტების ასაკის ქვედა ზღვარი განისაზღვრა 4 წლით. რაც შეეხება ზედა ზღვარს, 6 წლის ბავშვებისათვის ექსპერიმენტი მოსაწყენი და მარტივი აღმოჩნდა. ამ ორივე ფაქტორიდან გამომდინარე, არჩევანი სწორედ 4-6 წლამდე ასაკის ბავშვებით განისაზღვრა.

გავითვალისწინეთ ჟ. პიაჟეს მესამე რეკომენდაციაც – ერთი და იმავე შეხედულების დადასტურება დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ – და ძირითად ექსპერიმენტებს შორის ჩავრთეთ ერთი **დამატებითი ამოცანაც**: რომელიმე, მათთვის ნაცნობი, ზღაპრის თავისუფალი თხრობა. ამ დავალებამ, გარდა ბავშვების განტვირთვისა და ძირითადი დავალებისაგან ყურადღების გადატანისა, შესაძლებლობა მოგვცა, მოგვეპოვებინა დამატებითი მასალა და დაგვეფიქსირებინა, თუ როგორ იყენებენ ბავშვები თანდებულებსა თუ ზმნისწინებს არა უშუალოდ დასმულ კითხვებზე პასუხებისას, არამედ თავისუფალ, გაბმულ თხრობაში.

**პირველი საექსპერიმენტო ამოცანა**, რომელიც ორიენტირებული იყო, გამოგვეკვლინა, თუ როგორ აღიქვამენ და იგებენ ბავშვები სივრცის სტრუქტურირების ამსახველ გამონათქვამებს, მდგომარეობდა შემდეგში:

*ბავშვებს მიეწოდებოდათ წინასწარ შერჩეული წინადადებები, სადაც გამოყენებული იყო თანდებულები და ზმნისწინიანი ზმნური ფორმები, მათ კი უნდა განესახიერებინათ ამ წინადადების შესაბამისი მოქმედება თოჯინის (რომელსაც ბავშვებთან ერთად პირობითად დავარქვით „ბუბუ“) დახმარებით.*

**მეორე საექსპერიმენტო ამოცანა**, რომელიც პირველის „შებრუნებულ“ დავალებას გულისხმობდა, ორიენტირებული იყო, გამოგვევლინა, თუ რამდენად ადეკვატურად იყენებენ ბავშვები ზმნისწინებსა თუ თანდებულებს და წარმოქმნიან სიტუაციის შესაბამის ენობრივ გამონათქვამებს:

*ბავშვების თვალწინ „ვათამაშებლით“ იმავე თოჯინას, მათ კი ყოველი ცალკეული მოქმედების შემთხვევაში უნდა გადმოეცათ ვათამაშებელი მოქმედება შესაბამისი წინადადებით.*

კვლევის შედეგად გამოჩნდა, თუ როგორ გადადიან ოპერაციამდელი განვითარების სტადიაში მყოფი ბავშვები ე.წ. „ცნებადელი აზროვნებიდან“ – „ინტუიციურ აზროვნებაზე“, რაც წარმოადგენს შეგნებული მეტყველების დასაწყისს; როგორ ახერხებენ ისინი სივრცეში ორიენტირებას, როგორ აღიქვამენ სივრცით მიმართებებს და ძირითადად რა სახის შეცდომებს უშვებენ ისინი.

ბავშვების პასუხებს წარმოვადგენთ შესაბამისი ცხრილების სახით.

**ცხრილი 1.** პირველი ექსპერიმენტის მონაცემები

გვარი, სახელი (ასაკი)	ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი													
	ა	ჩამო	მი	მო	გადა	შე	გამო	წა	ზე	და	თან	დან	ში	კენ
ბუცხრიკიძე ნინი (4)	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
გაგუა იოანე (4)	+	+	-	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
გიუტაშვილი მარიამ (4)	-	+	+	+	-	+	-	+	+	+	+	+	+	+
დავითაია ელენე (4)	+	+	+	+	+	+	+	+	-	+	+	+	+	+
რამიშვილი ნიკოლოზ(4)	+	+	+	-	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
შავაძე ლუკა (4)	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
ჯანაშია ლიზი (4)	+	+	-	-	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
ბურღიაშვილი ლიკუნა (5)	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
თავართქილაძე რეზი (5)	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
ქურდოვანიძე კესო (5)	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
ჩაჩუა ნუცა (5)	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
ჯობავა ლიზი (5)	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
ჯობავა საბა (5)	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+

პირველი საექსპერიმენტო ამოცანის გადაწყვეტას ბავშვებმა ძირითადად კარგად გაართვეს თავი და „შეცდომები“ მათ მიერ განსახიერებულ სცენებში იყო უმნიშვნელო. აღსანიშნავია, რომ 5 წლის ბავშვებმა ზუსტად გაათამაშეს შეთავაზებული წინადადებების შესაბამისი სიტუაციები. შეუსაბამო მოქმედების რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა მხოლოდ 4 წლის ბავშვებში. ოთხმა მათგანმა აურია მოქმედების ორიენტაციის ამსახველი ზმნური ფორმები: *ძღის-ძღის*. პრობლემა გამოჩნდა *გადა-*, *გამო-*, *წა-*, და *ა-* ზმნისწინების შესაბამისი ქმედების წარმოდგენისასაც.

მეორე საექსპერიმენტო ამოცანამ კი, რომლის გადაწყვეტისას უნდა დაფიქსირებულიყო ბავშვების მიერ ამა თუ იმ ზმნისწინისა თუ თანდებულის გამოყენება, მოგვცა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალა, რომელმაც ასახა სივრცის სტრუქტურირებისას სკოლამდელი ასაკის ბავშვების თავისებური კომპეტენციები.

**ცხრილი 2.** მეორე ექსპერიმენტის მონაცემები.<sup>1</sup>

წინადადება	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
ბუბუ <i>ა</i> -ვიდა მაგიდაზე	ა-	ა-	ა-	<u>ა-</u> <b>ღის</b>	ა-	ა-	ა-	ა-	ა-	ა-	ა-	ა-	ა-
ბუბუ <i>ჩამო</i> -ვიდა მაგიდიდან	ჩამო-	ჩამო-	ჩა-	ჩამო-	ჩა-	ჩამო-	ჩამო-	ჩამო-	ჩამო-	ჩა-	ჩამო-	ჩამო-	ჩამო-
ბუბუ <i>მი</i> -ღის მაგიდისკენ	მი-	მი-	მი-	და-	და-	მი-	<u>მი</u> - <b>ვა</b>	მი-	და-	მი-	მი-	მი-	მი-
ბუბუ <i>მო</i> -ღის სახლში	მი-	მი-	მი-	ეკან შიდის	მი-	მი-	მი-	მი-	მი-	მი-	მი-	მი-	მი-
ბუბუ <i>შე</i> -ვიდა სახლში	შე-	შე-	<u>შე</u> - <b>ღის</b>	შე-	<u>შე</u> - <b>ღის</b>	შე-	<u>შე</u> - <b>ღიო</b> <b>და</b>	<u>შე</u> - <b>ღის</b>	შე-	შე-	შე-	შე-	შე-
ბუბუ <i>გამო</i> -ვიდა სახლიდან	გამო-	გამო-	გამო-	გამო-	გამო-	ამო-	გა-	გამო-	გამო-	გა-	გამო-	გამო-	გამო-
ბუბუ <i>წა</i> -ვიდა	მი-	წა-	წა-	წა-	<u>მი</u> - <b>ღის</b>	<u>და</u> - <b>ღიო</b> <b>და</b>	<u>მი</u> - <b>ღიო</b> <b>და</b>	წა-	წა-	წა-	წა-	წა-	წა-
ბუბუ <i>გადა</i> -ხტა	გადა	გადა	გადა	გადა	<u>და</u> - <b>ხტის</b>	გადა	გადა	გადა	გადა	გადა	გადა	და-	გადა
ბუბუ მიღის <i>ფანჯრის-</i> <i>კენ</i>	კენ	კენ	კენ	კენ	კენ	კენ	კენ	კენ	კენ	კენ	კენ	კენ	კენ

<sup>1</sup> ცხრილში ბავშვები გადანაწინებულნი არიან ნომრების მიხედვით (იხ. ნომრები პირველ ცხრილში).



წინადადება	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
ბუბუ მივიდა ფანჯარას-თან	თან	კენ	თან	თან	თან	კენ	თან	თან	თან	თან	თან	თან	თან
ბუბუ გამოვიდა სახლი-დან	დან	დან	დან	დან	დან	დან	დან	დან	დან	დან	დან	დან	დან
ბუბუ არის ოთახ-ში	ში	ში	ში	ში	ში	ში	ში	ში	ში	ში	ში	ში	ში
ბუბუ ზის სკამ-ზე	ზე	ზე	ზე	ზე	ზე	ზე	ზე	ზე	ზე	ზე	ზე	ზე	ზე

თანდებულების მეტყველებაში გამოყენების თვალსაზრისით, ამ ექსპერიმენტის დროსაც ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა. მხოლოდ ორმა ინფორმანტმა გამოიყენა არამესაბამისად -თან თანდებული და მის ნაცვლად სიტუაციის გადმოსაცემად გამოიყენა -კენ თანდებული. საინტერესო იყო 4 წლის ლუკა შავაძის პასუხი, რომელმაც *სკამზე ზის* სიტუაცია მოულოდნელად აღწერა წინადადებით: *სკამში ზის*. როდესაც დავინტერესდით, თუ რატომ გამოიყენა მან ეს ფორმა, *ბუბუ ხომ სკამზე ზის-შეთქი*, გაკვირვებულმა ლუკამ მიპასუხა: *ნახე, რამხელა სკამია! ძოლიანად დაეტია და იმიტომ; ფეხებიც დაეტია და იმიტომ!*

ბავშვების უმრავლესობა ერთმანეთში ურევდა *მი-* და *მო-* ზმნისწინიან ფორმებს. 13-დან 8 ბავშვმა *მდის* ნაცვლად გამოიყენა ზმნური ფორმა *მოდის*, ერთმა მათგანმა კი, 4 წლის ელენე დავითაიამ, როდესაც თოჯინა მაგიდისაკენ მიმყავდა, სწორედ გამოიყენა ზმნური ფორმა *მდის*, მაგრამ როდესაც ბუბუ საპირისპირო მიმართულებით წამოვიყვანე, შემხედა და მოსალოდნელი *მოდის* ზმნური ფორმის ნაცვლად, იმისათვის რომ განსხვავებული მიმართულება დაეფიქსირებინა, საკმაოდ გონებამახილური ფორმა გამოიყენა: *ახლა მდის უკან-ო*.

მოპოვებული მასალა საინტერესო აღმოჩნდა დროის გარკვეული ფორმების ხმარების თვალსაზრისითაც. *რა ქნა?* კითხვაზე პასუხად ბავშვების ნაწილი თავის თხრობისას იყენებდა არა მოსალოდნელ *წა-ზმნისწინიანი* ზმნური ფორმის ადეკვატურ დროს – *წყვეტილს*, მაგ.: *წავიდა*, არამედ *უწყვეტელს*, მაგ.: *დადიოდა/მიდიოდა* ან აწმყოს ფორმებს, მაგალითად, *დადის*. ამგვარ „შეცდომებს“ გარკვეული ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები განაპირობებენ:

ექსპერიმენტის საკვანძო კითხვის დასმა – *რა ქნა ბუბუმ?* – არ ხდებოდა სისტემატურად, რათა ხელი არ შეგვეშალა „ბუბუს თავგადასავლის“ უწყვეტი აღწერისათვის. ბავშვები ორიენტირებულნი იყვნენ, გადმოეცათ ენობრივი გამონათქვამებით „ბუბუს მოგზაურობა“, მისი მოძრაობა და, ამ პროცესში გართულებს, მათ ნაწილს, სავარაუდოდ, თავდაპირველად დასმული კითხვა: *რა ქნა?* საერთოდ გადაავიწყდათ და ისინი ბუნებრივად გადავიდნენ მათ თვალწინ მიმდინარე სიტუაციის აღწერაზე ლოგიკურად მოსალოდნელი აწმყოსა და/ან უსრული ასპექტის ფორმებით. გამომდინარე იქიდან, რომ ქართულში ზმნისწინს, გარდა

მოქმედების ორიენტაციის და მიმართულების ჩვენებისა, აქვს დროისა და ასპექტის განმასხვავებელი ფუნქცია, აწმყო დროში კი ქართული ენა სრულიად ლოგიკურად გამოორიცხავს სრული ასპექტის ფორმებს, რომელიც ფორმალურად გამოიხატება ზმნისწინებით, ისინი დადგენ დილემის წინაშე, თუ რა როგორ ეთქვათ. მათი ნაწილი ინტუიციურად გადადიოდა აწმყოზე და, შესაბამისად, ან საერთოდ არ იყენებდა მიმართულების მაჩვენებელ ზმნისწინებს ან, აწმყო დროიდან გამომდინარე, წა- ზმნისწინის ნაცვლად, რომელიც აწმყოში არ იხმარება, სულ სხვა ზმნისწინით (ძირითადად, და-ზმნისწინით, რომელიც არ გამოხატავს მიმართულებას) გადმოსცემდა შესაბამის სივრცით მიმართებას. როდესაც მოთხოვნილება, დაეფიქსირებინათ მოქმედების მიმართულება, რომელიმე ბავშვისათვის განსაკუთრებით აქტუალური იყო, ისინი სიტუაციას აღწერდნენ მომავალ დროში ან წვევტილში.

მართალია, ეს საკითხი (ანუ, დროისა და ზმნისწინების მიმართება) ჩვენი კვლევის უშუალო ინტერესს არ წარმოადგენდა, ჩვენ შევეჩვენეთ ამ პრობლემას – როგორ გადმოვცეთ სივრცითი მიმართებები ნარატივებში, რაც ყველაზე ბუნებრივად აწმყო დროში თხრობას გულისხმობს? საზოგადოდ, ზმნისწინებისა და დროის ურთიერთმიმართების საკითხი ქართულ ენაში ერთ-ერთი საინტერესო თემაა, რომელიც სათანადო კვლევას მოითხოვს.

მესამე საქსპერიმენტო ამოცანა, რომელიც გამიზნული იყო ბავშვების ყურადღების გადასატანად თუ განსატვირთად და პირველსა და მეორე ექსპერიმენტს შორის ტარდებოდა, შემდეგია:

*ბავშვებს ვთხოვდით, მოეთხროთ მათთვის ნაცნობი რაიმე ამბავი, ზღაპარი ან ისტორია.*

13 ბავშვიდან 11-მა აირჩია „კომბლე“, 3-მა კი წითელქუდა. გაბმული თხრობისას ბავშვები ხშირად იყენებდნენ თანდებულებს, ძირითადად ადეკვატურად, ხოლო რაც შეეხება ზმნისწინებს, უმეტეს ინფორმანტთა თხრობაში დომინირებდა წა- და მე- ზმნისწინები, რომელთა გამოყენება, ასევე, ადეკვატური იყო, თუმცა იყვნენ გამონაკლისი ბავშვებიც, რომლებმაც გარდა ამ ორი ზმნისწინისა სხვა ზმნისწინები თუ თანდებულები საკმაოდ უხვად მოიხმარეს. მაგ: *კომბლე წა-ვიდა მგლის ბუნავისა-კენ; გზა-ზე მე-ხვდა; ჭერ-ში აწყობდა; თუ ვინმე გააბრაზებდა, ჩამო-იღებდა და თავ-ში ჩა-სცხებდა, მი-ვიდა მელიას-თან და სხვა.*

დაბოლოს, სკოლამდელი ასაკის ბავშვების მცირე საპილოტე ჯგუფზე დაკვირვებისა და ამ ჯგუფის მიერ სპეციალურად მომზადებული საქსპერიმენტო ამოცანების გადაწყვეტის შედეგად მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგები შეიძლება განვაზოგადოთ და შემდეგი დასკვნების სახით ჩამოვაყალიბოთ:

- *სივრცის სტრუქტურირებისას გამოვლენილი პრობლემები უფრო გამოკვეთილად ჩანს 4 წლის ასაკის ბავშვებში; ეს სწორედ ის ასაკია, როდესაც ბავშვი, ჯერ კიდევ ოპერაციამდელი განვითარების სტადიაში მყოფი, ცნებამდე-*

ლი აზროვნებიდან გადადის ინტუიციურ აზროვნებაზე (5 წლის ბავშვებს ეს ზღვარი უკვე გადალახული აქვთ და შესაბამისად „შეცლომებიც“ მათთან ნაკლებია).

- როგორც 4, ისე 5 წლის ასაკის ბავშვებს უფრო მეტად უადვილდებათ სივრცული მიმართების ამსახველი წინადადებების აღქმა და გაგება, ვიდრე სიტუაციის შესაბამისი ენობრივი გამონათქვამების წარმოქმნა და გამოყენება.
- „შეცლომები“ არ არის გაპირობებული ბავშვის სქესით და გოგონებისა და ბიჭების შეტყვევების განვითარება თითქმის ერთნაირად მიმდინარეობს: 9 გოგოდან 5-მა დაუშვა „შეცლომა“, 5 ბიჭიდან კი 3-მა.
- განვითარების ოპერაციამდელ სტადიაში მყოფ ბავშვებს უჭირთ ორიენტაციის განსხვავება და მი-: მო- ოპოზიციის ფუნქციების გამოჯენა მათთვის პრობლემური ჩანს.
- განსაკუთრებით ართულებს მათ ამოცანებს ქართული ენის სპეციფიკა – ზმნისწინის ასპექტთან და დროსთან გადაჯაჭვულობა; მათ წინ გათამამებული სცენების აღწერისას ისინი იძულებულნი არიან ბუნებრივად შესაფერისი აწმყო დროის ნაცვლად ცვალონ დროისა და ასპექტის ფორმები, რათა დააფიქსირონ მოქმედების მიმართულება შესაბამისი ზმნისწინებით.
- სიტუაციის შესაბამისი დროის გამოყენების უფრო მეტი „შეცლომა“ დაფიქსირდა, ვიდრე ზმნისწინთა, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ სივრცითი მიმართებების სტრუქტურირების პროცესს ქართულში ართულებს ზმნისწინთა დამატებითი ფუნქციები – დროისა და ასპექტის წარმოება.
- თავისუფალი თხრობისას „შეცლომები“ თითქმის არ დასტურდება, რამდენადაც ბავშვები თავად ირჩევენ თხრობის სტრატეგიას და ცდილობენ, ის ფორმები გამოიყენონ, რომლებიც მათ მეტად აქვთ გათავისებული.
- სივრცის ლინგვისტური სტრუქტურირება და მისი ენობრივი რეპრეზენტაციები სკოლამდელი ასაკის ბავშვებში მიმდინარეობს ინტუიციურად – ამბობენ იმას, რასაც ხედავენ და ენობრივ კონსტრუქციებს წარმოქმნიან საკუთარი, ყოველდღიური, საყოფაცხოვრებო გამოცდილებიდან გამომდინარე ინდივიდუალურ ცოდნაზე დაყრდნობით.

წარმოადგინა ასოცირებულმა პროფესორმა რუსუდან ასათიანმა

## ლიტერატურა

რ. ასათიანი, სივრცის ლინგვისტური სტრუქტურირების დინამიკური, კონცეპტუალური მოდელი: ქართული ზმნისწინები, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის საიუბილეო კრებული, თბილისი 2002.

ქ. გაბუნია, შესავალი ფსიქოლინგვისტიკაში, „გრაალი“, თბილისი 2014.

N. Imedadze, *Motion Verbs in Georgian Children Narratives*, Psychology of Language and Communication, V. 3, 1999, “Energia”, Warszawa.

ი. მინდაძე, *ფსიქოლინგვისტიკა*, „რეტე“, თბილისი 2009.

*პაეუ 1994* : Ж. Пиаже, *Речь и мышление ребенка*, Москва.

დ. უზნაძე, *ბავშვის ფსიქოლოგია*, თსუ გამომცემლობა, თბილისი 2003.

*Ketevan Chilaia*

### **Linguistic Structuring of Space by the Pre-school Age Georgian Children**

#### Summary

The article is about one of the psycholinguistic problems—the research of mastering the speech machinery in a child’s development process. The investigation was carried out among the pre-school age Georgian Children.

The results of the research show how the children being on the pre-operational stage pass onto the intuitive thought stage, which is the beginning of the conscious speech. It was also revealed how they orientate in space, how they perceive special relations, and what kind of ‘mistakes’ they usually make.

*Presented by Prof. Rusudan Asatiani*

## კარლ ჰორსტ შმიდტის ბასსენება

2012 წლის 29 ოქტომბერს გარდაიცვალა გამოჩენილი გერმანელი ქართველოლოგი **კარლ ჰორსტ შმიდტი**. იგი დიდი ტრადიციების მქონე გერმანული ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური სკოლის ღირსეული წარმომადგენელი იყო. ამავე დროს იგი იყო გამოჩენილი ინდოევროპეისტი და კელტოლოგიც. მისი სადოქტორო დისერტაცია „სამხრეთ-კავკასიური ფუძე-ენის სტრუქტურის კვლევისათვის“ (1962) განეკუთვნება იმ ნაშრომთა რიცხვს, რომლებმაც გასული საუკუნის 60-იანი წლების გარდატეხა განაპირობეს ქართველოლოგიაში. მას ეკუთვნის მრავალი საყურადღებო გამოკვლევა საერთო-ქართველური ფუძე-ენის ფონოლოგიისა და მორფოლოგიის სფეროში, მისი სადოქტორო ნაშრომის ინდექსი, ფაქტობრივად, ქართველურ ენათა ერთ-ერთ პირველ ეტიმოლოგიურ ლექსიკონს წარმოადგენს. მან შექმნა მრავალი უაღრესად საინტერესო გამოკვლევა ქართველური, კავკასიური და ინდოევროპული ტიპოლოგიის სფეროში. მნიშვნელოვანია ტიპოლოგიური პარალელები, რომლებსაც ის საერთო-ქართველურ და საერთო-ინდოევროპულ დონეზე იკვლევდა. მისი გამოკვლევები ქართველოლოგიის ოქროს ფონდშია შესული და მომავალშიც ახალ ქართველოლოგიურ კვლევათა ბიძგის მიმცემი იქნება. ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ მისი ღვაწლი ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად და საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო წევრად არჩევით აღნიშნა.

\* \* \*

Karl Horst Schmidt ist einer der hervorragendsten deutscher Forscher im Gebiete der Kartwelologie. Er setzt die Tradition fort, die von Georg Rosen, Franz Bopp rührt, von Gerhard Deeters vortgesetzt wurde, und auch heute von bedeutenden Forschern getragen wird. Seine Habilitationsschrift “Studien zur Struktur des Lautstandes der Südkaukasischen Grundsprache”, war eine der Umbruchswerken in der Entwicklung der Kartwelistik. In vielen seinen vergleichenden Studien rekonstruiert Er die Phonologie und Morphologie der kartwelischen Ursprache, untersucht die typologische Parallele von Kartwelischen, Nordkaukasischen und Indo-Germanischen Sprachen. Seine Arbeiten gehören zu dem Grundbestand der Kartwelologie. Die Ehrendoktorwürde der Staatlichen Universität Tbilissi und die Mitgliedschaft an der Georgischen Nationalakademie waren geringe Auszeichnungen für seine Verdienste in diesem Gebiet. Sein Abschied ist ein großer Verlust für die Kartwelistik, für alle Kollegen, die mit Ihm in Georgien befreundet waren. Wir äussern unseren tiefen Bedauer seiner Familie. Auch in der Zukunft werden Seine

arbeiten die Grundlage für das Studium vergleichenden Kartwelologie bilden und anregend für die neue Untersuchungen sein.

*Institut der Allgemeinen und Angewandten Sprachwissenschaft,  
Iwane Jawachischwili Staatliches Universität Tbilissi,  
Redaktion der Zeitschrift "Issues of Linguistics"*

თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ჟურნალი „ენათმეცნიერების საკითხების“ სარედაქციო საბჭო და სარედაქციო კოლეგია ღრმა მწუხარებას გამოხატავენ მისი გარდაცვალების გამო. ქვემოთ წარმოვადგენთ მისი სტატიის თარგმანს.

## თარგმანი

### *ქართველოლოგიის ისტორიიდან*

ებეჭდავთ გერმანელი კავკასიოლოგის, კარლ ჰორსტ შმიდტის სტატიის თარგმანს, რომელიც ეხება ფრანც ბოპის ნაშრომს „ინდოევროპული ენათა ოჯახის კავკასიური წევრები“. ფრანც ბოპის ნაშრომში მრავალი საინტერესო პარალელი და ლექსიკური შეხვედრაა გამოვლენილი ქართველურ და ინდოევროპულ ენებს შორის. თუმცა, ფრანც ბოპს რეგულარული ბგერათშესატყვისობები არ გამოუვლენია თვით ინდოევროპულ ენებს შორისაც, იგი არ ლაღატობდა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მეორე პოსტულატს: გენეტური მიზნებით შედარება უნდა მოხდეს ძირითად ლექსიკურ ფონდსა და მორფოლოგიურ ელემენტებს შორის; ამიტომ მისი დაკავშირებები ახლაც აქტუალურია და შედის იმ ლექსიკურ ფონდში, რომელიც საერთოა წინარე ქართველურსა და წინარე ინდოევროპულს შორის. ქართულენოვანი ენათმეცნიერული ლიტერატურის ხარვეზია, რომ ბოპის ეს ნაშრომი არ არის ქართულად თარგმნილი. სანამ ამ საკმაოდ დიდი მოცულობის ნაშრომის თარგმნა განხორციელდება, მკითხველს ვთავაზობთ მის მოკლე მიმოხილვას, რომელიც კარლ ჰორსტ შმიდტს ეკუთვნის. იგი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ფრანც ბოპის მიერ განხილული ქართველურ-ინდოევროპული გრამატიკული პარალელების შესახებ.

ფრანც ბოპი როზორც კავკასიოლოგი

(ედღვნება ბოპის „ინდოევროპული ენათა ოჯახის კავკასიური წევრების“  
125 წლის იუბილეს)\*

რამდენიმე წლის წინ შედარებითმა ინდოევროპულმა ენათმეცნიერებამ თავისი 150 წლის იუბილე იზეიმა.<sup>1</sup> ამ მეცნიერების დაბადების თარიღად მიჩნეულია 1816 წელი, როდესაც გამოქვეყნდა ფრანც ბოპის ნაშრომი „სანსკრიტის უღლების სისტემის შესახებ ბერძნული, ლათინური, სპარსული და გერმანული ენის უღლების სისტემებთან შედარებით“.

ბოპმა თავისი ნაშრომით „ინდოევროპული ენობრივი სისტემის კავკასიური წევრები“, რომელიც 1842 და 1845 წლებში იყო წაკითხული მეცნიერებათა სამეფო აკადემიაში და 1847 წელს გამოქვეყნდა ბერლინში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კავკასიოლოგიაში, თუნდაც მის მიერ აქ განვითარებული მთავარი თეზა არასწორი იყოს: ქართველურ ენებს (= SKS)<sup>2</sup> – ქართულს, სვანურს, ლაზურს, მეგრულს დღეს არავინ მიაკუთვნებს ინდოევროპულ ენათა ოჯახს. დღეს მთავარ სადისკუსიო საკითხს წარმოადგენს კითხვა, თუ რამდენად და როდის განიცადეს სამხრეთკავკასიურმა ენებმა ინდოევროპულ ენობრივ ზეგავლენა.<sup>3</sup>

ბოპის შრომა „ინდოევროპულ ენათა ოჯახის კავკასიური წევრები“ ცოტა ხნის წინ განიხილა არნ. ჩიქობავამ,<sup>4</sup> ამდენად, მის მიერ ნათქვამის აქ განმეორება აღარაა საჭირო. აქედან გამომდინარე, შემოვიფარგლები ბოპის მიერ ქართულის (შესაბამისად სამხრეთკავკასიური ენების) შესახებ გაკეთებული რამდენიმე ენობრივ-ტიპოლოგიური და ენობრივ-თეორიული დასკვნის გადმოცემითა და კომენტარებით.

1. გვარძ: „... უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ იბერიული ენები არც არსებით სახელებთან და არც ზედსართავებსა და ნაცვალსახელებთან სქესს არ განასხვავებენ. ამ თვალსაზრისით ისინი ემსგავსებიან ოსურს, სომხურს, სპარსულს, ბენგალიურს და ინდოევროპული ოჯახის მრავალ სხვა ახალ იდიომას, ინგლისურსაც კი...“ (Bopp, 5; შდრ. აგრეთვე ჩიქობავა, გვ. 153 და შმდ.).

\* K. H. Schmidt, Franz Bopp als Kaukasist [Zum 125. Jubiläum von Bopps „*Kaukasischen Gliedern des Indoeuropäischen Sprachstamms*“ (Berlin: Dümmler, 1847)], Bédi Kartlisa, *Revue de kartvélogie*, vol. XXIX-XXX, Paris, 1972, S. 256-260.

<sup>1</sup> შდრ. G. Neumann, *Indogermanische Sprachwissenschaft 1816 und 1966: 1) Franz Bopp – 1816, 2) Zum Stand dre Hethitologie*, Innsbrucker Beitrag zur Kulturwissenschaft, Sonderheft 24, Innsbruck, 1967.

<sup>2</sup> SKS=სამხრეთკავკასიური ენები; OKS=აღმოსავლეთკავკასიური ენები; WKS=დასავლეთკავკასიური ენები; KS=კავკასიური ენები.

<sup>3</sup> შდრ. ლიტერატურა ავტორთან, იხ. Bédi Kartlisa, 28 (1971), 262-268.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, *იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია* (თბილისი 1965), 152-164.

თეორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისით საინტერესოა ბოპის შემდეგი შენიშვნა: „უნდა ითქვას, რომ მამრობით სქესში სქესის ცნება საერთოდ არ არის გამოხატული, მდებრობითობის გამოხატვის არარსებობა არის მისი განმასხვავებელი ნიშანი“. ეს ფორმულირება ზუსტად შეესაბამება სტრუქტურალისტურ მოსაზრებებს, რომლებიც ორ მსოფლიო ომს შორის პრადის სკოლის მიერ განვითარდა: მამრობითი სქესი, როგორც უნიშნო კომპონენტი, უპირისპირდება ნიშნიან მდებრობით სქესს. ამასთან დაკავშირებით გრინბერგი შენიშნავს:<sup>5</sup> „ინგლისურში სიტყვას *man* „კაცი“ აქვს ორი მნიშვნელობა, რამდენადაც მამრობითი სქესი წარმოადგენს არამარკირებულ კატეგორიას. ამდენად, იაკობსონის მიხედვით, *woman* „ქალი“ არის მარკირებული კატეგორია, „მდებრობითი“, მაშინ როცა *man* უმთავრესად, მაგრამ არა ექსკლუზიურად, გამოიყენება „მდებრობითის“ არარსებობის გამოსახატავად. ამდენად, *man*-ს აქვს ორი მნიშვნელობა. პირველი, მდებრობითობის მახასიათებლის არარსებობის გამოხატვით – „მამრობითი ადამიანური არსება“ და მეორე, ზოგადად „ადამიანური არსების“ აღნიშვნა სქესის დაზუსტების გარეშე.

2. *ერგატიული კონსტრუქცია*: ბოპის სინტაქსური ინტერპრეტაცია ჩამოყალიბდა ისეთ ინდოევროპულ ენათა საფუძველზე, როგორებიცაა სანსკრიტი, ბერძნული და ლათინური.<sup>6</sup> აქედან გამომდინარე, მან ვერ შეძლო გაეგო ერგატიული კონსტრუქცია, როგორც სამხრეთკავკასიური ენების მნიშვნელოვანი ტიპოლოგიური მახასიათებელი, როგორც ეს ნათლად იკვეთება შემდეგი ციტატიდან: „ის, რომ რომელიმე ენაში რომელიმე გარდამავალი ზმნის ობიექტი აქტივში შეიძლება ნომინატივით იყოს გამოხატული, ჩემთვის საკამათოა. მაშინ ნომინატივი წინ უნდა იყოს დასმული, ხოლო გამოსახატავი ირიბი ბრუნვის მიმართება მოსდევდეს მას და აღინიშნებოდეს მიერთებული ან პრეფიქსის სახით წარმოდგენილი ნაცვალსახელით. იმ ენებს კი, რომლებიც ნომინატივსა და აკუზატივს ფორმით არ განასხვავებენ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მათ შესაბამისი დაბოლოებები დაკარგეს – როგორც, მაგალითად, გერმანულმა და იბერიულმა არსებითებმა მხოლოდით რიცხვში – არ შეიძლება არალოგიკურობა მივაწეროთ, თითქოს ისინი გარდამავალი აქტივის ობიექტს ნომინატივში აყენებდნენ“.

3. *აგლუტინაცია*: ბრუნების ეს ტიპი ბოპმა ნათლად შეიცნო როგორც ოსურის, ისე ქართულისათვის: „ოსურის ძირითად ბრუნებაში მრავლობითი ნომინატივი და აკუზატივი ბოლოვდება *ṭe-ze*,<sup>7</sup> და ამ დაბოლოებას სხვა ბრუნებებში

<sup>5</sup> J. H. Greenberg, *Language Universals* (1966), 25.

<sup>6</sup> შდრ. ჩიქობავაც, ზემოთ ციტირებული ნაშრომი, გვ. 163 და შმდ. სანსკრიტი ფ. ბოპს შესწავლილი ჰქონდა, ხოლო ქართველურ (იბერიულ) ენებს „გარედან უყურებდა“ – სხვისი შრომების მიხედვით მსჯელობდა. ამ ენათა აგებულების შინაგანი კანონზომიერება მისთვის უცნობი იყო.

<sup>7</sup> -te ბოპთან, გვ. 16.



ერთვის იგივე დაბოლოებები, რაც მხოლოდითში“ (გვ. 16). „დავებრუნდეთ ქართულში მრავლობითი რიცხვის წარმოებას, რათა წარმოვადგინოთ რიცხვის წარმოების კიდევ ერთი სახეობა. ის მიიღება -ები-ს დართვით, ეს წარმოება გამორიცხულია ნაცვალსახელებისათვის. ირიბ ბრუნვებში იგივე დაბოლოებები ჩნდება, რაც მხოლოდით რიცხვში, მაგალითად, *მაძები* (სახ. და აკუზატივი), ზუსტად ასევე იბრუნვის *თავი*, ამდენად, გვაქვს ნათესაობითი *მაძებისა*, მიცემითი *მაძებსა*, ინსტრუმენტალისი *მაძებითა*“.

ამ კუთხით საინტერესოა მისი შენიშვნა ნაცვალსახელის თავისებურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ამ შენიშვნის თეორიული აქტუალურობა ვლინდება, მაგალითად, იმაშიც, რაზეც ცოტა ხნის წინ მიუთითა ლ. ზეუსტამ – წინააღმდეგობაზე ოსურში არსებითი სახელის აგლუტინაციურ ბრუნებასა და კითხვით ნაცვალსახელებსა და რიცხვის განმასხვავებელ ნაცვალსახელებს შორის: აქ მრავლობით რიცხვში გვაქვს „შებრუნებული რიგი“ ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებისა – ბრუნვა + რიცხვი; შდრ. მხ. რიცხვი ნომინატივი *saer* „თავი“, ნათესაობითი *saer-aen*: მრ. ნომ. *Saer-tae*, ნათესაობითი *saer-ta*, მიცემითი *saer-tan* – საპირისპიროდ: მხ. ნომინატივი *čī* „ვინ“, ნათესაობითი *kæj*, მიცემითი *kaemæn* და ა.შ.: მრ. ნომინატივი *čī-tae*, ნათესაობითი *kæj-ta*, მიცემითი *kaemen-te* და სხვა.<sup>8</sup>

4. *სუფიქსის დართვა*: მე-19 გვერდზე ბოპი შენიშნავს: „სანამ ბრუნების თეორიიდან სხვა საკითხზე გადავიდოდეთ, კიდევ ერთ უჩვეულო სინტაქსურ მოვლენაზე უნდა გავამახვილო ყურადღება, რომლის მიხედვითაც ქართულში გენეტივები, როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში, როდესაც ისინი მთავარ სიტყვას მისდევენ, როგორც წესი, თავისი ბრუნვის დაბოლოებას მთავარი სიტყვის დაბოლოებას უმატებენ... *გვამისა ქრისტესისა; ხელითა მოციქულთათა* (Brosset 231, 232)... აზრი ამ უჩვეული მოვლენისა ისაა, რომ გენეტივი ენის სულის მიერ აღიქმება როგორც ზედსართავი სახელი, რომელიც თავის არსებით სახელს უნდა შეუთანხმდეს რიცხვში და ბრუნვაში და, აქედან გამომდინარე, მთავარი არსებითი სახელის დაბოლოებას უნდა დაირთავდეს. გენეტივის დაბოლოება აღარ მიიჩნევა ბრუნვის დაბოლოებად, არამედ კუთვნილებითი ზედსართავი სახელის ფუძის სუფიქსად, რომელსაც შემდგომ დაერთვის ბრუნვის დაბოლოებები, რომლებიც ზედსართავი სახელის წინ მდგომი არსებითი სახელის გრამატიკულ მიმართებებს შეესაბამებიან“.

წარმოდგენილ ინტერპრეტაციას არაფერი აქვს დასამატებელი. ის, რომ გენეტივი შესაძლებელია იქცეს „მიმართებითი ზედსართავი სახელის“ ფლექსიის

<sup>8</sup> L. Zgusta, *Zu den Subsystemen des Sprachsystems: eine scheinbare Unregelmäßigkeit der ossetischen Deklination (ენობრივი სისტემის ქვესისტემების შესახებ: ოსური ბრუნების მოჩვენებითი არაკანონზომიერება)*, Symbolae ling. In honorem J. Kurylowicz (1965) 379-382; შდრ. ავტორის Flexion und Agglutination in der Entwicklung indogermanischer Sprachen (იბეჭდება).

საფუძვლად, ჩანს, მაგალითად, აღმოსავლეთკავკასიურ ენებში: ტაბასარანული *kakul* „მორი“, ნათესაობითი *kakulin* „მორის“, აქედან ერგატივი *kakulin-di*, ნათესაობითი ბრუნვა *kakulindi-n* და სხვა.<sup>9</sup>

5. *ფუტურუმი* = *კონიუნქტივი*: „ქართული ფუტურუმის განხილვისას ყურადღება უნდა მოვაქციოთ იმას, რომ ეს დრო ასევე კონიუნქტივის, ოპტატივის და იმპერატივის ადგილზეც კი შეიძლება შეგვხვდეს“ (გვ. 53). მართალია, ბოპი ცდილობს, ფუტურუმისა და კონიუნქტივის დამთხვევასთან დაკავშირებით ინდოევროპული პარალელები მოიყვანოს,<sup>10</sup> მაგრამ მას აკლია ძირეული ცოდნა იმისა, რაც შემდგომში გაირკვა (ინდოევროპულ ენებში „ფუტურუმის“ მეორეული ხასიათი; „ირიბი კილოს“ კატეგორიის ასპექტუალური დიფერენცირება; ფუტურუმი = კონიუნქტივს ქართულში; ამ კატეგორიის დიფერენცირება პერმანსივისაგან).

6. *უპირო კონსტრუქციები*: „იბერიულ ენებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უპირო ან, როგორც ბროსე მათ უწოდებს, ირიბი ზმნები (*verbes undirectes*)“ (გვ. 58). ამასობაში, ჩვენ გავიგეთ, რომ ეს კონსტრუქციები ყველა კავკასიური ენისთვის ტიპურია, მაგრამ ასევე ინდოევროპულ ენებშიც აქვს თავისი პარალელები. ძველი ქართული *მი-ყვარ-ს ქალწული* = ტაბასარანულში *uzuz riš kun.žā* = „*mir ist das Mädchen lieb*“).<sup>11</sup> ამ კონსტრუქციების პასიურ კონსტრუქციებად წარმოდგენა (Bopp, გვ. 59) – „სიძინავს“ = „*von ihm wird geschlafen*“ არ გამართლდა.

7. *დეიქსისი მი-/მო-*: „*მი-* და *მო-*ს გამოყენებისათვის დამახასიათებელია ის, რომ პირველს, რომელიც სიახლოვეს გამოხატავს, მაშინ ენიჭება უპირატესობა, როდესაც მოქმედება მიმართულია ახლოს მყოფ პიროვნებაზე, პირველ ან მეორე პირზე, ხოლო მეორეს მაშინ ვიყენებთ, როდესაც მოქმედება მესამე პირს ეხება“ (გვ. 66). ბოპმა აქ დასავლურკავკასიური ენებისათვის მნიშვნელოვანი მომენტი დაადგინა,<sup>12</sup> მიუხედავად იმისა, რომ ინდოევროპულიათვის მოცემული შედარებები, ტიპოლოგიურად, არასწორად არის წარმოდგენილი.

8. *შებრუნებული ბაჰუერიპი (Bahuvrihi)*: 67-ე გვერდზე კომპოზიციის (თხზვის) განხილვისას „შებრუნებული ბაჰუერიპი“ *ქედ-მაღალი* „*stolz*“ არასწორად არის ინტერპრეტირებული როგორც მსაზღვრელ-საზღვრულის კონსტრუქცია, ამის საპირისპიროდ, ბაჰუერიპი *შავ-თვალა* „*schwarze Augen habend, schwarzäugig*“,

<sup>9</sup> ა. მაგომეტოვი, *Tabasaranskij jazyk* (თბილისი 1965); ამ ტიპს რუსულად დაწერილ გრამატიკებში უწოდებენ „მიმართებით ზედსართავებს“ (= *otnositel'noe imja prilagatel'noe*) თვისების გამომხატველი ზედსართავი სახელისგან განსხვავებით (= *kačestvennoe imja prilagatel'noe*).

<sup>10</sup> შდრ. ავტორის, *Konjunktiv und Futurum im Georgischen und indogermanischen Sprachen* (კონიუნქტივი და ფუტურუმი ქართულსა და ინდოევროპულ ენებში), *Bédi Kartlisa*, 17-18 (1964), 257-270.

<sup>11</sup> ე.წ. „ინვერსიული კონსტრუქციების შესახებ“ ადიღურში, შდრ. მაგ.: გ. როგავა, ზ. კერა-შევა, *Grammatika adygejskogo jazuka* (Krasnodar- Majkop 1966), 371.

<sup>12</sup> ჩერქეზულის შესახებ. შდრ. მაგ.: G. Deeters, *Ort und Richtung im Tscherkessischen* (ადგილი და მიმართულება ჩერქეზულში), *Festschrift für Leo Weisgerber* (Düsseldorf 1959), 356.

სწორად არის ინტერპრეტირებული როგორც კუთვნილებითი კომპოზიტი. ეს იმით არის განპირობებული, რომ ინდოევროპული ენებისათვის (და განსაკუთრებით სანსკრიტში) ბაჰუვრიჰის კომპოზიტი საზღვრულის წინ მსაზღვრელის თანმიმდევრობით ხშირად არის წარმოდგენილი, მაშინ როცა კუთვნილებითი კომპოზიტი, კომპონენტების შებრუნებული თანმიმდევრობით, იშვიათი შემთხვევაა და ხშირად დეტერმინატიულადაც შეიძლება იქნეს გაგებული.<sup>13</sup> მეორე მხრივ, შებრუნებული ბაჰუვრიჰი ქართულში არ მიეკუთვნება კომპოზიციის იშვიათ ტიპს.<sup>14</sup>

*თარგმნა ნანა ქიტიაშვილმა  
თარგმანი იბეჭდება ირინე მელიქიშვილისა  
და ივანე ლეჟავას რედაქციით*

---

<sup>13</sup> შებრუნებული ბაჰუვრიჰის შესახებ ინდოევროპულში, შდრ. G. Deeters, IF 60 (1949), 47 და შმდ.; W. P. Schmid, *Alteuropa und der Osten in Spiegel der Sprachgeschichte* (= Innsbrucker Beiträge zur Kulturwissenschaft 22, 1966), გვ. 7 და 14.

<sup>14</sup> შდრ. ვ. თოფურია, *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*, თბილისი 1958, გვ. 286: კუთვნილებითი კომპოზიტი უკავშიროა. იგი შედგება არსებითი სახელისა და ზედსართავისაგან. ზედსართავი შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს, მიმდებარა კი ყოველთვის მოსდევს. მნიშვნელობის მხრივ გამოხატავს ზედსართავით ან მიმდებარით განსაზღვრული არსებითი სახელის ქონას და უდრის დამოკიდებულ წინადადებას.

თარგმანი

რომან იაკობსონი

## ტიპოლოგიური კვლევები და მათი ფვლილი ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში<sup>1</sup>

I. ალფ სომერფელტის გამონათქვამი, რომლითაც იწყებოდა ჩემი მონოგრაფია ბგერათა ზოგადი კანონების შესახებ, მნიშვნელობას კვლავაც არ კარგავს: “Il n’y a pas de différence de *principe* entre les systèmes phonétiques du monde” – „მსოფლიოში არსებულ ფონეტიკურ სტრუქტურებს შორის, ან უფრო ზოგადად – *ლინგვისტურ სისტემებს შორის – entre les systèmes linguistiques –*, პრინციპული განსხვავება არ არის“.

1. *მოსაუბრეები ადარებენ ენებს*. როგორც ანთროპოლოგები მიუთითებენ, ადამიანთა შორის კომუნიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება არის ის, რომ არ არსებობს ისეთი პრიმიტიული ხალხი, რომ არ შეეძლოს თქმა: „იმ ხალხს სხვა ენა აქვს... მე ამ ენაზე ვლაპარაკობ ან არ ვლაპარაკობ... მესმის ის ან არ მესმის“. მარგარეტ მიდი აღნიშნავს, რომ ადამიანები ენას აღიქვამენ „როგორც სხვა ადამიანთა ქცევის ისეთ ასპექტს, რომლის შესწავლაც შესაძლებელია“. ენათშორისი კოდის გადართვა შესაძლებელია და ხორციელდება იმიტომ, რომ ენები იზომორფულია: მათი სტრუქტურები ერთი და იმავე ზოგადი პრინციპებით განისაზღვრება.

სამეტყველო კოლექტივში უცხო ენების შესახებ საუბარს, ისევე როგორც ნებისმიერ მეტყველებას მეტყველების შესახებ, ლოგიკოსები „მეტაენას“ უწოდებენ. როგორც ამერიკის ლინგვისტური საზოგადოებისადმი 1956 წლის მიმართვაში შევეცადე მეჩვენებინა, მეტაენა, რეალური ობიექტი-ენის მსგავსად, ჩვენი ვერბალური ქცევის ნაწილია და ამიტომ ლინგვისტური პრობლემაა.

სეპირი, რომელსაც მარტივი, სხვა მკვლევართაგან შეუმჩნეველი საკითხების წვდომის იშვიათი უნარი გააჩნდა, ჩვენზე, როგორც მოსაუბრეებზე, წერდა: „ჩვენ შეგვიძლია... ვთქვათ, რომ ყველა ენა ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ ზოგიერთი სხვებზე უფრო განსხვავებულია. ეს ტოლფასია გამონათქვამისა, რომ შესაძლებელია ენების დაჯგუფება მორფოლოგიურ (შეიძლება დავამატოთ: ფონოლოგიური და სინტაქსური – რ.ი.] ტიპებად“. ჩვენთვის, ლინგვისტებისათვის, „მარტივი გამოსავალი შემოქმედებითი კონსტრუქციული აზროვნების ტვირთისა-

<sup>1</sup> Roman Jakobson, “Typological studies and their contribution to historical comparative linguistics”, *Selected Writings I: Phonological Studies*. The Hague: Mouton & Co. 'S-Gravenhage, 1962. pp. 523-532.

გან გათავისუფლება და იმ თვალსაზრისის მიღება იქნებოდა, რომ ყოველ ენას თავისი უნიკალური ისტორია და, მამასადაძმე, უნიკალური სტრუქტურა აქვს“.

2. *შეფერხება და პროგრესი ტიპოლოგიურ კვლევებში.* ფრიდრიხ შლეგელის წარუმატებელი ცდა, შეექმნა ენის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და ასევე, ინდოევროპული ენების გენეალოგიური ხისადმი მისი მცდარი მიდგომა, პრობლემას კი არ ხსნის, არამედ პირიქით, საკითხის ადეკვატურ გადაწყვეტას მოითხოვს. ლინგვისტური ნათესაობის შესახებ ადრეულმა უმწიფარმა მოსაზრებებმა გზა მალევე დაუთმო ისტორიულ-შედარებითი მეთოდის პირველ კვლევებსა და მიღწევებს, როცა ტიპოლოგიის საკითხებმა დიდი ხნის განმავლობაში გონებაჭვრეტითი, წინარემეცნიერული ხასიათი შეინარჩუნა. იმ დროს, როდესაც ენათა გენეალოგიურმა კლასიფიკაციამ გასაოცარ პროგრესს მიაღწია, ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციისათვის დრო მომწიფებული ჯერ კიდევ არ იყო. გასულ საუკუნეში ენათა გენეტური პრობლემატიკის პრიორიტეტულობამ იმ ეპოქის ტიპოლოგიურ ნაშრომებს თავისებური კვალი დააჩნია: მორფოლოგიური ტიპები გაგებული იყო როგორც ევოლუციური განვითარების სტადიები. მარის დოქტრინა (მოდერნა სტადიურობის შესახებ *учение о стадильности*) ალბათ ამ ტენდენციის უკანასკნელ გადმონაშთს წარმოადგენდა. მაგრამ ტიპოლოგია, თუნდაც ამგვარი კვაზი-გენეტური სახით, ნეოგრამატიკოსების უნდობლობას იწვევდა, რადგან ყოველი ტიპოლოგიური კვლევა დესკრიფციულ ტექნიკას იყენებდა და ყველა დესკრიფციული მიდგომა ჰ. პაულის დოგმატური „ენის ისტორიის პრინციპებში“ (*Prinzipien der Sprachgeschichte*) არამეცნიერულად იყო მიჩნეული.

ბუნებრივია, რომ სეპირი, დესკრიფციული ლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ლინგვისტური სტრუქტურების ტიპების შესწავლას მხარს უჭერდა. მაგრამ ცალკეული ენების ყოველმხრივი აღწერის ტექნიკის შემუშავებამ ახალი მიმართულების მკვლევართა უმრავლესობის მთელი ენერგია შეიწირა; ნებისმიერი შედარება აღიქმებოდა, როგორც ერთენოვანი კვლევების შინაგანი პრინციპის დამახინჯება. დრო დასჭირდათ იმის მისახვედრად, რომ სისტემები ტაქსონომიის გარეშე და ასევე ტაქსონომია ცალკეული სისტემების აღწერის გარეშე აშკარად წინააღმდეგობრივია: თითოეული გულისხმობს მეორეს.

თუკი ომებს შორის პერიოდში რაიმე კონრეტული მითითება ტიპოლოგიაზე სკეპტიციზმის ნიშნებს იწვევდა, „jusqu’où la typologie peut égarer un bon linguiste“ – „ტიპოლოგიამ შეიძლება კარგ ლინგვისტსაც კი თავგზა აუბნოს“, ამჟამად სისტემატური ტიპოლოგიური კვლევების საჭიროება განსაკუთრებით საგრძნობია. რამდენიმე მნიშვნელოვანი მაგალითი: ბაზელმა, რომელიც ყოველთვის ახალი და ნაყოფიერი იდეებით გამოირჩეოდა, ლინგვისტური ტიპოლოგიის პროგრამა სინტაქსურ მიმართებათა შესწავლის თვალსაზრისით შეადგინა; მილვესკი პირველი იყო, რომელმაც წარმოადგინა შესანიშნავი და მასტიმულირებელი ესეი „ამერიკელ ინდიელთა ენების ფონოლოგიური ტიპოლოგიის შესახებ“; გრინბერგმა, გამოჩენილმა ლინგვისტმა, ეფექტურად გააგრძელა სეპირის ინიციატივა მორფოლოგიური ტიპოლოგიის სფეროში (a) და განიხილა ენათა კლასიფიკაციის სამი ძირითადი მეთოდი – გენეტური, არეალური და ტიპოლოგიური (b, c).

გენეტიურ მეთოდს საქმე აქვს ენათა ნათესაობასთან, არეალურს – დანათესავებასთან, ზოლო ტიპოლოგიურს – ენათა იზომორფიზმთან. ნათესაობისა და დანათესაობისაგან განსხვავებით, იზომორფიზმი აუცილებლად არ გულისხმობს დროისა და სივრცის ფაქტორს. იზომორფიზმი აერთიანებს ერთი ენის სხვადასხვა მდგომარეობას ან ორი სხვადასხვა ენის ორ მდგომარეობას (დროში თანმხვედრს ან დაშორებულს), იქნება ეს მონათესავე თუ არამონათესავე ენათა როგორც ტერიტორიულად მომიჯნავე, ისე ერთმანეთისგან დაშორებული ენებისა.

**3. ტიპოლოგიის საფუძველია არა ჩამონათვალი, არამედ სისტემა.** მენზერატის, ტიპოლოგიის დარგის ნიჭიერი პიონერის, რიტორიკულ კითხვას – ენის მოცემული დონე „ელემენტთა სიმრავლის უბრალო ერთობლიობაა თუ რაღაც სტრუქტურას ემორჩილება“, თანამედროვე ლინგვისტიკამ ცალსახა პასუხი გასცა. ჩვენ ვსაუბრობთ ენის გრამატიკულ და ფონოლოგიურ სისტემებზე, მათ სტრუქტურულ კანონებზე, ენის შემადგენელი ნაწილების ურთიერთდამოკიდებულებასა და ასევე ენის ნაწილებისა და მთლიანი ენის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ენის სისტემის გასაგებად მისი კომპონენტების უბრალო ჩამოთვლა საკმარისი არ არის. როგორც ენის სინტაგმატური ასპექტი წარმოადგენს მისი უშუალო და გაშუალებული შემადგენელი ნაწილების რთულ იერარქიას, ისე პარადიგმატულ ასპექტშიც ლინგვისტური ერთეულების განლაგება რთული სტრატეფიკაციით განისაზღვრება. სხვადასხვა ენობრივი სისტემის ტიპოლოგიურმა შედარებამ ეს იერარქია მხედველობაში უნდა მიიღოს. თვითნებობამ, მოცემული და არსებული წესრიგიდან ნებისმიერმა გადახვევამ, ტიპოლოგიური კლასიფიკაცია შეიძლება წარუმატებელი გახადოს. თანამიმდევრული დაყოფის პრინციპი გრამატიკასა და ფონოლოგიაში უფრო და უფრო იკიდებს ფეხს. ჩვენ ვხედავთ აშკარა პროგრესს ფერდინანდ დე სოსიურის *Cours-ის* („ზოგადი ლინგვისტიკის კურსის“) გადაკითხვისას, იმ პირველი ადამიანის წიგნისა, ვინც ლინგვისტიკისათვის სისტემის ცნების მნიშვნელობას სრულად ჩასწვდა, მაგრამ, ამავე დროს, აუცილებელი წესრიგი ვერ დაინახა ისეთ მკაფიოდ იერარქიულ სისტემაში, როგორცაა გრამატიკულ ბრუნვათა პარადიგმა: “*C’est par un acte purement arbitraire que le grammairien les groupe d’une façon plutôt que d’une autre*” – „გრამატიკოსი აჯგუფებს მათ ასე – სრულიად თვითნებურად და არა სხვაგვარად“. თვით ისეთი ამოსავალი ბრუნვა, როგორცაა სახელობითი, *ნულოვანი ბრუნვა*, სოსიურის აზრით, ბრუნვის სისტემაში თვითნებურად იგაგებს.

გრინბერგი მართალია, როდესაც ამბობს, რომ ფონოლოგიური ტიპოლოგია „არ შეიძლება დაეფუძნოს ტრადიციული ფონეტიკის მეტად ბუნდოვან ტერმინოლოგიას“. ფონეტიკური სისტემების მისაღებად ლოგიკურად აუცილებელი იყო სისტემების თანამიმდევრული ანალიზი: თვითონ ნიშნებს შორის ან ამ ნიშნების კლასებს შორის გარკვეული ურთიერთობების არსებობა უნდა გამოვიყენოთ როგორც კრიტერიუმები“ (c). გრამატიკული თუ ფონოლოგიური სისტემების ტიპოლოგია, რომელიც ჭარბ მოვლენათა გამორიცხვას დაეფუძნება, ხელახალი ლოგი-

კური ფორმულირების გარეშე მიუღწეველია. თვითნებურად შერჩეულ ნიშნებზე დაფუძნებული ლინგვისტური ტიპოლოგია დამაკმაყოფილებელ შედეგებს ვერ მოგვცემს, ისევე როგორც არ შეიძლო მოეცა ცხოველთა სამყაროს კლასიფიკაციას, თუ ნაცვლად ეფექტური კლასიფიკაციისა ხერხემლიან ან უხერხემლოებად, ძუძუმწოვრებად ან ფრინველებად – კანის ფერის კრიტერიუმს გამოვიყენებდით და ამის საფუძველზე ერთ ჯგუფში მოვათავსებდით, ვთქვათ, თეთრი კანის ფერის ადამიანებსა და ღია ფერის ღორებს.

უშუალო შემადგენელთა პრინციპი არანაკლებ პროდუქტულია პარადიგმატული ასპექტის ანალიზის დროს, ვიდრე წინადადებების გრამატიკული გარჩევისას. ამ პრინციპზე დაფუძნებული ტიპოლოგია ფონოლოგიური და გრამატიკული განსხვავებული სისტემების მიღმა ავლენს მთელ რიგ გამაერთიანებელ ელემენტებს და არსებითად ზღუდავს ერთი შეხედვით ენობრივი სისტემების უსასრულო სხვადასხვაობას.

**4. უნივერსალები და არასრული უნივერსალები.** ტიპოლოგია ავლენს მოვლენათა იმპლიკაციის კანონებს, რომლებიც განსაზღვრავს ენათა ფონოლოგიურ და, როგორც ჩანს, მორფოლოგიურ სტრუქტურებს: *A*-ს არსებობა გულისხმობს *B*-ს არსებობას (ან საპირისპიროდ, არარსებობას). როგორც ანთროპოლოგები ამბობდნენ, ამ გზით, ჩვენ მსოფლიო ენებში ერთგვაროვან ან თითქმის ერთგვაროვან ნიშან-თვისებებს აღმოვაჩინეთ.

ეჭვგარეშეა, რომ მსოფლიოს ენათა უფრო ზუსტი და ამომწურავი აღწერა შეავსებს, შეასწორებს და სრულყოფს ზოგადი კანონების კოდექსს. მაგრამ უსაფუძვლო იქნება ამ კანონების ძიების გადადება იქამდე, ვიდრე ჩვენი ფაქტობრივი ცოდნა უფრო არ გაღრმავდება. ლინგვისტური, კერძოდ, ფონემატური უნივერსალების საკითხის განხილვა უკვე უნდა დაიწყოს. მაშინაც კი, როცა რომელიმე შორეულ, ახლად აღწერილ ენაში შეიძლება აღმოჩნდეს თავისებურება, რომელიც ეწინააღმდეგება რომელიმეს ამ კანონთაგან, ეს ძალას არ უკარგავს განზოგადებას – მიღებულს აქამდე შესწავლილ ენათა შთამბეჭდავი რაოდენობის საფუძველზე. შესწავლილი ერთგვაროვნება „არასრული“ აღმოჩნდება, ასეთია მაღალი სტატისტიკური ალბათობის წესი. ტასმანიასა და სამხრეთ ავსტრალიაში იხვნისკარტას აღმოჩენამდე, ზოოლოგები ძუძუმწოვრების შესახებ ზოგად განსაზღვრებებში არ ითვალისწინებდნენ კვერცხისმდებელ ძუძუმწოვრებს; მიუხედავად ამისა, ეს მოძველებული განსაზღვრებები მსოფლიოს ძუძუმწოვრების დიდი უმრავლესობისათვის მართებულია და მნიშვნელოვან სტატისტიკურ კანონებად რჩება.

ამასთანავე, დღეს ენათა შესახებ მეცნიერების მდიდარი გამოცდილება უფლებას გვაძლევს, გამოვაგლინოთ კონსტანტები, რომლებიც ნახევარკონსტანტებად ალბათ არ გადაიქცევა. არსებობს ენები, სადაც არ გვაქვს ხმოვნით დაწყებული და/ან თანხმოვნით დამთავრებული მარცვლები, მაგრამ არ არსებობს ენა, რომელშიც მარცვლები თანხმოვნით არ იწყება, ან ხმოვნით არ მთავრდება. არის ენები ნაპრალოვანი თანხმოვნების გარეშე, მაგრამ არ არის მსკდომების გარეშე. არ მოიძებნება ენა, რომელშიც ფიქსირდება საკუთრივ მსკდომებისა და აფრიკატების

ოპოზიცია (მაგ., /t/ – /ts/), მაგრამ არ ფიქსირდება ნაპრალოვნები (მაგ., /s/). არ არის ენა, სადაც გვხვდება წინა რივის ლაბიალიზებული ხმოვნები და იქ არ არის უკანა რივის ლაბიალიზებული ხმოვნები.

გარდა ამისა, ზოგიერთი არასრული უნივერსალის ნაწილობრივი გამონაკლისები შესაბამისი ზოგადი კანონების უფრო მოქნილ ფორმულირებას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით 1922 წელს აღვნიშნე, რომ თავისუფალი დინამიკური მახვილი და გრძელი და მოკლე ხმოვნების დამოუკიდებელი ოპოზიცია ერთსა და იმავე ფონეტიკურ სისტემაში შეუთავსებელია. ეს კანონი, რომელიც დამაკმაყოფილებლად ხსნის სლავურ და ზოგ სხვა ინდოევროპულ ჯგუფებში პროსოდიულ ევოლუციას, მართებულია ენათა დიდი უმრავლესობისათვის. თითქოსდა თავისუფალი მახვილისა და ხმოვანთა თავისუფალი კვანტიტეტის თანაარსებობის ერთეული შემთხვევები ილუზორული აღმოჩნდა: ამბობდნენ, რომ ვიჩიტას ენას (ოკლაჰომა) ერთდროულად ორივე, როგორც ფონეტიკური მახვილი, ისე კვანტიტეტის ოპოზიცია ჰქონდა. მაგრამ პოლ გარვინის (Paul Garvin) ხელახალი ანალიზის მიხედვით, ვიჩიტა, სინამდვილეში, ტონური ენაა აღმავალი და დამავალი მახვილების ოპოზიციით, რაც აქამდე მხედველობიდან გამოეპარათ. მაგრამ ამ ზოგად კანონს მაინც უფრო ფრთხილი ფორმულირება ესაჭიროება. თუ ენაში ფონეტიკური მახვილი თანაარსებობს ფონეტიკურ რაოდენობასთან, ორი ელემენტიდან ერთი მეორეს ექვემდებარება და დაშვებულია სამი, ძალზე იშვიათად ოთხი განსხვავებული ერთეული: გრძელი ან მოკლე ხმოვნები მხოლოდ მახვილიან მარცვალში განიჩევა, ან ორი კვანტიტეტური კატეგორიიდან მხოლოდ ერთ-ერთს, სიგრძეს ან სიმოკლეს, შეიძლება ექნეს თავისუფალი, განმასხვავებელი მახვილი. როგორც ჩანს, ასეთ ენებში მარკირებული კატეგორია არა მოკლე ხმოვანთან დაპირისპირებული გრძელი ხმოვანია, არამედ არარედუციურულ ხმოვანთან დაპირისპირებული რედუცირებული ხმოვანი. გრამონთან ერთად მეც მიმაჩნია, რომ კანონი, რომელსაც შესწორება სჭირდება, უფრო უკეთესია, ვიდრე კანონის არარსებობა.

**5. მორფოლოგიური დეტერმინიზმი.** რადგან „მიმართებათა ინვარიანტული წერტილები აღწერისა და შედარებისათვის“ (ამაში კლუკჰონს უნდა დავეთანხმოთ) ტიპოლოგიის ცენტრალური საკითხია, შევეცდები, ლინგვისტიკაში ამ შედარებით ახალი პრობლემების ილუსტრაცია მეცნიერების სხვა დარგიდან თვალსაჩინო ანალოგიით მოვახდინო.

ენის შესახებ მეცნიერების განვითარება, კერძოდ, თავდაპირველი გენეტიკური თვალსაზრისიდან ძირითადად დესკრიფციულ მიდგომამდე, გასაოცრად შეესაბამება ძვრებს სხვა მეცნიერებებში, კერძოდ, კლასიკურ და კვანტურ მექანიკაში. ციტატა მომყავს მოხსენებიდან „კვანტური მექანიკისა და დეტერმინიზმის შესახებ“, რომელიც გამოჩენილმა სპეციალისტმა ლ. ტისზამ (Laszlo Tisza) ამერიკის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიაში წარმოადგინა: კვანტური მექანიკა [და მას დავამატოთ თანამედროვე სტრუქტურული ლინგვისტიკა] მორფოლოგიურად დეტერმინირებულია, მაშინ, როდესაც დროითი პროცესები, მუდმივ მდგომარეო-



ბებს შორის გადასვლები, სტატისტიკური ალბათობის კანონებით რეგულირდება. ორივე, როგორც სტრუქტურული ლინგვისტიკა, ისე კვანტური მექანიკა, მორფოლოგიურ დეტერმინიზმში იძენს იმას, რასაც დროით დეტერმინიზმში კარგავს. „მდგომარეობები მთელი რიცხვებითა და არა უწყვეტი ცვლადი სიდიდეებით ხასიათდება“, თუმცა „კლასიკური წესების მიხედვით, ეს სისტემები უწყვეტი პარამეტრებით უნდა აღწერილიყო“ და, „რადგან ემპირიულად მოცემული ორი რეალური რიცხვი არასდროს იქნება ზუსტად იდენტური, გასაკვირი არაა, რომ კლასიკური მექანიკის მიმდევარი ფიზიკოსი რაიმე განსაზღვრული საგნების აბსოლუტური იგივეობის იდეას ეწინააღმდეგებოდა“.

როგორც ეს ბოასის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლინგვისტურ ნეკროლოგში ჩამოვყალიბე, ენის სტრუქტურული კანონების დადგენა ყველაზე ახლო და ნათელი მიზანია ტიპოლოგიური კლასიფიკაციისა და მთელი თანამედროვე დესკრიფციული ლინგვისტიკისათვის. „დიაქრონიული ტიპოლოგიების“ სტატისტიკური ხასიათის შესახებ გრინბერგისა და კროებერის სასარგებლო მითითებები, ტიპოლოგიური კლასიფიკაციების ინდექსების ჩათვლით, მისასაღებელია, მაგრამ სტაციონარული ტიპოლოგია უფრო მთელი რიცხვებით უნდა ოპერირებდეს, ვიდრე უწყვეტი ცვლადებით.

ჩვენ თავს ვარიდებით გამოგვეყენებინა ამჟამად ფართოდ გავრცელებული ტერმინი „სინქრონიული ტიპოლოგია“. თუ თანამედროვე ფიზიკოსისათვის „ბუნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია თითქმის მუდმივ იგივეობასა და დროში შემთხვევით მოუწესრიგებელ ცვლილებას შორის თავისებური ურთიერთქმედება“, ამის მსგავსად, ენაში „სტატიკა“ და „სინქრონია“ ერთმანეთს არ ემთხვევა. ყოველი ცვლილება თავიდან ეკუთვნის ლინგვისტურ სინქრონიას: ორივე, ძველი და ახალი ვარიანტი, ერთდროულად გვხვდება ერთსა და იმავე სამეტყველო კოლექტივში, როგორც უფრო არქაული და როგორც უფრო მოდური. ამასთან, ერთი უფრო ექსპლიციტურ, ხოლო მეორე უფრო ელიფსურ სტილს მიეკუთვნება – ესე იგი, ისინი ერთი და იმავე ურთიერთშენაცვლებადი კოდის ქვეკოდებია. თითოეული ქვეკოდი თავისთავად მოცემული მომენტისათვის სტაციონარული სისტემაა, რომელიც მკაცრი სტრუქტურული კანონებით რეგულირდება, მაშინ, როცა ამ ნაწილობრივი სისტემების ურთიერთქმედება ერთი ასეთი სისტემიდან მეორე სისტემაზე გადასვლის მოქნილ, დინამიკურ კანონებს წარმოაჩენს.

**6. ტიპოლოგია და რეკონსტრუქცია.** ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობიდან ბუნებრივად გამომდინარეობს პასუხი ჩვენს ძირითად კითხვაზე: რა წვლილი შეიძლება შეიტანოს ტიპოლოგიურმა კვლევებმა ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში? გრინბერგის აზრით, ენათა ტიპოლოგია ზრდის „ჩვენს წინასწარმეტყველურ ძალას, რადგან მოცემული სინქრონიული სისტემის გარკვეული განვითარებები მაღალი ხარისხით არის შესაძლებელი, სხვები ნაკლებად მოსალოდნელია, ხოლო ზოგი პრაქტიკულად გამორიცხულია“ (c). შედარებითი ენათმეცნიერებისა და ტიპოლოგიის წინამორბედმა, შლეგელმა, ისტორიკოსი დაახასიათა, როგორც წინასწარმეტყველი, რომელიც წარსულს წინასწარმეტყველებს. რეკონსტრუქციისას ჩვენი „წინასწარმეტყველური ძალა“ ტიპოლოგიურ კვლევებს ემყარება.

წინააღმდეგობა ენის რეკონსტრუირებულ მდგომარეობასა და ზოგად კანონებს შორის, რომელიც შეიძლება ტიპოლოგიამ გამოავლინოს, რეკონსტრუქციას საეჭვოს ხდის. 1949 წელს ნიუ-იორკის „ლინგვისტურ წრეში“ ჯ. ბონფანტესა და სხვა ინდოევროპეისტებს რამდენიმე ასეთი სადავო საკითხი გააცანინა. წინარე ინდოევროპული ენის ერთხმონიან ენად მიჩნევა მსოფლიოს დადასტურებულ ენებში საფუძველს ვერ პოულობს. რამდენადაც ვიცი, არც ერთ ენაში წყვილს  $/t/ - /d/$  მჟღერი ფშვინვიერი  $/d^h/$  არ ემატება, თუ არ არსებობს შესაბამისი ყრუ  $/t^h/$ , მაგრამ  $/t/$ ,  $/d/$  და  $/t^h/$  ხშირად გვხვდება შედარებით იშვიათი  $/d^h/$ -ს გარეშე. ამგვარი განლაგება მარტივად აიხსნება (შეადარეთ Jakobson, Halle 1956); მაშასადამე, თეორიებმა, რომლებიც წინარე ინდოევროპულში სამ ფონემას  $/t/-/d/-/d^h/$  ადასტურებს, უნდა გადააიზროს მათი ფონეტიკური არსის საკითხი. ასევე ფონოლოგიური ტიპოლოგიის საფუძველზე ძალიან საეჭვოა ერთ სისტემაში „ასპირირებული მსკლომი“ ფონემისა და ორფონემიანი ჯგუფის – „მსკლომი“  $+/h/$ -ს ან „ლარინგალური თანხმოვნის“ თანაარსებობა. მეორე მხრივ, მოსაზრებები, რომლებიც წინ უსწრებდა ან ეწინააღმდეგებოდა ლარინგალურ თეორიას და  $/h/$  ფონემას ინდოევროპულ ენას არ მიაკუთვნებდა, ეწინააღმდეგება ტიპოლოგიურ გამოცდილებას: როგორც წესი, ენებში, სადაც ოპოზიცია მჟღერი-არამჟღერი, ფშვინვიერი-არაფშვინვიერი არსებობს, არის ასევე ფონემა  $/h/$ . ამასთან დაკავშირება მნიშვნელოვანია, რომ ინდოევროპული ენების იმ ჯგუფებში, რომელთაც დაკარგეს არქაული  $/h/$  ახლის შექმნის გარეშე, ფშვინვიერები შესაბამის არაასპირირებულ მსკლომებს შეერწყა: შეადარეთ სლავურში, ბალტურში, კელტურსა და ტოქარულში ფშვინვიერებსა და არაფშვინვიერებს შორის ყოველგვარი განსხვავების დაკარგვა და ამ ორი სერიის განსხვავებული მდგომარეობა ბერძნულში, ინდურში, გერმანიკულსა და სომხურში, სადაც ადრეულ საფეხურზე ზოგიერთი ორალური ფონემა გარდაიქმნა  $/h/$  ფონემად. ასეთივე დახმარება შეიძლება გავვიწიოს გრამატიკული პროცესებისა და ცნებების ტიპოლოგიურმა შესწავლამ.

ასეთ შეუსაბამობათა თავიდან აცილება შესაძლებელია ინდოევროპული ფონემის რეკონსტრუქციის სოსიურისეული მიდგომით: “On pourrait, sans spécifier sa nature phonique, le cataloguer et le représenter par son numéro dans la tableau des phonèmes indo-européens” – „სავსებით შესაძლებელია, რომ ფონემის ბგერითი ბუნების დაზუსტების გარეშე შევიტანოთ იგი ფონემათა საერთო ჩამონათვალში და ინდოევროპულ ფონემათა ცხრილში მივანიჭოთ ნომერი“. თუმცა ამჟამად თანაბრად შორს ვართ როგორც გულუბრყვილო ემპირიზმისაგან, რომელიც ინდოევროპული ბგერების ფონოგრაფიულ ფიქსირებაზე ოცნებობდა, ისე ამის საპირისპიროდ, ინდოევროპულ ფონემათა სისტემის კვლევის შესაძლებლობის აგნოსტიკური უარყოფისა და ამ სისტემის მარტივ ციფრობრივ კატალოგამდე დაყვანისგან. თუ ორი თანმიმდევრული მდგომარეობის სტრუქტურული ანალიზისგან თავს შევიკავებთ, მაშინ შეუძლებელი იქნება უფრო ადრინდელი მდგომარეობიდან მომდევნო მდგომარეობაში გადასვლის ახსნა და ისტორიული ფონოლოგიის შესაძლებლობები არასასურველად შეიკვეცება. რეკონსტრუქციის ტექნიკისადმი რეა-

ლისტური მიდგომა არის რეტროსპექტული უკუსვლა ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობისაკენ და თითოეული ამ მდგომარეობის სტრუქტურული განხილვა ტიპოლოგიური მონაცემების თვალსაზრისით.

ენობრივ სისტემათა ცვლილებების გაგება შეუძლებელია იმ სისტემასთან კავშირის გარეშე, რომელშიც ეს ცვლილებები ხდება. ეს თეზისი, რომელიც „ლინგვისტთა პირველმა საერთაშორისო კონგრესმა“ თითქმის ოცდაათი წლის წინ განიხილა და მხარი დაუჭირა (იხ. *Actes...*), დღეს ფართოდ არის აღიარებული (შეადარეთ ცოტა ხნის წინ სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში შთამბეჭდავი დისკუსია ენის სინქრონიული ანალიზისა და დიაქრონიული კვლევის ურთიერთმიმართების შესახებ (იხ. *“Тезисы...”*). სისტემის სტრუქტურული კანონები ერთი მდგომარეობიდან მეორეში შესაძლებელი გადასვლების გზებს ზღუდავს. ვიმეორებთ, რომ ეს გადასვლები მთლიანი ლინგვისტური კოდის ნაწილია, საერთო ენობრივი სისტემის დინამიკური კომპონენტი. შეიძლება გამოვთვალოთ გადასვლის ალბათობა, მაგრამ თითქმის შეუძლებელია ვიპოვოთ უნივერსალური კანონები, რომლებიც ახსნის დროსთან დაკავშირებულ ამ მოვლენებს. გრინბერგის სტატისტიკური მიდგომა დიაქრონიული ტიპოლოგიისადმი იმედის მომცემი მეთოდია ენათა ცვალებადობის მიმართულებისა და ფარდობითი მუდმივობის კვლევისათვის. ამგვარად, მონათესავე და სივრცეში მომიჯნავე ენების მსგავსება-განსხვავებათა ანალიზი მდიდარ ინფორმაციას გვაძლევს, რომელიც მნიშვნელოვანია ისტორიულ-შედარებითი კვლევისათვის. ამით საბოლოოდ იმსხვრევა მითი ენის ცვლილებისა და მუდმივობის შემთხვევითობის შესახებ. მუდმივობა, სტატისტიკა დროში, დიაქრონიული ლინგვისტიკის რელევანტურ პრობლემად იქცა, ხოლო დინამიკა, ქვეკოდების ურთიერთქმედება ენის მთლიანობის შიგნით, ლინგვისტური სინქრონიის უმნიშვნელოვანეს საკითხში გადაიზარდა.

**II.** (დასკვნითი შენიშვნები) დესკრიფციულ ლინგვისტიკას თანამედროვე განვითარების პირველ ეტაპებზე თან ახლდა შიში შედარების მიმართ: მკვლევარი მოცემული ენის შინაგან განხილვაზე იყო მიჯაჭვული. ეს იყო ჯანსაღი რეაქცია ტრადიციის წინააღმდეგ, რომელიც ჰეტეროგენულ ენებს თავს ახვევდა გარეგან მოდელს. თუმცა ავტონომიის პრინციპი იზოლაციონიზმად არ უნდა იქცეს. *ენის შესახებ მეცნიერება* არის მხოლოდ ერთი ნაწილი ენათა შესახებ მეცნიერებისა. *ენათა შესახებ მეცნიერება*, თავისი ჭეშმარიტი ბუნებით, დაკავშირებულია *ენის შესახებ მეცნიერებასთან*, რომელიც ცდილობს დაადგინოს ზოგადი ლინგვისტური კანონები. ორივე დარგი ერთმანეთს გულისხმობს. ლინგვისტური ტიპოლოგია არის დასკვნა, რომელიც ენათა შესახებ მეცნიერებიდან ენის შესახებ მეცნიერებისათვის მიიღება.

როგორც ნებისმიერი ლინგვისტური დარგი, ენათა ტიპოლოგიაც სხვადასხვაობაში ინვარიანტს ეძებს. გრამატიკული კატეგორიების თუ ფონემური განმასხვავებელი ნიშნების რაოდენობა და მათი კომბინაციები შეზღუდულია. ენები შემოიფარგლება სტრუქტურული (გრამატიკული და ფონემური) ტიპების შეზღუდული რაოდენობით. ასეთი უნივერსალური, საერთო სისტემის ვარაუდი დასტურდება

ენათა შესახებ მეცნიერების სწრაფად მზარდი გამოცდილებით. დამატებითი დის-ტრიბუციის იგივე პრინციპი, რომელსაც ფონეტიკა სხვადასხვა ფონეტიკურ გარემოს უსადაგებს, ტიპოლოგიური კვლევის დროს განსხვავებულ ენებს უნდა შე-უუსაბამოთ: დისტინქციური ოპოზიციები, რამდენადაც ეს ლინგვისტებს მოეხსენე-ბათ, არასოდეს თანაარსებობენ ერთსა და იმავე ენაში. ოპოზიციები, რომელთაც საერთო ფონეტიკური თვისება აქვთ, ერთი და იმავე განმასხვავებელი ნიშნის სხვადასხვა რეალიზაციად უნდა ჩაითვალოს. რადგან, მაგალითად, არ არსებობს თანხმოვანი ფონემები, რომლებიც ერთდროულად დახასიათდებიან დისტინქციური ნიშნებით – „ლაბიალიზაცია-არალაბიალიზაცია და ფარინგალიზაცია-არაფარინგა-ლიზაცია“. ეს ნიშნები უნდა განვიხილოთ როგორც ერთი და იმავე ნიშნის ორი ვარიანტი: ზედა სისშირულ კომპონენტებში ქვემოთ დაწევა, რომელიც გამოწვეუ-ლია პირის ღრუს წინა და უკანა გასასვლელის (ბაგეები და ხახა) დავიწროე-ბით. ფონემებისა და ალოფონების დისტინქცია *ინტრალინგვალურ* დონეზე, ანუ ფუნდამენტური ოპოზიციების დისტინქცია და მათი სხვადასხვა რეგიონული რეა-ლიზაციები, მოკლედ – ინტრალინგვალური ინვარიანტების არსებობა არ ნიშნავს ვარიანტების უგულბებლყოფას.

ფონოლოგიური და გრამატიკული ტიპოლოგიის პროგრესი მნიშვნელოვანია როგორც ენის ზოგადი თეორიისათვის, ისე ისტორიული და არეალური ენათმეც-ნიერებისთვის. ასეთი პროგრესისათვის აუცილებელია ექსპერტთა კოორდინირე-ბული და ერთობლივი მონდომება ენათა უძრავლესი ჯგუფების კვლევასთან და-კავშირებით: მეიეს მიხედვით, მკაცრად შესადარებელი მასალა, ერთსა და იმავე კითხვარზე გაცემული პასუხების დიდი რაოდენობა, რომელიც მონათესავე ენების სტრუქტურებს ეხება, უნდა შეიკრიბოს და ხელმისაწვდომი გახდეს ამ საკითხე-ბით დაინტერესებულ პირთათვის.

ტიპოლოგიური ვერიფიკაცია ზრდის რეკონსტრუირებული ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემების ალბათობას და შესაძლებელი ხდება რეკონ-სტრუქციის უბრალო ციფრობრივი კატალოგის შეცვლა ლინგვისტური სისტემის რეალისტური აღწერით. მიუხედავად გაბედული მცდელობებისა, აღმოაჩინონ თა-ნამედროვე ჩრდილო-კავკასიური ენა, სადაც თითქოს არ არის ხმოვნის ფონემუ-რი განსხვავებები, ინდოევროპული ენისათვის ერთხმოვნის სტატუსის მინიჭება ჯერ კიდევ ეწინააღმდეგება ჩვენს ფონემურ გამოცდილებას. აგრეთვე, ჯერ არ აღმოჩენილა ენები, რომლებიც ეწინააღმდეგება სტრუქტურას  $C^h$  და  $C+/h/-$ -ს და ადასტურებს ასპირირებული მსკდომისა და თანხმოვანთკომპლექსის – „მსკდომი+ /h/“ თანაარსებობას წინარე ინდოევროპულ ენობრივ საფეხურზე. ლინგვისტების მიერ დაგროვილი ემპირიული მონაცემები საკმარისია იმისათვის, რომ უკუვაგ-დოთ ვარაუდი წინარე გილიაკური ენობრივი სისტემის შესახებ, რომელშიც მსკდომები და სპირანტები არ უნდა ყოფილიყო. სისტემაში იყო მხოლოდ აფრი-კატები, რომლებიც მოგვიანებით მსკდომებად და სპირანტებად დაიშალა. გლო-ტოგონიურ ჰიპოთეზას, რომელიც წკლაპუნა ბგერების უპირატესობას ამტკიცებს, გამოცდილება ეწინააღმდეგება: მსოფლიო ენების უმეტესობაში არ არის წკლაპუ-

ნა თანხმონები, თუმცა არაწკლაპუნა თანხმონები საყოველთაოა; პ. დე ვ. პიენარის მონაცემების მიხედვით, ბანტუსა და პოტენტოტის ბავშვები წკლაპუნა თანხმონებს ფონემათაგან ყველაზე ბოლოს ეუფლებიან. პოტენტოტურ ზღაპრებში ცხოველთა მეტყველებაში, რომელიც, ჩვეულებრივ, ბავშვის საუბრით გადმოიცემა, საერთოდ არ არის წკლაპუნა ბგერები.

ენების ტრადიციული შედარება ჭადრაკთან გადაჭარბებით არ უნდა შევაფასოთ. ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, მოჭადრაკეებმა შეიძლება ნებისმიერი საგნით შეცვალონ ფიგურა, ხოლო ლინგვისტური სისტემის კომპონენტების თვითნებური შეცვლა შეუძლებელია და შემცვლელის არჩევა კანონზომიერად ხდება. ენის სტრუქტურას არეგულირებს არა მარტო თამაშის წესები, არამედ სუბსტიტუციის წესებიც, რადგან მისი კომპონენტები თანაარსებობისა და შეუთავსებლობის უცვლელი კანონებით არის შეზღუდული.

*ლინგვისტთა მერვე საერთაშორისო კონგრესის პირველი პლენარული სხდომის ანგარიში, ოსლო, 1957 წლის 5 აგვისტო. დაიბეჭდა კონგრესის შრომებში (ოსლო, 1958).*

### **შენიშვნები**

*Actes du premier Congrès International de Linguistes du 10-15 avril, 1928, pp. 33 ff.*

C. E. Bazell, *Cahiers Ferdinand de Saussure*, VIII (1949), pp. 5 ff.

J. H. Greenberg, (a) "Method and Perspective in Anthropology", *Papers in Honor of Wilson D.*

Wallis, ed. by R. F. Spencer (1954), pp. 192 ff. -(b) *Essays in Linguistics* (1957), Chap.

VI. -(c) *IJAL*, XXIII (1957), pp. 68 ff.

R. Jakobson, *IJAL*, X (1944), pp. 194 ff.

R. Jakobson, and M. Halle, *Fundamentals of Language* (1956), pp. 43 ff.

C. Kluckhohn, *Anthropology Today* (1953), pp. 507 ff.

A. L. Kroeber, *Method and Perspective in Anthropology*, pp. 294 ff.

M. Mead, *Cybernetics. Transactions of the Eighth Conference, New York 1951*, p. 91.

P. Menzerath, *Journal of the Acoustical Society of America*, XXII (1950), p. 698.

T. Milewski, *Lingua Posnaniensis*, IV (1935), pp. 229 ff.

P. de V. Pienaar, *Proceedings of the Third International Congress of Phonetic Sciences, 1938*, p. 353.

E. Sapir, *Language* (1921), Chap. VI.

F. de Saussure, *Cours de linguistique générale*, 1922, pp. 175, 303, 316.

A. Sommerfelt, "Loi phonétique", *Norsk Tidsskrift for Sprogvidenskap*, I (1928).

*Тезисы докладов на открытом расширенном заседании ученого совета, посвященном дискуссии о соотношении синхронного анализа и исторического исследования языка, АН СССР, 1957.*

*თარგმნა ეთერ ჭურაძემ  
თარგმანი იბეჭდება მარინე ივანიშვილისა  
და ივანე ლეჟავას რედაქციით*

## შიფტერები, ზმნური კატეგორიები და რუსული ზმნა<sup>1</sup>

### 1. შიფტერები და სხვა ორმაგი (duplex) სტრუქტურები

1.1 ადრესანტის (addresser) გაგზავნილი შეტყობინება (message) ადეკვატურად უნდა აღიქვას მიმღებმა (receiver). ნებისმიერი შეტყობინების კოდირებას ახდენს გამგზავნი (sender) და ადრესატმა (addressee) უნდა მოახდინოს მისი დეკოდირება. რაც უფრო უახლოვდება ადრესატი იმ კოდს, რომელიც გამოიყენა ადრესანტმა, მით უფრო მაღალია მოპოვებული ინფორმაციის ოდენობა. შეტყობინებაც (M) და საფუძველში მდებარე კოდიც (C) წარმოადგენენ ენობრივი კომუნიკაციის საშუალებებს, მაგრამ ორივე მათგანი ფუნქციონირებს ორმაგად: ერთსა და იმავე დროს ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ საშუალებასაც და მეტყველების ობიექტსაც (= რის შესახებაც მიუთითებენ). ამგვარად, შეტყობინება შეიძლება უკავშირდებოდეს კოდს ან სხვა შეტყობინებას და, მეორე მხრივ, კოდური ერთეულის ზოგადი მნიშვნელობა შეიძლება გულისხმობდეს კოდზე ან შეტყობინებაზე მითითებას (renvoi). აქედან გამომდინარე, უნდა განვასხვაოთ ოთხი ორმაგი ტიპი: **1**) ორი სახის წრიულობა (circularity) – შეტყობინება, რომელიც მიმართულია შეტყობინებაზე (M/M) და კოდი, რომელიც მიმართულია კოდზე (C/C); **2**) ორი სახის ნაწილობრივი გადაფარვა (overlapping) – შეტყობინება, რომელიც მიუთითებს კოდს (M/C) და კოდი, რომელიც მიუთითებს შეტყობინებას (C/M).

1.2 (M/M) „ირიბი ნათქვამი (reported speech) არის მეტყველება მეტყველებაში, შეტყობინება შეტყობინებაში და ამავე დროს ის არის მეტყველება მეტყველების შესახებ, შეტყობინება შეტყობინების შესახებ“, – როგორც ეს ფორმულირებულია ვ. ვოლოშინოვის ნაშრომში ამ საკვანძო ლინგვისტური და სტილისტიკური საკითხის შესახებ (ვოლოშინოვი 1930). ასეთი „გადაცემული“ (relayed) ან „გადატანილი“ (displaced) მეტყველება, ლ. ბლუმფილდის ტერმინები რომ გამოვიყენოთ, შეიძლება ჭარბობდეს ჩვენს საუბარში (discourse), რადგანაც სულაც არ ვზღუდავთ აწმყოში ჩვენს მეტყველებას მოვლენებით, რომელთაც თავად მოლაპარაკე აღიქვამს. ჩვენ ციტირებას ვახდენთ სხვისი გამონათქვამის, ჩვენი საკუთარი წარსული გამონათქვამებისა და გვჩვევია კიდევაც, რომ წარმოვადგი-

<sup>1</sup> Roman Jakobson, Shifters, Verbal Categories and the Russian Verb, *Selected Writings II: Word and Language*, The Hague—Paris, Mouton, 1971, გვ. 130-147; რუსული თარგმანი: Р.О. Якобсон, Шифтеры, глагольные категории и русский глагол, *Принципы типологического анализа языков различного строя*, Издательство «Наука», Главная редакция восточной литературы, Москва 1972, гв. 95-113.

ნოთ ზოგიერთი ჩვენი მიმდინარე გამოცდილება საკუთარი თავის ციტირებით, მაგალითად, მათი შეპირისპირებით სხვის მტკიცებასთან: “Ye have heard that it hath been said but I say unto you” „თქვენ გაიგეთ, რა ითქვა, მაგრამ მე თქვენ გეუბნებით...“ აქ წარმოდგენილია ლინგვისტური პროცესის (process) მულტიპლექსური მდგომარეობა (scale) ციტირებული და კვაზიციტირებული მეტყველებისათვის: oratio recta (პირდაპირი ნათქვამი), obliqua (ირიბი ნათქვამი) და „არასაკუთრივ პირდაპირი ნათქვამის“ (ინგლ. re-peresented discourse; ფრ. style indirect libre) სხვადასხვაგვარი ფორმა. გარკვეული ენები, მაგალითად, ბულგარული (ანდრეიჩინი 1938), კვაკიუტლი (ბოასი 1947) და ჰოპი (უორფი 1946) იყენებენ კონკრეტულ მორფოლოგიურ მექანიზმს იმისათვის, რომ აღნიშნოს მოვლენები, რომლებიც მოლაპარაკისათვის ცნობილია მხოლოდ სხვების მოწმობით. ამგვარად, ტუნია ენაში სხვისგან გაგონილი ყველა მტკიცება (ეს კი ფარავს წინადადებათა უმრავლესობას ტექსტში პირდაპირი ნათქვამის გარდა) გამოხატულია /-áni/-ს, პრედიკატულ სიტყვასთან გამოყენებული ციტატიური პოსტფიქსის საშუალებით (ჰაასი 1941).

**1.3 (C/C)** საკუთარი სახელები (proper names), ა. გარდინერის (გარდინერი 1940) სადავო ნარკვევში განხილული როგორც ლინგვისტური თეორიის ერთ-ერთი რთული საკითხი, განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ ჩვენს ლინგვისტურ კოდში: საკუთარი სახელის ზოგადი მნიშვნელობა ვერ განისაზღვრება კოდზე მითითების გარეშე. ინგლისურის ენობრივ კოდში Jerry „ჯერი“ აღნიშნავს პიროვნებას სახელად ჯერი. წრიულობა აშკარაა: ეს სახელი გულისხმობს ყველას, ვისაც ეს სახელი ეკუთვნის. საზოგადო სახელი (appellative) pup „ლეკვი“ ნიშნავს ახალგაზრდა ძაღლს, mongrel „ნაჯვარი ძაღლი“ გულისხმობს შერეული ჯიშის ძაღლს, hound „მეძებარი“ არის მონადირე ძაღლი, Fido „ფაიდო“ კი მხოლოდ გულისხმობს ძაღლს, რომლის სახელია ფაიდო. ისეთი სიტყვების ზოგადი მნიშვნელობა, როგორცაა pup „ლეკვი“, mongrel „ნაჯვარი ძაღლი“ ან hound „მეძებარი“ შეიძლება აღინიშნოს აბსტრაქციებით puppihood „ლეკვობა“, mongrelness „ნაჯვარობა“ ან houndness „მეძებრობა“, მაგრამ შეუძლებელია, რომ ამგვარად კვალიფიცირდეს Fido „ფაიდოს“ ზოგადი მნიშვნელობა. რომ მოვანდინოთ ბერტრან რასელის სიტყვების პარაფრაზი (რასელი 1940), არსებობს ბევრი ძაღლი სახელად ფაიდო, მაგრამ ისინი არ იზიარებენ „ფაიდონესს“ „ფაიდოურობის“ თვისებებს. აგრეთვე განუსაზღვრელი ნაცვალსახელი (indefinite pronoun), რომელიც შეესატყვისება სახელებს, როგორცაა Jean „ჯინი“, Jan „ჯენი“, Joan „ჯოანი“, June „ჯუნი“ და ა.შ. – what’s-her-name ან what-do-you-call-her ან how-d’ye-call-her „რა ჰქვია მას“ – შეიცავს აშკარა მითითებას კოდზე.

**1.4 (M/C)** ლოგიკის ტერმინებით, შეტყობინება, რომელიც მიმართულია კოდზე, წარმოადგენს მეტყველების ავტონიმიურ (autonymous) ხერხს. როცა ვამბობთ, რომ The pup is a winsome animal „ლეკვი არის მომხიბველი ცხოველი“ ან The pup is whimpering „ლეკვი წკმუტუნებს“, სიტყვა pup „ლეკვი“ აღნიშ-

ნავს ახალგაზრდა ძაღლს, მაშინ როცა ამგვარ წინადადებებში “Pup” is a noun which means a young dog „ლეკვი არის არსებითი სახელი, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდა ძაღლს“, ანუ უფრო მოკლედ, “pup” means a young dog „ლეკვი ნიშნავს ახალგაზრდა ძაღლს“ ან “Pup” is a monosyllable “pup” არის ერთმარცვლიანი“, სიტყვა “pup” – შეიძლება დავადასტუროთ რ. კარნაპის (კარნაპი 1937) თანახმად – გამოიყენება როგორც საკუთარი თავის აღნიშვნა (designation). სიტყვებისა და წინადადებების ნებისმიერი ამხსნელი ინტერპრეტაცია – როგორც შიდაენობრივი (intralingual) (პარაფრაზები (circumlocutions), სინონიმები (synonyms)), ისე ენათაშორისი (interlingual) (თარგმანი (translation)) – წარმოადგენს შეტყობინებას, რომელიც მიმართულია კოდზე. ამგვარი გარდასახვა (hypostasis), როგორც ლ. ბლუმფილდმა მიუთითა, „მჭიდროდ უკავშირდება ციტირებას, მეტყველების განმეორებას (repetition of speech)“ და ის ასრულებს მნიშვნელოვან როლს ენის ათვისებასა და გამოყენებაში.

**1.5 (C/M)** ნებისმიერი ენობრივი კოდი შეიცავს გრამატიკულ ერთეულთა განსაკუთრებულ კლასს, რომლებსაც ო. იესპერსენმა უწოდა შიფტერები (shifters): „შეუძლებელია, შიფტერის ზოგადი მნიშვნელობა განისაზღვროს შეტყობინებაზე მითითების გარეშე.

მათი სემიოტიკური ბუნება ა. ბერკსმა განიხილა თავის გამოკვლევაში, რომელიც შეეხებოდა ჩ. პერსის ნიშანთა კლასიფიკაციას სიმბოლოებად, ინდექსებად და ხატებად. ჩ. პერსის თანახმად, სიმბოლო (მაგ., ინგლისური სიტყვა red „წითელი“) უკავშირდება აღსანიშნ საგანს პირობითობის პრინციპით (conventional rule), ინდექსი კი (მაგ., მითითების აქტი) რეალურად უკავშირდება (existential relation) საგანს, რომელსაც გამოხატავს. შიფტერები აერთიანებენ ორივე ფუნქციას და, მამასადაძე, ეკუთვნიან ინდექსური სიმბოლოების (indexical symbols) კლასს. თვალში საცემ მაგალითად ა. ბერკსს მოჰყავს პირის ნაცვალსახელები. I „მე“ გულისხმობს პიროვნებას, რომელიც წარმოთქვამს I „მეს“. ამგვარად, ერთი მხრივ, ნიშანს I „მე“ არ შეუძლია, რომ წარმოადგინოს საგანი დაკავშირებული ამ უკანასკნელთან პირობითობის პრინციპის გარეშე და სხვადასხვა კოდით იგივე მნიშვნელობა მიეწერება სხვადასხვა მიმღევრობას როგორცაა I „მე“, ego, ich, ja და ა.შ.; აქედან გამომდინარე, I „მე“ არის სიმბოლო. მეორე მხრივ, ნიშანს I „მე“ არ შეუძლია, რომ წარმოადგინოს თავის საგანი ამ საგანთან რეალური კავშირის გარეშე: სიტყვა I „მე“, რომელიც აღნიშნავს მოლაპარაკეს, რეალურად უკავშირდება თავის გამონათქვამს და, მამასადაძე, ფუნქციონირებს როგორც ინდექსი (შდრ. ბენვენისტი 1956).

ხშირად მიიჩნევენ, რომ პირის ნაცვალსახელისა და სხვა შიფტერების თავისებურება მდგომარეობს ერთი, მუდმივი, ზოგადი მნიშვნელობის არარსებობაში. ე. ჰუსერლი (ჰუსერლი 1913) [წერდა]: “Das Wort ‘ich’ nent von Fall zu Fall eine andere Person, und es tut dies mittels immer neuer Bedeutung”.<sup>2</sup> კონტექსტურ

<sup>2</sup> „სიტყვა „მე“ აღნიშნავს ყოველ ჯერზე სხვა პირს იმის წყალობით, რომ მუდმივად იცვლის მნიშვნელობას“.



მნიშვნელობათა ამ სავარაუდო მრავალგვარობისათვის, შიფტერები, სიმბოლოთა საპირისპიროდ, განიხილებოდა როგორც უბრალო ინდექსები (mere indices) (ბიულერი 1934). მიუხედავად ამისა, ყოველ შიფტერს აქვს თავისი საკუთარი ზოგადი მნიშვნელობა. ამგვარად, I „მე“ გულისხმობს იმ შეტყობინების ადრესანტს (და you „შენ“ ადრესატს), რომელსაც ეს შეტყობინება ეკუთვნის. ბერტრან რასელისთვის შიფტერები, ან, მისი ტერმინებით, „ეგოცენტრული სპეციფიკატორები“ (egocentric particulars), განისაზღვრება ფაქტით, რომ ისინი არასოდეს უკავშირდებიან ერთზე მეტს საგანს ერთსა და იმავე დროს. მიუხედავად ამისა, ეს საერთოა ყველა სინკატეგორემული ტერმინისათვის (syncategorematic term). მაგალითად, კავშირი but „მაგრამ“ ყოველ ჯერზე გამოხატავს მაპირისპირებელ დამოკიდებულებას (adversative relation) ორ განსაზღვრულ ცნებას შორის და არა შეუთავსებლობის (contrariety) საერთო (generic) იდეას. ფაქტობრივად, შიფტერები განსხვავდებიან ლინგვისტური კოდის ყველა სხვა შემადგენლისაგან მხოლოდ მოცემულ შეტყობინებაზე მათი სავალდებულო მითითებით.

ინდექსური სიმბოლოები, კერძოდ, კი პირის ნაცვალსახელები, რომლებიც ჰუმბოლდტიანური ტრადიციით მიიჩნევა ენის ყველაზე ელემენტარულ და პრიმიტიულ ფენად, წარმოადგენენ, ამის საპირისპიროდ, რთულ კატეგორიას (complex category), რომელშიც კოდი და შეტყობინება ნაწილობრივ გადაფარავენ ერთმანეთს (overlap). მაშასადამე, ნაცვალსახელები მიეკუთვნებიან ენის იმ ელემენტებს, რომელთაც გვიან ითვისებს ბავშვი და რომლებიც ადრე იკარგება აფაზიის დროს. თუ დავაკვირდებით, რომ ენათმეცნიერებსაც (linguistic scientists) კი გაუჭირდათ, განესაზღვრათ ზოგადი მნიშვნელობა ტერმინისა I „მე“ (ან you „შენ“), რომელიც აღნიშნავს სხვადასხვა სუბიექტის (subject) ერთსა და იმავე მონაცვლეობით ფუნქციას, საეხებით აშკარაა, რომ ბავშვი, რომელმაც ისწავლა, რომ იდენტოფიკაცია მოეხდინა თავისი თავისა საკუთარ სახელთან, ადვილად ვერ მიჩვევა ისეთ გასხვისებად ტერმინს, როგორცაა პირის ნაცვალსახელი: მას შეიძლება ეშინოდეს საკუთარი თავის შესახებ პირველ პირში ლაპარაკის, როდესაც მისი თანამოსაუბრეები მიმართავენ you „შენ“. ხანდახან ცდილობს, რომ გადაანაწილოს ეს ტერმინები (appellations). მაგალითად, ცდილობს პირველი პირის ნაცვალსახელის მონოპოლიზებას: Don't dare call yourself I. Only I am I, and you are only you „არ გაბედო, რომ შენს თავს დაუძახო მე. მხოლოდ მე ვარ მე და შენ ხარ მხოლოდ შენ“. ან განურჩევლად იყენებს ან I-ს „მე“ ან you-ს „შენ“, ორივეს ადრესატისა და ადრესანტისათვის, ასე რომ, ეს ნაცვალსახელი გულისხმობს მოცემული დიალოგის ნებისმიერ მონაწილეს. დასასრულ, ან ბავშვი ისე მკაცრად ანაცვლებს I-ს „მე“ თავის საკუთარ სახელს, რომ ხალისით ასახელებს მის გარშემომყოფ ნებისმიერ პიროვნების სახელს, მაგრამ შეუპოვრად ამბობს უარს, რომ გამოთქვას თავისი საკუთარი სახელი: სახელს მისი პატარა მფლობელისთვის აქვს მხოლოდ წოდებითი (vocative) მნიშვნელობა, I-ს „მე“ სახელობითი (nominative) ფუნქციის საპირისპიროდ. ეს განწყობა (attitude) შეიძლება შენარჩუნდეს როგორც ბავშვური (infantile) გადმონაშთი. ამგვარად, გი დე მოპა-

სანმა აღიარა, რომ თავისი სახელი საკმაოდ უცნაურად ჟღერდა მისთვის, როდესაც თვითონ წარმოთქვამდა. უარი საკუთარი სახელის წარმოთქმაზე შეიძლება გადაიქცეს სოციალურ ჩვეულებად. დ. ზელენინი შენიშნავს, რომ სამოიედურ საზოგადოებაში სახელი მისი მფლობელისთვის (carrier) ტაბუდადებული იყო (ზელენინი 1930).

1.6 Jim told me “flicks” means “movies”. ჯიმმა მითხრა, რომ „კინო“ ნიშნავს „ფილმს“. ეს მცირე გამონათქვამი მოიცავს ორმაგი სტრუქტურების ოთხივე ტიპს: ირიბ ნათქვამს (M/M), მეტყველების ავტონომიურ ფორმას (M/C), საკუთარ სახელს (C/C) და შიფტერებს (C/M), კერძოდ, პირველი პირის ნაცვალსახელი და წარსული დრო (preterit) უთითებს მოვლენას, რომელიც დროის მიხედვით წინ უსწრებს შეტყობინების გადაცემას. ენასა და ენის გამოყენებაში ორმხრივობა (duplicité) ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს. კერძოდ, გრამატიკულ კატეგორიათა, განსაკუთრებით ზმნურ კატეგორიათა, კლასიფიკაცია მოითხოვს შიფტერთა თანმიმდევრულ გამოიჯვანას ერთიმეორისაგან.

## 2. ზმნურ კატეგორიათა კლასიფიკაციის ცდა

2.1 იმისათვის, რომ მოვახდინოთ ზმნურ კატეგორიათა კლასიფიკაცია, უნდა აღინიშნოს ორი არსებითი განსხვავება (basic distinction):

- 1) საკუთრივ მეტყველება<sup>3</sup> (°) და მისი თემა (topic), მოსათხრობი საკითხი (narrated matter) (°);
- 2) საკუთრივ მოვლენა<sup>4</sup> (E) და მისი ნებისმიერი მონაწილე (P), შემსრულებელი (performer) ან სამოქმედო ობიექტი (undergoer).

აქედან გამომდინარე, უნდა განვასხვაოთ ოთხი ერთეული (item): მოსათხრობი მოვლენა<sup>5</sup> (E<sup>n</sup>), სამეტყველო მოვლენა<sup>6</sup> (E<sup>s</sup>), მოსათხრობი მოვლენის მონაწილე (P<sup>n</sup>) და სამეტყველო მოვლენის მონაწილე (P<sup>s</sup>), ადრესანტი ან ადრესატი.

2.1.1 ნებისმიერი ზმნა დაკავშირებულია მოსათხრობ მოვლენასთან. ზმნური კატეგორიები შეიძლება დაიყოს კატეგორიებად, რომლებიც შეიცავენ მოვლენის მონაწილეებს და რომლებიც არ შეიცავენ. კატეგორიები, რომლებიც შეიცავენ მონაწილეებს, შეიძლება დაახასიათონ ან საკუთრივ მონაწილეები (P<sup>n</sup>), ან მათი კავშირი მოსათხრობ მოვლენასთან (P<sup>n</sup>E<sup>n</sup>). მონაწილეთაგან განყენებული კატეგორიები ახასიათებს ან საკუთრივ მოსათხრობ მოვლენას (E<sup>n</sup>) ან მის კავშირს სხვა მოსათხრობ მოვლენასთან (E<sup>n</sup>E<sup>n</sup>). ტერმინ „დესიგნატორს“ (designator) გამოვიყენებთ კატეგორიებისათვის, რომლებიც ახასიათებენ მხოლოდ ერთ ერთეულს (item) – ან საკუთრივ მოვლენას (E<sup>n</sup>) ან საკუთრივ თავის მონაწილეებს (P<sup>n</sup>), იმ კატეგორიებს კი, რომლებიც ახასიათებენ მოსათხრობ პუნქტს (E<sup>n</sup> ან P<sup>n</sup>) სხვა

<sup>3</sup> რუსულ თარგმანში: сообщение

<sup>4</sup> რუსულ თარგმანში: факт

<sup>5</sup> რუსულ თარგმანში: сообщаемый факт

<sup>6</sup> რუსულ თარგმანში: факт сообщения

მოსათხრობ პუნქტთან მიმართებით ( $E^n E^n$  ან  $P^n E^n$ ), ვუწოდებთ „კონექტორებს“ (connector).

დესიგნატორები მიუთითებენ მოსათხრობი პუნქტის ან ხარისხს, ან რაოდენობას და მათ შეიძლება ვუწოდოთ „კვალიფიკატორები“ (qualifiers) ან „კვანტიფიკატორები“ (quantifiers), შესაბამისად.

დესიგნატორებიცა და კონექტორებიც შეიძლება ახასიათებდნენ მოსათხრობ მოვლენას (narrated event; *procés de l'énoncé*) და/ან მის მონაწილეებს სამეტყველო მოვლენაზე (speech event; *procés de l'énonciation*) ( $./E^S$ ), ან მის მონაწილეებზე ( $./P^S$ ) მითითებით ან მითითების გარეშე. კატეგორიებს, რომლებიც გულისხმობენ ამგვარ მითითებას (reference), უნდა ეწოდოს შიფტერები; კატეგორიები ამგვარი მითითების გარეშე წარმოადგენენ არაშიფტერებს (non-shifters).

ნებისმიერი გვარობითი ზმნური კატეგორია, შესაძლებელია, განისაზღვროს ამ ძირითადი დიქტომიების თვალსაზრისით.

**2.2  $P^n$ .** იმ კატეგორიებიდან, რომლებიც შეიცავენ მოსათხრობი მოვლენის მონაწილეებს, **სქესი** და **რიცხვი** ახასიათებს საკუთრივ მონაწილეებს სამეტყველო მოვლენის მითითების გარეშე – სქესი კვალიფიკაციას აძლევს, ხოლო რიცხვი განსაზღვრავს მონაწილეთა რაოდენობას. მაგალითად, ალგონკინურში ზმნური ფორმები მიუთითებენ, ერთი მხრივ, შემსრულებლისა (performer), ხოლო, მეორე მხრივ, სამოქმედო ობიექტის (undergoer) სულიერებასა და უსულობაზე (ბლუმფილდი 1946); როგორც შემსრულებლის, ისე მოქმედების ობიექტის მხოლობითობა (singleness), ორობითობა (duality) ან მრავლობითობა (multiplicity) გამოხატულია კორიაკული ენის უღლებაში (ბოგორაზი 1922).

**2.2.1  $P^n/P^S$ .** პირი ახასიათებს შესატყობინებელი მოვლენის მონაწილეებს სამეტყველო მოვლენის მონაწილეებთან მიმართებით. ამგვარად, პირველი პირი გამოხატავს შესატყობინებელი მოვლენის მონაწილის იგივეობას სამეტყველო მოვლენის შემსრულებელთან, ხოლო მეორე პირი – სამეტყველო მოვლენის რეალურ ან პოტენციურ სამოქმედო ობიექტთან.

**2.3  $E^n$ .** **სტატუსი** და **ასპექტი** ახასიათებენ შესატყობინებელ მოვლენას თავისთავად, მონაწილეებსა და სამეტყველო მოვლენაზე მითითების გარეშე. სტატუსი (ბ. უორფის ტერმინოლოგიით) განსაზღვრავს მოვლენის ლოგიკურ თვისებას. მაგალითად, ნივზურში მტკიცებითი (affirmative), სავარაუდო (presumptive), უარყოფითი (negative), კითხვითი (interrogative) და კითხვით-უარყოფითი (negative-interrogative) სტატუსები გამოიხატება განსაკუთრებული (special) ზმნური ფორმებით (კრეინოვიჩი 1934). ინგლისურში დადასტურებითი (assertive) სტატუსი იყენებს “do” დამხმარე ზმნასთან კომბინაციებს, რომელიც გარკვეულ პირობებში არის ფაკულტატიური მტკიცებით-დადასტურებითი (affirmative assertion) სტატუსისათვის, მაგრამ სავალდებულო – უარყოფითი ან კითხვითი (questioned) მტკიცებისათვის. ასპექტის შესახებ, რომელიც შესატყობინებელ მოვლენათა რაოდენობას განსაზღვრავს, იხილეთ მაგალითები 3.3-ში.

**2.3.1**  $E^n/E^s$ . **დრო** ახასიათებს შესატყობინებელ მოვლენას სამეტყველო მოვლენასთან მიმართებით. ამგვარად, წარსული დრო ინფორმაციას გვაწვდის, რომ შესატყობინებელი მოვლენა წინ უძღვის (anterior to) სამეტყველო მოვლენას.

**2.4**  $P^n/E^n$ . **გვარი** ახასიათებს დამოკიდებულებას შესატყობინებელ მოვლენასა და მის მონაწილეებს შორის სამეტყველო მოვლენაზე ან მოლაპარაკეზე მითითების გარეშე.

**2.4.1**  $P^nE^n/P^s$ . **კილო** ახასიათებს შესატყობინებელი მოვლენისა და მისი მონაწილეების დამოკიდებულებას სამეტყველო მოვლენის (speech event) მონაწილეებთან: ვ. ვინოგრადოვის ფორმულირების თანახმად, ეს კატეგორია „გამოხატავს მოლაპარაკის თვალსაზრისს მოქმედებასა და მოქმედ პირს ან მიზანს შორის კავშირის ხასიათზე“ (ვინოგრადოვი 1947).

**2.5**  $E^nE^n$ . ამ კატეგორიისთვის არ არსებობს სტანდარტიზებული სახელი; ისეთი ტერმინები (labels), როგორცაა „ფარდობითი დრო“ (relative tense) მოიცავს მხოლოდ მის ერთ-ერთ ვარიანტს. ლ. ბლუმფილდის (ბლუმფილდი 1946) ტერმინი „დალაგება“ (order) ან, უფრო სწორად, მისი ბერძნული პირველსახე (model) ტაქსისი (taxis) ჩანს როგორც ყველაზე უფრო შესაფერისი. ტაქსისი ახასიათებს შესატყობინებელ მოვლენას სხვა შესატყობინებელ მოვლენასთან მიმართებით და სამეტყველო მოვლენასთან მითითების გარეშე, ამგვარად, ნივთიერი განარჩევს სამი სახის დამოუკიდებელ ტაქსისს (independent taxis) – ერთი მოითხოვს (require), მეორე უშვებს (admit), ხოლო მესამე გამორიცხავს (exclude) დამოკიდებულ ტაქსისს (dependent taxis), ხოლო დამოკიდებული ტაქსისი გამოხატავს სხვადასხვა ტიპის ურთიერთობას დამოუკიდებელ ზმნასთან (independent verb) – თანადროულობას (simultaneity), უწინარესობას (anteriority), შეწყვეტას (interruption), დათმობით კავშირს (concessive connection) და ა.შ. მსგავსი მოდელი (pattern) აღწერა ბ. უორფმა ჰობი ენაში.

**2.5.1**  $E^nE^{ns}/E^s$ . ვეიდენციალურობა (დადასტურებითობა; evidential) არის საცდელი ტერმინი (label) ზმნური კატეგორიისა, რომელიც ითვალისწინებს სამ მოვლენას – შესატყობინებელი მოვლენა, სამეტყველო მოვლენა, შესატყობინებელი სამეტყველო მოვლენა (narrated speech event) ( $E^{ns}$ ), კერძოდ, სავარაუდო წყარო ინფორმაციისა შესატყობინებელი მოვლენის შესახებ. მოლაპარაკე გვატყობინებს მოვლენას სხვისი შეტყობინების (ციტატივი (quotative), ე.ი. გაგონილი ფაქტი), სიზმრის (გამომჟღავნებული ფაქტი (revelative)), ვარაუდის (სავარაუდო (presumptive) ფაქტი) ან თავისი საკუთარი წარსული გამოცდილების (მეხსიერების (memory) ფაქტი) საფუძველზე. ბულგარული ზმნის უღლება განასხვავებს ორ სემანტიკურად დაპირისპირებულ ფორმას: „პირდაპირი თხრობა“ (direct narration;  $E^{ns} = E^s$ ) ~ „ირიბი თხრობა“ (indirect narration;  $E^{ns} \neq E^s$ ). ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა დაემართა ორთქლმავალ „ველოკიას“, ერთმა ბულგარელმა ჯერ გვიპასუხა: zaminala „ამბობენ, რომ გაცურა“ (it is claimed, to have sailed), ხოლო შემდეგ

დაამატა: zamina „მოწმე ვარ, რომ გაცურა“ (I bear witness; it sailed) (შდრ. ჰ.გ. ლანტის თანმიმდევრული განსხვავება დამოწმებისა (vouched for) და დაშორებულობის (distanced) მოვლენებს შორის, გაკეთებული მაკედონიური ენის ზმნურ მოდელებში) (ლანტი 1952).

2.6 ყველა ამ გვარობითი კატეგორიის (generic categories) ურთიერთდამოკიდებულების საილუსტრაციოდ წარმოდგენილია შემდეგი საერთო სქემა:

	P-თი		P-ს გარეშე	
კვალიფიკატორი	დესიგნატორი	კონექტორი	დესიგნატორი	კონექტორი
კვანტიფიკატორი	სქესი რიცხვი	გვარი	სტატუსი ასპექტი	ტაქსისი
შიფტერი	პირი		დრო	ევიდენციალურობა
შიფტერი		კილო		

შიფტერებისა და არაშიფტერების დაპირისპირების ხაზგასმის მიზნით, ეს მოდელი, შესაძლებელია, გარდაკქმნათ მარტივ ცხრილად:

	P-თი		P-ს გარეშე	
არაშიფტერები	დესიგნატორი	კონექტორი	დესიგნატორი	კონექტორი
შიფტერები	$P^n$ $P^n/P^s$	$P^nE^n$ $P^nE^n/P^s$	$E^n$ $E^n/E^s$	$E^nE^n$ $E^nE^{ns}/E^s$

### 3. რუსული ზმნის გრამატიკული მნიშვნელობები (concepts)

3.1 ჩამოეთვალათ და დავაღვთოთ რუსული ზმნური ფორმებით გამოხატული გრამატიკული ცნებები. ეს სია აუბჯობესებს და ავსებს ჩვენს 1932 და 1939 წლების გამოკვლევებს. როგორც ამ ნაშრომებში იყო მითითებული, ერთ-ერთი ორი ურთიერთდაპირისპირებული გრამატიკული კატეგორიიდან არის „მარკირებული (marked), მეორე კი – „არამარკირებული“ (unmarked). მარკირებული კატეგორიის ზოგადი მნიშვნელობა მდგომარეობს განსაზღვრული (დადებითი ან უარყოფითი) A თვისების არსებობაში; შესაბამისი არამარკირებული კატეგორიის ზოგადი მნიშვნელობა არაფერს ამტკიცებს A თვისების არსებობის შესახებ და უპირატესად გამოიყენება, მაგრამ არა მხოლოდ, რომ მიუთითოს A-ს არარსებობა. არამარკირებული ტერმინი ყოველთვის არის მარკირებული ტერმინის უარყოფა, ზოგადი მნიშვნელობის დონეზე ორი საწინააღმდეგო მტკიცების დაპირისპირება შეიძლება განიმარტოს როგორც „A-ს მტკიცება ~ A-ს მტკიცების არარსებობა“, მაშინ როცა ვიწრო, ბირთვული (nuclear) მნიშვნელობების დონეზე, გვაქვს საქმე „A-ს მტკიცება ~ არა-A-ს მტკიცება“ დაპირისპირებასთან.

როცა ვენებით დაპირისპირებული გრამატიკული კატეგორიების წყვილს, ჩვენ ყოველთვის ვახსიათებთ მათ როგორც „მარკირებული ~ არამარკირებული“ ამგვარი თანმიმდევრობით. მსგავსად, კატეგორიათა კლასების განხილვისას ჯერ

განვიხილავთ დესიგნატორებს, ხოლო შემდეგ კონექტორებს. თითოეული ასეთი კატეგორიის კლასებში კატეგორიები, რომლებიც შეიცავენ P-ს, ჩამოითვლება იმ კატეგორიებამდე, რომლებიც შეეხებიან მხოლოდ E-ს. დასასრულ, მართებულა, რომ შიფტერები განვიხილოთ შესაბამისი არაშიფტერების წინ.

აღწერა მოიცავს ყველა ზმნურ კატეგორიას ჰიბრიდული კლასის – მიმღებების (participle) გარდა, რომლებიც გრამატიკულად მიეკუთვნებიან როგორც ზმნებს, ასევე ზედსართავ სახელებს.

**3.2 პირი:** ა) პირიანი (მიუთითებს, რომ  $P^n = P^s$ ) ~ უპირო; ბ) პირიანი: 1-ლი პირი (მიუთითებს ადრესანტს) ~ მე-2 პირი (მიუთითებს ნებისმიერ დასაშვებ  $P^s$ -ს და, უფრო ვიწროდ, ადრესატს); გ) მე-2 პირში: ინკლუზიური (მიუთითებს ადრესანტის მონაწილეობას) ~ ექსკლუზიური (ამგვარი მითითების გარეშე); ბრძანებითი (imperative) და ჰორტატიული (hortative) იყენებენ ამ განსხვავებას: შდრ. *отдохнем* და *отдохни*, *отдохнемте* და *отдохните*.

**3.2.1 სქესი:** ა) სუბიექტური (მიუთითებს  $P^n$ -ის თანდასწრებას) ~ საშუალო (neuter); ბ) სუბიექტურის შიგნით: მდებარებითი (მიუთითებს, რომ  $P^n$  არ არის მამრობითი) – მამრობითი (რომელიც არ აზუსტებს სქესს): *Вошел старший врач, женщина лет сорока.*

**რიცხვი:** მრავლობითი (მიუთითებს  $P^n$ -ის მრავლობითობას) ~ მხოლობითი.

**3.3 დრო:** წარსული (preterit) ~ ახლანდელი (present)

**3.3.1 რუსულში სტატუსი** გამოიხატება სინტაქსურ და არა მორფოლოგიურ დონეზე: შდრ. *He он... He пойдет... Он ли? ... Пойдет ли?*

**ასპექტი:** ა) პერფექტივი (ეხება  $E^n$ -ის სრულ დასრულებულობას) ~ იმპერფექტივი (გაურკვეველია დასრულებულობა-დაუსრულებლობასთან მიმართებით): შდრ. იმპ. *петь* „მღერა“ და პერფ. *спеть* „მღერის დასრულება“; იმპ. *допевать* „მღერის ბოლო ეტაპზე ყოფნა“ და პერფ. *допеть* „მღერის ბოლო ეტაპის დასრულება“; იმპ. *запевать* „მღერის საწყის ეტაპზე ყოფნა“ და პერფ. *запеть* „მღერის საწყისი ეტაპის დასრულება“. წარსული დრო აღნიშნავს, რომ ორი მოვლენიდან  $E^n$  უძღვის  $E^s$ -ს, ახლანდელი დრო კი არ გულისხმობს თანმიმდევრობას; აქედან გამომდინარე, პერფექტივი წარსულ დროში არ შეიძლება გამოვიყენოთ განმეორებადი დასრულებისათვის, რადგანაც მხოლოდ ბოლო დასრულებულობა დროით თანმიმდევრობაში გამოიხატება პერფექტივით: *Иногда он поговоривал (იმპ.) о реформах (პერფ. поговорил არ შეიძლება გამოვიყენოთ); То выстрел раздавался (იმპ.), то слышались крики (წარსული დროის პერფექტივი раздался, слышались შეუძლებელია, ჩაუნაცვლდნენ ამ იმპერფექტივის ფორმებს).* მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მრავალგზისი (repetitive) მოვლენა შევკამბულია და მოცემულია მისი საბოლოოდ დასრულება, შეიძლება გამოვიყენოთ წარსული დროის პერფექტივი: *За все эти дни он понаговорил о реформах.* ახლანდელი დრო, სადაც გრამატიკა არ გულისხმობს მოვლენათა დროით თანმიმდევრობას,

ყოველი დასრულება არის აბსოლუტური და გამოიყენება პერფექტივი: Иногда он поговорит о реформах; То выстрел раздался, то крики слышатся. წარსული დროის პერფექტივი მიუთითებს E<sup>n</sup>-ის უწინარესობას (E<sup>s</sup>-თან მიმართებით) და მის დასრულებულობას. ახლანდელი დროის პერფექტივი არ მიუთითებს, E<sup>n</sup> უძღვის თუ არა E<sup>s</sup>-ს, როდის გამოიყენება თავისი ვიწრო, ბირთვული (nuclear) მნიშვნელობით, ის გვაცნობებს, რომ E<sup>n</sup> არ უძღვის E<sup>s</sup>-ს და, ამგვარად, მისი მოსალოდნელი დასრულებულობა დროში მოსდევს E<sup>s</sup>-ს: ახლანდელი დროის პერფექტივისათვის მომავალი დრო ყველაზე ჩვეულებრივი მნიშვნელობაა, მაგალითად, Они Закричат „დაიყვირებენ“.

ბ) იმპერფექტივიში: განსაზღვრული (მიუთითებს E<sup>n</sup>-ის მთლიანობას, დაურღვევლობას) ~ განუსაზღვრელი, მაგალითად, ехать ~ ездить;

გ) იმპერფექტივისა და განუსაზღვრელ ასპექტში: იტერატიული (მიუთითებს არაერთხელ განმეორებულ ან ჩვეულ (habitual) მოქმედებას წარსულში და მოგვიანებით სამუდამოდ შეწყვეტილ E<sup>n</sup>-ს) ~ არაიტერატიული: он плясывал „ცეკვავდა, მაგრამ მოგვიანებით შეწყვიტა“ – он плясал „ცეკვავდა“;

დ) იმპერფექტივიში: დაწყებითი (ინცეპტივი; inceptive) (მიუთითებს E<sup>n</sup>-ის საწყის ეტაპს) ~ არადაწყებითი (არაინცეპტივი; non-inceptive).

ე) დაწყებითი: პერფექტიზებული (perfectivized) („მომავალი“) ~ არაპერფექტიზებული (non-perfectivize). ინცეპტივის ორივე ნაირსახეობა გამოიხატება პერიფრასტული (periphrastic) ფორმებით, რომლებიც ახდენენ იმპერფექტიული ზმნის ინფინიტივის კომბინირებას „ყოფნა“ დამხმარე ზმნის ახლანდელი დროის ფორმებთან. არაპერფექტიზებული ინცეპტივი იყენებს დამხმარე ზმნის იმპერფექტივის ფორმას, პერფექტიზებული ინცეპტივი კი მიმართავს შესაბამის პერფექტივის ფორმებს. ახლანდელი დროის იმპერფექტივის ფორმა გამოიხატება ნულოვანი ფორმით (#), უპირისპირდება წარსული დროის იმპერფექტივს был და ა.შ., ერთი მხრივ, და ახლანდელი დროის პერფექტივს буду და ა.შ., მეორე მხრივ. არაპერფექტიზებული მარტივად ადასტურებს დაწყების აქტს (act of starting): они кричать „სადაცაა, ყვირილს დაიწყებენ“; პერფექტიზებული ინცეპტივი წინასწარმეტყველებს (anticipate) დაწყებითი აქტის (starting act) დასრულებას: они будут кричать „მათგან ყვირილს ელიან“. თანაფარდობა ამ ორ ფორმას შორის მსგავსია ჩვეულებრივი დამოკიდებულებისა они кричат და они закричат შორის [საწინააღმდეგო აზრი გამოითქვა, რომ ისეთი ფორმები, როგორიცაა они кричать უბრალო ელიფსისური კონსტრუქციებია (они стали ან начали кричать), თითქოსდა წინადადებაში შემოსაზღვრული ტერმინალური პოზიციით (terminal position) და ინფინიტივით, რომელსაც მიჰყავს გარე, ამკარა მოქმედებად. რწმენა იმისა, რომ ფინიტიური ზმნა გამოტოვებულია ამგვარ გამონათქვამებში, დიდი ხანია მართებულად უკუაგდო ა. შახმატოვმა, ვინმემ კი ამოდ შეიძლება სცადოს, რომ „ყოფნა“ დამხმარე ზმნის ნულოვანი ფორმა ჩაანაცვლოს ზოგიერთი წარსული დროით ისეთ ანდაზებში, როგორიცაა люди молотить, а он замки колотить „ხალხი გაღეწვას აპირებდა, ის კი საკეტების გატეხას აპირებდა“. არც შეზღუ-

დული მითითებები (restrictive refereneces) „ფინალურ პოზიციასა“ და „კონკრეტულ მოქმედებაზე“, არც ძველი მცდელობები, რომ მოვიხმოთ შეკითხვაში მეორე პირის გამოყენება კონსტრუქციათა ამგვარ ტიპებში ითვალისწინებს ამგვარი მიმდინარე შემობრუნებები მეტყველებისა, როგორცაა ты философствовать, да всё без толку „შენ ფილოსოფოსობ, მაგრამ მაინც სრულებით აზრი არ აქვს“].

**3.4 კლ: ა)** კავშირებითი<sup>7</sup> (მიუთითებს მოვლენას, რომელიც შეიძლება მომხდარიყო მოლაპარაკის აზრით, მაგრამ სინამდვილეში არ მომხდარა) ~ თხრობითი (indicative).

შდრ.: жил бы он на воле, не знал бы печали „თავისუფლად რომ ეცხოვრა, დარდი არ ეცოდინებოდა“ და жил он на воле, не знал печали „თავისუფლად ცხოვრობდა და არ იცოდა დარდი“; жить бы ему на воле, не знать бы печали „თავისუფლად რომ ცხოვრობდეს, არ ეცოდინებოდა დარდი“ და жить ему на воле, не знать печали „შეიძლება ცხოვრობს თავისუფლად და არ იცის დარდი“; жить бы ему на воле! „დაე, იცხოვროს თავისუფლად!“<sup>8</sup>

**ბ)** ინიუნქტივი (მიუთითებს, რომ E<sup>n</sup> თავს მოხვეულობს მონაწილეზე) ~ თხრობითი.

არსებობს ინიუნქტივის ორი ძირითადი ნაირსახეობა: ან წარმოადგენს წმინდა მოწოდებას (მიმართვის ფორმას; address-form), ან გადანაცვლებულია თხრობითი (declarative) ფორმაში.

ინიუნქტივის მიმართვის ორი ფორმა უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან: ჰორტატივი (მიუთითებს E<sup>n</sup>-ში მონაწილეობას) ~ იმპერატივი (imperative). ეს უკანასკნელი მოითხოვს E<sup>n</sup>-ში მონაწილეობას, პირველი კი უმატებს დარწმუნების ელემენტს. პერფექტივიანი და განსაზღვრულასპექტიანი ზმნები ამ კატეგორიებს გამოხატავს უნივერსალური ფორმებით,<sup>9</sup> სხვა ზმნები კი იყენებენ პერიფრასტულ ფორმებს, რომ მიუთითონ ინკლუზიურ პირზე. მაგალითად, ჰორტატივში პერფექტიული ზმნა написать და შესაბამისი იმპერატივი писать წარმოადგენენ პარადიგმას: адрესанტი напишу-ка, буду-ка писать, адрესати напиши-ка, пиши-ка, адрესატები напишите-ка, пишите-ка, адрესант-ადრესати напишем-ка, будем-ка писать, (დასუსტებული მიმართვა (attenuated appeal): давай-ка писать), адрესант-ადრესატები, напишемте-ка, будемте-ка писать (დასუსტებული (attenuated) дайте-ка писать). იმპერატივი გვთავაზობს იმავე პარადიგმას, რასაც ჰორტატივი, მაგრამ ка ნაწილაკისა და ექსკლუზიური ადრესანტის ფორმის (1მხ.) გარეშე: იმპერატივში ადრესატი ყოველთვის ჩართულია, მიუხედავად იმისა, მხოლოდითსა თუ მრავლობითში და ადრესანტის მონაწილეობით თუ მის გარეშე, მაშინ როცა ჰორტატივი მოიცავს ადრესატს და/ან ადრესანტს. მხოლოდ განსაზღვრული ზმნების ჰორტატივს აკლია 1-ლი მხოლოდითი რიცხვის ფორმა.

<sup>7</sup> ორიგინალში: conditional; რუსულ თარგმანში: сослагательное

<sup>8</sup> რუსულ თარგმანში ერთით მეტი წინადადება: жить ему на воле!

<sup>9</sup> რუსულ თარგმანში: ერთი და იმავე ზმნის სხვადასხვა ფორმით



ინიუნქტივის თხრობითი (declarative) ფორმა მოკლებულია გრამატიკული პირისა და რიცხვის განსხვავებას და სინტაქსურად შეიძლება გამოიყენებოდეს ეგრეთ წოდებულ „სამივე პირთან“ ორივე რიცხვში. როცა გამოიყენება პირობით დამოკიდებულ წინადადებაში (conditional clause), ნიშნავს, რომ მოლაპარაკე გამოთქვამს დაშვებას ფაქტთა საწინააღმდეგოდ (counterfactual assumption): победы (ბეგი) он, ему бы не сдобрывать „რომ გაქცეულიყო, მისთვის ცუდი აღმოჩნდებოდა“. დამოუკიდებელ წინადადებაში (independent clause) იმპერფექტიული ზმნების ეს ფორმა აღნიშნავს P<sup>s</sup>-ით ნავარაუდებ იძულებას P<sup>n</sup>-ზე: все отдыхают, а он беги „ყველა ისვენებს, ის კი უნდა გაიქცეს“. შესაბამისი პერფექტივის ფორმა გულისხმობს P<sup>n</sup>-ის შესრულებულ მოქმედებას, მაგრამ ისე მოულოდნელს P<sup>s</sup>-ისთვის, რომ ჩანს კონტრაფაქტული; все отдыхают, а он (ни с того, ни с сего) победы „ყველა ისვენებს, ის კი (უეცრად) გაიქცა“. როცა ასეთი თხრობითი ინიუნქტივი (narrative injunctive) მიიღება (to be built from) იმპერფექტიული ზმნებისგან, მიმართავს პერიფრასტულ იმპერატიულ ფორმას: все отдыхают, а он (ни с того, ни с сего) давай бежать „ყველა ისვენებს, ის კი (უეცრად) გარბის“. ამგვარად, პერფექტიული ზმნის თხრობითი (narrative) ინიუნქტივი იყენებს თავისი ადრესატის იმპერატიულ ფორმას (2მხ.), იმპერფექტიული ზმნის ნარატიული ინიუნქტივი კი იყენებს დამხმარე ზმნის давай „მოდი“ ადრესატის იმპერატიულ ფორმას. მხოლოდ იმპერფექტიული ზმნები როცა გამოიყენება დამოუკიდებელ წინადადებაში (independent clause), გამოხატავს განსხვავებას დეკლარაციული ინიუნქტივის (declarative injunctive) ორ ნაირსახეობას შორის: დასაშვები (assumptive) бeги და მაკონსტანტირებელი (narrative) давай бежать.

**3.4.1 გვარი (voice):** უკუქცევითი (reflexive) ~ არაკუქცევითი (non-reflexive). ამ უკანასკნელისგან განსხვავებით უკუქცევითი საზღვრავს შესატყობინებელი მოვლენის მონაწილეებს. უკუქცევითების შესაბამისი არაკუქცევითი ზმნები სინტაქსურად შეიძლება იყოს გარდამავალი (transitive) ან გარდაუვალი (intransitive). გარდამავალი უშვებს ორ ძირითად P<sup>n</sup>-ს – ქვემდებარესა (subject) და პირდაპირ დამატებას (direct object), უკუქცევითი ფორმა კი გამორიცხავს მეორე მათგანს. შდრ. Соня мыла посуду „სონიამ გარეცხა ჭურჭელი“ და Соня мылась „სონიამ დაიბანა“ ან посуда мылась „ჭურჭელი გაირეცხა“. ქვემდებარე (grammatical subject) არის ერთადერთი ძირითადი მონაწილე, რომელსაც უშვებს გარდაუვალი ზმნა. როგორც წესი, შესაბამისი უკუქცევითი ფორმა გამორიცხავს ქვემდებარეს და გამოიყენება მხოლოდ უპირო (impersonal) კონსტრუქციებში (შდრ. я тяжело дышу „მძიმედ ვსუნთქავ“ და тяжело дышится „ძნელია სუნთქვა“); ან იშვიათ შემთხვევაში მოქმედების სფერო მნიშვნელოვნად იზღუდება (შდრ. парус белеет „იალქანი თეთრია“ და парус белеется вдали „იალქანი თეთრად კამკამებს შორს“; звоню „ვრეკავ“ და звонюсь „კარზე ვრეკავ“).

**3.5 ევიდენციალურობა (evidential)** რუსულში გამოხატულია მხოლოდ სინტაქსურ დონეზე. შდრ. ნაწილაკები, როგორცაა де, мол და საშუალებები, რომ-

ლებიც გამოიყენება პირდაპირი და ირიბი ნათქვამის (direct and indirect speech) სხვადასხვა ფორმაში.

**3.5.1 ტაქსისი (taxis) ა) დამოკიდებული (dependent) (მოუთითებს E<sup>n</sup>-ის თანხლებას სხვა, მთავარ E<sup>n</sup>-თან) ~ დამოუკიდებელი (independent).** დრო დამოკიდებულ ტაქსისში ფუნქციონირებს საკუთრივ როგორც ტაქსისი: გამოხატავს ტემპორალურ დამოკიდებულებას მთავარ E<sup>n</sup>-თან და არა E<sup>s</sup>-თან, როგორც ეს ხდება დამოუკიდებელი ტაქსისის შემთხვევაში.

დამოკიდებულება წარსული დრო (preterit) ~ ახლანდელი დრო (present) გარდაიქცევა დაპირისპირებად, ბ. უორფის ტერმინოლოგიით, როგორც დროითი ინტერვალი (sequential) (გამოხატავს ტემპორალურ კავშირს ორ E<sup>n</sup>-ს შორის). იმპერფექტივის წარსული დროის აბსოლუტივი (gerund): *встречав ее ранней молодости, он снова увидел ее через двадцать лет „ადრეულ ახალგაზრდობაში შეხვედრების შემდეგ მან დაინახა კვლავ ოცი წლის შემდეგ“; никогда не встречав его раньше, я вчера познакомился с ним „არასოდეს შეხვედრივარ, გუშინ გავიცანი“.* იმპერფექტივის ახლანდელი დროის აბსოლუტივი: *встречая друзей, он радовался аნ радуется „მეგობრებთან შეხვედრის შემდეგ უხაროდა“; он умер работая „მუშაობისას გარდაიცვალა“* (ორივე მოვლენა ერთმანეთს დროში მჭიდროდ უკავშირდება). მსგავსი დამოკიდებულებაა პერფექტიული ზმნის აბსოლუტივში წარსული და ახლანდელი დროის ფორმებს შორის – *встретив და встретя*. საეჭვოა, შესაძლებელი იყოს, რომ მეორე ფორმა ჩაენაცვლოს პირველს ისეთ წინადადებებში, როგორცაა *встретив ее ранней молодости, он снова увидел ее через двадцать лет „ადრეულ ახალგაზრდობაში ერთხელ შეხვედრის შემდეგ, კვლავ დაინახა ოცი წლის შემდეგ“*, ან *никогда с ней больше не виделся „მეტად არასოდეს უნახავს“.* შეიძლება ითქვას *прочитав (ან прочтя) книгу, он задумался „წიგნის წაკითხვის შემდეგ ჩაფიქრდა“*, მაგრამ *прочтя შეუძლებელია გამოვიყენოთ წინადადებაში прочитав книгу, он впоследствии часто говорил о ней „როცა წაკითხა წიგნი, შემდგომში ხშირად ლაპარაკობდა მასზე“.* პერფექტიული ზმნის ახლანდელი დროის აბსოლუტივის მაგალითები: *встретя вас, я (შეიძლება დაემატოს при этом) не поверил (ან не хотел верить) своим глазам „შენთან შეხვედრის შემდეგ ვერ ვუჯერებდი (არ მინდოდა დამეჯერებინა) საკუთარ თვალებს“;* ორივე მოვლენა არის თითქმის თანადროული (simultaneous). თუ მთავარი ზმნა უძღვის ამგვარ აბსოლუტივს, ამ უკანასკნელმა შეიძლება გამოხატოს ორი მომიჯნავე მოვლენიდან პირველის შედეგი: *он внес предложение, встретя (при этом) ряд возражений „იგი შემოვიდა წინადადებით, რამაც რამდენიმე საწინააღმდეგო აზრი გამოიწვია“; она упала, повредя себе (при этом) ребро „დაეცა და (ამასთანავე) ნეკნი დაიზიანა“.* ზმნების მხოლოდ მცირე რაოდენობა წარმოქმნის პერფექტივის ახლანდელი დროის აბსოლუტივს და მათ პარადიგმაშიც კი არის ტენდენცია, რომ ჩაენაცვლოს ამგვარ ფორმებს წარსული დროის ფორმა და ამგვარად მოიხსნას განსხვავება ინტერვალისა (sequential) და კონტაქტის (concurive) კატეგორიებს შორის პერფექტივის აბსოლუტივში: *он*

зажег спичку, осветив (осветя-ს ნაცვლად) комнату „ასანთი აანთო და გაანათა ოთახი“, მაგრამ он зажег спичку, каждый раз освещая (და არა освещав<sup>10</sup>) на миг комнату „ანთებდა ასანთს და ყოველ ჯერზე წამით ანათებდა ოთახს“.

ჩემი თაობის მოსკოველთა მეტყველებაში წარსული დროის აბსოლუტივი (sequential) იყოფა ორ წმინდა ტაქსისურ ფორმად – კონსეკვენციური (consequential<sup>11</sup>) (უჩვენებს ორ E<sup>n</sup>-ს შორის შინაგან კავშირს) ~ არაკონსეკვენციური (non-consequential)<sup>12</sup> (შინაგანი კავშირის მითითების გარეშე): никогда не встречавши актеров, он не знал, как говорить с ними „რადგანაც არასდროს შეხვედრია მსახიობებს, არ იცოდა, როგორ დალაპარაკებოდა მათ“; никогда прежде не встречав актеров, он случайно познакомился с Качаловым „მანამდე არასდროს შეხვედრია მსახიობებს, შემთხვევით გაიცნო კაჩალოვი“; встретивши его, она густо покраснела „გაწითლდა მასთან შეხვედრის გამო“, встретив Петра, он вскоре столкнулся еще с несколькими знакомыми „პეტრესთან შეხვედრის შემდეგ მალევე შეეჩხრა რამდენიმე ნაცნობს“. უფრო ადვილია, რომ ფორმები, როგორცაა встретив ჩაენაცვლოს ფორმებს, როგორცაა встретивши, ვიდრე პირიქით. შეიძლება ითქვას снявши (ან сняв) пальто, я почувствовал пронизывающий<sup>13</sup> холод „როდესაც გავისხადე პალტო, ვიგრძენი გამჭოლი ყინვა“. მაგრამ ფორმა снявши თითქმის საეჭვოა, რომ შესაძლებელი იყოს ამგვარ წინადადებაში сняв пальто, я сел за стол „პალტოს გახდის შემდეგ მიუუჯექი მაგიდას“. ამგვარად, მოჩვენებითი სინონიმურობა ისეთი ფორმებისა, როგორებიცაა схватя, схватив, схвативши ან похалтурия, похалтури, похалтуривши, ფაქტობრივად, არასწორია.

**3.6** ყველა ზმნურ ფორმას შორის ინფინიტივი შეიცავს მინიმალურ გრამატიკულ ინფორმაციას. არ გამოხატავს არც აღსაწერი მოვლენის მონაწილეს, არ მიანიშნებს ამ მოვლენის კავშირზე სხვა აღსაწერ მოვლენებსა და სამეტყველო მოვლენასთან. ამგვარად, ინფინიტივი გამოორიცხავს პირს, სქესს, რიცხვს, ტაქსისსა და დროს.

ზმნურ კატეგორიათა თანხვედრა შეზღუდულია შემზღუდველი კანონებით ნაკლებად, ვიდრე ინფინიტივში.

სქესი და მარკირებული რიცხვი (მრავლობითი) ურთიერთგამომრიცხავია.

პირი და სქესი ურთიერთგამომრიცხავია.

პირი ვარაუდობს რიცხვს.

პირი და მარკირებული დრო (წარსული) ურთიერთგამომრიცხავია.

P-დესიგნატორები (მონაწილეთა დესიგნატორები) და მარკირებული ტაქსისი (აბსოლუტივი) ურთიერთგამომრიცხავია.

მარკირებული ასპექტები 1) პერფექტივი, განსაზღვრული და იტერატივი, 2) პერფექტივი, იტერატივი და ინცეპტივი ურთიერთგამომრიცხავია, და მხოლოდ გან-

<sup>10</sup> რუსულ თარგმანში: осветив

<sup>11</sup> რუსულ თარგმანში მითითებულია ტერმინი “correlative”

<sup>12</sup> რუსულ თარგმანში მითითებულია ტერმინი “non-correlative”

<sup>13</sup> რუსულ თარგმანში: пронзительный

საზღვრული და ინცეპტივი ეთავსებიან ერთმანეთს: მაგალითად, он нежить და он бюджет нежить.

ინცეპტივი გამორიცხავს მარკირებულ დროს (წარსული), მარკირებულ (არათხრობით) კილოსა და მარკირებულ ტაქსისს (აბსოლუტივი).

იტერატივი გამორიცხავს ახლანდელ დროს და ინიუნქტივს (რომელიც თანაფარდობაშია ახლანდელ დროსთან).

პირობითი კილო და ახლანდელი დრო ურთიერთგამომრიცხავია.

ინიუნქტივის მოწოდების ფორმების გარდა მარკირებული (არათხრობითი) კილოები და პირი ურთიერთგამომრიცხავია.

მიმართვის ფორმები გამორიცხავს დაპირისპირებას პირიანი ~ უპირო და გულისხმობს დაპირისპირებას ინკლუზიური ~ არაინკლუზიური.

მარკირებული (არათხრობითი) კილო და მარკირებული ტაქსისი (აბსოლუტივი) ურთიერთგამომრიცხავია.

აღნიშნულთაგან განსხვავებით, ასპექტი და გვარი ის კატეგორიებია, რომლებიც ეთავსებიან ნებისმიერ სხვა ზმნურ კატეგორიას. მიუხედავად ამისა, ასპექტიდან მხოლოდ წყვილები პერფექტივი ~ იმპერფექტივი და განსაზღვრული ~ განუსაზღვრელი მოიცავენ ყველა ზმნურ კატეგორიას. წყვილი ინცეპტივი ~ არაინცეპტივი შეზღუდულია ახლანდელი დროით, მაშინ როცა დაპირისპირება იტერატივი ~ არაიტერატივი გამორიცხავს მხოლოდ ახლანდელ დროსა და ინიუნქტივს. შდრ. мы живали в столице „ჩვენ აღარ ვცხოვრობთ დედაქალაქში, რადგანაც წარსულში ვცხოვრობდით“; если бы он не жил в столице, он скорее привык бы к деревне „რომ არასოდეს ვცხოვრა დედაქალაქში, ადვილი იქნებოდა მისთვის, მიჩვეულიყო სოფელს“; живавши подолгу в столице, он не мог свыкнуться с провинцией „ცხოვრობდა რა დიდი ხანი დედაქალაქში, გაუჭირდა, შეგუებოდა პროვინციას“; ему привелось<sup>14</sup> жить подолгу в деревне „მოუწია, რომ ვცხოვრა დიდხანს სოფელში“; в этом городе нам не жить „აღარ გვეცხოვრება ამ ქალაქში“; на чужбине не жить – тоски не знать „ვისაც არ უცხოვრია დიდი დრო უცხო მხარეში, სევდა არ განუცდია“.

არაგარდამავალი (non-transitive) ზმნებისთვის გვარის დაპირისპირება უკუქცევითი ~ არაუკუქცევითი, ჩვეულებრივ, შემოსაზღვრულია არამარკირებული ასპექტის (იმპერფექტივი) არამარკირებული პირით (უპირო).<sup>15</sup>

#### 4. რუსული ზმნის გრამატიკული საშუალებები (processes)

4.1 ყოველი რუსული გრამატიკულად ცვალებადი ფორმა შეიცავს ფუძესა (stem) და დაბოლოებას (დესინენცია; desinence). ფუძეები არის პრეფიქსიანი ან უპრეფიქსო (მარტივი). ჩვენს მაგალითებში დაბოლოება ფუძისგან გამოყოფილია ტირეთი, პრეფიქსი მომდევნო მორფემისგან – პლუსით, ხოლო მორფემები მარ-

<sup>14</sup> რუსულ თარგმანში: приходилось

<sup>15</sup> რუსულ თარგმანში: მხოლოდითი რიცხვის მესამე პირი

ტივ ფუძეში ან დაბოლოებაში გამოყოფილია ერთმანეთისაგან დეფისით, მაგალითად, /vi+rv-a-l-a-s/.

ფუძე შეიძლება შეიცავდეს ფუძის წარმომქნელ სუფიქსს (stem-suffix), მაგალითად /rv-á-t'/, ან შეიძლება იყოს უსუფიქსო, მაგალითად /grís-t'/. ზმნური ფუძე შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორი ალტერნანტით (alternant) – სრული ფუძით (full-stem) ან შეკვეცილი ფუძით (truncated stem), რომელიც პირველისგან, ჩვეულებრივ, განსხვავდება ბოლო ფონემის გამოტოვებით, მაგალითად, /znáj-/:/zná-/; /rvá-/:/rv-/. სრული ფუძეები იყოფა დახურულ ფუძეებად, რომლებიც ბოლოვდება არამარცვლოვანი ფონემით, /znáj-/; /star'-éj-/; /gríz-/; და ღია ფუძეებად, რომლებიც ბოლოვდება მარცვლოვანი ფონემით, /rvá-/; /dú-nu-/ (დაწვრილებითი აღწერისათვის იხილეთ 1948 წლის ჩვენი სტატია).

უნდა განვასხვაოთ სამი ტიპის დესინენციური მორფემა; „საწყისი სუფიქსი“ (initial suffix), რომელსაც არასდროს არ უძღვის წინ სხვა დესინენციური სუფიქსი, მაგალითად, /rv-a-l-á/ ან /rv-a-l-á-s/, /rv'-ó-m/ ან /rv'-ó-m-sa/; „საბოლოო სუფიქსი“ (final suffix), რომელსაც არ მოსდევს სხვა სუფიქსი, მაგალითად, /rv-a-l-á/, /rv'-ó-m/; „პოსტფიქსი (postfix), რომელიც შეიძლება დაერთოს საბოლოო სუფიქსს, მაგალითად, /rv-a-l-á-s/, /rv'-ó-m-sa/, /rv-a-f-š/.

თუ დაბოლოება შეიცავს ერთ სუფიქსს, ეს უკანასკნელი ერთდროულად არის საწყისი და საბოლოო, მაგალითად, /rv-ú/, /gríz'-á/. დაბოლოებები იყოფა **თანხმოვნურად** და **ხმოვნურად**. თანხმოვნური დაბოლოებები იწყება თანხმოვნით /gríz-l-a/, ან შეიცავს ერთ თანხმოვანს /zná-f/. ხმოვნური დაბოლოებები იწყება ხმოვნით /gríz'-ó-š/, ან შეიცავს ერთ ხმოვანს /gríz-ú/ ან ნულოვანი მორფემით, რომელიც მონაცვლეობს (alternating) ხმოვანთან /znáj-#/: /gríz'-í/. სხვადასხვა ზმნური კატეგორია იყენებს განსხვავებულ გრამატიკულ საშუალებებს (processes).

**4.2** პირი, სქესი და რიცხვი იყენებს დაბოლოების საბოლოო დესინენციურ სუფიქსებს. როდესაც პირი გამოხატულია, განსხვავება ორივე რიცხვსა და პირველ და მეორე პირს შორის ერთდროულად გადმოიცემა ერთი და იმავე სუფიქსებით, „მესამე პირი“ კი გამოიხატება ფინალურით, ხოლო მისი რიცხვი საწყისი სუფიქსით /gar'-i-t'/:/gar'-á-t/. ეს არის ერთადერთი გამონაკლისი ფინალური სუფიქსების გამოყენებისა დესინენციურების მიერ, რომლებიც ახასიათებენ აღსაწერი მოვლენის მონაწილეებს. რიცხვისა და “მესამე” პირის დამოუკიდებლად გამოხატვას შეადარეთ ნაცვალსახელური მოდელი: მაშინ როცა პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთათვის გამოიყენება სუბლეცია (suppletion) (/já/ და /mí/, /tí/ და /ví/), „მესამე პირი“ გამოიხატება ძირით, ხოლო სქესისა და რიცხვის განსხვავება – დაბოლოებებით: /ón-#/, /an-á/ და /an'-í/.

**4.3** დროის გამოხატვისას ხმოვნური დაბოლოებები გამოიყენება ახლანდელი დროისთვის, ხოლო თანხმოვნურები – წარსული დროისთვის, /znáj-u/:/zná-l-#/: /znáj-a/:/zná-f/; /rv'-ó-m/:/rv-á-l'-i/. ხმოვნური დაბოლოებები განასხვავებენ

ახლანდელ დროსა და ინიუნქტიურ კილოს, რომელიც თანაფარდობაშია ახლანდელი დროის თხრობით კილოსთან, ყველა დანარჩენი ზმნური ფორმებისგან – როგორც წარსული დროის, ისე ინფინიტივისაგან. ეს უკანასკნელი იყენებს ერთსუფიქსიან თანხმონურ დაბოლოებას (one-suffix consonantal desinence), რომელიც ბოლოვდება ნულით და რომელიც მონაცვლეობს ხმოვანთან (/zná-t’/:n’is-t’í/).

**4.3.1** ასპექტები განსხვავდება ცვლილებებით ფუძეში (modifications in the stem) (ფუძის წარმომქნელი სუფიქსები (stem-suffixes) ან პრეფიქსაცია) და პერიფრასტული ფორმებით. განსაზღვრული ~ განუსაზღვრელი წყვილი განსხვავდება ორი უპრეფიქსო ფუძის მონაცვლეობით: ან ღია სრული ფუძე უპირისპირდება დახურულ სრულ ფუძეს, რომელიც ბოლოვდება /-aj-/, /-áj-/, ან უსუფიქსო ფუძე უპირისპირდება სუფიქსიან ფუძეს: /b’iž-á-/:b’ég-aj-/, /l’it’-é-/:l’it’-áj-/, /kat’-í-/:kat’-áj-/, /n’ós-/:nas-í-/. იტერატივი ~ არაიტერატივი წყვილის ორი უპრეფიქსო ფუძე განსხვავდება სუფიქსებით /-ivaj-/ ან /-váj-/ იტერატიულ ფორმაში, მაგალითად, /p’is-ivaj-/:p’is-á-/, /čít-ivaj-/:čít-aj-/, /zna-váj-/:znaj-/. თუ პრეფიქსი დაერთვის წყვილს იტერატივი ~ არაიტერატივი ან განსაზღვრული ~ განუსაზღვრელი, მაშინ (თუ არ ჩავთვლით შემთხვევებს, როდესაც მოცემული წყვილის წევრების ლექსიკური მნიშვნელობა საერთოდ განსხვავდება) დამოკიდებულება მის წევრებს შორის იცვლება პერფექტივი ~ იმპერფექტივი დაპირისპირებით. განსაზღვრული და განუსაზღვრელი გარდაიქცევა პერფექტივად და იმპერფექტივად, შესაბამისად, იტერატივი კი იცვლება იმპერფექტივად და არაიტერატივი – პერფექტივად, შდრ. /pr’i+n’ós-/:pr’i-nas’-í-/, /ví+p’is-a-/:ví+p’is-ivaj-/. პერფექტივი ~ იმპერფექტივის დანარჩენ წყვილებში პრეფიქსიანი ფუძე უპირისპირდება უპრეფიქსოს ან ღია სრული ფუძე დახურულს, რომელიც ბოლოვდება /-aj-/, /-áj-/, მაგალითად, /na+p’is-á-/:p’is-á-/, /r’iš-í-/:r’iš-áj-/, /p’ix-nú-/:p’ix-áj-/, /at+r’éz-a-/:at+r’iz-áj-/. თუ პერფექტივი ~ იმპერფექტივი წყვილის ორივე წევრს აქვს ღია ფუძეები, ფუძის წარმომქნელი სუფიქსი (stem-suffix) /-nu-/, /-nú-/ გამოხატავს პერფექტიულ ზმნას, მაგალითად, /kr’ík-nu-/:krič-á-/, /max-nú-/:max-á-/.

ინცეპტივი შეეწყობა მოცემული ზმნის ინფინიტივს, „ყოფნა“ ზმნის ახლანდელი დროის პერფექტივსა და იმპერფექტივს.

**4.4** კონექტორებს მიკუთვნებული არაშიფტერები გამოიხატება პოსტფიქსების საშუალებით. მარკირებული გვარის წარმოსაქმნელად შესაბამისი არამარკირებული გვარის საბოლოო დესინენციურ სუფიქსს (final desinential suffix) დაერთვის პოსტფიქსი. რეფლექსივი ურთავს /-s/ პოსტფიქსს ან მის ავტომატურ ვარიანტებს: /-sa/, /-sá/ და /-ca/, მაგალითად, /fstr’éc~u-s/, /fstr’ét’-i-š-sa/, /fstr’ét’-i-t-ca/. წარსული დროის აბსოლუტივის კორელაციური ფორმა ურთავს პოსტფიქსს /-ši/ არაკორელაციურ ფორმებს, მაგალითად, /fstr’ét’-i-f-ši/:fstr’ét’-i-f/. მაგრამ მეორე პოსტფიქსის წინ, სახელდობრ, უკუქცევითი ზმნების

წარსული დროის აბსოლუტივში, დაპირისპირება კორელაციური ~ არაკორელაციური მოხსნილია: ფორმა /fstr'ét'-i-f-ši-s/ ერთადერთი არსებულია.

ამგვარად, ორი ერთმანეთის მომდევნო პოსტფიქსიდან წინამავალი ჭარბია.

მიფტერები, რომლებიც შეეხებიან კონექტორთა კლასს (სახელდობრ, კილოები), დესინენციური სუფიქსებისა და პოსტფიქსების ნაცვლად, იყენებენ ენკლიტიკურ ნაწილაკებს – „ანექსებს“ (annexes), ბ. უორფის ტერმინოლოგიით. ამგვარ ანექსთა შეერთება წინამავალ ზმნურ მორფემასთან ექვემდებარება (undergo) გარეგანი სანდჰის (external sandhi) წესებს, მაშინ როცა ჩვეულებრივი სუფიქსების კომბინაციას განაპირობებს შინაგანი სანდჰის (internal sandhi) კანონები. ინიუნქტიურ კილოებში ანექსებისა და წინამავალი მორფემის ურთიერთობისას წარმოიქმნება თანხმოვანთკომპლექსები (clusters), ერთი სიტყვის ფარგლებში დაუმკვეთელი, ასე, მაგალითად, /p't/, /f't/, /p's/, /f's/, /t's/, /s's/, /p'k/, /fk/, ან განსხვავებები, როგორცაა /m't'/:/mt'/, /m's'/:/ms/, /m'k'/:/mk/. შდრ., /pa+znakóm'-#-t'i/ და /pa+jd'-ó-m-t'i/, /pa+znakóm'-#-sa/ და /pra+jd'-ó-m-sa/, /pa+znakóm'-#-ka/ და /pa+jd'-ó-m-ka/. სივრცე, რომელიც აცალკევებს დეფისებსა და ტირეებს ამგვარი ანექსებისგან ჩვენს ტრანსკრიფციაში, აღნიშნავს მათ განსაკუთრებულ ხასიათს. თხრობით კილოში, ჩვეულებრივ, /v'il'-i-t'i/ /i/-ს დახურული ვარიანტი გამოიხატება, რადგან მოსდევს იმავე სიტყვის პალატალიზებული თანხმოვანი, ბრძანებითი კი /v'il'-i-t'i/ ხანდახან – სტანდარტული რუსულის ექსპლიციტურ კოდში – შეიძლება შევამჩნიოთ /i/-ს უფრო ღია ვარიანტი, როგორცაა სიტყვათა ჯგუფში /pr'i+v'i-l'-i t'ebé/, რადგანაც შინაგანი სანდჰის კანონები აქ არ მოქმედებს. ინიუნქტივის ფორმებში კი ფიქსირებული ნაწილაკებია მოცემული, პირობითი კილო ოპერირებს მოძრავი (movable; подвижная) /bi/ ნაწილაკით და მისი ფაკულტატიური კონტექსტური ვარიანტებით /b/, /p/.

/ka/ არის სპეციალური (specifically) ჰორტატიული ნაწილაკი, ორი სხვა ნაწილაკი კი, რომლებსაც იყენებს ინიუნქტივი – 2მრ. /t'i/ და რეფლექსიური /s/ ან /sa/ უბრალოდ სუფიქსიდან და პოსტფიქსიდან გადაიქცნენ ანექსებად. ყველა ეს ნაწილაკი შეიძლება ერთმანეთს შეუერთდეს და ან ერთი, ან ორი, ან სამივე შეიძლება დაერთოს ორივე უანექსო ინიუნქტიურ ფორმას, რომლებიც შეიძლება ცალ-ცალკე გამოიყენებოდეს. ერთ-ერთი ეს ფორმა არის ზმნური ფუძე დესინენციური სუფიქსით -# (რომელსაც ენაცვლება /-i/, /-i/ თანხმოვანთკომპლექსებისა და ფუძის შემდეგ, რომელსაც არ აქვს ფიქსირებული მახვილი ძირზე ან ფუძის წარმოქმნელ სუფიქსზე (stem-suffixs)), მაგალითად, /fstr'ét'-#/ , /kr'ik'n'-i/, /s'id'-i/, /vi+s'id'-i/. რუსული ზმნის მთელ მოდელში ეს არის ერთადერთი მაგალითი ნულოვანი მორფემისა, როგორც დაბოლოების ძირითადი ვარიანტისა. მეორე უანექსო ფორმა იდენტურია ახლანდელი დროის პერფექტივის 1მრ. ფორმისა, მაგრამ განსხვავდება ამ უკანასკნელისგან სინტაქსურად (ნაცვალსახელის არარსებობა), სემანტიკურად (ნიშნავს „მომი მე და შენ“) და პარადიგმატულად: /fstr'ét'-i-m/ უპირისპირდება /fstr'et'-i-m-t'i/ როგორც „მხოლოდითი ადრესატი“

~ „მრავლობითი ადრესატი“, ხოლო /fstr'et'-i-m-ka/<sup>16</sup> როგორც იმპერატივი ~ ჰორტატივი. შდრ. მაქსიმალური თავმოყრა გრამატიკული მორფემებისა /pa+vid-áj-i-m-ti-s-ka/ ფორმაში. აგრეთვე პერიფრაზის ახლანდელი დროის 1მხ. ფორმა გამოიყენება ინიუნქტიურ ფორმებში მხოლოდ /ka/ ანექსთან ერთად.

ინიუნქტიური კილოების რამდენიმე პერიფრასტული ფორმა აერთიანებს ზმნის ინფინიტივს დამხმარე ზმნების ინიუნქტიურ ფორმებთან: /bud'-i-m/, /búd'-i-m-t'i/, /búd'-i-m-ka/, /búd'-i-m-t'i-ka/, /da-váj-#/ , /da-váj-#-t'i/, /da-váj-#-ka/, /da-váj-#-t'i-ka/.

**4.5** საბოლოო ჯგუფში, მცირე პერიფრასტული ფორმების გარდა, რომლებსაც გამოიყენებს იმპერატიული ზმნები, რუსული ზმნური კატეგორიების გამოხატვა დაახლოებით წარმოადგენს შემდეგ მოდელს:

P-დესიგნატორები (მონაწილეთა დესიგნატორები), როგორც შიფტერები (პირი), ისე არაშიფტერები (სქესი და რიცხვი), გამოიხატება საბოლოო დესინენციური სუფიქსით.

E-დესიგნატორები (მოვლენის დესიგნატორები) იყენებენ სიტყვის კომპონენტებს (word-component), რომლებიც წინ უძღვიან საბოლოო (final) სუფიქსს. შიფტერები (დრო) იყენებენ საწყის დესინენციურ სუფიქსებს, არაშიფტერები (ასპექტი) კი მიდიან უფრო შორს სიტყვის ბოლოდან; ისინი უგულვებელყოფენ დაბოლოებას და ოპერირებენ ფუძით – მისი სუფიქსებითა და პრეფიქსაციით.

კონექტორები ფართოდ იყენებენ ერთეულებს, რომლებიც მოსდევენ საბოლოო სუფიქსს.

არაშიფტერები (გვარი და ტაქსისი) იყენებენ პოსტფიქსებს, შიფტერები (კილო) კი ტენდეციას იჩენენ, დაბოლოება დაიყვანონ ნულამდე და ჩანაცვლონ ჩვეულებრივი დესინენციური სუფიქსები ავტონომიური ანექსებით, ნაწილობრივ პირველის შეცვლით მეორით, ნაწილობრივ – ახალი, წმინდა მოდალური ნაწილაკების დამატებით.

\* \* \*

*მოშადაებულია კემბრიჯში, მასაჩუსეტსის შტატში, 1956, პროექტისათვის „თანამედროვე რუსული სალიტერატურო ენის აღწერა და ანალიზი“ დააფინანსა სლავური ენებისა და ლიტერატურების დეპარტამენტმა, ჰარვარდის უნივერსიტეტი, როკველერის ფონდის გრანტის ფარგლებში და დაბეჭდა ამ დეპარტამენტმა 1957 წელს. I და II ნაწილები წარმოადგენენ მიმოხილვას (synopsis) 1950 წელს გადაცემული ორი სტატიისა – “Les catégories verbales”, Société Genevoise de linguistique (იხ. Cahiers Ferdinand de Saussure, IX, 6) და „კოდისა და შეტყობინების ნაწილობრივ გადაფარვა ენაში“, მიჩიგანის უნივერსიტეტი (“Overlapping of code and message in language”, University of Michigan)*

<sup>16</sup> რუსულ თარგმანში ერთით მეტი ნიმუშია: /fstr'et'-i-m-t'i-ka/



## ლიტერატურა

- ანდრეიჩინი 1938:** L. Andrejčín, *Kategorie znaczeniowe konjugacji bułgarskiej*, Kraków.
- ბენვენისტი 1956:** E. Benveniste, *La nature des pronoms*, For Roman Jakobson, The Hague.
- ბიულერი 1934:** K. Bühler, *Sprachtheorie*, Jena.
- ბლომფილდი 1946:** L. Bloomfield, *Algonquian*, Linguistic Structures of Native America, New York.
- ბოასი 1947:** F. Boas, *Kwakiutl Grammar*, Philadelphia.
- ბოგორაზი 1922:** V. Bogoraz (W. Bogoras), *Cukchee*, Handbook of American Indian Languages, II, Washington.
- გარდინერი 1940:** A. H. Gardiner, *The Theory of Proper Names*, London.
- ვინოგრადოვი 1947:** В. В. Виноградов, *Русский язык*, Ленинград.
- ვოლოშინოვი 1930:** В. Н. Волошинов, *Марксизм и философия языка*, Ленинград.
- ზელენინი 1930:** Д. К. Зеленин, *Табу слов у народов Восточной Европы и Северной Азии*, II, Сборник Музея Антропологии и Етнографии, т. IX, М. – Л.
- კარნაპი 1937:** R. Carnap, *Logical Sytax of Language*, New York.
- კრეინოვიჩი 1934:** Е. А. Крейнович, *Нивхский (гиляцкий) Язык*, Языки и письменность народов Севера, III, Ленинград.
- ლანტი 1952:** H. G. Lunt, *Grammar of the Macedonian Literary Language*, Skopje.
- რასელი 1940:** В. Russel, *An Inquiry into Meaning and Truth*, London.
- უორფი 1946:** B. L. Worf, *The Hopi Language, Toreva Dialect*, Linguistic Structures of Native America, New York.
- ჰაასი 1941:** M. R. Haas, *Tunica*, New York.
- ჰუსერლი 1913:** E. Husserl, *Logische Untersuchungen*, II, Halle a. d. S.
- L. Bloomfield, *language*, New York, 1933.
- A. W. Burks, *Icon, Index, and Symbol*, Philosphy and Phenomenological Research, IX, 1949.
- R. Jakobson, *Zur Struktur des russischen Verbums*, Charisteria Guyilelmo Mathesio, Prague 1932.
- R. Jakobson, *Signe zero*, Mélanges Bally, Genève 1939.
- R. Jakobson, *Russian conjugation*, Word, IV, 1948.
- O. Jespersen, *language, Its nature, Development, and Origin*, New York 1923.

თარგმნა ზურაბ ბარათაშვილმა  
თარგმანი იბეჭდება ივანე ლეჟავასა  
და ეთერ სოსელიას რედაქციით

ახალი წიგნები

*ქეთევან გოდერძიშვილი, ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები, გამოქვეყნებულია „უნივერსალი“, 2012, 450 გვ.*

ონომასტიკას (მეცნიერება საკუთარ სახელთა შესახებ) XIX საუკუნის საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ ისტორიოგრაფიული დანიშნულება ჰქონდა, ე.ი. საკუთარი სახელის ანალიზი მიზნად ისახავდა ქვეყნისა და ხალხის წარსულის შესწავლას, მოსახლეობის მიგრაციის მიმართულების დადგენას და ა.შ. (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი...), ხოლო საენათმეცნიერო დარგად ონომასტიკის ჩამოყალიბება იწყება XX საუკუნის 60-იანი წლებიდან და დაკავშირებულია ცნობილი მკვლევრების – ალექსანდრე ლლონტის, ზურაბ ჭუმბურიძისა და ილია მაისურაძის – სამეცნიერო მოღვაწეობასთან. ალ. ლლონტმა, ქართული ლექსიკოლოგიისა და ტოპონიმიკის ცნობილმა მკვლევარმა, მრავალი თავისი სტუდენტი გამოაწრთო, მათ შორის ნიჭიერებითა და ნებისმიერი თემისადმი ღრმა მეცნიერული მიდგომით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქეთევან გოდერძიშვილი. უმაღლესი პედაგოგიური განათლების მიღების შემდეგ ქ-ნი ქეთევანი თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-მუშაკი გახდა და კვლევის სფეროდ ამოირჩია ქართველური ანთროპონიმია. როგორც ცნობილია, ანთროპონიმია ონომასტიკის ის დარგია, რომელიც შეისწავლის ქართველთა ისტორიულ და თანამედროვე გვარსახელებს, პირსახელებს, მეტსახელებს. ამ მიმართულებით ქეთევან გოდერძიშვილის ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგია ქართული ენათმეცნიერებისათვის ძალზე საჭირო და აუცილებელი მნიშვნელოვანი მონოგრაფია – „ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები“, რომელიც შედგება 5 თავისაგან და რომლის ბადალი ონომასტიკის ამ დარგში არც მოგვეპოვება.

დასახელებული მონოგრაფია ორმაგად არის დასაფასებელი, რადგან მაღალმეცნიერულ დონეზეა გამოკვლეული ქართველური ანთროპონიმია, რაც ზრდის მის მეცნიერულ ღირებულებასა და პრაქტიკულ დანიშნულებას და, ამასთანავე, საჭირო და აუცილებელი სახელმძღვანელოა უმაღლესი სასწავლებლების იმ სტუდენტებისათვის, რომელნიც გადიან ონომასტიკის კურსს. ქ. გოდერძიშვილის „ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები“ უაღრესად მნიშვნელოვანი მონოგრაფიაა არა მარტო სტუდენტთათვის, არამედ დარგის ნებისმიერი მკვლევრისათვის.

პაატა ცხადაია

*მაია ლომია, რუსუდან გერსამია, ხაზთაშორის მორფემული გლოსირება (მეგრული ტექსტების მორფოლოგიური ანალიზი). ნაწილი I, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 168 გვ.*

ერთიან ევროპულ სამეცნიერო სივრცეში ნებისმიერი სპეციალობის პრესტიჟი დამყარებულია კვლევითი პოტენციალის მიღწევებზე, რასაც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი. ასეთად გვევლინებიან მაია ლომია და რუსუდან გერსამია, რომელთა გამოცდილებისა და თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მომზადებულ წიგნს – ხაზთაშორის მორფემული გლოსირება – საერთაშორისო დონის ნაშრომის პრეტენზია აქვს. იგი შესრულებულია საგრანტე პროექტის ფარგლებში. უეჭველია ავტორთა ერუდიცია საკვლევ თემატიკაში. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ სარეცენზიო ნაშრომში აკუმულირებულია ის თეორიული ბაზისი, რომელზედაც აგებულია ნაშრომი. საავტორო წინათქმაში ჩამოთვლილია ნაშრომები, რომლებიც სარეცენზიო წიგნის მეთოდოლოგიური საფუძველია. დაუნჯებულია ინფორმაცია გლოსირებაზე, რანგების გრამატიკაზე, მეგრული ენის მორფოლოგიაზე, მის თავისებურებებზე. ავტორები დაკვირვებული მკვლევრის შესაშური ალღოთი გვაწვდიან მასალას: ამომწურავად, სადად, წინამორბედთა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო წვლილის გათვალისწინებით. ესა თუ ის საკვლევი საკითხი მ. ლომიასა და რ. გერსამიას შეჯერებული აქვთ ამ თემაზე არსებული პუბლიკაციების ავტორთა ნააზრევთან. ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის ლინგვისტურ დონეზე ფუნქციობა მათივე მოპოვებული უხვი საილუსტრაციო მასალით არის წარმოჩენილი.

წიგნის დამაზუსტებელი სათაურია მეგრული ტექსტების მორფოლოგიური ანალიზი. ამდენად, არ არის გამოტოვებული მეგრული ენის შესახებ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გამოკვლევა. ავტორებს განუხილავი არ რჩებათ მეგრულ სიტყვაფორმათა არც ერთი სტრუქტურა. ისინი არ სჯერდებიან მორფემული ჯაჭვების ძირითადი ტიპების მიმოხილვას და ავლენენ აფიქსურ მიმდევრობათა მრავალსახეობებს. ცნობილია, რომ პრეფიქსული მორფემები გამოავლინეს ტ. გუდავამ და თ. გამყრელიძემ, ხოლო სუფიქსურ მორფემათა რანგებად განაწილება სარეცენზიო წიგნის ავტორთა მიერ არის „დაპატენტებული“.

ავტორები უაღრესად საინტერესო და ყურადსაღებ კონცეპტუალურ სვლებს გვთავაზობენ.

ეს სპეციფიკური ნაშრომი იმავდროულად თვალსაჩინოს ხდის გლოსირების განვითარების გზებსა და პერსპექტივებს: თანამედროვე ქართული სახელური სტრუქტურები (ზმნური სიტყვაფორმები მ. დამენიას აქვს ნაკვლევი), სვანური სახელები და ზმნები სარეცენზიო ნაშრომის საფუძველზე გამზადებული საკვლევი სეგმენტია: კონტექსტუალური საილუსტრაციო მასალით წარმოსადგენია ძირითადი გრამატიკული პარამეტრები, არის სტანდარტულ ტერმინთა ქართველურ

ენებთან მისადაგებელი სრულყოფილი სისტემა, რამაც განაპირობა მთელი რიგი ლინგვისტური სვლები – ეს ყოველივე გამოყენების ფართო სპექტრს უქმნის სარეცენზიო ნაშრომს.

ჩვეულებრივ, პირველი გამოცემა არ გამოდის ხოლმე უშეცდომო და აღძრავს მეორე გამოცემის უზარვეზოდ განხორციელების სურვილს. ჩვენი რამდენიმე შენიშვნა ნაშრომის ფუნქციურ-ინფორმაციული სპეციფიკით არის შეპირობებული და უპირატესად ტერმინთა ქართულ ინტერპრეტაციას გულისხმობს:

(1) უპირველესად სათაურს შევეხები – ხაზთაშორის მორფემული გლოსირება. ქართულად ჭირს *ხაზთაშორის* სიტყვის იდენტიფიკაცია როგორც ფორმით, ისე შინაარსით: თუ ზედსართავია, -ი-ს თხოულობს შეთანხმებული მსაზღვრელის კვალობაზე, თუ მორფემული გლოსირების ლოკაციის დასაზუსტებელი სიტყვაა, მაშინ სათაურისეული სიტყვათა რიგი უნდა შეიცვალოს და ა.შ. სინამდვილეში არც ერთია და არც მეორე, არამედ გლოსირების ამ სახეობის ინგლისური სახელწოდების – *Interlinear Morphemic Glossing*-ის კალკირებაა. სიტყვა *ხაზთაშორის* ნაშრომში არც ერთხელ არ გვხვდება, იგი მხოლოდ სათაურშია.

(2) *Ablative Case*-ის ქართულ შესატყვისად აკაკი შანიძესთან არის გამოსვლითი (დაწყებითი). თურქული ბრუნების სწავლებისას დაწყებით ბრუნვას იყენებენ, წიგნში დაშორებითი ბრუნვაა მისადაგებული.

(3) დადასტურებითი (მიგებითი) ნაწილაკი თარგმნილია როგორც *Positive Particle*. ნაწილაკი უარყოფითი და დადებითი კი არ არის (და არც შეიძლება იყოს), არამედ უკუთქმითობა-უარყოფისა ან დადასტურების გამომხატველია, თუმცა ეს უკვე ტერმინთა თარგმნა-შესაბამისობის სფეროა და არა გლოსირების.

მორფემულ მიმდევრობათა სტრუქტურები ოდენ ავტორების კვლევის სფეროა. კვალიფიციური ანალიზი სარწმუნოდ ხდის მათ დებულებებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მათაა ლომიას და რუსუდან გერსამიას „ხაზთაშორის მორფემული გლოსირება“ ახალი სიტყვაა ქართველოლოგიაში. ნაშრომი ჰუმანიტარული მეცნიერების თანამედროვე დონის შესაბამისი კვლევაა და რჩება საერთაშორისო საენათმეცნიერო ცნებებისა და მასალის ფარგლებში.

*მარია კვიციანი*

## შინაარსი

<i>ირინე მელიქიშვილის სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია</i> .....	5
<b>წინათქმა</b> .....	15
<i>ირინე მელიქიშვილი</i> , სემანტიკური მარკირება მორფოლოგიაში და აქტიურობა-ინაქტიურობის კატეგორია ქართველურ ენებში .....	16
<i>Irine Melikishvili</i> , Semantically Based Marking and Active/Inactive Category in Kartvelian Languages .....	30
<i>ირინე მელიქიშვილი</i> , ბგერითი სიმბოლიზში გალაკტიონთან .....	31
<i>Irine Melikishvili</i> , Sound Symbolism in the Poetry of Galaktion Tabidze .....	46
<i>ლია აბულაძე</i> , ანდრეას ლუდენი, ენანტიოსემია ქართულში (II ნაწილი) .....	47
<i>Lia Abuladze</i> , <i>Andreas Ludden</i> , Enantiosemy in the Georgian Language (II) ..	79
<i>მარინა ალექსიძე</i> , Интегративная модель речепорождения в методике преподавания РКИ .....	81
<i>მარინა ალექსიძე</i> , მეტყველების წარმოქმნის ინტეგრაციული მოდელი რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდულ კამში .....	88
<i>რუსუდან ასათიანი</i> , საერთო-ქართველური ფუძე-ენის წყობა: აქტიური(?) .....	90
<i>Rusudan Asatiani</i> , The Proto-Kartvelian Alignment system: An Active one (?) .....	118
<i>ციური ახვლედიანი</i> , ივანე ლეჟავა, გიორგი ყუფარაძე, ინგლისური, გერმანული, ფრანგული და ქართული ენების ბგერათა შეპირისპირებითი ანალიზი .....	119
<i>Tsiuri Akhvlediani</i> , <i>Giorgi Kuparadze</i> , <i>Ivane Lezhava</i> , Comparative Study of English, German, French and Georgian Sounds .....	129
<i>Winfried Boeder</i> , Quotative Units and Information Units Khevsurian .....	130
<i>ვინფრიდ ბოდერი</i> , სხვათა სიტყვის ერთეულები და ინფორმაციის ერთეულები ხევსურულში .....	156
<i>თინათინ ბოლქვაძე</i> , სამეულთა კორელაციური კონები .....	157
<i>Tinatin Bolkvadze</i> , Correlation Bundles of Consonants .....	168
<i>თამაზ გამყრელიძე</i> , ფუძე-ენის რეკონსტრუქცია და მისი ქრონოლოგიური დონეები .....	169
<i>რუსუდან ზეკალაშვილი</i> , ქვემდებარის სინტაქსური ძალისათვის თანამედროვე ქართულში .....	173

<i>Rusudan Zekalashvili, To the Syntactical Strength of the Subject in Modern Georgian</i> .....	182
<i>მარინე ივანიშვილი, ეთერ სოსელია, ზმნისწინები მეგრულში</i> .....	183
<i>Marine Ivanishvili, Ether Soselia, Preverbs in Megrelian</i> .....	193
<i>ვლადიმერ ლეკიაშვილი, ლინგვისტიკა, მათემატიკა და ორგზის კომპოზიციური სემანტიკა</i> .....	194
<i>Vladimer Lekiasvili, Linguistics, Mathematics and Double-compositional Semantics</i> .....	200
<i>ქეთევან მარგიანი-სუბარი, ჰიპოტაქსის განვითარების საფეხურებისათვის სვანურ ენაში</i> .....	201
<i>Ketevan Margiani-Subari, Towards the Developmental Stages of Hypotaxis in Svan</i> .....	208
<i>თამარ მახარობლიძე, დროის სისტემა ქართულ ფესტურ ენაში</i> .....	209
<i>Tamar Makharoblidze, The Temporal System in the Georgian Sign Language</i> .....	218
<i>ნიკოლოზ ოთინაშვილი, ზემო ქართლის ტოპონიმიკური მასალები</i> .....	219
<i>Nikoloz Otinashvili, Toponymic Materials of Zemo Kartli</i> .....	222
<i>მედეა საღლიანი, რიცხვით სახელთა ბრუნების ტიპები სვანური ენის ღიალექტ-კილოკავთა მიხედვით</i> .....	223
<i>Medea Saghliani, Types of Declension of Numerals according to Svan Dialects</i> .....	239
<i>მაია სახოკია, როტულზმნურ ციკლურ პარადიგმათა ტიპოლოგიისათვის</i> .....	240
<i>Maia Sakhokia, Towards the Typology of Compound Verb Cyclic Paradigms</i> .....	252
<i>ქეთევან ძიძიგური, ბიოსემიოტიკა</i> .....	254
<i>Ketevan Dzidziguri, Biosemiotics</i> .....	267
<i>ქეთევან ჭილაია, სივრცის ლინგვისტური სტრუქტურირება სკოლამდელი ასაკის ქართველ ბავშვებში</i> .....	268
<i>Ketevan Chilaia, Linguistic Structuring of Space by the Pre-school Age Georgian Children</i> .....	276
<i>პარლ ჰორსტ შმიდტის ბასსენება</i> .....	277
<b>თარგმანი</b>	
<i>კარლ ჰორსტ შმიდტი, ფრანც ბოპი როგორც კავკასიოლოგი</i> .....	279

*თარგმანი*

*რომან იაკობსონი*, ტიპოლოგიური კვლევები და მათი წვლილი  
ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში ..... 284

*თარგმანი*

*რომან იაკობსონი*, შიფტერები, ზმნური კატეგორიები და რუსული ზმნა ..... 294

**ასალი წიგნები**

**ქეთევან გოდერძიშვილი**, ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი  
საკითხები, გამომცემლობა „უნივერსალი“,  
2012, 450 გვ. (*პატა ცხადია*) ..... 314

**მაია ლომია**, **რუსუდან გერსამია**, ხაზთაშორის მორფემული გლოსირება  
(მეგრული ტექსტების მორფოლოგიური ანალიზი). ნაწილი I,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
თბილისი, 2012, 168 გვ. (*მარია ჯიქია*) ..... 315

გამომცემლობის რედაქტორები:

გარეკანის დიზაინი  
კომპ. უზრუნველყოფა

ცირა ჯიშკარიანი  
ნანა კატაბავა

მარიამ ებრალიძე  
ლალი კურდღელაშვილი

TSU Press Editors:

Cover Designer  
Compositor

Tsira Jishkariani  
Nana Katchabava

Mariam Ebralidze  
Lali Kurdghelashvili

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel 995(32)2251432

[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)